
შოთა ქიქიფშური



დიფთერიტული ენანთემური ნარჩევები



მერანი. თბილისი. 1974

4Г+Г1
499.962.1+899.962.1.09
ძ 6.31

მეორე გამოცემა

7—1—3—7
ძ
M 604 (08) 74

ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ

შოთა რუსთაველის ენის საკითხები

„ქართველების მიერ რუსთაველის სავსებით შეთვისება-შე_ნება რეალურად შეაერთებს მთელ ქართველობას“[1]
„შოთას ენა მსოფლიო ენაა“

ნ ი კ ო მ ა რ ი

1. შოთა რუსთაველის ენის საფუძვლები

მომხიბლავი და წარმტაცია „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი სამყარო. მთელი სიმდიდრე, სიღრმე, შნო და ლაზათი ქართული მეტყველებისა დაუნჯებულად არის წარმოდგენილი ამ უბრწყინვალეს მხატვრულ ქმნილებაში. ქართული მეტყველების სტიქია ყველაზე მძლავრად და მრავალსახოვნად შოთა რუსთაველის სწორუპოვარ ნაწარმოებშია გამომჟღავნებული. ამ თვალსაზრისით მას ქართულ მწერლობაში ვერც ერთი ენობრივი ძეგლი ვერ გაუტოლდება.

„ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე არა მარტოოდენ შინაარსობრივ მხარეშია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), არამედ მის ენობრივ ქსოვილშიც, რამდენადაც აქ ქართული ენის სტიქიამ თავისი მძლავრი გამოხატულება და ხორცშესხმა ჰპოვა. ჩვენი ენის საუნჯე და საგანძური ყველაზე სრულყოფილად ამ თხზულებაშია გამოვლენილი.

---

[1] ნ. მარის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა ცნობილ რუსი პოეტის კ. ბალმონტის მიერ წაკითხულ ლექციასთან დაკავშირებით 1916 წლის 24 იანვარს პეტროგრადში.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით გამოჩენილ გერმანელ მეცნიერს პროფესორ გერჰარდ დეეტერსს, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მომხიბლავია ფორმით, ენის საოცარი ელვარებით, ხოლო თავისი იდეური შინაარსით იმდროინდელ პირველხარისხოვან ლიტერატურულ ძეგლებთან შედარებით ასევე გამორჩეული არ არისო. რამდენადაც სწორია უცხოელი მეცნიერის დებულების პირველი ნაწილი, იმდენად მცდარია აზრის ფორმულირების მეორე ნახევარი: არა, „ვეფხიტყაოსნის“ ფორმა და შინაარსი, ენობრივი მხარე და იდეურ-მხატვრული ღირსებები ერთ მთლიანობაშია მოცემული. ეს დებულება უცილობლად აღიარებულია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, და მით უმეტეს საკვირველია ზემოხსენებული ავტორის ცალმხრივი მსჯელობა, დაფუძნებული რუსთაველის ენისა და მისივე მხატვრულ-იდეური კონცეფციის გათიშვასა და ერთმანეთთან შეუთანხმებლობაზე. ისიც სიმპტომატურია, რომ უცხოელ მკვლევარს მაინც უგრძვნია ქართველი გენიოსის ენობრივი სიდიადე და რუსთაველის მეტყველების სიღრმე მსოფლიოში აღიარებულ სიტყვის დიდოსტატთა შემოქმედების ასპექტში განუხილავს.

შოთა რუსთაველის ენა მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ნიადაგზე ამოიზარდა. ვიდრე „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერებოდა, ჩვენმა სამწერლო ენამ კლასიკურ სრულყოფილობამდე მიაღწია (სახელდობრ, მე-10 საუკუნეში) მხატვრული სიტყვის უძველესმა ოსტატებმა, ბიბლიის მთარგმნელებმა, ჰიმნოგრაფებმა, „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა, მერჩულემ, მთაწმიდლებმა და წყობილსიტყვაობის სხვა მოღვაწეებმა ააღორძინეს და აღავსეს ლიტერატურული ენა და წინაპართაგან ნაანდერძევ ტკბილ-ქართულს უდიდესი გამომსახველობითი ძალა შესძინეს.

უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნული მსოფლმხედველობის ანარეკლია უბადლო საგალობელი ქართული ენისა, დაწერილი მეათე საუკუნეში („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“), რომელშიც ნათქვამია, „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არსო“, და ჩვენი ენა შედარებულია ელინთა ენასთან, რომელიც ძველ სამყაროში სრულყოფილი და უაღრესად ცივილიზებული ენის სინონიმად იყო მიჩნეული.

ამგვარმა ენობრივმა მრწამსმა და ლიტერატურულმა ტრადიციებმა მოუმზადეს ნიადაგი შოთა რუსთაველს, როგორც ქართული სიტყვის ჯადოქარს.

სალიტერატურო ენის ისტორიაში არის ისტორიული მიჯნები, გარდატეხის პერიოდები, როცა ხდება ტრადიციული ლიტერატურული ნორმების რღვევა და ახალი სტრუქტურის დამკვიდრება. ასეთი ძირეული გარდაქმნები ენაში დაკავშირებულია სიტყვის დიდოსტატთა სახელებთან, ლიტერატურის ტიტანებთან.

ახალი მოსაბრუნი მეთორმეტე საუკუნის სალიტერატურო ენაში უკვდავი შოთა რუსთაველის გენიის ნაყოფია.

„ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი ხალხურ მეტყველებას დაეყრდნო მყარად და მის წიაღში საუკუნეთა მანძილზე დაბუდებული საგანძური დღის სინათლეზე გამოიტანა. შოთა რუსთაველი ენის დემოკრატიზაციის უდიდესი მედროშეა და ახალი ლიტერატურული ნორმალიზაციის მესაძირკვლე.

გვაოცებს რუსთაველის სიტყვათშემოქმედებითი სითამამე და გაბედულება. გენიალური პოეტი იმორჩილებს ქართულ ენას ისე, როგორც არავინ, და მის ხლართებში აჩენს „ობოლ მარგალიტებს“, რომელთაც არასოდეს არ ღირსებიათ ლიტერატურული გამოხატულება. შოთა რუსთაველის შთამწვდომ ენობრივ ალღოს არ გამოპარვია ენის არც ერთი ხვეული და ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი მეტყველების ამოუწურავი საუნჯეა, მომხიბლავი ელვარების სიუხვითა და ნაირნაირობით, მომჯადოებელი თქმის ფერადოვნებით, მუსიკალური ჟღერადობით თუ ვერსიფიკატორული შესაძლებლობით.

მხოლოდ შოთა რუსთაველს შეეძლო შეემუშავებინა ისეთი უჩვეულო და მოულოდნელი ენობრივი ფორმები, რომლებიც ემყარება არსებითი სახელებისა თუ რიცხვითი სახელების გაზმნავებას. ქართული ენის ხერხემალი ზმნაა. შოთა რუსთაველმა კი, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ზმნას, „ამ დედაძარღვს ჩვენი მეტყველებისას, ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა“. გენიალური მგოსანი არასოდეს ღალატობს ქართული მორფოლოგიის კანონზომიერებას და ამიტომ მის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმები ბუნებრივია და ენის თვისებიდან გამომდინარე.

„ვეფხისტყაოსანში“ მოქალაქეობრიობა დაიმკვიდრა მანამდე უცნობმა ლექსიკურმა და გრამატიკულმა მოვლენებმა. ზოგი მათგანი დიალექტიზმია, ორგანულად შეხამებული პოეტური ენის საერთო ფაქტურასთან.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა მდიდარია და ძირეულად ქართული სიტყვა-თქმების ამსახველი. ფრაზეოლოგიური შენაერთები აქ დიდი ოსტატობით არის გადმოშლილი და ბუნებრივად ერწყმის პოეტური ენის საერთო არქიტექტონიკას. რუსთაველმა სალიტერატურო ენაში ამოატივტივა და დანერგა არა ერთი და ორი ქართული სიტყვა, რომლებსაც იქნებ დავიწყების ხავსი მოჰკიდებოდა. მანვე გააპოხიერა ჩვენი სამწერლო ენა ბერძნულ-ლათინური და სპარსულ-არაბული ლექსიკური ერთეულებით, რომელთა დიდი ნაწილი ადრე იყო ენაში შეთვისებული. ნასესხები სიტყვები ენის გამამდიდრებელია, ენათა განვითარების საერთო კანონის თანახმად.

ხალხმა შეითვისა, შეიტკბო და შეიყვარა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც გენიალური მხატვრული ქმნილება.

ამის სათავე შოთა რუსთაველის ენის სიდიადეც არის.

ენა მხატვრული ნაწარმოების ფრთებია.

შოთა რუსთაველის სწორუპოვარი პოემა ჩვენი მრავალჭირნახული დედაენის ისტორიული უფლებისა და ღირსების უბრწყინვალესი დადასტურებაა.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული ენის ყველაზე დიადი და მონუმენტური ძეგლია.

შოთა რუსთაველმა ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით ახალი მიმართულება მისცა ქართულ სალიტერატურო ენას. ჩვენი დიდი პოეტის ენაში მძლავრად შემოიჭრა ახალი ენობრივი ნაკადი, მომდინარე ქართული დიალექტიკური სამყაროდან. დაირღვა ძველი საეკლესიო სამწერლო ენის სტრუქტურა და ის ხელოვნური ჩარჩოები, რომლებიც გამომუშავებული იყო ლიტერატურული ენის შტამპის შედეგად; ენაში ამოტივტივდა შესანიშნავი ფრაზეოლოგიური შენაერთები და სიტყვიერი ერთეულები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე თველმდნენ ხალხური მეტყველების ფენებში და

შათ რუსთაველამდე არ ღირსებიათ ლიტერატურული გამოხატულება ასე ფართოდ და მთელი სისავსით: რუსთაველის ენა ჭეშმარიტად ხალხურია და მაღალ ლიტერატურულ ხარისხში აყვანილი.

როდესაც ლაპარაკია რუსთაველის ენის ხალხურობაზე, ამთავითვე უნდა ვაღიაროთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არ თავსდება ენობრივი პარტიკულარიზმის ჩარჩოებში — მისი საყრდენია მთლიანი ხალხური მეტყველება.

ქართული ხალხური ენა ორი ძირითადი ნაკადის—აღმოსავლურ-ქართულისა და დასავლურ-ქართულის გაერთიანებაა. „ვეფხისტყაოსნის“ ენის აღნაგობაში ქართული ენის ორივე განშტოებაა წარმოდგენილი.

როგორ შეძლო პოეტმა თავის თხზულებაში სინთეზურად წარმოეჩინა ქართული ხალხური მეტყველების დიფერენცირებული ერთეულები?

ამის გასაღებს იძლევა სამხრეთ საქართველოს დიალექტური წრე — მესხური მეტყველება, რომელიც სტრუქტურულად აერთიანებს ჩვენი ენის შინაგან განშტოებებს. მესხური დიალექტი ფოკუსია, რომელშიც ორგანულადაა შეზავებული ქართული ენის ხალხური საწყისები. ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსთაველის ენას ასაზრდოებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სამხრეთ საქართველოს მეტყველება.

ვცადოთ ამ დებულების დასაბუთება.

სამხრეთ საქართველოს დიალექტურ გარემოსთან რუსთაველის ენის დაკავშირებას გარკვეული ტრადიცია აქვს. მე-17 საუკუნის პოეტი არჩილი თავის ნაწარმოებში თეიმურაზს რუსთაველის მისამართით ათქმევინებს: „შეგოიღე ჯავახური ენა მძიმე“ (არჩილი ენობრივი პურიზმის წარმომადგენელია და „მძიმე ენაში“ ალბათ გულისხმობს რუსთაველის პოემაში სპარსულ-არაბული სიტყვების არსებობას). აქ უთუოდ ტრადიციული შეხედულების გამოკრთომაა.

მეცნიერებაში აკად. ნ. მარმა სცადა დაემტკიცებინა, რომ რუსთაველის დედაკილო მესხურია.

ნ. მარი პირველი მეცნიერია, რომელმაც მკვეთრად გაუსვა ხაზი დებულებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს დიალექტიზ-

მებს[1]. ერთ-ერთ ნაშრომში ის ამბობს, რომ პოემაში გვხვდება არა მარტოოდენ. „ცოცხალი მეტყველების ნორმები, არამედ დიალექტური თავისებურებები როგორც ლექსიკაში, ისე მორფოლოგიაში... შ. რუსთაველის ენა არაა მასივი, მაგრამ საფუძვლად უდევს ხალხური მეტყველება, ხალხური კილო, საფიქრებელია — მესხური"[2].

ეს კიდევ ცოტაა.

ნ. მარმა წამოაყენა აგრეთვე თეზისი: „ვეფხისტყაოსანში" შეინიშნება ქართული ენის სხვადასხვა დიალექტური წრის თავისებურებანი.

ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხის ისტორიის თვალსაზრისით.

ასე, მაგალითად, 1902 წელს გამოსულ გამოკვლევაში, რომელიც მიეძღვნა მეთორმეტე საუკუნის ქართველ მეხოტბეებს, ნ. მარი სრულიად ნათლად აღნიშნავდა: ,,Употребление... местной формы со стороны Руставели нас не должно удивлять: в ,,Барсовой коже" мы встречаем ряд провинциализмов, слов того или иного диалектного происхождения, использованных Шотою в видах размеры, или рифмы или даже без всякой нужды"[3].

ამრიგად, აკად. ნიკო მარმა მკვეთრად წამოაყენა ფუნდამენტური მნიშვნელობის დებულებები:

1. რუსთაველის ენის შედგენილობაში გამოიყოფა არალიტერატურული, ე. ი. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმე-

---

[1] ამას ავტორი არაერთგან ადასტურებს. მაგალითად, მარმა ყურადღება მიაქცია ძვ. ქართულში კავშირებითის თავისებურ ფორმებს — წარავლინოდის, მოგიკსენოდი, მისცოდიან, ყოდიან, დასდვოდის და ისინი მიიჩნია ტაო-კლარჯულ ნორმად (Деяния трех святых близнецов-мучеников Спевсипа, Еласипа и Меласипа, грузинский текст по двум рукописям X века: ЗВО, т. XVII, 1907, стр. 296).

[2] Н. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэма. Подготовка сборника текста, комментарии и примечания И. Мегрелидзе. 1964, стр. 100.

[3] Н. Марр. Древне-грузинские одописцы (XII в.). I. Певец Давида Строителя. II. Певец Тамары (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПб., стр. 72).

ბი; 2. ეს ენობრივი მასალა სხვადასხვა დიალექტურ წრეს განეკუთვნება, ნაირნაირია, თუ ვიმსჯელებთ ქართული კილოების დღევანდელი ვითარების მიხედვით; 3. რუსთაველის დედაკილო მესხური უნდა იყოს.

ნ. მარი 1917 წელს გამოქვეყნებულ ცნობილ რუსთველოლოგიურ ნაშრომში[1] ეხება სტროფს, სადაც ნათქვამია: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“. ეს სტროფი შესაძლოა ყალბია, ჩამატებული, მაგრამ რატომ არ არის ნათქვამი: „ვწერ ვინმე ქართველი მელექსე?“ ნ. მარის აზრით, ეს არ არის უბრალო პარტიკულარისტული მსოფლმხედველობის ანარეკლი; „ტერმინ მესხსა და პოემას შორის არსებობს უფრო არსებითი, უფრო მჭიდრო, უფრო ინტიმური კავშირი“. საქმე ისაა, რომ საქართველოში (კავკასიის მასშტაბითაც) მესხი მიჩნეულია გონებრივი გამჭრიახობის, განათლების სიმბოლოდ; სვანეთში არსებობს თქმა: „ბედნიერია, როგორც მესხი“; განთქმულია „სიდარბაისლე მესხისა“; ვახუშტის სიტყვით, მესხები არიან „უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი... ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი“. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სწორედ მესხეთიდანაა პოემის ინტერპოლატორი.

ასეთია მარის აზრთა მსვლელობა.

ნ. მარი თავგამოდებით იცავდა დებულებას, რომ რუსთაველი მესხური ლინგვისტური გარემოს შვილია. მეცნიერი ამბობს, რომ პოემაში არსებული სპარსულ-არაბული და ბერძნული წარმოშობის სიტყვები პოეტს მწიგნობრული გზით კი არა აქვს შეთვისებული, არამედ მესხური კილოდან, სადაც ამგვარი ლექსიკური ერთეულები ადრე ყოფილა დამკვიდრებული. ეს იქიდან ჩანს, რომ სპარსულ-არაბული ან ბერძნული სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“ გადასხვაფერებულად იხმარება. მაგალ., „მიჯნური“ გაქართულებული ფორმაა არაბული სიტყვისა — „მეჯნუნი“. პოეტს რომ სიტყვა უშუალოდ არაბულიდან შემოეტანა, „მეჯნუნს“ იხმარდაო. ამ თვალსაზრისით ნ. მარს გარჩეული აქვს მთელი რიგი სიტყვები (მარიხი, ზუალი, ოტარიდი, კატაბანი და სხვ.). ამასთანავე, ნ. მარი

[1] Н. Марр. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» и новая культурно-историческая проблема I. Племенная среда. II. Культурная среда и эпоха (Известия Академии наук. Петроград. 1917).

ჩერდება სვანიზმებზე რუსთაველის ენაში და ამბობს, რომ სვანური სიტყვები ადრე ყოფილა დანერგილი მესხურ მეტყველებაში. პოემაში გვხვდება სიტყვა „სარაჯი“. ნ. მარი არ ეთანხმება ლექსიკოგრაფებს, რომლებიც ამ სიტყვას მიიჩნევენ სპარსულად და განმარტავენ, როგორც შადრევანს. სულხან-საბას ლექსიკონზე დაყრდნობით მეცნიერი აღნიშნავს, რომ „სარაჯი“ ნიშნავს წყაროს წყალს, რომელიც ღარში ან მილში მოედინება. ეს გაგება სვანურშია მხოლოდ შემორჩენილი. ამის მიხედვით, სტრიქონში „საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა“ გვაქვს „ვარდის წყლის წყარო“ (და არა შადრევანი).

აქვე დავსძენთ, რომ გარდა იმ მასალისა, რომელიც გარჩეული აქვს ნ. მარს, სხვა რუსთაველისეული სიტყვების პარალელსაც პოულობენ სვანურ მეტყველებაში: „მჩმუნავი“, „მაჯაში“, „მეჭველი“ და სხვ. (დოც. მ. ალავიძე). სხვა კუთხეებში ამგვარი სიტყვები დადასტურებული არ არის.

ნ. მარი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე მეგრულ-ჭანურ ფენაზე, რომელიც შესულია მესხურ მეტყველებაში და აქედან — რუსთაველის ენაში. სამწუხაროდ, მარს დებულება არა აქვს შემაგრებული სათანადო მასალით. სხვა ნაშრომში („История Грузии“, СПБ, 1906) ნ. მარი ხაზგასმით ამბობს, რომ სალიტერატურო ქართულის განვითარებაში, გარდა მესხებისა, ისტორიულად მონაწილეობას იღებდნენ „იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვანი და მათ საერთო ქართულ ლიტერატურაში ერთად შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი“, ვიდრე რომელიმე ერთ კუთხეს. განმაზოგადებელი დებულება ნ. მარის მიერ ასეა ჩამოყალიბებული: ქართველი ტომების „შემაერთებელი იყო... საზოგადო სალიტერატურო ენა“. ლიტერატურამ „კიდევ უფრო მჭიდროდ და ძლიერად შეაკავშირა ქართველი ტომები. განმტკიცდა და დამყარდა ადგილობრივი ეროვნული კულტურა ერთი სალიტერატურო ენით და ეს სალიტერატურო ენა ცნობილი იქნა ქ ა რ თ უ ლ ა დ“.

და მაინც აკად. ნ. მარის მიერ მოწოდებული ლექსიკური მასალა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პრობლემა გადაწყვეტილად მივიჩნიოთ ქართველოლოგიის განვითარების იმდროინდელ საფეხურზე (რომ არაფერი ვთქვათ მარისეულ „სონმესხურობის თეორია-

ზე“, რომელიც ნაძალადევია და ისტორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით დაუსაბუთებელი). ნ. მარი არ ითვალისწინებს გრამატიკულ მოვლენებს, თუმცა შენიშნავს, რომ „ძალიან საინტერესოა გრამატიკული მოვლენები, ნიშანდობლივი მესხური დიალექტისა და შოთას სტილისათვის“, მაგრამ საკითხის ამ მხარეს წინასწარი ხასიათის შრომაში არ ეხებიო. შემდგომ ნ. მარს თავისი კონცეფციის გასამაგრებლად გრამატიკული ანალიზისათვის არ მიუმართავს.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში, 1937 წელს, დაიწერა არნ. ჩიქობავას გამოკვლევა[1], რომელშიც განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილი ხალხური მეტყველების ელემენტები, დიალექტიზმები, ამა თუ იმ კილოსათვის ნიშანდობლივი ფორმები. პოემაში „მოიპოვება, — ასკვნის ავტორი, — როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (ქართლურ-კახურის, პირველ ყოვლისა) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები. მასთან, პირველი შეხედვით, სწორედ ეს უკანასკნელებია, ცხადად რომ ჭარბობს“ (გვ. 212).

გავეცნოთ აღმოსავლურ და დასავლურ კილოურ მოვლენებს, რომლებიც ნიშანდობლივია „ვეფხისტყაოსნისათვის“.

აღმოსავლური კილოების მოვლენებია:

1. **დაღმა-დაღმე-ს გამოყენება.**

„აქადაღმე ათ დღე მიხვალ, ნაკვთაღ სარო, ფერად ლალი“ (929).
„მით ნავიდაღმან მჱთ რომე გარდმოსვეს კიდობანითა...“ (1085).

ეს **დაღმან** ქართულში დამკვიდრებული **დამ** თანდებულის ამოსავალია: **ნავიდაღმან — ნავიდამა — ნავიდამ** (გვხვდება, როგორც დიალექტიზმი, ილია ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბლის და სხვათა თხზულებებში).

2. პირველი სერიის **ევ** სუფიქსს მეორე სერიაში ენაცვლება **ივ**: ათრევს-ათრივა (ათრია), დახევს-დახივა (დახია):

„აზომ რომე გაგათრივე შენ ვაზირი, გულის გული“ (774);
„ცოტასა ხანსა ვარჩივე გაჭრა სმასა და მღერასა“ (151).

---

[1] დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (ენიმკის მოამბე, 111, 1938). სტროფები ნაჩვენებია ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემის მიხედვით.

ძველად მართლაც ასე უნდა ყოფილიყო: **ვხევ-დავხიე** და მისთანანი, მაგრამ შემდეგ **ვ** ამოვარდა, შემორჩა კი დიალექტებს.

3. **ოდ** სუფიქსს ცვლის **იყო** დამხმარე ზმნა:

„რაცა თქვენთვის არ ეარგიყოს საუურკლესა დასადებად“ (764);
„რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არად“ (258).

4. **აქეთ** ზმნიზედას ცვლის **აქათ**:

„იქით და აქათ მამისხდეს. მახვრიტეს სახვრეტელია“ (325).

ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია სიტყვა **დაგდება** დატოვების მნიშვნელობით:

„დავაგდე მზღვარი ინდოთა“ (387);
„მაგრამ დაგდება უმძიმდა ფატმანის გულ-მდუღარისა“ (1276).

აღმოსავლურია აგრეთვე **დარჩომა**:

„დარჩომა ჩემი ვერ დამიჯერია“ (381);
„დარჩომა და არ-სიკვდილი“ (500).

დასავლური კილოების ფორმათა ანალოგიურია „ვეფხისტყაოსანში“ შემდეგი მოვლენები:

1. **მისი (მათი)** ნაცვალსახელის გამოყენება **თავისის (თავიანთის)** გაგებით:

„თვით გიამბოს საქმე მისი, საყვარელსა გაახარო“ (239).
„მათ სხვათა მათი ამბავი თქვეს, ვითა მგზავრთა წესია“ (1172).

2. **იგი** ნაცვალსახელის ხმარება მსაზღვრელად:

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“ (30);
„წადი იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“ (118).

შეადარე გურული ფორმები „იგი კაცი“, „იგი მთვარე“ და მისთ.

3. **ისი** ნაცვალსახელი მსაზღვრელად:

„ისი დიაცი აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა“ (1046);
„რას გექადა ისი კაცი? ვესწრაფების მეტის მეტად“ (1073).

4. **აქანა** ზმნიზედა **აქა**-ს ნაცვლად:

„გაადეილდა, აქანამდის გარდეხადა რაცა ჰირი“ (123);
„შენი ყველა აქანამდის ჰირი ლხინსა გაათავნე“ (1227).

5. ვინ, რა ნაცვალსახელებთან ღა, ცა ნაწილაკების შებრუნებული რიგი:

„ვინცა ღა კადრებს, მან კადროს...“ (777);
„აწ იგი იქნას, რაცა ღა ენებოს ღმრთისა წადილსა“ (571)

სწორედ ამგვარი ფორმების ფონეტიკური სახეცვალების შედეგია დასავლური **ვინცხა, რაცხა** (სალიტერატურო ენაში, resp. აღმოსავლურ კილოებში შებრუნებული რიგია: **ვილაცა, რაღაცა**).

6. გარდაუვალ ორპირიან ზმნათა თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის საწარმოებლად **ოდ** სუფიქსის გამოყენება:

„ტარიელს ლომი მოეკლა, მის ხრმალსა სისხლი სცხებოდა,
შამბისა პირსა ქვეითი დგას, ცხენი არა ხლებოცა“ (1285):
„ამაოა, კარგსა მოყმესა რა ომი გამარჯვებოდეს,
ამხანაგთაგან ეჯობნოს, ვინცა მას თანა ხლებოდეს,
მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწბებოდეს.
შვენოდეს დაკოდილობა, ცოტაი რამე ვნებოდეს“... (1036).

7. აწმყოს **ავ**, ამ სუფიქსები უწყვეტელში იცვლება ევ სუფიქსით, ანდა ა-ს კარგავს და ი-ს დაირთავს:

„სიყვარული მეტის მეტი მიემატა, ცეცხლებრ სწევიდა“ (1036);
„ვიდრე გნახვიდე, სოფელი მინდა სალხინოდ აღარად“ (675);
„მას თინათინის შვენება კლევდის წამწამთა ჯარისა“. (34);
„მე ვკითხევდი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა“ (586):
„შვილთა, ღმერთო, დამაკმევდა, დამქოლევდა მერმე ქვითა“ (1162);

ეს მოვლენა რამდენადმე აღმოსავლურ კილოებშიც გვხვდება.

8. სახელის ფუძის შეუკუმშავი ფორმები (მსგავსად დღევანდელი დასავლური კილოებისა):

„მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო შენ რითა“ (1015);
„ჩემმან მზემან გამაგზავნა საძებარად იმა ყმისად“ (229);
„ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო“ (107).

ლექსიკის სფეროდან ყურადღებას იქცევს **მოდორება** სიტყვა[1]

[1] ამ გარემოებაზე ადრე ნიკო მარიც მიუთითებდა.

ქვემოიმერულში **მოღორება** მოტყუების მნიშვნელობით დღესაც ჩვეულებრივია, **აღორენს, დააღორუ** (ატყუებს, მოატყუა) ერთადერთი სიტყვაა მეგრულში, ისევე როგორც **ოღერდინამს, ოღერდინუ** ჭანურს ახასიათებს.

„რად მოვღორდი, რად დავბნელდი, ნეტარ ვინღა გამითენოს!“ (723);

„მოღორებულხართ, დამცდარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა“ (1145);

„თუ გიტყუო, მოგაღორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს“ (629)

ასეთია ფაქტები, გამოვლენილი შოთა რუსთაველის ენაში, როგორც დიალექტიზმები.

არნ. ჩიქობავა ჩერდება ფორმაზე: **ყველაკაი.** მისი სიტყვით, „**ყველაყაი**... პირწავარდნილი გურული სიტყვა ეგონება კაცს, მაგრამ რამდენად სახიფათოა ამგვარ ფაქტებზე დაყრდნობა, ჩანს იქიდან, რომ 1922 წ. მთიულურზე მუშაობისას ეს სიტყვა, — სწორედ ამ სახით, — არაგვის ხეობაში ჩავიწერეთ სოფ. მლეთის მცხოვრებისაგან“ (გვ. 212, შენიშვნა 3).

ყველაკაი არაიშვიათია „ვეფხისტყაოსანში:

„შენი იყოს ყველაკაი, შენ წაიღე, ვითა გხვდების“ (1449);

„ფრიდონს უთხარ ყველაკაი, ჩემი, თავსა გარდასრული“ (595);

„ყველაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაცა ჰირსა“ (552).

არნ. ჩიქობავა საბოლოო დასკვნების გამოტანას თავს არიდებს, რადგან არის ზოგიერთი დაბრკოლება, რომელთა გადალახვა საჭიროა. ძველი ქართულის დიალექტური შედგენილობა ჯერ მთლად ნათელი არ არის და, ამასთანავე, ზოგი რუსთაველისეული დიალექტიზმი შეიძლება სხვა ძეგლებშიც შეგვხვდეს. ეს კი აძნელებს იმის გარკვევას, თუ რა დიალექტური წრიდანაა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. მესხური კილოს ნიმუშებს ავტორი საგანგებოდ არ ეხება, ოღონდ მნიშვნელოვანია ნაშრომის შემდეგი ადგილი: „არსებობს არა ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ უნდა არსებულიყო სხვა დიალექტური წრე, რომლიდანაც ეს მოვლენები შეითვისა სალიტერატურო ქართულმა. შეიძლება ეს კილო აჭარის სამხრეთით გვევარაუდებინა — ტაოსა და კლარჯეთში, როგორც ამას

აკად. ნ. მარი ფიქრობდა, ზოგი დაბრკოლება რომ არ გველობებოდეს".

ამრიგად, არნ. ჩიქობავას ვარაუდი რამდენადმე ეხმაურება ნ. მარის კონცეფციას.

გარდა ზემოაღნიშნული დიალექტიზმებისა, შეიძლება მივუთითოთ სხვა მოვლენებზედაც, რომლებიც დადასტურებულია რუსთაველის პოემაში.

ასეთია, მაგალითად, სიტყვა **მადრიელობა:**

„მეფესა ეთქვა ამისი დიადი მ ა დ რ ი ე ლ ო ბ ა".

სხვა სტროფებში გვხვდება ლიტერატურული **მადლიერიც** („იქმნების თავისა არ- მ ა დ ლ ი ე რ ი": 384), მაგრამ ზემოხსენებულ სტროფში დიალექტური **მადრიელობა,** რომელიც ამჟამად კილოებშია ცნობილი, რითმის საჭიროებითაა ნაკარნახევი.

აი მთლიანად ეს სტროფიც:

„მეფესა ეთქვა ამისი დიადი მ ა დ რ ი ე ლ ო ბ ა,
ებრძანა: ლომო, არა გჭირს შენ ომთა გარდუხდელობა,
აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა,
წა, მაგრა მომხვდეს, რაღა ვქნა, თუ სიშორისა გრძელობა" (144)[1].

„ვეფხისტყაოსანში" გვხვდება აგრეთვე **დაიჭირავს:** „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა..."

დაჭირვა უთუოდ დიალექტიზმია ზოგიერთ ძველ ენობრივ ძეგლში („სინური მრავალთავი", „ვისრამიანი"...). მთაწმიდლებს დაუცავთ ფორმა: **დამჭირვა.** მ-ს შემცველი ფორმა, ისევე როგორც **დაჭირვა,** ამჟამად დასავლურ კილოებშიცაა შენახული („ვერ დეიმჭირავს"[2]). რუსთაველთან გვხვდება **დანამჭირი-**ც („ჩემგან შორს ხარ დ ა ნ ა მ ჭ ი რ ი": 127).

---

[1] მ. ა ლ ა ვ ი ძ ე. რითმით გამოწვეული დიალექტიზმის ნიმუში „ვეფხისტყაოსანში" (საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მე-6 რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. თეზისები, 1965). აქ და ქვემოთ დამოწმებულია საიუბილეო გამოცემა 1937 წლისა.

[2] მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, შთა რუსთაველის ენისათვის: გაზ. „ქუთაისი", № 8, 1963; აგრეთვე: გ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ერთი ზმნის ფუძის შედგენილობისათვის შ. რუსთაველის პოემის მიხედვით. პუშკინის სახ. თბ. პედინსტიტუტის სამეცნიერო სესია (თეზისები), 1966.

პროფ. ა. შანიძე გვაწვდის სიტყვის ეტიმოლოგიას: მუჭ ძირს დაერთო „ერ“ სუფიქსი და რედუქციით მივიღეთ დამჭერა ასე: „და-მუჭ-ერ-ა“, შემდეგ „და-მჭ-ერ-ა“, ბოლოს „და-მჭ-ირ-ვ-ა“[1].

პოემაში გვხვდება: „სავაჭროდ გარდმონაჭარნი“. შეადარე დღევანდელი გურულ-აჭარული ჭარ ძირის შემცველი ფორმები („თავი მომჭარი“ და მისთ.)[2]. ეს ფორმა გვხვდება როგორც მტკვრის აუზის მესხურში, ისე იმერხეულში[3]. პოემაში გვხვდება უარყოფითი „არ“-ნაწილაკიანი ფორმები: „არ ნაღებად“ და სხვ. ნ. მარი ამბობს, ეს მესხიზმიაო („ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, გვ. 137).

მართლაც, მესხურში გვაქვს „არ ვარგი“ და მისთანანი.

საფიქრებელია, რომ შოთა რუსთაველის ლიტერატურული ენის ქსოვილში აღბეჭდილი ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენები ძირითადად ინერციაა ერთი რომელიმე კილოური სამყაროსი, რომელიც უნდა მივიჩნიოთ გენიოსი პოეტის დედაკილოდ. სიტყვის უდიდესი ოსტატი, ფლობდა რა კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურას, კარს უღებდა თავის პოეტურ ენაში ხალხურ ფრაზეოლოგიზმებს და დიალექტურ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს. გენიალური ენობრივი ინტუიციის პოეტი არ ერიდება თავის სამწერლო ენაში ამოატივტივოს ნორმატული გრამატიკის თვალსაზრისით ერთი შეხედვით უცხო და ისტორიულად სასულიერო-საეკლესიო სტილით შებოჭილი თუ უკუგდებული ფორმები. რუსთაველი თამამი სიტყვათშემოქმედია და ენის დემოკრატიზაციის დიდი მედროშე.

. ქართულმა დიალექტოლოგიამ არ იცის

---

[1] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა (1946, გვ. 81).

[2] შ. ნიჟარაძე, არქაიზმის საკითხისათვის აჭარულში (ქართ. ენის კათედრათა მე-6 სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. თეზისები, 1965).

[3] შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი... („ძიებანი“, გვ. 143).

სხვა დიალექტური ერთეული, თუ არ მესხური, რომელშიც გაერთიანებული იყოს „ვეფხისტყაოსანში“ აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ენობრივი მოვლენები. ამიტომ შოთას ენის საყრდენად უნდა მივიჩნიოთ არა ცალ-ცალკე აღებული აღმოსავლური თუ დასავლური კილოები, არამედ ისეთი კილო, რომლის სტრუქტურაში ერთსა და იმავე დროს შერწყმულია ქართული ხალხური მეტყველების ორივე განშტოება.

ეს გარემოება დიდად მნიშვნელოვანია რუსთაველის ენის პრობლემის ამოსახსნელად.

როგორია უფრო მიახლოებულად სამხრეთ საქართველოს ლინგვისტური პროფილი?

მესხური მეტყველება თავისი გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით იყოფა, ერთი მხრივ, მტკვრის აუზისა და, მეორე მხრივ, ჭოროხის ხეობის კილოკაურ ერთეულებად (ახალციხე-ახალქალაქის მიდამოები და ტაო-კლარჯეთი). ისტორიული ქარტეხილების შედეგად ტაო-კლარჯული მეტყველება გადაშენდა და ამ მიდამოებში სხვა ხალხის ენა გამეფდა. 1904 წელს შავშეთ-კლარჯეთში იმოგზაურა ნ. მარმა და იმერხევში სრულიად მოულოდნელად წააწყდა ქართულ მეტყველებას, რომელიც, მეცნიერის სიტყვით, ორენოვანების პირობებში „სულს ღაფავდა“. მან ჩაიწერა მცირეოდენი ტექსტები და შემდეგ დაბეჭდა კიდევაც. იმერხეული მეტყველება ძველი ტაო-კლარჯული მეტყველების ცოცხალი მოწმეა, რელიქტურად შემორჩენილი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

1941 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს შრომაში („მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით“)[1], სადაც დახასიათებულია მტკვრის აუზის ქართული მეტყველება, მიღებულია დასკვნა, რომ მესხურში არის „სიმპ-

[1] დაიბეჭდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბეში (მეათე ტომი). შესულია ჩვენს წიგნში; „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ (1954).

ტომატური ნაზავი, რომელშიც ერთიანდებიან ტიპიური ქართლური (და მით საზოგადოდ აღმოსავლური კილოების) ფორმები და ტიპიური იმერხეულ-აჭარულ-გურული (და მით საზოგადოდ დასავლური კილოების) ელემენტები. შეიძლება ითქვას, რომ მესხური რამდენადმე გარდამავალი ტიპის დიალექტს მოგვაგონებს".

ეგევე შეიძლება ითქვას ამ დიალექტის დასავლური სექტორის მეტყველების მიმართ, რომელსაც ვიცნობთ იმერხეულის სახით და რომელიც მიგვანიშნებს ძველი ტაო-კლარჯული კილოკავის შედგენილობაზე. მართალია, აქ მეტია დასავლეთ საქართველოს კილოებთან საზიარო ფორმები, მაგრამ არაიშვიათია წმინდა აღმოსავლური დიალექტური მოვლენებიც.

ჩვენთვის მთავარი და არსებითია იმის აღიარება, რომ თითქმის ყველა დიალექტიზმი, რომლებიც კი გამოვლენილია „ვეფხისტყაოსანში", თავის დადასტურებას პოულობს მესხური კილოს ორსავე სექტორში. მაშასადამე, რუსთაველისეულმა დიალექტიზმებმა თავი მოიყარა ერთ დიალექტურ მოედანზე.

რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საოცარი შეზავება აღმოსალურ-ქართული და დასავლურ-ქართული ხალხური მეტყველების ფორმებისა, გამოვლენილი რუსთაველის ენაში, შედეგია იმ ერთადერთი დიალექტური გარემოსი, რომელშიც თავისთავად შეზავებულია ეს ორი ენობრივი ნაკადი?

როდესაც ვამბობთ, რუსთაველისეული დიალექტიზმები მესხური კილოს კუთვნილებააო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვმსჯელობთ მესხურის დღევანდელი ვითარების მიხედვით. მეცნიერებას რომ მოეპოვებოდეს ისტორიული დიალექტოლოგიის მასალები, ე. ი. რუსთაველის ეპოქის მესხური (ან რომელიმე სხვა დიალექტის) ტექსტები, მაშინ ჩვენი დასკვნები უფრო უეჭველი და უდავო იქნებოდა. დიალექტი განვითარების კანონს ემორჩილება და, ცხადია, საუკუნეთა მანძილზე სამხრეთ სა-

ქართველოს მეტყველებამ ევოლუცია განიცადა, ბევრი გრამატიკული ფორმა თუ ლექსიკური ოდენობა დაიკარგა ან სახე იცვალა, ბევრიც ახალი გაჩნდა. მიუხედავად ამისა, ენის ისტორიკოსი გულზე ხელს ვერ დაიკრეფს, მას შეუძლია თანამედროვე მეტყველებაში ამოიკითხოს და ამოიცნოს ენის ძველი მდგომარეობის ამსახველი ფაქტები. ეს მით უმეტეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დიალექტი, საერთოდ, არქაული ფენომენია, მის სტრუქტურაში დაუნჯებულად გამოსჭვივის ძველისძველი მოვლენები.

ამას ემატება შემდეგი გარემოებაც:

როგორც აღინიშნა, სამხრეთ-დასავლეთის (ტაო-კლარჯეთის) მეტყველება ისტორიულად გადაშენების გზას დაადგა თავის არსებით ნაწილში. ჩვენთვის ცნობილია მისი აგებულების მოწმე — იმერხეული მეტყველება, ამსახველი ძველი შავშეთის დიალექტოლოგიური პროფილისა; ჭოროხის აუზის ლინგვისტური სახე რამდენადმე გამოკრთის სწორედ იმერხეულში, მესხურის ამ პატუაში. იგი ჩვენთვის ძვირფასი ნაშთია იმ თვალსაზრისით, რომ ცნობილი ისტორიული ვითარებების წყალობით თავისებურ ადგილს იკავებს ქართულ დიალექტოლოგიაში: ბოლო საუკუნეებში, — მას შემდეგ, რაც ეს მხარე მოსწყდა დედასაქართველოს, — აცდენილი იყო სალიტერატურო ენის გავლენას და, ამასთანავე, მეზობელი კილოების ზემოქმედებას, ამდენად, შავშეთის მეტყველება უფრო სანდო და უტყუარია ამ მხარის დიალექტის ძველი მდგომარეობის გასათვალისწინებლად. სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაშია მცირე მასალა, ტექსტები საკმარისი არ არის, მაგრამ რაც არის, მაინც მნიშვნელოვანია ზოგიერთი დასკვნის გამოსატანად. ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ზემოაჭარული დიალექტი, რომელიც ისტორიულად მესხური მეტყველების შემადგენელი ნაწილია. ამრიგად, იმერხეული (და ზემოაჭარული) სრულიად თვალნათლივ მიგვანიშნებს ძველი შავშეთ-კლარჯეთის (resp. ჭოროხის აუზის) დიალექტურ სამყაროზე.

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ ქსოვილში არსებულ ე. წ. „დასავლურ“ და ე. წ. „აღმოსავლურ“ დიალექტურ ფორმებზე ვლაპარაკობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სათანადო მოვლე-

ნები მხოლოდ დასავლურ კილოებში გვხვდება ან კიდევ მხოლოდ აღმოსავლურ კილოებშია დადასტურებული. აქ არსებითად მეტნაკლებ გავრცელებულობაზეა საუბარი და მეტი არაფერი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი თავისებურება დიალექტური წარმოშობისა კი არ არის, არამედ საზოგადო ქართული ენის კანონზომიერებით არის მიღებული. მაგალ., ი ნაცვალსახელში ი კანონზომიერია ქართული მორფოლოგიის მიხედვით, ამჟამად რომ დიალექტურ თავისებურებად გვევლინება.

კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას.

ძნელია ამა თუ იმ ცალკეულ დიალექტში აღმოვაჩინოთ ისეთი მოვლენა, რომელიც სადმე, სხვა დიალექტში არ იყოს განმეორებული. მიუხედავად ამისა, დიალექტები ცალკე ერთეულებადაა გამოყოფილი, — ეს იმიტომ, რომ ყოველ ცალკეულ დიალექტში გარკვეული შეხამებითა და კომბინაციითაა წარმოდგენილი თუნდაც სხვა დიალექტებიდან ცნობილი მოვლენები: ერთისა და იმავე დიალექტური მასალის სხვადასხვანაირი შეხამება და გარკვეული მოვლენების ერთმანეთის გვერდით არსებობაა საფუძველი დიალექტოლოგიური ინდივიდუალობების გამოყოფისა.

ეს თანამედროვე დიალექტოლოგიის კარგად ცნობილი დებულებაა.

აქედან გასაგებია, რომ, როდესაც ვამბობთ, ვთქვათ, მესხურში ესა და ეს თავისებურებებია დადასტურებულიო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანს პარალელი არ მოეძებნებოდეს რომელიმე სხვა დიალექტში.

საკითხავია: არის სხვა ქართული კილო, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებული იყოს დასავლური და აღმოსავლური კილოების თავისებურებებად ცნობილი მოვლენები? არ არის სხვა ასეთი კილო.

„ვეფხისტყაოსანში“ რომ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ქართული ენის ორი ძირითადი დიალექტური ნაკადის გარკვეული თავისებურებები, სად, რომელ კილოშია

ერთმანეთის გვერდით ეს გარკვეული თავისებურებები განმეორებული?

სამხრეთ საქართველოს მეტყველებაში!

ეს დამთხვევა უთუოდ ანგარიშგასაწევია. და როდესაც ისტორიული ტრადიციით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მესხეთიდან ივარაუდება (არსებობს სხვა რიგის არგუმენტაციაც), ბუნებრივია, ამ კომპლექსურ ჭრილში, — რუსთაველის პოემაში წარმოჩენილ დიალექტიზმებზე დაყრდნობით, — ვიფიქროთ, რომ გენიოსი პოეტის ენას სწორედ მესხური კილო კვებავდა და ასაზრდოებდა.

თავისებურებათაგან (resp. რუსთაველის ენის დიალექტიზმებიდან) მესხურში (და აჭარულში), მაგალითად, ამჟამად გვხვდება:

1. **„დამ“** თანდებული, რომლის საფუძველია **დაღმე-დაღმა: მაღლიდამ, ციდამ**[1], **ჩიტიდამაც, იქიდამაც**[2]. შეადარე ქვემოთმოტანილი: **წინიდამე**[3]; 2. **აქათ** ზმნიზედა („იქით და **აქათ** გოგუები ჩაამწკრივა“: ჩემი მასალებიდან): 3. **ისი** ნაცვალსახელი[4]; 4. **იგი** მსაზღვრელად[5]; 5. **აქანა** ზმნიზედა. 6. აწმყოს თემატიკური ნიშნების მონაცვლეობა (ყველაზე პროდუქტიულად ქართულ კილოთაგან დადასტურებულია მესხურში, აგრეთვე აჭარულში); 7. **ვინცხა, საცხა, რაცხა** (მტკვრის აუზის მესხური, იმერხეული, აჭარული...); 8. ფუძის შეუკუმშაობა (რედუქციის მოდუნება); 9. **მისი** ნაცვალსახელი **თავისის** მნიშვნელობით (ზანური ნორმაა); 10. **განახვიდე**-ს ტიპის ფორმები; 11. **ყველაყაი-ყველაკაი**; 12. **დაიჭირავს**; 13. **მოსჭარი, დასჭარი** და სხვ.

შევნიშნავთ, რომ იმერხეულში ჩვეულებრივია ქართლურიზმები, ისევე როგორც ზემოაჭარულში („ზემოაჭარული როგორც ბგერითი შედგენილობით, ისევე ფონეტიკურ მოვლენათა თვალსაზრისით ძირითადად უახლოვდება ქართული ენის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებს. შეიძლება გამოიყოს ის

---

[1] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 137.

[2] Н. М а р р, Дневник поездки в Шавшетю и Кларджетю: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. ТР, кн. VII, 1911, стр. 48, 50.

[3] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, იქვე, გვ. 138, შენიშვნა, I.

[4] შ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, 1960, გვ. 73.

[5] Н. М а р р. იქვე.

მომენტები, როდესაც ზემოაჭარული განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს მესხურთან და იმერხეულთან“: შ. ნიჟარაძე, დასახელ. ნაშრ., გვ. 128); უთუოდ ზანიზმია მესხურში (resp. რუსთაველის ენაში) **მოღორება** (მოტყუება), **მისი-თავისი**-ს მონაცვლეობა და სხვ.

ნ. მარმა პირველად მიუთითა, რომ **მოღორება** ხალხური ფორმაა[1].

●

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოს მეტყველების სტრუქტურაში გაერთიანებულია აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ხალხური მეტყველების ელემენტები?

გარდა იმისა, რომ სამხრეთ საქართველო თავისი გეოგრაფიული კონტურებით ებჯინება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს (მტკვრის აუზით — ქართლს, ჭოროხის ხეობით — დასავლეთ საქართველოს), უაღრესად მნიშვნელოვანია ეთნიკური შერევის ფაქტორი, რამაც ისტორიულად განსაზღვრა მესხეთის ლინგვისტური სახე.

ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ცნობილია, რომ არაბთა მფლობელობის „ჟამთა სიავემ“ მერვე-მეათე საუკუნეებში განაპირობა ქართლ-მესხეთის ახალი ფეოდალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება: მესხეთი „ზემო ქართლის“ სახელითაა ცნობილი. იბერიის (ქართლის) სამეფო აერთიანებდა მთელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს. არაბი მხედართმთავრის — მურვან-ყრუს დამსჯელმა ექსპედიციებმა მესხეთშიც შეაღწიეს და მთელი რიგი უბნები ააოხრეს, უკაცრიელი გახადეს. არაბთა ლაშქარი აქ „მოეფინა ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა ვითარცა მკალი და მუმლი“. რაკი დროთა ვითარებაში არაბობამ მესხეთში ფეხი ვერ მოიკიდა, იქ თანდათა-

[1] ნ. მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მერი გუგუშვილმა და ლალი ძოწენიძემ 1965, გვ. 132.

ნობით ცხოვრების ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მერვე-მეცხრე საუკუნეებიდან იწყება ქართლელთა მასობრივი დასახლება მესხეთის გავერანებულ და „უშენ“ ადგილებში. „ახალმა ქართლით გადმოსულმა მოსახლეობამ თავისი მხნეობითა და ნიჭით კვლავ ააყვავა ეს კუთხე, დიდებული ეკლესია-მონასტრებით მოჰფინა და ქართული მწერლობის ერთ გამოჩენილ სადგურთაგანად შეჰქმნა“[1]. მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში სამცხე უკვე ქართლიდან გადმოსული ახალშენებით მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. ქართველმა ხალხმა „ჩვეულებისაებრ მამულისა სვლისა“ სამხრეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში ეროვნული აღორძინებისა და წინსვლის ახალი ციტადელი პოვა. მას შემდეგ, რაც იბერიის ცენტრი კლარჯეთში გადმოვიდა, სამხრეთ საქართველო ქართული კულტურის ავანგარდად იქცა და აქ დაარსებულ სავანეებში ფართოდ გაიშალა ლიტერატურული მოღვაწეობა. აქედან არიან „ფრიად კეთილ სიტყუათა ხელოვანნი“, „წყობილი სიტყვის“ უდიდესი ოსტატები, მგოსნები, ჰიმნოგრაფები, მეცნიერები. სწორედ მესხეთია, ჩვენი თანამედროვე პოეტის, ირაკლი აბაშიძის, სიტყვით რომ ვთქვათ,

„ჩვენი გონების გაშლის, განფენის,
ჩვენი კაცობის ძველი თავდები,
ჩვენი სიმღერის და აღმაფრენის,
ჩვენი დიდების ფუძის დამდები“.

აქედან არიან თმოგველი, პეტრიწი, ოპიზრები, მთაწმიდლები, მერჩულე და სხვები, რომელთაც კვალი გაავლეს ქართული კულტურის ისტორიაში.

„ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში, — ამბობს პროფ. კ. კეკელიძე. — აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი სა-

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1965, გვ. 66—67.

კუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით"[1].

სავსებით ბუნებრივია, რომ ახალი კოლონიზაციის შედეგად მესხურ მეტყველებაში დამკვიდრდებოდა ქართული დიალექტის ფორმები.

ამრიგად, ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-დასავლური დიალექტური ფორმებით შეზავებული ერთეული, რომელიც საფუძვლად დაედო საშუალო საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურას.

ტაო-კლარჯეთის ცნობილი სალიტერატურო სკოლები შეუძლებელია ასცდენოდა ადგილობრივი მეტყველების კეთილმყოფელ ზემოქმედებას. ისიც გასაგებია, რომ, როგორც ითქვა, იმერხეულ ტექსტებში (შავშეთის მეტყველებაში) არაიშვიათია ქართლურიზმები, ისევე როგორც ზემოაჭარულში, რომელიც ისტორიულად შედიოდა მესხური დიალექტის სისტემაში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტაო-კლარჯეთის მეტყველება ქართლური კილოს ფორმებით იყო გაპოხიერებული.

ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია.

მესხურ დიალექტურ სამყაროსთან რუსთაველის ენის დაკავშირების თვალსაზრისით ერთგვარი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს,

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 97.

რომ „ვეფხისტყაოსანში“ არსებული სიტყვების დიდი ნაწილი დღეს მხოლოდ მესხურშია ცოცხალი. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, **ყანდი, რემა, ხასი, ნები, მჭელი, კაპანი, უღონიოდ, საქულბაქე, გამყიფება, გაშეთება, ნასი, ტარბაზი, ეჯიბი, მახმული, სალუქი, ფლასი, იეფობა** (სიუხვის მნიშვნელობით), **მანა, წმახი, სირა, მიწურვა, ჩაკაბარაკება** („კარბაკად ვაქციე“), **აყიყი** და მრავალი სხვა (ი. მაისურაძის, გ. ნათენაძისა და ჩვენი მასალებიდან). მართალია, ამ გარემოებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიშნებთ, — რადგან ზოგი ამ სიტყვათაგანი შეიძლება სხვა კილოებშიც აღმოჩნდეს და, ამასთანავე, ამ ლექსიკური ერთეულების შემონახვა დიალექტის არქაიზაციას მიეწეროს, — მაგრამ მაინც ეს გარემოება სიმპტომატურია და ანგარიშგასაწევი.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც:

ზოგიერთი შოთასეული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა ხერხდება სწორედ თანამედროვე მესხური მეტყველების მიხედვით. ასე, მაგალითად, პოემაში გვხვდება სიტყვა **პაშტა**: „დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია“ (გვხვდება „ვისრამიან“-„ამირანდარეჯანიანშიც“ და ინგილოურში, როგორც არქაიზმი). ლექსიკოგრაფებს ეს სიტყვა ახსნილი ჰქონდათ, როგორც პატარა, მცირე. ასე, მაგალითად, დ. კარიჭაშვილი განმარტავდა: „**პაშტა** — პატარა“ (პოემის 1903 წლის გამოცემა).

ნ. მარმა კი აღნიშნა, „პაშტა“ შავშეთში ესმით, როგორც „ბევრი“, „დიდი“ და ამის მიხედვით უნდა შესწორდეს „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული სიტყვის გაგებაო. დამოწმებულია კონტექსტი: „პაშტა დათვი იყო“ — ბევრი დათვი იყო (იხ. მარის იმერხეული ლექსიკონი).

მარი ამ სიტყვას სხვაგანაც არჩევს და იმოწმებს „ვისრამიანსაც“ (ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გვ. 131).

შემდეგ არნ. ჩიქობავამ ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და სხვა მონაცემებითაც დაადასტურა სიტყვის მნიშვნელობა, შემონახული მესხურ მეტყველებაში[1].

---

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პაშტაი სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (ქართ. ენის კათედრათა მე-6 სესია, თეზისები, 1965).

სიტყვა ამ მნიშვნელობით ჯავახეთშიცაა ცნობილი[1].

პოემაზე დართულ ლექსიკონებში (აგრეთვე სხვა ლექსიკონებში) სხვადასხვანაირად არის განმარტებული სიტყვა **ტანაჯორი** („კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი“). ბუზანკალი, კოღოს მაგვარი ბუზი, ბზიკი, ჯღიბა, ჭრიჭინა, ერთი წლის ქორი, ერთი წლის ცხოველი — ასეთია მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობა.

მესხეთ-ჯავახეთში ამჟამად **ტანაჯორი** ბზრიალაა. გ. ნათენაძე ამბობს: „ჯავახეთში ბავშვები ბზრიალა ქვით თამაშობას **„ტანაობა**-ს უწოდებენ. მაშასადამე, **ტანაჯორი** ბზრიალა ქვაა და არა პატარა ერთგვარი მწერი[2]. დოც. მიხ. ალავიძეს უწერია: „**ტანაჯორი** (ჯავახური) — ბზრიალა ხისა. მას ბავშვი მათრახის ან წნელის ცემით ერთ ადგილზე ატრიალებს“[3]. სხვა ნაშრომში[4] იგივე ავტორი ამბობს: „ეს სიტყვა ჯავახეთშიც სცოდნიათ. **ტანაჯორი** არის სათამაშო — ბზრიალა ხისა. მას ბავშვი მათრახის ან წნელის ცემით ერთ ადგილზე ატრიალებს. ცნობა მომაწოდა ჯავახური ლექსიკის მცოდნემ აწ განსვენებულმა დამსახურებულმა პედაგოგმა ლაზარე ხმალაძემ“.

ტანაჯორი ბზრიალა ქვა არისო, გვაუწყებს გაზეთი „წითელი დროშა“[5].

თუ ეს შინაარსი მეორეული არ არის (ამას კვლევა ესაჭიროება), მაშინ ის უხერხულობა, რასაც ლექსიკოგრაფები გრძნობენ რუსთაველისეული შედარების გაგებაში („ბრუნავს ვითა ტანაჯორი“, ე. ი. ბრუნავს, როგორც მწერი და სხვ.), მოხსნილია, რამ-

---

[1] ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„მურჯახნელი რძალი ვიყავ პაშტა ქალი მეო,

დადე და დადეს მაყრები უკან გავრეკეო“.

დიდი, ჯანიანი ქალი ყოფილა, რომელსაც უკან გაურეკავს მაყრები (ა. კარაპეტიანი, გაზ. „წითელი დროშა“, 7 თებერვალი, 1966 წ.).

[2] გ. ნათენაძე, შოთა რუსთველის ვინაობა-სადაურობის შესახებ, „მნათობი“, № 8—9, 1937.

[3] მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—51.

[4] „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმებიდან (გაზ. „ქუთაისი“, № 169 1961).

[5] 7 თებერვალი, 1966.

დენადაც ბრუნვის ცნებას ბზრიალასთან შედარება უფრო გამოხატავს, ვიდრე კოღოს მაგვარი მწერი.

საგულისხმოა, რომ მესხეთის კონკრეტულ-ისტორიული რეალიების გაცნობა ხელს გვიწყობს რუსთაველისეული სიტყვების მნიშვნელობის დაზუსტებაში.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი.

პოემაში გვხვდება ასეთი ადგილი: „სხვანი გამექცნეს (იგულისხმება მტერი. შ. ძ.), მიჰმართეს მათ მათსა საქულბაქესა“, ე. ი. ბევრი დავხოცე, სხვებმა თავს უშველესო.

„საქულბაქე“ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკოგრაფების მიერ ახსნილია, როგორც „სადუქნე“. გაუგებარია: რატომ მიმართავდნენ გაქცეული მტრები სადუქნეს, სადუქნე ადგილებს? აშკარაა, სიტყვა არ არის მართებულად გაგებული. საქულბაქე მესხეთში ეწოდება სამალავ ადგილს: ძველად მესხეთში კედლის უკან ან სარდაფის ქვეშ, მიწაში იყო გამოთხრილი ბნელი შესაძვრომი ადგილი, სადაც სხვადასხვა ძვირფასეულობას მალავდნენ და გაჭირვების დროს ადამიანებიც იმალებოდნენ[1].

ასე ასწორებს მესხური სინამდვილის შესწავლა რუსთაველის ქმნილების სიტყვიერი მასალის არსებულ ინტერპრეტაციებს.

ქაჯეთის ციხის აღებასთან დაკავშირებით პოემაში ნათქვამია:

„სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო. ანაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს თავის-თავ ჰქონდა ფარები“ (1412).

ლექსიკონებში „უქმნეს სადარნო“ ასეა ახსნილი: დაზვერეს, მოათვალიერეს.

მართალია, „დარანი“, „სადარნო“ ქართულ მწერლობაში ცნობილია, მაგრამ ცნების ღრმად და ამომწურავად გასაგებად გასათვალისწინებელია მესხეთის მატერიალური კულტურისათვის ნიშანდობლივი თავისებურება. დარნების, როგორც მესხეთის ისტორიული ძეგლების, აღწერა პირველად მოგვცა ივ. გვარამაძემ („ვინმე მესხმა“), რომელიც გვაუწყებს, რომ მესხეთის „ნაოხრებ

[1] გ. ხ მ ა ლ ა ძ ე, გაზ. „ბორჯომი“, № 34, 1966.

ძველის-ძველ ნასოფლარ ადგილებში, სახლებქვეშ გაყვანილი ხვრელებია, ამოყვანილი დიდვრიან ბალავარ-ლოდებით და ზეითგან დაბურვილი დიდვრიანის ფიქლებითა, აქეთ-იქით მეზობლის მისასვლელად, ან შორს სადმე სიმაგრეებში, ციხე-კოშკებში ასასვლელად, ქვაბებში ან ტყე-ღრეში დასამალავად მებრძოლ მტრების შემოსევის დროს. აი ეს არის დარანი. ამისთანა დარნებს ალაგ-ალაგ სასუნთქავი, ქვებში ამოჭრილი კოკროჭინები (წვრილი ნახვრეტი) აქვთ ჰაერის შესასვლელად. ამათში ბევრნაირი სამალავები არიან ქონებისა და საცხოვრებელი სენაკები აქეთ-იქით მთელ სოფლეულად... სენაკებში დღესაც ჰყრია გროვა-გროვა ნახშირები პურის საცხობად და საჭმლის მოსამზადებლად"[1]. დოც ი. მაისურაძის სპეციალურ ნაშრომში[2] ნაჩვენებია, რომ მესხეთში არსებობს დარნების უამრავი ნაშთი, რომელთა ქსელი არა მარტო ციხე-კოშკებისა და ტაძარ-მონასტრების ფუძეებშია გაყვანილი, არამედ დასახლებული პუნქტების ქვეშაც. „აქაური ისტორიული სოფლები, მაგალითად, ღრელი, ჭობარეთი, მუსხი, სარო, ხიზაბავრა, ზველი და ნასოფლარები (დადეში, ახდილა, ფუღა, ხიზა, ვარდისციხე, ბორჯომი, მაჭიხეთი, ჭაჭკარი) დარნების მთელ სისტემაზე დგას". რაც მთავარია, დარნებს საბრძოლო დანიშნულება ჰქონიათ. ამდენად „სადარნოს ქმნა" გარკვეული სამხედრო-ოპერაციული მნიშვნელობის ტერმინია და ქაჯეთის აღებას უნდა უკავშირდებოდეს. დასახელებულ გამოკვლევაში ნათქვამია: „შ. რუსთაველი არა ერთხელ აღნიშნავს თუ რა ძნელად ასაღები იყო ქაჯეთის ციხე, რა ურიცხვი ჯარი იცავდა მას, ან რა გულადი და გამოჩენილი მებრძოლები იყვნენ ქაჯები. ამიტომ ბუნებრივია, რომ სამი უბადლო გმირი — ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონი უდიდესი სიფრთხილით ამზადებდა ციხის აღების რთულ ოპერაციას. როგორც ვიცით, მათ საგანგებო თათბირიც კი გამართეს ამ საკითხზე. მანამდე ყოველთვის ცდილობდნენ მტრის შეუმჩნეველნი დარჩენილიყვნენ: ფრიდონის სამფლობელოდან წამოსულნი, ქაჯეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ღამეობით იკვლევდნენ გზას, დღისით იმალებოდნენ. თათბირის შემდეგ პირიქით მოიქცნენ: ღამე დაიმალნენ, გათენე-

[1] „მოგზაური", № 1, 1901.

[2] „სკოლა და ცხოვრება", № 3, 1966, გვ. 81.

ბის შემდეგ კი გამოჩნდნენ და ციხისაკენ გაემართნენ, მაგრამ ამ დროსაც მოჩვენებით, შენიღბულად იმოქმედეს. ჯერ ჩვეულებრივი მგზავრებივით მიდიოდნენ (იცოდნენ, რომ მგზავრებს ქაჯები არ დააბრკოლებდნენ), შემდეგ, როცა სულ ახლოს მივიდნენ, „ანაზდად ცხენი გაქუსლეს“ და ჯერ უნახავი შემტევი ბრძოლა გააჩაღეს. ციხის მახლობლად საბრძოლოდ განლაგებული სამი გმირისა და მათთან ხლებული სამასი მეომრის ღამით დამალვა და თავშეფარება „ვეფხისტყაოსანში“ „სადარნოს ქმნად“ არის წოდებული... მოიერიშეებმა რომ მარტო ღამის სიბნელეს არ შეაფარეს თავი, არამედ რაღაც საფარიც მონახეს (ბუნებრივი ან ხელოვნური), ამას ამტკიცებს სიტყვები: „გაჩნდეს“, „მიჰმართეს“ მაგრამ აქ ისიც ირკვევა, რომ დამალულნი ღამე ირგვლივ მიდამოსაც გაეცვნენ; სასწრაფოდ, სახელდახელოდ, მაგრამ გულდაგულ დაათვალიერეს ციხე-ქალაქის მისადგომები, ე. ი. „დადარნეს“ გარემო. ამის დამადასტურებელია მსაზღვრელები: „უცრუო“, „ანაჩქარები“. ნათქვამის საფუძველზე რუსთაველური სტრიქონების შინაარსი შეიძლება ასე გადმოიცეს: ციხეს ღამით უქმნეს სადარნო (მალულად ჩაუსაფრდნენ), დაათვალიერეს, დაზვერეს და „სადარნოს ქმნა“ იყო უტყუარი, ზუსტი, ნამდვილი, თუმცა კი საჩქაროდ ჩატარებული“ (გვ. 83). უთუოდ საგულისხმოა, რომ დარნებში შეიძლებოდა ჯარების დამალვა, გადაადგილება, მტრისათვის გზის მოჭრა, ჩასაფრება, ზვერვა-თვალთვალი. ამ საგანზე მესხეთში ბევრი თქმულება-გადმოცემა არსებობს.

ანალოგიური ხასიათის მაგალითები (მესხური რეალიებიდან) ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება.

რუსთაველის ენის შედგენილობაში სამხრეთ საქართველოს შეტყუელების კვალის ძიება ამომწურავი სისრულით მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება, როდესაც ქართულ კლასიკურ სალიტერატურო ენაში მთელი სიღრმით წარმოჩენილი იქნება დიალექტური ფენები, ნათლად გაირკვევა ძველი ლიტერატურული ნორმების საკითხი, შესწავლილი იქნება ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლების არა მარტოოდენ ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებები, არამედ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტური ნიშნები, რომელთა გათვალისწინებით უფრო ნათლად ეცნობი-

კვევა სამხრეთ საქართველოს ხალხური მეტყველების ხვედრითი წონა საერთოდ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციაში.

შოთა რუსთაველის კლასიკური პოეტური ენა ამოზიდულია ქართული ხალხური მეტყველების იმ ნოყიერ ნიადაგზე, რომელიც გაჟღენთილი და ნასაზრდოებია ქართული ენის ულევი დიალექტური შენაკადებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილი დიალექტიზმები ცხადად მიგვანიშნებს ზოგიერთ დამაფიქრებელ გარემოებაზე, რაც მნიშვნელოვანია შოთას ენის ხალხურობის კვლევა-ძიებისათვის.

შოთა რუსთაველის ენის საფუძველი საერთო-ხალხური მეტყველებაა.

II. პროსოდიული „და“ „ვეფხისტყაოსანში“

როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი სტროფის ბოლო ტაეპის წინ გვხვდება „და“ კავშირი. მაგალითად:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
და თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“.

ეს „და“ არ შედის მარცვალთა რაოდენობაში და — ერთი შეხედვით — იგი „ლექსის გარეთაა“, არ თავსდება ლექსის ორგანულ ქსოვილში; „და“ ბოლო სტრიქონს ჩვიდმეტმარცვლიანად ხდის, მაშინ როდესაც სხვა სტრიქონები თექვსმეტმარცვლიანია.

საქმე ისაა, რომ ამ „და“-ს პოემის ხალხური მთქმელები ისე წარმოთქვამდნენ მთელი სტროფის საერთო ფონზე, რომ მისი „ზედმეტობა“ არ იგრძნობოდა: „და“ ორგანულად იყო ჩაქსოვილი სტროფთა მუსიკალურ კონსტრუქციაში, რიტმში მას დისჰარმონია არ შეჰქონდა.

აკადემიკოსი ნიკო მარი ლექციების დროს, — განსაკუთრებით სემინარებში, — საგანგებოდ ჩერდებოდა „და“-ზე (რომელსაც იგი პროსოდიულ „და“-ს უწოდებდა) და გვასწავლიდა მისი წარმოთქ-

მის ტექნიკას. ამასვე ადასტურებს მარის ყოფილი მოწაფე, პროფესორი ვუკოლ ბერიძე: „...და კავშირს თვითონ (ნ. მარი — შ. ძ.) კითხულობდა და მოწაფეთაგანაც მოითხოვდა მის წაკითხვას“[1].

პროსოდიული „და“, მართალია, იწერება სტროფის მეოთხე ტაეპის წინ, მაგრამ წარმოთქმაში იგი მოთავსებულია მესამე და მეოთხე ტაეპის მიჯნაზე. უფრო ეკედლება მესამე ტაეპს, ისე, რომ, ცხადია, მარცვალთა რაოდენობაში არ შედის. ალბათ წარმოთქმის ამ თავისებურების გამო ნ. მარმა „და“ ერთ თავის ნაშრომში სწორედ მესამე ტაეპის შემდეგ მოათავსა მძიმისა და ტირის დასმით, აი, ასე:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი, — და
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“[2].

ვიდრე გავარკვევდეთ საკითხის არსს, ვიკითხოთ: როგორია საქმის ვითარება „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდის მოღწეულ ხელნაწერებში და, ამასთანავე, გამოცემებში.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში პროსოდიული „და“ დაცულია, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ე. წ. „არტანუჯული ვარიანტი“. როგორც გამორკვეულია, ამ ვარიანტის შემქმნელს გ. თუმანიშვილს და, ამასთანავე, დავით რექტორს მიუჩნევიათ, რომ „და“ ზედმეტია და ტექსტში გამოუტოვებიათ კიდევაც.

„და“ კავშირი არ გვხვდება ვანის გამოქვაბულის კედელზე მოთავსებულ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტში (წარწერა მიეკუთვნება მე-15 საუკუნეს. გარდა ამისა, პოემის ერთი სტროფის ბოლო ტაეპი მიწერილია ბერთის ოთხთავის ერთ გვერდზე (ა. შანიძე მინაწერს ათარიღებს მე-15 საუკუნით)[3]. არც აქ არის „და“ („მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქს სიყვარულსა“).

---

[1] პროფ. ვ უ კ ო ლ ბ ე რ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, 1961, გვ. 234.

[2] ნ. მ ა რ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მერი გუგუშვილმა და ლალი ძოწენიძემ, 1965 (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია), გვ. 7.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვეფხის ტყაოსნის“ ენის საკითხები („ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, 1956, გვ. 016—017).

„და“ შენარჩუნებულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველსავე გამოცემაში — ვახტანგისეულ ვარიანტში (1712 წ.). ასევე დატოვებულია ის მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის გამოცემებშიც (1848 წ., 1860 წ.).

„და“ არ არის შესული „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემაში (1888 წ.). პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის პირველი სხდომის (1881 წ. 6 თებერვალი) ანგარიშში (დაწერილია იონა მეუნარგიას მიერ) ნათქვამია: დადგინდა სტროფის ბოლო სტრიქონში „და“-ს გამოტოვებაო[1]; რაკი „და“ თექვსმეტმარცვლიანობას არღვევს, ამიტომ გამოვტოვეთო (სახალხო გამოცემას ეს უთუოდ შეჰფეროდა!).

„ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ გამოცემაში „და“ ისევ დატოვებულია; მაგრამ ბოლოდ რამდენიმე გამოცემაშია იგი უკუგდებული (იხ. დ. კარიჭაშვილისა და პ. ინგოროყვას გამოცემები). პოემის ახალ (მათ შორის — საიუბილეო) გამოცემებში ტრადიციულად გაბატონებულია რუსთაველისეული სტროფების ჩვენთვის საინტერესო „და“ კავშირი.

პირველი ავტორი, რომელიც მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ „და“ კავშირის რაობის შესახებ, გახლავთ ცნობილი ბიბლიოფილი და მწიგნობარი გ. ავალიშვილი, რომელსაც ბროსე-ფალავანდიშვილ-ჩუბინაშვილისათვის (რომელთაც პოემის გამოცემის თაობაზე პროგრამა დაუგზავნიათ ქართველი მწიგნობრებისათვის) მიუწერია: „ყოველთა ლექსთა ანუ შაირთა ამათ ოთხ ტრიქოვანედთა, ყოველთა მეოთხეთა ტრიქონთა ზედა უსხენან თავთა ზედან ასონი ასე შემდეგნი **და**, რომელთაცა უსწავლელნი, ანუ გამოუცდელნი მკითხველნი კითხვასა შინა კითხულობენ ამ **დონ ანთაცა** და მით უკარგვენ ლექსთა შვენიერებასა. ამისთვის მე წავშალე, — განაგრძობს ავტორი, — იგინი ყველგან, რადგანაც არა რაისა ჰნიშვნენ იგინი, ვითარ ოდენ ყოვლისა ლექსისა განსხვავებასა, დაბოლოებასა და მეორისა სხვისა დაწყებასა“[2]. მიუხედავად ავალიშვილის კატეგორიული მოთხოვნისა, ბროსეს (და სხვებს) მაინც დაუტოვებია გამოცემაში საცილობელი „და“ კავშირი.

---

[1] გაზ. „დროება“, 1881, 11 თებერვალი.

[2] ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი: „ქ. კეკელიძეს“ (საიუბილეო კრებული), 1959, გვ. 249.

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ამ საკითხს შეეხო აკად. ნიკო მარი.

1919 წელს არქეოლოგიურ საზოგადოებაში ნ. მარმა წაიკითხა მოხსენება ქართული და კავკასიური პოეზიის ტექნიკური საფუძვლების შესახებ. მეცნიერი მსჯელობს „და“ კავშირის წარმოშობასა და დანიშნულებაზე და დაასკვნის: შოთა რუსთაველს ეს „და“ შეთვისებული აქვს ხალხური პოეზიიდან, ამდენად, იგი წარმოშობით კონსტრუქციულია, დღეს კი ფუნქცია დაკარგული აქვსო. მოუსმინოთ მარს: „და“ მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ მეოთხე სტრიქონით, რომლის წინაც იგი დგას, მთავრდება რიტმული პერიოდი; მაგრამ უიმისოდაც აშკარაა რუსთაველის პოეზიის ლექსის სტრუქტურით. ეს კავშირი „და“ გადმონაშთი დანამატია, დეკორაციულია შოთასთან; ხალხური ზომისათვის კი, საიდანაც იგი რუსთაველმა შეითვისა, კონსტრუქციული იყო, მის პირველყოფილ მდგომარეობაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ლექსის რითმა, კიდევ მეტი: არ იყო სიმეტრია, თანასწორმარცვლიანობა“[1]. ამასთანავე, ნ. მარი მიუთითებს, რომ პოეზიის განვითარების უძველეს საფეხურზე ლექსს სიმღერა და ცეკვა ახლდა, მის ნაწილებს წარმოთქვამდნენ გუნდის მთქმელი (სოლო) და გუნდი; „და“ ამ ორი ნაწილის გამაერთიანებელი იყოო.

ნ. მარის თვალსაზრისი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: 1. ხალხური ლექსის პირველყოფილ მდგომარეობაში (როცა არ იყო რითმა, სიმეტრია, თანაბარმარცვლიანობა) „და“ წარმოადგენდა აუცილებელ კონსტრუქციულ კომპონენტს; 2. ხალხური ლექსის არქაული სტადიიდან მომდინარე „და“ კავშირი რუსთაველის პოეტურ ენაში გადმონაშთია და, ამდენად, უკვე დეკორაციული.

პროფ. ვუკ. ბერიძემ ჩვენთვის საინტერესო საკითხს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა[2]. მკვლევარმა გაიზიარა აკად. ნ. მარის

---

[1] Н. Марр, Кавказская поэзия и ее технические основы в освещении лингвистической палеонтологии: „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 335 (ციტატის თარგმანი ეკუთვნის კ. დანელიას: „და“-ს ხმარების საკითხისათვის „ვეფხის-ტყაოსანში“, მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, № 2, 1961, გვ. 110).

[2] „და“ კავშირისათვის „ვეფხისტყაოსანში“: „ძველიქ-კავკასიური ენათმეცნიერება“, IV, 1953.

დებულება, რომ „და“ კავშირი „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური წარმოშობისაა, მაგრამ იგი უაღრესად კონსტრუქციულია, ლექსის განუკვეთელი ნაწილი, თუმცა სათვალავში ზედმეტ, მეჩვიდმეტე მარცვლად მოდისო. ყველგან „და“ კავშირი დასკვნის მაუწყებელია, კონსტრუქციულია, ლექსის უცილობელი ნაწილია და არავითარ სამკაულობაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლებაო, ასკვნის ვუკ. ბერიძე. რაკი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა წინადადებები უკავშირობითაა გაერთიანებული, ყოველი უკანასკნელი დასკვნითი წინადადება ბუნებრივად „და“ კავშირით უნდა დაიწყოს; იგი აერთიანებს დასკვნას წინა ნაწილთან! შოთამ ეს „და“ კავშირი წმინდა ტექნიკური მოსაზრებით გარეთ გამოიტანა და მე-17 მარცვლად დააყენა, მაგრამ ამით მისი კონსტრუქციულობა მაინც ძალაში დარჩა; „და“ კავშირის გამოყენებით რუსთაველი ქართული ხალხური ლექსის პოზიციაზე დგას, — ასეთია პროფ. ვუკ. ბერიძის აზრთა განვითარება.

ახალგაზრდა მკვლევარმა კ. დანელიამ არ გაიზიარა ვ. ბერიძის შეხედულება, „რადგან პოემის სტროფთა დიდი ნაწილი არაა დასკვნითი ხასიათისა, ხოლო იქ, სადაც, თითქოს, დასკვნითობა უნდა იყოს. „და“-ს ხმარება გაუმართლებელი ჩანს... „და“-ს სინტაქსურად უფუნქციობასა და ზედმეტობას მკვეთრად გახაზავს შემდეგი გარემოება: პოემის მრავალი სტროფის მეოთხე ტაეპი იწყება სხვა კავშირებით (მაქვემდებარებელი, მაპირისპირებელი)“[1]. ავტორი არ იზიარებს ავრეთვე გ. იმედაშვილის მოსაზრებას, გამოთქმულს ვარაუდის სახით: ჰიმნებში ვამჩნევთ „და“-ს სტროფთა დაბოლოებაში, — ამბობს გ. იმედაშვილი, — სისტემატურად კი რეფრენების დასაწყისში, მას შესაძლოა ჰქონდეს პაუზის დაცვის და ტონური ფუნქცია და წარმოშობილი იყოს საგალობლების მუსიკალური ფრაზის, მუხლის დაცვის საჭიროებით; „და“ სტროფების გამმიჯნავია[2].

ვფიქრობთ, გ. იმედაშვილი მართალია!

კ. დანელიას აზრით, „და“ არ შედის პოემის ორგანულ ქსო-

---

[1] კ. დანელია, დასახელებული წერილი, გვ. 113.

[2] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში: „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 216.

ვილში მის ხმარებას არ საჭიროებს არც სინტაქსური მოთხოვნილება და არც სტროფის პოეტური არქიტექტონიკა, ლექსის რიტმი; „რუსთაველის კლასიკური პოემა, რომელშიც ყ ო ვ ე ლ ი სიტყვა, სიტყვის ყ ო ვ ე ლ ი მ ა რ ც ვ ა ლ ი გარკვეული აზრობრივი თუ მხატვრული ღირებულების შექმნის მკაცრი აუცილებლობითაა ნახმარი, არ შეიძლება შეიცავდეს ამ ზედმეტ „და“-ს, იგი სტროფთა სამიჯნავი ტექნიკური საშუალებაა“[1].

როგორ უნდა შევაფასოთ „ვეფხისტყაოსანში“ ყოველი სტროფის მეოთხე ტაეპის წინ დასმული „და“, რა ფუნქცია აქვს მას და როგორია მისი წარმოშობა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „და“ კავშირი ოდესღაც ნაწილაკი იყო და შემდეგ მიიღო მან ახალი ფუნქცია[2]. მაგალითად, ნაწილაკია „და“ ამგვარ კონტექსტებში: „ოჰ, რა არზა დავწერე-და?“(რ. ერისთავი); „ჩვენ კი გული გადაგვიტრიალდა-და!“ (აკაკი); „ჰეე, რა სეირია-და!“ (ვაჟა); „ღვინო დალიე-და!“ (ვაჟა); „ბიჭო-და, რა სანახავია ტყე...“ (ლომოური).

მესხურ ხალხურ ლექსებში შეიძლება შეგვხვდეს „და“ სწორედ ამ ფუნქციით (ე. ი. როგორც ნაწილაკი). დავიმოწმოთ შავშეთში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) ნ. მარის მიერ ჩაწერილი ლექსებიდან ზოგიერთი ადგილი:

1. „მომიკვდა-და ჩემი ქალი,
   აღარ მაქ შემოსავალი“;
2. „მე თუ სხვა ქალ შევხედო,
   გემიქორდეს-და თვალები“;
3. „ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა,
   ჩამეუდა-და მაჭახელში“;
4. „აუდექ, იქიდან მუელი-და
   დაუჯექი-და ჩემსა სახლში“[3].

უაღრესად საყურადღებოა მესხური სიმღერების ტექსტის მონაცემები. სიმღერის დროს ყოველი სალექსო სტრი-

[1] კ. დანელია, იქვე, გვ. 116—117.

[2] შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან (კავშირები და საკავშირებელი სიტყვები), 1959, გვ. 301—302.

[3] Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: ТР, кн. VII, 1911, стр. 48, 49, 50.

ქონი თავდება „და“-თი, იგი მარცვალთა სათვალავში არ შედის, ასე ვთქვათ, „ლექსის გარეთაა“, ისევე როგორც გვაქვს რუსთაველთან, იმ განსხვავებით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „და“ ბოლო სტრიქონთანაა.

სასიმღერო ტექსტიდან უნდა გადასულიყო ეს „და“ პოეტურ ფოლკლორში. იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები (ი. მაისურაძის მიერ შეკრებილი ტექსტებიდან):

„ჩამომეხსენ, არჩილ მეფევ, და
ომს დავიდებ ძალიანსა, და
მოგეწევი, ხმალს შემოგკრავ, და
ისარს გ-სვრი შხამიანსა, და,
დაალალე, და“.

მესხურ ხალხურ პოეზიაში დადასტურებული პროსოდიული „და“ ერთობ საყურადღებოა რუსთაველისეული პროსოდიული „და“-ს გენეზისის დასადგენად.

პროსოდიული „და“ (ოღონდ სალექსო სტრიქონის ბოლოს) არაიშვიათია ძველ მწერლობაში (თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, ვახტანგ მეექვსე და სხვ.). შესაძლოა იგი გამოყენებულია მეტრიკის მიზნებისათვის (მეტრიკის შესავსებად)[1]. დავიმოწმოთ მაგალითი „ჯიმშედიანიდან“;

„მოვჰკვდი უცილოდ, მიფიცავს, ვის ხედავს, სული წავიდა,
მაგრამ მოძრაობს თბე ჩემი, ეს არის საკითხავი-და,
რა არს მიზეზი უსულოდ გონ სიტყვა შემკრებავი-და,
ვერვინ სცნობს საქმ¸ს ღმრთისასა, თვით არის დამკლიტავი-და“.

ან კიდევ ნოდარ ციციშვილის „შვიდი მთიებიდან“:

„წამიხვნა ჩემი ქონება, არ გული ჩემთვის სტკიოდა,
ორთავე თვალთათ ნაკადი სამს დღემდის სისხლი მდიოდა;
კაცისა ფერკუ¸ა ჰმა, მესმა, მათ მაღლა გავეკმიო-და,
ამა თურქისა მეცხედრე, ქალი მთვარე და მზეო-და“[2].

---

[1] გ. მ ი ქ ა ძ ე, მამუკა ბარათაშვილი, 1958, გვ. 74.

[2] ნ ო დ ა რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შვიდი მთიები, პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით. 1930 (სტროფი: 1298).

პროფ. კ. კეკელიძე ეხება ამ „ზედმეტ“ ,,და“-ს და შენიშნავს: „ამ ნაკლს ნოდარის პოემაში ადგილი არა აქვს“ (გვ. XXVIII), მაგრამ ეს ზუსტი არ არის (გარდა ზემოხსენებული სტროფისა, იხ. სტროფები; 1338, 1671 და სხვ).

ძველქართულ სასულიერო პოეზიაში არაიშვიათად ვხვდებით „და“ კავშირ-ნაწილაკს „უჩვეულო პოზიციაში“; იგი ლექსის აუცილებელი ელემენტია და თითქოს მეტრიკის საჭიროებით გამოწვეული. ვგულისხმობთ ამგვარ მაგალითებს (ფრჩხილებში მიწერილია მარცვალთა რაოდენობა):

1. ამან წმიდისა სამებისა მონამან, (12)
   და დიდისა ეფთიმისა მოწაფემან, (12)
   და წმიდისა თევდოსისა მეგობარმან, (12)
2. და თომაჲ, რომელი ლავრასა სწავლითა რწყვიდა, (13)
   და დაფარულსა მონაზონთასა ხედვიდა, (13)
   და საბაწმიდით ჲერიქოს მოწაფეს სცვიდა; (13)
3. და მრავალფერითა — ყუავილითა — შეამკუნა, (13)
   და სულიერითა — ნაყოფითა — აღავსნა, (13)
   და უფლისა —იესე ქრისტჱსა — შეწირნა!(13)[1]

ლექსში „და“-ს გამოყენების შემდგომ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ მისი მოქცევა სტროფის ბოლო ტაეპში; ამ შემთხვევაში „და“ თითქოს სტროფის დამამთავრებელია. ძველქართულ პოეზიაში ამგვარი ნიმუშები სჩირია.

ზემოთ დამოწმებულ პოეტურ ძეგლში გვხვდება ამ ტიპის მაგალითები:

არავინ სადა მინდობილ ი, (9)
არცა კაცთა შეევედრებული, (9)
არამედ ღმრთისა განჭებული, (9)
და მის მიერ დაწესებული. (9)

მიქაელ მოდრეკილის ცნობილი იამბიკონი წამოყენებულ დებულებას მშვენივრად ადასტურებს. აი ეს იამბიკონიც:

1. უბიწოჲთა მით ენებითა, ქრისტე, ღმერთო,
   განჰკურნენ, მჴსნელო, ენებანი სოფლისანი,
   რაჟამს ჯორცითა აღჰმაღლდი ჯუარსა ზედა,
   დაეც სიმაღლჱ, მტერისა მაცთურისაჲ,
   და აღადგინე ბუნებაჲ კაცობრივი!
2. უსხეულოჲთა, საღმრთოჲთა ბუნებითა
   ეგე უხრწნელად, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,

[1] „ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ“ (პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო უ ე ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 744—745).

რაჟამს დაიდევ საფლავსა შეუცავო,
მოჰკალ სიკუდილი, სიკუდილითა უკუდავო,
და აღადგინენ მკუდარნი საფლავისაგან!
3. უურჩებისათჳს ადამისისა მოჰკუედ,
მეორე ადამ, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო!
რაჟამს იხილე ძლეული დაცემულად,
აღადგინე დღეს აღდგომითა შენითა,
და კუალად აგე პირველსა დიდებასა!

და ასე შემდეგ.

სულ „იამბიკონი“ შეიცავს 16 სტროფს და მხოლოდ 5 სტროფი წარმოადგენს გამონაკლისს[1].

დავიმოწმოთ მაგალითი დიმიტრი მეფის ცნობილი ქმნილებიდან:

1. ღმრთისმშობელი და ყოველად პატიოსანი
დედა, ქალწული, შუენიერი შრომანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:
შენგან იშუებს მეფე გკრგჳნოსანი,
და მას ჰმონებდენ მეფე მრავალ-ყმოსანი.
2. შენ ხარ ეენახი, ახლად აღყუავებული,
მორჩი კეთილი, ეღჳმი დანერგული,
ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ეერავინ გკრას ქებული,
და თავით თკსით მზე ხარ განბრწყინებული[2].

ძველ პოეზიაში პროსოდიული „და“ შეიძლება მოგვევლინოს რამდენადმე განსხვავებულ პოზიციაშიც: პირველი სტროფის ყოველი მომდევნო სტროფი იწყება ამ „და“-თი. ეს არის „წყობილი სიტყვის“ თავისებური ფორმა, სახელდობრ, „წყობილი სიტყვის“ მეორე სახეობა — ნარჩობლედი ერთხმიანი, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს უბრწყინვალეს ძეგლში — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ აქ სტროფების ფორმაა ორტაეპოვანი ოთხკვეთი. ტაეპები ე. წ. „კვეთილი“ სახისაა, ყოველი ტაეპი რიტმულად ორად იკვეთება (პ. ინგოროყვა).

---

[1] „ჩვენი საუნჯე“, 1 ტომი გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა (რედაქტორი კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე), 1960, „ნაკადული“, გვ. 473.

[2] იქვე . გვ. 527.

1. დამარხულ არს ენაჲ ქართული
   დღედმდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად,
   რაჲთა ყოველსა ენასა
   ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
2. და ესე ენაჲ
   მძინარე არს დღესამომდე,
   და სახარებასა შინა ამას ენასა
   ლაზარე ჰრქჳან.
3. და ახალმან ნინო მოაქცია
   და ჰელენე დედოფალმან,
   ესე არიან ორნი დანი,
   ვითარცა მარიამ და მართაჲ.
4. და მეგობრობაჲ
   ამისთჳს თქუა დავით წინასწარმეტყველმან,
   რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ
   ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ასე შემდეგ (დანარჩენ 6 სტროფშიც ასეთივე ვითარებაა).

ამ პოეტურ ძეგლში „და“-ს გამოვლენის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არსებობს: პავლე ინგოროყვა ფიქრობს, რომ აქ გვაქვს „თავედი მარცვლედი ალიტერაცია, აგებული მარცვალზე „და“ (პირველი სტროფის დასაწყისში თავედი ალიტერაცია „და“ გამოვლენილია სიტყვაში „დამარხულ“, დანარჩენი სტროფების დასაწყისში იგი გადმოიცემა კავშირით: და)“[1].

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველქართულ სასულიერო პოეზიაში ვადასტურებთ სიმპტომატურ ფაქტებს, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით რუსთაველისეულ შაირში სტროფის მეოთხე ტაეპის წინ გამოვლენილ „და“-ს ასახსნელად; ძველ მწერლობაში „და“ ლექსის აუცილებელი კომპონენტია და იგი, სავარაუდებელია, ხალხური პოეზიის ნორმაა, როგორც აღნიშნავდა ნ. მარი.

როგორც ვიცით, რითმიანი თექვსმეტმარცვლიანი საზომის ლიტერატურული კანონიზაცია მეათე-მეთორმეტე საუკუნეთა მანძილზეა სავარაუდებელი[2]. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია ე. წ. „შაირის“ საზომით; შაირი 16-მარცვლიანი ლექსია, მწერლობაში

[1] პავლე ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 749.

[2] აკაკი გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1955, გვ. 246.

ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან შემოსული (ნ. მარი, კ. კეკელიძე); მისი დამახასიათებელი თვისებაა ამასთანავე რითმა, რიტმი და ცენზურა მეორე მარცვლის შემდეგ. ეს საზომი „რუსთაველური შაირის“ სახელითაა მონათლული, რამდენადაც გენიოსმა პოეტმა იგი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ნიკო მარმა აღმოაჩინა პირველი ქართული რითმიანი ლექსი „ბეთლემის საგალობელი“ მეათე საუკუნისა (ავტორი — ფილიპე). ამ ჰიმნში ნ. მარი ხედავს რუსთაველის 16-მარცვლიანი ხალხური საზომის დასაბამს. ამის შემდეგ მოგვეპოვება არსენ იყალთოელის ლექსი, იმავე საზომით დაწერილი („როს ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად ჩამესხნეს“ და სხვ.). ასეთივე შაირი გვხვდება გიორგი მესამის ისტორიაში, („შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მაქებარისა“ და სხვ.). როგორც ცნობილია, ლეონტი მროველთან გვაქვს 16-მარცვლიანი და რითმიანი ორტაეპედის — „დაბალი შაირის“ ტიპის სტროფიც, რომელიც წარმოადგენს სპარსულიდან ნათარგმნ ციტატს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ „თამარიანი“, რომელშიც მოგვეპოვება სამი შაირის სტროფი[1].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალხური 16-მარცვლიანი შაირის ჩამოყალიბების ერთ-ერთი დამადასტურებელია ქართული ლექსის ტრადიციული „და“-ს სტაბილიზაცია ყოველი სტროფის დასასრულს. თუ ეს „და“ თავიდანვე ლექსის სტრუქტურაში შედიოდა იმ თვალსაზრისით, რომ საზომის ფარგლებში თავსდებოდა (მარცვალთა რაოდენობაში შედიოდა), შემდეგ და შემდეგ, როდესაც რითმა გაჩნდა, რითმას დაეკისრა სტროფის შეკვრის, სტროფული კომპაქტურობის ფუნქცია, „და“ აღარ შედის მარცვალთა სათვალავში, იგი სტროფის დამაბოლოებელია. ამიტომ

---

[1] გავიხსენოთ თეიმურაზ პირველი, რომელიც „რუსთაველთან გაბაასებაში“ ამბობს:

„ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა,
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
ვეჭვ, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა,
თორემ ვკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენ, იმასა!“.

გასაგებია ნ. მარის დებულება: თავის დროზე „და“ კონსტრუქციული იყო, ახლა კი მხოლოდ დეკორაციულიაო. ნ. მარის სიტყვით, პროსოდიული „და“ მიუთითებს, რომ ლექსის რიტმული პერიოდი დამთავრებულია.

არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდგომ გარემოებას:

პროსოდიული „და“ მაინც უნდა მივიჩნიოთ სიმღერიდან მომდინარედ; გენეზისურად იგი მუსიკალური ფრაზის არქიტექტონიკასთან არის დაკავშირებული. ამის მშვენიერი დადასტურებაა დღევანდელი მესხური მუსიკალური ფოლკლორის მონაცემები: როგორც ზემოთ მოყვანილი სასიმღერო ტექსტიდან ჩანს („ჩამომეხსენ, არჩილ მეფევ“, და), „და“ ლექსის საზომში არ თავსდება. სრული ანალოგიაა „ვეფხისტყაოსანში“; პოემა წამღერებით, ღიღინით წარმოითქმოდა და მუსიკალურ-პროსოდიული „და“ თითქოს აუცილებელიც იყო.

ი. მეუნარგიას სიტყვით, „ჯერ კიდევ შორს არ წავსულვართ ჩვენ იმ დროიდან, როცა „ვეფხისტყაოსანს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღიღინებდნენ ჩვენში და არა კითხულობდნენ. ახალმა დრომ კითხვა დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კიდევ არ გამონელებია“[1].

საგულისხმოა. პ. იოსელიანის ცნობა: გიორგი მეცამეტე „ძველ დროთა ჩვეულებრივითა წესითა... ტკბილად აბოლოებდა“ „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სტროფს, ე. ი. აბოლოებდა მუსიკალური ტონით[2]. სწორედ ესაა საინტერესო: თუ ძველად ყოველი სტრიქონი მუსიკალურად გამოითქმოდა და „და“-თი ბოლოვდებოდა, შემდეგ და შემდეგ წამღერებით მხოლოდ მეოთხე სტრიქონი წარმოითქმოდა და ამიტომ შერჩა „და“ სტროფის ბოლოს. როგორც ზემოთ

---

[1] იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები (სოლომონ ცაიშვილის რედაქციით), 1, 1944, გვ. 338.

[2] პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. 1936, გვ. 182.

დოც. ბ. ნიკოლაიშვილი, თავის დისერტაციაში „ლექსის მხატვრული შესრულების პრობლემისათვის ქართულ მხატვრულ კითხვასა და სასცენო მეტყველებაში“, 1955 (რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკა) ასაბუთებს, რომ ლექსის წამღერებით შესრულება უსაკრავოდ მე-19 საუკუნემდე შემორჩა საქართველოს.

ითქვა, ნ. მარმა ერთხელ შოთასეული სტროფი ისე დაბეჭდა, რომ „და“ მოაქცია მესამე სტრიქონის ბოლოს (და არა წინ). ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ამრიგად, „და“-ს კანონიზაცია პოეტურ ენაში მეორეული მოვლენაა.

პროსოდიული „და“-ს ფართო გავრცელებულობა მთელი ე. წ. აღორძინების ხანის პოეზიაში შემთხვევითი არ შეიძლება იყოს! ეს გარემოება ზედმეტად გვარწმუნებს, რომ, სტროფის ბოლოს არსებული „და“ ტრადიციითაა გამართლებული და მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული პოეზიაში. არ შეიძლება პროსოდიული **„და“** რომელიმე პოეტის, თუნდაც შოთა რუსთაველის, ინდივიდუალური კაპრიზის შედეგი იყოს და ასე თვითნებურად დანერგილი მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში[1].

III. ზმნის განმეორება პრევერბის სახით „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას ახასიათებს პრეევერბების (ზმნისწინების) ცალკე ერთეულებად გამოცენება (მი, და, წა, შე...). ფრაზაში ამ პრევერბებს უთუოდ უნდა უსწრებდეს მათი შემცველი ზმნა, ამრიგად, ზმნა წინადადებაში მეორდება, ოღონდ პრევერბის სახით.

იგულისხმება ამგვარი მაგალითები: „მქმნელი ამისი ვინ არ **დამჭოლოს**, ვინ არ **და**“ (სტროფი 582); „მეცა თანა წამოგყევები ლახიჩოცნეს იგი მუნ, **და**“ (609); „ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი მე, **წა**“ (1609); „თვალთა წინა **წაგვივიდა** ლაღი, კუშტი ამაყი. **წა**“ (209); „ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი **მომხვდეს, მო**, რანი“ (1268); „დიაცსა წყენა **შეატყო**, ნახა შესლვითა, **შე**, ვითა“ (1098) და მისთანანი.

---

[1] არ მიგვაჩნია გასაზიარებლად შ. ადეიშვილის გაგება რუსთაველისეული **„და“**-სი. ავტორი ამბობს, რომ მე-17 საუკუნეში ქართული მეტყველება დაცემული იყო, ლექსს მოდუნებულად და მონოტონურად კითხულობდნენ და ეს „და“ ნაწილაკი ამიტომ გაჩნდაო („ლიტერატურული საქართველო“, № 10, 1966).

ეს ფრაზები რომ გავშალოთ პროზის ენაზე, მივიღებთ: „წამიღონ მე მკვდარი, წამიღონ“; „დიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესლვითა, შეატყო“ და ა. შ.

ამ მოვლენას პირველად ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მანვე შენიშნა ანალოგიური წესი ქართველი მეხოტბეების ენაში[1]. მართლაც, ჩახრუხაძის „თამარიანში“ გვაქვს ასეთი მაგალითები:

„ცისკრობს მოხედვა,
მოკლის, მო ხედ-ვა“ (VII, 10)[2];
მოგუვა, მო, ნებად,
შენდა მონებად“ (XV, II);
წაუღე რანი,
წა, უღერანი (V, 23)[3].

იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ ვკითხულობთ:

„გიხმობ რომელთა, გიცნობ რომელთა,
ყურნი მომიპყართ, მო გონებანი
მისთვისღა ქებით ხარ, განჭიქებით
ბიწი ვინ ჰპოონ, მოგონებანი (78, 3—4)“.

შემდგომ ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია დავით კარიჭაშვილს. 1903 წელს მან გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ტექსტის გასწორების დროს ჩვენ მოგვიხდა აგვენიშნა ერთი საკმაოდ ხშირი მოვლენა ვეფხის-ტყაოსანში, ეს მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ფრაზაში ხმარებულია ზმნა, რომელსაც წინამატი აქვს წა, გა, მო, და, შე და სხვ., ეს წინმატები ბოლოში მეორდებიან კიდევ. ამ მოვლენას ჩვენ ვუწოდეთ შემოკლებითი ზმნის განმეორება. გეგონა, ჩვენ წინად სხვას არავის ჰქონდა შენიშნული იგი, მაგრამ შემდეგში გაგ-

---

[1] Н. Марр, Древне-грузинские одописцы: ТР, IV, 1902.

[2] ნიმუშები დასახელებულია ივ. ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით: ა) ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, 1957; ბ) ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი, აბდულმესიანი, 1964.

[3] ნ. მარი დასძენს: «Внимание обращает на себя второй стих самостоятельным повторением предлога мо, составной части глагола, и использованием односложного за увы в рифме. Оба эти характерные приема оказываются излюбленными у Руставели в его романтичной поэме».

ვახსენდა, რომ ეს მოვლენა შენიშნული იყო უკვე პროფ. მ ა რ ი ს მიერ იმ შრომაში, რომელიც ჩვენ ერთის წლის წინად გვქონდა წაკითხული და, თუ ეს გარემოება ჩვენ დაგვავიწყდა, ამისი მიზეზი უნდა იყვეს ის აჩქარება, რომლითაც ძალაუნებურად მოგვიხდა ჩვენ ამ წიგნის რედაქტორობა"[1].

პოემაზე დართულ კომენტარებში დ. კარიჭაშვილი არა ერთხელ უბრუნდება ამგვარ მოვლენებს. იგი აკრიტიკებს „ვეფხისტყაოსნის" ძველ რედაქტორებს, რომელთაც ვერ გაუგიათ საქმის არსი და სათანადო ადგილები პოემაში თვითნებურად გაუსწორებიათ. მაგალითად: „ჩუბინაშვილის და ქართველიშვილის გამოცემაში... ორი სიტყვა **ამაყი, წა** ერთად არიან დაბეჭდილნი: **ამაყიწა**, ამ სახის სიტყვას მნიშვნელობა არა აქვს. **წა** არის შემოკლებული წინად მოხსენებული ზმნა **წაგვივიდა**, როგორც ეს ხმარებულია კიდევ 610 და 641 ტაეპებში, სადაც შემოკლებულებია სიტყვები **წავიდე** და **წასდის**".

შემდგომ იუსტინე აბულაძეც მიუთითა, რომ პოემაში გვხვდება „მიმართულების მაჩვენებლის პრეფიქსების გამეორება" და დაიმოწმა რამდენიმე მაგალითიც დებულების საილუსტრაციოდ[2].

ამრიგად, დადგინდა, რომ „ვეფხისტყაოსანში" **მო, წა, მი** და სხვ. ფრაზაში მოცემული წინამავალი ზმნის შემოკლებაა, ზმნის თავსართებია (დღევანდელი ტერმინოლოგიით — ზმნისწინები).

რით არის გამოწვეული ზემოხსენებული თავისებურება?

პროფ. სარგის კაკაბაძე, რომელმაც გამოსცა „ვეფხისტყაოსანი" (1927 წ.), ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოემაში ზმნისეული თავსართის (პრევერბის, ზმნისწინის) გამეორება აზრის გამაძლიერებელია. ფრაზაში „გვხვდება არა თუ ზმნის თავსართის გამეორება აზრის გასაძლიერებლად (მაგ., ტ. 616—„წავიდე მათკენ მე წა", ტ. 649 — „წასდის წამწამთაგან ერთ სახე წა"), არამედ

---

[1] შოთა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი. დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით. 1903, გვ. XXIX.

[2] შოთა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი. იუსტინე ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქტორობით, 1914, გვ. 250—251.

ასეთი თავსართები იხმარება ზმნის მაგივრადაც. მაგ., ტ. 755: „შეის ხასობს, გაის ქუშობს...“[1].

პროფ. ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც ერთვის „ვეფხისტყაოსანს“, განმეორებული ზმნისწინები გაგებულია, როგორც ზმნის მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფორმები („გა“—ზმნისწინი, რომელიც მეორდება ზმნის მნიშვნელობის გასაძლიერებლად; „ყმა გავიდა ღამით გარ, გა“; „მი — ზმნისწინი, რომელიც შეიძლება გამეორდეს ზმნის მნიშვნელობის გასაძლიერებლად; „მზე მიმეფაროს, მი, ცისა...“ და ა. შ.)[2].

ამრიგად, ახსნილია ჩვენთვის საინტერესო ენობრივი მოვლენა.

ზმნისწინების განმეორებას „ვეფხისტყაოსანში“ სხვა მკვლევარებიც ეხებიან, ოღონდ უმთავრესად პოეტიკის ასპექტში. ასე, მაგალითად, პროფ. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ პრეევრბების განმეორებით რუსთაველი დიდ ეფექტს აღწევს ალიტერაციის შესაქმნელად[3]. პროფ. ალ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ზმნისწინები გამოყენებულია „მთელის სანაცვლოდ, მთელის მნიშვნელობის გასაძლიერებლად... ბგერების ხაზგასმული განმეორებით. აზრი გაძლიერებულია და თანაც მიღებულია სიტყვათა ორიგინალური წყობა“[4]. პროფ. შ. ღლონტის აზრით, „პრეფიქსთა (პრეევრბთა, — შ. ძ.) გამოყენების სპეციფიკა „ვეფხისტყაოსანში“ იმაში იჩენს თავს, რომ მათ მრავალფუნქციანობა ახასიათებს... მარცვლები აძლიერებენ სიტყვის მნიშვნელობას, მრავალფეროვნად წარმოგვიდგენენ ალიტერაციულ სახეებს, აპირობებენ დინამიკურ რიტმის წარმოჩენას და სხვ.“[5].

იბადება კითხვა: ზემოთ განხილული ენობრივი მოვლენა მწიგნობრული წარმოშობისაა, თუ მისი ფესვები ხალხური მეტყველების წიაღშია საძიებელი?

---

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი. ს ა რ გ ი ს კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქტორობით, 1927, გვ. XXXIV.

[2] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (პოემის 1957 წ. გამოცემა).

[3] კ ო რ ნ ე ლ ი კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941, გვ. 213.

[4] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 273.

[5] შ. ღ ლ ო ნ ტ ი, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 155—15ᶜ.

პირველი ნიკო მარი იყო, რომელმაც ზემოთ დასახელებულ კლასიკურ გამოკვლევაში ქართველი მეხოტბეების შესახებ მიუთითა, რომ რუსთაველისეული პოეტიკის თავისებურება ფრაზაში ზმნის განმეორებისა პრევერბის სახით, დამახასიათებელი შავთელ-ჩახრუხაძის ენისთვისაც, ხალხური ნორმაა, კერძოდ — მესხური დიალექტის შენატანი სალიტერატურო ენაში. სამწუხაროდ, ნ. მარს მესხური კილოს ნიმუშები დასახელებული არა აქვს.

პოემის 1914 წლის გამოცემის რედაქტორი — იუსტინე აბულაძე თანდართულ კომენტარებში შენიშნავს, რომ ზმნის შემოკლება პრევერბის სახით, დადასტურებული შოთას ენაში, წარმოშობით ხალხურია. „ჩვენი პოეტის ენის გაგებას, სხვათა შორის, აძნელებს ხალხურის ენის შესაფერი განმეორებანი“, — ამბობს აბულაძე და სხვა რიგის მაგალითებთან ერთად ასახელებს „ვიმართულების მაჩვენებლის პრეფიქსების გამეორებას“ სათანადო მასალის დაწოწმებით (გვ. 232, აგრეთვე მომდევნო გვერდი: პაგინაციაში შეცდომაა და 232-ს მოსდევს 251 და ა. შ.).

1948 წელს, ა. ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, გამოვიდა ჩვენი დიდებული ბელეტრისტის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა, რომელსაც ერთვის ჩვენ მიერ შედგენილი „ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკონი“.

ალ. ყაზბეგის ენის შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ მოხეურში გვხვდება ფრაზაში ზმნის განმეორება პრევერბის სახით, რასაც თავისი გამოხატულება უპოვია მწერლის ენაში. ლექსიკონში ცალ-ცალკეა ახსნილი ამგვარი ფორმები და მათი ფუნქცია. მაგალითად: **„გა: შემოკლებული გამოიარე.** მოხეური კილოს წესია: როდესაც წინადადებაში (ან მომიჯნავე წინადადებებში) სიტყვა (ზმნა) მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვლითაა წარმოდგენილი. **გამოიარე“, გა“** და ა. შ. (ასევე, იხ. **მო, შე** და სხვა ზმნისწინები).

მაგრამ მოხეურში (resp. ყაზბეგის ენაში) მეორდება არა მხოლოდ ზმნისწინი, არამედ, საერთოდ, პირველი მარცვალი ზმნისა, მაგალითად, **გვიბრძანე** შესაძლოა **გვი** მარცვლით იყოს განმეორებული („**გვი** — შემოკლებული „**გვიბრძანე**“. მოხეური კილოს წესია: როცა წინადადებაში ან მომიჯნავე წინადადებებ-

ში სიტყვა — ზმნა — მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვლითაა წარმოდგენილი: **გვიბრძანე, შენი კვნესამე, გვი**")[1].

ამრიგად, შემჩნეული იქნა, რომ ფრაზაში ზმნის განმეორება პრევერბის სახით ცოცხალი ყოფილა მოხეურ დიალექტში და აქედანაა შესული ალ. ყაზბეგის ენაში (იგულისხმება პერსონაჟების მეტყველება).

შემდეგ ამავე საკითხს შეეხო შ. ღლონტი 1955 წელს წიგნში: „ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე" (აფხაზეთის სახელგამი), სადაც, რუსთაველის ენასთან დაკავშირებით, გარჩეულია ყაზბეგისეული ფორმები და ზმნის შემოკლება ახსნილია აზრისა და მეტყველების ეკონომიის საჭიროებით (გვ. 52—53).

ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია:

ფრაზაში ზმნის შემოკლებას პრევერბის სახით — რაც დადასტურებულია ძველ ქართულ პოეზიაში, ხალხური საწყისი ეძებნება: ახასიათებს მესხურსა და მოხეურს (მოხეურის ნიშანდობლივი თვისება აღბეჭდილია ალ. ყაზბეგის ენაში). ამრიგად, ქართული კლასიკური პოეტური ენის ეს თავისებურება ხალხური მეტყველების ძველი ნორმაა, მშვენივრად არეკლილი რუსთაველის (აგრეთვე ჩახრუხაძე-შავთელის) ენაში.

---

[1] შ ო თ ა ძ ი ძ ი გ უ რ ი, ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკონი (ერთვის ალ. ყაზბეგის თხზულებათა აკადემიურ, ხუთტომიან, გამოცემას: 1948 წ., იხ. აგრეთვე ყაზბეგის ორტომეული, „საბჭოთა მწერალი", 1955).

დავით გურამიშვილის ენა

ძველი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის რღვევა, საეკლესიო-დოგმატური სტილის კანონზომიერების რყევა დაახლოებით მე-12 საუკუნიდან იწყება. ამ გარემოებას საგრძნობლად შეუწყო ხელი საერო მწერლობის აღმოცენებამ და განვითარებამ.

მეთორმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი ხალხურობაა. ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა ნაირ-ნაირობა, სიჭრელე ლექსიკაში, ახალი ლიტერატურული ნორმები კი თანდათანობით ინერგებოდა. ამ პერიოდის ენაში შესანიშნავია ჰიდილი ძველი მწიგნობრული ფორმებისა საერთო-სახალხო ენის სტრუქტურიდან მომდინარე ენობრივ მასალასთან. თუ საერო ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ძეგლების („ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „ამირან-დარეჯანიანის“) ენას ე. წ. აღორძინების ხანის სალიტერატურო ძეგლების ენას შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ მწეოლობაში საბოლოოდ გზას იკაფავს საერთო-ეროვნული ენის სტრუქტურული ელემენტები და მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლობო ენა გაბედულად ადგება დემოკრატიზაციის გზას. ასე, მაგალითად, „რუსუდანიანის“, „სიბრძნე სიცრუისას“, „თიმსარიანის“, თეიმურაზ პირველის, არჩილის, თეიმურაზ მეორის ენაში ძირითადად დაძლეულია ძველი ქართული საეკლესიო-დოგმატური ტრაფარეტი და ქართლ-კახური მეტყველების საფუძველზე ფართო გზა აქვს გახსნილი დიალექტების მასალას. მიუხედავად ამისა, სალიტერატურო ენის შედგენილობაში ჯერ კიდევ სავსებით უკუგდებული არ არის არქაული მწიგნობრული ენის ელემენტები როგორც მორფოლოგია-სინტაქსში, ისე ლექსიკაში.

დ. გურამიშვილის უბრწყინვალესი ნაწარმოები „დავითიანი“

დაფუძნებულია ქართული საერთო-სახალხო ენის ძირითად სტრუქტურულ თავისებურებებზე, იგი არსებითად ახალი სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის ყველაზე დასრულებულ და სრულყოფილ სახეობას წარმოგვიდგენს.

დ. გურამიშვილმა თამამად გაარღვია არქაიზებული ენის შაბლონი და გარკვეული მიმართულება მისცა ახალი სამწერლობო ენის განვითარებას. ამდენად, გურამიშვილის, როგორც ენის დიდი რეფორმატორის, როლი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში განუზომელია.

ახალი სალიტერატურო ქართულის ბუნებრივ განვითარებას გზა გადაუღობა მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწის ანტონ კათალიკოსის გრამატიკულმა სკოლამ. ახალი ენის ნორმალიზაციის გაწყვეტილი ხაზი აღდგა გასული საუკუნის 60-იან წლებში.

დ. გურამიშვილის ნაწერები საზოგადოებისათვის არ იყო ცნობილი მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებამდის. ამდენად, ქართული სამწერლობო ენის განვითარებაზე გურამიშვილს მანამდის გავლენა არ მოუხდენია. ამ დროიდან „დავითიანი“ შედის ქართული მწერლობის აქტიურ ფონდში. 60-იანი წლებიდანვე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ქართული ლიტერატურის ახალი თაობა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით. ილია-აკაკის დიდი წინამორბედის — გურამიშვილის ენის სტრუქტურა თავის არსებით ნაწილში ექცევა სამწერლო ენის განვითარების იმავე მაგისტრალში, რომელზედაც იდგნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. როგორც ითქვა, ქრონოლოგიურადაც გურამიშვილ-ჭავჭავაძე-წერეთლის მხატვრული ქმნილებების გავრცელება საქართველოში დაახლოებით ერთ ეპოქას მოიცავს[1]. ამდენად, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების ფუძემდებლებად უნდა მივიჩნიოთ დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

როგორია დ. გურამიშვილის ნაწარმოების ორთოგრაფია?

---

[1] „დავითიანის“ ისტორიული ნაწილის ნაწყვეტები პირველად დაიბეჭდა 1852 წელს „ცისკარში“, „ქებაჲ მწყემსის“ ნაწილი კი — „ცისკრის“ 1861 წლის ნოემბერში; ზოგი ლექსი დავით ჩუბინაშვილმაც შეიტანა თავისი ქრესტომათიის მეორე გამოცემაში 1863 წ. ს. „დავითიანის“ პირველი წიგნი ცალკე დაიბეჭდა 1870 წელს. შემდგომი გამოცემა 1881 წელს განხორციელდა.

ცნობილია, რომ ძველ ქართულს ახალი ქართულისაგან განსხვავებით მოეპოვება რამდენიმე ასო-ბგერა, რომლებიც დიდხანს შემორჩნენ ქართულ ორთოგრაფიას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღარ შეესაბამებოდნენ ახალი ქართული ენის ფონეტიკურ სისტემას. ანტონ პირველის გრამატიკულმა სკოლამ ხელი შეუწყო მათ შენარჩუნებას, და ეს სავსებით ეგუებოდა ამ სკოლის გრამატიკულ კონცეფციას. ანტონი ხომ არქაული ენის თავგამოდებული დამცველი იყო. გაცილებით გვიან, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, დასაბუთდა ამ ძველი ასოების უკუგდების აუცილებლობა. ილია ჭავჭავაძემ თეორიულად დაამტკიცა, რომ ამ ასოების შესაბამისი ბგერები ახალ ქართულ საერთო-სახალხო ენას არ ახასიათებს და, მაშასადამე, სალიტერატურო ორთოგრაფიას ზედმეტ ტვირთად აწევს ასოები, რომელთაც ენაში რეალური საყრდენი არა აქვთ. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ლიტერატურულმა პრაქტიკამ გაამარტივა ქართული ორთოგრაფია, გაათავისუფლა იგი ახალი ქართული ორთოგრაფიისათვის შეუფერებელი ასოებისაგან.

ორთოგრაფიული ტრადიციის რღვევა დაიწყო ჯერ კიდევ ე. წ. აღორძინების ხანის ენაში. ასე, მაგალითად, „შაჰნამეში“, „ქილილა და დამანაში“, „რუსუდანიანში“, „თიმსარიანში“, ვახტანგ მეექვსის ნაწერებში ზემოაღნიშნული ასოები მხოლოდ სპორადულად იჩენს თავს, დ. გურამიშვილთან კი ისინი არ გვხვდება, გარდა ხარისა (ჯ), რაც, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ მას ხალხურ მეტყველებაში რეალური საფუძველი ჰქონდა, იხმარებოდა იმ კილოებში, რომელთა გავლენასაც განიცდიდა პოეტი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ასოს გამოყენებაში გურამიშვილი თანმიმდევრობას არ იცავს: მთელ რიგ სიტყვებში იგი ხ-თი არის შეცვლილი.

ბრუნება გურამიშვილთან ახალი ქართულისებურია, მაგრამ ავტორი ყოველთვის არ იცავს ახალ ნორმებს. „დავითიანში“ არაიშვიათია არქაული ფორმებიც. სახელობითი ბრუნვის ნიშანი ბოლოხმოვნიან სახელებს დაერთვის სიტყვაში „ყველა“, ე. ი. გვხვდება „ყველაი“ (გვ. 49 და სხვაგან). უნდა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანსა“ და „შაჰნამეს“ პროზაულ ტექსტში ბოლოხმოვნიანი სახელების სახელობით ბრუნვაში ი-ს ხმარების უმეტესი ნაწილი

„ყველა“ ნაცვალსახელზე მოდის, „ვეფხისტყაოსანშიც“ ხშირად სწორედ ეს ნაცვალსახელი დაირთავს ი-ს. ამ შემთხვევაში ჩვენი პოეტი ტრადიციას მისდევს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გურამიშვილთან თითქოს სისტემატურად იხმარება მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა[1]: ღმერთმან (42), რომელმან (10), რიტორმან (4), ქალმან (316), ალმან (87) და სხვა.

ვამე თუ, ხორციც შეჰამოს მ გ ე ლ მ ა ნ,
ანუ მიწაში მატლმა და გ ვ ე ლ მ ა ნ,
რად ვქენ ს ა ძ ა გ ე ლ მ ა ნ,
საწვავ- ს ა დ ა გ ე ლ მ ა ნ,
არ გავყევ სჯულსა! (322)

იშვიათად მიმართავს პოეტი „მან“-ის გამარტივებულ სახეობას. იმის ნათელსაყოფად, რომ გურამიშვილი ძველი და ახალი დაბოლოების გამოყენებაში არათანმიმდევარია, საკმარისია დავიმოწმოთ სტროფები, სადაც ერთმანეთის გვერდით, პარალელურად იხმარება „მან“ და „მა“ დაბოლოებები:

ქ ა ლ მ ა ნ გაშინჯა, არ იყო ავი:
წამოდგა, მწყემსსა დაუკრა თავი.
მ წ ყ ე მ ს მ ა პირს აკოცა,
კარგ სიტყვით დალოცა
და გაისტუმრა. (317).

ან კიდევ:

ვამე თუ, ხორციც შეჰამოს მ გ ე ლ მ ა ნ,
ანუ მიწაში მ ა ტ ლ მ ა და გ ვ ე ლ მ ა ნ (322).

ასეთივე მდგომარეობაა მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებაშიც: „კაცმან ჯაბანმა“ (29).

შეიძლება ითქვას, რომ არქაულ გრამატიკულ მოვლენათაგან „მან“ დაბოლოებიანი მოთხრობითი თითქმის ერთადერთია, რომელიც ასე ფართოდ არის წარმოდგენილი გურამიშვილის ენაში. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ამის მიზეზი გურამიშვილის ლექსის მუსიკალურობაში უნდა ვეძიოთ. დავით გურამიშვილის

[1] ციტატები მოგვყავს „დავითიანის“ „საბჭოთა მწერლისეული“ გამოცემიდან (1955 წ.). ფრჩხილებში მითითებულია წიგნის გვერდი.

ლექსი ქართულ პოეზიაში მელოდიკურობით გამოირჩევა და, საკვარაუდებელია, ავტორი „მან“- დაბოლოებიან ფორმას უპირატესობას ანიჭებს მის გამარტივებულ სახეობასთან შედარებით კეთილხმოვნობის გამო.

აქვე აღსანიშნავია, რომ ძალიან იშვიათად პოეტი საკუთარ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოგვიდგენს: „ბაქარ თქვა: ეგ შემიტყვია“ (162), „ადამ მიუგო“ (189), „ქალქალწულმან მარიამ წმინდად თავი ატარა“ (185). ეს არქაიზმები უმთავრესად სასულიერო ხასიათის ლექსებში გვხვდება.

მოძრაობა იქიდან აქეთ ძველ ქართულში „ით“ ნიშნით გამოიხატებოდა, ე. ი. გამოყენებული იყო მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: „სოფლით“ ნიშნავდა „სოფლიდან“, „ქუთაისით ჩამოვედი“ — ქუთაისიდან და ა. შ. ახალ ქართულში ეს ბრუნვა გვხვდება მხოლოდ გარკვეულ კონტექსტებში. მაგ., „მაღლით წვიმა მოდიოდა“, „თავით ფეხებამდის“, „მთით მონაბერი ჰაერი“ და სხვ. მაგალითები გურამიშვილის ნაწერებიდან:

კახ-ბატონსა კახთ აყვედრეს:
უღლით ტოლი გამოგეშო (77);
მოთხარის მკვდარნი საფლავით,
ცოცხალიც ბევრი ხოცისა, (41);
ქართლს ისევ ჩვენვე გვანებებს,
კახეთით გეაძლევს სალამსა (71).

„ვეფხისტყაოსანში“ იხმარება „ისი“ ნაცვალსახელი, რომელიც კანონიერი ვარიანტია „იგი“ ნაცვალსახელისა. ახალმა ქართულმა ი-დართული ფორმა არ განივითარა, ამჟამად კილოებს ახასიათებს (ზემოიმერულს, რაჭულს). „დავითიანში“ „ისი“ არაიშვიათია (151, 157, 186 და სხვ.). გვხვდება „იგი“-ს გამარტივებული ფორმაც: „იგ“ (108, 164).

ძალიან საინტერესოა პრევერბების გამოყენების შემთხვევები „დავითიანში“. ჩვენი პოეტის ნაწერებში ჩვეულებრივია „დან“, „ჩან“, „წინ“ პრევერბები, რომლებიც არ იცის არც ძველმა, არც საშუალო და არც ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ. ისინი არც დიალექტებში გვხვდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ნ“ ამ „და-ჩა-წა“ პრევერბებში გაჩენილია იმ პრევერბის ანალო-

გიით, რომელსაც იგი ახასიათებს. ესაა „გან“ პრევერბი. მაგალითები: დანაწვინა (315), დანაწყებინა (95), დანახვეს (325), დანარტყვა (256), დანამარცხეს (901), წანაყვირა (315), ჩანაგო (252), ჩანაცვეს (325).

შემონახულია ხოლმეობითის ფორმები:

უცხო რამ აქვნდის მას მხეცსა
ხერხი და მეცნიერობა,
საცხოვარს არას ეწყენდის,
ვერ ვსცნი, რა აქვნდის ფერობა,
საცა რომ კაცსა შემოხვდის,
მედგრად იხმაროს მტერობა,
ანაზდად ეცის, დაფლითის,
მოკლის და შექმნის სჯრობა (41).

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირად იხმარებოდა ასეთი ფორმები: „ცა“ და სხვა ნაწილაკები გაკვეთდნენ ზმნას და მოექცეოდნენ პრევერბსა და ზმნის ფუძეს შორის. ამ მოვლენას, რომელსაც ტმესი ეწოდება, ძალიან ხშირად ხმარობს შოთა რუსთაველი, მაგ.:

ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯე, მეფე ჩემთანა მელელია (356,4);
თავსა გარდავჭარ, მო-ცა-ვკალ, დაეჰხსენ სოფლისა თმობასა (910,4);
ესე სიტყვა დაასრულა, ყმამან სულთქვა, ა-ცა-ტირდა (913,4).

დ. გურამიშვილის დროს ტმესი არ არის ენისათვის ნიშანდობლივი, მაგრამ ჩვენი პოეტი მას ხშირად მიმართავს. მაგალითები:

ვით თქვენ ბრძანეთ: „ვართ დამდნარნი“,
მაგით უფრო დ ა ც ა ვ დ ნ ე ბ ი თ (66);
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი.
მისმან ეშხმან დ ა ც ა მ ლ ე წ ა, შემიჭესრა ძვალი (212).
დ ა ც ა ი ე ი წ ყ ე ს მათ მისი
ურიცხვი მოწყალებანი (36);
ღირს მყო და მე მიმიჩნია
დ ა ც ა დ გ ი ნ ე ბ ლ ა დ, მფლობელად (183).

იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს ზმნის საწყისი ფორმის დასმა ვითარებით ბრუნვაში მიზნის გარემოების ფუნქციით (მასდარული კონსტრუქციის ერთ-ერთი სახეობა):

სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკდი,
ჭორწილში შ ე ს ვ ლ ა დ შიგნით ვიწვევდი (197);
ვინც ეს წიგნი განაწიგნა
კ ი თ ხ ვ ა დ შესაქცევლად ჩვენდა! (9).

გურამიშვილის ენაში სპორადულად გვხვდება აგრეთვე არქაული კავშირები: გინა (23, 25, 165), უკეთუ (280), ვითარცა (120), მაგრამე (236), რომე (65) და სხვ.

დ. გურამიშვილის პოეტურ ენაში ძველი ქართულის ელემენტები, არქაიზმები, სტილური კომპონენტის როლს ასრულებენ. ერთი მხრით, მის ნაწერებში ძველი ფორმები გვხვდება რელიგიური ხასიათის ლექსებში, რომელთა ენობრივი ქსოვილის სათანადო არქაიზაცია ბუნებრივი ჩანს (ამგვარ ლექსებში ჩვეულებრივია ძველი ფორმები: მოვედინ, იყავნ, ძნიად, დუმნა, მეოხმეყავ და სხვ.). მეორე მხრით, პოეტი სავსებით შეგნებულად ხმარობს ზოგიერთ არქაულ ფორმას ჩვეულებრივს საყოფაცხოვრებო ლექსებშიც. ასეთ ენობრივ მოვლენებს გურამიშვილი ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ფ ო რ მ ე ბ ა დ მიიჩნევს და, მისი აზრით, მათი გამოყენება ახალ პოეტურ ენაში სავსებით დასაშვებია. სხვანაირად რომ ვთქვათ, გურამიშვილის განკარგულებაშია ერთი და იმავე ცნების გამომხატველი, ვთქვათ, ორი სიტყვა — ერთი არქაული, გადაშენებული და მეორე ახალი, მისი დროის ენისათვის დამახასიათებელი, ცოცხალი. ავტორი მათ ეპყრობა ისე, როგორც სინონიმებს, არჩევანი ზოგჯერ ვერსიფიკატორული მოთხოვნილებებით არის გამოწვეული. ამით აიხსნება არქაული და თანამედროვე ფორმების პარალელური გამოყენება, ხშირად ერთმანეთის გვერდითაც, ერთსა და იმავე სტროფში. გავიხსენოთ სტროფი:

დაჯდა ს ა ტ ყ ე ბ რ ა დ, გ ო დ ე ბ ა დ,
თავთა ხლად ხე-ქვა-ლოდებად,
გულსა სახმილის მ ო დ ე ბ ა დ,
შ ე ს ა ბ რ ა ლ- შ ე ს ა ც ო დ ე ბ ლ ა დ (205).

აქ ერთმანეთის გვერდითაა არქაული ფორმები — „გოდებად“, „მოდებად“ და ახალი ფორმები — „სატყებრად“, „შესაცოდებლად“. სადაც სამართალია, „გოდებად-მოდებად“ ფორმების გვერდით უნდა ყოფილიყო: „ტყებად, შეცოდებად“ (თუ თანმიმდევ-

რობას დავიცავდით ძველი ქართულის მიხედვით), ხოლო „სატყებრად-შესაცოდებლად“ ფორმების გვერდით — „საგოდებლად-მოსადებად“ (თუ თანმიმდევრობას დავიცავდით ახალი ქართულის მიხედვით).

დავიმოწმოთ მრავალთაგან კიდევ ერთი მაგალითი:

მე ყინვისაგან დამძრალი
გენუკვი დასათბობელად,
გემუდარები, ნუ გამხდი
ცეცხლზედა დასართობელად (105).

„გენუკვი-გემუდარები“ სინონიმებია: ერთი — ძველი, მეორე — ახალი. საქმე ისაა, რომ ლექსი, საიდანაც მაგალითი მოგვყავს („ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გა>მო თვალით არა ჩნდა, იმაზე თქმული“), ჰიმნური ხასიათისაა და არქაიზაცია აქ გამოწვეულია თემატური აუცილებლობით.

გარკვეული ნაწილი არქაიზმებისა საეკლესიო ქართული ენის ძეგლებიდან მომდინარეობს; ისინი მწიგნობრული წარმოშობისაა და გვხვდება გურამიშვილის ისეთ ლექსებში, რომლებიც ჰიმნური საგალობლების ხასიათისაა.

დ. გურამიშვილის „დავითიანში“ დაცულ არქაულ ფორმათა უმრავლესობის ფესვები პოეტის დედაკილოში ძევს, ხალხურ მეტყველებაში შემონახული ცოცხალი მოვლენების შედეგია.

რაკი გურამიშვილმა თავისი ნაწარმოებების ენა დააფუძნა ხალხურ მეტყველებას, ბუნებრივია, იგი ვერ ასცდებოდა დიალექტურ მასალას, დიალექტიზმებს, რომლებიც არ ეგუებოდნენ სალიტერატურო ენის განვითარების საერთო გეზს და რამდენადმე წარმოადგენდნენ საერთო-სახალხო ენის სტრუქტურიდან გადახვევას.

ვიდრე განვიხილავდეთ გურამიშვილის ენაში დიალექტიზმებს, უნდა გავარკვიოთ: რომელ დიალექტს ეყრდნობა დიდი ქართველი პოეტი?

პოეტის დედაკილოა არაგვის ხეობის ქართლური, რომლის შედგენილობაში არამცირედი ადგილი უჭირავს ეგრეთ წოდებული მთის კილოების, პირველ რიგში, მთიულურის (ამასთანავე კახური მეტყველების) ელემენტებს. „დავითიანში“ თვალნათლივ გამოიყოფა ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებიც ქართლური დიალექ-

ტის საფუძველზე არ აიხსნებიან და, კერძოდ, მთიულურ-ქაბურ მეტყველებას განეკუთვნებიან.

„არაგვის ხეობის ქართლური“ არაგვის ხეობის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფლების მეტყველებაა. ეს სოფლებია: საგურამო, ბიწმენდი, არაშენდა, წინამძღვრიანთკარი, ახატანი, დაკათი და სხვ. აქ ძირითადად ქართლელები ბინადრობენ, მაგრამ მკვიდრ ქართლელებთან ერთად არიან მოსულებიც (მთიულეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ყაზბეგიდან და დასავლეთ საქართველოდანაც). ამრიგად, ამ სოფლის ახლანდელი მოსახლეობის წინაპართაგან ბლომად ყუენენ სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები. მათი მეტყველება დროთა ვითარებაში გათქვეფილია ქართლურ დიალექტში. მართალია, ხალხის დიდი ნაკადი უმთავრესად ბატონყმობის დროსაა გადმოსული[1], მაგრამ, უეჭველია, მთიელთა ბარად ჩამოსვლა ჯერ ძველი ამბავია. ამით აიხსნება, რომ არაგვის ხეობის ქართლურ დიალექტს თავისებური ადგილი უჭირავს ქართულ დიალექტთა შორის, მას ემჩნევა მთის კილოების ძლიერი გავლენა.

დ. გურამიშვილის ენაში გამოიყოფა გარკვეული ფენა, რომელიც აიხსნება მთის ქართული კილოების ნიადაგზე და, მაშასადამე, ჩვენი პოეტი კარგად ასახავს იმ კუთხის ენობრივ თავისებურებებს, სადაც მან გაატარა თავისი ჭაბუკობის წლები, ვიდრე სამშობლოდან გაიტაცებდნენ.

ჩამოვთვალოთ ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც გურამიშვილის ენას აახლოებს მთის ქართულ კილოებთან[2].

1. გვხვდება „ვა“ კომპლექსის „ო“-დ ქცევის ისეთი ფაქტები როგორიცაა: სხო (250), მწოდი (294), გამწოებული (282), აყოებული (218), წამოიყონენ (230), და სხვ. გვხვდება მთიულურში და მოხეურში (აგრეთვე ინგილოურში და ფერეიდნულში); 2 „ც“-ის მონაცვლეობა: ვერცად, არცად (მოვლენა ცნობილია კახურშიც): 3. „ვ“-ს დაკარგვა ფორმებში: სხიო (190), თაო (191). შეაღარე

[1] იხ. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს წერილი „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, IV, 1953.

[2] მთის კილოების გავლენაზე პირველად მიუთითა აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ („გურამიშვილს გამოყენებული აქვს „ქართულ ლიტერატურაში ხალხური, კერძოდ მთიური კილო“. იხ. „დავითიანი“, 1931, გვ. L XXIII), მაგრამ სამწუხაროდ, ავტორს არ მოჰყავს ამ დებულების დამამტკიცებელი საბუთები.

ალ. ყაზბეგი („საბჭოთა მწერლის“ გამოცემა, 1955, გვ. 125); 4. „ვ“-ს ჩართვის ასეთი ნიმუშები: ცრუვი (241), ღრძუვი (193) და სხვ. გვხვდება მთიულურსა და კახურში; 5. „კე“ თანდებული: უღლისაკე (180), რუსეთისაკე (84), ყიზლარისაკე (154). გვხვდება ფშაურ-ხევსურულ-მთიულურში; 6. ამავე ფუნქციით გამოყენებულია „უე“: უკეთურთაყე (28). გვხვდება კახურში და სხვაგან; 7. „თვი“ თანდებული გვხვდება უმთავრესად მთიულურში; 8. „იარ-იალ“ სუფიქსები, ნაცვლად „იერ-იელ“-ისა: განიარი (8), აგანიარეო (194), აღონიარეო (194), ათვალიარეო (195), აშვენიარეო (195), ცარიალი (196, 232, 397). გვხვდება უმთავრესად ხევსურულში, მთიულურში, მოხეურში; 9. აწმყოს ფუძის საწარმოებლად „ავ“, „ამ“ გარკვეულ შემთხვევაში იცვლება „ევ“ „ემ“ სუფიქსით: იზიდევდა (61), ხედევდა (56), სწნევდა (296), სძრახევდენ (59), იბემდი (180); სვემდესა (25), მოვსთქმევდი (133); „ევ“ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებს წყვეტილში „ვ“ შემონახული აქვთ: სძლივეს (38), დაიქნივა (75), დაახივე (80), დაულივა (143), გავერივე (173). არის ხევსურულში, კახურში, ქიზიყურში და სხვაგანაც; 11. ხოლმეობითის ფორმები; 12. გვხვდება „ჩირდილი“ (101, 314), სადაც „ი“ ჩართულია. დამახასიათებელია მთის კილოებისათვის; 13. დაცულია ფორმა „ერთმანერთი“ (323), რომელიც ძეხახულია მთიულურში (და სხვაგანაც); 14. „ყე“ ნაწილაკი ზმნაში და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნული დიალექტური მოვლენა ამჟამად ცნობილია „არაგვის ხეობის ქართლურშიც“; ამ ნიშნებით ქართლური მეტყველების ეს სექტორი ეთიშება ქართლის სხვა რაიონების მეტყველებას.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომელ დიალექტურ წრეს უკავშირდება დ. გურამიშვილი, ვიკითხოთ: გარდა ზემოაღნიშნული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენებისა, ხალხური მეტყველების რა ხიშნებია წარმოდგენილი ჩვენი პოეტის ნაწერებში? აქ მივუთითებთ მხოლოდ უმთავრეს ენობრივ მოვლენებზე.

გურამიშვილის ენაში მეტად პროდუქტიულია „დამ“ თანდებული, რომელიც ნიშანდობლივია აღმოსავლური კილოებისათვის: ქართლიდამ (156), პირიდამ (136), უბიდამ (131) და სხვ. ამ თანდებულის თავდაპირველი სახეა „დაღმე (დაღმა)“. გურამიშვილის

ნაწერებში ეს ძველი სახეობაც წარმოდგენილია: აქადაღმე (131); ვხვდებით გარდამავალ სახეობასაც: თერგიდამე (139), მანდედამე (178). ფორმათა ფაკულტატურობა კარგად ჩანს ერთი და იმავე სტროფიდანაც:

შევამოკლო, აწ რა მერგო,
რაც ვიუბენ ამდეს ხანსა?
თ ე რ გ ი დ ა მ ე სოლაღს წაველ,
ს ო ლ ა ღ ი დ ა მ აშტარხანსა (139).

„დავითიანში“ ჩვეულებრივია აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი: 1. „მა“, „შა“, „წამა“ პრევერბები: მაგიარ (325), მაეკიდება (33). შაებრალდეო (110), წამაიჩოქეს (158) და სხვ. 2. „მდინ“, „თვინ“ თანდებულები: „ყველამდინ (192), მზისათვინ (183) და მრავალი სხვა; 3. „ვი“-ს დართვა წყვეტილში ე-ზე: მოიმკევით (201), მიგდევით (199) და სხვა; 4. „შტ“ კომპლექსის ცვლა „სტ“ კომპლექსად: სტერი (217), გასასტერები (37), გაგასტერა (304).

საინტერესოა, რომ სახელებს ერთვის „ა“ ნაწილაკი, რომელიც კნინობითობას არ გამოხატავს: დარაჯა (88), შიშველა (142), ეკალა (285), ბარგა (182) და მისთანანი.

გვხვდება ორიოდე მაგალითი ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვისა წინადადებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ გურამიშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას.

როგორც ვიცით, არსებობს დავით გურამიშვილის „დავითიანის“ კარგად შენახული ავტოგრაფული ხელნაწერი. ჩვენს მუზეუმებში დაცულია აგრეთვე ხელნაწერის რამდენიმე ნუსხა. მიუხედავად ამისა, გურამიშვილის ტექსტის საბოლოო გამართვა და დადგენა გარკვეულ ფილოლოგიურ მუშაობას მოითხოვდა. „დავითიანის“ ადრინდელი გამოცემები (1852, 1870, 1881,1894, 1911 წლებისა) არამეცნიერული პუბლიკაციებია, თითქმის გურამიშვილისეული ავტოგრაფის სტერეოტიპულ განმეორებას წარმოადგენენ. პირველი კრიტიკულ-ფილოლოგიური გამოცემა გურამიშვილის ქმნილებისა განხორციელდა 1931 წელს ალ. ბარამიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით. ამჟამად ხელთა გვაქვს „დავითიანის“

საიუბილეო, აკადემიური გამოცემა, რომელზედაც სერიოზული მუშაობაა გაწეული (რედაქტორი ალ. ბარამიძე, სახელგამი, 1955).

ჩვენი აზრით, აკადემიურ გამოცემაში ტექსტის ზოგიერთი ადგილი კიდევ მოითხოვს დაზუსტებას.

გურამიშვილის ავტოგრაფში არის რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც ასოები გამორჩენილია, ზოგჯერ სიტყვაში მთელი მარცვალიცაა გამოტოვებული. ეს მიეწერება იმას, რომ ჩვენი პოეტი ხანდაზმულობის ჟამს წერდა თუ რედაქციას უკეთებდა თავის თხზულებას, თანაც, როგორც ცნობილია, ამ დროს მხედველობა ძალზე დასუსტებული ჰქონდა, ცალი თვალით სულ ვერა ხედავდა. ყველა ეს კალმისეული ცდომილება რედაქტორის მიერ გასწორებულია, გამორჩენილი ასოები სიტყვებში აღდგენილია და ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში — იმის მისანიშნად, რომ ჩამატებული ასოები რედაქციისეულია და არა ავტორისეული. ასე, მაგალითად, დედანში ყოფილა: გშინჯ (გაშინჯა), გძრახ (გაძრახ), მეოთემ (მეოთხემ), გულნაკლად (გულნაკლულად) და სხვ. იშვიათად გამორჩენილია მთელი სიტყვაც. მაგ., „სული ვარ, ღვთისა ბრძანებით სამსახურისა მჭვრეტელი; (ვარ) ხორციელთა ყოველთა მზოცელი, ამომწყვეტელი“ და სხვ.

„დავითიანის“ კრიტიკულ გამოცემებში (მათ შორის, უკანასკნელ, საიუბილეო გამოცემაში) კალმის შეცდომადვეა მიჩნეული „ს“-ს გამოკლება ორ შემთხვევაში: „საქმი ხმარება“, „დანი სადარი“. რედაქტორს გაუსწორებია: „საქმი[ს] ხმარება“, დანი[ს] სადარი“.

აი სათანადო კონტექსტებიც:

„ჰ უეა პურია სახითა მჭამელთა შესარგებელი,
ცოდნა და ს ა ქ მ ი (ს) ჯ მ ა რ ე ბ ა — მარილი დასაწებელი“ (62);
„გულს მიკოდს სევდის ლახვარი აღმასის დ ა ნ ი (ს) ს ა დ ა რ ი;
დედ-მამა, ძმანი დაეკარგე, არ ვიცი დ ა ნ ი ს ა დ ა რ ი“ (341).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ „ს“ კალმისეული შეცდომა არ არის. „ს“ ამ სიტყვებში კი არ გამორჩენია პოეტს, არამედ სავსებით შეგნებულად არ უხმარია. ამის დადგენას კი მნიშვნელობა აქვს 1. გურამიშვილის პოეტიკის თვალსაზრისით და 2. ხალხურ მეტყველებასთან პოეტის დამოკიდებულების გამოსარკვევად.

საქმე ისაა, რომ გურამიშვილის ენაში საკმაო რაოდენობით

გვხვდება დიალექტიზმები, პოეტის დედაკილოსათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები. ხალხურ მეტყველებაში კი, განსაკუთრებით მთიულურ-კახურში, რომლის გავლენასაც განიცდიდა ჩვენი ავტორი, ნათესაობითი ბრუნვის „ს“ სიტყვათა შეხამებაში ხშირად იკარგება („მეზობლი ქალი“ — მეზობლის ქალი, „სოფლი ბოლოზე“ — სოფლის ბოლოზე, „სახლი პატრონი“ — სახლის პატრონი და სხვა). ამავე რიგისაა საერთოეროვნულ ენაში დამკვიდრებული კომპოზიტები — სახლიკაცი, შვილიშვილი, მამიდა და მრავალი სხვა, სადაც ნათესაობით ბრუნვის „ს“ დაკარგულია ქართული ენის ფონეტიკის ძალით (უნდა ყოფილიყო: მამის და, შვილის შვილი და ა. შ.).

ეჭვს გარეშეა, გურამიშვილის ტექსტში „საქმი სმარება“, „დანი სადარი“ დიალექტიზმია, ხალხური მეტყველებიდან შემოსული ფორმებია. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ გურამიშვილის კალმის ლაფსუსებში საერთოდ არა გვაქვს ასეთი მაგალითები, გამორჩენილი ასო ფორმანტს წარმოადგენს. — „ს“ ფორმანტისეულია.

ჩვენი მოსაზრება რომ სწორია, ეს კარგად მტკიცდება გურამიშვილის პოეტიკაზე დაკვირვებითაც.

ჩვენთვის საინტერესოა შეხამება სიტყვებისა („დანი სადარი“) გვხვდება სტროფში, სადაც ერთმანეთთან შეერთებულია ომონიმური სიტყვები, ე. ი. გვაქვს მაჯამა.

გავეცნოთ 341 სტროფის ომონიმებს:

ვაი თუ ქვეყნის გამსტრობად ვითა ძე დ ა ნ ი ს ა დ ა რ ი,
მზეს ღრუბლის გამო ვერ ვხედავ, აწ ბურმან დ ა ნ ი ს ა დ ა რ ი;
გულს მიკოდს სევდის ლახვარი ალმასის დ ა ნ ი ს ა დ ა რ ი.
(გამოცემაში: „დანი(ს) სადარი)
დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი, დ ა ნ ი ს ა დ ა რ ი.

აქ მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონში მოქცეული სარითმო სიტყვები შინაარსობრივად გასაგებია: „დანისა დარი“ ნიშნავს: დანისლა დარი; „დანი სადარი“ — დანის შესადარი, მსგავსი; „დანი სად არის“ — თავისთავადაც ნათელია (ე. ი. დები სად არიანო).

საიუბილეო გამოცემის შემდეგ ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ გაუგებარია პირველი სტრიქონის „დანი სადარი“ და, საერთოდ, მთელი სტრიქონი სავსებით ბუნდოვნად მივიჩნიეთ: „ვაი თუ ქვე-

ყნის გამსტრობად (გამსტრობი — დამზვერავი, მოთვალთვალე) ვითა ძე დანი სადარი"[1].

საიუბილეო გამოცემა „დავითიანის" ტექსტის ამ ბუნდოვან სტრიქონს არავითარ კომენტარს არ უკეთებდა.

ყოველ შემთხვევაში, ის კი ნათელია, რომ ზემოხსენებულ სტროფში გვაქვს მაჯამა, და ძნელი დასაჯერებელია, რომ გურამიშვილს, რითმის ამ დიდ ოსტატს, დაერღვია აქ მაჯამის კანონზომიერება და მესამე სტრიქონში ჰქონოდა „დანის სადარი" (როგორც ეს გასწორებულია აკადემიურ გამოცემაში), ნაცვლად ამისა: „დანი სადარი", რომელიც არ არღვევს მაჯამის საერთო სურათს.

ამრიგად, „დავითიანის" საიუბილეო გამოცემაში (ისევე, როგორც წინა კრიტიკულ გამოცემაში) 341-ე სტროფის მესამე სტრიქონის (აგრეთვე 62-ე სტროფის) გასწორება უმართებულოა და იგი უნდა იკითხებოდეს, როგორც „დანი სადარი" (ნიშნავს: „დანის სადარი"); „საქმი ხმარება" (ნიშნავს: „საქმის ხმარება"). ამ ფორმას რეალური საყრდენი აქვს ხალხურ მეტყველებაში და, ამავე დროს, გამართლებულია გურამიშვილის ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც.

აკადემიურ ტექსტთან დაკავშირებულ ჩვენს შენიშვნებს გამოეხმაურა პროფ. კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ე („ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან". იხ. ლიტერატურული ძიებანი, 10. 1956, გვ. 170—171), რომელიც არ იზიარებს ჩვენს შეხედულებას „დანი სადარი" და „საქმი ხმარება" ფორმების გამო; გვეთანხმება იმაში, რომ გადასასინჯია აკადემიურ გამოცემაში „ს"-ს აღდგენა სათანადო შეხამებაში „დანი[ს] სადარი". აქ უნდა იყოსო, — ამბობს მეცნიერი, „დანისა დარი" (და არა „დანი[ს] სადარი", როგორც ეს ჩვენს გამოცემაშიაო).

საქმე ისაა, რომ საანალიზო სტროფის ამ ადგილის შინაარსი პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ა და ჩვენ ერთნაირად გვესმის: გულს მიკოდს სევდის ლახვარი, რომელიც მსგავსია (დარი) ალმასის დანისა, სხვაობა იმაშია, რომ ტექსტში, ჩვენი აზრით, უნდა ყო-

[1] იხ. ჩვენი „სადავო გასწორება „დავითიანის" აკადემიურ გამოცემაში" („ლიტერატურული გაზეთი", № 44, 1955); „დავით გურამიშვილის ენა" („მნათობი", № 10, 1955).

ფილიყო „დანი სადარი“ (ე. ი. „დანის სადარი“), პროფ. კ. კეკელიძის აზრით კი — „დანისა დარი“.

ჩვენთვის ამოსავალი იყო გურამიშვილის გამოცემები, სადაც „დანი სადარი“ გვხვდება. ამიტომ დავასკვენით, რომ აქ „დანი“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა („დანის“), „ს“ დაკარგულია ისევე, როგორც გურამიშვილის დედაკილოში იკარგება საითანაღო შემთხვევებში. ამ კონტექსტში პოეტმა გამოიყენა ხალხური მეტყველების თავისებურება მაჯამის საჭიროებისათვის-მეთქი.

რომელ წაკითხვას უპერს მხარს ხელნაწერი? საუბედუროდ, გურამიშვილის ავტოგრაფს აკლია სწორედ ის ფურცელი, სადაც გვხვდება ეს სტროფი. ეს გარემოება აღნიშნულია საუბილეო გამოცემაშიც: „ავტოგრაფულ ნუსხას აკლია ერთი ფურცელი, რომელზედაც უნდა ყოფილიყო პოემა „ქართლის ჭირის“ სტროფები 340—352“ (დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, 1955, ს.ახელგამი). ამრიგად, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას შევამოწმოთ, როგორ ეწერა გურამიშვილისეულ ხელნაწერში — „დანი სადარი“ თუ „დანისა დარი“.

მივმართოთ არაავტოგრაფულ ნუსხებს.

ხელნაწერები S 2808 (A), S 2386 (B) (ა ჯგუფისა), S 1518 (D), H 2379 (E) (ბ ჯგუფისა) ამართლებენ ფორმას — „დანი სადარი“. ერთადერთი ნუსხაა S 103 (C), სადაც „დანისა დარი“ გვხვდება.

ასეთია საქმის ვითარება.

რაც შეეხება 341-ე სტროფის პირველ სტრიქონს, — „ვაი თუ ქვეყნის გამსტრობად ვითა ძე დანი სადარი“, რომლის შინაარსი ბუნდოვანი იყო და აკადემიური გამოცემის კომენტარები მას გვერდს უვლიდა, — იგი ჩვენ მიერ გამოთქმული შენიშვნების შემდეგ კ. კეკელიძემ გაარკვია.

პროფ. კ. კეკელიძემ თავის ზემოხსენებულ წერილში სავსებით ეჭვმიუტანლად გაარკვია, რომ აქ „დანი“ არის ბიბლიური პერსონაჟი; ის იყო ერთ-ერთი (თორმეტიდან) ძე ებრაელთა პატრიარქის იაკობისა. პოეტს მისი მოხსენება იმიტომ დასჭირდა, რომ დანიც მზვერავი, მოთვალთვალე იყო („ვაი თუ ქვეყნის გამსტრობად“ — გამსტრობი იგივეა, რაც „მსტოვარი“, ე. ი. მზვერავი,

მოთვალთვალე, მზირი). მამამისი სიკვდილის წინ ასე ახასიათებს მას: „და იყოს დან გუელ გზასა ზედა, მზირად მსჯდომარე ალაგთა, და უკბენდეს ტერფთა ცხენთასა, და დაეცეს მხედარი მართლ უკუნ“ (შესაქ. 49 17, ოშკის ბიბლია). ესე იგი: დანი ჩასაფრებული, მზირად მჯდომარეა გზაზე, როგორც გველი, რომელიც კბენს ცხენს ფეხში და მხედარს ძირსა სცემს. კ. კეკელიძის დასკვნით, აზრი მაჯამური ტაეპისა ასეთია: ვაი თუ ქვეყნის დამზვერავად (გამსტრობად) დადგენილი კაცი ან დამზვერავი შედარებით (სადარი) ისეთია, როგორც (ვითა) დანი, ესე იგი შესადარებელია დანთან. აქ ჩვენ გვაქვს დავითისათვის ჩვეულებრივი ალეგორია: მზვერავი დანი არის სიკვდილი, რომელიც ზვერავს წუთისოფელს, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ ან ვზივართ, როგორც მხედარი ცხენზე, და კბენს მას გველივით, წააქცევს მას და ჩვენ დაგვცემს ძირსო, — დასძენს პროფ. კ. კეკელიძე (იხ. ზემოხს. წერილი, გვ. 170—171).

გურამიშვილის ლექსის ხალხურობის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც. როგორც პროფ. ა. შანიძემ გამოარკვია, ქართულში გვხვდება ხმოვნები ა და ო, რომლებიც არც ფუძეს ეკუთვნიან და არც რაიმე გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ. ეს ხმოვნები არის მხოლოდ ლექსში, სიტყვის ბოლოს, უფრო ცეზურის შემდეგ და ტაეპის დაბოლოებისას — მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. რადგან ეს ხმოვნები მარტოოდენ პოეზიაში იხმარება და მეტრიკის მიზნებისათვის, ამიტომ პროფ. ა. შანიძე მათ „პროსოდიულ ხმოვნებს“ უწოდებს („ქართული გრამატიკის საფუძვლები“, I, 1953, გვ. 632). გამორკვეულია, რომ პროსოდიული ხმოვნები გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და მომდევნო ხანის ლექსებსა და პოემებში. მაგრამ ისინი ნიშანდობლივია ხალხური პოეზიისათვის და ამდენად ამ ხანის მწერლობაში ეგ მოვლენა ხალხური პოეზიის გავლენას უნდა მიეწეროს. გურამიშვილის შემოქმედებაში პროსოდიული ხმოვნები ყველაზე ჭარბად არის წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას, რომ დიდმა პოეტმა ამ მოვლენას ყველაზე მეტი გასაქანი მისცა და ამით ქარ-

თული ლექსი მაქსიმალურად დაუახლოვა ხალხურ მეტყველებას. იგულისხმება ისეთი მაგალითები, როგორიცაა:

წყალს გამიყვანეს ნავითა,
საყდარში შ ე მ ი ყ ვ ა ნ ე ს ო,
დამაწ რინეს პირჯვარი,
ხატებსა მ ა თ ა ყ ვ ა ნ ე ს ო;
კვლავ მიხმეს სამდიენოშია,
მაყვირეს, მ ა ყ ა ყ ა ნ ე ს ო,
მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ,
რად იყავ ლ ა მ ი ს - ყ ა ნ ე ს ო?“ (139).

ან კიდევ:

ავის მჭნელსა ავის საქმით
ღმერთი საქმეს მ ო უ რ თ ა ვ ს ა (148).
რუსთ ხელმწიფესაც მოსწერა:
— „გამეცა, ბაქოს ნუ ხ ა რ ა“ (153).

როგორც ა. შ ა ნ ი ძ ე ფიქრობს, პროსოდიული ხმოვნების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივსა და სხვა სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების გაგრძობილად წარმოთქმის ჩვეულებაში. ამაზე მიგვითითებს გადმონაშთის სახით დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულსა და სვანურ ხალხურ სიმღერებში (აგრეთვე ძველ ქართულ საეკლესიო საგალობლებში) მარცვლების ჩართვით და დარღვევით.

გურამიშვილის ენაში დადასტურებული დიალექტიზმები მეტ-ნაკლებად ახასიათებდა მეთორმეტე-მეთვრამეტე (განსაკუთრებით მეთექვსმეტე-მეთვრამეტე) საუკუნეების სალიტერატურო ენას.

დ. გურამიშვილი სიტყვის დიდი ოსტატია. მის ნაწერებში არაიშვიათად გვხვდება ახალი ენობრივი ფორმები, ნეოლოგიზმები, გამომუშავებული საერთო-ეროვნული ენის შინაგანი ბუნების შესაბამისად. პოეტის სიტყვათშემოქმედებითს ძიებებში ბევრი რამ უთუოდ საყურადღებოა.

გავეცნოთ ნიმუშებს.

გურამიშვილს ძალიან უყვარს სახელებისაგან ზმნების წარმოება. ამ შემთხვევაში პოეტი მარჯვედ იყენებს ქართული ზმნის მდიდარ შინაგან შესაძლებლობებს. მაგალითად, ნაცვლად ამისა —

„სვეტ-ბოძად გაგვიხდაო“, პოეტი აკეთებს ზმნურ კომპოზიტს: გვესვეტ-გვებოძა:

ძე მოგვებოძა, გვესვეტ-გვებოძა,
მე დაქცეული მისგან ავშენდი,
დავითს, დავითო, მიხამდა ვითო,
ეგრეთ ნუგეშსმცა და მად ვაქებდი (181).

ასევე გაზმნურებულია „თვისტომი“. ითვის-იტომა:

ითვის-იტომა დავითის შტომა,
რჭად აღამორჩა თვისი გამრჭედი,
მოება ზედა, აღზარდა ძედა
მან მზრდელი თვისი, მით მიხვდა ბედი (180).

რთული ფუძისაგან — „კაცისმკვლელი“ მიღებულია ზმნა: იკაცისმკვლელა:

თვისი ცხოვრება ხორცზედ გარდაგო,
არა მომცა რა სულს საფარსაგო,
იკაცისმკვლელა, იქურდ-იბოზა,
ყოვლის სიბილწით მთხუნა, განმგოზა (365).

კომპოზიტური ფორმისაგან „თვალტვინი“ ნაწარმოებია ზმნა: ითვალტვინოს, რაც ნიშნავს: „თვალტვინი ამოაცალოს“:

იტყვის: ვაი, თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ჭორსა;
იმან ითვალტვინოს, მე კი ამადრტვინოს
მისის ნაღვლითა! (342).

სიტყვისაგან „ხოტბა“ მიღებულია ზმნური ფორმა ვიხოტბე:

ამად ვიხოტბე, შევკრიბე
ცრუის საწუთროს ყბედობა (6).

სიტყვისაგან „წიგნი“ გამომუშავებულია იწიგნებს, რაც ნიშნავს: „წაიკითხავს, წიგნად, წერილად მიიჩნევს“:

მეფე ვახტანგ ამ რაყამსა
არც ისმენს და არც იწიგნებს (65).

კომპოზიტური სიტყვა „დუქან-ბაზარი“ გაზმნურებულია ამგვარად: მოდუქან-მობაზარობენ, რაც ნიშნავს: „ვაჭრობენ“:

მითვე ლაშქრობენ, ვაჭრობენ,
მ ო დ უ ქ ა ნ - მ ო ბ ა ზ ა რ ო ბ ე ნ (52).

ნასახელარი ზმნაა აგრეთვე გ ა ნ გ ი ა დ ლ ა სიტყვისაგან „ადლი“. რაც ნიშნავს: „ადლით მოგიზომა“:

მღვდელო, რაც ღმერთმან მადლი მოგმადლა,
არც აგიწონა, არც გ ა ნ გ ი ა დ ლ ა (362).

ზმნა მიღებულია რიცხვითი სახელისაგანაც: გ ა ნ ა ხ უ თ ო ს (ხუთად გახადოს):

ამისთანა ბატონს ვაქებ,
მან ერთი ყმა გ ა ნ ა ხ უ თ ო ს (45).

გავიხსენოთ რიცხვითი სახელების გაზმნაების შემთხვევები „ვეფხისტყაოსანში“. მაგ:

1. თავთა ჭირი უ ა თ ა ს ე თ, რაც უ შ ვ ი დ ე თ, რადცა უ რ ვ ე თ;
2. უმართლეა, ვერ მჭვრეტელმან თუ პატიჟნი ი ა ს ო ც ნ ე ს;
3. იგი ჭირი დაღრეჯილსა უ ა თ ა ს დ ა, არ უ ა თ დ ა.

გარდა ნასახელარი ზმნებისა, გურამიშვილის სიტყვათ შემოქმედებითს ძიებებში აღსანიშნავია ახალი სიტყვაწარმოებითი ფორმების, ახალი მიმღეობების ფართოდ გამოყენება.

ესენია: გ ა მ რ ქ ე დ ი (რქად გამზიდველი, რქად გამხდელი), თ ა ვ ხ ვ ი თ ქ ე ბ უ ლ ი (თავზე ოფლგადადენილი — საპნის ქაფივით), მ ყ ვ ა რ ი (საყვარელი, სატრფო), გ ა ნ წ ყ რ თ ე უ ლ ი (წყრთით გაზომილი), გ ა რ ე ო ბ ა (გარეყოფნა, ლაშქრობა), მ ლ ო თ ა ვ ი (ლოთი, ღვინის მსმელი), წ უ თ მ ი ჯ ნ უ რ ი (წამიერი სატრფო), მ ძ მ ო ბ ე ლ ი (ძმად გამხდომი), მ დ ო ბ ე ლ ი (დად გამხდომი), გ ი დ ო ბ ს (დობას გაგიწევს: „ნუ მაინდომებ სამოყვროდ, არც გიძმობს, არცა გ ი დ ო ბ ს ო“ 248. ნაწარმოებია ანალოგიით ფორმისა: „გიძმობს“), დ ა ყ ვ ი რ ი ლ ი (დაყვირვება: „ვერ გამაცოცხლებს თავს „დ ა ყ ვ ი რ ი ლ ი“ 361), მ ა მ ა ო ბ ა (მამად მიიჩნევს: „რუსთ ხელმწიფესთან მ ა მ ა ო ბ ს“ 59), ე ნ ა ო ბ ა (ენის მიტან-მოტანა: „ე ნ ა ო ბ თ და ჩხუბსა სთესავთ“ 87), ს ა მ ა რ თ ლ ო ვ ა ნ ი (სამართლიანი), თ ა ვ მ დ ა ბ ლ ო ვ ა ნ ი (თავმდაბალი), მ ბ ა ქ ვ ე ლ ი (ბაქია: „დასაბაქველი მ ბ ა ქ ვ ე ლ მ ა ნ არც აგრე უნდა ბა-

ქოსა“ 152), წაუხდომარე, საყნოსარე, მწადე, და სხვ. საინტერესოა, აგრეთვე, შრტო, რომელიც მიღებულია „რტო“ და „შტო“ სახეობების შერწყმით (კონტამინაციის წესით).

გურამიშვილის ენაში არქაული (ძველი ქართული სალიტერატურო ენის) ლექსიკონიდან გვხვდება შემდეგი სიტყვები: მორჩი, მტილი, მუქაფა, მუშკი, მჭრქალი, უგბილი, უდები, ხლდომა, ხორშაკი, ხნარცვი და სხვ.

ცოცხალი მეტყველებიდან პოეტს აღებული აქვს შემდეგი სიტყვები: აბუჩი (დაუპატიჟებელი სტუმარი), ალაბულა (ჩალანარევი ბეწვი) ანძალა (ენძელა) ბაბანი (კანკალი სიცივისაგან), ბაკანი (ხის ჯამი), ბალა-ჩალა (ჩალა), ბარჯი (კაპიანი ჯოხი), ბერა (შუაგასავლელი მეწველთა შუა), გალი (უშტოო ხე), გოზაური (დიდი საღვინე), გოლი (თაფლის პური), გულყო (ყელზე გადასაცმელი მახე), დაყმედილი (მომშეული), თბილთაჯა (ჯავახური პური), კაბდო (საფარცხე ფიცარი), ლილო (თოლჭრელი, აქა-იქ გამდნარ-აღებული), შანგალი (ნამგალი), მარი (გამშორდი, გამეცალე), მაწაწური (ქვევრის ამოსახოცელი), ტორუა (ტოროლა), ჩირდილი (ჩრდილი), წინწკალი (ნაპერწკალი), ხალი (მოხალული მარცვალი), ხიდილი (გახიდული).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დიალექტური ლექსიკის ზემომოყვანილი ნიმუშებიდან ზოგი სიტყვა არქაული სალიტერატურო ლექსიკის კუთვნილებაცაა, მაგრამ აქ ჩვენთვის ისაა საყურადღებო, რომ ეგ სიტყვები ცოცხალი იყო (ამჟამადაც იხმარება) იმ დიალექტებში, საიდანაც ისრუტავდა ჩვენი პოეტი სიტყვობრივ მასალას და ამით ამდიდრებდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონს.

ასეთია დ. გურამიშვილის ენის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. დიდი პოეტი ქართული ენის ღრმა მცოდნეა. მდიდარია მისი ლექსიკონი, მთელი სიგრძე-სიგანითაა გადაშლილი „დავითიანში“, ქართული ენის ამ უბრწყინვალეს ძეგლში, ჩვენი მეტყველების გრამატიკული ფორმები, დახვეწილი და ლაპიდარუ-

ლია სტილი, დიდი შემოქმედებითი ძალით გამოვლენილია ენის შინაგანი შესაძლებლობანი როგორც გრამატიკის, ისე ლექსიკის დარგებში. გურამიშვილი არ ღალატობს ქართული საერთო-სახალხო ენის კანონზომიერებას, მის მიერ გამოყენებული ენობრივი ინვენტარი დაფუძნებულია საერთო ეროვნული ენის სტრუქტურაზე.

დ. გურამიშვილმა თავისი უკვდავი „დავითიანით“ სამართლიანად დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა

„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნისა“.

ი ლ ი ა.

ილია ჭავჭავაძეს იონა მეუნარგიამ ჩვენი ენის კანონმდებელი უწოდა. ეს შეფასება, შეიძლება ითქვას, კარგი გამოხატულებაა ილიას დროინდელი საზოგადოებრივი აზრისა, დამადასტურებელი დაუფასებელი ამაგისა, რომელიც დასდო ქართული მწერლობის დიდმა მოჭირნახულემ სალიტერატურო ენის განვითარებას. ენის კანონმდებელია ილია ჭავჭავაძე არა იმ გაგებით, რომ მან შეიმუშავა რაიმე თეორიული, გრამატიკული სისტემა ანდა თავისებური სალიტერატურო ნორმები. არა, ილიას მიერ არჩეულ გზაკვალს სხვებიც მიჰყვებოდნენ და, როგორც ისტორიამ დაადასტურა, ეს გზა სავსებით გამართლებულია მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის შინაგანი კანონზომიერების თვალსაზრისით. ილია ჭავჭავაძემ — აკაკი წერეთელთან ერთად — სათავე დაუდო თანამედროვე სალიტერატურო ენის აღნაგობას.

დიდი ილია ემყარებოდა იმდროინდელი ლინგვისტური მეცნიერების საფუძვლებს, კარგად იცნობდა შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიას. ქართული ენის მეცნიერული ანალიზი, ილიას აზრით, საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ჩვენი ხალხის ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება. ცნობილია, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება ისეთ სიტყვებს, რომლებიც წყლის გაგებას შეიცავენ და ყრუდ გვანიშნებენ ქართველთა პირველსაცხოვრისის პირობებს. წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება, ილიას დაკვირვებით, საინტერესო ლექსიკური ერთეულებია, „ცოცხალი მოწმე“ იმ დროისა, როდესაც „პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყო-

ფილა, რომ „წყალობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია“. ანდა: „ქალის გათხოვება, მითხოვება... გვეუბნება, რომ უწინდელი ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია“ (თხზ., ტ. 5, გვ. 97-98). ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მეტად საგულისხმოა ი. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაც... მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახვა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით“.

ი. ჭავჭავაძისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის სიმდიდრე. ჩვენი ენის განსაკუთრებულ თვისებად იგი ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებას მიიჩნევდა, ყურადღებას მიაქცევდა კაუზატიური ფორმის თავისებურებას და სამართლიანად დასძენდა, რომ სხვა ენებში შეუძლებელია ერთი სიტყვით გამოიხატოს, მაგალითად, „წავაღებინებ“, „გადააზომინა“ და მისთანანი. ასევე მნიშვნელოვან თავისებურებად თვლიდა ილია იმ გარემოებას, რომ ქართულში მეტყველების ყველა ნაწილი იბრუნვის. მას მოჰყავს მშვენიერი მაგალითები ზმნიზედის, თანდებულის, ზმნის, შორისდებულის ბრუნვის ფორმებისა.

ილია ჭავჭავაძეს მაშინ მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული იყვნენ არქაისტები. როდესაც ლაპარაკია გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ არქაისტთა შესახებ, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი. ისინი (ქართველი არქაისტები) განსხვავდებოდნენ ევროპული ტიპის კონსერვატორი მწერლებისაგან (აქ იგულისხმება, უწინარესად, ენისა და სტილის სფერო): თუ, საერთოდ, არქაისტებისათვის დამახასიათებელია კონსერვატორული ენობრივი ფორმების გაბატონება თანამედროვე ენაში, ჩვენი არქაისტების სამწერლო პრაქტიკაში ამას ემატებოდა ხელოვნურად შეთხზული ენობრივი ნორმების გამოყენება, ისეთი გრამატიკული ნორმებისა, რომლებსაც რეალური საყრდენი არ ჰქონია ენის განვითარების არც ერთ ეტაპზე. ეს იყო XVIII საუკუნის გამოჩენილი გრამა-

ტიკოსის — ანტონ პირველის მიერ გამომუშავებული ხელოვნური ფორმები, რომლებიც ასი წლის მანძილზე გაბატონებული იყო ქართულ მწერლობაში. ბევრი ფორმა, შემოტანილი ჩვენს სალიტერატურო ენაში, ანტონის გამოგონილია, არქაული კი არაა, ხელოვნურად შექმნილია. ქართველ რომანტიკოსებთან, მაგალითად, ქართული მორფოლოგიისათვის არა ერთი ასეთი შეუფერებელი ფორმა დიდ მოწონებაში იყო. გარდა ამისა, ისიც სიმპტომატურია, რომ ქართველი არქაისტებისათვის მისაბაძი იყო იოანე პეტრიწის ხელოვნური და მძიმე ენა! და არა იმდენად ძველი ლიტერატურის კლასიკური ენობრივი ძეგლები. რა თქმა უნდა, ამ პრინციპებზე აგებული სალიტერატურო ენა არ ასახავდა ჩვენი ენის ბუნებრივ განვითარებას. დიდი შემობრუნება იყო საჭირო, რათა აღდგენილიყო ენის ევოლუციის გეზი და სალიტერატურო ენა წარმართულიყო დემოკრატიზაციის გზით.

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მძიმე ტვირთი იკისრა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეოდალურ-კლერიკალურ ლიტერატორებთან პოლემიკის გაშლა არცთუ ისე იოლი საქმე იყო, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. არქაისტების შეხედულებებს ადასტურებდა საკმაოდ ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიცია. რომანტიკოსი მწერლების პოეტური ენის პრაქტიკა; „მამების“ თვალსაზრისს თეორიული საყრდენი ჰქონდა ლოგიცისტური გრამატიკული სისტემისა და საშუალო საუკუნეების თეოლოგიის საფუძვლებში; ე. წ. „სამი სტილის“ თეორიას, რომელსაც ისინი ეყრდნობოდნენ, დიდი გასავალი ჰქონდა მთელ მსოფლიოში.

დრომოჭმულ ენობრივ ნორმათა უკუგდების აუცილებლობა და თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმალიზაციის ინტერესები დღის წესრიგში აყენებდნენ ტრადიციული თვალსაზრისის კრიტიკას, არქაისტების მეთოდოლოგიის თეორიულ დაძლევას, ერთი მხრივ, და ახალი სამწერლო ენის შენებას, ახალი ნორმების დამკვიდრებას, მეორე მხრივ.

---

1 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, გვ. 020).

ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ლიტერატურული ნორმების განდევნა, ხალხურ მეტყველებასთან დამოკიდებულება, უცხოური (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, ტერმინოლოგიის მოწესრიგება — აი, წრე ძირითადი მნიშვნელობის საკითხებისა, რომლებიც დაისვა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის წინაშე.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში ილია ჭავჭავაძეს გვერდში ედგა აკაკი წერეთელი, მეორე დიდი მოამაგე და მოჭირნახულე ქართული ენისა, ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეორე დიდი მედროშე და სულისჩამდგმელი. აკაკი წერეთელი — ილია ჭავჭავაძესთან ერთად — არა მხოლოდ ლიტერატურული პრაქტიკით ახორციელებდა საერთო ეროვნული ენის პრინციპებს, არამედ თეორიულადაც ასაბუთებდა ახალი ენობრივი პოლიტიკის ძირითად დებულებებს. ენის სფეროშიაც ილია და აკაკი საქართველოს განუყრელი ბუმბერაზები არიან.

არქაისტების თეორიულ ქვაკუთხედს წარმოადგენდა ე. წ. „სამი სტილის“ თეორია, რომელსაც ფესვები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჰქონდა, ხოლო აღორძინების ეპოქაში მან საყოველთაო გავრცელება ჰპოვა. ჩვენში ეს თეორია ანტონ პირველმა გადმონერგა. რას ნიშნავს „სამი სტილის“ თეორია? ამ მოძღვრების თანახმად, არ არსებობს ერთი სალიტერატურო ენა, არ შეიძლება ერთი და იმავე სახის ენით ვიმსჯელოთ სხვადასხვა საგანზე. მაგალითად, ღვთისმეტყველებას შეეფერება „მაღალი შტილი“ — აღზევებული, მაღალფარდოვანი ენა; ყოველდღიური სასაუბრო მეტყველება „დაბალ შტილს“ (ასეთია, მაგალითად, გლეხთა ენა); ისტორიული ხასიათის თხზულებათათვის „საშუალო შტილია“ შესაფერისი. სხვაგვარი ტერმინოლოგიით, არსებობს ეკლესიური, დარბაისლური და გლეხური ენა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში თავი იჩინა ერთგვარმა რევიზიონისტულმა შეხედულებამ: სალიტერატურო ენის ქვაკუთხედად გამოცხადდა „საშუალო შტილი“, ე. ი. „დარბაისლური მეტყველება“. გლეხთა ენა „მდაბალი კატეგორიებისთვისაა“ განკუთვნილი!

ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან ხალხური მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად

და ამით რადიკალურად დაუპირისპირდა ტრადიციულ თვალსაზრისს. ეს იყო გაბედული რევოლუციური ნაბიჯი, რასაც მოჰყვა მწვავე რეაქცია ძველი თაობის ლიტერატორთა მხრივ. პოლემიკა გაიშალა „მამების“ ორგანოში — ჟურნალ „ცისკარში“.

სჭოლასტიკური ფილოსოფიის საფუძვლებზე აღმოცენებულმა „სამი სტილის“ თეორიამ მარცხი განიცადა. ი. ჭავჭავაძემ თავის უფლებებში აღადგინა ახალი სალიტერატურო ენის სტრუქტურა, რომელიც საწყისებს სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სამწერლო ენაში პოულობდა, გაამრთელა ის ხაზი, რომელიც გაწყდა XVIII საუკუნეში ანტონისეული გრამატიკული სკოლის მეოხებით.

ახალი სალიტერატურო ენის შენება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ორთოგრაფიის რეფორმას. ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ასოები, ჲ, ჯ, ჱ, ჯ, ჭ, რომლებიც ძველი სალიტერატურო ენის ფონეტიკურ სისტემას შეეფერებიან, შეუფერებელია ახალ ენაში. არქაისტები თავგამოდებით იბრძოდნენ ანბანის გამარტივების წინააღმდეგ, ზემოხსენებული ასოების განდევნა წიგნის ენიდან მათ მიუტევებელ შეცოდებად მიიჩნიეს. დასაბუთება ასეთი იყო: თუ, მაგალითად, ჯ ასო განდევნეთ, მაშინ როგორღა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ჯელი (გიჟი) და ხელი (ადამიანის სხეულის ნაწილი)? ეს არგუმენტი უსუსურია: ყოველთვის გადამწყვეტია კონტექსტი, სწორედ კონტექსტს ენიჭება ენაში სადიფერენციაციო მნიშვნელობა; განა ომონიმები ჩვენს მეტყველებაში ბადებენ რაიმე უხერხულობას? ენათმეცნიერების ეს კანონი კარგად იცოდა ილიამ, როდესაც უპასუხებდა თავის მოკამათეს: „თუ ეგრე არის, მაშ დაარიგე (ქაღალდის დარიგება) და დაარიგე (დარიგების მიცემა) სხვადასხვა „დ“-ებით უნდა დაიწეროს? ააგეთ (ააშენეთ) და ააგეთ (ვთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს? გავეცი (მითომ სხვას მივეო) და გავეცი (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს? ესე რომ მიჰყვეთ, ათას სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენი თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელი იქნებიან“. როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე ყოველთვის მეცნიერულ თვალსაზრისზე დგას.

ი. ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო სალიტერატურო ქართულის

ლექსიკური შედგენილობის შევსებას ახალი ცნებებითა და ტერმინებით. მან დაამკვიდრა ქართულში ბევრი სიტყვა, რომლებიც სამუდამოდ შევიდნენ ჩვენი ენის ლექსიკურ ფონდში. ასეთებია, მაგალითად, შინაარსი, აგებულება, სინამდვილე, მიმართულება, ღირებულება, ზეგარდმო, შთაგონება, განყენებულება, აღებ-მიცემობა, გაკვრით და სხვ.

როგორაა შექმნილი ეს სიტყვები? ცნობილია, რომ, საერთოდ, სავსებით გამოგონილი სიტყვები არ არსებობს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც კლასიკურ მაგალითადაა მიჩნეული, არის „გაზი“, მისი შემუშავება მიეწერება XVIII საუკუნის ერთ ჰოლანდიელ ქიმიკოსს. მაგრამ არც ესაა მთლად „ციდან ჩამოვარდნილი“ სიტყვა: იგი შედგენილია გერმანული „გაისტის“ (სული) შორეული რემინისცენციით. ნეოლოგიზმი ენაში ფეხს მოიკიდებს, თუ იგი შემუშავებულია ენის მორფოლოგიის წესების მიხედვით, ენაში უკვე არსებული მასალის საფუძველზე. ასე, მაგალითად, ენაში არსებობდა „არსი“ და „შინა“, მაგრამ მათი კომბინაცია, შეერთება, რომელიც ახალ ცნებას გამოხატავს, ილიამდის არ იყო ცნობილი („შინაარსი“). რაკი ილია ითვალისწინებდა ქართული მორფოლოგიის კანონზომიერებას, მის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმებიც გავრცელდნენ ენაში.

ილია ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საერთაშორისო სიტყვების დანერგვას ჩვენი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. არქაისტები ილიას უკიჟინებდნენ, რომ მან პირველად იხმარა თავის საპოლემიკო სტატიაში ინტერნაციონალური სიტყვები „ორიგინალი“, „სენტიმენტალური“ და სხვ. ილია სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ ენაში აუცილებელია საერთაშორისო სიტყვების დამკვიდრება, ისეთი სიტყვებისა, რომელთა ეკვივალენტი ჩვენს ენას არა აქვს; ვერც ერთი კულტურული ენა ვერ ასცდება უცხოურ სიტყვებსო. აი, რას წერდა ილია ბარბარე ჯორჯაძის მისამართით: „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს... არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ... თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა,

პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოღიკა და სხვანი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება. ის სცრუობს, — რომელიც ძრახავს მაგგვარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (თხზ., 1941, ტ. II, გვ. 34-35). ი. ჭავჭავაძემ, ამასთანავე, ისიც კარგად იცოდა, რომ უცხოური სიტყვების მოზღვავება ენაში დასაგმობია; არა ღირს სიტყვაგამოთქმის დამკვიდრება, რომლის ბადალი, ძირეულად ქართული სიტყვა ენაში მოიპოვება. ილია სასტიკი მტერი იყო ბარბარიზმებით ენის დანაგვიანებისა. აი რას ამბობდა იგი: „მე „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისათვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში“ (ტ. II, გვ. 434). სავსებით სწორი დებულებაა. გავიხსენოთ დიდი ლენინის აზრი უცხოური სიტყვების თაობაზე. ცნობილია, რომ ლენინი სასტიკად ილაშქრებდა რუსულ ენაში ისეთი საერთაშორისო სიტყვების შემოტანის წინააღმდეგ, რომელთა შესატყვისი მდიდარ რუსულ ენას გააჩნდა ძირეულად რუსული სიტყვების სახით.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძეს სახელმძღვანელო დებულება აქვს გამოთქმული ქართულ ენაში ინტერნაციონალური ლექსიკური ერთეულების დამკვიდრების შესახებ.

ი. ჭავჭავაძე დაუღალავად ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდისათვის. იაკობ მანსვეტაშვილი წერს: ილია ჭავჭავაძე „მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს, ქართულობას, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ — უყვარდა ხშირად ამის გამეორება, ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისაგან“[1]. თუ რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ილია თავისსავე ნაწერებს ენის სიწმინდის თვალსაზრისით, კარგად ჩანს მისი რამდენიმე ნაწარმოების ხელნაწერი ნუსხებისა და ვარიანტების ტექსტუალური ანალიზიდან[2]. ახალი სალიტერატურო ენის ფორმირებამ სავსებით ბუნებრივად წარმოშვა სიძნელენი, რომელთა გადალახვა ჩვენი ენის მესვეურთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ოთხმოცდაოთხმოცდაათიან წლებში ერთგვარი სიჭრელე დაეტყო სამწერლო

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 77.

[2] ეს შედარებითი ანალიზი მოცემულია პრ. კეკელიძის წიგნში: „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“, 1952, გვ. 75—76.

ენას, მოსაწესრიგებელი იყო ნორმების საკითხი, ენის ნორმალიზაცია მთელ რიგ მტკივნეულ კითხვებს აყენებდა. აქაც ილიას ვამჭრიახი გონება იყო საჭირო.

ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ მწერლობას, სიტყვაკაზმულ ხელოვნებას დიდი როლი შეუძლია შეასრულოს საერთო ეროვნული ენის შექმნაში. ამიტომ იყო, რომ იგი სწორედ მწერლობისაგან მოითხოვდა ენის სიწმინდის დაცვას, ენის ფენომენის ღრმად შესისხლხორცებას, სიტყვისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოკიდებას. „ჩვენ მარტო ეს ვიცით ძალიან კარგად, — ამბობდა ილია, — რომ ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა, ესეც კარგად ვიცით, რომ ლიტერატურის განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოიანი“.

ილია სავსებით კატეგორიულად ამბობდა, რომ „ნიჭიერი მწერალიც ამისათვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოიჩინოს ხოლმე“. მოვიგონოთ ეს სიტყვებიც: „ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ... ძვირფასი თვისება ჩვენის ენისა როგორ უნდა დაიძრახოს წინდაუხედავად თეორეტიკის ზღაპრებით! როგორ უნდა დაუკარგოთ ეგ უკეთესი თვისება ჩვენს ენას! ცოდვაა, სასიკვდინო ცოდვაა მაგგვარი წინდაუხედავი მასხარაობა ლიტერატურაში ენაზედა და ენის უკეთეს თვისებაზედ!“ — ასე მიმართავდა ილია ენობრივი კონსერვატიზმის მქადაგებელთ.

ძნელია პატარა წერილის ფარგლებში ჩასტიო იმ დიდი ღვაწლის დახასიათება, რომელიც მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. აქ ჩვენ სრულიად არ შევხებივართ ილიას ნაწერების ენას, არ გვიჩვენებია, თუ რა ხორცშესხმა განიცადა ილიას თეორიულ-ენათმეცნიერულმა იდეებმა მისსავე ლიტერატურულ ქმნილებებში, რა საფეხურზე აიყვანა მან ქართული საერთო ეროვნული ენა და ამით სამარადჟამოდ აღბეჭდა თავისი სახელი ჩვენი დედაენის განვითარებაში.

●

ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, წინაშე იმთავითვე მწვავედ დაისვა ქართული

ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის პრობლემა. ახალი ქართული სამწერლო ენის სტრუქტურის დამკვიდრება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ლექსიკონის გადახალისებას და იმ დრომოჭმული სიტყვობრივი მასალის უკუგდებას, რომელიც სათავეს არქაულ ლექსიკაში პოულობდა. იმდროინდელი ქართული ლიტერატურის მასაზრდოებელი წყარო ძველ საუკუნეებში შემუშავებული ლექსიკური მარაგი იყო, ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე სიტყვებსა და გამოთქმებს მწერლობაში გზა გადაკეტილი ჰქონდა; არქაისტები თავგამოდებით ებრძოდნენ ისეთი ლექსიკური ერთეულების შემოტანას მწიგნობრულ ენაში, რომლებიც ნიშანდობლივი იყო ე. წ. „მდაბიური მეტყველებისათვის“ და არ ეგუებოდნენ ტრადიციული ლექსიკის ტრაფარეტს. ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგიის წარმომადგენლები აღიარებდნენ „მაღალი შტილის“ ფორმების დანერგვას და ენის დაქვეითების საწინდრად მიიჩნევდნენ ხალხური ძირეული სიტყვების ამოტივტივებას მწერლობის ენაში.

ახალი სალიტერატურო ენის კანონიზაციის ინტერესი მოითხოვდა, ერთი მხრივ, თეორიულად დასაბუთებულიყო არქაიზებული სიტყვიერი ფონდის დრომოჭმულობა და, მეორე მხრივ, ლიტერატურული პრაქტიკის გზით განხორციელებულიყო ქართული ენის ლექსიკის დემოკრატიზაცია. ეს ძალიან რთული პროცესი იყო, და ილია ჭავჭავაძემ ამ მიმართულებით მეტად გაბედული ნაბიჯები გადადგა.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ, ილიას აზრით, ლექსიკაზე დაკვირვება, ძირეულად ქართული სიტყვების ანალიზი საგულისხმო დასკვნებს გამოგვატანინებს ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ; ბევრი ქართული სიტყვა „ცოცხალი მოწმეა“ გარდასული საუკუნეებისა, უტყუარი დამადასტურებელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილი საფეხურებისა. ამგვარი ისტორიული მიდგომის მშვენიერი ნიმუშია ისეთი სიტყვების ანალიზი, რომლებიც აგებულია „წყალ“ ფუძეზე. „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობლები არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მოწყალე. შემიწყალე, მოწყალება“, — ამბობს ილია. — აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ

პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი, ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია! აკად. ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, „ეს საუცხოო და გონებამახვილი დაკვირვებაა“!

ასეთივე გონებამახვილურია სიტყვების — „მიცვალება“, „მიცვალებული“, „გათხოვება“-„მითხოვება“ გაგება. განა ამგვარივე არ არის „სიტყვა მ ი ც ვ ა ლ ე ბ ა, მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ი, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავებას, არამედ გ ა რ დ ა ც ვ ლ ა ს, სხვა სახედ გადასვლას? ნუთუ ამაში გონების ხელმოსაკიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია?“ ან „ქალის გ ა თ ხ ო ვ ე ბ ა, მ ი თ ხ ო ვ ე ბ ა განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია? განა ეს სიტყვები არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლ-ქმრობის შესახებ?“ (1889 წ., აი ისტორია. თხზ., ტ. V, გვ. 98).

პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში გვაქვს მთელი რიგი რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომლებშიც მონაწილეობს სიტყვა „დედა“. „ქართველებისათვის დ ე დ ა მარტო მშობელი არ არის. — ამბობს ილია. — ქართველი ღვიძლს ენასაც დ ე დ ა-ე ნ ა ს ეძახის, უფროსს ქალაქს — დ ე დ ა-ქ ა ლ ა ქ ს, მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას — დ ე დ ა-ბ ო ძ ს, უდიდესს და უმაგრესს ბურჯს — დ ე დ ა ბ უ რ ჯ ს, სამთავრო აზრს — დ ე დ ა ა ზ რ ს, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა ს. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი“ (1898 წ., პატარა საუბარი, თხზ., IX, გვ. 245).

დიდად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ სიტყვების თაობაზე, რომლებიც შინაარსობრივად გამოიფიტნენ, გაღარიბდნენ და ვეღარ გამოხატავენ მათში ჩაქსოვილ ცნებას. ამგვარი სიტყვა, ილიას რწმენით, ჩვენი დღევანდელი ენის დაქვეითების მომასწავებელია და ამიტომ საჭიროა ზრუნვა მათი ისტორიული უფლებების აღდგენისათვის. „დ ა დ ნ ა ს ა გ ა ნ ი, დ ა დ-

ნა სახელიცა“ — ამ ფორმულით მონათლა ილია ჭავჭავაძემ ცნებაგაღარიბებული სიტყვები, რომლებიც მჭევრმეტყველური დადასტურებაა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დაკნინებისა და გადაგვარებისა. ასეთია, მაგალითად, სიტყვა მამული. „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი მიწა წარმოუდგენია ხოლმეო“, ამბობს ილია. ეს ზოგადი ცნების, სამშობლო ქვეყნის, აღმნიშვნელი სიტყვა გამოიფიტა, დავიწროვდა და ამ პროცესს ილია ჭავჭავაძე უკავშირებს იმ იდეის გაქრობას, რომელიც ჩამარხულია ხსენებულ სიტყვაში. „მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელი-ღაა“ (1876, საქართველო, თხზ., IV, გვ. 155).

ამ ამონაწერის ქვეტექსტი არაა ძნელი მისახვედრი და, ამდენად, ზემოხსენებული მსჯელობა არ შეიძლება გავიგოთ როგორც ტერმინის ვიწრო ლინგვისტური ინტერპრეტაცია.

სწორედ დიდმა ილიამ აღადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა „მამულის“ ადრინდელი გაგება და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც „სამშობლოს“ სინონიმი.

ფორმულის — „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“ მშვენიერი დადასტურებაა აგრეთვე ქართული სიტყვა დედაკაცი. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ეს მშვენიერი სიტყვა „დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა... დღეს დედა-დედაკაცი კი არ არის, ქალია... დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელიღაა, თითქოს „კაცი-დედა“ მარტო მათღა შერჩენიათ... დღეს „დედაკაცი“ რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: „მე ქალი ვარ და არა დედაკაციო“, თითქოს ქართული „დედაკაცი“ და რუსული „баба“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმო-

საწონებელი! „დედაკაცი“ — ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად“ დავადნეთ!... ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!“ („პატარა საუბარი“).

ეს მსჯელობა კომენტარს არ საჭიროებს.

უაღრესად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის „მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც“ (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი).

ასე, მაგალითად, ილია არკვევს ა ჩ უ ა სიტყვის წარმოშავლობას და ამბობს: „ვთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა ა ჩ უ ა. საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად acva, ზენდურად aspa, ლათინურად equus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa ცხენს ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“ (თხზ., V, გვ. 22).

ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მეტად საგულისხმოა ი. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაც... მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახვა, თუ რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით“!

ილია ჭავჭავაძე მეთოდოლოგიურად უთუოდ მყარ ნიადაგზე იდგა, როდესაც მოითხოვდა ინტერნაციონალური ლექსიკის დანერგვას ჩვენს ენაში. ყოველი კულტურული ენა ივსება და მდიდრდება საერთაშორისო ტერმინებით, რომლებიც ზუსტად და ზედმიწევნით გამოხატავენ სათანადო ცნებებს. ძველი თაობის წარმომადგენლები ილიას უსაყვედურებდნენ, როგორც ზემოთ ითქვა, რომ მან პირველმა, შემოიტანა ჩვენ ქართულში მთელი რიგი უცხოური სიტყვები. „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ენას არ დაამდაბ-

ლებს, თუ არ აამაღლებსო“ აცხადებდა ილია, ორიგინალური, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები... მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს..., არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ“ (1861 წ. თხზ., IV., გვ. 57). ილიას დაუწუნეს, მაგალითად, სიტყვა „კრიტიკის“ შემოღება. ილია ამბობდა, რომ „ამის თანასწორ-მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ... „კრიტიკა“ არის განხილვაც, გაჩხრეკვაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“. ილია, ამავე დროს, იმასაც მიუთითებდა, რომ მრავალი სიტყვაა ქართულში დანერგილი აღმოსავლური ენების გავლენით, — ისინი ჟამთა ვითარებაში შეიწოვა ჩვენმა ენამ, გავრცელდა და საბოლოოდ შეესისხლხორცა ენის ორგანიზმს. ასევე ბუნებრივი და ორგანული გახდება ქართული ლექსიკონისათვის ევროპის ენებიდან მომდინარე ინტერნაციონალური სიტყვებიო, სავსებით სამართლიანად დაასკვნიდა დიდი ილია. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სიტყვების დანერგვის აუცილებლობა ილიამ დაასაბუთა ქართული ლექსიკის ისტორიული განვითარების ფონზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის საერთაშორისო ტერმინების შემოღება არ ნიშნავს საკუთარი სიტყვიერი მასალის უგულებელყოფას. თუ ენის ლექსიკურ დაფენებაში მოიძებნება რომელიმე საერთაშორისო სიტყვის ეკვივალენტი, საჭიროა მისი ამოტივტივება და დანერგვა, ეს დებულება კარგად ჰქონდა შეგნებული ილია ჭავჭავაძეს. ასე, მაგალითად, იგი ამბობდა: „ღ ა ლ ა ს ჩვენს წერილებში იმ აზრით ვხმარობთ, როგორც რ ე ნ ტ ა ო“. მიწის ნაკვეთს გერმანიაში მორგენობით ანგარიშობენ. ილია ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „მ ო რ გ ე ნ ი დილაა ნემეცურად. როგორც ჩვენში ერთ დღეს მოიხვნის, ერთ დღიურს ეძახიან და უდრის ჩვენს ნახევარ დღიურს“.

ილია ჭავჭავაძე სასტიკად გმობდა ამა თუ იმ ტერმინის შემუშავებას სხვა ენის შესაბამისი ტერმინის ბრმა თარგმანის გზით. მაგალითად, მას არ მოსწონდა „უარმყოფელობა“, რომელიც რუსული отрицание-ს მაგალითითაა შედგენილიო. „უარმყოფელობა“, ილიას აზრით, „არას“ თქმაა, ანუ — მდაბიოდ რომ მოგახსენოთ, ჩვენებურად, ქართულად — ჰაშას კვრა და სხვა არაფერი“. ეს სიტყვა (აშას კვრა) მან ერთ-ერთ წერილში იხმარა: „გვიანღაა ასეთი ა შ ი ს კ ვ რ ა და მით უფრო განსაცვიფრებელი, რომ სწორედ იმა-

ვე ნომერში, საცა ამ ჩვენის დროების რაინდს ჩათუქესნობას უქებენ, ამ საგანზე არა სწერია“ (1893 წ.)[1]. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ილიას მსჯელობა ტერმინ „მონახევრობის“ შესახებ. მოვუსმინოთ მწერალს: „იმგვარს ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწათმოქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრობას“ ეძახიან, ჩვენში კი „წილზედ-ჭერას“ იტყვიან“. ილია იძლევა ევროპული ტერმინის ახსნას: „სიტყვა მ ო ნ ა ხ ე ვ რ ო ბ ა ევროპაში წარმოსდგა იქიდან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილად — ღალა ნამუშევრის ნახევარი იყო“. დღევანდელი გაგება ამ ცნებისა სხვაა. ილია განაგრძობს: „ეხლა კი ეგ სახელი საზოგადოდ წ ი ლ ზ ე დ-ჭ ე რ ას ჰქვიან, ნახევარი იქნება, მესამედი, თუ მეოთხედი — სულ ერთია“. ილიას ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილად მიაჩნია ვიხმაროთ ტერმინი „წილზედ-ჭერა“ (თხზ., VIII, გვ. 12).

ილია ჭავჭავაძე მკაცრ მომთხოვნელობას იჩენს მეცნიერული ტერმინოლოგიის დარგში და თავის პოლემიკურ წერილებში ხშირად მოკამათეებს უკიჟინებს ამა თუ იმ სიტყვის შინაარსობრივი დიფერენციაციის გაუთვალისწინებლობას, ტერმინის არასაკმარისი სიზუსტით გამოყენებას. მართალია, „ლექსიკონი ვულგარულს, თუ უკაცრაოდ არ ვიქნები, ქუჩურს მნიშვნელობასაც სიტყვისას ანგარიშს უწევს, მოვალეა ამ მხრითაც სიტყვა ახსნას“, მაგრამ „სიტყვა მარტო ამ მნიშვნელობით საგულისხმოა?“ ილია მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან რომელიმე სიტყვის გამოყენებას ჩვეულებრივს სიტყვახმარებაში და იმავე სიტყვის ხმარებას მეცნიერული ტერმინის მნიშვნელობით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, ილიას შენიშვნა სიტყვა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გამო. იგი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა „საყოველდღეო, საყოველ-პურო, საუბარში ხშირად იხმარება ვითარცა ფულადი ქონება ადამიანისა“. მაგრამ ეს არ არის „მეცნიერული მნიშვნელობა ამ სიტყვისა...“ დებულების საილუს-

---

[1] შდრ. ს. მგალობლიშვილი: „ერთმა გიდმა კნიაზმა ა შ ა მ კ რ ა ს ა ს თუმანზე! მითხრას, თურმე შენი არა მმართებს-რაო“ (თხზ., II, გვ. 22).

„აშა“ არაბულია წარმოშობით და ნიშნავს: „ღმერთმა დაიფაროს“, „ღმერთმა, ნუ ქნას“, რაც იგივე უარყოფაა.

ტრაციოდ მწერალი აქ სავსებით მოხდენილად იმოწმებს კარლ მარქსის გენიალურ თხზულებას: „განა იგი „კაპიტალი“, რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა, და ეს საყოველ-პუროდ ხსენებული „კაპიტალი“ ერთი და იგივეა?“ (1900 წ. ახალი უმეცრებანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი, თხზ., IX, გვ. 141).

ილია ჭავჭავაძეს სწორი მოსაზრება აქვს გამოთქმული სიტყვათა მეცნიერული განმარტების თაობაზე. იგი, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლექსიკონი მოვალეა აღნუსხოს ლექსიკური ერთეულის — სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში.

განუზომელია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დარგში. იგი აქტიური წევრი იყო ტერმინების შემმუშავებელი კომისიისა და მის ავტორიტეტულ სიტყვას მეცნიერებისა და ტექნიკის ცნებათა ქართულად დადგენაში მუდამ ანგარიში ეწეოდა. საინტერესოა მიმდინარეობა ტერმინოლოგიური კომისიის ერთი კრებისა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართული ენის მოჭირნახულე ჩვენი სახელოვანი მწერლები. აი ამ კრების მსვლელობაც: „20 ნოემბერს 1882 წ. ტფილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში შესდგა კრება, თ. რაფ. ერისთავის თავმჯდომარეობით. ბ. ღულაძემ მოახსენა კრებას, რომ ამ საღამოსათვის უნდა ყოფილიყო სჯა არითმეტიკაში და ფიზიკაში სახმარს ტერმინებზე. ეს ტერმინები მე კიდეც შევკრიბეო.

გაიმართა ბაასი იმის თაობაზე, თუ როგორ შესდგომოდნენ ტერმინების შემუშავებას. თ. რაფ. ერისთავი, აკ. წერეთელი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ საჭირო არის თავიდან შევიტყოთ, თუ რა და რა ტერმინები გვაქვს ჩვენს ქართულს ენაზედ ძველ წიგნებში ნახმარი, რომელნიც ახლა დავიწყებული არისო.

ამათ წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ ბ. ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, მაჩაბელი, ღულაძე. ესენი ამტკიცებდნენ: თუ აგრე შევუდექით ჩვენ საქმეს, შორს წავაო და სარგებლობა კი დიდი არ იქნებაო, რადგან შეიძლება ჩვენ ძველ წიგნებში ის სიტყვები ცუდად იყოს ნახმარი, რომელნიც ჩვენ გვეჭირვებაო. ამისთვის უმჯობესი არის,

კრება აქიდანვე შეუდგეს ტერმინების შემუშავებას და დრო არ დაკარგოს ძველის წიგნების ჩიჩქნაშიო.

ბოლოს კრება დათანხმდა ბ. ჭავჭავაძის აზრს და შეუდგა საქმეს. ტერმინების შერჩევა დაიწყო არითმეტიკიდან“ („შრომა“, 1882. № 46, გვ. 3).

ბევრზე ბევრი სიტყვა გადმოაქართულა ილია ჭავჭავაძემ რუსული ენიდან. მის ნაწერებში გაბნეულია ქართულ-რუსული შესატყვისობანი, რუსული სპეციალური ტერმინების ქართული შესაბამისი სიტყვები, რომელთა დამკვიდრება ილიას მიზანშეწონილად მიაჩნდა[1]. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი პარალელური რიგები: ადგილობრივი თვითმმართველობა—местное самоуправление, ალებ-მიცემობა—обмен, ერთობა—земство, ეროვნება—народность, თვითმმართველობა—самоуправление, მომრიგებელი შუამდგომელი—мировой посредник, მოხელე—чиновник, რწმუნება—вскрование, საკომლო—надел, სოფლობა—сход, ქცევა საქონლისა—обращение товаров, ღირებულება—ценность, ცალი—единица, ცილება—соперничество, წვრილმანი დანაშაული—маловажные проступки, ხელთმოქმედება—промышленность, производство, და სხვ. ამგვარი ნიმუშები დაახლოებით 85-მდეა ილიას ნაწერებში. რა ვუყოთ, რომ ამ 85-დან ზოგიერთმა ტერმინმა ენაში ვერ მოიკიდა ფეხი, — ახალი ტერმინების შექმნა საერთოდ დიდად საძნელო რამ არის, — მთავარი ისაა, რომ მრავალი ილიასეული ტერმინი მარჯვეა და ქართული ენის ყაიდაზეა აგებული, ამჟამად დამკვიდრებული და ფესვგადგმული ჩვენს მეტყველებაში! მაგალითად, მოქალაქეობრიობა ვერ პოვა სიტყვებმა „ცალი“ (единица, ამჟამად მიღებულია „ერთეული“) „ნამდვილი მეცნიერება“ (точная наука. ამჟამად მიღებულია „ზუსტი მეცნიერება“) და სხვ.

პეტრე უმიკაშვილის ცნობით, ილია ჭავჭავაძემ შექმნა სიტყვა მიმართულება. აი რას ამბობს უმიკაშვილი: „ილია ჭავჭავაძემ მისცა... ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურას. იმის კრიტი-

---

[1] იხ. ა. შანიძე, ი. ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის: „ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული“. 1939, გვ. 24.

კულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა. თვით ამ სიტყვის შემოღება — „მიმართულება“ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის“ (1872 წ. „კრებული“. 8-9. გადმობეჭდილია ქრესტომათიაში: „ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის“, II, ს. ხუციშვილის რედ., გვ. 161). იონა მეუნარგიას ცნობით, ილიას მიეწერება სიტყვები ძალთა სწრაფვა, თვალთახედვის ისარი (ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 195). ილიასეულია აგრეთვე სიტყვები: შინაარსი, აგებულება და სხვ.

მიმართულება, აგებულება, შინაარსი და სხვა სიტყვები სამუდამოდ შევიდნენ ლექსიკონში, როგორც ქართული ენის მორფოლოგიური კანონების მიხედვით შემუშავებული ნეოლოგიზმები, როგორც ითქვა ზემოთ.

როგორც პროფ. ა. შანიძემ გამოარკვია, ილია ჭავჭავაძემ შოთა რუსთაველის გავლენით გააცოცხლა უარყოფითი „არ“ ნაწილაკის ხმარება სიტყვათა საწარმოებლად.

მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ ხშირია ასეთი ფორმები: „არგათენება დილისა“, „შენ არ-გატეხა კარგი გჭირს“, „არგაშვებული ხეზითა“, არ-გაწირვა ჩემგან მტკიცობს“, „არ-დავიწყება მოყვრისა“, „არ-დარჩენა ჭირთა, მალვა“, „ჭამისა არ-მოწყენისა“, „მაღირსა აქამდის არ-ღირსებული“, „ბოლოდ მისი არ-წახდომა“ და მისთანანი. ილია ხშირად ხმარობს მსგავს ფორმებს: „არ-გასაწყვეტი, არ-დასაცილებლი, არ-გაკითხული, არ-გაკეთება, არ-ხმარება, არ-შესაძლებელი, არ-ჭონა, არ-მყოფობა და სხვ.

ახალი სიტყვა-ტერმინების დამკვიდრება, საერთოდ, არ ხდება ერთბაშად და უმტკივნეულოდ, შეჩვევის მომენტს ამ პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ეს გარემოება კარგად აქვს გათვალისწინებული ილია ჭავჭავაძეს, როცა იგი მსჯელობს სიძნელეებზე, რომლებიც აღიმართება პირველხანად ახალი სიტყვის გავრცელების დროს, თუნდაც ეს ახალი სიტყვა ენის მორფოლოგიის კანონების მიხედვით იყოს შედგენილი და შემუშავებული.

ილიას არ გამოჰპარვია ახლადდაბადებული სიტყვის თუ ტერმინის ფეხის ადგმის სირთულენი და მკითხველს ერთგვარი მობო-

დიშებით მიმართავდა: „ბოდიშს ვიხდი ჩვენს მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის; იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებულიო“ (თხზ., VIII, გვ. 160). და შემდეგ: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი იმ სიტყვას, ახალს მნიშვნელობას მიჰცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯ ე რ ხ ა ნ ა დ, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შ ე ე ვ ე ჩ ვ ე ვ ი თ თავის დროზედ, მაგრამ მანამ შ ე ე ვ ე ჩ ვ ე ვ ი თ, იმ დრომდი ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონი“ (ტ. IV, გვ. 401. ხაზი ჩემია — შ. ძ.).

მართალი ბრძანებაა! სიტყვის „მოშინაურების“ ხვედრი აქ ლაკონიურად და სრული ჰეშმარიტებით არის დახასიათებული. ბევრი „ბნელი“ და „ძნელად გასაგონი“ ილიასეული სიტყვა-გამოთქმა, როგორც ვიცით, საბოლოოდ „მოშინაურდა“ ქართულ მეტყველებაში, რაკი ისინი ჩვენი ენის ბუნებისა და თვისების მიხედვით არიან შექმნილნი.

იმდროინდელ სამწერლო ენაში ფეხს იკიდებდნენ არაბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციები, უცხოური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არ ეგუებოდნენ ქართული ენის შინაგან კანონზომიერებას. რუსული ენის მეშვეობით ბევრი საერთაშორისო სიტყვა შემოვიდა ქართულ მწერლობაში, — პირველი გაბედული ნაბიჯები ამ სფეროში, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, თვით ილიას მიერ იყო გადადგმული. მაგრამ სხვა არის ლექსიკური ერთეულების შემოტანა და სხვა — წინადადებების წყობის, სინტაქსური კონსტრუქციების შეცვლა განსხვავებული სისტემის ენის გავლენით. სინტაქსური რუსიციზმის დამკვიდრება უთუოდ საზიანო იყო ქართული ენისათვის. იცვლებოდა ბუნებრივი ქართული გამოთქმები, ვრცელდებოდა სპეციფიკური რუსული ფრაზეოლოგიური შეხამებანი და დავიწყებას ეძლეოდა მათი ფარდი ქართული შესატყვისობანი, იბღალებოდა „ენის სული“, როგორც კარლ მარქსი იტყოდა. ამ მავნე ტენდენციების აქტივიზაციას უმთავრესად ხელს უწყობდა უხეირო, სიტყვასიტყვითი თარგმანები, სადაც ანგარიში არ ეწეოდა ჩვენი

ენის ნიშანდობლივ თავისებურებებს, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ ბუნებრივ ენობრივ ფორმებს.

ილია ჭავჭავაძე სასტიკად გმობდა ქართული ენის შერყვნისა და დამახინჯების ამგვარ ტენდენციებს.

იაკობ მანსვეტაშვილი თავის მემუარებში საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის თაობაზე, თუ როგორ ასწორებდა ილია რედაქციაში შემოსულ მასალებს და როგორ „რანდავდა და აშალაშინებდა" ქართული ენის ყაიდაზე რუსიციზმებით აღსავსე კორესპონდენციებს. ამ მხრივ გამოირჩეოდა თურმე ცნობილი პუბლიცისტის ილია ხონელის ნაწერები. ილია ჭავჭავაძე დაიწუებდა ილია ხონელის წერილების „ქართულად მონათლას..." შევიდოდა სიტყვიერების სივრცე-სიღრმეში, დაიწუებდა მეტყველების სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას მალული ძალებისას და ქართული ენის სიმდიდრიდან... მარგალიტებს გადმოგვიფენდა. ერთ-ერთ ამ საგანძურს ჩავსვამდით იმ ადგილს, სადაც... რუსიციზმი იჯდა, ფელეტონს სულ სხვა ფერი დაედებოდა, ქართული ნათელ-მირონი ეცხებოდა" (მოგონებანი, გვ. 78).

ჩვენამდის მოაღწია ერთმა დოკუმენტმა, რომელიც, როგორც ა. შანიძე ამბობს, უთუოდ ილიას თაოსნობით არის შედგენილი. ეს არის უწყება სხდომის შესახებ, რომელიც „ივერიის" რედაქციაში უნდა შემდგარიყო და რომელსაც სადავო გრამატიკული საკითხები უნდა გადაეწყვიტა.

აქედან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ ენობრივ პრაქტიკაში ებრძოდა ქართულ ენაში არაბუნებრივი კონსტრუქციების გაბატონებას, არამედ თეორიულად განიხილავდა ქართული წინადადების აგებულების საკითხს და ასაბუთებდა ნიშანდობლივი სინტაქსური კონსტრუქციების დამკვიდრებას, ნაცვლად სხვა ენის სინამდვილეში შემუშავებული ფორმებისა.

აკად. ა. შანიძე თავის ნაშრომში — „ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის" ამბობს: „დასასრულ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ამბავი, რომელიც პროფ. ივანე ჯავახიშვილისაგან მაქვს გაგონი-

ლი: მედიცინის დოქტორმა პროფ. სპ. ვირსალაძემ მიამბო, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მიჩვენა კარგა მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც ქართული ენის ლექსიკონს წარმოადგენდაო. ილიამ მითხრაო: ამ ლექსიკონზე დიდი ხანია ვმუშაობ, ახლა მინდა დავასრულო და დავბეჭდო და შემდეგ თუ მოვკვდები, არა უშავს რაო. სხვა წყაროდან ილიას ლექსიკონის შესახებ არც მე ვიცი და არც ივანე ჯავახიშვილს აქვს რაიმე ცნობა, ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ილიას პირადად კარგად იცნობდა.

ილიას ლექსიკოგრაფობის ამბავი გასაკვირველი არ არის, პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ გაქანების პატრონს, როგორც ილია იყო, თავისი უსაზღვრო სიყვარული ქართული ენისადმი ლექსიკონის შედგენით დაეგვირგვინებინოს. მაგრამ, თუ ეს ამბავი მართალია, როგორ და სად გაქრა კვალი ამ სალექსიკონო მასალებისა დიდი მწერლის ვერაგულად მოკვლის შემდეგ? (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1939 წ. გვ. 26).

ილია ჭავჭავაძე რომ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქართული ლექსიკონის შედგენისადმი, რომ მას აწუხებდა ახალი ლექსიკოგრაფიული ნაშრომის უქონლობა, ეს კარგად ჩანს შემდეგიდანაც. გასული საუკუნის 90-იან წლებში ილია ჭავჭავაძის „ივერია“ მოითხოვდა, რომ ლექსიკონის შედგენა მიენდოთ „მცოდნე და სათანადო კაცთათვის“. 1897 წელს გაბრიელ ბარნაბიშვილმა განიზრახა დ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ხელმეორედ გამოცემა (იხ. ალ. ღლონტი, რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში, „სტალინელი“, № 182, 1954, ქ. გორი). „ივერია“ ამ საკითხს საგანგებოდ გამოეხმაურა: 1897 წელს (№ 118) სარედაქციო წერილში (ლექსიკონი და მისი დაბეჭდვის საჭიროება) ნათქვამია: „...ხსენებულ ლექსიკონების (ე. ი. ჩუბინაშვილის ლექსიკონებისა **შ. ძ.**), მოთხოვნილება ჩვენს ქართულ საზოგადოებაში ამჟამად ფრიად დიდია და არსებული ძველი ლექსიკონებიც მრავალ საჭირო სიტყვის უქონლობის გამო ყველა შრომისათვის ვერ გამოდგება. ამ მხრივ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები მცოდნე და სანდო კაცთაგან უნდა იქნას შევსებულ-შემუშავებული, რისთვისაც ქართველ საზოგადო-

ების მოვალეობა იყო, აერჩია კომისია ენის საუკეთესო მცოდნეთა საქართველოს ყველა კუთხეში და ამათთვის მიენდო იმათი გადასინჯვა და შევსება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, ახლა თუ მაინც და მაინც კერძო კაცი იკისრებდა ამ დიდმნიშვნელოვან საძნელო საქმის შესრულებას, არ შეიძლება არ ვურჩიოთ: მიჰმართოს ჩვენი ენის საფუძვლიანად მცოდნეთა და განათლებულთ, დაეხმარნენ და ყოველივე ახალი მასალა, რომელიც კი ლექსიკონებში იქნება შეტანილი, გადასინჯონ, აგრეთვე, მთელი ახლად დასაბეჭდი ლექსიკონებიც უთუოდ გადაათვალიერონ და მხოლოდ შემდეგ შეუდგეს იგი დაბეჭდვას, თორემ ვაფრთხილებთ, უამისოდ ახალი ლექსიკონები მაინც შესძლებენ სავსებით კი არა, თუნდ ნახევარზედაც დააკმაყოფილონ დღევანდელი ქართველი საზოგადოების მოთხოვნილება და მალე ისევ ხელმეორედ დასაბეჭდი შეიქმნება“. შემდეგშიც არა ერთხელ შეჰხებია „ივერია“ ამ მტკივნეულ საკითხს. მაგალითად, გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი განდეგილი თავის „მცირე შენიშვნაში“ ამბობდა: „თუ ჩვენის თავის სიკეთე გვინდა, პირიქით, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ძველი სიტყვები იყოს ლექსიკონში შეტანილი და ამასთანავე ახალსაც შესაფერი ადგილი მიეცეს. ერთი მეორეს არას დაუშლის და დიდად საჭიროც არის“ (1897 წ., № 124), უფრო ადრე (1888 წ. № 32) „ივერიაში“ გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის წერილი „აზრი სრული რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის თაობაზე“. ავტორი აღნიშნავს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების ღირსებას, მარამ კარგად ესმის მათი ნაკლოვანი მხარეებიც. საჭიროა კოლექტიური შრომა. „ამ გვარის ლექსიკონის შედგენას ერთი კაცი ძნელად შესძლებს და ვერც მოეთხოვება ესა, რადგან ამ გვარს შრომას დროც, ენების ცოდნაც და მასალაც ბევრი უნდაო...“ დასძენს მბჭოვანი მწერალი. ამრიგად, ზემოთქმულიდანაც ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრში ყოველთვის მდგარა ლექსიკონების შედგენის საქმე.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ილია ჭავჭავაძის სალექსიკონო მასალები (საარქივო ფონდი. № 73. იხ. ი. ჭავჭავაძის ავტოგრაფები. აღწერილობა შეადგინა და დასაბეჭდად მოამ-

ზადა შ. გოზალიშვილმა, 1951). შესაძლოა, ეს არის შავი მასალა ილიას ლექსიკოგრაფიული ნაშრომისა (ავტოგრაფი ფრაგმენტების სახითაა შენახული). არსებითად ეს არის მასალები ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის. შიგადაშიგ ქართული სიტყვები ქართულადვეა განმარტებული.

ხელნაწერის აღწერილობა: 7. ფ. 36×22. ქაღალდი; უყდო (ცალკე ფურცლები); ავტოგრაფი; უთარიღო.

ილია ჭავჭავაძეს სიტყვები ამოუწერია ბიბლიური ტექსტებიდან. სახელდობრ, გამოყენებულია ოთხთავი, ფსალმუნი დავითისი, საქმე წმიდათა მოციქულთა ეპისტოლე იაკობისი.

გარდა ამისა, გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა სხვა (საერთო ხასიათის) თხზულებებიდან უნდა იყოს ამოღებული, დამოწმებანი კი არა ჩანს. რამდენიმე სიტყვა „ქილილა და დამანადან“ უნდა იყოს. საიდან ირკვევა, რომ ილიას ეს ძეგლიც გამოუყენებია? ჯერ ერთი, ერთი სიტყვის განმარტებისას („ალღო“) პირდაპირაა მითითებული „ქილილა და დამანაზე“. ამან მაიძულა გამომერკვია, არის თუ არა სხვა სიტყვებიც (განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ილიას ვერ განუმარტავს და კითხვის ნიშანი მიუწერია) ამავე ნაწარმოებიდან ამოღებული. მაგალითად, ავტორს სიტყვა „ყიათა“ ვერ განუმარტავს. ხომ არ არის ეს „ყია“? ჩავიხედოთ ტექსტში, სადაც ვკითხულობთ: „ესე უმჯობეს არს, მეცა მათ მათდა ქმნილის მსგავსად გავეწყო და თავისი შემზადებული სასმელი მათვე ყიათა ჩავასხა“ (ილია ჭყონიას გამოცემა, 1888, გვ. 112, სტრ. 22). ილიას რომ ამ კონტექსტში „ყია“ ამოეცნო, ცხადია, „ყიათა“-ს ფორმით მას არ ამოიწერდა... კიდევ ერთი დამადასტურებელი იმისა, რომ „ქილილა და დამანაა“ განმარტებითი ლექსიკონის ნაწილის წყარო: სიტყვასთან „გაროქვა“ დამოწმებულია ფრაზა: „ძუნწობა ჰჯობს გაროქვასა“. როგორც გამოირკვა, ეს მაგალითი იმავე ძეგლიდანაა, ე. ი. სიტყვაც იქიდანვეა. ამ გარემოებათა გამო მე შესაძლებლად ჩავთვალე, ვთქვათ, „სნატი“, რომელიც ილიას კითხვის ნიშნით აქვს მოცემული, ამავე „ქილილა და დამანადან“ იყოს ამოღებული; ავტორს რომ საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონისათვის“ მიემართა, ცხადია, ის ახსნას იპოვიდა. ასე რომ, გარკვეული კატეგორიის სიტყვათა ლიტერატურულ წყაროდ „ქილილა და დამანა“ უნდა მივიჩნიოთ. საფიქრებე-

ლია, ილია ხელნაწერით სარგებლობდა (შენახულია ხელნაწერის ეს ცალი), ისევე როგორც ხელნაწერიდანვე კრეფდა იგი საანდაზო მასალას, როგორც ეს აღნიშნულია ი. გრიშაშვილის მიერ (საანდაზო ლექსები, გვ. 13).

ზოგიერთი სიტყვის წყარო თვითონ ილიას მიერვეა დასახელებული: „ვახტანგ მეფე“, „პ. ლარაძე“, „მთიული ქართველისაგან“, „ხევსურისაგან“.

სალექსიკონო მასალა, ბუნებრივია, ანბანზე არ იქნებოდა დალაგებული, რაკი ის დამთავრებული ლექსიკონი არ არის. იგი გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ. ქართულად განმარტებული ქართულივე სიტყვები ცალკე ამოვკრიფეთ, ასე რომ, ლექსიკონი 2 ნაწილად გავყავით; ცალკე ქართ.-რუსული და ცალკე — განმარტებითი ლექსიკონის მასალა.

ზემოხსენებული წყაროები შემდეგი მოცულობითაა შესწავლილი: მათეს სახარებიდან ამოკრეფილია სალექსიკონო მასალა 27 თავამდე (ჩათვლით), მარკოზის სახარებიდან მითითებულია 1, 4, 5, 6, 9, თავები, ლუკას სახარებიდან — 8, 16 თავები, იოანეს სახარებიდან 21 თავამდე (ჩათვლით, ე. ი. სულ), დავითნის დასახელება იწყება მე-6 თავიდან — 15 თავამდის (ჩათვლით), წიგნი მოციქულთა გამოყენებულია მე-6 თავამდის (ჩათვლით), ეპისტოლე იაკობისი — მე-5 თავამდის (ჩათვლით).

ორთოგრაფიის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ძველი ასოებიდან ვხვდებით ჯ-ს ოღონდ ავტორი თანმიმდევრობას არ იცავს და არაიშვიათად ჯ-ს ადგილას ხ-ს ხმარობს; ერთს ადგილას ჯ-ხ პარალელურადაა დაცული: ხ ფრჩხილებშია ჩასმული, ასე: „ჯ(ხ)უვილი“ (მ. 12, 1), უმარცვლო უ-ს შემცველი სიტყვები 3 ასოთია წარმოდგენილი; მხოლოდ ერთგან უ ბრჯგუთია მოცემული (ქუართი). ილია სარგებლობს იმდროინდელი არაკრიტიკული გამოცემებით.

სათანადო სიტყვების დაწერილობა ჩვენ მიერ გასწორებულია ჩვენი დროის კრიტიკული გამოცემების მიხედვით (ა. შანიძე, ილ. აბულაძე) და ნაჩვენებია პარალელურად კვადრ. ფრჩხილებში.

ხშირად ავტორი არ მიუთითებს წყაროზე; მთელ რიგ სიტყვებს საერთო სათაური აქვს: „დაბადებიდან“. ჩვენ ყველა ეს ადგილი აღვადგინეთ და მივუთითეთ (კვადრატულ ფრჩხილებშივე).

ილია ტექსტების თავსა და პარაგრაფს სხვადასხვანაირად აღნიშნავს: „6-10“ (ე. ი. მე-6 თავი, მე-10 პარაგრაფი. შ. ძ.), „თ. 3, მუხ. 4“ (ე. ი. თავი მე-3, მუხლი მე-4 შ. ძ.).

გამოცემაში ჩვენ მივუთითებთ ასეთი წესით: 6, 10; 3, 4 და ა. შ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა ამოწერილია სხვადასხვა ძეგლის თუ ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა ნაწილის მიხედვით; განმარტებაშიც მცირე სხვაობაა.

შეადარე:

გულის-თქმა
1. (მ. 5,28) вожделение.
2. (ი. 8,44) пожелание.
3. (დავითნი, 9,23) похоть.

გოდოლი
1. (მ. 21,33) башня.
2. (მ. 11,33) столп.

გარესკნელი
1. (მ. 8,12) внешний.
2. [მ. 8,12] кромешний.

სერი
1. (მ. 23,6) пиршество.
2.—пир, вечер.

სართული
1. (მ. 4,5) крыло, крыша.
2. [მ. 4,5] кров.

ერდო
1. (მ. 10,27) кров.
2. (მ. 10, 27) кровля.

სალმობა
1. (საქმე მოციქ. 2,24) болезнь.
2. (დავითნი 7,13) злоба, скорбь.
3. (მ. 24,8) болезнь.

გულისსიტყვა
1. [მ. 13,17] помысел.
2. (იაკობ მოციქ. 2,4) мысль.

აქა-იქ მოცემულია რამდენიმე ფრაზეოლოგიური ნიმუში.

რუსული შესატყვისები ზუსტი და ამომწურავია. გამოყენებულია რუსული ბიბლიური ტექსტების შესაბამისი ადგილები.

შიგადაშიგ ავტოგრაფში მოყვანილია ფრაზები:

1. „კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“ (მათე, თ. ნ., მ. 34).

2. „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მათე, 22, 14).

3. „საქმეთაგან განმართლების კაცი და არა სარწმუნოებისაგან“ (სამოციქ. იაკობისი, 2-24).

4. „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ [მ. 5, 38].

5. „მან უძლურებანი ჩვენი მიიხვნა და სნეულებანი ჩვენი იტვირთნა“ (ისაია), და სხვ.

სამ ადგილას მოყვანილია ტმესის მაგალითები:

1. მორავიდა=რა მოვიდა.

2. მოვინმე-უხდა=მოუხდა ვინმე.

3. აღრავიდა (მარკოზ, თ. 5, მ. 18).

4. გამორახვიდოდით (მარკოზ, თ. 6, მ. 11).

სიტყვები ჩამოწერილია შემდეგი დასათაურებით: „დავითნი“, „დაბადებიდამ“, „სახარება მათესი“, „მარკოზისი“, „სახარება იოანესი“, „სამოციქულო ლუკასი“, „სამოციქულო იაკობისი“.

ბოლოს, ილიას ავტოგრაფში „დაბადებიდამ“ ამოწერილია სიტყვები და მითითებულია, თუ რომელ კარში და მუხლში გვხვდება თითოეული მათგანი. ეტყობა, ეს ნაწილი ავტოგრაფისა სხვა დროსაა შესრულებული, შედარებით სალექსიკონო მასალის ძირითად ნაწილთან, ქაღალდიც სხვაა (თუ პირველი ნაწილი თაბახის ქაღალდზეა დაწერილი, აქ გამოყენებულია რვეულის ფურცლები) და მელანი და ხელიც ოდნავ განსხვავებულია.

გავეცნოთ ამ მასალასაც.

დაბადება.

წიგნი იობისა, კარი პირველი, მუხლი 20, „თვით“,

კარი 2, მუხლი 13. „წარკდა“. „საკსენებელი“. წიგნი იობისა, კარი I.

„თვით“ — მუხლი 20.

„წარკდა“, „საკსენებელი“ ა) მუხლი 13, ბ) მ. 14, კარი 11.

„დაკშა — მ. 10, კ. III.

მკნელი — კ. III, მუხ. 8.

შემემთხვა — კ. IV, მუხ. 14.

ძუალნი —

მკკლრთ — კ. IV, მუხ. 19.

„თიკა“ — კ. IV, მუხ. 19.

განკმეს — კ. IV მუხ. 21.

ძვირი — კ. V, მ. 5.
ჰქუს — კ. V, მ. 6.
მეუფჱსა — კ. V, მ. 9.
ზღჳს — კ. IV, მ. 3.
სიტყვა — კ. VI, მუხ. 3.
სიტყჳერთა — კ. VI, მ. 6.
წარმჴდეს — კ. VI, მ. 16.
მარჯდა — კ. VI, მ. 16.
თქვენ — კ. VI, მ. 21.
რაი — კ. VI, მ. 22.
თქვენისა — კ. VI, მ. 26.
თქვენგან — კ. VI, მ. 26.
შემოჴდეთ — კ. VI, მ. 3.
თუალნი — კ. VII, მ. 15.

ილია ჭავჭავაძისეულ ხელნაწერთა ფონდში დაცულია „ქართულ-სვანური ლექსიკონის“ მასალები; განმარტებულია 111 სიტყვა. ლექსიკონი შესრულებულია სხვა ხელით. უთუოდ იგი ილიას დავალებითაა შედგენილი (სავარაუდებელია, ბესარიონ ნიჟარაძის მიერ):

აი ეს სალექსიკონო მასალაც (ანბანზე დალაგებულია ჩვენ მიერ).

ა ბ ზ ი ნ დ ი — აბზინდ
ა დ გ ი ლ ი — ადგილ
ა ვ ჟ ა ნ დ ა — ავჟანდ
ა ნ გ ე ლ ო ზ ი — ანგვლეზ
ა რ ა ყ ი — ჰარაყ
ა ღ ვ ი რ ი — ჰაღვირ
ა ხ ა ლ უ ხ ი — ახალუხ
ბ ა ბ უ ა — ბაბა
ბ ა ვ შ ვ ი — ბეფშვ
ბ ა ლ ა ხ ი — ბალახ
ბ ა ლ ი შ ი — ბალიშ
ბ ა შ ლ ა ყ ი — ბაშლიყ
ბ ე ბ ი ა — ბებე
ბ ე ღ ე ლ ი — ბეღელ

ბ ი ნ უ ლ ი — ბინილ
ბ ო გ ი რ ი — ბოგირა
ბ უ ზ ი — ბუზულ
ბ უ მ ბ უ ლ ი — ბუნბილ
გ ვ ა რ ი — გვარ
გ ო ჭ ი — გვეჭ
გ უ ლ ი — გვი
დ ა თ ვ ი — დაშვდვ
დ ე დ ა — დედე, დია, დი.
დ ე დ ა მ თ ი ლ ი — დიმთილ
ე ზ ო — ჰაზვ
ე ნ ა — ნინ
ვ ა შ ლ ი — ვისგვ
ვ ე ნ ა ხ ი — ვენახ
ვ ე ფ ხ ვ ი — ვეფხვ
ზ ე წ ა რ ი — ძეწარ
თ ა ვ ი — თხვიმ
თ ა ვ შ ა ლ ი — თავშალ
თ ე თ რ ი — თვეთნე
თ ე მ ი — თემ
თ ე მ ო ბ ა — თემობ
თ ვ ა ლ ი — თე
თ ო ფ ი — თვეფ
კ ა ლ ა მ ი — კალამ
კ ა ლ მ ა ხ ი — კალმახ
კ ა ლ ო — კალვ
კ ა რ ა ნ დ ა შ ი — კარანდაშ
კ ი დ ო ბ ა ნ ი — კიდბენ
კ უ ბ ო — კუბ
კ უ დ ი — პაკვად
კ უ დ ი — ჰაკვად
ლ ა გ ა მ ი — ლაგამ
ლ ე ბ ი — ლებ
ლ ე კ ვ ე რ თ ხ ი — ლეკვინთხ
მ ა თ რ ა ხ ი — მადრახ

მ ა მ ა — მუ, მა
მ ა მ ა მ თ ი ლ ი — მიმთიელ
მ ა მ უ ლ ი — მამულ
მ ე გ ვ ა რ ე — მეგვარ
მ ე ლ ა — მელ
მ ე ლ ა ნ ი — მელან
მ ე წ ყ ე რ ი — მეწყერ
მ ე ხ ი — მეხ
მ ე ჯ ო გ ე — მეჯვეგ
მ ი მ ი ნ ო — მიმილ
მ ხ ი ა რ უ ლ ე ბ ა — ლიმხირულ
ნ ა ბ ა დ ი — ნაბად
ნ ა თ ე ლ ი — ნათელ
ნ ო ხ ი — ნოხ
პ ი რ ი — პილ
ს ა თ ვ ა ლ ე — სათვალ
ს ა კ მ ე ვ ე ლ ი — საკმელ
ს ა რ ტ ყ ე ლ ი — ლარტყ
ს ა ფ ლ ა ვ ი — საფლავ
ს ა ყ დ ა რ ი — საყდარ
ს ი მ ი ნ დ ი — სიმინდ
ს ი მ ღ ე რ ა — დირალ
ს ი ც ი ლ ი — ლიციცნალ
ს კ ი ვ რ ი — სკივრ
ს უ დ ა რ ა — სუდარ
ტ ა ბ ა კ ი — ტაბაგ
ტ ა ნ ბ ა ჩ ა — ტანბაჩა
ტ ი ტ ვ ე ლ ი — ტიტველ
უ ლ ა ყ ი — ულაყ
უ ლ ვ ა შ ი — ულმაშ
უ ნ ა გ ი რ ი — ჰუნგირ
უ ღ ე ლ ი — ულვა
უ შ ო ბ ე ლ ი — უშობელ
ფ ა შ ა ტ ი — ფაშატ
ფ ე ტ ვ ი — ფატვ

ფ ი შ ტ ო — ფიშტო
ფ რ ი ნ ვ ე ლ ი — ფრინველ
ფ უ რ ი — ფვირ
ქ ა ღ ა ლ დ ი — ქალღართ
ქ ა ჯ ი — ქაჯ
ქ ლ ი ა ვ ი — ქილვარდ
ქ ო რ წ ი ლ ო ბ ა — ქორწილ
ღ ვ ი ნ ო — ღვინალ
ღ მ ე რ თ ი — ღერბეთ
ღ ო ნ ე — ღვენ
ყ ვ ე რ უ ლ ი — ყვარილ
ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი — ყმარწვილ
ყ უ რ ძ ე ნ — ყუზელ
შ ი შ ვ ე ლ ი — შიშველ
შ უ ა — შუვ
წ ა ლ კ ო ტ ი — წალკვეტ
წ ი ნ დ ა — წინდარ
წ ი ფ ე ლ ა — წიფრა
წ ი წ ი ლ ი — წინწილ
წ მ ი ნ დ ა — წყილიან
წ ყ ა რ ო — წყარო
ჭ ა ლ ა — ჭალა
ხ ა ნ ჯ ა ლ ი — ხანჯარ
ხ ა რ ი — ხან
ხ ა ტ ი — ხატ
ჯ ვ ა რ ი — ჯვარ
ჯ ო რ ი — ჯვეგ

ბოლოს მიწერილია:

„გვარები სვანეთში:

დავთულიანი, ჩარკვიანი, ასათიანი, ნიჟარაძე, ჭელიძე, ფარცხალაძე, დევდარიანი, ჯაფარიძე, ყიფიანი, იოსელიანი, კორძაია. თითქმის მთელი (sic) სვანეთში ყველგან ქართული გვარებია“.

ეს ძალიან საყურადღებო დოკუმენტია, რომელიც მოწმობს დიდი ილიას ცხოველ ინტერესს ძირეულად ქართველური ენის—სვანურის მიმართ.

ამასთანავე, ეს სვანური სალექსიკონო მასალა საინტერესოა სვანურის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით: ჩვენ საშუალება გვეძლევა თვალი გავადევნოთ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ფიქსირებულ ლექსიკურ ერთეულებს.

ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: აქ შერჩეულია ქართულ-სვანური საერთო ძირის სიტყვები (რა თქმა უნდა, ეს არ არის ამომწურავი მასალა!). ეტყობა, ილიას აინტერესებდა სალექსიკონო მასალაში აღნუსხულიყო ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთი შეხედვითაც ერთმანეთის მსგავსია, საერთო ძირეული ფონდის კუთვნილებაა. ამას კარგად ადასტურებს სვანეთში გავრცელებული გვარების სიაზე მინაწერი („თითქმის მთელ სვანეთში ყველგან ქართული გვარებია") ილია ჭავჭავაძე ხომ მთლიანი საქართველოს უდიდესი მედროშეა, და ამ პატარა ფაქტშიც მკვეთრმეტყველურად მოჩანს ჩვენი დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საერთო ეროვნული თვალსაზრისი.

ყურადღება რომ არის გამახვილებული ერთი შეხედვითაც საერთო სიტყვობრივ მასალაზე, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ მომცრო ლექსიკონში არ არის ასახული განსხვავებული სინონიმები. ასე, მაგალითად, მოცემულია:

მ ე წ ყ ე რ ი — „მეწყერი" და არა „ჩვალ",
ბ ე ბ ი ა — „ბებე" და არა „დიდ",
შ უ ა — „შუვ" და არა „ნენსგა",
უ შ ო ბ ე ლ ი — „უშობელ" და არა „მესტოვ",
ვ ე ნ ა ხ ი — „ვენახ" და არა „ლაყურზელი".
ბ ე ღ ე ლ ი — „ბეღელ" და არა „ბაღ",
ნ ა ბ ა დ ი — „ნაბად" და არა „ღართ",
ბ ი ნ უ ლ ი — „ბინილ" და არა „ტვიბრა"
ბ ა ლ ა ხ ი — „ბალახ" და არა „მელ",
ფ რ ი ნ ვ ე ლ ი — „ფრინველ" და არა „მემპერი", „მეპერ",

ჩვენ ვამბობთ, აღნუსხულია ერთი შეხედვითაც საერთო სიტყვები-თქო, თორემ იმ სინონიმებშიც, რომლებიც განსხვავებული ჩანან, ადვილად ვიცნობთ საერთო ქართულ სიტყვებსაც. მაგალითად, „მელ" იგივეა, რაც „მოლი", „ლაყურზელი" იგივეა, რაც „საყურძნე" (ე. ი. ვენახი), „დადა" იგივე ძირეული მასალაა, რაც „დედა" და ა. შ.

სვანურის რომელი კილოს ფორმებია აღბეჭდილი მომცრო ლექსიკონში? ზემოსვანური მეტყველებისა, კერძოდ — უშგულის მეტყველებისა. სვანური სიტყვების ტრანსკრიფციის შესახებ უნდა ითქვას, რომ არ არის აღნიშნული უმლაუტები (უნდა იყოს „ädგილ“ და არა „ადგილ“, „ხät“ და არა „ხატ“, „ჯვär“ და არა „ჯვარ“ და ა. შ.), მაგრამ ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი ჩაწერის ხერხებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ჩვენი რედაქციით ილია ჭავჭავაძის ლექსიკონის ფრაგმენტებს[1].

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი:

მ. — სახარება მათესი.
მ რ. — სახარება მარკოზისი.
ლ. — სახარება ლუკასი.
ი. — სახარება იოვანესი.
დ ა ვ ი თ ნ ი — ფსალმუნი დავითისი.
ი ა კ ო ბ მ ო ც ი ქ. — ეპისტოლე იაკობ მოციქულისა.
ს ა ქ მ ე მ ო ც ი ქ. — საქმე მოციქულთა.
ქ ი ლ. — ქილილა და დამანა. სპარსულიდან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. ილია ჭყონიას რედაქციით, 1888.

[ ] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ჩვენ მიერ აღდგენილი სიტყვები, გასწორებანი თუ მითითებანი, რომლებიც არ მოიპოვება ილიას ავტოგრაფში.

[ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, სალექსიკონო მასალა]

[A]

ა

აგებულება организм.
აზნაურება (იაკობ მოციქ. 1,25) свобода.
алаyи тормаз (მთიული ქართველისაგან).
алуа струна.
ამბოხი? тревожный, беспокойный.

[1] ლექსიკონი ჩვენ მიერ პირველად გამოქვეყნდა ჟურნ. „მნათობში“ (1957 № 10) ზემორე შენიშვნების დართვით.

აოშვა перепашка.
არდაგი (ი. 13,5) полотенце.
ართრონი приставочный слог.
არიფი? тревожный, беспокойный.
1. არმური [ლ. 8,23] грозовое облако.
2. არმური (საქმე მოციქ. 2,19) курение дыма.
ბრონა соха (ყევრით სახვნელი).
ასოელად по частьям.
აუარო (დავითნი 7,16) славлю.
აუგი подлый.
აღმოტვიფრა вырезать (печать).
აღნადგინები (დავითნი [14,5]) рост (процент).
აღნაქვსი слог.
აღორძინება [მ. 6,28] возрастание.
აღრეული (ი. 19,39) состав [смешаный].
აშრაფი? тревожный, беспокойный.

ბ

ბამი октава.
ბეთაბრასი [ბეთაბრა] (ი. 1,28) Вифавар.
ბეთბაგე (მ. 21,1) Виффагия (гора).
ბისონი (ლ. 16,19]? царское облачение.
ბორბალი ქარისა [მრ. 4,37] буря.
ბრჭალი (ი. 13, 18) пята.
ბჭე (დავითნი 9, [13]) врата.

გ

გამთავრებული сформированный. ფრაზა: „გამთავრებული ხე, ირმისრქა“, ესე იგი, სრულქმნილი.
გამოხვნა (საქმე მოციქ. 5,2) выключить [„და გამოაკუა სასყიდლისგან მისგან“].
განგოზილი (მ. 23,27) окрашенный.
[განვთომა:] (მ. 12, 25) „მეუფება... განევთის თაესა თჯსსა“ [разделять].
განჭკფდი (დავითნი 6,7) обветшал
განმარტებული упрощенный.
განმარტებული გული (საქმე მოციქ. 2,46) простота сердца.
განმღრთომილი обоготворенный.
განრღეული [განრღუეული] [მ. 9,2] разслабленный.
განქორწინება [მ. 22,30] развод брака.
1. განწვალება деление.
2. განწვალება (ი. 7,43) распря.
გარესკნელი (მ. 8,12) внешний, кромешний.
გაწეულობა протяжение.
გება (ვაგე) (დავითნი 7,4) платить.
გვადრუცი [გუადრუცი] (ი. 12,6) денежный ящик.
გვალე [გუალე] (ი. 11,7) [пойдем] опять
გიება (დავითნი 9[7]) пребывание.
გოდოლი (მ. 21,33) башня, столп
გულარძნილი (მ. 17,17) развращенный.
გულის-თქმა [გულის-თქუმა] (მ. 5,28 о, 8,44; დავითნი 9,23) похоть, пожелание, вожделение.
გულის-სიტყვა [გულის სიტყუა] (მ. 13, 17; იაკობ მოციქ. 2,4) помысел, мысль.
გულის-წყრომა (იაკობ მოციქ. 1,19) гневь, ярость.
გულის-ხმა [გულის ჴმა] [მ. 12, 33] разум.
გულის-ხმა [გულის-ჴმის] (ი. 10, 6, 12 40) понимание, уразумение, уразуметь.

დ

დაგება (მ. 5,24) мириться.
დამწყსილი (იაკობ მოციქ. 3, 7) упрощенный.
დანაბადი создание, творение.
[და] ნაკის-კუდი (ი. 12, 13) пальма.
დარწყვევა (დავითნი 9,) [15])запутать.
დასლბობა (დასულება) (ი. 12, 40) „დაუსლბეს [დაუსულბეს] გულნი“ — окаменеть.

დაყუდება [მ. 8, 26] тишина (на море).
დაშენება (დავითნი [14, 1]) обитать.
დაწუხვნა [დაწუხვა] [მ. 13, 15] смежать.
დაწყლულება уязвлять.
დაჰსდრკა (ი. 8, 6) наклоняться.
დევნულება [მრ. 4, 17] гонение.
დრკუ (საქმე მოციქ. 2, 40) развращенный,
დრტვინვა (ი. 6, 43) ропот, возроптать.

ე

ეზოს-მოძღვარი [ეზოჲს მოძღუარი] [მ. 20, 80] приставник.
ერდო [მ. 10, 27] кров, кровля.
ერთბამად вкупе.
ესვიდენ, ესავდენ [მ. 12, 21] имели упование.
ესტიბარი, ყისტი кредит.

ჟ

ვაშკარანი [მ. 10, 10 [сума].
ვეუფლი (დავითნი 9, [25]) пренебрегаю.

ზ

ზაკვა [ზაკუა] [მ. 26, 4] лесть.
ზაკული (დავითნი [11,2]) льстивый.
ზვარაკი [ზუარაკი] (მ. 22,4) უსხი, телец откормленный.
ზვერი [ზუერი] [მ. 17, 25] дань.
ზოგად (ი. 20,4) сообща, вместе.
ზრახვა [მ. 16, 23] помышление.

თ

თვალთ-ღება [თუალთღება] (ი. 7,24) наружность, лицеприятие.
თირკმელი (დავითნი [15,9]) внутренность.
თხემი (დავითნი 7, 15) темя.
თხიერი [მ., 9, 17] мех.

ი

ინაკით-ჰსჯდა [ინაკით ჯდა] [მ. 9, 10] возлежал.
[ინაკის-დგმა:] ინაკ-იდგმიდენ [მ. 8, 11] возлегать.
იფქელი [იფქლი] [მ. 3, 12] пшеница.

კ

კამათობა состязание в споре.
კარავი (დავითნი [14, 1]) жилище.
კარაული (მ. 21, 5) под-яремный.
კაპარჭი (დავითნი [10, 4]) тетиво.
კარვობა (ი. 7, 2) праздник кущей.
კბოდე ზღვისა [მ. 8, 32] берег моря.
კდემა (მ. 21, 37) устыдиться.
კეთროვანი [მ. 8,2] прокаженный.
კვარცხლბეკი [კუარცხლბერკი] (მ. 5,35) подножие.
კვერთხი [კუერთხი] [მ. 10, 10] посох.
კერივი капище (ხევსურისაგან).
კოდრატი (მ. 5, 26) кодрант (?) [полушка, კოტორი].
კოლტი ღორთა [მ. 8, 30] стадо свиней.
კრებული (დავითნი, 7, 7) сонм.
კრთომა ужас.
კუართი [მ. 5,40] риза.
კურნაკი [მ. 23, 24] комарь.
კუროსთავი [კუროჲსთავი] [მ. 7, 16] репейник.

ლ

ლაკანი [ლანკლა] [მრ. 6, 25] блюдо.
ლალვა (იაკობ მოციქ. 4, 1) распря; ი ლ ა ლ ვ ი დ ე ს (ი. 6, 52) спорили.
ლმობილი (საქმე მოციქ, 4, 2) ?[ლ მ ო ბ ი ლ ო ბ ა — жалость, сожаление].

მ

მართვენი птенцы.
[მ]ართებელი (იაკობ მოციქ. 3, 4) кормчий.

მარჩბივი (ი. 11, 16) близнец.
მარჯულ (საქმე მოციქ. 2,25) обесную [...].
მაწყევარი [მწყევარი] [მ. 5, 44] проклинающий.
მბნდვინვარე (მ 12, 20) курящий, дымящий.
მდევარი (დავითნი 7, 1) гонитель.
მდოგვი [მდოკუ] [მ. 17,20] горчица.
მდღევარი დღისითი გუშაგი, дежурный.
[მ] დღევრისა საზრდელი (იაკობ მოციქ. 2, 15) дневное пропитание.
მებოძირი (მ. 22, 9) распутье.
მეკვრმე (მ. 21, 12) меновщик.
მემრუშე (მ. 12, 39) прелюбодейный.
მემტილე (ი. 20, 15)садовник.
მერმისი (მ. 3, 7) будущее.
მესათხევლე [მრ. 1, 16] рыбак.
მეძავი [მ. 21, 31] любодей.
მზირი (დავითნი 9, [28]) следует в засад, шпион.
მთიები денницы.
მთხრებლი (დავითნი 7, 15) яма.
მიოდენ [ვიდოდა] (ი. 4, 51) встретили.
მიღონის-ძიე способствуй.
მკალი (მ. 3, 4) Акрида
მკელობელი [მ. 11, 5] храмой,
მკსინვარენი (საქმე მოციქ. 4, 2)? [მ კ ს ი ნ ვ ა რ ე ბ ა — досада, суровость].
მოენებული изверг.
მონაგები [მ. 25, 14] приобретение.
მოცალე (მ. 12, 44) незанятый.
მოძღვრება [მოძღურება] [მ. 7, 28] учение.
მსთვად (დავითნი 6, 10) мгновенно.
მსთვადი [მსთუადი] (იაკობ მოციქ. 5, 7) ранний.
მსტოვარნი (იაკობ 2, 25) соглядатай.
მტილი (ი. 18, 1) сад.
მური (ი. 19, 39) смирна.
მუცლად-ღება (დავითნი 7, 13) чревотый.
მღილი (მ. 6, 20) моль.
მყიფე крупный.
მყოვარ (ი. 8, 7)? [медленно, ხანდაზმით, დაგვიანებით].
მყოფი сущий.
მშვინვიერი (იაკობ მოციქ. 3, 15) душевный, одушевленный
მცხვედი [მცხუედი] (იაკობ მოციქ. 5, 7) поздний.
მძორა [მ. 24, 28] труп.
მწიკვლევანება [მწიკულევანება] (იაკობ მოციქ. 1, 21) нечистота.
მწყევარი [მ. 5, 4] проклинающий.
მხალი [მ. 13, 32] [злак].
მხილება обличать.

ნ

ნაბიჭევი [მ. 15, 27] крошка.
ნამუსვრელი [ნამუსრევი] [ი. 6, 12] [оставшиеся куски].
ნარდი (ი. 12, 3) нардовый (nardus).
ნატაცები [მ. 23, 25] похищенный.
ნაწლევი (საქმე მოციქ. 1, 18) внутренность.
ნეშტი (ი. 6, 12) останок, избыток.
ნისლი сумрак.
ნიში, ნიშები (მ. 24, 24; საქმე მოციქ. 2, 19) знамение.

ო

ორობა двойственность.
ორძილობა? Амфибия.
ოხრა (საქმე მოციქ. 2, 2) шум.

პ

პარაფსიდი [მ. 23, 25] блюдо.
პეროდა [„პეროე“ — დორბლის ყრა] [მრ. 9, 20] [испускал пену].
პირით კერძო ქარი. [მ. 14, 24] противный ветер.
პიტნაკი [მ. 23, 23] мята.

რ

რადმე (დავითნი 9, [21]) для чего.
რაკა (მ. 5, 22) пустой человек (еврейское).
რისხვა ярость.

ს

საზვერე [საზუერე] [მ. 9, 9] мытница.
სათნოება (ი. 8,29) должное (?).
სალმობა (მ. 24, 8; დავითნი 7,13; საქმე მოციქ. 2, 4) болезнь.
სამე (დავითნი 7,4) пусть.
სამოქმედო ძალა творческая сила.
სამშეინველი производительная сила природы фраза: „ჰსთქვა ღმერთმან, გამოიღეთო...“
სამჭედური (მ. 17, 27) уда, удочка.
სართული (მ. 4, 5) кров, крыло, крыша.
სასყიდელი [მ. 5, 46] мзда, вознаграждение.
სატფურება (ი. 10, 22) праздник.
საფრხე [საფრკე] [ლ. 21, 35] обольщение.
საყდარი (დავითნი [10, 4]) престол.
საყოფელი [მრ. 5, 3] жилище.
საშო [ლ. 2, 23] матка.
საცადური [საცთურ] [მ. 16, 23] соблазнь.
საცო (მ. 23, 5) хранилище.
საცხოვარი живущий. фраза: „უწოდა ადამ ყოველთა საცხოვართ სახელებია“.
საწამებელი (მ. 8, 4) свидетельство.
საწნახელი (მ. 21, 33) точило.
საჯი (იაკობ მოციქ. 3, 4) руль.
საჯურისი [მ. 19, 12] скопец.
სახიერი (მ. 20, 15) добрый.
სახიერო [მ. 19, 16] благой.
სახლმდაბრი (საქმე მოციქ. 2, 46) (по домам?).
სახმარი [საჴმარი] (იაკობ მოციქ. 2,16 потребное.
სახმილი [საჴუმილი] [მ. 13, 42] печь.
საჯაროდ публично, гласно. фраზა: „კაცი დაფარვით უნდა მარხულობდეს და საჯაროდ არ ირჯებოდეს“.
სერი (მ. 23, 6) пир, пиршество, вечер.
სივლტოლაი [სივლტოლაჲ] (მ. 3, 7) бегство.
სილაღე (იაკობ მოციქ. 4, 16) надменность.
სირი (დავითნი 10, [1]) птица.
სიქადული (იაკობ მოციქ. 4, 16) тщеславие.
სიყმილი (მ. 24, 7) голод.
სტოვა (საქმე მოციქ. 3, 11) притвор (храма).
სულთქმა воздыхание.
სუფევანი (მ. 4, 8) царство.
სფირიდი [სფკრიდი] [მ. 15, 37] кошница.

ტ

ტარიგი (ი. 1, 29) агнец.

უ

უბადრუკება (იაკობ მოციქ. 5,1) бедствие.
უბანი [მ. 23, 7] торжище.
უბრკმობა [ბრკუმ] (ი. 11, 10) спотыкаться.
უგიობელი („მისგან იშენოს ხორცნიცა უგიობელთა ნიეთთაგან“) [не осужденный].
უდებ-ყოფა (მ. 22, 5) пренебрегать.
უმრკნელი [უმურკნელი, უმურკელი] (მ. 9, 16) небеленная ткань.
[უნჯება:] ნუ იუნჯებთ [მ. 6, 19] не скрывайте.
ურჯული (უშჯული) (საქმე მოციქ. 2, 23) беззаконный.
უტევანი (ი. 11, 18) стадия.
უშრეტი [მრ. 9, 43] неугасаемый.

ფ

ფასის-საცავი (ი. 8, 20) сокровищница.
ფერცხალი [ქილ. 264, 29] ребро.
ფესვი [ფესუ] [მ. 9, 20] подол, фалда.
ფშვინვიერი дымящий, одушевленный.

ქ

ქანქარი [მ. 25, 15] талант (деньги).
ქრთამი (დავითნი [14, 5]) дар.
ქრთილი (ი. 6, 9) ҷери, ячмень.
ქცევისა ჩრდილი (იაკობ მოციქ. 1, 17) тень перемены.

ღ

ღამეული ночной.
ღვარძლი [ღუარძლი] [მ. 13, 25] плевель.
ღმრთის-მოლალე (საქმე მოციქ. 5, 39) богопротивник.

ყ

ყანობირი [მ. 12, 1] пива.
[ყისტი იხ. ესტიბარი].

შ

შაქრისლელწამი сахарный тростник.
შეკდიმნა [შეკდმა] [მ. 21, 37] посрамление.
შემწყნარებელი (იაკობ მოციქ. 5, 11) сострадательный.
შეოდენ რიყუდებოდა [შე-ოდენ-რიყუნებოდა] (ი. 6, 17) становилось темно.
შეუგინებელი (იაკობ მოციქ. 1, 27) непорочный.
შეძრწუნება (ი. 11, 33) возскарбеть, возмущаться.
შური рвение.
შურის-მგებელი (დავითნი 8, [2]) мститель.

ჩ

ცბა (ი. 10, 20) безумствовать.
ცერეცო [მ. 23, 23] копр.
ცისად და ცისად გემული (მ. 24,24) лунатик.

ძ

ძაძა (მ. 11, 21) вретище.
ძვირი (დავითნი 7, 9) злоба.
ძირაკი [მ. 23, 23] тмин.
ძირ-ხილვა [ძვირის-ხილვა] (იაკობ მოციქ. 5, 10) злострадание.
ძოწეული (ი. 19, 2) багряница.
ძრწოლა трепет.

წ

წათი (მ. 26, 55) колье.
წარვედ ჩემგან მართლ-უკან (მ. 4, 10) от (отойди от меня).
წველი [წუელი] [მრ. 4, 28] трава.
წიაღი (ი. 13, 23) грудь.
წიაღსელა [წიაღსლვაჲ] (მ. 8, 18) отплывать.
წიაღჴდომა (მ. 8, 28, ი. 6, 1) обратно. წ ი ა ღ ჰ ჴ დ ა [წ ი ა ღ ჴ დ ა] обратно переехали.
წითს (მ. 16, 2)? [красно].
წინა-გამგეობა предопределение.
წინა-მოსაჯული (მ. 5, 25) соперник.
წინა-მყო предыдущий.
წინამძღურად [წინამძღუარი] [საქმე მოციქ. 5, 31] [начальник].
წინასწარ-ბირებული [წინაჲსწარ ბირებული] [მ. 14, 8] предвореный.
წუნწუბა (დავითნი, [10, 6]) сера.
წყრთა (ი. 21, 8) локоть.

ჭ

ჭური (დავითნი 7, 12) сосуд.

ხ

ხდომა [ჯდომა)] (იაკობ მოციქ. 3,14) сварливость.
ხელმწიფება [ჯელმწიფება][მ. 7, 29] власть.
ხენეში [მ. 12, 33] злой, негодны.
ხლდომა (საქმე მოციქ. 3, 8)прыгать, скакать.
ხნარცეი [ჯნარცეი] (დავითნი 7, 14) ров.
ხურვება страсть в смысле плотской природы.
ხუცესი [მ. 15, 2] старец.

ჯ

ჯამლი (მ. 3. 11; 10, 10) сапог, обувь.
ჯვიმირი [ჯუმირი] (მ. 5, 15) сосуд.
ჯ(ხ)უეილი (ხვიეილი) [მ. 12, 1] колос.

[ჰ]

აზაერი [ქილ. 78, 31]? [საბარგული ხარი].
ალღოჯვალი, ნაჯალი („რა ფერხის ალღო აიღო": ქილილა და დამანა).
აღაფჭურვა „ამა ჩხუბისა მტვერი შენ აღაფჭურივე".
აღნადგინები მეტის სარგებლის აღებად.
ახგამი? ფრაზა: „დიდი ახგამი იქნების (...)".
ბოღმა [ჯავრი. ნაღველი].
გამოწჯლა („მისთა საქმისა გამოწჯლასა ნუ ეძებს") [გამოშიგნვა].
განეკიდე შორად განაკიდია-შორს დასაჭერია.
განოდენ-ზოგებული [განზოგება] (ი. 7, 14) განახევრებულ იყო.
განსივნება [განსიება] (საქმე მოციქ. 1, 18) დასიება.
გარ ოქვა [ქილ. 78, 6] бедовелатобба („ძუნწობა ჰსჯობს გაროქვასა").
გაქიშპება გადამტერება.
დაბართვა „ბრძოლაში ერთმანეთის ტანი და თავი დაებართათ".
ლაჭნახვა დაკვნობა.
დუხჭირი გონჯი.
ეჯიბი [ქილ. 462 6] სამეფოს მხლებელი (ქორწილზე).
ზვერი [ქილ. 3, 8, 17] ხარკი
თბა „გონიერი თბა ჩვენი".
თვითება „თაყვანს ვჰსცემდეთ სამებას სამის თვითებით".
იალქანი (ქალის სამკაული).
კდებამოსილი ქალი მორცხვობით მოსილი ქალი.
მდადე დროებით გაყოლებული მოახლე პატარძლისა.
მეერთაჰამე ქალნი ის ქალნი, რომელნიც ქორწილის ღამეს პატარძალს მოუსხდებიან.
მერიქიფე [ღვინის დამსხმელი].
მოჰგუალეთ [გუალე] (ი. 10, 16) ?მოდით-წაიდეთ
ნაჩქერვა „ღილის ქარმა ზღვას ნაჩქერვა დაუწყო".
პირად-პირადი (იაკობ მოციქ. 1, 2) სხვადასხვა.
ჟამი საათი (ვახტანგ მეფე).
როჭიკი [ქილ. 259, 38] ჯამაგირი. სათუთი, ნებიერი.
სართაული? [დამატებითი. придаточный: ჩუბინოვი, ქართ.-რუს. ლექს.].
საურავი გარიგება.
სნატი [ქილ. 62. 17]? [სუზანი, საფენი]
უკვდავება მოკედაება (პ. ლარაძე).
ფორიაქობა [ქილ.] бедовелатобба.
ქენება ქილ 259 38) ხვეწნა.
ქულე [ქილ. 3] მიმინისოს ბღარტი.
ღადარი [ქილ. 322,3] დაუნდობელი,
ყიათა [ყია] [ქილ. 112, 22]? [ყელის ყარყანტო]
ჩამოიზლა ჩამოიშალა (მიწის ჩაშლაზედ იტყვიან).
ჩიკები (ქალის სამკაული).

წამი სეკუნდი (ვახტანგ მეფე).
წამოხვნა [წამის-ყოფა] (ი. 13, 24) ანიშნა·
წრტიალი [ქილ.] „ამა გულთა წრტია-
ლთა... მისგან ვითხოვ“ [ტკივილთ
ნამეტნაობა გ უ ლ ი ს წ რ ტ ი-
ა ლ ი —недуг сердца: ჩუბინოვი].
წუთი მინუტი (ვახტანგ მეფე)·
ხალეა [ქილ.] მარტოობა.
ხაფი მაღალი ბოხი ხმა.
ხელგამომავალი კაცი [ქილ. 91, 11] გამო-
სადეგი კაცი.

დასასრულ, ერთი ილიასეული სათაურის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოების სათაური ასეა ცნობილი: „კაცია-ადამიანი?!“ (იწერება დეფისითა და კითხვისა და ძახილის ნიშნით).

სათაურის შინაარსობრივ გაგებაში არ სუფევს ერთსულოვნება: „კაცი“ და „ადამიანი“ სხვადასხვაგვარად არის გააზრებული. ამიტომ სათაურში ჩაქსოვილი შინაარსი დიამეტრულად საწინააღმდეგო ინტერპრეტაციათა საფუძვლად იქცა. სკოლებშიც სხვადასხვა მასწავლებელი სხვადასხვანაირ გაგებას სთავაზობს მოსწავლეებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე სათანადო ლიტერატურა არსებობს, ჯერჯერობით საბოლოოდ მაინც არ არის დადგენილი, რას გულისხმობდა სათაურში მწერალი.

წამოყენებულია სამგვარი გაგება: 1. განა ლუარსაბის მსგავსი ადამიანიც **კაცი** არის? 2. განა შეიძლება ისეთი კაცი, როგორიც ლუარსაბია, **ადამიანად** ჩაითვალოს? 3. **კაცი** და **ადამიანი** აქ სინონიმებია, მაშასადამე; გვაქვს პლეონასტური ფორმულა.

მოთხრობის სათაურის პირველი მეცნიერული დასაბუთება სცადა პროფესორმა კარპეზ დონდუამ (ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1938, № 10-11). მკვლევარმა არ გაიზიარა მანამდე არსებული ინტერპრეტაციები და წამოაყენა დებულება „იგი (ლუარსაბ თათქარიძე) კაცია, ადამიანია“. ამრიგად, „კაცი“ და „ადამიანი“ აქ აბსოლუტური სინონიმებია, სათაური კითხვითი წინადადების სახით კი არ უნდა იყოს წარმოდგენილი, არამედ თხრობითი ფორმით, ამიტომ კითხვის ნიშანი უნდა მოიშალოს. ამის კვალობაზე სათაურში ირონიული ასპექტია მოცემუ-

ლი, ამგვარი გაგება სათაურს „უაღრესად ირონიულ მნიშვნელობას ანიჭებს“. ილია ჭავჭავაძე ირონიულად ამბობს — ლუარსაბ თათქარიძე კაცია, ადამიანი; ნაწარმოების არსიდან კი გამომდინარეობს, რომ იგი არ არის კაცი, ადამიანი. ამასთან დაკავშირებით პროფ. კ. დონდუა ეხება სიტყვის ისტორიულ განვითარებას ჩვენს ენაში.

ამასთანავე, პროფ. კ. დონდუა იმოწმებს „ვეფხისტყაოსანს“, სადაც „კაცი“ და „ადამიანი“ პლეონასტურად მეორდება, როგორც სინონიმური სიტყვები: „ეტყოდა: სულე რამც გიყავ, კ ა ც ი ვარ, ა დ ა მ ი ა ნ ი“ (სტროფი 233).

ი. ჭავჭავაძის მოთხრობის სათაურის დონდუასეული გაგება გაიზიარა რამდენიმე მკვლევარმა. მაგალითად პროფ. გ. შალამბერიძე ამბობს, რომ ილია „კაცსა“ და „ადამიანს“ არ ასხვავებს, ლუარსაბი მისთვის არც კაცია და არც ადამიანი (გაზეთი „სახალხო განათლება“, 1949, 27 ოქტომბერი). ამასვე ადასტურებს პროფ. რ. შამელაშვილი წერილში „კაცია-ადამიანის?!“ სათაურის გენეზისისათვის“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, 11 თებერვალი).

ამავე თვალსაზრისს ავითარებს აკად. ალ. ბარამიძე: ილიას ნაწარმოების სათაურის გააზრება „ჩაგონებულია ვეფხისტყაოსნით... ი. ჭავჭავაძემ თავისი დანაპირები ბრწყინვალედ შეასრულა, მკითხველ საზოგადოებას მაღალი მხატვრობით დაუხასიათა წუმპიდან გამოთრეული ცხოველის კაცობა და ადამიანობა. ამიტომაც „კაცია-ადამიანი?!“ დეფისით კი არ უნდა გაიყოს, არამედ ნიშნით მძიმე (,), სახელდობრ, უნდა ვწეროთ: „კაცია, ადამიანი!“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1962, 17 ნოემბერი. შდრ. მისივე: „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, 1966, გვ. 512—513).

როგორც ვხედავთ, ალ. ბარამიძეც **კაცსა** და **ადამიანს** ჩვენთვის საინტერესო სათაურში სინონიმებად მიიჩნევს, ოღონდ კ. დონდუასაგან განსხვავებით, ნაწარმოების სათაური კითხვითი ფორმით აქვს გააზრებული („ილია ჭავჭავაძე სვამს კითხვას, ნუთუ ლუარსაბი კაცია, ადამიანი“, იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 513).

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების სათაურის გაგებაში ჯერ გავრცელებულია სხვაგვარი თვალსაზრისი. სახელდობრ: „კაცი-

და „ადამიანი“ არ შეიძლება გავიგოთ სრულ სინონიმებად. „ლუარსაბი **ადამიანია**, მაგრამ არ არის **კაცი**, ამ სიტყვის ეთიკური მნიშვნელობით“. ილიას მიერ კაცობა გაგებულია, როგორც პიროვნების სრულყოფილობა, როგორც მისი მორალური ამაღლებულობა, ლუარსაბი ადამიანია, ე. ი. ადამის ტომისეულია, მაგრამ ილია კითხულობს: არის თუ არა იგი ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი, ე. ი. კაცი, და მოთხრობის შინაარსით უპასუხებს: ლუარსაბი ადამიანია, მაგრამ იგი არ არის კაცური კაცი. ამიტომ ნაწარმოების სათაურს ეძლევა სატირული შინაარსი და წარმოდგენილია გაკვირვებისა და კითხვის ფორმით. ამ ტრადიციული თვალსაზრისის მეცნიერული დასაბუთება სცადა დოც. ალ. ჩავლეიშვილმა, რომელმაც ილიას მოთხრობის სათაურს მიუძღვნა ვრცელი და საყურადღებო ნაშრომი: „ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ გამო“ (იხ. მისი წიგნი „ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, 1960). აქ ყველაფერია ნათქვამი, ამომწურავად, რაც კი შეიძლება ითქვას გავრცელებული შეხედულების სასარგებლოდ. მოხმობილია ფართო მასალა როგორც თვით ილიას ენიდან, ისე სხვა ლიტერატურული წყაროებიდან.

როგორ უნდა შევაფასოთ არსებული შეხედულებები?

ცნება **კაცი** ქართულში გამოხატულია ორი სიტყვით: **კაცი**, **ადამიანი** (პირველი ძირეულად ქართულია, მეორე — უცხოური, ბიბლიური **ადამ**-ისაგან მომდინარე, ქართული სუფიქსაციით). ძველ ქართულში მხოლოდ **კაცი** იხმარებოდა, აღნიშნავდა ადამისტომისეულობას. იგი მამრობითობას კი არ აღნიშნავდა, არამედ ადამისეულობას ზოგადად. მხოლოდ ახალ ქართულში მიუთითებს **კაცი** მამრობითობასაც. ძველად, ამ აზრით **მამა** იყო. მამაკაცის სინონიმად გვევლინებოდა **მამაჲ**, დედაკაცისა კი — **დედაჲ**. მე-11 საუკუნიდან მოყოლებული **კაცი**, **ადამიანი** სინონიმებია (შდრ. „ადამიანია, პირუტყვი ხომ არაა“ — „კაცია, პირუტყვი ხომ არა“, „ადამიანური მოპყრობა“ — „კაცური მოპყრობა“).

ი. ჭავჭავაძეს შეეძლო თავისი მოთხრობის სათაურში სიტყვები **კაცი**, **ადამიანი** სინონიმურადაც ეხმარა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აქ სინონიმები პლეონასტურად არის მოცემული. ასე: **„კაცია, ადამიანი“**. კ. დონდუამ მიუთითა, რომ აქ ირონიული გა-

გებაა ჩაქსოვილი, — ნაწარმოებიდან კი ჩანს, რომ ლუარსაბი არაა კაცი, ადამიანი. პლეონასტურად მოცემული **კაცი, ადამიანი,** გარდა „ვეფხისტყაოსნისა“ („კაცი ვარ, ადამიანი“), თვით ილიას ენაშიც გვხვდება. მოთხრობის წინასიტყვაობის მესამე ვარიანტში ვკითხულობთ: „ვინა ხარ, რა სულიერი ხარ? — ჰკითხა მგზავრმა. — **კაცი** ვარ, **ადამიანი,** — მიუგო იმანაცა... — მართლა **კაცი** ხარ, **ადამიანი**?.. ქვეყანას მინდა დაგანახვო, რომ **კაცი** ხარ, **ადამიანი**... — შეჰყვირა **კაც-ადამიანმა**“. მწერალმა თათქარიძეს ირონიულად მეტსახელად **კაც-ადამიანი** შეარქვა. წინასიტყვაობაში ლუარსაბი ეუბნება მწერალს: **„კაცი** ვარ, **ადამიანი**“, და ამის საპასუხოდ ავტორიც ირონიით ამბობს თავისი გმირის შესახებ: „კაცია, ადამიანი“, (თხრობითი კილოს და არა კითხვითი ფორმით: „კაცია ადამიანი?“ ამდენად კითხვის ნიშნის დასმა მიუღებელია).

საქმის ვითარებაში გასარკვევად საჭიროა მივმართოთ მოთხრობის გამოცემებს (სამწუხაროდ, ნაწარმოების ავტოგრაფი არ შენახულა).

პირველად ეს თხზულება ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“, რომელსაც თვით ილია რედაქტორობდა. სათაური ასეა მოცემული: „კაცია, ადამიანი“, ე. ი. მოთხრობის პირველ პუბლიკაციაში სიტყვები „კაცი“ და „ადამიანი“ მძიმით გამოყოფა ერთმანეთისაგან და ბოლოს დაისმის წერტილი.

1869 წელს მოთხრობა ცალკე დაიბეჭდა (მ. ბეთანიშვილის გამოცემა, პეტერბურგი) და სათაურიც ისევეა მოცემული, როგორც „საქართველოს მოამბეში“ (ე. ი. ასე: „კაცია, ადამიანი“). მოთხრობის ნაწყვეტები ი. გოგებაშვილმაც შეიტანა „ბუნების კარის“ მე-3 გამოცემაში (1876 წელს). აქაც დასათაურება ანალოგიურია („კაცია, ადამიანი“).

გაზეთ „დროების“ 1876 წლის 128-ე ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ გვითხრეს, რომ ს. — პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიის წევრი უფ. ბროსსე, რომელიც ასეთი მცოდნეა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, ამჟამად თ. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ მოთხრობას „კაცია, ადამიანს“ სთარგმნის ფრანცუზულს ენაზედ და აბეჭდინებს“ (გვ. 1, „დღიური“). აქაც მძიმეა დასმული.

ძალზე საინტერესოა აკადემიკოს ბროსეს თარგმანი. სათაური ასეა თარგმნილი: „Un homme, un fils d'Adam“, რაც ქართულად იქნება: „კაცი, შვილი ადამისა“:

აქაც შენარჩუნებულია ორიგინალის სათაურის კონცეფცია.

ამრიგად, 1880 წლამდე ვერ შევხვდებით ილიას თხზულების დასათაურებას, სადაც „კაცი“ და „ადამიანი“ სინონიმებად არ იყოს მოცემული.

1880 წელს მოთხრობა გამოსცა „საამხანაგო ქართული წაგნის მაღაზიამ“. აქ უკვე სათაურის სხვაგვარი დაწერილობაა: „კაცია-ადამიანი?!“ ე. ი. დეფისით და კითხვისა და ძახილის ნიშნების დასმით.

ეს დაწერილობა დაკანონდა თხზულების მომდევნო გამოცემაში.

ყოველივე ამის გამო სიზუსტე აკლია ალ. ჩავლეიშვილის განცხადებას: „ცნობილია, რომ ილიას სიცოცხლეში „კაცია-ადამიანი?!“ გამოიცა კითხვისა და გაკვირვების ნიშნებით, მაგრამ ეს ილიას არ გაჰკვირვებია და ამის შესახებ ის არავის შეჰკითხვიაო“. ილიას სიცოცხლეში 17 წლის განმავლობაში „კაცია, ადამიანი“ გვხვდება, ოღონდ ოთხმოციანი წლებიდან შეიცვალა საქმის ვითარება. ეს ცვლილება ხომ არ შეიძლება ავტორს მივაწეროთ? — მხოლოდ ასე შეეძლო დაესვა კითხვა ალ. ჩავლეიშვილს, რომელიც, საერთოდ, დაკვირვებული მკვლევარია და, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში არ გაუთვალისწინებია ილიასეული სათაურის ისტორია.

ახლა გავეცნოთ ერთ უაღრესად საგულისხმო დოკუმენტს, რომელიც ნათელს ხდის, თუ როგორ ესმოდა ილიას თავისი ნაწარმოების სათაური.

როგორც ირკვევა, ილია დაინტერესებულა აკად. მ. ბროსეს ფრანგული თარგმანით და ცნობილი ისტორიკოსის დიმ. ბაქრაძის მეშვეობით ბროსესათვის უთხოვია — თარგმანის დაბეჭდილი ეგზემპლარები გამომიგზავნეთო. „დ. ბაქრაძემ (სათაურის) თარგმანი არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და ჰკითხა ილ. ჭავჭავაძეს, როგორ უნდა გავიგოთ მოთხრობის სათაურიო“[1]. ილიას პასუხი გაუცია და დიმ. ბაქრაძესაც მიუწერია აკად. მ. ბროსესათვის:

[1] შოთა ხანთაძე, მარი ბროსე 1966, გვ. 167.

„Роман печатался без него и потому допущен неточность типографическая, которая многих вводит в ошибку. Следовало б печатать не кацыа, а кацы-а адамиане! Заглавием этим автор хотел выразить следующую мысль: Он есть человек?! кацы и адамиане равнозначащи“ (დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტში: ხელ. ნაწ. განყ. Р-19 1878 წ. 16 თებერვალი. გამოაქვეყნა შ. ხანთაძემ)

როგორც შ. ხანთაძე ამბობს, ილიას წერილობით მოუწოდებია თავისი შენიშვნა-განმარტება ბროსესათვის, მაგრამ ილიას ნაწერს ბროსეს არქივში ვერ მივაკვლიეთო (გვ. 167).

წერილიდან ირკვევა, რომ ილიას თავისი ნაწარმოების სათაურში „კაცი“ და „ადამიანი“ აბსოლუტურ სინონიმებად გაუაზრებია („кацы и адамиане“ равнозначащи)

მთლად ნათელი არ არის „а“-ს გამოყოფა („кацы-а, адамиане“). ამავე დროს, აქ მძიმე შეიძლება გამოტოვებულიცაა. იქნება აზრის ხაზგასმის საჭიროებითაა გამოყოფილი („кацы а́ рис, адамиане!“ ა ხომ წარმოშობით არის სიტყვისაგან მომდინარეობს!). საჭიროა ავტოგრაფზე დაკვირვება.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის სათაურის დაწერილობა (დეფისით და კითხვის ნიშნის დასმით) მწერლის თავდაპირველი ჩანაფიქრის ნაყოფი არ არის და, რაც მთავარია, „კაცი“ და „ადამიანი“ თანაბარი მნიშვნელობის სიტყვებადაა ნაგულისხმევი. შემდეგ, ეტყობა, მცდარი დაწერილობა დაკანონდა და ტრადიციად იქცა, გაუგებრობის წყაროდ რომ ქცეულა ჩვენს დრომდე. წერილში ნათქვამი „Заглавием этим автор хотел выразить следующую мысль: „Он есть человек?“ ნაწარმოების დედააზრის განმარტებაა: მართალია, სათაური „კაცია, ადამიანი“ თხრობითი ფორმითაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს დადებითი ფორმა ერთგვარი ირონიაა, რომელიც ნეგატიურად უნდა იქნეს აღქმული მოთხრობის შინაარსის მიხედვით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათაურის პოზიტიური ფორმა ნეგატიურ შინაარსს გულისხმობს: „კაცია, ადამიანი“ — ნათქვამია სა-

თაურში (ირონიულად), არ არის კაცი, ადამიანი — ნათქვამია ნაწარმოებში.

რის საფუძველზე უნდა შეცვლილიყო თხზულების სათაურის დაწერილობა ასე: „კაცია-ადამიანი?!“ რაკი ირკვევა, რომ ილიას „კაცი“ და „ადამიანი“ სინონიმურად ესმოდა, აქედან გამორიცხულია ტრადიციული გაგება, თითქოს აქ „კაცი“ მორალური კატეგორიის ცნებას გამოხატავდეს და „ადამიანი“ მხოლოდ ადამიანთმეულობას, ამიტომ „კაცია-ადამიან“-ში ეს ორი სიტყვა ინარჩუნებს აბსოლუტური სინონიმების მნიშვნელობას. მძიმის ბადალია აქ დეფისი. კითხვის (და ძახილის) ნიშანი კი დაემატა იმის გამო, რომ მოხდა გააზრიანება (განა ლუარსაბი კაცია, ადამიანია? — ამ გაგებით). ეტყობა, ილიაც შეურიგდა ასეთ დაწერილობას და ამით აიხსნება, რომ ავტობიოგრაფიაში ის თავის ნაწარმოებს ახლადდაკანონებული დაწერილობით იხსენიებს.

ამრიგად, ილიამ თავისი თხზულების სათაური ასე გამოაქვეყნა: „კაცია, ადამიანი“. ამ სახით ვრცელდებოდა იგი დიდი ხნის განმავლობაში (ასევე მოიხსენიებდნენ ნაწარმოებს იაკობ გოგებაშვილი და სხვები). გვიან შემოიღეს ასეთი დაწერილობა: „კაცია-ადამიანი?!“, ე. ი. დეფისითა და კითხვით-ძახითი ნიშნების დასმით. ილია ამ დაწერილობას შეურიგდებოდა, რადგან აქ დეფისი მძიმის ბადალია (შეადარე: „კაცია, ადამიანი“ — „კაცია-ადამიანი“). ხოლო კითხვითი და ძახილის ნიშნები არ ცვლიან, კაცმა რომ თქვას, იმ შინაარსს, რომელიც ჩაქსოვილი ჰქონდა ავტორს თავდაპირველ სათაურში: „შეხედეთ, ეს პერსონა კაცია, ადამიანი“, ამბობდა ილია ირონიულად, თავის ნაწარმოების გმირზე. სათაურის სახეშეცვლილ დაწერილობაში (კაცია-ადამიანი?!) ამ სახითაც იგივე სემანტიკაა გამოთქმული. თავიდათავი ისაა, რომ ილიას **კაცი, ადამიანი** სინონიმებად ესმის.

„კაცი ვარ, **ადამიანი“**, — ნათქვამია „ვეფხისტყაოსანში“.

„კაცი ვარ, **ადამიანი,** — მიუგო იმანაც... ქვეყანას მინდა დავანახვო, რომ **კაცი** ხარ, **ადამიანი**.... შეჰყვირა **კაც-ადამიანმა“**. — ნათქვამია ილიას მოთხრობის მესამე ვარიანტში.

„კაცია, ადამიანი“ — ასე დაასათაურა ავტორმა თავისი თხზულება და ასე იბეჭდებოდა იგი ილიას სიცოცხლეში წლების მან-

ძილზე (შემდეგ რომ შეიცვალა ასე: „კაცია-ადამიანი?!“, სადაც იგივე შინაარსია ჩადებული!).

„კაცი и ადამიანი равнозначащи“, — შეუთვალა ილიამ აკადემიკოს ბროსეს დიმ. ბაქრაძის პირით.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ **კაცი** და **ადამიანი** ილია ჭავჭავაძის თხზულებაში გაგებულია აბსოლუტურ სინონიმებად.

ამიტომ სრულიად უნიადაგოა და ხელოვნური მტკიცება, თითქოს ავტორს უნდოდა ეთქვა: განა ლუარსაბის მსგავსი ადამიანიც **კაცი** არის? (ერთი თვალსაზრისი); განა შეიძლება ისეთი კაცი, როგორიც ლუარსაბია, **ადამიანად** ჩაითვალოს? (მეორე თვალსაზრისი).

საკითხი ვფიქრობთ, ნათელია.

აკაკი წერეთელი და ქართული ენა

„ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულს ენაზე, დავკვირვებივარ: ხან ავფრთოვანებულვარ, ხან დავნაღვლიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები მიტეხია“.

აკაკი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი, ისევე როგორც ილია, ყველაზე ეროვნული მწერალია ახალ ქართულ ლიტერატურაში. მისი პოეტური აზროვნებისა და მეტყველების სათავეების ამოსაცნობად საჭირო არაა ლიტერატურული რემინისცენციების მოშველიება, — აკაკის შემოქმედებითი ფესვები ჩვენი ერის სულიერი კულტურის ნიადაგშია საძიებელი. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ქართული მწერლობის ისტორიაში — რუსთაველის შემდეგ — აკაკი ერთადერთია, რომელსაც ამდენი მიმდევარი და მიმბაძველი ჰყავს, — „აკაკის სკოლა“ ყველაზე ნაყოფიერი და ფართო აღმოჩნდა ახალი ქართული პოეზიის განვითარებაში.

აკაკის პოეტური მეტყველება განუმეორებელი ნიმუშია ქართული ენის ამოურწყველი შინაგანი შესაძლებლობებისა. მერჩულე, მთაწმიდლები, რუსთაველი, საბა ორბელიანი, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა — აი მაგისტრალური ხაზი ჩვენი ენის სტიქიის ლიტერატურული გამოხატულებისა.

აკაკისეული პოეტური ფრაზა არაჩვეულებრივი ბუნებრიობითა და ამაღლებული სისადავით ხასიათდება. ძალდაუტანებლობა აკაკის ლიტერატურული სტილის ნიშანდობლივი თვისებაა და მისთვის უცხოა ხელოვნური ენობრივი გართულება, ფრაზის კონსტრუქციული დაბნელება. მე ვფიქრობ, არსებითად ენის ბუნებრიო-

ბისაკენ მიდრეკილებამ და ხელოვნური შელამაზების უგულებელყოფამ ათქმევინა აკაკის: „...საზოგადოთ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი... ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ, თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შიგ გამოურიე, მორჩა, გათავდა, მისი მთლიანობაც და ერთიანობაც ირღვევა“.

ფორმულირება — „მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი“ — ზოგმა კეკლუცობად ჩაუთვალა პოეტს (კიტა აბაშიძე), ზოგმა კი თავის თავისადმი საყვედურის გამოთქმად (ვახტანგ კოტეტიშვილი). პროფ. ვარლამ თოფურიამ ეჭვი შეიტანა აკაკის ზემომოყვანილი სიტყვების გულწრფელობაში, რადგან, მართლაც, ისე გაჰღდის, რომ თითქოს მხატვრული ნაწარმოების შექმნისას ენას, მის სისწორეს, დახვეწილობას, ერთი მხრივ, და თხზულების შინაარსს, ფორმას, აღნაგობას, მეორე მხრივ, აკაკისათვის მნიშვნელობა არა აქვს: „აკაკი მწერლის მაღალ შემოქმედებას, — თხზულების შინაარსს, ფორმას, ენას განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება“.

აკაკის მხატვრული შემოქმედება ენობრივი რეალიზმით არის აღბეჭდილი. ენობრივი რეალიზმი კი შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ხალხური მეტყველების სტილისტურ გადამუშავებასა და დახვეწას. აქედან გასაგებია, რომ დაისახა აუცილებლობა მდიდარი ქართული ფოლკლორული სამყაროს შესწავლისა და ხელშეუხები მასალების გამოვლინებისა. აკაკიმ ხალხური სიტყვიერების ფონდების პუბლიკაციას დიდი ამაგი დასდო და საგანგებო კრებულის („აკაკის კრებული“) დაარსებით საფუძველი ჩაუყარა ხალხში გაბნეული „ობოლი მარგალიტების“ სისტემატიზაციასა და მეცნიერულ ანალიზს. ყოველივე ეს მოითხოვდა ხალხში ტრიალს და ფასდაუდებელი ფოლკლორული მონაცემების შეკრებას. საგულისხმოა სოფრომ მგალობლიშვილის მოგონება: „აკაკიმ რაც წერით გააკეთა, ერთი იმდენი — ხალხში გამოსვლით. იგი ყოველ წლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში და ჭირ-ვარამს უქარვებდა და

წმენდდა გულიდან"; აკაკი „ერთადერთი მწერალია, ერთადერთი მგოსანი, რომელიც პირდაპირ გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს, ჩაიხედა მის სევდიანს, მაგრამ უმწიკვლო გულში. იქიდან სევდიან ცრემლთაგან შეკინძული მარგალიტები ამოკრიფა, თავის ჩანგს სიმებად დაასხა და მთლიანი მადლიანი მარჯვენით ააჟღერა იგი". 1913 წელს აკაკი თედო ჟორდანიას სწერდა: „ძმაო თედო... მე ცოტაოდნად კიდევ ძველ ქართველად გაზრდილს, ეროვნულ იგავ-არაკებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსე".

აკაკის ბავშვობიდანვე აღეძრა ფოლკლორისადმი ინტერესი და სიყვარული. როგორც გადმოცემიდან ცნობილია, იგი „ჯერ კიდევ ოთხი წლისაც არ იყო, რომ ზღაპრებს გამალებით უგდებდა ყურს". გლეხის ოჯახში გაბარებას, შეიძლება ითქვას, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აკაკის ხალხური აზროვნების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში. აქ ეზიარა მომავალი დიდი პოეტი ჩვენი ენის სურნელებასა და ფორმათა ნაირნაირობას, ხალხური შემოქმედების საუნჯეს, ქართულ ენობრივ სტიქიას. პატარა აკაკი ხარბად ეწაფებოდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზა-გამოცანებს. „ზამთრის გრძელი ღამეების შესამოკლებლად გადია ჩემი ზღაპრებს მეუბნებოდა ხოლმეო, — იგონებს პოეტი, — ზოგიერთი მათგანი დღესაც გულის ფიცარზედ მაწერია... მახსოვს, ერთს მკაცრ ზამთარში, როდესაც შავი-უკუნი სარკმელში იხედებოდა და ჭარიშხალიც გარეთ ისე გულსაკლავად ზუოდა, რომ თითქოს, სიცივისაგან ატანილი, თბილ ოთახში შემოშვებას იხვეწებოდაო, — გამხიარულებულ ბუხრის წინ შვლის ტყავზე რბილად და თბილად ვიჯექი და სულგანაბული ყურს ვუგდებდი გადიას; იმ დროს ის ამბობდა „ოქროს წყაროს" ზღაპარს", ანდა: „საღამოს... დაანთებდნენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგვიშლიდნენ შვლის ტყავს და დაგვსვამდნენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში, ან გამოცანებს ვამბობდითო".

პატარა აკაკი არ იყო ხალხური შემოქმედების პასიური ამთვისებელი. იმდროინდელია აკაკის მიერ გამოთქმული შაირები,

სადაც ნათლად იგრძნობა ხალხური რემინისცენციები. მაგალითად, მოურავზე მას ასეთი შაირი გამოუთქვამს.

„ბეღელს თაგვი შესჩვევია,
ხრავს სულ რაც სახრავიაო,
მაგრამ თვითონ დიდი თაგვი
თვითონ მოურავიაო“.

ქრისტეფორე ბერზე გამოუთქვამს:

„ქრისტეფორე ბერიაო,
ცოდვას გაუბერიაო,
წვრები ჩვენს ვაცს მიუგავს,
განზე გაუშვერიაო“.

შინაყმა თომა სადუნიშვილზე უთქვამს:

„ყვაო, ყვაო, ყვანჩალაო,
ჩამოგიელია ჯალაო,
თუ შეიტყვე, როდის მოვა
ჩვენი თომა ქაჩალაო“.

ხაბაზი ასე „შეუმკია“ პატარა აკაკის:

„შენი გამომცხვარი პური,
ლავაში და მურასაო,
ადამიანს არ ეჭმევა,
გადუყარეთ მურასაო“.

საინტერესო თემაა აკაკის შემოქმედებაში ფოლკლორიზმების გამოვლენა, ხალხური ციტატების გამოყენება. არაიშვიათია მის პოემებში ამგვარი ნიმუშები:

1. ათონით დაბრუნებული,
თორნიკე მოციქულობსო
და „ორივე ხელით იჭმება
ქადა, თუ გული გულობსო“.
2. არა, „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო“,
ხომ კარგად იცი შენ, მამაო?
დღეს ერი გირჩევს ერთხმად წინამძღვრად
და უარის თქმა არის ამაო.
3. და უთხრა ჯოჯიკს: — ახლა შენ იცი,
შავი დღეების შენ ხარ გმირიო;
„ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო“,
გაგვიადვილე გასაჭირიო.

აკაკის პოეტური მეტყველების ხალხურობის შესასწავლად უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ ხალხურ ლექსებში გადასულია ორგანულად შერწყმული ციტატების სახით აკაკისეული პოეტური კონსტრუქციები. მაგალითად, პროფ. მიხეილ ჩიქოვანს იყალთოში ჩაუწერია თქმულება შოთა რუსთაველზე. აქ ჩართულია სავსებით ბუნებრივად აკაკის ლექსები. რუსთაველი თამართან დაიჩოქებს და ეუბნება:

„ერთხელ მხოლოდ სიზმრად ვნახე,
ქალთა ჰქონდათ ერთად კრება,
ტახტზე იჯდა თამარ მეფე
მოცინარი, მომღიმარი,
მარჯვნივ ეჯდა თინათინი,
მარცხნივ ნესტან-დარეჯანი.
გარს ეხვია სხვა ქალები,
როგორც მთვარეს ვარსკვლავები.
—ერთხელ ვნახე თქვენთან ძილში, —
(ეუბნება შოთა თამარს),—
ქალთა ჰქონდათ ერთად კრება,
გეჟიცებით ერთგულებას,
დღესაც ისე მენატრება“.

მიხეილ ჩიქოვანსავე ლეჩხუმში ერთი მოხუცი ქალისაგან ჩაუწერია აკაკის ლექსი „ქართველი ქალი“, რომელსაც მთქმელი ხალხურ ლექსად ასაღებდა. ჩაწერილია ამავე ლექსის გახალხურებული ვარიანტიც.

აკაკის პოეტური ენის ლ ე ქ ს ი კ ი ს მასაზრდოებელი წყარო ისევ ხალსური სიტყვობრივი სტიქიაა. ჯერ კიდევ ყრმა აკაკი გლეხის ოჯახში უკვირდებოდა შრომითს საქმიანობას და ითვისებდა სათანადო ტერმინოლოგიას. ეს ისეთი სიტყვებია, რომლებსაც მანამდე არ ღირსებია ლიტერატურული გამოხატულება. „ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარი შეჭამანდის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვა და სხვანიო“, ამბობს აკაკი. უეჭველია, ამ გზით მკვიდრდებოდა მომავალი მწერლის სამეტყველო ცნობიერებაში ძირეული ქართული სიტყვები

და გამოთქმები, ქართველი კაცის შრომითს საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები.

ხალხური ზეპირსიტყვიერება რომ სათავეა სალიტერატურო ენის ლექსიკონის გამდიდრებისა და გაპოხიერებისა, ეს უტყუარი დებულება არასოდეს დავიწყებია ჩვენს დიდებულ პოეტს. სწორედ ეს აძლევდა საფუძველს აკაკის ეთქვა: „ძვირათ რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდესო“. შემდეგ დასძენდა: „მეტი გზა არ არის, ზეპირსიტყვიერებას უნდა მივაქციოთ ყურადღება“. აკაკი ხაზგასმით აცხადებდა, რომ ენა ხალხმა კარგად იცის და არ ვიცით მხოლოდ ჩვენ, რადგან კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთო. განა ყრმობასა და ჭაბუკობაში შეთვისებული ხალხური ლექსიკით იფარგლებოდა პოეტი, — იგი ხანდაზმულობის ჟამსაც ხარბად იწერდა იშვიათ სიტყვებს და იყენებდა თავის ნაწარმოებებში. „აი, ახლაც სოფლელებს ზღაპარს ვათქმევინებ ხოლმე, — ამბობს აკაკი, —და, უნდა ნახოთ, რამდენს სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს და ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის... ხალხში ჩამდგარი არა ვართ, მათ სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ“...

გავეცნოთ ერთი ტერმინის დადგენის ისტორიას.

დაისვა საკითხი რუსული „ვოდოპადის“ ქართული ეკვივალენტის დადგენის თაობაზე. უაღრესად საინტერესოა აკაკის ძიება ამ მიმართულებით. იგი გულდასმით სწავლობს ხალხში ამ ცნების შინაარსს, უკვირდება კლდიდან გადმომსკდარი წყლის ნაირსახეობებს და აგროვებს შესაბამის დიფერენცირებულ ტერმინოლოგიას. „დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოდოპად“? — ამბობს აკაკი. — ზოგმა „წყალვარდნილი“ იხმარა, ზოგმა „ჩანჩქერი“, ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა? ვერ შეთანხმდენ და ერთ გადაჭრილს ვერ დაადგენ... არ იციან, რა დაუძახონ, მაშინ როდესაც სიტყვა „ვოდოპადი“ ქართულად სხვადასხვა წოდებით იხმარება, მათ-მათი განსაკუთრებით ხასიათის“ შესაფერადო, და გვაწვდის ამ „განსაკუთრებითი ხასიათის“ შესაფერ სახელწოდებებს, შეკრებილს ხალხში. აი ეს სიტყვებიც: „ჩქერი“ ანუ გადამახინჯებულად „ჩა-

ქერი“ ჰქვია მდინარის იმ ადგილს, სადაც ქვები ყრია და გაჭანებული წყალი, ქაფად გამსქდარი, თავზე ევლება ლოდებს... რუსები იმას „პაროგს“ ეძახიან, — სიტყვა „ჩაქერი“ „ჩქარისაგან“ უნდა იყოს წარმომდგარი. — როდესაც მაღლიდან კლდეზე გადმოჩუხჩუხებს წყალი და კლდის კედლებს კი არ შორდება, იმას ეძახიან „ჩანჩქერს“ ანუ „ჩენჩქერს“. როდესაც მაღლიდან შორს სცემს ცოტად და კლდის კედელს არ ეკარება, იმას „საჩქეფი“ ჰქვია. აგრეთვე როცა მაღლიდან უფსკრულისაკენ ექანება, ჯურღმულში ჩადის და კაცი ზეიდან დაჰყურებს, თუ პატარა წყალია, „ჩახრიალა“ ჰქვიან და თუ დიდი წყალი — „ჩაქუხა“. ეს ხალხმა კარგად იცისო“, დასძენს ავტორი.

აკაკი თავს ესხმოდა ისეთ მწერლებს, რომლებიც ხელოვნურად, დედაენის კანონების გაუთვალისწინებლად თხზავდნენ ახალ-ახალ სიტყვებს და არ ეცნობოდნენ ხალხური მეტყველების წიაღში ფესვგადგმულ და დაბუდებულ ლექსიკურ საუნჯეს. ასეთი მწერლები „თავის საკუთარი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ! სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკუღმართებენო“, გულისტკივილით ამბობდა იგი.

აკაკი იმასაც მიიჩნევდა, რომ ხალხური მასალების გაუთვალისწინებლობის შედეგად ენა ნაგვიანდება გაუმართლებელი უცხოური სიტყვების შემოტანით და დანერგვით. ამავე დროს, ჩვენი პოეტი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ ისტორიულად სხვადასხვა ენიდან შემოსულ სიტყვებს ოდნავადაც არ შეუბღალავთ ქართული ენის ლექსიკონი, არ შეუცვლიათ მისი სახე, არ განუდევნიათ ძირეული სიტყვობრივი მასალა. აი რას ამბობს იგი: „არა, ჩვენი ენა მდიდარი არის. ძვირათ დარჩენილა ენა, რომელსაც არ შემოეწიროს ჩვენთვის რამდენიმე სიტყვა, ჩვენს ენაში ვხედავთ სხვადასხვა ენების სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ებრაულს, სომხურს, ბერძნულს, თათრულს“. ამ უცხოური სიტყვების შემოტანას რამდენადმე გაუმდიდრებია ჩვენი ენა და ეს პროცესი სინონიმიკის წყაროდაც გამხდარა: „ამ მიზეზით ხშირად ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავად ჩვენ გვაქვს რამდენიმე სიტყვა“. სავსებით სწორი შეხედულებაა. აკაკი აღნიშნავს ქართული ენის საოცარ სიმყარეს, მისი გრამატიკული წყობის სიმტკიცეს საუკუნეთა განმავლობაში, მიუხედავად სხვა ენების დიდი და-

წოლისა და შემოტევისა: „საკვირველი ეს არის, ამდენ ვაი-ვაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა, ვერც ერთ ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადურევია, ვერ გადურჯულებია, დაუთმია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ გადმორჯულებულა. სხვათა შორის, შესანიშნავი კიდევ ეს არის რომ, როდესაც ერთსა და იმავე საგნის გამოსახატავად სხვადასხვა სიტყვები შემოსულა, განსაკუთრებით, ცოტა რამ განკერძოებითი ხასიათი მისცემია... ბევრი სიტყვები გვაქვს შემოღებული სხვადასხვა ენებიდან... ამგვარათ, მიგვიღია რამდენიმე ლექსები (ე. ი. სიტყვები **შ. ძ.**), მაგრამ ჩაგვიდგამს მათთვის ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი. იმ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევა-მოსილი დარჩენილა დედა-ენა. ერთ სტაქან წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა რომ ჩაურიოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურიოთ, ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას. სწორედ ასეთ წვეთ-წვეთებად შემოსულან ზოგიერთი სიტყვები უცხო ენებიდან ჩვენს ენაში“.

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს აკაკის საღი და მეცნიერულად სავსებით მართებული შეხედულება. ქართული ენის ისტორიული განვითარების თაობაზე. ავტორის მიერ წამოყენებული დებულება სრულიად ეჭვმიუტანელია. ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორია მთლიანად ადასტურებს დიდი პოეტის ალღოს, პოეტისა, რომელსაც შესანიშნავად აქვს შეცნობილი ჩვენი ენის საუკუნეობრივი განვითარების გზა.

ხალხში ტრიალმა და ცოცხალ მეტყველებაზე ღრმად დაკვირვებამ თვითონ აკაკის სამწერლო ენაში ამოატივტივა მრავალი სიტყვა, იდიომატური გამოთქმა, ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სამუდამოდ შევიდნენ ქართული სალიტერატურო ენის სიტყვობრივ საგანძურში.

აქ დავკმაყოფილდებით ერთი მაგალითით, საიდანაც ჩანს, თუ როგორ მოიპოვა აკაკიმ ხალხში ერთი სიტყვა და გასაჭანი მისცა მის გავრცელებას ჩვენს ენაში. მოგვყავს ფორაქიშვილის მოგონებიდან აკაკის სიტყვები: „ჩემი მოგზაურობის დროს ერთხანს მომიხდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში ყოფნა... ჩამოვხტი ერთი გლეხის ოჯახში. ამ ოჯახის მეთაური აღმოჩნდა ძველი თქმუ-

ლებების, ამბებისა და საერთოდ ზეპირსიტყვაობის დიდი მცოდნე. მეც დავინტერესდი, და რადგან ამ ოჯახში ყველამ მთხოვა, რამდენიმე დღეს დავრჩი.

ოჯახის მეთაური მთელ იმ მხარეს განთქმული ყოფილიყო, როგორც კარგი მცოდნე და დახელოვნებული ჩვენებური წისქვილების გამართვისა და მოწყობის საქმეში. ახლა კი, რადგან იგი მოხუცებულობაში შესულიყო, მოეწადინა, თავისი ხელობა და ცოდნა გადაეცა თავისი უფროსი ვაჟისათვის. ამიტომ მას გზავნიდა წისქვილების გასაკეთებლად და ხელმძღვანელობას უწევდა სახლიდან. იმჟამად უფროსი ვაჟი ამავე სოფელში ამთავრებდა ახალი წისქვილის გაკეთება-გამართვას. როცა იგი საღამოთი დაბრუნდა სახლში, მამა შეეკითხა:

— რა ქენი, შვილო, როგორია შენი ახალი წისქვილის საქმე?

— რაღა როგორ არის, მამაჩემო, წისქვილი მზად არის, გამართულია ყოველმხრივ, მაგრამ როცა წყალი მივუშვით ღარში, ბორბალი არ დატრიალდა. რამდენი ვეწვალე, ვეცადე, მაგრამ ბორბალი ვერ ავამუშავე.

— კარგი, შვილო, — მიუგო მამამ, — ახლა დაისვენე, ვივახშმოთ, ხვალ დილით გამოგყვები, გავსინჯავ და იქნება საქმე მოვაგვაროთ".

მეორე დღეს, — განაგრძობს აკაკი, — მეც გავყევი მათ. მამამ ახალი წისქვილის ყველაფერი გასინჯა და გამართულობა მოუწონა შვილს. შემდეგ წყალი მიაშვებინა ღარში, მაგრამ წისქვილის ბორბალმა მოძრაობა მაინც არ დაიწყო. მაშინ მოხუცი ხელოსანი მიაჩერდა ხის ღარს, დაიწყო მისი სიღრმის და სიგანის ზომვა და უთხრა შვილს:

— აი სწორედ ეს არის მიზეზი შენი წისქვილის უბედურებისა. ღარისათვის ტევა საკმარისი არ მიგიცია. ღარი უნდა გამოცვალო, სახლში ერთი ღარი რომ მაქვს, წინათ დამზადებული, ჩემი ვარაუდით, აქ გამოდგება თავისი ტევით; წადი ჩქარა სახლში, მოიშველიე სხვებიც და მოიტანეთ ის ხის ღარი.

არ გასულა დიდი დრო, მოიტანეს სახლიდან ღარი. მოხუცმა ხელოსანმა გაამართვინა, როგორც რიგია. მიუშვეს ღარში წყალი, ბორბალი მაშინვე ამუშავდა, საფქვავიც დააყარეს, წისქვილი წესიერად ფქვავდა, ყველანი ნასიამოვნები იყვნენ. მამამ შვილი დაარიგა:

— კარგად დაიხსომე, რომ წისქვილის ღარს როცა აკეთებ, ყოველთვის ტ ე ვ ა მეტი მიეცი, რადგანაც ღარს ტ ე ვ ა თუ მეტი აქვს, ამით საქმე არ დაშავდება; თუ საჭირო იქნება ტ ე ვ ი ს შემცირება, ეს ადვილად შეიძლება, ღარში წყლის ნაკადს საჭიროებისამებრ შეამცირებ".

აკაკი განაგრძობს:

„მე აქ გაგონილმა სიტყვა ტ ე ვ ა მ, ტ ე ვ ა დ ო ბ ა მ ძალიან დამაინტერესა. ხშირად მსმენია ხალხში ნათქვამი ფრაზა: ჩვენს დარბაზში იმოდენა სტუმრები შეიკრიბნენ, რომ ტ ე ვ ა არ იყო, ან ეკლესიაში იმდენი ხალხია, რომ ტ ე ვ ა არ ჰყოფნისო.

ბოლოს, კარგა გამოკითხვის შემდეგ, გამოირკვა, რომ სიტყვა ტ ე ვ ა ან ტ ე ვ ა დ ო ბ ა ნიშნავს, რასაც რუსულად ვუწოდებთ „იომკოსტს" (ёмкость).

ამიტომ ხალხში დარჩენილ ზეპირსიტყვაობას როგორც წინათ, ისე ახლაც დიდ მნიშვნელობას ვაწერ".

ზემოთქმულიდან ვრწმუნდებით, რომ აკაკი ქართული ენის სალიტერატურო ლექსიკონის გამდიდრების ქვაკუთხედად მიიჩნევდა ცოცხალი მეტყველებიდან, დიალექტებიდან სიტყვების შემოტანას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი დიალექტური სიტყვა-გამოთქმა ღირსია მწერლობაში დამკვიდრებისა. აკაკის კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სიტყვების შერჩევისას საჭიროა ფრთხილი მიდგომა და ფაქიზი ანალიზი. აკაკისათვის ამოსავალია დებულება ხალხური მასალის გადამუშავებისა და სტილისტური დახვეწის შესახებ.

აკაკი სავსებით სწორად შენიშნავდა, რომ „...ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულათ კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ ჩაწეროს. არა, ასისა ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით". აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა შ ე რ ჩ ე უ ლ ი მ ა ს ა ლ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. დასავლური კილოებიდან, მაგალითად, აკაკის შესაფერის სიტყვებად მიაჩნია: ფ ი ო რ ი — ბეწო, ჯ ა ნ ჯ გ ა ლ ი — („ვანძრიოთ და ვაჯანჯგალოთ"), მ ა ჟ ვ ა ბ ე ლ ა — მაჯლაჯუნა, ხ ვ ა ნ ც ა რ ი კ ი — ხვანცალი, დ ა ფ ი ც ვ ა —

დამალვა, არგამჟღავნება. და სხვ. აკაკიმ შემოიტანა მწერლობაში, აგრეთვე, ისეთი სიტყვები, როგორიცაა შეხმატკბილება, ბობოლა, გაიძვერა და მრავალი სხვა.

ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების ინტერესი მოითხოვდა, რომ მწერლობაში გასაქანი არ მისცემოდა ისეთ ფორმებს, რომლებიც დედაენის კანონებს არ შეესაბამებიან. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა აკაკის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა. ამით აიხსნება, რომ ჩვენი პოეტი დაუნდობლად ამხელდა იმ მწერლებს, რომლებიც უწესო გრამატიკულ ფორმებს აბატონებდნენ და ხელს უწყობდნენ სამწერლო ენის დანაგვიანებას სხვადასხვა დიალექტებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმების შემოტანით. „ეთქმის მწერალი მისთანა თავხედსა და გამბედავ მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლ-წერა, არც განვითარებულია და არც ქვეყანასა და ხალხს იცნობს?! რასაკვირველია, არა“, ამბობს აკაკი. მაშასადამე, მართლწერა სავალდებულოა ყოველი მწერლისათვის.

აკაკი ასახელებს სხვადასხვა კილოში დამკვიდრებულ ფორმებს, რომლებსაც სალიტერატურო ენა არასოდეს არ მიიღებს. აი რას ამბობს იგი: „გურიაში ამბობენ: „ნენა! რას უყურცულებ? დროა, პაწა შუკიდოთ ცეცხლს და ჩავსვათ...“ იმერეთში: „დანები მოსულარიან და იქანეი ჯილარიან...“, რაჭაში: „ქვე ქნიან ფონ ქვერე ჩემ გოჭუკელას...? ქართლში: „ჯალაბი ობაზე წავასხი და ჩვენთან ერთად ფოფოდიაც მოაბოტებდა...“ პოეტი დასძენს: „ამგვარი რამ ყოველ კუთხეშია — ესენი ყველა პროვინციალიზმია; მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამეების შემოტანა, აქაო და ჩვენ კუთხეში ასე ხმარობენო, ნუთუ ენის გარყვნა არ იქნება?“.

როგორც ვიცით, აკაკიმ დიდი ვაჟა-ფშაველაც არ დაინდო და მას ფშაური დიალექტური ფორმების გამოყენება უკიჟინა. გავიხსენოთ მისი საყვედური რაზიკაშვილებისადმი: რაზიკაშვილები „უხვად არიან მადლით მიმადლებული... ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“ ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები ხომ საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის „ბაჩანასი“ და თედოსი საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი. მაგრამ საწყენი ის არის,

რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოებებს ქართულის გადაჯორჯ-გადმოჯორჯვით და შიგა და შიგ ისეთ რამეებსაც ახორციმეტებენ, რომ შვენიერებას საუწმინდუროდ ჰდაღავენ!... ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხვრა... ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს, ის უეჭველად ქართული ენის უმეცარია!... და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, განზრახ არა ხმარობენ სისწორით, ამახინჯებენ და უკუღმართობა სიტყვიერების გარეგანი გასხივ-ცისკროვნება ჰგონიათ“ (ასახელებს მაგალითებს).

ზმნის ფორმების — „აღვიარებ“, „ვაღიარებ“ გამო დიდი კამათი ატყდა „ივერიასა“ და „კვალს“ შორის. ამ საკითხს აკაკიმ 3 ფელეტონი მიუძღვნა.

ენის სიწმინდის დასაცავად აკაკი აკრიტიკებდა თარგმანების ენასაც.

აკაკი თავის მხატვრულ-პუბლიცისტურ ფელეტონებში „ეკლის წვერა კალმით“ კენწლავდა ჩვენი დედაენის დამმახინჯებელთ, რომლებიც „დედა-ენაზედ მწყრალად იყვნენ: წერა-კითხვა ანჩინურად იცოდნენ და ლაპარაკი ჩოქორთულად, მაგიერათ ჭაპან-წყვეტით პრიშტი-პრუშტობდნენ უცხო ენაზედ, თითქმის თავისი აღარ ახსოვთო...“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სალიტერატურო ენის შენების პრინციპი მოითხოვდა ბრძოლას გაუმართლებელი დიალექტური ფორმების წინააღმდეგ ლიტერატურაში. ამასთანავე, ახალი სამწერლო ენა უნდა გათავისუფლებულიყო დრომოჭმული არქაული ფორმებისაგან. ეს იყო უაღრესად რთული ამოცანა, რომლის გადაწყვეტას ესოდენ დიდი ამაგი დასდო აკაკიმ, დიდ ილიასთან ერთად.

ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის დროს არქაისტებმა იერიში მიიტანეს აკაკიზე, რომელიც თავისი თეორიული შეხედულებებითა და ლიტერატურული პრაქტიკით ძველის ნგრევისა და ახალის დაბადებას ადასტურებდა.

აკაკი დაუნდობლად ამხელდა ძველი თაობის ლიტერატორთა ენობრივ პოზიციას. დამახასიათებელია მისი სიტყვები არქაისტების მისამართით: „ახალგაზრდებმა პირველად შემოიტანეს ამ ბნელ-

ში სინათლე და, მართალია, მათი ლამპარი საქორწინო ლამპარი არ იყო, მაგრამ მაინც ანათებდა ამ ბნელს იმდენად, რომ ერთმანეთის დანახვა შეიძლეს ჩვენმა მამებმა — შეიძლეს და რა მოხდა? ის, რომ, როდესაც თავის დატიტკნილ-დასისხლიანებული ცხვირ-პირი დაინახეს, იუცხოვეს და ნაცვლად იმისა, რომ გაბან-განწმენდას შესდგომოდნენ, გულის ამოყრა ამ ნათლის მჭირველ ახალგაზრდობაზე მოინდომეს!... ეს ასეა ყოველთვის!.. მახინჯს სარკე ეზარება!.. ჩვენებური ანდაზა ამბობს: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“.

თავის „ენების გასამართლებაში“ აკაკიმ დასცინა არქაული ლიტერატურული სტილის დამცველთ. ეს სტილი ადვოკატის — ახმახის პირით ასეა წარმოდგენილი: „ენითა ამით მეტყველიყო შავთელ-ჩახრუხითურთ მშვენიერ ლექსად. ამავე ენით ღაღადებდა ბრძენ, რიტორ, პიიტიკოს ანტონ გაიოსითურთ... ენა ესე გასაგონარს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ. ოდესცა, შემდეგ ლიტურღიისა, დღესა ერთსა უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდბელმა, ერი ვერა გამგები ვერცა ერთისა მარცვლისა მათ მიერ თქმულისა, სდუმდა საკვირველებითა. ამგვართა მაგალითთა ძალგვიძს წარმოდგენა ლეგეონი“.

მსაჯულებმა ასეთი განაჩენი გამოიტანეს: „რადგანაც ეგ მშვენიერი ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისათვის უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს! გაიყვანეთ! მშვიდობით წარვედინ!“.

როგორც ვხედავთ, აკაკიმ მხატვრული ნაწარმოების ფორმას მიმართა იმ მეცნიერული დებულების ნათელსაყოფად, რომ ენა იცვლება, განვითარების კანონს ემორჩილება, სალიტერატურო ენა უნდა გათავისუფლდეს მკვდარი, გარდასული ფორმებისაგან, დაუახლოვდეს ხალხის მეტყველებას, „სოფლიური ენა“ — სახალხო ენა უნდა გახდეს მწერლობის ქვაკუთხედი, მისი მასაზრდოებელი წყარო.

თუ დიდმა ილიამ არქაული ენის დამცველებს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა უმთავრესად თავისი თეორიული სტატიებით,

დიდმა აკაკიმ იგივე როლი შეასრულა ამ პოლემიკაში ძნატვრული მეთოდის გამოყენებითაც, ორივე გზა ერთ მიზანს ემსახურებოდა თანაბარი ძალით...

აკაკის, ისევე როგორც ილიას, აუმხედრდნენ. არქაისტებმა „აკაკიებსა და ბაკაკიებს“ დარბაისლური ქართულის, რუსთაველის ქართულის შერყვნა და გადაგვარება შესწამეს, „მდაბიურ“, „სოფლიურ ენაზე“ წერა ქართული ენის „მტერობად“ ჩაუთვალეს. ილიასა და აკაკის მიერ ენის ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით სწორად არჩეული გეზი ათვალისწუნებისა და სატირული გამოხდომების საგნად იქცა.

ზოგიერთ ჩვენს თანამედროვეს ჰგონია, რომ ეს უბრალო კინკლაობა იყო, მაგრამ ისტორიული ვითარების ობიექტური შეფასება და მოვლენებში ღრმად ჩაწვდომა გვიკარნახებს, თავი შევიკავოთ თაობათა შორის ჩვენი ენის იოგვლივ გაშლილი დაუნდობელი ბრძოლის გაუბრალოებისა და შეუფასებლობისაგან.

აკაკის პირველსავე ლექსს („საიდუმლო ბარათი“), რომელიც გამოქვეყნდა 1860 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში, მწვავედ გამოეხმაურნენ „დარბაისლური ენის“ მებაირახტრენი. ახალგაზრდა პოეტს უკიჟინებდნენ „მდაბიო ენაზე“ წერას და ტრადიციული პოეტური მეტყველების უგულებელყოფას. ასე, მაგალითად, ანჩისხატის დეკანოზი ეფრემი აკაკის სწერდა: „გილოცავ მოშაირობას და თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ-კი რაღაც სოფლური ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან, და ვაი თუ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო“. თავადი ირაკლი ლორთქიფანიძეც ენას უწუნებდა ახალგაზრდა მგოსანს და სთხოვდა, ძველი ქართულით ეწერა. აკაკი დასძენს: „ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, გამაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიანო“. და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“.

„ცისკრის“ იმავე ნომერში, აკაკის ლექსის გვერდით, მოთავსე-

ბული იყო არქაისტის ბარბარე ჯორჯაძის ლექსიც. იმისათვის, რომ ერთი შეხედვითაც თვალსაჩინო გახდეს ამ ორი ლექსის სრულიად განსხვავებული ენობრივი პოზიცია, შევუდაროთ ისინი ერთი-მეორეს, რათა დავინახოთ, თუ როგორ უპირისპირდებოდა ერთმანეთს პოეტური ენის ორი სამყარო.

ჯ ო რ ჯ ა ძ ე:

„გამგზავსებ ბრძენსა, სოლომონს მძლესა,
დავითს ფსალმუნით გამომეტყუშლსა,
ღუთის პირველ მცნობელს, აბრაამს მაკსნელსა,
ჩუშნს შემომყუანელს, კერპთა მომსვრელსა.
ჰსჯულთ მასწაელებელს, ფარაოზთ მთხრობელს,
მოსეს ისრაელთ, გამომყუანებელს,
იუსტიანეს, შრომის მოყუარეს,
რომის კეისარს, დიდათ საკურველს “.

ა კ ა კ ი:

„საიდუმლო ბარათო!
ვითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო“.
მისთკს გიდებ უბეში,
გალბობ ცრემლის უბეში,
აღასრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუკეში!“

და სხვა.

ცხადია, ღვარჭნილი ქართულის, ენის ხელოვნური კონსტრუქციების უკუგდება ოდნავადაც არ ნიშნავდა კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის საღი ფორმების უგულებელყოფას ახალი ქართული სამწერლო ენის შენების პროცესში. აკაკი ურჩევდა მწერლებს, რომ ენის გამდიდრებისათვის ძ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი გ ა დ ა ი კ ი თ ხ ო ნ, რათა იქიდან ამოკრიფონ შესაფერისი, ქარფული ენის ბუნებისა და თვისებიდან გამომდინარე ფორმები, ფრაზეოლოგიზმები, ლექსიკური მასალა. „ძველ წიგნებს აღარ ვკითხულობთო“, გულისტკივილით ამბობდა პოეტი. მართლაც, აკაკისეულ ენაში იგრძნობა, რომ პოეტი ჩინებულად ფლობს ძველ სალიტერატურო ენას და ზომიერად იყენებს ბრწყინვალე ენობრივ ძეგლებს, რომლებიც დაგვიტოვეს ძველი საქართველოს გამოჩენილმა სიტყვის ოსტატებმა...

მართლაც, ახალი სალიტერატურო ლექსიკონის შემუშავება მოითხოვდა, გარდა ხალხური ენისა, ძველი წერილობითი ძეგლების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი სიტყვის ძიება, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენმა პოეტმა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ლიხის უღელტეხილში „ტონელი“ გაიყვანეს, დაიბადა აუცილებლობა ამ სიტყვის ქართული ეკვივალენტის მონახვისა. ქართულმა გაზეთმა საგანგებო თათბირიც მოიწვია, რათა მონახულიყო „ტონელის“ ფარდი სიტყვა. გადაწყდა, „ქვახვრიტა“ დაეკანონებინათ, მაგრამ არც ეს ხელოვნური სიტყვა აკმაყოფილებდა თათბირის მონაწილეთ. ბოლოს საჭიროდ დაინახეს, გაეთვალისწინებინათ ძველი მწერლობის ძეგლები, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. „გავიწილეთ შრომა და წავაწყდით სიტყვა გვირაბსო“, ამბობს აკაკი...

ეს მაგალითი კარგი ნიმუშია იმისა, თუ რა წვლილი შეეძლო შეეტანა ახალი სალიტერატურო ენის ლექსიკურ შედგენილობაში ძველი ლიტერატურული წყაროების მონაცემებს.

ამრიგად, ახალი სალიტერატურო ქართულის შედგენილობაში მცირე როლი როდი შეასრულა ტრადიციულმა ენობრივმა კონსტრუქციებმა და სიტყვობრივმა ელემენტებმა, რომლებიც სამუდამოდ დაინერგა ენაში კლასიკური მწერლების უკვდავი მხატვრული ქმნილებების გზით.

სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას, აკაკის აზრით, უნდა ვხელმძღვანელობდეთ ენის საზოგადო პრინციპებითა და კანონებით. ენის ხალხურობა არ ნიშნავს ლიტერატურული მეტყველების სტრუქტურის დაყვანას დიალექტური მეტყველების სტრუქტურამდის. სამწერლო ენა ხალხური მეტყველების გადამუშავების შედეგია, — იგი ხალხური ენის უმაღლესი ფორმაა, — და ეს გადამუშავება თუ სტილისტური დახვეწა გულისხმობს ენის გრამატიკული აღნაგობის ნიშანდობლივი თვისებების გათვალისწინებას, საერთოეროვნული ენის სტრუქტურული თავისებურებების ანალიზს. აქედან გასაგებია, რომ აკაკი უარყოფდა ენობრივი ნატურალიზმის გამოვლენას ახალ ქართულ მწერლობაში და მოითხოვდა ხალხური ენის შერჩეული და დედაენის ბუნებისათვის შესაბამისი ფორ-

მების დამკვიდრებას ლიტერატურაში. აკაკი აღნიშნავდა, რომ აუცილებელია სიტყვის ოსტატები „ენის ხასიათს დაუკავშირდნენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ“, რაც „დედა-ენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძავია საყოველთაოდ“. ჩვენმა დიდმა პოეტმა კარგად იცის, რომ „ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მიჰყვება და მიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება“, ენა „უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამ ზრდასაც თავისი კანონები აქვს. ამ კანონების გადახვევა ჟინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება“ (ხაზი აქაც და ზემოთაც ჩემია, შ. ძ.).

სავსებით სწორი მეცნიერული დებულებაა.. მეთოდოლოგიურად აკაკი მკვიდრ ნიადაგზე დგას და მისთვის, როგორც ლიტერატურული ენის ერთერთი რეფორმატორისათვის, ენის შინაგანი კანონზომიერების გათვალისწინებას ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს.

აქაც ილია და აკაკი ერთ თვალსაზრისში ერთიანდებიან.

აკაკის ლიტერატურული პრაქტიკის ფართო ანალიზი არ შემოდის ამ ჩვენი ნარკვევის ფარგლებში. ეს დიდი თემაა. ზემოთ უმთავრესად დახასიათებულია აკაკი, როგორც ახალი სალიტერატურო ენის თეორეტიკოსი და მისი დამკვიდრებისათვის მებრძოლი, ის თეორიული წინამძღვრები, რომლებსაც ეყრდნობოდა სასიქადულო პოეტი ახალი სამწერლო ქართულის ჩამოყალიბებისა და გავრცელების პროცესში. აქ იმას-ღა დავსძენთ, რომ ჩვენი ენის პრესტიჟისათვის აკაკის დაუცხრომელი ძიების ხორცშესხმას თვით მისივე მხატვრული ენა წარმოადგენს, — „აკაკის ენა“, რომელშიც ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის განვითარებამ, ქართული მეტყველების სიღრმემ, სინარნარემ, შნომ და ლაზათმა.

აკაკი ანთებულ შეშას, როგორც თავის ცხოვრების სიმბოლოს, მიმართავდა:

„აენთე, აენთე, უსულო საგანო! მარტო შენ არ იწვი! ყველას თავ-თავის ცეცხლი უკიდია, და მეც შენი დღე მადგას, სამშობ-

ლოს გამთვალისწინელს!... მისი „წარსული“, „აწმყო“, და „მომავალი“, ე. ი. სიტკბო, სიმწარე და ოცნება, ერთად არეული, გულს ეჯ-დებიან და მწვავობით ამოკლებენ დღეგრძელობას“...

აი ეს მამულიშვილური ცეცხლია სათავე და პირველსაწყისი აკაკის შთაგონებული მხატვრული სიტყვათშემოქმედებისა.

იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა

როგორც ვიცით, ახალი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის დამკვიდრებასა და გავრცელებას სათავე დაედო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ფუძემდებელნი ახალი ლიტერატურული ენისა და მისი უდიდესი წარმომადგენლები.

როგორი იყო მწერლობის ენა და რა საენათმეცნიერო თეორიები არსებობდა ამ დროს საქართველოში?

ერთადერთი სალიტერატურო ჟურნალი — „ცისკარი“, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა მაშინ ჩვენს საზოგადოებრიობაში, თავს უყრიდა იმდროინდელ მოწინავე ქართველ ლიტერატორებს და საზოგადო მოღვაწეებს.

დამახასიათებელია ჟურნალ „ცისკრის“ ენობრივი პრაქტიკა. „ცისკრის“ ენა არ არის ერთგვაროვანი. ერთი მხრით, იქ მოთავსებულ წერილებში გვხვდება არქაული, დრომოჭმული გრამატიკული ფორმები და ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. მაგალითად, აღსანიშნავია ძველი ასოების (ჲ, ჯ, ѳ, ჳ, ჶ) ხმარება, ასოებისა, რომელნიც ამ დროს აღარ წარმოითქმოდნენ და ორთოგრაფიის ხელოვნურ გართულებას წარმოადგენდნენ (ეს ასოები, მათთან ერთად ფ, „ცისკრის“ არსებობის მთელ მანძილზე იხმარებოდა), გვხვდება კითხვითი ა, დამახასიათებელი კლასიკური ქართულისათვის (იყოა? არსა?); ხმარებაშია ზმნის საწყისი ფორმის ვითარებით ბრუნვაში დასმა მიზნისა გარემოების ფუნქციით („წავიდნენ შეპყრობად“...); სახელობით ბრუნვაში დასმული გრამატიკული ობიექტი ზმნაში წარმოდგენილია ნარით („ისინი მოკლნა“...), ისე როგორც ეს იყო ძველ სალიტერატურო ენაში; მიმართებითი ნაცვალსახელის („რომელიც“)

ადგილას ხშირად იხმარება „ი გ ი“ ნაწილაკდართული ფორმები („რომელ-იგი“); ფართოდ გამოყენებულია მესამე პირის ობიექტის ნიშნად მრჩობლი პრეფიქსი ჰს („დაჰსწერს“, ჰსტირის“, ჰსჩანს“) და სხვ.

ეს არქაული ნორმები უმთავრესად გვხვდება გარკვეული ჟანრის ნაწარმოებებში.

ამის გვერდით „ცისკარში“ იბეჭდება საყოფაცხოვრებო ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებები, წერილები სოფლის მეურნეობის საკითხებზე და მისთანანი, სადაც ახალი ქართულის ნორმებია გამოყენებული. ამგვარ თხზულებებში არაიშვიათად თავს იჩენს დიალექტური ფორმებიც, ხალხურ მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. მაგალითად, ივ. კერესელიძის კომედიაში („ცოლები დავკარგეთ“, 1861) გვხვდება რაჭული კილოსათვის ნიშანდობლივი ფორმები „ქვე“, „თვარემ“, იმერული „იმე“, „იქანა“ და მისთ. მძლავრად შეიმჩნევა დასავლური კილოების ფრაზეოლოგია.

ახალი ლიტერატურული ნორმები განსაკუთრებით ჭარბადაა წარმოდგენილი ლავრენტი არდაზიანის თხზულებებში — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, „მორჩილი“ და სხვ. აქ აშკარად იგრძნობა ახალი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

რა საენათმეცნიერო პრინციპებს იცავდნენ სალიტერატურო ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები?

1857 წლის „ცისკრის“ ნომერში დაიბეჭდა ბიბლიოგრაფია დავით ჩუბინაშვილის ქართულ გრამატიკაზე. ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ეს გრამატიკა არაა დაფუძნებული ანტონ I გრამატიკულ სისტემაზე. „გარწმუნებთ, ანტონ კათალიკოზის ღრამმატიკა არის სწორეთ საფუძველი ჩვენის მშვენიერი ქართულის ენისაო“, დასძენს არქაული გრამატიკის თავგამოდებული დამცველი. „ტყუილად რაღას ვეძებით ღობე-ყორეს, დაიბეჭდოს იგი ღრამმატიკა და ისწავლებოდეს სასწავლებელში, სადაც ასწავლიან ქართულს ენასაო“, — ესაა დედააზრი ბიბლიოგრაფიული შენიშვნისა.

„სამი სტილის“ თეორიას იზიარებდნენ ჟურნალ „ცისკრის“ თეორეტიკოსები.

1860 წ. იბეჭდება ალ. ვახტანგის-ძე ჯამბაკურ-ორბელიანის ვრცელი წერილი სათაურით „ქართული უბნობა ანუ წერა“.

რა დებულებებია წამოყენებული ჯამბაკურ-ორბელიანის წერილში?

პირველ ყოვლისა, ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ უნდა აღიკვეთოს სიჭრელე ენისა; „ცისკრის“ ფურცლებზე ერთიანი ენა იხმარებოდეს, გრამატიკულ-ლექსიკურ სხვადასხვაობას ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ქართული ენის თვისება სამად გაიყოფებაო, გვასწავლის ავტორი: 1) საღვთო წერილის ენა, ანუ ეკლესიური ენა, 2) დარბაისელთა მეტყველება, 3) გლეხკაცობის ენა. ავტორი აცხადებს, რომ ანტონ კათალიკოსს და ანტონ ჭყონდიდელს ულაპარაკიათ ძველქართულად და მათი ენა ჭეშმარიტად საამო იყო. რომელი ენა უნდა შემოვიღოთ? ძველი ენა ძნელი შემოსაღებია, მოძველებულია; საჭიროა დარბაისელთა ენის შემოღება. ესაა ენა, რომელზედაც დაწერილია საერო წიგნები — „ვეფხისტყაოსანი“, „რუსუდანიანი“, „დავრიშიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „ყარამანიანი“ და სხვ. აი, ესაა, ავტორის აზრით, სანიმუშო ენა და ღირსი ლიტერატურული გამოხატულებისა, გლეხთა ენის შესახებ კი ნათქვამია, რომ იგი „დაშვებული ენაა“, რომელსაც არ შეუძლია ასწიოს სიმძიმე ნამდვილი ქართული მეტყველებისა.

შემდეგ გამოქვეყნდა ბაქარ ქართლელის წერილი, სადაც ლაპარაკია ქართული ენის დიალექტობრივ დიფერენციაციაზე. ავტორი იზიარებს ქართული ენის სამად დაყოფის თეორიას. გრამატიკის შესახებ იგი შენიშნავს, რომ გრამატიკით ენის შესწავლა არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ლოგიკის შესწავლით მსჯელობის გამომუშავება. მთავარია, ავტორის აზრით, ძველი წიგნების კითხვა და სანიმუშოდ დაწერილი თხზულებების შესწავლა.

არ იქნებოდა მართალი, თუ ვიტყოდით, რომ მაშინ მხოლოდ ეს კონსერვატორული თვალსაზრისი იყო გამოთქმული სალიტერატურო ენის ნორმების თაობაზე. არა, პროგრესული აზრებიც იყო გამოთქმული, და ამ მეორე თვალსაზრისის წარმომადგენელია ჩვენი გამოჩენილი პროზაიკოსი ლავრენტი არდაზიანი.

ლ. არდაზიანი ერთ-ერთ წერილში ამბობს: რატომ არ გვივარ-

გა პროზის ენა? უპასუხებს: ორგვარი ფორმა გვაქვს ენისა: საღვთო წერილისა და საერო (სახალხო). პირველი არსებითად ბერძნული კონსტრუქციების გავლენის შედეგია, ხოლო მეორე — „არ მიემსგავსება მას, რადგან ამ ენით ლაპარაკობდა ხალხი, წერდნენ პოეტები და მწერლები“, ავტორი დასძენს: „გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე“. პროზა უნდა იწერებოდეს ამ საერო, სახალხო ენაზე, რადგან, მისი სიტყვით, ესაა ნამდვილი ძირეული ფორმა ქართული ენისა. ავტორი ხაზს უსვამს საღვთო წერილის ენის ხელოვნურობას და საერო ენის ბუნებრიობას. ეს პროგრესული შეხედულებანი ენაზე ორგანულად დაკავშირებულია არდაზიანისავე სამწერლო რეალისტურ მეთოდთან; ნამდვილი რეალისტური ნაწარმოების შექმნა შეუძლებელი იყო საერო, სახალხო ენის გარეშე.

საერთო-სახალხო ენის, ერთიანი სალიტერატურო ქართულის ფორმირებისა და დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეს დაუფასებელი ამაგი დასდო იაკობ გოგებაშვილმა. დიდი პედაგოგი დედაენას „ძირითად ეროვნულ ძალად, ეროვნების მთავარ ბურჯად“ მიიჩნევდა, კარგად გრძნობდა ქართული ენის სიმდიდრეს, დიდებუნებოვანობას, — ჩვენი ენა „ეკუთვნის მაღალ აგებულების ენათა დასსაო“, ამბობდა იგი. იაკობი სახელდობრ ხაზს უსვამს ქართული ენის ბუნების სიმარტივეს, გრამატიკული სქესის უქონლობას, ზმნების ფორმათა მრავალფეროვნებას და გასაოცარ მოქნილობას, ლექსიკის, კერძოდ, სინონიმების სიმდიდრეს.

ამასთანავე ი. გოგებაშვილი კარგად ხედავდა იმ დროს ჩვენი მშობლიური ენის დაკნინებასა და უუფლებობას; სკოლიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან ქართული ენა განდევნილი იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით. ი. გოგებაშვილს თავის „შინაურ მიმოხილვაში“ (1890 წ. „იველია“) საგულისხმო ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდა სკოლაში ქართული ენა. თბილისის პირველ გიმნაზიაში, გოგებაშვილის ცნობით, რუსული სუფთა წერისათვის დაწესებული ყოფილა 299 გაკვეთილი, გალობისათვის — 242, სომხური ენისათვის — 101, ხოლო ქართულს რგებია მხოლოდ 23 გაკვეთილი. დამახასიათებელი ვითარებაა.

ქართული ენის მაშინდელმა უუფლებობამ ათქმევინა იაკობს შემდეგი სიტყვები: „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ღატაკი და დღე ნაკლულს არსებას მოგაგონებთ“[1].

დიდი პედაგოგის მთელი თავდადებული და უმწიკვლო მოღვაწეობა გასხივოსნებულია ერთი იდეალით: ემსახუროს „ეროვნების ბურჯს“ — მშობლიურ ქართულ ენას, ხელი შეუწყოს ამ „ჟანგმოდებული ფოლადის სახნისის“ ამუშავებას.

იაკობ გოგებაშვილის მუშაობა ლიტერატურული ენის დარგში ორი მიმართულებით წარიმართა. პირველ ყოვლისა, გოგებაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებს ახალი ქართული სალიტერატურო ენის უფლებათა თეორიულ დასაბუთებაში, ლიტერატურული ნორმების დადგენისა და მოწესრიგების საქმეში, თავგამოდებით იბრძვის ენის სიწმინდის დაცვისათვის, ახალი ნორმების გამომუშავებისა და დრომოჭმული ფორმების უკუგდებისათვის.

ამდენად, იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში თვალსაჩინოა.

მეორე მხრით, იაკობ გოგებაშვილი პრაქტიკულად ხელს უწყობს ახალი სალიტერატურო ენის შექმნასა და დამკვიდრებას თავისი ბრწყინვალე სახელმძღვანელოებით და მრავალი ორიგინალური ნაწარმოებით — მხატვრული თუ ისტორიული ხასიათის თხზულებებით.

ამთავითვე უნდა ვუპასუხოთ კითხვაზე: რა მეთოდოლოგიური ხასიათის საენათმეცნიერო დებულებებს ეყრდნობა იაკობ გოგებაშვილი თავის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში?

ი. გოგებაშვილი ინტუიციურად გრძნობდა, რომ ენის განვი–

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 361.

თარებას შინაგანი კანონები აქვს, რომ ენა „მისდევს თავისს ბუნებრივს ალღოს“, თანდათანობით იხვეწება და სრულყოფილი ხდება, ადის „მომწიფებულ, დასრულებულ და ამაღლებულ უსრულეს საზოგადო კანონამდის“. აქედან ცხადია, რომ ისეთი ენობრივი ფორმა უნდა გავაბატონოთ ლიტერატურულ ენაში, რომელიც გამოხატავს „პროგრესულ ცვლილებასა ქართულს ენაში“. ი. გოგებაშვილი იზიარებს თავის დროზე ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ დებულებას: „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს“.

იაკობ გოგებაშვილის მიერ ყრუდ გამოთქმული მოსაზრება ენის თანდათანობითი დახვეწის, სრულყოფის, „პროგრესულ ცვლილებათა“ შესახებ ენათა განვითარების კანონზომიერების სწორი დადასტურებაა.

ი. გოგებაშვილი საერთო-სახალხო ენის ნიადაგზე დგას. ამდენად მისთვის მიუღებელია ენობრივი სეპარატიზმი, როგორც საყოველთაო-სახალხო ენის პოზიციებიდან გადახვევის მავნე ტენდენცია. ჩვენი დიდი პედაგოგი პირდაპირ ამბობს, რომ ენის აჭრელებას დიალექტური ფორმებით „უნდა ვერიდოთ, რადგანაც მას შეუძლიან ხელი შეუწყოს პროვინციალურ სეპარატიზმს, რომელიც უფრო მეტად იქნება მავნებელი, ვიდრე იყო ჩვენი ისტორიული პოლიტიკური სეპარატიზმი, რომელმაც დააქუცმაცა ჩვენი ქვეყანა...“ („დროება“, № 245, 1909 წ.).

იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ ესა თუ ის ენობრივი მოვლენა უწინარესად მწერლობის გზით ვრცელდება და მკვიდრდება საერთო-სახალხო ენის საგანძურში. აქედან გასაგებია, რომ მწერალი უნდა ერიდოს ისეთი ენობრივი მოვლენის გამოყენებას, რომელიც არ ეგუება საერთო-სახალხო ენის სტრუქტურას, არ შეესაბამება დედაენის ბუნებასა და თვისებას. მით უმეტეს დიდია ამ მიმართულებით დამსახურება ავტორიტეტული მწერლებისა.

იაკობი დაუზოგველად ამხელდა ჩვენი გამოჩენილი მწერლების ენაში შეპარულ გაუმართავ ენობრივ ფორმებს და მკაცრად აკრიტიკებდა ამა თუ იმ პროვინციალიზმის გაბატონებას სალიტერატურო ენაში.

აი ერთი მაგალითიც.

აკაკი წერეთლის ნაწერებში გოგებაშვილმა შენიშნა ფორმა

„ჭკვიერი“ (ჭკვიანი), რომელიც იმერული დიალექტიდან იყო აღებული. ამ სიტყვას ბრძოლა გამოუცხადა იაკობმა. „ჭკვიერი არის უხეირო ნაძალადევი ჩიქორთული და მის ხმარებას აკაკი უნდა ერიდოსო“, ამბობდა ის. და ეს მით უფრო საშიში იყო, რომ აკაკის დიდი ავტორიტეტის წყალობით ამგვარი ფორმები ადვილად დამკვიდრდებოდა ენაში. (აკაკიმ) „თავისი ავტორიტეტის გამო ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება დაამკვიდროს ლიტერატურაში ქართული ენის საზიანოდო“, სრულიად მართებულად აღნიშნავდა დიდი პედაგოგი. ი. გოგებაშვილმა იცის, რომ ყველაფერი, რასაც გავიგონებთ ხალხში, არაა მისაღები. ეს აზრი გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: „პოეტს გაუგონია ხალხში, მოსწონებია და უხმარია... ერთს რომელიმე კუნჭულში ხმარება რომელიმე სიტყვისა არ ამართლებს მის შემოტანას საერთო ეროვნულ ენაში“, მაშინ როდესაც რომელიმე სწორი ფორმა (მისი შესაბამისი) „გამეფებულია საქართველოს ორ წილში“ („პასუხი „კვალის“ რაზმსა“).

ი. გოგებაშვილი განყენებულად არ განიხილავდა ქართულ ენას; იგი ენას უკავშირებდა ხალხის ისტორიას, მის წარსულს, აწმყოსა და უკეთეს მერმისს.

ლიტერატურული ენის ხალხურობისათვის ბრძოლა იაკობ გოგებაშვილს საყოველთაო-სახალხო ქართული ენის სრულყოფისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა.

ამავე დროს გოგებაშვილი მოითხოვდა ლიტერატურული ენის გაწმენდას დრომოჭმული არქაიზმებისაგან. არქაული ფორმების დამცველებს იგი „ძველი წიგნების ბრმა თაყვანისმცემლებს“ ეძახდა.

იაკობი ებრძოდა იმათ, ვინც ცდილობდა ახალ სალიტერატურო ენაში გაეცოცხლებინა ძველი, მკვდარი ფორმები, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. დამახასიათებელია ერთი ადგილი მისი საპოლემიკო სტატიიდან: „მთლად, უვაჭროდ, დავუთმე ჩემს მოწინააღმდეგეთ ძველი მწიგნობრობა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თუ სვინდისიერი მოღვაწე გულმოდგინებით გადაიკითხავს ძველს წიგნებსა, მეტადრე საეროსა, უეჭველად შეხვდება იმ ფორმასაც, რომელსაც ჩვენ ვე-

სარჩლებით. ამ ფორმის გასამართლებლად ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია ხალხის მიერ მისი ხმარება და საგრამატიკო საუბრები. ამ ორს ბურჯზედ არის იგი შეურყვნელად დამყარებული“ („პასუხი „კვალის“ რაზმსა“).

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილი ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებისათვის აუცილებელ თეორიულ წინამძღვრებად მიიჩნევდა ქართული ენის შინაგანი კანონზომიერების გათვალისწინებას, ერთიანი ენის შექმნის საჭიროებას, ლიტერატურული ენის ხალხურობას და დრომოჭმული, არქაული ენობრივი მოვლენების უკუგდებას.

ლიტერატურული ენის დაახლოება ხალხურ მეტყველებასთან, ცოცხალი სალაპარაკო ენის შერჩეული და დახვეწილი ნორმების გაბატონება სამწერლო ენაში ბუნებრივად ბადებდა აუცილებლობას ძირფესვიანად შეცვლილიყო ქართული გრამატიკული აზროვნების გეზი და მიმართულება, როგორც საგანი გრამატიკისა, ისე მეთოდი.

ცნობილია, რომ ანტონ პირველის სქოლასტიკური სკოლა გრამატიკის საგნად „მაღალი შტილის ენას“ მიიჩნევდა. ეს ენა კი არსებითად ძველი ქართული კლასიკური ენის თავისებურ ხელოვნურ სუროგატს წარმოადგენდა. ლიტერატურაში ახალი ნორმების შემოღება კი მოითხოვდა ქართული გრამატიკის დაფუძნებას ახალი ლიტერატურული ენის მასალაზე. ი. გოგებაშვილი სასტიკად აკრიტიკებდა ძველი გრამატიკების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და თეორიულად და პრაქტიკულად ხელს უწყობდა ახალი ქართული გრამატიკის გამომუშავებას. გოგებაშვილმა მკვეთრად განსაზღვრა გრამატიკის, როგორც დამხმარე დისციპლინის როლი და უარყო ქართული ენის გრამატიკული სისტემის განხილვა უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით. „ამ

მხრივ იაკობი გვერდში უდგას ილია ჭავჭავაძეს, მისგან ღებულობს თეორიულ საფუძვლებს და ასაბუთებს პრაქტიკით"[1].

იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი ქართული ენის გრამატიკულ აღნაგობაზე მოცემულია უმთავრესად საპოლემიკო წერილებში („საგრამატიკო ბაასი", „მეორე საგრამატიკო ბაასი" და სხვ.), რომლებიც გამოქვეყნებულია „ივერიაში" 1886 წელს. მასვე ეკუთვნის ქართული ენის გრამატიკა, რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა.

გაზ. „ივერიის" ფურცლებზე 1886 წელს დაიბეჭდა მიხეილ ნასიძის სტატია „ორი საგრამატიკო ბაასი", სადაც ავტორი ეხება გრამატიკის როლს ენის შესწავლის პროცესში. ი. გოგებაშვილი მეთოდოლოგიურად სწორ ნიადაგზე დგას, როდესაც ნასიძესთან კამათში აღნიშნავს, რომ მთავარია პრაქტიკული ცოდნა, გრამატიკა კი დამხმარე ღონისძიებაა. აი რას ამბობს იაკობი: „უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვაკაზმული პროზა... გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარე ღონისძიება, რომელიც სარჩულად ედება პრაქტიკულ ცოდნას".

მაგრამ მთავარია შემდეგი. მიხეილ ნასიძე თავის სტატიაში იძლევა ქართული ენის გრამატიკული კატეგორიების დახასიათებას; ამ კატეგორიების ნასიძისეული კვალიფიკაცია კი ყალბია და ქართული ენის ბუნებისათვის შეუფერებელი. შეცდომა წარმომდგარია იქიდან, რომ ნასიძე ქართული ენის ფორმებს უყურებს სულ სხვა სისტემის ენის — რუსული ენის — გრამატიკული სტრუქტურის საშუალებით. ქართულ ენას თავისი სტრუქტურული ნიშნები აქვს, რუსულს კიდევ თავისი, ხოლო ერთი ენის საზომით განხილვა მეორე ენის თავისებურებისა მეთოდოლოგიურად მიუღებელია.

ი. გოგებაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ასეთივე მარცხი მოელის ყველას, ვინც ქართული ენის შენობის შესწავლისათვის ქვაკუთხედად არ დასდებს მის საგრამატიკო ანალიზს... და დაიწყებს ნეკერაობასა უცხო ენების მიხედვით".

---

[1] გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ქართული გრამატიკის საკითხები იაკობ გოგებაშვილის შრომებში: „იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული", გვ. 65, 1940.

ი. გოგებაშვილის ეს პოლემიკური წერილები, ზოგად გრამატიკულ შეხედულებებთან ერთად, საყურადღებოა პოზიტიური თვალსაზრისითაც: მათში მოცემულია ქართული ენის გრამატიკული კატეგორიების კონკრეტული ანალიზი.

მ. ნასიძე უარყოფდა ქართულ ენაში ორ ბრუნვას: მოქმედებითსა და ვითარებითს (კაცითა, კაცად). „კაცით“ ფორმა მომდინარეობს ფორმისაგან — „კაცითურთ“, ე. ი. „თურთ“ ერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმასო. „კაცად“ ფორმა კი, ნასიძისავე აზრით, ზმნიზედაა და არა ბრუნვა (იმეორებს დიმ. ყიფიანის შეხედულებას).

ი. გოგებაშვილი აკრიტიკებს ამ გაგებას და იცავს ბრუნვებს, რომლებიც ცნობილი არიან მოქმედებითისა და ვითარებითის სახელით. ავტორის დასაბუთება ასეთია: „თურთ“ და „ით“ დაბოლოებიანი ფორმები ერთნაირი არ არის. შეადარე კონტექსტები: „ვთოხნე თოხით“ — „ვთოხნე თოხითურთ“, „ვჭამე ენით“ — „ვჭამე ენითურთ“. დამოწმებულია ასეთი ფრაზა: „მე მოვედი ურმით დედითურთ“, „მე წავედი რკინის გზით ძმითურთ“. აქედან ჩანს, რომ მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ და ამიტომ, ვთქვათ, „თოხით“ არ შეიძლება ფორმისაგან „თოხითურთ“ მომდინარეობდესო“.

ასევე საყურადღებოა ი. გოგებაშვილის შენიშვნები წოდებითი ბრუნვის, ნანათესაობითარი ბრუნვისა და სხვათა შესახებ.

●

იაკობ გოგებაშვილის მთავარი დამსახურება მშობლიური ენის გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისით იმაში გამოიხატება, რომ მან შექმნა უკვდავი სახელმძღვანელოები — „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, სადაც გადაშლილია ქართული ენა მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მომხიბლაობით.

გამოჩენილმა პედაგოგმა თავის სახელმძღვანელოებს ენციკლოპედიური ხასიათი მისცა. მოზარდი თაობა ამ წიგნებით ეცნობოდა ბუნებისმეტყველებას, მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას. ეს არ იყო შემთხვევითი: რამდენადაც მაშინ ქართულ ენას ასწავლიდნენ მხოლოდ და-

ბალ კლასებში, ხოლო უფროს კლასებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, აუცილებელი იყო თავიდანვე მიეწოდებინა სახელმძღვანელოს მოსწავლეებისათვის რეალური განათლება მშობლიურ ენაზე. „ეს მრავალფეროვანი შინაარსი, რომელიც იპყრობს უფრო საინტერესო მსარეებს საგნებისას, აყვარებს ბავშვებს ცოდნას, უვითარებს და უმდიდრებს აზრსა და ენასა და მეტნაკლებობით ამცირებს იმ დიდ ბოროტებას, რომელიც წარმოსდგება უცხო ენაზე საგნების სწავლებიდგან საშუალო სასწავლებელშიო“, ამბობდა იაკობი („რჩეული ნაწერები“, I, გვ. 484).

ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის მესვეურებს. ცნობილმა დეკანოზმა ვოსტორგოვმა ხმა აღიმაღლა „ბუნების კარის“ წინააღმდეგ და გამოთქვა აზრი, რომ ქართული სახელმძღვანელოები მხოლოდ ენას უნდა ასწავლიდნენ, იმასაც სასულიერო სტატიების საშუალებით; ცოდნის იარაღად კი მხოლოდ რუსული ენა უნდა გამოვიყენოთო. შავრაზმელ დეკანოზს მეტადრე აბოროტებდა „ბუნების კარში“ მოქცეული საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.

იაკობ გოგებაშვილმა შეუპოვარი ბრძოლით დაიცვა „ბუნების კარი“; მან კარგად იცოდა, რომ „ვოსტორგოვებს დიდი ხანია სურთ ქართული სკოლა გადააქციონ დენაციონალიზაციის, გადაგვარების და დაცემის იარაღად“.

„დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ მრავალფეროვანი შინაარსი განსაკუთრებით ფასეული იყო ქართული ენის მდიდარი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური მასალის შესათვისებლად და შესასისხლხორცებლად. მოზარდი თაობა ამ გზით ეცნობოდა ცოდნის სხვადასხვა დარგს — ზოოლოგიას, ბოტანიკას, ფიზიკას, გეოგრაფიას... და ამის შესაბამისად სწავლობდა ზოოლოგიურ, ბოტანიკურ... ცნებებსა და ტერმინოლოგიას.

იაკობ გოგებაშვილმა ბევრი მასალა ხალხური სიტყვიერებისა შეკრიბა უმთავრესად სოფ. ვარიანში, ქართლში. ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები მან თავის სახელმძღვანელოებში შეიტანა და ამით დიდი ამაგი დასდო ლიტერატურული ენის დაახლოებას ხალხურ მეტყველებასთან. საკმარისია აქ გავითვალისწინოთ ზოგიერთი გარეგნული მაჩვენებელი იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა ფართოდ შეჰქონდა იაკობს თავის წიგნებში ფოლკლო-

რული მასალა. ასე, მაგალითად, „დედა ენის“ I ნაწილის სავარჯიშოებში სულ მოთავსებულია 18 ნაწარმოები, რომელთაგან 10 ხალხური სიტყვიერების მასალაა. „დედა ენის“ II ნაწილის საკითხავ მასალაში 300 ნაწარმოებიდან 88 ნაწარმოები ხალხურია.

განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი ანდაზა-გამოცანები. მაგალითად, „დედა ენის“ II ნაწილში 100-ზე მეტი ანდაზაა მოთავსებული. აქ გვხვდება ისეთი ანდაზები, როგორიცაა, მაგალითად, „სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება“, „წყალი რომ დაგუბდება, აყროლდება“, „ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანი“, „ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის“, „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა“, და სხვ. ჩართულია ისეთი გამოცანები, როგორიცაა, მაგალითად, „თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბნება“, „დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი“, „ოთლო-თოთლო, ოთხო ბოძო, ზევით მთაო სათიბარო, ქვევით წყაროო სადინარო“, „აბლი, ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავიღე, მთვარით დავდგი“ და მრავალი სხვ.

ეს ანდაზა-გამოცანები წარმოადგენენ ბუნებრივი ქართული მეტყველების კარგ ნიმუშებს.

უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოებში შესატან ფოლკლორულ მასალას სათანადოდ ხვეწდა, აშალაშინებდა, დიდი სიფრთხილით ამუშავებდა და ასე გადამუშავებული სახით აწვდიდა მოზარდი ადამიანის ცნობიერებას.

მაგალითისათვის აქ დავიმოწმებთ ზოგიერთ მასალას, საიდანაც ჩანს, როგორ ხვეწდა სტილისტურად იაკობი ხალხში შეკრებილ ზეპირსიტყვიერებითს ნიმუშებს.

ხალხური რედაქცია:

ბიჭო, ვისი ხარ ლამაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო;

მოგიხდი წითელ ღვინოსა,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
დაველე და დაგალევინებ
პატარა აზარფეშსაო.

გოგებაშვილის რედაქცია:

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი.
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო,

გადგიშლი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო.

ხალხური რედაქცია

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
წითელს ნუნუას ვაჟკაცის
გული გაუხარებია.

გოგებაშვილის რედაქცია:

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია.

ხალხური რედაქცია

კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხმოტეხილი, საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი
თუნგნახევარი მაჭარი.

გოგებაშვილის რედაქცია:

კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხმოტეხილი, საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი
კომბოსტო ნორჩი, ახალი.

ცნობილი ლექსი „მოდი ვნახოთ ვენახი“ ჩაუწერია გოგებაშვილს ერთი მოხუცი გლეხისაგან, მოხუცი თურმა ასე იწყებდა: „ია ვნახოთ ვენახი“. „ია“ აქ გაუგებარია. გოგებაშვილს ჰგონე-

ბია, რომ ესაა შემოკლებული „იარ“ (ე. ი. „იარ, ვნახოთ ვენახი“), მაგრამ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მომდევნო სტრიქონი — „მოველ ვნახე ვენახი“, ე. ი. მოლაპარაკე თავისთავს ეუბნება და არა მეორე პირს. შემდეგ იაკობს „ია“-ს ნაცვლად ჩაუსვამს სათანადო კონსტრუქციისათვის შესაფერისი სიტყვა „მოდი“ (ამ შემთხვევაში სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს) და გამოვიდა: „მოდი, ვნახოთ ვენახი“, და სხვ.

ხალხურ ზღაპარს „რწყილი და ჭიანჭველა“ ასეთი სათაური ჰქონია; „ტილი და რწყილი“. იაკობს აქაც ცვლილება მოუხდენია.

ი. გოგებაშვილის მიერვე ჩაწერილი ზღაპარი „მებადურის შვილი“ „დედა ენიდან“ გადაუბეჭდავთ ასეთი ცვლილებით: „მეთევზეს შვილი“. ამაზე იაკობი შენიშნავს, რომ „მეთევზეს ჩვენი ხალხი იმას ეძახის, ვინც თევზსა ჰყიდის სათევზე დუქანში. იმათ კი, ვინც თევზს იჭერს, ჰქვიათ: „მებადური“, როცა ბადით იჭერს თევზსა“.

მხატვრული ლიტერატურიდან „ბუნების კარში“ უმთავრესად გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის თხზულებანი, რომლებიც ენობრივად დახვეწილია და ყველაზე უკეთ ასახავენ ახალი სალიტერატურო ენის თავისებურებებს გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის მხრივ.

გაეცნოთ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ლექსიკურ მარაგს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცარიზმის დროს ქართულს მხოლოდ დაბალ სკოლებში ასწავლიდნენ, ხოლო ცოდნის სხვადასხვა დარგი შემდეგ კლასებში რუსულად ისწავლებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, ქართველ ახალგაზრდობას მეცნიერების სხვადასხვა დარგის რუსული ტერმინოლოგია ექნებოდა შეთვისებული და ქართული კი არა. იაკობ გოგებაშვილმა მიზნად დაისახა, რამდენადმე ეშველა ამ საქმისათვის: თავის სახელმძღვანელოებს, რომელთაც მხოლოდ ქართული წერა-კითხვა უნდა ესწავლებინა მოზარდი თაობისათვის, როგორც ვთქვით, ენციკლოპედიური განხრა მისცა; სახელმძღვანელოებში მოათავსა მრავალფეროვანი საკითხავი მასალა ბუნებისმეტყველებიდან, ისტორიიდან, ეთნოგრაფიიდან და სხვ. ძალაუნებურად ქართველი ბავშვები თავიდანვე ით-

ვისებდნენ ბოტანიკურ, მინერალოგიურ, ზოოლოგიურ, ასტრონომიულ და სხვა დარგების სახელწოდებებს. საბუნებისმეტყველო მასალა კი გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში დამუშავებულია დიდი გულისყურით და მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებით[1].

ასე, მაგალითად, ამ მრავალფეროვანი მოთხრობების საშუალებით მოზარდი თაობა ისისხლხორცებდა ბალახების (იონჯა, მრავალძარღვა, ლენტოფა, ბალბა...), ქვების (ტალი, შიფერი, ფირუზი, იაგუნდი...), თევზების (ფიჩხული, ტარაღანა, ზურგიელი...), ხეების (ვერხვი, ურთხელა, ნეკერჩხალა, თელა...), იარაღების (კევრი, ორთითა, საჭრეთელი, შუბი, არნადი...), ცხოველების (ჯიხვი, მაჩვი, კვერნა, ციყვი, ფარშევანგი...) და სხვათა ტერმინოლოგიას. ავიღოთ მოთხრობა „ქერის თავგადასავალი“. აქ გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა ხვიმირი, ბზე, ჯინჯილა, ფარცხი და სხვ., ამავე პიზანს ემსახურება მხატვრული ლიტერატურის მასალაც. მაგალითად, რაფ. ერისთავის ლექსში — „გუთანი“ უპირია ისეთი სიტყვები, როგორიცაა ღირღიტა, სახნის-საკვეთი, კაჭაჭი, ჯამბარა, ყამირი და სხვ.

იმ მიზნით, რომ ყოველი სიტყვა გასაგები ყოფილიყო, გოგებაშვილი სახელმძღვანელოებს ურთავდა ლექსიკონებს, სადაც განმარტებული იყო იშვიათი სიტყვები. „დედა ენის“ „პატარა ლექსიკონში“, მაგალითად, ახსნილია ისეთი სიტყვები, როგორიცაა ერდო, თახჩა, მჟაუნა, ჯაგი, წრელახტი და მისთანანი.

იაკობ გოგებაშვილი ემსახურებოდა საყოველთაო-სახალხო ენის ინტერესებს. აქედან გასაგებია, რომ მისი სახელმძღვანელოები მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ერთიანი ლიტერატურული ენის დამკვიდრებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

იაკობი ცდილობდა, სახელმძღვანელოებში მოქცეული ლექსიკური მასალა გაუგებარი არ ყოფილიყო სხვადასხვა კუთხის ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ისეთი სიტყვები, რომელთაც დასავლურ დიალექტებში სინონიმური პარალელები ჰქონდა.

ამ საქმეში დიდ პედაგოგს შველოდა აკაკი წერეთელი. აკაკის

---

[1] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, ბუნებისმეტყველება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში: „იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული“, გვ. 235, 1940.

დახმარებით იაკობმა მთელ რიგ სიტყვებს მიუწერა დასავლური კილოების სინონიმები.

საერთოდ, სინონიმების განმარტებისათვის ავტორი სხვადასხვა ხერხს მიმართავდა: 1) იყენებდა „ანუ“ კავშირს: სადედებელი ანუ ხაში, ახალთესლი ანუ დიკა, ქერის პური ანუ ჯინჯილა, ნაქუჩი ანუ ნაგულა, თეფში ანუ საინი, ლოგინი ანუ ქვეშაგები, საპრეთელი ანუ სატენი, კომში ანუ ბია, ფილთაქვა ანუ ქვასანაყი, ჩურჩხელა ანუ ჯანჯუხა, ლოქო ანუ ღლაკი, კორიანტელი ანუ ბდღვირი; 2) ერთ-ერთ სინონიმს ფრჩხილში ათავსებდა: მკვეხარა (ტრაბახა), ფილთაქვა (ქვასანაყი), ჩილიკა-ჯოხი (რიკტაფელა, ჭაკუნა), ციგა (მარხილი); 3) გაშლილ განმარტებას იძლეოდა: „...ქოჩოჩი, რომელსაც გურულად კატარი ჰქვია“; „ამას ჰქვია ფოჩი, ზოგნი კი ულვაშს ეძახიან“.

როგორც ვხედავთ, გოგებაშვილი ყურადღებას აქცევდა ამა თუ იმ სიტყვის სინონიმურ პარალელს და ტექსტშივე იძლეოდა სინონიმურ განმარტებას. აღსანიშნავია, რომ იაკობს უმთავრესად მოჰყავს ისეთი სინონიმები, რომლებიც ღირსია ლიტერატურულ ენაში დამკვიდრებისა. აი რას ამბობს იგი: „ამ ხერხის წყალობით (ე. ი. სინონიმების ერთად ხმარებით. შ. ძ.) იმერი ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ ამიერ სინონიმებსა და ამიერი მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს იმიერ სინონიმებსა და ამ სახით ლექსიკონი სიტყვისა ორივე მხარეს უმდიდრდება“ („დროება“, № 245, 1909).

იქვე ავტორი აღნიშნავს: თუ რომელიმე სინონიმი ასე განმარტებული არ არის, კონტექსტით შეიძლება აზრის გაგება. მაგალითად, ერთ-ერთი რეცენზენტი უსაყვედურებდა იაკობს, რომ სიტყვა „ჯეჯილი“ („იზარდე, მწვანე ჯეჯილო“) გაუგებარია იმერი ბავშვებისთვისო. ამაზე იაკობი უპასუხებს: „ნუთუ თვითონ ლექსი დღესავით ცხადად არა ჰყოფს, რომ ჯეჯილი ჰქვიან ახლად ამოსულს მწვანე ყანასა?“

1911 წელს გაზ. „სახალხო გაზეთში“ ატყდა კამათი „დედა ენის“ ლექსიკონის გარშემო ქერელ ბექასა და იაკობ გოგებაშვილს შორის. კამათის საგანი იყო რამდენიმე სიტყვა (არნადი, მარხილი, გუთანი და სხვ.), რომლებიც იმერეთში სხვა შინაარსით იხმარება, ან სულ არ იხმარება.

ქერელი ბექა ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ „არნადი“ იმერეთში ბზის მოსახვეტელი კი არ არის (როგორც ეს აქვს იაკობს), არამედ მოთხრილი მიწის მოსახვეტელია. გოგებაშვილი ამაზე შენიშნავს: „იმერნი ბავშვნი ამას ადვილად დაუმატებენ: ჩვენში არნადით მიწასაც მივხვეტთ ხოლმე“. „მარგილი“ იმერულად დიდი სარიაო, შენიშნავს ქერელი ბექა. გოგებაშვილის პასუხი ასეთია: „რა ხდება ამითი? იმერი ბავშვები შეადარებენ ამერულს მარგილს, განსხვავებას გამოარკვევენ და, ვგონებ, არას წააგებენ“.

რეცენზენტი ამასთანავე ეხება მთელ რიგ სიტყვებს, რომლებიც თითქოს არ იხმარება დასავლეთ საქართველოში. გოგებაშვილი უსაყვედურებს თავის კრიტიკოსს, რომ იგი აქ „გაზვიადებას ეძებუტაცნია“, „ამისთანა გაზვიადებას, — ამბობს იაკობი, — ადვილად შეიძლება მოჰყვეს განცალკევება იმერთა და ამერთა ენის... რაიცა უფრო მავნებელი იქნება, ვიდრე იყო პოლიტიკური განცალკევება“.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ზრუნავდა იაკობი იმისათვის, რომ ქართული ენის სახელმძღვანელოების ენა გასაგები ყოფილიყო მთელ საქართველოში, ვხედავთ, თუ რა ხერხებს მიმართავდა დიდი მოამაგე მშობლიური ენის ერთიანი ლექსიკონის გამომუშავებისათვის. ამას შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა საყოველთაო-სახალხო ენის აგების ინტერესი.

„დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კითხვა-პასუხის მეთოდს და ვრცელ სავარჯიშოებს. ამ სავარჯიშოების მიზანია ყურადღება გაამახვილოს ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მასალის ღრმად და საფუძვლიანად შეთვისებაზე. ასე, მაგალითად, დასმულია კითხვები: „ყვავები დ ა ვ ხ ო ც ე, — ყვავი? „ხარები გ ა ვ რ ე კ ე, — ხარი?“, ქვები ჰ ყ რ ი ა, — ქვა?“ დასმულია აგრეთვე კითხვა: „რას შვრებიან ფოცხით, კევრით, ორთითით, ფიწლით, ნიჩბით, არნადით, ხელეჩოთი, საჭრეთლით...? ყველა ამ ნივთებს რა საერთო სახელი ჰქვიან? ი ა რ ა ღ ი“. ანდა: „პურს, ქერს, სიმინდს, ფეტვს, შვრიას, ღომს რა საერთო სახელი ჰქვიან? ჰ ი რ ნ ა ხ უ ლ ი“.

აქედან კარგად ჩანს, რა ლექსიკური სიმდიდრეა გადაშლილი მოსწავლის წინაშე, რა ნაირ-ნაირ სიტყვობრივ მასალს ეუფლება

ახალგაზრდა თაობა დარგობლივი წესით და სისტემატური თანმიმდევრობით. ამავე დროს, ამ გზით მოსწავლის სამეტყველო ცნობიერებაში, გარდა კონკრეტული ტერმინებისა, მკვიდრდება განზოგადებული ხასიათის ცნებები და ტერმინები. ეს წესი ფართოდაა გამოყენებული გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში და მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, მატერიალური კულტურის მრავალფეროვან სამყაროს.

იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს თანდათანობით ხვეწდა და აუმჯობესებდა ენობრივად.

პირველად გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი“ გამოიცა 1865 წელს. თუ ამ პირველ გამოცემას შევადარებთ „დედა ენის“ მომდევნო გამოცემებს ენის თვალსაზრისით, საკმაო განსხვავება აღმოჩნდება. ეს იმას მოწმობს, რომ ავტორისათვის სახელმძღვანელოების ენის საკითხი არსებითი საკითხია და არა მეორეხარისხოვანი გარემოება.

იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ამ სახელმძღვანელოების ენობრივ ანალიზს. ჯერ კიდევ პირველი რეცენზენტი გოგებაშვილის საანბანო წიგნისა მ. ბეთანიშვილი („დროება“, 1867 წ.) ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ წიგნის ენა მარტივია, დახვეწილი და ბავშვებისათვის გასაგები.

საფუძვლიანად გადამუშავებული საანბანო წიგნი, უკვე „დედა ენის“ სახელწოდებით, აგრეთვე გახდა საგანგებო მსჯელობის საგანი მაშინდელ პრესაში. „დედა ენის“ პირველი რეცენზენტი იყო დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც „დროების“ (№ 124, 1876 წ.) ფურცლებზე საგულისხმო შენიშვნები მოათავსა წიგნის ენის გარშემო. საკითხავ მასალაში დიმ. ყიფიანს შეუმჩნევია ქართული ენისათვის შეუფერებელი კონსტრუქციები, რუსიციზმები, კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები. მაგალ., ტოლსტოის ერთ მოთხრობაში, რომლის თარგმანი შესრულებულია იაკობის მიერ, რეცენზენტის დაკვირვებით, გვხვდება ასეთი გამოთქმა: „ქურდზე ქუდი იწვის“, რაც პირდაპირი თარგმანია რუსული გამოთქმისა: „На воре шапка горит“. უნდა იყოს: „ქურდს ქუდი ეწვის“.

დიმ. ყიფიანის შენიშვნები მართებულია. რეცენზია მთავრდება სიტყვებით: „რადგან, უეჭველია, ეს წიგნი კიდევაც ბევრჯელ დაიბეჭდება, — კარგი იქნება უკეთ გაშალაშინდეს; კარგი წიგნი რომ არ ყოფილიყო, არას ვიტყოდი“.

ამასთანავე გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ენის შესახებ უმართებულო შენიშვნებიც გამოთქმულა. იაკობი დასაბუთებულად უპასუხებდა, საღ შენიშვნებს კი ითვალისწინებდა თავისი წიგნების შემდგომ გამოცემებში და, ამრიგად, ხვეწდა და აშალაშინებდა ენობრივად როგორც „დედა ენას“, ისე „ბუნების კარს“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ენობრივად დახვეწასა და გამდიდრებაში ცოტა რამ როდი გააკეთა აკაკი წერეთელმა. არ არის შემთხვევითი, რომ ქართული ენის დიდი მოამაგეები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი — უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ გოგებაშვილის წიგნებს საერთო ეროვნული ენის ფორმირებისა და მაღალ საფეხურზე აყვანის საქმეში. ილია იაკობთან ერთად განიხილავდა ლიტერატურული ენის მტკივნეულ საკითხებს, აწესრიგებდა სადაო ნორმებს და, საერთოდ, სცნობდა დიდი პედაგოგის განუზომელ ავტორიტეტს საერთო-სახალხო ენის განვითარების საქმეში.

აქ მინდა გავიხსენო ერთი ადგილი ილია ჭავჭავაძის „ორმხრიან საახალწლო ოპერეტიდან“, სადაც დაფასებულია იაკობის ღვაწლი რუსთაველის სიტყვის გამოყენებით:

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად,
თავი არ გამიქიქია.

იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი ეითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯელ მითქვამს, მიქია...

შეიძლება დავასკვნათ:

ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ქართული საერთო სახალხო ენის ნორმებს ნერგავდა ახალ თაობაში, სკოლის საშუალებით ხელს უწყობდა ახალი ქართული ლიტერატურული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის შეთვისებას და შესისხლხორცებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და

ძოსახლეობის ფართო ფენებში. დედაენის სტრუქტურის დაუფლებას იაკობ გოგებაშვილი ყოველგვარი სწავლების ქვაკუთხედად მიიჩნევდა. იაკობის აზრით, მშობლიური ენის შესწავლა „ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“. აქედან გასაგებია, რომ გოგებაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა ქართული ენის დევნას სკოლებში, ააშკარავებდა მეფის მოხელეთა ზრახვებს ამ საქმეში და რაზმავდა მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას ქართული ენის სწავლებისათვის სკოლაში. დიდი პედაგოგის წერილები, მიმართული შავრაზმელი მოხელეების — იანოვსკების, ლევიცკების, ვოსტორგოვების, კორხანიდების და მეფის სხვა აგენტების — წინააღმდეგ, შესანიშნავი შრომა „ბურჯი ეროვნებისა“ და მრავალი პედაგოგიურ-პუბლიცისტური წერილი წარმოადგენდნენ დიდი მნიშვნელობის იარაღს საზოგადოებრივი აზრის დასარაზმავად და დედაენის დევნის წინააღმდეგ საბრძოლველად. შედეგებიც თვალსაჩინო იყო. საგულისხმოა, რომ სახალხო სკოლების წესდებაში გოგებაშვილის ინიციატივითა და მისივე ხელით შეტანილ იქნა დამატება: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თაკის [1]-ა განმანათლებლო მიზანს ახორციელებს მთელი დაწყებითი განათლების მოწყობით მშობლიურს, ბავშვთათვის გასაგებ ენაზე და ხელს უწყობს რუსული ენის სწავლებას“[1].

აქვე უნდა ითქვას, რომ, მართალია, იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ „სწავლება ყველა საგნისა უნდა მიდიოდეს დედაენაზე“, მაგრამ არასდროს არ დავიწყებია „მნიშვნელობა ჩვენთვის ევროპულის ენების შესწავლისა საზოგადოდ და კერძოდ რუსული ენისა“. იაკობი ხომ რუსული ენის სახელმძღვანელოებსაც ადგენდა!

იაკობ გოგებაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში, ლიტერა-

[1] დ. ლორთქიფანიძე, ი. გოგებაშვილის დიდაქტიკა: „იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული“. გვ. 217.

ტურული ნორმების დადგენისა და ენის სიწმინდის დაცვის საქმეში.

განსაკუთრებით 90-იან წლებში ერთგვარი სიჭრელე დაეტყო ლიტერატურულ ენას; მოსაწესრიგებელი იყო მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, დასადგენი იყო ფორმები. გაზ. „ივერიის“ მეთაური (№ 168, 1888 წ.) აღნიშნავდა: „...ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს სჯა და ბაასი ენის გაფაქიზებისა და განკარგების შესახებ“; „აწინდელს ქართულ სამწერლო ენას საკმაოდ მოეპოვებიან მოკამათენი“.

კრიტიკის საგანი იყო თვით გაზეთ „ივერიის“ ენაც. იმავე მეთაურში ნათქვამია, რომ „ივერიის“ ენა ძველებურია, ხალხის ენას დაშორდა, ცხოვრებასთან კავშირი გაწყვიტა და ამიტომ მკითხველი საზოგადოების უმრავლესობისათვის გაუგებარიაო. „ივერიის“ ენით უკმაყოფილო იყო ნიკო ნიკოლაძეც. მან დაწვრილებით გაარჩია პირველი ნომრის ენა და მიუთითა მთელ რიგ შეუსაბამოებებზე. აი რას ამბობს ნიკო ნიკოლაძე: „1861 წელს უფ. ი. ჭავჭავაძემ დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია ჩვენ მწერლობას. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველად დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობსო. ამით მან ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც მასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყოთ. „საქართველოს მოამბის“ შემდეგ ქართულმა მწერლობამ ერთი-ორი ნაბიჯი მაინც წინ წადგა, და უფრო და უფრო მიითვისა სახალხო ენა, რომელიც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამდიდრდა საქართველოს სხვა და სხვა პროვინციალური დიალექტების სიმდიდრეების ჩართვით ქართულ მწერლობაში“[1].

ამის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე აღშფოთებულად ლაპარაკობს ზოგიერთ დამახინჯებაზე, რომლებიც გვხვდება „ივერიაში“ და რომლებიც ეწინააღმდეგება თვით ილიას მიერ აღებულ გეზსა და მიმართულებას. „უფ. ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარა. — განაგრძობს ნიკო.

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 2.

ნიკოლაძე. — „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულია ძველ მწიგნობრულ ენისკენ. დღეს ის თითქო საგანგებოდ უბრუნდება დავიწყებულ სიტყვის-წყობილებას, მიტოვებულ ფლექსიებს და უხმარ მიმოხვრას“. მართალია, ნიკო ნიკოლაძე აქ აჭარბებს, როცა ლაპარაკობს „ივერიის“ ენის არქაიზაციაზე, მაგრამ ეს წერილი მჭევრმეტყველი დოკუმენტია იმდროინდელ სალიტერატურო ენაში გამეფებულ ფორმათა სიჭრელისა და ლიტერატურული ნორმებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გასათვალისწინებლად.

ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გადაუწყვეტიათ სალიტერატურო ნორმების მომწესრიგებელი კომისიის შედგენა. ჩვენამდის მოაღწია ერთმა საყურადღებო დოკუმენტმა, საიდანაც ვტყობილობთ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ კომისიის წევრები და რა საკითხები იყო დასმული მოსაწესრიგებლად. ესაა უწყება სხდომის შესახებ, რომელიც „ივერიის“ რედაქციაში უნდა შემდგარიყო.

ამ კომისიის წევრი ყოფილა იაკობ გოგებაშვილიც.

შემონახულია ის ცალი უწყებისა, რომელზედაც მიმართვის ფორმულას „მოწყალეო ბატონო“-ს ხელით მიწერილი აქვს „იაკობ სვიმონის-ძე“. აქედან ვგებულობთ, რომ წერილის ადრესატია იაკობ გოგებაშვილი[1]. როგორც აკ. შანიძემ დაადგინა, ეს პირველი სხდომა უნდა ყოფილიყო მოწვეული 1886 წლის მარტის 8-ს.

უწყებაში ჩამოთვლილია ის მტკივნეული საკითხები, რომლებიც უნდა განეხილა კომისიას. ეს საკითხებია: თ-ანი თუ დ-ონი ვითარებით ბრუნვაში, სიტყვაწარმოების ფორმები, ჰ და ს პრეფიქსების ხმარება, მრავლობითში დასმული ებ-იანი და ნ-არიანი სახელი ქვემდებარედ და მასთან შემასმენლის შეწყობის საკითხი რიცხვის მიხედვით, დეეპრიჩასტიული ფორმები და სხვ.

რადგანაც ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, მოგვყავს იგი მთლიანად.

„მოწყალეო ბატონო იაკობ სიმონის-ძე.

გთხოვთ მობრძანდეთ მარტის 8, შაბათს საღამოს „ივერიის“

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ი. ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის. „ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული“, გვ. 18. 1939.

რედაქციაში განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად.

რომ წინადვე ცნობილ იქნას, რა და რა საგანზედ იქმნება სჯა, თვითეულს საგანს აქავ გავუწყებთ:

1. როგორ უნდა იხმარებოდეს წინად-მსვლელი ზედ-შესრული, განსაზღვრული სახელის არსებითისა, როცა სახელი-არსებითი: ა) ნათესაობით ბრუნვაშია, მაგალითებრ „ცოდვილი პირისა“, თუ „ცოდვილის პირისა“, ანუ „ცოდვილ პირისა“. ბ) როცა მოქმედების ბრუნვაშია, მაგ. „დიდი წყალობით“, თუ „დიდის წყალობით“ ანუ „დიდ წყალობით“. გ) როცა მოთხრობითს ბრუნვაშია, მაგ., „დიდებულმა კაცმა“ და „დიდებულ კაცმა“, ერთნაირად შესაძლებელია თუ არა?

2. სახელის-არსებითის და ზედ-შესრულის დაბოლოებაში „თ“ თუ „დ“ უნდა იხმარებოდეს, მაგ. ამისთანა შემთხვევაში: მე მიცანი კაცად(თ), ანუ: „ღმერთო, შენ მწედ(თ), უკანონოთ(დ)ა და უწესოთ(დ)ა?... აქ „თ“ და „დ“ დიდი მნიშვნელობა ეძლევა, იმის და მიხედვით, უკანონოები და უწესოები იგულისხმებიან, თუ უკანონოდ, უწესოდ შემწეობის ქმნა.

3. რა დროს და რა შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ასო „ჰ“ ზმნის ხმარებაში? რის ნიშანია იგი: მომქმედის პირისა, თვით მოქმედებისა, თუ მოქმედების მიმართულებისა, ცალკ-ცალკე, თუ ყოველისავე ამისა საერთოდ? სახეში იქონიეთ შემდეგი მაგალითები: „მიყიდე“ და „მიჰყიდე“; „შველით ვერც თქვენა ჰშველით“, „დაატრიალებს“ და „დასტრიალებს“.

4. ამ შემთხვევაში ასო „ს“ და „ჰ“ ერთნაირად შესაწყნარებელია, თუ არა, მაგ. „სწერ“, „სწერს“, „ჰწერა“, „ჰწერს“? შეიძლება ერთმა მეორის მაგიერობა გასწიოს, თუ არა? თუ შეიძლება, რა შემთხვევაში?

5. ერთნაირად შესაწყნარებელია, თუ არა, დაბოლოვება ზედ-შესრულისა: „ული“ „ური“ „ელი“ და „ებური“, ნამეტნავად უცხოთა სიტყვათა ხმარებაში? სახეში იქონიეთ შემდეგი მაგალითნი: „სხვაგნური“, თუ „სხვაგნებური“, „ძველური“, თუ „ძველებური“, „ადმინისტრატიული“ თუ „ადმინისტრატებური“,

„ჩვენური“, თუ „ჩვენებური“, „გენიური“, „გენიალური“, „გენიოსური“, თუ „გენიოსებური“?

6. კაცური, ღვთიური, ყმური და კაცებური, ღვთაებური და ყმებური ერთნაირის მნიშვნელობისანი არიან, თუ სხვა და სხვისა. რაშია გარჩევა?

7. სახმარი არის ნაწილი „რა“ წინადადებაში თუ არა, მაგალითებრ, მივწერე რა წიგნი, შევუთვალე? აღსადგენია, თუ არა ძველი სახე ამ ნაწილის ხმარებისა, მაგალითებრ, მოვიდარა — მოვიდა რა?

8. როცა ნიშნად ქვემდებარის მრავლობის რიცხვისა (подлежащее) „ები“ არის, ზმნა, შემასმენელი როდის უნდა იხმარებოდეს მრავლობით რიცხვით და როდის არა: აუცილებელია, თუ არა ხმარება ზმნისა მრავლობითად, როცა ქვემდებარეს ნიშნად მრავლობისა აქვს დაბოლოება „ნი“?

9. აგებულება ქართულის ენის წინადადებისა რით განირჩევა რუსულის წინადადების აგებულებისაგან? ზმნებური ფორმა წინადადების აგებულებისა, თუ სახელ-არსებითებური, უნდება და უსდება ჩვენს ენას? მაგალითებრ ,,Сенат, рассмотрев дѣло по обвиненію редактора в напечатании статьи და სხვანი, ამას ჩვენ სახელ-არსებითური აგებულება წინადადებისა — ვუწოდეთ. ქართულად ამ სახის აგებულება ასე გამოვა . სახელ-არსებითებით რომ ვთარგმნოთ: „სენატმა, განიხილა რა საქმე რედაქტორის ბრალდებულებისა, სტატიის დაბეჭდვაში“, და სხვანი. ეს ქართულის სიტყვებით მთლად რუსული წინადადების აგებულებაა, ხოლო ზმნების შემწეობით რომ ვთარგმნოთ, ასე გამოვა: „სენატმა განიხილა რა საქმე რედაქტორისა, რომელსაც ბრალი დასდებია, რომ სტატია დაუბეჭდია“ და სხვანი. ამას ჩვენ ზმნებური აგებულება ვუწოდეთ“.

იაკობ გოგებაშვილმა ბევრი წერილი გამოაქვეყნა სალიტერატურო ნორმების თაობაზე. ძირითადი იდეა, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს ამ პოლემიკურ სტატიებს, პროვინციალიზმების წინააღმდეგ ბრძოლაა.

90-იან წლებში „კვალის“ ფურცლებზე ცხოველი კამათი გაიმართა ენის სიწმინდის საკითხებზე. ეს კამათი დაიწყო აკაკი წე-

რეთლის სტატიით — „ჰრელი ფიქრები“ (№ 28, 1894 წ.). დავამ ფართო ხასიათი მიიღო, მასში ჩაებნენ გ. წერეთელი, მ. ჯანაშვილი, კ. დოდაშვილი, დუტუ მეგრელი, სილ. ხუნდაძე და სხვ., ი. გოგებაშვილმა ამ საკითხების გარშემო გაზ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა (ი. სიმონიძის ხელმოწერით) ათიოდე ფელეტონი. იგი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ლიტერატურული ენის დანაგვიანებას კუთხური გრამატიკული ფორმებით და სიტყვებით. განსაკუთრებით აღშფოთებდა იაკობს „კვალის“ ფურცლებზე დაშვებული უხეში ენობრივი შეცდომები. „კვალი“ გამსჭვალულია პროვინციალურის მიდრეკილებით“ და ეწინააღმდეგება „პროგრესიულ ფორმებსო“, ამბობდა გოგებაშვილი. „თუ ამისთანა მეტყველებას ენა ჰქვიან, მაშინ ჟარგონი რაღას დავარქვაო“, დასძენდა იგი „ივერიაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში. გ. წერეთლის ნაწერებში გაპარულ იმერიზმებზე საგანგებოდ ჩერდება იაკობი თავის წერილებში. როგორც ამჟამად გამორკვეულია[1], გოგებაშვილსავე ეკუთვნის („ივანიკა და გოჯასპირის“ ფსევდონიმით) მეტად საყურადღებო პოლემიკური წერილი „ფაფხურასთან გამოხუმრება“ („ივერია“, № 231, 1894 წ.), რომელიც მიმართულია გ. წერეთლის პოზიციების წინააღმდეგ ქართული ენის საკითხებზე.

წერილში „ორ-აზროვანი კილო ჩვენს პრესაში (საგრამატიკო შენიშვნა)“, რომელიც დაიბეჭდა 1894 წლის „ივერიაში“, იაკობი ეხება მთელ რიგ სადავო საკითხებს, რომელთა მოგვარება, ავტორის სიტყვით, გადაუდებელი ამოცანაა. ზმნაში უნდა ვიხმაროთ დ ნ ე ნ დაბოლოება და არა დ ე ნ („წავიდნენ“), მესამე პირის ობიექტურ ნიშნად უნდა გავაბატონოთ ჰ-ს, და სხვ., ავტორის დასაბუთება ასეთია: დ ნ ე ნ-ის უხმარებლობა ორაზროვნობას იწვევს: „მოვიდნენ ისინი“ — „მოვიდენ ოფლსა“. ანდა: მესამე პირის ნიშნის უხმარებლობის დროს აირევა ასეთი ფრაზები: „გადგა სურა გარეთ“ — „გადგა თვითონ განზე“.

ამგვარი დასაბუთება ეწინააღმდეგება თვით ავტორის მიერ სხვა წერილებში გამოთქმულ სწორ დებულებას იმის შესახებ, რომ

---

[1] ვ. ქ ა ჯ ა ი ა, რამდენიმე ახალი ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა ი. გოგებაშვილსა და ნ. ცხვედაძის შესახებ (საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია. 1949).

კონტექსტს უნდა მივანიჭოთ სადიფერენციაციო მნიშვნელობა ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად.

საფუძვლიანი განხილვა მიუძღვნა ი. გოგებაშვილმა მის თანამედროვე მწერალთა ენას. ასე, მაგალითად, მან მიუთითა რაფ. ერისთავის, ალ. ყაზბეგის, ცახელის და სხვათა ჩანაწერებში დაშვებულ ზოგიერთ შეცდომაზე. ვრცლად მიმოიხილა მან საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით და ყურადღება გაამახვილა ენის სიწმინდის დარღვევის მაგალითებზე.

ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, დაუზოგველად ამხელდა საერთო-სახალხო ენის პოზიციებიდან გადახვევის ცალკეულ შემთხვევებს, და თუ გოგებაშვილს მაშინდელი გრამატიკული აზროვნების დონის მიხედვით, ზოგჯერ ენობრივი მოვლენის ენათმეცნიერული ინტერპრეტაცია ბოლომდის მიყვანილი არა აქვს, სამაგიეროდ მისი ალღო სწორია და, ამის შესაბამისად, დასკვნაც მისაღები.

***

ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა, ერთი მხრით, მის უფლებათა თეორიულ დასაბუთებას, მეორე მხრით, ბრძოლას ენის სიწმინდისათვის და, მესამე მხრით, ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის პოზიტიურ საქმიანობას უმთავრესად სიტყვაკაზმული მწერლობის გზით.

ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებლები თავგამოდებით ემსახურებოდნენ ამ დიდ ეროვნულ საქმეს თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით.

იაკობ გოგებაშვილიც, ილიასთან და აკაკისთან ერთად, ქართული საერთო-სახალხო ენის გზის გამწვალდავია და მისი საუკეთესო ტრადიციების დამამშვენებელი.

ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა

„სიტყვა გადვაგდე ერშია...“
ვ ა ჟ ა.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში შეიძლება გაბატონებულად ჩაითვალოს აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება დაფუძნებულია დიალექტის მასალაზე, რომ მწერალი არ ემორჩილება სალიტერატურო ენის ნორმალიზაციას და არ მიჰყვება საერთო-სახალხო ენის იმ მაგისტრალურ გზას, რომელიც გაწ'ალდეს ახალი სამწერლო ენის ფუძემდებლებმა — ილიამ და აკაკიმ. ეს შეხედულება ჩვეულებრივ ასეა ფორმულირებული: ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფ შ ა უ რ კ ი ლ ო ზ ე წ ე რ დ ა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებს ლიტერატურულ ენაზე. ამ ფორმულამ თავისი უკიდურესი განვითარება ჰპოვა დებულებაში: ვაჟა ენობრივი პარტიკულარიზმის ტიპიური წარმომადგენელია, ენობრივი ნატურალიზმის დამნერგავია ქართულ ლიტერატურაში. ეს ლინგვისტური დასკვნა გადაიზარდა ჩვენი დიდებული მგოსნის ლიტერატურული მემკვიდრეობის ასეთნაირ შეფასებაში. ვაჟას ლიტერატურული აზროვნება ვიწროდ შემოფარგლულია, პოეტის ენობრივი პარტიკულარიზმი შინაგან ლოგიკურ კავშირშია მის მსოფლმხედველობრივ პარტიკულარიზმთან; კუთხური ენის დამცველი ვაჟა-ფშაველა ვერ ამაღლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებამდის, მწერლის შემოქმედებითი თემატიკა ვერ გასცილდა საქართველოს მთის პატრიარქალური ყოფისა და ფსიქოლოგიის ვიწრო ფარგლებს.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის ზემოხსენებულ გაგებას სათავე დაედო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდე-

საც საგაზეთო წერილების ფარგლებში გამოითქვა აზრი ჩვენი მწერლის ზოგიერთ პოემაში გამოყენებული ფშაური ფორმების შესახებ. შემდეგდროინდელი ავტორები იმეორებდნენ ამ ზოგად შეხედულებას მეტ-ნაკლები კატეგორიებით. ეს თვალსაზრისი ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა აკაკი წერეთლის ცნობილ ლექსში ვაჟა-ფშაველასადმი. ლიტერატურული კრიტიკა დღემდის ვერ გასცილებია ზოგად მსჯელობას დიალექტისადმი ვაჟას დამოკიდებულების თაობაზე; ეგ საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით არაერის შეუსწავლია.

არ შეიძლება ითქვას, რომ მთლად ცდებოდნენ კრიტიკოსები, როდესაც უსაყვედურებდნენ ვაჟას ფშაური ფორმების მოჭარბებულად გამოყენებას. მაგრამ არ არის სწორი იმის აღირება, თითქოს ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, თითქოს იგი მოითხოვდა სალიტერატურო ენის ნაცვლად დიალექტის გაბატონებას მწერლობაში. საკითხი ვაჟას მიმართებისა ფშაურ დიალექტთან გარკვეული შეზღუდვით უნდა განვიხილოთ და უკუვაგდოთ ის განზოგადება, რომელიც მიღებულია ამ საკითხის ზერელედ მიმოხილვის გზით. ამასთანავე, ვაჟას დიალექტიზმების ყალბმა განზოგადებულმა კვალიფიკაციამ სრულიად მიჩქმალა ის უდავო ფაქტი, რომ ჩვენი მწერალი ახალი სალიტერატურო ქართულის უბრწყინვალესი წარმომადგენელია, მისი ლიტერატურული მეტყველება სანიმუშოა ქართულ მწერლობაში. არ არის სათანადოდ დაფასებული ვაჟას პროზის ენაც. მის ნაწერებში ვერ შეხვდებით მწიგნობრული ენის ტრაფარეტს, სინტაქსური კონსტრუქციები აცდენილია უცხოურ ენათა გავლენებს, მდიდარია ლექსიკა, უხვად გვხვდება ქართული ენის ბუნებისათვის შესაფერისი ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი სიტყვები, იდიომატური თქმები.

ქვემოთ ვნახოთ, რა მოსაზრებები არსებობს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ვაჟას ენის გარშემო, რა შეხედულებები გამოთქვა თვით პოეტმა ენის თაობაზე, როგორია მიმართება სალიტერატურო ფორმებისა დიალექტურ ფორმებთან ვაჟას ნაწერებში, და რა სახისაა ვაჟას დიალექტიზმები.

ვაჟას ენის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკაში

ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში მწვავედ დაისვა საკითხი სალიტერატურო ქართულის ნორმების შესახებ. სამწერლო ენას ერთგვარი სიჭრელე დაეტყო. აღმოსავლური კილოებიდან მომდინარე გრამატიკულ ფორმებს და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მასალას გვერდში ამოუდგა დასავლური კილოების მონაცემები, მწიგნობრულ ენაში უხვად იჭრებოდა დიალექტიზმები, ისეთი ფორმები, რომლებიც არ ეგუებოდნენ საერთოეროვნული ენის ბუნებასა და თვისებას. ამასთანავე, მოსაწესრიგებელი იყო არქაიზმების საკითხი: ზოგიერთი ავტორი ფართოდ უღებდა კარებს მწერლობის ენაში გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც განეკუთვნებოდნენ ძველ საუკუნეებს და რომელთა გამოყენება არ იყო გამართლებული ენის განვითარების თვალსაზრისით. განსაკუთრებით შეიბღალა სინტაქსური კონსტრუქციები. ენაში ძალაუნებურად ფეხს იკიდებდა რუსიციზმები, შეუფერებელი ქართული ენის სტრუქტურისათვის. ცხოვრებამ დაბადა აუცილებლობა, დაეცვათ სალიტერატურო ენა როგორც გაუმართლებელი დიალექტური ფორმების გაბატონებისაგან, ისევე მოჯარბებული არქაიზმებისაგან და, ამასთანავე, სხვა ენათა კონსტრუქციების დამკვიდრებისაგან. ამას მოითხოვდა საერთოეროვნული ენის ინტერესები.

ენის ნორმალიზაციის აუცილებლობამ მკვეთრად დააყენა საკითხი, თუ რომელი კილო უნდა დასდებოდა საფუძვლად ახალ სამწერლო ენას. ქართლურ-კახურ დიალექტურ სინამდვილეს მწერლობაში მეტოქეობას უწევდა იმერული კილო, რომლის ფორმები განსაკუთრებით უხვად შემოიტანეს დასავლეთ საქართველოდან გამოსულმა მწერლებმა. ზოგიერთი გრამატიკოსი იმასაც ამტკიცებდა, რომ სალიტერატურო ენის საფუძველია ქართლურ-იმერული (იგულისხმება ზემოიმერული) დიალექტური სამყარო და არა მხოლოდ ქართლური.

1888 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 166) გამოქვეყნდა პეტრე მირიანაშვილის წერილი „საერო ენა და სათემო კილო“, სადაც გატარებულია აზრი, რომ ლიტერატურული ენა უნდა ეყრდნობოდეს ზემო ქართლის მეტყველებას, ზემო ქართლი კი მესხეთსაც შეიცავს და, მაშასადამე, უმთავრესად მესხური დიალექტი უნდა

მივიჩნიოთ სამწერლო ენის დედაკილოდო. ამასთან დაკავშირებით ავტორი სინანულით აღნიშნავდა, რომ „დღეს ჩვენს მწერლობაში რამდენი მწერალია, იმდენი ენაა, ე. ი. რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს“. პ. მირიანაშვილს განსაკუთრებით არ მოსწონს ქიზიყური დიალექტური მასალის შემოჭრა პროზაში, ერთი მხრით, და ფშაური დიალექტური მასალის დამკვიდრება პოეზიაში, მეორე მხრით. პირველის ნიმუშად ავტორი ასახელებს დიმ. მაჩხანელის მოთხრობებს, ფშაური დიალექტის წარმომადგენლად კი მიჩნეულია ვაჟა-ფშაველა. ვაჟას „ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკებრი ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტხორცი სიტყვებიო“, დასძენს ავტორი. სანიმუშოდ წერილში დამოწმებულია რამდენიმე ზმნური ფორმა — „აქვ“, „ჰგავს“ და წოდებითი ბრუნვის „უ“, ნაცვლად „ო“-სი („ქალა-უ“ და სხვ.). აქვე ნათქვამია, რომ ფშაურს, ისევე როგორც სხვა ქართულ კილოებს, „თავისი საკუთარი ჩინებული მხარე აქვს“, სახელდობრ, „სიტყვის საქცევი ფიგურებრ თქმულება“, ჰიპერბოლები, შედარებანი, ანდაზები, თუ აფორიზმები, რომელთა შემოტანა სამწერლო ენაში გამართლებულია.

პ. მირიანაშვილი ვაჟას ენის საკითხს ეხება იმავე წლის „ივერიაში“ (№ 219) გამოქვეყნებულ წერილში „ბ-ნი ვაჟა-ფშაველა და ბ-ნი ურბნელი“, რომელიც წარმოადგენს ვაჟას პასუხის პასუხს. აქ ავტორი ეკამათება ვაჟა-ფშაველას არქაიზმების გამოყენების თაობაზე და შენიშნავს, რომ მაგალითად, რაჭის ერთ სოფელში — გლოლაში შესანიშნავი არქაული ფორმებია შენახული, მაგრამ არავინ მოგვიწონებს, რომ ამ თუნდაც რეალურად არსებული ფორმებით ავაჭრელოთ სამწერლო ენა. ამასთანავე, მირიანაშვილს მოჰყავს ადგილები ვაჟას ერთი პატარა ლექსიდან („წადილი“): „ნეტარ რატუ არ ვიმღერო, სტვირთან რა მაქვის საწყრომი“ და სხვა, სადაც ურევია კუთხური ფორმები. ავტორი შენიშნავს, რომ ვაჟა თუ „ეშხშია, მუზის მჭვრეტელი, მაშინ ფშაური თვალსა და ხელს შუა უქრება და კაი ქართულითა წერს, როგორც ჩანს მის პოემების ზოგიერთ ადგილებიდამ“. აქვე აღნიშნულია, რომ ვაჟას პროზა „ჩინებულის ენით“ არის დაწერილი.

ილია ნაკაშიძე თავის ნაშრომში „ვაჟა-ფშაველას პოეზია“

„კვალი“, 1896 წ. № 44, 45, 47, 49, 51, 52) ვაჟას პოეტურ სიდიადეს ფშაური კილოს გამოყენებაში ხედავს. ავტორი ხაზს უსვამს ამ დიალექტის თავისებურებას და აღნიშნავს: „აი ფშაველას და ფშაველთა ენა, სტილი რკინისა, პირდაპირ ხალხის გულიდან ამოღებული, როგორც კლდის ღრმა ნაპრალიდან უტეხი მადანი... ენა დინჯი, ენა მძლავრი, ენა მხატვრული... ფშაური სიტყვა დინჯი და ახოვანია, სიტყვა კლდეების გულზე გამოჩეკილი და აღზრდილი, ვით მთის ამაყი და თავ-მომწონე არწივი“. ფშაურ კილოს ილია ნაკაშიძე უპირატესობას ანიჭებს ქართული ენის სხვა კილოთა შორის თქმის ხატოვანებით და სიწმინდით. ასე, მაგალითად, ავტორი გზადაგზა ახასიათებს იმერულს, როგორც „მსუბუქ-შნოიანს, ფეხ-მარდსა და ნაზათ და ლამაზათ გამძვრენ-გამომძვრენს“; ყურადღებას მიაქცევს მეტყველების სწრაფ ტემპს. ქართლურ-კახური ფშაურს „წააგავს სიდინჯით“, მაგრამ იგი მწიგნობრულ ენასთან უფრო ახლოს დგას და, ამდენად, ხალხური მეტყველების ბუნებრიობას მოკლებულიაო. ამავე დროს, ნათქვამია, რომ ვაჟას ენა მიღებულია ფშაურის გაშალაშინებისა და დახვეწის შედეგად. ისიც აღნიშნულია, რომ ამ მხრივ ვაჟა უფრო ორიგინალურია, ვიდრე ყაზბეგი. ამ უკანასკნელის ენას ემჩნევა სხვა მწერლებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურების გავლენა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როდესაც ილ. ნაკაშიძე მსჯელობს ვაჟას დამოკიდებულებაზე დიალექტთან, მხედველობაში აქვს არა იმდენად გრამატიკული მოვლენები, არამედ ამ ერთობლიობას ავტორი ხედავს უმთავრესად სტილისტიკის სფეროში.

ვაჟა-ფშაველას დიალექტიზმების შედარებით ვრცელი ანალიზი მოგვცა აკაკი წერეთელმა 1899 წელს („კრებული“, II). წერილში აღნიშნულია, რომ რაზიკაშვილები „უხვად არიან მაღლით მიმადლებული... ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“ ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის „ბაჩანასი“ და თედოსი საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი“. როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა ჩვენი შესანიშნავი მწერლის — ვაჟას შემოქმედებას. მაგრამ აკაკი სადავოდ მიიჩნევდა ვაჟას ენაში დიალექტიზმების გა-

მოყენებას. იგი ხაზს უსვამდა განსაკუთრებით ქართული ზმნის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. ვაჟამ კი მწერლობაში მახინჯი ზმნური ფორმები შემოიტანაო („გაურეკავის", „ჩაეხოცაო", „გავხედნებ" და სხვ.). აკაკი დასძენს, რომ იგი არ არის წინააღმდეგი დიალექტებიდან საუკეთესო მასალის შემოტანისა, „დაკნინებული ენის შევსება საჭიროა", მაგრამ „რაც დედა ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში, გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით გასადევნიაო". ამრიგად, აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში სასტიკად გაილაშქრა სალიტერატურო ენაში ისეთი გრამატიკული ფორმების შემოტანის წინააღმდეგ, რომლებიც დიალექტურ სამყაროს განეკუთვნებიან და არ ეგუებიან საერთო ეროვნული ენის შინაგან კანონზომიერებას.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა თავისი თვალსაზრისი ვაჟა-ფშაველას ენის თაობაზე უფრო გვიან ლექსით გამოხატა. გავიხსენოთ ეს ლექსი:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც-კი გვითესავ მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!
ჯერ არ ვყოფილვარ ფშაეთში,
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა:
შენ დამიხატე ეს მხარე
ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.
და რაც არ გადმოგცია
მისს მშვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს
შენთანავე აღმაფრენითა,
ვიცი, რომ ფშაელის სოფელი
წმინდაა, მაღალ მთისაო,
ენა — მეტყველი სიმართლის,
გულ-მკერდი —ფოლადისაო,
წინეთ ხომ ხმალი უჭრიდათ,
სადღეისოდ სჭრის კალამი.
გადაეც ბარის მგოსნისგან
მთიულებს ძმური სალამი".

კიტა აბაშიძის ცნობილ კრიტიკულ ეტიუდში „ვაჟა-ფშაველას" (ჟურნალი „ფასკუნჯი", № 6, 7, 8, 9, 10, 1909 წ., შდრ. მისი

„ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, II, 1912 წ.) პოეტის ენის თაობაზე მხოლოდ ესაა ნათქვამი: „ერთად ერთი შენიშვნა, რომელიც ითქმის ვაჟას პოეზიის, უფრო კი მისი პოემების შესახებ, ეს ის არის, რომ ტექნიკური მხარე სტილისა ვერ არის იმ სიმაღლემდის მიყვანილი, ვერ არის ისე უნაკლო, როგორც მის პროზაში... ერთი შენიშვნა კიდევ: ვაჟას პროვინციალიზმები“.

ვაჟას პოეტური ენის შესახებ თავისი შეხედულება აქვს გამოთქმული აგრეთვე იპ. ვართაგავას ვრცელ კრიტიკულ გამოკვლევაში: „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი“ (ჟურნ. „განათლება“, № 10, 1913 წ., № 1, 2, 3, 4, 1914 წ., შდრ. ცალკე გამოცემა, 1921 წ.). ავტორის აზრით, ვაჟას ნაწარმოებნი „უმთავრეს ნაწილში პროვინციალურ-ფშაურია... ვაჟა როგორც განათლებული მგოსანი ცდებოდა იმაში, რომ თავის პირად განცდას და მსოფლმხედველობას, თავისს საეროვნო და საკაცობრიო ფიქრსა და გრძნობას ფშაურს სამოსელში ახვევდა, პროვინციალურის კილოკავით გამოსთქვამდა“. ვართაგავა უსაყვედურებს პოეტს, რომ „საზოგადო ეროვნულ ლიტერატურულ ენაზე“ არა წერს, „პროვინციალური კილოთი“ წერა კი მაშინ შეიძლება, როდესაც „პროვინციალური ცხოვრება აღიწერება ან ადგილობრივი გმირები ხასიათდება“. რაკი ვაჟას ნაწერები აღსავსეა დიალექტური გრამატიკული ფორმებით და ლექსიკით, ამიტომ, ავტორის შეხედულებით, ამ ნაწერებს „ნაკლებად იცნობს ფართო ქართველი საზოგადოება“, ამავე მიზეზით ვაჟა „მომავალშიც კლასიკურ მწერლად არ გახდება“. ასეთია ავტორის მკაცრი დასკვნა. იპ. ვართაგავა არ ეთანხმება იმათ, ვინც ვაჟას ენას დადებითად აფასებს. „რა იქნებოდა, — დასძენს ავტორი, — გ. ჭალადიდელს ეწერა მეგრულის კილოთი, ეგ. ნინოშვილს — გურულის, აკაკის — იმერულის, ალ. ყაზბეგს — მოხევურის, ირ. ევდოშვილს — ქიზიყურის და სხვ.? შეუწყობდა თუ არა ეს ხელს ქართული ენის და ლიტერატურის გაზრდა-განვითარებას? და თუ იტყვიან, არ შეუწყობდა ხელსაო, მაშ სხვა რა მოსაზრებით ამტკიცებენ ისინი წინააღმდეგს, როდესაც ფშავურს კილოს ასეთს მნიშვნელობას აძლევენ?“

„მართალია, კილო ვაჟასი ჩვენ საზოგადოებას ეუცხოვა. —

ამბობს დავით კასრაძე თავის სტატიაში „ვაჟა-ფშაველა“ (გაზ. „საქართველო“, № 60, 1915 წ.), — მაგრამ გამოჩნდნენ შეგნებული პიროვნებანი, რომელთაც ალღო აართვეს ვაჟას ნიჭს და უნებურად ქედი მოიხარეს მის წინაშე. ვაჟაც ამით გამხნევდა, თითქოს ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ერთის მიერ შეგნებით დაკრული ტაში მირჩევნიან უგნურთა შეუგნებელ ღრიანცელსა და დაფნის გვირგვინის მორთმევასო“.

ჩვენს დროში ვაჟას პოეტური ენის შესახებ გამოთქმულია ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებები.

ტიციან ტაბიძე ამბობდა: „უსაფუძვლო ბრალდება ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ გაიმეორა... აკაკი წერეთელმა... ვაჟა-ფშაველა ღრმად უპასუხებს აკაკის დაგვიანებულ პასუხით და ეს პასუხი მართლა დიდხანს დარჩება სამაგალითო პასუხად“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. I, ალ. აბაშელის რედაქციით, 1928, შესავალი წერილი). ავტორს არ მოჰყავს თავისი აზრის დამამტკიცებელი საბუთები.

ვაჟა- ფშაველას პოემები რომ გადატვირთული არ არის პროვინციალიზმებით, წინააღმდეგ გაბატონებული აზრისა, სრულიად გარკვევით აღნიშნული აქვს სიმონ ჩიქოვანს („Заря Востока“ 1951). ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას „სტუმარმასპინძელზე“ და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მას სალიტერატურო ენის ისტორიაში.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ I ტომში, ნაშრომში — „ქართული ენის ზოვადი დახასიათება“ არნ. ჩიქობავა ვაჟა-ფშაველას პროზის ენაზე დაყრდნობით ამბობს: „დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ახალი ეტაპი, რომელსაც ქმნის დიდი ქართველი მწერლების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას — შემოქმედება“ (გვ. 025).

ივ. გიგინეიშვილი გაზ. „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებულ წერილში („ახალი ქართული სალიტერატურო ენა და ვაჟა-ფშაველა“, 1951, წ., № 14, 15) აღნიშნავს, რომ ფშაური ფორმების უხვად შემოტანა სალიტერატურო ენაში, „უფრო მეტიც, სავსებით ფშაურ კილოზე წერა, თვალში საცემი მოვლენა იყო. ვაჟა-ფშაველა ფშაურ კილოზე წერდა“.

ასეთივე აზრია გატარებული ჩვენს წერილშიც: „ახალი სალიტერატურო ქართულის სათავეებთან“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., № 4).

მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს წიგნში — „ვაჟა-ფშაველა (1953 წ.) გარკვეულადაა ნათქვამი, რომ „ვაჟა-ფშაველა ფშაურ-ხევსურული კილოს ზედმეტად გამოყენებით ხ ე ლ ს კ ი არ უ წ ყ ო ბ დ ა სალიტერატურო ენის დადგენისა და სიწმინდისათვის ბრძოლას, არამედ... ბღალავდა საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენის განვითარება-განმტკიცების საქმეს“ (გვ. 250. ხაზი ჩვენია — შ. ძ.).

წიგნში — „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია“ (1956 წ.), მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს წიგნში — „ვაჟა-ფშველა“ (1953 წ.) ვაჟა „ხალხური მეტყველების საფუძველზე ცდილობს გაამდიდროს ლიტერატურული ენა, მისცეს მას უფრო მეტი მხატვრული ძალა და მოქნილობა“ (გვ. 99), — ასეთია ავტორის დასკვნა.

ვაჟას შეხედულებები ენაზე

ვაჟა-ფშაველას სავსებით გარკვეული თვალსაზრისი აქვს შემუშავებული მწერლის ენასა და სტილზე. მისი უკვდავი მხატვრული ქმნილებანი ამ თეორიული საენათმეცნიერო თვალსაზრისის პრაქტიკულ ხორცშესხმას წარმოადგენენ.

ვაჟას შეხედულებები ენის შესახებ გამოთქმულია წერილებში: „მცირე შენიშვნა“ („ივერია“, 1888 წ., № 192), „Pro domo sua“ („ივერია“, 1896 წ., № 43). „ენა“ („ივერია“, 1901 წ., № 46), „ნიჭიერი მწერალი“ (1910 წ.) და ლექსში: „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ (1913 წ.).

უპირველეს ყოვლისა, ვაჟა-ფშაველა აღიარებს, რომ ყოველი მწერალი უნდა იბრძოდეს საერთო ეროვნული ენის ინტერესებისათვის, იმ ენის შენებისათვის, რომელიც აერთიანებს ენობრივ განშტოებებს, დიალექტების სახელით რომ ვიცნობთ. „ვინ არის ისეთი გაუგებარი, რომ საერთო ლიტერატურული ენის საჭიროება არ ესმოდეს, მწერლობდეს და ენის გაუკეთესებასა და „გაწმენდაზედ“ არა ჰფიქრობდეს“. სალიტერატურო ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყარო ცოცხალი მეტყველებაა, ამიტომ

მწერალი ვალდებულია დიალექტებიდან შემოიტანოს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ღირსია ლიტერატურული გამოხატულებისა.

ბარელმა ქართველმა არ იცის, ვაჟას მოწმობით, მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც მთაშია შემონახული, მათი შემოტანა კი გაამდიდრებდა სალიტერატურო ენას. ამის ნიმუშებია გარა („რგვალი ხე, სიგრძით ადლ-ნახევარი, რომელზედაც. ქსოვის დროს, ნართს ახვევენ. ერთი გარაა მოძრავი, მეორე უძრავი"), ცხემლა („სამი თითის სიპრტყე ფიცარი, ადლის ტოლია, თავსა და ბოლოს ამოკბილული, რომელზედაც ნართია დახვეული. ცხემლით ნართი გარდიგარდმო გაჰყავს ოსტატს და შემდეგ იბეჭდება"), საყვანელა ანუ კაკაჩუნა („პატარა კავი, მოძრავის გარის ასაწევ-დასაწევი"), სახნავი („ნახევარადლიანი ფიცარი, რომლითაც მტვერი და ბურუსი ეკლება ქსელს") და მრავალი სხვა.

„ივერიაში" ვაჟას ამოუკითხავს რუსული „სმაროდინა", ეტყობა, მისი ქართული თარგმანი ვერ უპოვიათო. რაკი „ბარად თვით საგანი არ არსებობს", ამიტომ შეიძლება მთას მივმართოთო, გვეუბნება ავტორი, იქ კი გვხვდება ქართული სიტყვები მოცხარი ან ხუნწი. სალიტერატურო ენაში სასურველია თავი მოიყაროს ერთი და იმავე ცნების თუ საგნის რამდენიმე სახელწოდებამ. მაგალითად, ვაჟასათვის მისაღებია მირიანა-შვილის წინადადება, სიტყვა „ძუნწის" (რომელიც არ არის ძირეული ქართული სიტყვა) გამოსახატავად დავამკვიდროთ იქერული დიალექტიდან „პურშავი". რა დაშავდება, თუ მას მივუმატეთ ფშაური „ძვირი", „ხარბი", „გაუქშერელი"? ვაჟას აზრით, სინონიმთა სიმრავლე ლიტერატურული ენის სიმდიდრის მაჩვენებელია. „თავმოსაწონიც არის, რომ ერთის ცნების გამომხატველად სამი და ოთხი სიტყვა მოგვეპოვებაო". დასძენს პოეტი და ამ კონტექსტში ახსენებს ჩინურ ენას, რომელსაც სხვა მიდრეკილება აქვს: ჩინელებს „ბევრი ისეთი სიტყვები აქვთ, რომ თითოეულს, ერთის მაგიერ, ათი და თორმეტი მნიშვნელობა აქვს იმისდამიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს წინადადებაში" („მცირე შენიშვნა").

ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოლიტიკა გასაგები არ იქნება, თუ არ გავითვალისწინეთ იმდროინდელი სალიტერატურო ქართულის განვითარების ტენდენციები. ეს ის დროა, როდესაც ახალი ქართული სამწერლო ენა ჩამოყალიბების პროცესშია. ჯერ კიდევ ადრე, 60-იან წლებში, ილია ჭავჭავაძემ თეორიულად დაასაბუთა ძველი ენის დრომოჭმულობა და ახალი სალიტერატურო ენის გავრცელებისა და დამკვიდრების აუცილებლობა. ახალი თაობის წარმომადგენლები ძველი თაობის წარმომადგენლებთან ბრძოლაში მკვიდრ მეთოდოლოგიურ ნიადაგზე იდგნენ და ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი ენის განვითარების ისტორიული პერსპექტივა. ხალხის მეტყველება, გლეხკაცის მეტყველება — აი რა მიაჩნდათ მათ ახალი სალიტერატურო ქართულის საიმედო საყრდენად. ეს იყო არსებითად ბრძოლა იმ ენის უფლებისათვის, რომელიც ადრე არსებობდა და რომელსაც ანტონის სქოლასტიკური სკოლის გავლენით არ ჰქონდა ლიტერატურული გამოხატულება, უფრო ზედმიწევნით — აკლდა ლიტერატურული დამუშავება.

ახალი სალიტერატურო ენის დაფუძნება ქართული ხალხური მეტყველების მასალაზე ბუნებრივად მოითხოვდა ხალხური ზეპირსიტყვაობის სამყაროს საფუძვლიანად გაცნობას, ჩვენი თვალშეუდგამი ფოლკლორის მონაცემების შეგროვებასა და სისტემატიზაციას. ილიამ და აკაკიმ ამ ზღვა მასალის შეკრების აუცილებლობა ადრევე იგრძნეს და არ არის შემთხვევითი, რომ მათი დამსახურებაა ამ დიდი ეროვნული საქმისათვის თავის მობმა; პირველ რიგში, ეს ნაკარნახევი იყო სალიტერატურო ენის ინტერესებით. აკაკი წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა: „სხვადასხვა მხარეებში ბევრი იმისთანა სიტყვებია დარჩენილი... რომ მათი გამოძებნა და მითი ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა; აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძია საყოველთაოდ“ („კრებული“, II, 1899).

ვაჟა-ფშაველა სავსებით იზიარებდა ენის დიდი რეფორმატორების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებებს და მიჰყვებოდა მათ მიერ აღებულ გეზსა და მიმართულებას. „ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილსო“, ამბობდა ვაჟა და ეს თვალსაზრისი ზედ-

მიწევნით ეხმაურებოდა ახალი სალიტერატურო ქართულის განვითარების ძირითად ტენდენციებს. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ვაჟაც თავგამოდებით იცავდა ენის ხალხურობის იდეას და მოითხოვდა სალიტერატურო ენის გამდიდრებას ცოცხალი მეტყველებიდან შერჩეული გრამატიკული ფორმებით თუ ლექსიკური მასალით. მთელი მისი სამწერლო პრაქტიკა ამ დებულების ნათელი დადასტურებაა. ამრიგად, ვაჟა-ფშაველა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სხვადასხვა დიალექტიდან აღებული ფორმების დანერგვას სალიტერატურო ენაში. ეს თვალსაზრისი შესანიშნავად არის ფორმულირებული ვაჟას მიერ აკაკისადმი მიძღვნილ ლექსში:

გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა.

როგორი დიალექტური მასალა მოიპოვებს მოქალაქეობრიობას მწიგნობრულ ენაში? მხოლოდ ისეთი ფორმები, რომლებიც შეესაბამებიან საერთოეროვნული ენის ბუნებასა და თვისებას, საერთო-სახალხო ენისათვის ნიშანდობლივ სტრუქტურულ თავისებურებას. აკაკი წერეთელი პირდაპირ ლაპარაკობს: ისეთი ენობრივი მოვლენა, რომელიც „სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დედა ენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძია საყოველთაოდ“, ანდა: „ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ... ასეულ ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალებით“. ეს დებულება მისაღებია ვაჟასთვისაც: მწერალმა ისეთი სიტყვა თუ გრამატიკული ფორმა უნდა მიაწოდოს სალიტერატურო ენას, რომელიც „შეეფერება ენის ხასიათს, იმისს ბუნებასაო“, — ამბობდა იგი („მცირე შენიშვნა“).

ამრიგად, ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის, რომ „ეხლანდელი

ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის“, ოღონდ საჭიროა ისეთი ფორმებისა და სიტყვების შერჩევა, რომლებიც დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულან და სავსებით შეეფერებიან მის ხასიათსა და ბუნებას. ეს მეთოდოლოგიური საფუძველი განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლისა და სხვათა სიტყვათშემოქმედებითს მუშაობას.

იბადება კითხვა: ენის დემოკრატიზაციის იმ დიდსა და ძნელ გზაზე, რომელსაც ადგნენ ზემოხსენებული მწერლები, განა ყველაფერი გამართლებული იყო სალიტერატურო ენის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით? განა ყოველი ენობრივი ფორმა, აღებული ცოცხალი მეტყველებიდან, შეიწოვა სალიტერატურო ენამ და გახდა მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი? ეს შეუძლებელი იყო, თუ გავითვალისწინებთ ახალი სამწერლო ენის ჩამოყალიბების რთულსა და ხანგრძლივ პროცესს. ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა თუნდაც ილიასა და აკაკის ენიდან არა ერთი და ორი მაგალითი, რომლებიც არ გაამართლა ენის განვითარების ლოგიკამ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას კარგად ჰქონდა შეგნებული ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების სიძნელეები, როდესაც ამბობდა: „მწერალს არ შეუძლიან სავალდებულოდ გაჰხადოს რომელიმე სიტყვა ან ფორმა. მხოლოდ იმ ნებას კი ვერავინ წაართმევს, რომ მწერლობას მაინც არ გააცნოს, როგორც სამეცნიერო, საეტნოგრაფიო საგანი... თუ ენა იშველიებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა-და არც არაფერი იმით არ წახდება. „ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვაო“, ტყუილად არ ამბობს ქართული ანდაზა („მცირე შენიშვნა“). ეს ძალიან საგულისხმო განცხადებაა, და როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვაჟას ენის ზოგიერთი თავისებურება ამ თვალსაზრისის ნაყოფია.

რაკი ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ვაჟა სალიტერატურო ენის საფუძვლად ხალხურ მეტყველებას, დიალექტების ნაირსახეობას მიიჩნევს, ბუნებრივია, ვიკითხოთ: მაინც რომელი დიალექტი, ანდა წრე დიალექტებისა უნდა იყოს, ვაჟას გაგებით, ქართული სამწერლო ენის უმთავრესი საყრდენი? ვიდრე ამ კითხვაზე პა-

სუხს გავცემდეთ, უნდა გავარკვიოთ: როგორ ესმოდა ჩვენს მწერალს ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერება.

ვაჟას ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი მოეპოვება.

წერილში — „ენა“, რომელიც 1901 წელს გამოქვეყნდა, ვაჟა-ფშაველა გულისტკივილით აღნიშნავდა: „...ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზედ გადავაგდოთო... ამისთანა სამდურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია“. ამ „სამდურავთან“ დაკავშირებით ვაჟა იძულებულია ერცლად შეჩერდეს საკითხზე: როგორ უნდა გვესმოდეს ენის ცვალებადობის შინაგანი მექანიკა, საერთოდ, და როგორია ჩვენი ენის განვითარების თავისებურება, თუ მას თვალი გავადევნეთ ქართული მწერლობის დასაბამიდან დღევანდლამდის.

უწინარეს ყოვლისა, ვაჟასათვის ამოსავალი დებულება ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ძირითადი ლექსიკური მარაგის ხელი განვითარების შესახებ. ვაჟამ კარგად იცის, რომ ენის აღნაგობა გამძლეა საუკუნეთა მანძილზე. „ენას ფესვები წარსულს დროში აქვს გადგმული, — ამბობს ჩვენი მწერალი, — რაც ხასიათი და ბუნება ისტორიულად მიჰნიჭებია ენას, იგი უნდა შერჩეს სიკვდილამდე“(„მცირე შენიშვნა“). ეს სიტყვები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვაჟა-ფშაველა არ სცნობდეს ენის განვითარებას, წინსვლას, ფორმათა ევოლუციას. „მართალია, ენა თანდათანობით წარმატებებში შედის, წინ მიდის, — დასძენს ვაჟა, — მაგრამ ისე კი არა, რომ ბუნებასა და ხასიათს იცვლიდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ენაცა კვდება“ (იქვე). ენის განვითარება კი იმაში გამოიხატება, ვაჟას აზრით, რომ ცხოვრების წინსვლასთან ერთად იცვლება ლექსიკის შედგენილობა: ბევრი სიტყვა კვდება და ბევრიც ახალი მკვიდრდება ახალ ცნებათა შესაბამისად, „ენის წარმატება მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატავად“ (იქვე). ვაჟას რომ დიახაც სწამს ენის პროგრესი, ეს უფრო კარგად ჩანს შემდეგი ციტატიდან: ენა „რამდენიც უფრო წინ წასულია და წარმატებული, იმდენად უფრო მომზადებულია ყველა ცნების გამოსახატავად. მაშინ ენას ყველა ცნების გამოსა-

ხატავად საკუთარი სიტყვა მოეპოვება, ყოველს აზრს, რაც უნდა მძიმე და განყენებული იყოს, ადვილად გამოსთქვამს“ (იქვე).

ასეთია ვაჟა-ფშაველას მიერ გამოთქმული საღი შეხედულებები ენის განვითარების ზოგადი კანონზომიერების შესახებ.

მაგრამ ვაჟას მცდარი თვალსაზრისი მაშინ იჩენს თავს, როდესაც საქმე მიდგება კონკრეტულად ქართულ ენაზე.

ქართული ენა, ვაჟას სწორი დასკვნით, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენაა; მისი განვითარების ახალი საფეხურები, ვაჟასავე აზრით, დაკნინებისა და გაღარიბების მაუწყებელია, თანდათან შეიბღალა უმწიკვლო და დიდებული ძველი ქართული მეტყველება, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს; ჩვენი ენა მდინარესა ჰგავს, „ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია,— გამომდინარეობს ულეველად, უკლებლად... ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დააფასოს იგი, ბოლოში, სადაც მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰმართავს“ („ენა“). ეს უბრალო მხატვრული შედარება არ გვეგონოს: ვაჟა აქედან მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს.

სადაა მაინც ეს სათავე ჩვენი ენისა? ესაა ძველი, კლასიკური ქართული ლიტერატურული ენა და თანამედროვე მთის ხალხური მეტყველება.

ქართული ენის სათავის, ე. ი. მისი განვითარების უძველესი საფეხურების ნიშნები, ვაჟას აზრით, ყველაზე ჭარბად გამოვლენილია შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის ენაში (გავიხსენოთ: „შენ, ჩემო წინამორბედო!“) და დღევანდელი მთიელების მეტყველებაში. ამ მხრივ ტიპიურია ფშაური დიალექტი. „ფშაურის საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად ჰგვანან ძველი მწერლების ნაწერებისას“ („მცირე შენიშვნა“).

როგორც ვხედავთ, ფშაურ კილოს, ვაჟას კონცეფციით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი სალიტერატურო ქართულის ფორმირების თვალსაზრისით. იგი ძველი ქართულის კანონზომიერების რეალური დადასტურებაა თანამედროვე მეტყველებაში, ქართული ენის სიწმინდე ყველაზე უფრო აქაა დაცული, რადგან ამ კილოზე დიდი გავლენა არ მოუხდენია უცხო

ენებს. მოეუსმინოთ თვითონ ვაჟას: „ფშაველებს... საპატიო ადგილი ეძლევათ. საყურადღებოა იმათის საუბრის კილო და ფორმები სხვათა შორის იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად: ფშაველებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზედ-მოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომაც იმათი სათემო კილო... და გრამატიკული ფორმები ხელჩასაჭიდებია, ღირს-საცოდნელი“.

ლექსში — „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ ვაჟა-ფშაველა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფშაველები ძირეული ქართველი ტომია, ფშაურ კილოს ვაჟა სიმტკიცით სალ კლდეს ადარებს, თუმცა იმასაც აღიარებს, ამ მთის მეტყველებას შეიძლება სინაზე, მოქნილობა, სიმსუბუქე აკლდესო. აი ეს ადგილიც:

იქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი იქაც ჰყვავისა,
ხატად ჰყავ, სალოცავ ხატადღ,
მთიელთ სამშობლო თავისა,
და ენა მათი სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა;
იქნებ აკლია, არ ვიცი,
ამ ლომს სინაზე ქალისა?

როგორც გამოირკვა, ვაჟა-ფშაველა ენობრივი კონსერვატიზმის თვალსაზრისს იცავს. თუ მისთვის, ერთი მხრით, მისაღებია ზოგადი დებულება ენის პროგრესული განვითარების შესახებ, მეორე მხრით, როცა მსჯელობს, კერძოდ, ქართული ენის ისტორიულ განვითარებაზე, ჩვენი პოეტი სავსებით კატეგორიულად აღიარებს, რომ ამ ენის მთელი სიდიადე შორეულ წარსულშია, ქართულ ენას არ განუცდია პროგრესული განვითარება, იგი თანდათანობით დაკნინების და გაღარიბების გზას ადგასო. ახალი ქართული მწერლობის ვალია, საერთოეროვნულ ენაში დაამკვიდროს ჩვენი ენის არქაული ფორმები, რისთვისაც მან უნდა მიმართოს კლასიკურ ქართულ ლიტერატურას და თანამედროვე მთიელების (კერძოდ, ფშაველთა) ენას, მთიელებისა, რომლებიც მეტყველებენ „გაურყვნელის ენით“.

ამით ამართლებს ვაჟა იმ ფშაურ გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც გამოყენებულია მის პოემებში.

ვერ გავიზიარებთ ჩვენი დიდებული მწერლის აზრს, თითქოს არ დახვეწილიყოს ქართული ენის გრამატიკული წყობა ისტორიული განვითარების მანძილზე, არ შევსებულიყოს მისი ლექსიკა — ცხოვრების განვითარების შესაბამისად — ახალი ცნებებითა და ტერმინებით, არ გამარტივებულიყოს ჩვენი ენის ფონეტიკური სისტემა. ამ დებულების ბრწყინვალე დამადასტურებელი, პირველ ყოვლისა, თვით ვაჟა-ფშაველას სწორუპოვარი ენაა, თუ გამოვრიცხავთ მის პოემებში ავტორისეული ენისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ დიალექტიზმს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ვაჟას პროზა იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ რა სრულყოფილობამდის მიუღწევია ახალ ქართულ საერთოეროვნულ ენას, რომელსაც საბოლოოდ თავი დაუღწევია კონსერვატული ფორმებისათვის და ხალხური მეტყველების სტილისტური გადამუშავებისა და დახვეწის გზით თანამედროვე ქართული ენის ტიპიურ სახედ ჩამოყალიბებულა. განა ილიას „ოთარაანთ ქვრივი“, აკაკის „ბაში-აჩუკი“, ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობი“, მაჩაბლის თარგმანები, შესრულებული ახალ სალიტერატურო ენაზე, არ კმარა იმ დებულების საილუსტრაციოდ, რომ ჩვენი ენა განვითარების უმაღლეს საფეხურზე ასულა?

ხალხურ მეტყველებასთან ვაჟას დამოკიდებულების გასათვალისწინებლად ძალიან საინტერესოა ცნობები, რომლებსაც გვაწვდის ჩვენი პოეტი თავის სტატიაში — „Pro domo sua“.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ვაჟაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რაფიელ ერისთავის ლექსების ენას. „რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და იმიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგიო“ (ხაზი ჩემია — შ. ძ.), ამბობს პოეტი. მოწაფეობის დროს ბევრი ფშაურ-ხევსურული ლექსები ვიცოდი და „ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირაო“. მაგრამ, იქვე დასძენს ვაჟა, რომ მაშინ ვერ ბედავდა ამ კილოზე შეეთხზა ლექსები, ეს იმიტომ, რომ „მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული“, ის კი არა, „დღესაც ჰირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ უფრო საძნელო იქნებოდაო“. ვაჟასათვის სითამამე მიუცია იმ გარემოებას, რომ რაფიელ ერისთავს

გამოუყენებია თავის ლექსში ხალხური (კერძოდ, მთის კილოების) ფორმები. ამავე დროს, მისთვის იმასაც ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ ამგვარი ენით დაწერილი ლექსები რაფიელისა „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა. „მეც გაბედულება მომემატაო“, დაასკვნის ავტორი.

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველა, როგორც ზემოთაც ვთქვით, ქართულ ლიტერატურაში შოთა რუსთაველთან ერთად დავით გურამიშვილს მიიჩნევს ენის თვალსაზრისით სწორუპოვარ მწერლად („...ენის მაგალითად ჩვენთვის ორი მწერალი კმარა — შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი“. იხ. წერილი — „ენა“. გავიხსენოთ აგრეთვე: „შენ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო!... მიშველეთ შენ და შოთამა“. იხ. ლექსი „დავით გურამიშვილის ხსოვნას“).

არ არის შემთხვევითი, რომ ვაჟასათვის გურამიშვილის ენა მისაბაძია: გურამიშვილის ენობრივ ქსოვილში ხომ არამცირედი ადგილი უკავია მთის დიალექტების ელემენტებს?

ვაჟა-ფშაველას საენათმეცნიერო შეხედულებების დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინეთ მისი რამდენიმე ნაშრომი, სადაც უმთავრესად მოცემულია ქართული სიტყვების ეტიმოლოგიები.

წერილში — „გაზვიადებული საკითხავი (წერილი რედაქციას)“, რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა, ავტორი ცდილობს წარმოგვიდგინოს სიტყვის — **ლაშა** ეტიმოლოგია. ვაჟა არ ეთანხმება გიორგი წერეთელს, რომელიც ფიქრობდა, რომ ეგ სიტყვა წარმოდგება რუსული სიტყვისაგან — луч. არც იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ **ლაშა** აფხაზური წარნოშობისაა და ნათელს ნიშნავს. პოეტის დაკვირვებით, **ლაშა — ლაშარობა** დაკავშირებულია სიტყვასთან — **ლაშქარი**, რომელიც, თავის მხრივ, ასე იშლება: ლ ა შ ქ ა რ-ა: „ლაშ“ პირს ნიშნავს, ე. ი. „პირ-ქარიანი“. ეს ეტიმოლოგია არ არის მეცნიერული (**ლაშქარი** არ არის ქართული სიტყვა, სპარსულია!). „მცირე შენიშვნაში“ (1911 წ.) ავტორი არ იზიარებს აკად. ნ. მარის ნაშრომში — „Эше о слове «челеби» გამოთქმულ მოსაზრებებს და იძლევა **ჯალაფ** — სიტყვის თავისე-

ბურ ეტიმოლოგიას. არც ეს მოსაზრებაა მეცნიერულად გამართლებული. წერილში „ჩემი ნაწერები და კორექტურა“ (1915 წ.) ვაჟა არჩევს ტერმინებს — **ცხემლა, გარა.**

დიალექტიზმების ადგილი ვაჟას ენაში

რა ღირებულებით გამოიყენება ვაჟა-ფშაველას ენაში არალიტერატურული ფორმები, ე. ი. ფშაური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები? ამის გამორკვევა აუცილებელია ხალხურ მეტყველებასთან ვაჟას დამოკიდებულების სისრულით შესწავლისათვის.

საკითხის გულდასმით შესწავლას იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ დიალექტური მოვლენები ჩვენი მწერლის ენაში არ არის იმ მასშტაბითა და მოცულობით წარმოდგენილი, როგორც ეს ნაგულისხმევია ტრადიციულ შეხედულებაში. მოარული ფორმულირება — „ვაჟა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ დიალექტზე წერდაო“, რომელიც დიდი ხანია ტრიალებს ჩვენში, საფუძველს მოკლებულია და წარმოადგენს ამ ნახევარი საუკუნის წინათ გაჩოთქმული ზოგადი მოსაზრებების ინერციას. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი პასაჟები ვაჟას პოეტური მეტყველებიდან, რათა ერთი თვალის გადავლებითაც დავრწმუნდეთ, რამდენად დიდი შეზღუდვა ესაჭიროება ვაჟასეული ენობრივი ნატურალიზმის ზემოხსენებულ კვალიფიკაციას.

ვაჟას ლირიკული შედევრები ძირითადად დაწერილია წმინდა ლიტერატურული ენით, და საერთოდ მის ლექსებში ძალზე იშვიათად შეხვდებით ისეთ ფონეტიკურ-გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც დამახასიათებელია დიალექტისათვის და სალიტერატურო ნორმალიზაციიდან გადახვევას წარმოადგენდნენ.

ვაჟას ლექსებში პროვინციალიზმები აქა-იქაა გაბნეული და უსამართლობა იქნებოდა აქედან რაიმე განმაზოგადებელი დასკვნა გამოგვეტანა.

რა ადგილი უკავია ვაჟას ლირიკულ ქმნილებებში კილოურ ფორმებს?

ეს ფორმები გვხვდება სამნაირი კატეგორიის ლექსებში.

ესენია:

1. ლექსები, რომლებიც მიმართვითი ხასიათისაა; პოეტი მ ი მ ა რ თ ა ვ ს ვინმეს — ადრესატი ხალხის წარმომადგენელია, უმთავრესად მთიელი;

2. ლექსები, რომელთა ავტორები, პოეტის ჩანაფიქრით, მთიელებია;

3. ლექსები, რომლებშიც მოცემულია დიალოგები; აქაც ლექსის პერსონაჟები მთიელებია.

ასეთი ლექსებია, მაგალითად, „მაცნე“, (ცრემლ; ლაღის მდინარის), „მწყემსის ანდერძი“ (თქვენნიმც თვალნ: მენა; უთხროდით), „გლეხის სიმღერა“ (მენაც; მაქვის), „გოგი“ (ფშაველნ; თოფ; შავგვრემანაის; ლურჯაი: ღრუბელმ; ჩავიდის), „ჯეჯილი“ (დაგიმშვენებავ), „ბაკური“ (ამბავ; გაექე), „ისევ შენ, ისე, ქალაო“ (გამიცინია; დამიტირია; გამითხაროდი; მომაყაროდი), „გლეხის სიმღერა“ (გნახოდით; მენაცა; რო) და სხვა მისთანანი.

ვაჟას პოეტური შედევრი — „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ მიეკუთვნება ზემოხსენებული კატეგორიის ლექსებს, სადაც მოსალოდნელი იყო კუთხური ფორმების გამოყენება (ფშაველი სწერს წერილს თავის დედას). აქაც ავტორი დიდ ზომიერებას იცავს: სამი-ოთხი არალიტერატურული სიტყვაა მხოლოდ ნახმარი იმავე სტილისტური მიზნებით (აგიყოვდება, გვაქვ, საყოველთაორნედა...).

ცნობილ ლექსში „არწივი“ მხოლოდ სამი არალიტერატურული ფორმა გვხვდება და სამივე მოქცეულია ლექსის იმ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს მიმართვას:

„არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს აღგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.
—ვაჰ, დედას თქვენსა, ყ ო ვ ე ბ ო,
ცუდ დროს ჩ ა გ ი გ დ ა ვ თ ხელადა,
თ ო რ ო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!“

არ არის შემთხვევითი, რომ ლექსის პირველ ნაწილში ავტორი ხმარობს ლიტერატურულ სიტყვას — **ყვავი** (**ყვავ**-ყორნებს ეომებოდა"), ხოლო მეორეში — მის დიალექტურ ფონეტიკურ სახეცვალებას: **ყოვებო**.

მიმართვის ლექსებში რომ დიალექტიზმებს სტილისტური ფუნქცია აქვთ დაკისრებული, ეს სხვა მხრივაც კარგად ჩანს. საკმარისია ამგვარი ხასიათის ლექსებში მიმართვის ობიექტი იყოს არა მთის ხალხის წარმომადგენელი, რომ სხვაგვარი სურათი გადაგვეშალოს. მაგალითად, ილიას, ყაზბეგისა და გურამიშვილისადმი მიმართულ ლექსებში, როგორც წესი, პროვინციალიზმები სრულიად არ არის მოცემული.

როდესაც ვლაპარაკობთ ფშაური ფორმების გამოყენებაზე ჩვენი მწერლის გარკვეული ხასიათის ლექსებში, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ლექსები დიალექტზე კი არ არის დაწერილი, არამედ აქ კილოური ფორმების თითო-ოროლა ნიმუშია მხოლოდ წარმოდგენილი.

ვაჟას ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა კი აცდენილია დიალექტებიდან მომდინარე გრამატიკულ ფორმებს.

გავარკვიოთ პოემების ენის საკითხი.

ვაჟა-ფშაველა, პირველ ყოვლისა, პროვინციალიზმებს იყენებს დიალოგში, ე. ი. პერსონაჟთა მეტყველებაში, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ არც დიალოგის ენაა მთლიანად აგებული დიალექტის მასალაზე. გადავათვალიეროთ „ბახტრიონის" გმირთა — კვირიას, ლუხუმის, სანათას, ხოშარეულის, ლელას, სუმელჯის სიტყვაობრივი მასალა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ვაჟა არ ცდილობს მთლიანად დიალექტზე აამეტყველოს თავისი გმირები; აქა-იქ გაურევს ავტორი არალიტერატურულ გრამატიკულ ფორმებს მხატვრული ზემოქმედების მიზნით. ისეთივე სურათი გადაგვეშლება, თუ დავაკვირდებით „გველის მჭამელის" პერსონაჟების — ბერდიას, მინდიას, სანდუას, მზიას და სხვათა მეტყველებას. აქ დავიმოწმოთ მზიას სიტყვები:

„ი ს ი ო, იმას ამბობდა,
ე მ ა თ მზემ, არ ვსთქვა მრუდია, —
ხელი დაადო შვილებსა,
ორივ მის გვერდზე ჰ ყ უ დ ი ა, —

რომ თქვენგან ცოდვაში შ ა ე ე ლ
არსაქნელი ვქენ საქმეო:
შეშა ვჭერ, ნადირი ვხოცე,
როგორც ეარსკვლავნი ღამეო.
უფლისგან მომადლებული
დიდი ცოდნა და ძალია
დაეკარგე შენის აყოლით,
წელზე რადღა მ რ ტ ყ ა ვ ხმალია?
და სხვა ამგვარი ათასი
შ ა მ ი გ მ ი ს პირზე ცოფითა
და ორჯერ-სამჯერ გადურჩი,
კინალამ მ ა მ კ ლ ა თოფითა.
ალბათ ჯერ იმედი ჰქონდა,
ხატებს ეხვეწა, იშრომა...
თან ჩვენაც ვებრალებოდით
და არ დაგვხოცა მიტომა".

როგორც ვხედავთ, ეს ვრცელი ნაწყვეტი სრულიადაც არ არის აღსავსე დიალექტური გრამატიკული ფორმებით. იგი არ წარმოგვიდგენს ტიპობრივ ხალხურ მეტყველებას. იმისათვის, რომ მკითხველმა იცოდეს, დაახლოებით რა სახისაა ფშაური დიალექტი, ზემომოტანილ ტექსტს შევუპირისპირებთ ერთ ფშაურ ხალხურ ლექსს (ჩაწერილია ფშავში ამ სტრიქონების ავტორის მიერ):

„შატილს მ ო ი დ ა ჭ ო ჭ ო ბ ი, დიდგულად დ ა ე დ ა ჯარზედა,
მ ო ზ ა რ დ ნ ა შვიდნი წიწილნი არწივის ნაბუდარზედა.
შვიდთავ უყიდა თოფები ჰ მ ლ ე ბ გ ა დ ა ჲ ჰ კ ი დ ა ტანზედა,
საფშაოდ გ ა მ ა ი ს ტ უ მ რ ნ ა: შვილო, მშვიდობით გზაზედა,
მ ა თ უ რ ა ი ს ა ს ჩ ა ი ლ ი თ, მოკლედ გ ა ჲ ჰ კ დ ე ბ ი თ წყალზედა,
ბ ა ტ ა რ ა ს ნ ო ქ ვ ა ს ა ი ლ ი თ, შ ა ჲ ჰ კ დ ე ბ ი თ მ ე ე დ ა ნ ზ ე დ ა
ა ჯ ა დ ს გოდერძათ ციხე დგა, მითით, შ ა ც ვ ი ვ ე დ ი თ ბანზედა.
ა ჯ ა დ ს გოდერძათ ციხეო, ქ ვ ა მ ც ნ უ ზ დ ე ბ უ ლ ხ ა რ ქვაზედა,
ა ჯ ა დ ს გოდერძათ ციხეო, ჯაჭვი გადიცვი ტანზედა.
მოდიან ქრისტის შვილები, მ ო გ ი ნ დ ე ბ ი ა ნ კარზედა,
მ ა ნ დ ი თ ქ ა ლ გ ა მ ა ი ყ ვ ა ნ ეს, მ ა ა ტ ი რ ე ბ ე ნ გზაზედა,
შ ა მ ა ჲ ჰ კ დ ე ს დალაღებულნი მაგ საქარავნოს მთაზედა.
წინ თ ა დ ი ა უ რ შ ა მ ა ჲ ჰ კ დ ა, ს ა ნ ე ლ შ ა უ რ ი ლ ი მკლავზედა,
ე ქ ა ლ ა ს ა ი თ მ ო გ ყ ა ვ ი ს თ, ც რ ე მ ლ ს რ ო ი ო რ ე ბ ს თვალზედა,
ი ს ი ვ ა დ ი ს ი ვ ი ა ჰ კითხავს, ბაწარს იმაგრებს ჯ ღ ა ნ ზ ე დ ა,

ე ქალაჯადით მოგვყავის, შატილს უნდ დავსვათ ჯარზედა,
ვაჰ, რა ონავარ გიქნავისთ ლაშარის ჯვარის ყბაზედა.
თუ მე ეგ წაგაყვანინოთ, წვერიმც ნუ მსახვის ყბაზედა.
შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა ჯელი დაიკრეს ჭმალზედა,
შვიდ მურგვალ შამოუარა, შვიდთავ თავ გაშჭრა
წელზედა,
აჰყარა იარაღები, ქალს გადაჰკიდა მჯარზედა.
ჩემდა სხვა არა იფიქრო, ვიყნოდეთ და-ძმობაზედა,
შაბათსა ჰქონდეთ ქორწილი, კვირას დაჰსხდოდეთ
ჯარზედა;
ორშაბათს მენაც მოგივალთ, ორშაბათს დილიანზედა,
ლუდი ადუღე, ჯოჯობო, მოგივლენ პირობაზედა,
ისევ ვეღარ მოგივლენ, დარჩეს საფშაოს გზაზედა.
პირისგან შაწუხებული დაებჯინოდი ქვაზედა".

აი დაახლოებით ტიპობრივი ფშაური მეტყველება. განა ამდენი თავისებურების შემცველია ვაჟა-ფშაველას გმირთა ენა?

მაგრამ საქმე ისაა, რომ ვაჟას პოემებში დიალექტიზმები გვხვდება არა მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში, ისინი შეჰრილია ავტორისეულ ენაშიც. ამ მხრივ ყველგან ერთნაირი მდგომარეობა არ არის. კილოური ფორმების სიუხვით მეტადრე გამოირჩევიან პოემები: „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „გიგლია", „მონადირე", „ხის ბეჭი" და სხვ.

აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ვთქვით პერსონაჟთა მეტყველების თაობაზე; განა ავტორის ენა მთლიანად დაფუძნებულია დიალექტის მასალაზე? ვაჟა კილოურ ფორმებს მიმართავს აქა-იქ, — თუმცა ალაგ-ალაგ არის შემთხვევები დიალექტიზმთა მოჭარბებული გამოყენებისა, — ძირითადი ენობრივი ქსოვილი მაინც ლიტერატურული მეტყველების მასალითაა შედგენილი.

ვაჟა-ფშაველას პიესა „მოკვეთილში" დიალექტური გრამატიკული ფორმები შედარებით მეტი მასშტაბითაა წარმოდგენილი, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებში ხალხური მეტყველების სურნელება უმთავრესად იგრძნობა არა იმდენად გრამატიკის დარგში, რამდენადაც ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროში.

დასასრულ, გვინდა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას.

ვაჟას მოეპოვება ისეთი ლექსები, რომლებიც უშუალოდ აგე-

ბულია ხალხურ ლექსებზე, ხალხურ პოეტურ ქმნილებათა ლიტერატურულ ვარიანტებს წარმოადგენენ. ამგვარი ლექსების ხალხური და ვაჟასეული ვარიანტების ურთიერთშედარება გვარწმუნებს, რომ პოეტი არ იმეორებს დიალექტის გრამატიკულ ფორმებს, ლიტერატურულად მართავს ხალხურ ლექსს, თუმცა ამ ლექსების პოეტიკა ერთ საფუძველზეა აგებული.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას ლექსი „დევების ქორწილი“, რომელიც პირველად 1886 წელს გამოქვეყნდა „თეატრში“. მიხ. ჩიქოვანმა ამ ლექსს მოუძებნა ფშაურ-მთიულურ-ხევსურული ვარიანტები. თუმცა თვით ვაჟას „დევების ქორწილის“ პროტოტიპად მთიულური ვარიანტი მიაჩნია, მაგრამ, მიხ. ჩიქოვანის სწორი დასკვნით, ვაჟასეული ვარიანტი ფშაური ამირანიანის ერთ ნაწილში უნდა ვეძებოთ[1].

ჩემს თავს ნებას მივცემ, მკითხველს გავაცნო ქვემოთ „დევების ქორწილის“ ხალხური ვარიანტები, რათა ნათელი გახდეს, რა ენობრივი გადამუშავება განუცდია პოეტის ხელში დიალექტის საფუძველზე აგებულ პოეტურ ქმნილებას.

ფშაური ვარიანტი პირველად დ. ხიზანიშვილმა გამოაქვეყნა 1887 წელს „ივერიაში“, 1889 წელს დაიბეჭდა რაზიკაშვილისეული ჩანაწერი იმავე „ივერიაში“; მთიულური გამოქვეყნებულია „საუნჯის“ მესამე ტომში (1936 წ.). ხევსურული, მთიულური და ფშაური ვარიანტები შესულია მიხ. ჩიქოვანის მონოგრაფიაში: „მიჯაჭვული ამირანი“ (1947 წ.).

ფშაური:

ა იქ ნუ ჩახვალთ, ამირან,
გუშინ რო ქარი ხეიოდა...
ამირან არ დაიჯერა,
გზა სხვაგნის ჩაგვიდიოდა.
დევების კარზედ მივედით,
სიმღერა გამოდიოდა,
არ დაგვპატიჟეს, შაველით,
ამირანს პური შიოდა...
დევთ დედაბერი თხროსა ძახს,

---

1 მიხ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 98-99.

პისტავ-დოლაბი ხვიოდა.
დევთ დედაბერის ნაქნარი
ქადა ცეცხლშია შხიოდა,
წამააყენეს, შასჭამეს,
კაცის თავ-ფეხი დიოდა...
და სხვა.

ხევსურული:

წამავალ სანადიროდა,
ჯიკებს დაუწყებ ჭერასა,
ვაი-ვაგლახსა, მღერასა,
ახალ-ზალ მაუყვანავის,
აჭორწილებდეს ბერასა.
მიაც ოქ დამიპატიჟეს,
უყურეთ ბედისწერასა!...
და სხვა.

მთიულური:

—ა იქ ნუ ჩახვალ, ამირან,
გუშინ რო ხევნი ხვიოდნენ,
იქ ან დევთ ქონდენ ქორწილი
ან კლდეთ ლოდები სცვიოდენ.
მეორე დილა გათენდა,
ადრე იყო და ციოდენ;
ამირან მაინც წავიდა,
გზაც ისე ჩაუდიოდენ.
ამირან დევთა ეწვია,
დევნი ღრეობდენ, ჰკიოდენ.
ამირანს ქადა მიართვეს,
კაცის ძვალ-რბილი სცვიოდენ,
ზედაც ღვინო მიაყოლეს,
შიგ გველ-ბაყაყნი წიოდენ.
ამირანს თავბრუ დაესხა,
ჭერქვეშ რო იყო მტრისასა.
სახე იკუმშა, თვალებით
ელვას აფრქვევდა ცისასა.
დევთაც გაუგეს ამირანს,
ეძებდენ გზებსა ცდისასა,
ასტეხეს ყველამ ბაყბაყი,
ნგრევასა გავდა მთისასა.
— რა უნდა დევთა ბუნაგში

ნაშობს ადამის ძისასა?
წამოროხროხდენ ყველანი,
საჭალს ულობენ გზისასა.
ამირანი აბობოქრდა,
დიდ ტალღას გაჭდა ზღვისასა,
დეკთა უშენდა ტყვიასებრ,
ლოდთა ნაყარსა კლდისასა,
მუსრი გაავლო წყეულთა,
ძალს ლოცულობდა ღვთისასა.

ახლა გავიხსენოთ ვაჟას ლექსი:

ღამით ცა ჰქუდა, გრგვინავდა,
მთებს მოედრიკათ თავიო.
ტყეს გასდიოდა ფოთოლი,
ზღვა ბობოქარობს შავიო,
დევებსა აქვის ქორწილი,
დიდი დარბაზი ზრიალებს.
მეც დამჰატიჟეს, შევედი, —
რა მჭირს სუნი ტრიალებს?!
სად პირად ცეცხლი დაენთოთ,
ზედ სამი ქვაბი შხიოდა,
სტუმრების წინა ხონჩებზედ
კაცის თავ-ფეხი დიოდა.
უკვენას ყურეშითა
კვნესის ხმა გამოდიოდა.
„ძმის ხორცი როგორა ესჭამოთ?“ —
ყმა ვინმე გამოჰკოდა,
უსმელ-უჭმელად გავსძეხი,
ყელშიაც ამომდიოდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსში დაცულია ხალხური ვარიანტების პოეტიკა. შეიმჩნევა ფრაზეოლოგიური დამთხვევებიც. მაგალითად, ვაჟა ამბობს:

უსმელ-უჭმელად გავსძეხი,
ყელშიაც ამომდიოდა.

თ. რაზიკაშვილის ჩანაწერში კი ნათქვამია:

უსმელ-უჭმელი დავძეხით,
ყელშიაც ამოგვდიოდა.

მაგრამ ჩვენთვის აქ ისაა საინტერესო, რომ პოეტმა თავის ლექსში არ შეინარჩუნა ფშაურ-ხევსურული გრამატიკული ფორმები, მხოლოდ რამდენიმე დიალექტური ფორმა გამოიყენა: „აქვის“, „უკვენა“, „ყურეშიითა“.

დამახასიათებელი მაგალითია!

ვაჟას დიალექტიზმების ანალიზი

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში დადასტურებული ფშაური დიალექტური მოვლენები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ერთი მხრით მოექცევა ისეთი გრამატიკული მოვლენები, რომლებიც ძველი ქართული ენისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ისინი დროთა ვითარებაში დაივიწყა ენამ და ამჟამად დიალექტის კუთვნილებად ქცეულან. მეორე მხრით დაჯგუფდება ისეთი მოვლენები, რომლებიც ამა თუ იმ დიალექტის სინამდვილეშია აღმოცენებული და რომელთაც შესაძლოა პარალელები მოეძებნებოდეთ მოძმე კილოურ ერთეულებში.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სალიტერატურო ენა ისტორიული კატეგორიაა, და ეს იმას ნიშნავს, რომ მისი განვითარების რომელიმე საფეხურებზე მოქმედი გრამატიკული ნორმა განვითარების შემდგომ საფეხურზე შეიძლება აღარ წარმოადგენდეს ლიტერატურულ ნორმას, დიალექტური სამყაროსათვის ნიშანდობლივ ნორმად გვევლინებოდეს.

ძველ სალიტერატურო ძეგლებში გვხვდება ზმნის საგანგებო ფორმა, რომელიც მოქმედების განმეორებას, მრავალგზისობას გამოხატავს. მაგ., ძველი ქართული **წერდის** დღევანდელი ენით ნიშნავს: „წერდა ხოლმე“, მრავლობითში: **წერდიან** —„წერდნენ ხოლმე“. წინადადებაში: **„ჩამოვიდის** ფრინველი ყოველთა დღეთა, სუის წყალი და მასვე ციხესა **შევიდის**“. შემდეგდროინდელმა სალიტერატურო ენამ ეს სპეციალური ფორმა ზმნისა დაკარგა, მის გამოსახატავად დღევანდელ ენაში საჭირო ხდება „ხოლმე“-ს დამატება (ამიტომ ეწოდება გრამატიკაში სათანადო ფორმას „ხოლმეობითი)“. ხოლმეობითის ფორმა სამწერლო ენაში გადაშენდა უთუოდ იმიტომ, რომ სწორედ სალიტერატურო ენის საორიენტა-

ციო კილოებში (resp. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებში) გადაშენდა ამგვარი ზმნური წარმოება, მაგრამ შერჩა, გადმონაშთის სახით, ზოგიერთ დიალექტს (ამჟამად იხმარება ფშაურში, ხევსურულში, თუშურში, მთიულურში, მოხეურში, ქიზიყურსა და ფერეიდნულში). ამრიგად, ერთ დროს კანონიერი ლიტერატურული ნორმა დღეს არალიტერატურულ ფორმად გამოიყურება, ამიტომ გასაგებია, რომ რაფიელ ერისთავის **„გადაბრუნდის** ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა“ (ე. ი. გადაბრუნდებოდა ხოლმე) ახალი სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უკვე დიალექტიზმია; არ შეიძლებოდა იგი ჩაგვეთვალა დიალექტიზმად, ვთქვათ, მე-10 საუკუნის სამწერლო ქართულში, — დიალექტიზმია მე-19 საუკუნის (და დღევანდელი) სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისით. ასეთია სამწერლო ენის განვითარების ლოგიკა.

ვაჟას ნაწერებში ზემოხსენებულ ფორმას თავისი ფართო გამოხატულება უპოვია, რაკი იგი მკვიდრად დაუცავს ფშაურ კილოს. ერთია ოღონდ: ფშაურს ზმნის პირველ და მეორე პირში ოდ სუფიქსი დაურთავს (მე გავლეწოდი, შენ გაჰლეწოდი, მან გალეწის).

მაგალითები ვაჟას ენიდან:

1. როცა მუგუზლით ვდაღვდით
   ან ლაფში ჩავაწვინოდით,
   მაშინ ძლივ ვათქმევინოდით
   სიტყვა საამო პირითა...;
2. ჩვენც დავიწყოდით ღრეობა,
   მწკრივად დავსხდოდით ყველანი;
3. სთვლობით გულგაცოფებულმა
   ირემმა დაიღრიალის,
   ან მოსქდის ზოვი მთიდამა,
   დაიძრის, დაიხრიალის;
4. შორით ისმოდა ძახილი,
   საყვირებს აყვირებდიან.

მთის კილოებში ხოლმეობითის ფორმის საფუძველზე გამომუშავებულია საგანგებო ფორმა — თხოვნითი კილო, რომელიც გამოხატავს თხოვნას. ამ თავისებურებას იცავს ვაჟაც:

მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი
გულ-მკერდზე დაიწეროდი

ბარო, წარბნი და წამწაისი
იმ სიტყვით დაიკეროდი!

ძველ ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **ით** აღნიშნავდა მოძრაობას იქიდან აქეთ: **ქალაქით** — ქალაქიდან, **ტფილისით** — ტფილისიდან. ბრუნვის ეს ფორმა შემოუნახავს მთის კილოებს, მათ შორის ფშაურს. აქედან შესულა ვაჟას ნაწერებშიც: „მე კვირია ვარ, მიტირე **თუშეთით** მოსული მზირია“. ამის პარალელურად მთის კილოებს განუვითარებიათ ასეთი ფორმაც: **ით** ერთვის არა უშუალოდ სახელის ფუძეს, არამედ **ზე** და **ში** თანდებულიან ფორმებს: **ბანზეით** უდრის: ბანზე იყოს და იქიდან, **ცხვარშიით** უდრის: ცხვარში იყოს და იქიდან. ვაჟას ნაწერებში გვხვდება: **მთაშიით, საფლავშიით, ყურეშიით: „ომშიით** გამოქცეულსა მეხი დაეცეს მედგარი“; „აფშინას **ხურჯინშიითა** ტიკჭორა მააქვს ჩქარადა“; „**ცხენზეით** არ ჩამომხდარა“ და სხვა.

არქაულია ვაჟას ენაში, აგრეთვე, ხმოვანზე გათავებული სახელების გაფორმება სახელობით ბრუნვაში **ი** ნიშნით: **აფშინაი, ლურჯაი** და სხვა. ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებები ხმოვანფუძიან სახელებთან სრულადაა დაცული: „ჩვენი კვალი ხარ დღეს შენა, **ლურჯაის** დანაბიჯებო“; „**ატირდა პაპაის** ცოლი“.

როგორც ცნობილია, ძველ სალიტერატურო ენაში კითხვის გამოსახატავად ხმარებოდა **ა** ნაწილაკი, რომელიც საკითხავ სიტყვას დაერთვოდა: „უწყი-ა, ხუცეს?“ (ე. ი. იცი, ხუცესო?), „იაკობ მანდ არს-ა?“, „არა მისი გაზრდილი ხარ-ა?“ ეს ნაწილაკი ქართულში საერთოდ გადაშენდა, კითხვითობის გამოხატვა ინტონაციას დაეკისრა. მთის კილოებში ეს ძველი თავისებურებაც შემონახულია. მაგალითი ვაჟას ნაწერებიდან: „მაშ არა **თქვაა** შანშემა, ჩამეეშველოს ლაშქარსა?“

ვაჟას ენაში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმება ბრუნვაში, რაც ენის განვითარების ძველი საფეხურებისათვის იყო დამახასიათებელი:

1. მაღლისა მთისა ძირშია
   საფლავი გამითხაროდი;
2. მწვანის ქათიბით კოხტაობს
   მთების კალთები ტყიანი.

ამრიგად, როგორც გამოირკვა, ვაჟა-ფშაველას ენაში გვხვდება მთელი რიგი არქაული გრამატიკული ფორმები, ნიშანდობლივი ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის. ეს არქაიზმები ვაჟას აღებული აქვს არა უშუალოდ ძველი წერილობითი ძეგლებიდან, არამედ თავისი დედაკილოდან — ფშაურიდან, რამდენადაც ეს კილო დღეს ქართული არქაული მეტყველების ტიპიურ ნიმუშად წარმოგვიდგება.

არქაიზმების გვერდით ვაჟას ენაში ვადასტურებთ ისეთ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც შემუშავებულია დიალექტის სინამდვილეში, ისინი წარმოშობით დიალექტური მოვლენებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად სხვა კილოებსაც დაუცავთ, უმთავრესად ე. წ. მთის კილოებს.

გავეცნოთ უმთავრეს პროვინციალიზმებს ვაჟას ენაში.

ფონეტიკიდან ყურადღებას იპყრობს **ვა** კომპლექსის ქცევა **ო**-დ; „ახლად **ყოოდენ** იანი“, **ყოილი** (ყვავილი), **ყოვები**, აყოვდებიან და სხვა, **ოვი** გვაძლევს **ოი**-ს: **მოიდეს**, **ქსოილი** და სხვა. ეა კომპლექსი — **ია**-ს:

1. ბულულავ, შენცა მ ნ ა ხ ი ა,
   მიჩვენე შენი ს ა ხ ი ა:
2. ღმერთო, შენ შ ე მ ი წ ყ ა ლ ი ა.

აგრეთვე: **დამიტირია, იდღეგრძელია, გამახარია** და სხვა.

ბრუნების სისტემიდან აღსანიშნავია თანხმოვანფუძიანი სახელების ფუძის სახით წარმოდგენა:

1. გ ა ზ ა ფ ხ უ ლ იყო მაშინა;
2. ც რ ე მ ლ რ ო ჩამოგდის მჩქეფარე;
3. გიგის თ ო ფ დაჰკრეს ქისტებმა;
4. თათრის ჯ ა რ დაულევია.

მოთხრობითი ბრუნვის **მა** დაბოლოება ხშირად წარმოდგენილია გამარტივებულად:

1. ნ ი ს ლ ე ბ მ დ ა წ ი რ ე ს ხევები;
2. ღ მ ე რ თ მ გიდღეგრძელოს.

წოდებით ბრუნვაში საკუთარ სახელებს, როგორც წესი, ერთვის ნიშანი **(ვ)**:

1. ობოლ ქ ვ ი რ ი ა ვ, ძმობილო;
2. რა ჰქენ, ბ ა ლ ი ა ვ, სად იყავ?

ასევე, ქალა წოდებითში გვეველინება ვ-დართულად: **ქალავ,** ანდა: **ქალაო.** აქვე შევნიშნავ, რომ პ. მირიანაშვილთან პოლემიკის დროს ვაჟა ამბობდა: „ბ-ნს მირიანაშვილს, არ ვიცი, სად შეჰხვდა ჩემს ნაწერებში წოდებითი ბრუნვა: ქ ა ლ ა უ; ამ ფორმას ხმარობენ მოხევენი და არა ფშაველნი, ფშაური ფორმა იქნება: ქ ა ლ ა ო, როცა ალერსით იხსენიებს და ქალო, ან ქ ა ლ ა ვ“ („მცირე შენიშვნა“).

ძალიან უყვარს ვაჟას ფშაური თანდებული **ჩი,** **ში**-ს ნაცვლად;

1. დედამ გამზარდა მენაცა,
   ნ ე ხ ე ჩ ი არა ვარ მოსული;
2. მოდი, გაკოცო, გოგოთურ,
   სიკეთისათვის შ უ ბ ლ ჩ ი ა.

აღსანიშნავია, რომ ეს თანდებული, გარდა მთის კილოებისა, გვხვდება გურულსა და იმერულში.

ჩვეულებრივია **დამ** თანდებულიც, დამახასიათებელი საერთოდ აღმოსავლური კილოებისათვის: „ახლა **ახუნიდამ** გამოჩნდა ერთი ორბი“: „გაუშვებს **კლანჭებიდამ**“. **დამ** მე-19 საუკუნის სალიტერატურო ენაშიც შეიჭრა. გავიხსენოთ: **„ვლადიკავკაზიდამ** ტფილისამდე“, „თარგმანი **ინგლისურიდამ**“ და მისთანანი.

ფშაურში ჩვეულებრივია კნინობითობის სუფიქსი **ა,** რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ჩვენი მწერლის ფსევდონიმშიც: „ვაჟა-ა ფშაველ-ა“. სხვა მაგალითები: „**პურა** შეჭამე ბატარა“, **ტიალა** და სხვ.

ნათესაობითისა და ვითარებითი ბრუნვების ფორმანტთა კომბინაცია (ისად) იხმარებს **თვის** თანდებულის ნაცვლად: **„ქრისტისად** საკლავის დაკვლა“; **მასპინძლისად, გულისად, ბატარძლისად** და სხვ.

თურმეობით პირველს ნაცვლად **ი-ა** სუფიქსისა აწარმოებს **ავ, ავის:**

1. მითამა დაღლილისათვის
   გ ი ს მ ე ე ა ვ ჩემთვის წყალიო;

2. დაგიმშვენებავ მინდორი,
3. გაგინათლებავ ქვეყანა.

დასასრულ, ორთოგრაფიის შესახებ.

ფშაურ კილოში შემონახულია ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ორი ბგერა, გამოხატული ამ ნიშნებით: ჲ, ჴ. ეს ბგერები დაივიწყეს ბარის კილოებმა, რომლებზედაც აგებულია სალიტერატურო ენა. მიუხედავად ამისა, სამწერლო ენაში დიდხანს იხმარებოდა ზემოხსენებული ასოები; არ გამოითქმოდა და მაინც იწერებოდა. როგორც ცნობილია, ამ ასოებისაგან განთავისუფლდა წიგნის ენა მას შემდეგ, რაც ქართული ორთოგრაფიის დიდმა რეფორმატორმა ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა მათი ხმარების უსაფუძვლობა.

ვაჟა-ფშაველა არ იყენებს თავის ნაწერებში ჲ, ჴ ასოებს, იმ სიტყვებში, სადაც ფშაური კილოს მიხედვით ჴ უნდა იყოს, მისი ფონეტიკური ეკვივალენტი ხ არის გამოყენებული, ხოლო ჲ-ს ადგილას ზმნაში პირის ნიშნებად ჰ ან ს გვევლინება. „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქციებისადმი მიწერილ წერილში ვაჟა ამბობდა: „გთხოვთ უმორჩილესად ბგერა „ჰ“ (უნდა იყოს: ასო — შ. ძ.) დაიცავით ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობო“[1].

უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჩვენი მწერალი ზუსტად გადმოგვცემს ფშაურ გრამატიკულ ფორმებს და სიტყვა-გამოთქმებს: ერთადერთი ისაა, რომ ჲ-ს და ჴ-ს არ ხმარობს[2].

შეიძლება დავასკვნათ:

არ არის სწორი საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა მთლიანად დაფუძნებულია დიალექტურ მასალაზე, რომ მისი ლექსები და პოემები ფშაურ კილოზეა დაწერილი. ვაჟა-ფშაველას ვერ მივიჩნევთ ენობრივი

---

[1] ამჟამად მოგვეპოვება საფუძვლიანი გამოკვლევა ივ. იმნაიშვილისა „ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა“ (1968), სადაც გამოკვლეულია პოეტის მიმართება ძველ ქართულ ენასთან.

[2] შდრ. ივ. გიგინეიშვილი, ახალი სალიტერატურო ენა და ვაჟა-ფშაველა (გაზ. „სახალხო განათლება“, № 14 (1126), 15 (1127); 1951).

ნატურალიზმის ტიპიურ წარმომადგენლად ქართულ მწერლობაში. საკითხი ვაჟას მიმართებისა ფშაურ დიალექტთან გარკვეული შეზღუდვით უნდა განვიხილოთ. თავის არსებით ნაწილში ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება სალიტერატურო ენას ეყრდნობა. პროვინციალიზმების მოჭარბებული გამოყენება ცალკეულ შემთხვევაში განზოგადებული დასკვნის გამოტანის უფლებას არ იძლევა. დიალექტიზმებს ვაჟას ნაწერებში სტილისტიკური ფუნქცია აქვთ დაკისრებული. ვაჟა-ფშაველამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საერთოეროვნული ენის ფორმირებაში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებასა და დანერგვაში.

ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკის საკითხები

ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, როგორ მუშაობდა ტექსტზე ჩვენი ბელეტრისტი, ან რა სახის ტექსტი გამოვიდა უშუალოდ მისი ხელიდან, რამდენადაც ავტოგრაფები არ შენახულა. ენობრივი დამთავრებულობა და სუფთა სტილი, დამახასიათებელი ილიას და აკაკის ენისათვის, ან ვაჟას პროზისათვის, არა გვხვდება ყაზბეგთან, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ძლიერი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ნაკადი, რომლის სათავეები ხალხურ მეტყველებაშია და რომელიც თავისებურ ადგილს განუკუთვნებს ყაზბეგს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. ეს სისადავე და უბრალოება არ არის შემუშავებული ხალხური მეტყველების მასალის გადამუშავებისა და სტილისტური დახვეწის ნიადაგზე; ეს თვით ყაზბეგის ბუნებრივი სასაუბრო მეტყველებაა, რომლის ფესვები მის დედაკილოში (მოხეურ დიალექტში) ძევს და რომელსაც არ განუცდია დიდი გაშალაშინება გრამატიკული ნორმალიზაციის მიხედვით.

ჩვენი მწერლისათვის დამახასიათებელი თქმის ლაპიდარული მანერა და რამდენადმე ნერვული სტილი სავსებით შეესაბამება იმ შინაგან დინამიზმსა და ექსპრესიას, რომლებითაც გამოირჩევა მისი მხატვრული პროზა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყაზბეგი მთლიანად თავისუფალი იყოს მწიგნობრული შაბლონისაგან იქ, სადაც შეიძლებოდა მწერალი ასცდენოდა მსჯელობითი და ხელოვნური ენის ტრაფარეტს. ამ გარემოებას თავი უჩენია წინადადებათა კონსტრუქციებში, სადაც ყველაზე რელიეფურად შეიძლებოდა გამოჩენილიყო ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობა და ძნელად მისაღწევი უბრალოება. დიდი ექსპრესია და თხრობის დაუსრუ-

ლებელი, უწყვეტი დინება ყაზბეგთან ბადებს რთული წინადადების (არაიშვიათად გრძელი პერიოდების) აუცილებლობას. ცნობილია, რომ ჰიპოტაქსური შეხამებანი ნაკლებად ახასიათებს როგორც სასაუბრო მეტყველებას, ისე პოეტურ ენას; პოეზიისათვის შესაფერისია პარატაქსური კონსტრუქციები; რთული წინადადების ფორმა უფრო შეეფერება ცნებებით აზროვნებას, და ესაა უმთავრესად ნიშანდობლივი სამეცნიერო ენისათვის.

ალ. ყაზბეგი გაურბის მიმღეობითს კონსტრუქციებს, ძალიან უყვარს რელატიური წინადადებები, ე. ი. ისეთი კონსტრუქცია, რომელშიც ხშირად მონაწილეობს „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი, და უნდა ითქვას, ამგვარ წინადადებათა ჭარბი გამოყენებით ავტორი ზოგჯერ არღვევს სინტაქსის სავალდებულო წესებს.

რადგანაც მწერლის ავტოგრაფები არ შემონახულა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზი ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი ტექსტებისა შემდეგდროინდელ გამოცემებთან („ქართველთა ამხანაგობისა“ და სხვათა). გარდა ამისა, საბედნიეროდ, შენახულა „მამის მკვლელის“ ხელნაწერი, ავტორისავე ხელით გადმოწერილი ტექსტი „დროებიდან“ გარკვეული შესწორებებით (ავტორს განუზრახავს მისი ხელახალი გამოცემა). ამ შესადარებელი ერთეულების ანალიზი ჩვენ დაგვეხმარება იმის გასარკვევად, თუ რა ენობრივ-სტილისტური ცვლილებები განიცადა ყაზბეგისეულმა ტექსტმა და ნაწილობრივ წარმოდგენა ვიქონიოთ (ზოგიერთი ადგილის მიმართ) იმ პირვანდელ რედაქციაზე, რომელიც უშუალოდ ყაზბეგის ხელიდანაა გამოსული.

ამგვარი ტექსტოლოგიური ძიებები მომავლის საქმეა, მაგრამ ამჟამადაც შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ რედაქტორებს მრავალი ადგილი მწიგნობრული ენის შაბლონის მიხედვით გაუმართავთ და პირვანდელი ტექსტისათვის რამდენადმე ხალხური სურნელება წაურთმევიათ, ავტორისეული მეტყველების ბუნებრიობაც ალაგ-ალაგ შეუბღალავთ.

არის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ტექსტში ბუნდოვანია, ანდა რომელიმე სიტყვა ტრადიციულ ტექსტში მეორდება

გამოცემიდან გამოცემაში, მაგრამ არ არის ნათელი, რა მნიშვნელობით იხმარება ესა თუ ის სიტყვა. რედაქტორები ამ საკითხზე, როგორც ეტყობა, არ დაფიქრებულან. ამგვარი უყურადღებობის საილუსტრაციოდ აქ დავასახელებთ ორიოდე ნიმუშს.

„მამის მკვლელის“ ტრადიციულ ტექსტში გვხვდება სიტყვა **მოიზაფრებოდა**. „რა იქნებოდა, სადღაც მოიზაფრებოდა?“ კითხულობს კობა, როდესაც ნუნუ აღარა ჩანს. ცხადია, აქ კონტექსტით იგულისხმება დაკარგვა, დამალვა, გაუჩინარება. ყაზბეგისავე სხვა მოთხრობებში ჩვენ გვხვდება **მოხაფვრა, დახაფვრა** სწორედ დაკარგვის მნიშვნელობით. ამის მიხედვით, „მამის მკვლელში“ უნდა ვივარაუდოთ **მოიხაფრებოდა** (ე. ი. დაიკარგებოდა). არ არის ძნელი იმის ახსნა, თუ როგორ მივიღეთ ეს აღრევა: ეს მოხდა ხელნაწერში **ხ-ზ** ასოთა მსგავსების ნიადაგზე და სიტყვის მნიშვნელობის თავისებური გააზრიანებით.

ადრე ჩვენ ვფიქრობდით („ძიებანი ქართ. დიალექტოლოგიიდან“), რომ ანალოგიური აღრევაა მეორე სიტყვის მიმართაც. ესაა **ხორტი — ზორტი**. „ნამწყემსარის მოგონებანში“ ვკითხულობთ: „ცხვარი გაიძაბა ვიწრო ხვეულს ხეობაზედ და დაემსგავსა მოძრავს გრძელს ხორტს“.

რას ნიშნავს ხორტი?

არც ძველ ქართულში, არც თანამედროვე სალიტერატურო ენაში, არც ხალხურ მეტყველებაში, მათ შორის მოხეურ დიალექტში, ეგ სიტყვა არ არსებობს, შესაძლოა აქაც **ხ-ზ** ასოთა მონაცვლეობის საფუძველზე **ზორტ** სიტყვა იყო თავდაპირველად, და სემანტიკურად **ზორტი** ამ კონტექსტში სრულიად გასაგებია-მეთქი. შევნიშნავდი, რომ **ზორტი** საშუალო ქართულის ლიტერატურულ ძეგლებში არაიშვიათად იხმარება, იგი დადასტურებულია, აგრეთვე, ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში (საბა ორბელიანი, ჩუბინაშვილი).

თვით ყაზბეგსაც ნახმარი აქვს არა ერთხელ სიტყვა **ზორტი**. მაგალ., ერთგან ვკითხულობთ: „ჩემი მტერი ჩავარდეს მაგათ პირში, **ზორტსავით** გადმოაბრუნებენ“.

ხ-ზ-ს აღრევის სხვა მაგალითიც შეიძლება დავიმოწმოთ ყაზბეგის ტექსტიდან.

ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“(№ 1, 1957) გამოქვეყნდა ა. ჭინჭარაულის წერილი „ა. ყაზბეგის ლექსიკონის შესახებ“, რომელიც შეიცავს ჩემ მიერ შედგენილ „ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკონის“ (იხ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, II, III, IV, 1947—1948 წ. წ., ალ. ყაზბეგის თხზულებათა ორტომეული, 1955 წ.) გარჩევას. ავტორი, სხვა საყურადღებო შენიშვნებთან ერთად, იძლევა **ხორტ**-ის ახსნას.

ხორტი გვაგონებს ქართულ დიალექტებში არსებულ **ხორდ**-სიტყვასო, ამბობს ა. ჭინჭარაული. საბა წერს: „ხორდი — იგივეა ხორგი“. „**ხორგი** — წყალთ ყინული დიდი მონატეხი“. სიტყვა **ენთელ**-თან ნათქვამია: „წყალთა თოში სამრიგი არს: მდინარის ფსკერით ამოსული არს **ენთელი**; რომელი ზე მოაქუს, არს თ ო შ ი, და რომელი ზედ შეუყინავს, ანუ ნ ა ლ ე წ ი მ ო ა ქ უ ს (ხაზი, ჩვენია — **შ. ძ.**), არს ხ ო რ გ ი, გინა ხ ო რ დ ი“. ა. ჭინჭარაულის ცნობით, საბას განმარტებას მხარს უჭერს ხევსურული დიალექტი. „ხევსურულად ეს შემდეგს ნიშნავს: თოვლის ზვავი დაკეტავს ხოლმე რომელიმე ხეობას და შეაჩერებს მდინარეს. გარკვეული დროის შემდეგ მდინარე გაარღვევს ზვავს, მირეგვ-მორეგვავს მდინარის ქვედა წელზე არსებულ ყინულს და ამ თოვლ-ყინულის ტვირთით ნელა გაიზლაზნება ხეობაში. აი, ამას ეძახიან ხევსურები **ხორდს** ანუ **ხურდს** (პირაქეთ ხევსურეთში — **ხორგს**). სიტყვა „ხორდი“ ამ მნიშვნელობით იბმარება ქართლის ზემო რაიონებშიც, მაგალითად, სოფ. ანანურში და სხვაგან. ეს სიტყვა არც სხვა ქართული დიალექტებისათვის უნდა იყოს უცხო. ჩვენი ყურადღება, — განაგრძობს ავტორი, — მიიქცია თვით შ. ძიძიგურის მიერ „რაჭულ ლექსიკაში“ დადასტურებულმა სიტყვა „ხორჯმა“, რომელიც ავტორს ვერ განუმარტავს და მხოლოდ კონტექსტით წარმოუდგენია: „ერთ ადგილზე შვაზე რიყე აქ წყალს, იცურვა და ხ ო რ ჯ ზ ე შეცურდა“. ხომ არ არის სიტყვა „ხორჯი“ იგივე „ხორდი“ იმავე ან სხვა მნიშვნელობით ნახმარი?... როგორც ჩანს, ხ ო რ ტ ი იგივეა, რაც ხ ო რ დ ი: მჟღერი **რ**-ს მეზობლობად მჟღერი **დ** გამკვეთრდა (პროგრესული დისიმილაცია) და **ხორდ**-სიტყვამ მოგვცა **ხორტი**. კონტექსტიც ასეთ გაგებას უფრო იგუებს“ (გვ. 67—68).

ა. ჭინჭარაულის მოსაზრება მე უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია.

ზემოხსენებული „მოიზაფრებოდა“-ს გასწორებას ამაგრებს ხ-ზ-ს აღრევის სხვა მაგალითიც ყაზბეგისეული ტექსტიდან.

ყველა გამოცემაში, სადაც კი დღემდის დაბეჭდილია „ნამწყემსარის მოგონებანი“ (მოყოლებული პირველი გამოცემიდან — ჩვენს დრომდის), ერთ ადგილას ვკითხულობთ: „შარშან **ზდეზედ** ავედით“. რა არის **ზდე**, რედაქტორები ამაზე არ დაფიქრებულან. აქ უნდა იკითხებოდეს **ხდეზედ. ხდე** (ადგილობრივი წარმოთქმით **ჴდე**) კი მთის სახელია დარიალთან. თერგის მარჯვენა მხარეს, ყუროს მთის გადაღმა. კონტექსტითაც სწორედ **ხდე** არის სავარაუდებელი.

აქვე აღვნიშნავთ შემდეგ გაუგებრობას, რომელიც მეორდებოდა გამოცემიდან გამოცემაში.

„ელგუჯაში“ ერთ ადგილას ნაჩალნიკი ეუბნება მთიელებს: ვინა ხართ თქვენ? მთიელები უპასუხებენ: „ჩვენ **ბედუანთ-კახელები** გახლავართ, შენი კვნესა-მე“. ასეა დაბეჭდილი როგორც პირველ ნაბეჭდში („დროება“, 1881 წ.), ისე 1891 წლისა და მომდევნო გამოცემებშიც. აქაც აშკარა კორექტურული შეცდომაა დაკანონებული. უნდა იყოს „ბედუაანთ-კარელები“ („და არა **კახელები**). **ბედუაანთ-კარი** სოფელია მთიულეთში (დუშეთის რაიონში).

„ხევისბერ-გოჩაში“ ვკითხულობთ „რას სჩადი, **გუგრიანო**, თუ არ გაიყინე?“ ყაზბეგთან სხვაგან ჩვეულებრივია სიტყვა **ბუგრიანი**. აშკარაა, აქაც ბუგრიანი უნდა გვქონოდა. ტრადიციულ ტექსტში დაკანონებულია კორექტურული შეცდომა.

საინტერესოა ამ სიტყვის (**ბუგრიანი**) ბედი. მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც მუწუკებიანს, ჭაჩალს, უხეიროს, ამჟამად მოხეურში ეგ სიტყვა ასე არ ესმით: იგი მკბენარიანს, ტილიანს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ეს მნიშვნელობა დადასტურებული აქვს ა. შანიძეს როგორც ხევში, ისე მთიულეთსა და ფშავში (ბეს. გაბუურის ხევსურული მასალების ლექსიკონი, სიტყვასთან: ბუგრა). სხვა კილოებიდან აქ დავასახელებთ ქიზიყურს, სადაც სტ. მენთეშაშვილის გადმოცემით, **ბუგრა** ჰკბენარს ნიშნავს.

რა მდგომარეობაა ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში?

საბა ორბელიანს **ბუგრი** ესმის, როგორც მსხმო მუწუკი. დ. ჩუბინაშვილი ამავე გაგებას უპერს მხარს, ოღონდ **ბუგრიანი** სნეულება განმარტებული აქვს როგორც **вшивая болезнь**. როგორც ვხედავთ, ეს გაგება უახლოვდება დიალექტებში დაცულ მნიშვნელობას. ვახუშტი ბატონიშვილს თავის გეოგრაფიაში სიტყვა **ბუგრი** ორჯერ აქვს ნახმარი და ორჯერვე „მუწუკ"-სიტყვასთან შეხამებით: „მუწუკი და ბუგრი", „ბუგრი-მუწუკი". თუ ვახუშტის ბუგრი მუწუკად ესმოდა, მაშინ ტექსტში ნახმარი წყვილები უნდა გავიგოთ, როგორც სინონიმური პარალელიზმი[1].

ჩვენი მასალების შესწავლამ გამოავლინა აგრეთვე **მამაისი, იაგოისი** ტიპის მორფოლოგიური წარმოების ფუნქცია და წარმოშობა წარმოებისა, რომელიც ლექსიკურ ოდენობად ქცეულა. ესაა ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოება, რომელიც ერთვის საკუთარ სახელებს (საზოგადო სახელთაგან ისეთებს, რომლებიც საკუთარი სახელის როლში გამოდიან: დედა, პაპა, მამა...) და სასიყვარულო-მოფერებითი მნიშვნელობა აქვს: იაგოისი, მათიაისი, მარინეისი, სვიმონისი, დედაისი, მამაისი, პაპაისი, ნათლიაისი და ა. შ.

საიდან უნდა მომდინარეობდეს ეს ფორმა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო: მამაისი ჰირაიმე||მზემა|| კვნესამე, მარინეის ჰირაიმე||მზემა, და ა. შ. შემდეგ მომდევნო სიტყვები ლექსიკური გაცვეთის ნიადაგზე დაიკარგა. ამჟამად **ისი** დაბოლოება ფუნქციურად ეტოლება კნინობით-მოფერებით სუფიქსებს: მამაისი — მამიკო, სვიმონისი — სვიმონიკა, მარინეისი — მარიკა და სხვ.

---

[1] საბა ორბელიანს დამოწმებული აქვს ოსეს 7_6, რომელშიც ნათქვამია: „განირთხა ჴელი მისი ბუგრიანთა თანა". ბერძნულ დაბადებაში ბუგრის შესატყვისია ბ λοιμός ჰო ლოიმოს; ძვ. ლათინურად უდრის lues-ს, ე. ი. გადამდებ სნეულებას, შავ ჭირს. ვახუშტისთან შავი ჭირი არ იგულისხმება. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ფიქრობს, რომ ვახუშტი ბუგრად ტანზე გამონაყარს უნდა გულისხმობდეს, ალბათ მუწუკებზე უფრო ძნელად მოსარჩენსო (შდრ. მისი „ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში", 1935).

საინტერესოა **სპარს-ანგელოზ-**სიტყვის წარმოქმნა. ხევში ცნობილია წვერის მთაზე, სოფ. სნოსთან სალოცავი, რომელსაც „წვერის სპარს-ანგელოზს“ უწოდებენ. აქედან წარმოდგება: **სპარს-ანგელოზის მადლმა, წვერის სპარს-ანგელოზის მზემ, თავის წყალობა გაგატანოსთ წვერის სპარს-ანგელოზმა,** და მისთანანი.

ყაზბეგის ლექსიკაზე მუშაობის დროს ჩვენ დაგვებადა მოსაზრება: ხომ არ არის აქ **სპას-ანგელოზი?** როდესაც ადგილობრივ ვამოწმებდით მასალას, ჩვენთვის უფრო სარწმუნო გახდა წინანდელი დაეჭვება. მართლაც, ეს სალოცავი, ადგილობრივთა დასტურით, მხედრობის, ლაშქრობის ღვთაებაა. ამრიგად, ამ სიტყვის შედგენილობაში ჩვენ უნდა გვქონდეს სპა-სიტყვა, რომელიც ცნობილია, როგორც მხედრობის, ლაშქრობის გამომხატველი. შესაძლოა წარმომდგარია ასე: **სპაის-ანგელოზი,** ანდა იქნებ მრავლობითი რიცხვის ფორმაა, საფუძვლად მიღებულია: **სპათ-ანგელოზი.** ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ლაპარაკობს ყაზბეგთან პარალელურად დაცული ფორმა: **სპარსთ-ანგელოზი,** უნდა ვიფიქროთ, რომ, როცა სპა-სიტყვამ მნიშვნელობა დაკარგა, გააზრიანების, ე.წ. ხალხური ეტიმოლოგიის კანონის ძალით, სპა-ში გაჩნდა **რ: სპარს-ანგელოზი,** ცნობილი **სპარს** სიტყვის ანალოგიით.

ყაზბეგის ლექსიკაზე დაკვირვების დროს გარკვეული დაბრკოლება წარმოიშვა აგრეთვე **ოზდნობა** სიტყვასთან დაკავშირებით.

„ციციაში“ ვკითხულობთ: „ძველი, დაგლეჯილი სახელოებმოხეული ჩოხა აშკარად ამტკიცებდა, რომ ეს ან ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო, ან „ოზდანი“, ე. ი. ისეთი კაცი, რომელსაც ჩვეულება ჰქონდა მაშინდელის ჩვეულებით ტანისამოსის კოხტაობას ზიზღით უყურებდა. კარგი ცხენი და კარგად მოწყობილი იარაღი, ეს იყო მათი იდეალი და ამ მხრით მართლაც წუნს ვერ დასდებდით. ამგვარი „ოზდნები“ ისევ ის ძველი რაინდნი იყვნენ, გაცვივდებოდნენ აბრაგად და მოუსვენარი გული სად არ დაახეტებდა ყოველგვარის ფათერაკის საძებნელად“.

ოზდანი მასობრივად ხევში დღეს აღარ. იციან. რამდენიმე მოხუცმა ამიხსნა მისი დაახლოებითი მნიშვნელობა, ნათელი განმარტებისაგან, რომელსაც ჩემი ინფორმატორები მაძლევდნენ: **ოზ-**

დანი ეწოდება დარდიმანდ, ბოჰემური ხასიათის კაცს, რომელიც კარგი მხედარია.

მე ვფიქრობ, ეგ სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს **უზდენ** სიტყვას: უზდენებად იწოდებოდნენ უმაღლესი წოდების წარმომადგენლები (უფრო ზუსტად: ერთი შტო მაღალი წოდების ინსტიტუტისა) ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებიც ცნობილნი იყვნენ როგორც დარდიმანდები, განსაკუთრებით — კარგი ცხენოსნები. ქართულში ამ სიტყვას ოდნავი ფონეტიკური ცვლილება განუცდია და გადატანითი (განზოგადებული) მნიშვნელობა მიუღია.

ყაზბეგის ტექსტის ენობრივი ცვლილებებისა და რედაქტორთა მუშაობის დასახასიათებლად მშვენიერი ნიმუშია **მზაღო** სიტყვის ისტორია;

„ელგუჯას“ ყაზბეგისდროინდელ გამოცემებში **მზაღვე** გვხვდება და არა **მზაღო**, ოღონდ ერთ ვარიანტში ავტორი შენიშვნაში ამბობს, რომ **მზაღო** ჩერქეზულად მთვარის შუქს ნიშნავსო. 1884 წელს გამოსაცემად დამზადებულ წიგნში ავტორს ამ შენიშვნაშიც მზაღვე უწერია. მიუხედავად ამისა, შემდეგდროინდელ გამოცემებში თვით მოთხრობაშიც **მზაღო** გაუბატონებიათ.

საკითხავია, იხმარება თუ არა **ჩერქეზულ** ენაში მზაღო?

ირკვევა, რომ ეს სიტყვა შედგენილია ამგვარად: **მაზა** (ნიშნავს მთვარეს) და **ღუე** (ნიშნავს ნათელს, ბრწყინვალებას)[1], აქედან მივიღეთ **მზაღვე**.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ჩერქეზული სიტყვა ქართული ენის სინამდვილეში გადმოკეთდა **მზაღოდ** ფონეტიკური ცვლილების გზით. მაგრამ, საქმე ისაა, არც ხევშია ცნობილი ეს სახელი.

ალ. ყაზბეგის ნაწერებში წარმოდგენილი მოხეური დიალექტის მონაცემები საყურადღებოა მეცნიერებისათვის იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს რეტროსპექტული შედარების გზით თვალი გავადევნოთ იმ ენობრივ ცვლილებას, რომელიც მომხდარა მოხეურ მეტყველებაში ყაზბეგის დროიდან მოყო-

---

[1] ცნობა მოგვაწოდა პროფ. ე. რ ო ზ ე ნ ე ი მ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ლებული დღევანდლამდის. ამ ევოლუციის გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხების რკვევისათვის. დაახლოებით ასი წლის წინათ მკვიდრდებოდა მომავალი მწერლის სამეტყველო ცნობიერებაში ხალხური მეტყველების შესანიშნავი ფორმები, შემდეგ გამოყენებული და ფიქსირებული მის მიერვე თავის მოთხრობებში, და ამ მდიდარ მასალას ჩვენთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ყაზბეგმა გაამდიდრა ჩვენი ენა მრავალი სიტყვით, რომელთაც დიალექტური წარმოშობა აქვთ, და ზოგი მათგანი შევა ქართული ენის სალექსიკონო საგანძურში, როგორც ძვირფასი მასალა, შემუშავებული ჩვენი ხალხის მიერ სიტყვათშემოქმედების მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზაზე.

ყაზბეგის ენაში მდიდრადაა წარმოდგენილი შორისდებულები, და ეს არ არის შემთხვევითი: ყაზბეგის ტემპერამენტს და თხრობის ექსპრესიას სავსებით შეეფერება შორისდებულთა სემანტიკური თავისებურება. შორისდებული ხომ ადამიანის რთულ ემოციებსა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას გადმოგვცემს: მათ ხმის საკუთარი მოდულაცია და ინტონაცია ახასიათებთ. ამით აიხსნება, რომ აფექტური ელფერი, ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს გაცილებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე მეტყველების სხვა ნაწილებს. ხშირად ყაზბეგთან შორისდებულები წარმოადგენენ სიტყვათა და წინადადებათა ეკვივალენტებს[1].

ყაზბეგის ლექსიკონში შესული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც არალიტერატურულია, უმთავრესად მთის კილოებს განეკუთვნება. ზოგი მათგანი სხვა კილოებშიც გვხვდება, ზოგიც არ-ქაულია, მაგრამ რაკი ისინი მოხევეთა დიალოგშია დადასტურებული, მათ გათვალისწინებას მნიშვნელობა აქვს მოხეური კილოს ლექსიკური შედგენილობის შესასწავლად.

მწერალი მზრუნველობით ეკიდება ყოველ სიტყვას თუ გა-

[1] ზოგიერთი მოხეური შორისდებულის ანალიზი მოცემულია სერ. ჟ ღ ე ნ ტ ი ს ნაშრომში: შორისდებული ახალ ლიტერატურო ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", 1, 1946.

მოთქმას, რომელიც კი მას აღებული აქვს მოხეური დიალექტიდან. ამას კარგად ადასტურებს განმარტებები, რომლებიც ყაზბეგს მოუცია ზოგიერთი სიტყვის მიმართ. კონტექსტის მოშველიებით თუ თანამედროვე მოხეურ მეტყველებაზე დაკვირვებით ხერხდება ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა მნიშვნელობის დადგენა[1].

---

[1] ალ. ყაზბეგის ლექსიკის ვრცლად გასაცნობად მკითხველს შეუძლია მიმართოს ჩვენ მიერ შედგენილ ლექსიკონს: „ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკონი"; ალ. ყაზბეგი, თხზულებანი (სრული კრებული, I, II, III, IV, 1947, 1948 წ., „საბჭოთა მწერალი", რედაქტორი — სიმონ ჩიქოვანი). ეგეევე ლექსიკონი გადამუშავებულ-შესწორებული სახით დაიბეჭდა 1955 წელს (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი ორ ტომად. გამოც. „საბჭოთა მწერალი"). ჩვენი მწერლის ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები საფუძვლიანად განხილულია ივ. ქავთარაძის ნაშრომში: „მოხეური კილო ყაზბეგის ენაში" (უნივერსიტეტის შრომები, XXXV—B, 1949).

ქართული ენის თავდასაცავი

„ქართული ენით უკეთაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით უალიბში ვერ ჩამოასხას.

...ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა.“

აკადემიკოსი

ნ ი კ ო მ არ ი

ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ქართული ენა ქართველი ერის ისტორიული განვითარების უველაზე დიადი მონაპოვარია.

ქართველები ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ქართული ენა თავისი ფესვებით ახლო აღმოსავლეთის ძველი ცივილიზაციების ენათა ჯგუფის ერთ-ერთი წევრია.

ქართული ენის კონტაქტები თუ გენეზისური ურთიერთობები არქაული ცივილიზაციის შემქმნელი ხალხების ენებთან მჭევრმეტყველურად ღაღადებს ძველი სამყაროს ეთნოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებაში ჩვენი შორეული წინაპრების მონაწილეობას. უმთავრესად ენის მონაცემების საფუძველზე ვლინდება ქართველების ოდინდელი მიმართებანი წინ აზიისა და შუამდინარეთის ხალხებთან, რომელთაც დაარწიეს საკაცობრიო კულტურის პირველი აკვანი. დღეს გადაშენებულმა შუმერებმა, ხეთებმა, ჰურიტებმა, ურარტელებმა, ელამელებმა შექმნეს დიდი ცივილიზაცია. და საგულისხმოა ქართული ენის უტყუარი შეხვედრები ამ ძველ ენებთან, დადასტურებული მეცნიერულ ძიებათა შედეგად.

ქართულ ენაში აღბეჭდილია ჩვენი ხალხის ისტორიული განვითარების გზა.

ენა ცოცხალი მუზეუმია. მასში დაცული „ენობრივი ექსპონატები" მანიშნებელია ხალხის ცხოვრების რეალიებისა, საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებებისა.

ხალხის მდიდარი წარსული, მისი კულტურის ინტენსიური განვითარება თავდებია ენის მძლავრი განვითარებისა და აღორძინებისა.

ამიტომაა ქართული ენა ჩვენი ხალხის დიდი საგანძური.

გადაშენდა მრავლის უმრავლესი ენა ძველი სამყაროსი, ან სულ დაკნინდა და გაღარიბდა. წინა აზიის ისტორიული ცხოვრების „ძველი მოწმე" — ქართული ენა — დღეს მსოფლიოს ცივილიზებულ ენათა რიგში დგას და განვითარების უმაგალითო აღმავლობას განიცდის.

ქართულმა ენამ განვითარების გრძელი და მეტად შინაარსიანი გზა განვლო. თხუთმეტსაუკუნოვანმა სალიტერატურო ენამ გააღრმავა თავისი შინაგანი შესაძლებლობა და მკაცრად ჩამოაყალიბა თავისი სტრუქტურა, გააფართოვა თავისი ლექსიკის ჩარჩოები. ცნობილი ქართველოლოგი ნიკო მარი ამბობდა: „ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს განყენებული აზროვნების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ისე ევროპული კულტურის საზოგადოების მთელი პროდუქცია. მას საკმაოდ მდიდარი საშუალებები მოეპოვება გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ნაციონალიზაციისათვის. ამასთანავე, იგი უდიდესი შრომით მოპოვებული ინტერნაციონალიზმის ჩანასახსაც შეიცავს. ქართული ადვილად უნათესავდება ან უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნებისა და მეტყველების მიღწევებს". ქართული ენა არის „მ ს ო ფ ლ ი ო შ ი ე რ თ-ე რ თ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი და ც ო ც ხ ა ლ ი ს ა მ წ ე რ ლ ო ბ ო ე ნ ა".

ქართულ ენას წარსულში დიდი დევნა და შევიწროება განუცდია. მას გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები, რომლებიც მომძლავრებული იყვნენ ჩვენს ქვეყანაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. დევნა და შევიწროება განიცადა ქართულმა ენამ ცარიზმის დუხჭირი რეჟიმის დროსაც. 1906 წ. ნიკო მარი პეტერბურგში გამოსულ წიგნში „საქართველოს ისტორია (კულტურულ-ისტორიული მონახაზი)" წერდა: „ქართული ენის სისტემატურმა დევნამ... შეაფერხა მეცნიერების ნორმალური განვითარება ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ა დ ფ რ ი ა დ ს ა-

ინტერესო და მდიდარ ქართულ ენაზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიისათვის, არა მარტო ენათა წარმოშობის საკითხისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ან წინა აზიის უძველესი ისტორიისათვის... მაგრამ ამ შეფერხებათა მიუხედავად, ქართულ აზროვნებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა სხვადასხვა გონებრივი მიმართულების სკოლაში, არ დაუკარგავს კულტურისუნარიანობა, ის სერიოზული კულტურისუნარიანობა, რომელიც ერთ დაკვირვებულ ევროპელს, მისივე სიტყვებით, თვითნაბად ნიჭად ეჩვენებოდა. სისტემატურმა დევნამ სრულიადაც ვერ წაართვა ქართულ ენას ძველთაგანვე შემუშავებული, მისთვის დამახასიათებელი უნარი — ყოფილიყო მრავალტომობრივი ქართველი ხალხის ღრმა წიაღში ახალ იდეათა და მოძღვრებათა წერილობითი თუ ზეპირად დამკვიდრების მძლავრი იარაღი. და უკანასკნელი ორი ათეული საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი დუღდა და მწიფდებოდა ქართველი ხალხის ფართო ფენებში"; „ნანგრევები და ნაშთები ამ მხარის საოცარი სულიერი კეთილდღეობის ეპოქის თვალსაჩინო მოწმენი არიან. ყოველივე ეს და აგრეთვე მრავალი სხვა, რაც ცხადი ხდება ქართული ლიტერატურის დღემდე შემორჩენილი იშვიათი წერილობითი ძეგლებიდან, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძალა შესწევდა პატარა ქართველი ხალხის გენიას, როდესაც იგი დროდადრო მაინც ახერხებდა თავისი კულტურული ძალების მშვიდობიანსა და თავისუფალ განვითარებას".

ქართველმა ხალხმა ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ისტორიული ქარტეხილის გზებზე და მოიტანა დღემდე, როგორც უპირველესი ნიშანი ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფობისა.

ქართული ენა დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა.

მრავალტანჯული და მრავალჭირგამოვლილი ქართველი ხალხი, დღეს ფენიქსებრ განახლებული, თავის ენას განვითარებისა

და აღორძინების არნახულ პირობებს უქმნის. ქართული ენა აღმაველობის დიდ გზაზე დგას.

ქართული ენა მიეკუთვნება „ქართველურ ენათა ჯგუფს“, როგელიც ცნობილია აგრეთვე „სამხრულკავკასიურ ენათა ჯგუფად“. ამ ჯგუფის წევრებია: საკუთრივ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური. მეგრულ-ჭანური ერთმანეთის მიმართ დიალექტებია, მათ საერთო სახელწოდებად მეცნიერებაში დამკვიდრებულია „ზანური“ ანდა „კოლხური“.

ქართული ენა ქართველი ტომების საერთო ენაა. იგი აერთიანებს ქართველი ხალხის უმთავრეს ტომებს: ქართებს, მეგრელ-ჭანებსა და სვანებს.

ქართველი ერი ამ სამი უმთავრესი ტომის ერთობლიობაა.

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ცნება „ქართული ენისა“ შეიცავს როგორც საკუთრივ ქართულს, ისე ზანურს (კოლხურს) და სვანურს, თუმცა ლინგვისტურად „ქართული“, „ზანური“ („კოლხური“) და „სვანური“ „ენებადაა“ მიჩნეული, ამ ცნების შეზღუდული გაგებით (ისინი საერთოქართული ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ, რაზედაც დაწვრილებით ამ წიგნის სხვა ნაწილში იქნება საუბარი). ქართული ენა მთელი ქართველობის გამაერთიანებელია.

საკუთრივ ქართული ენის დიალექტებია: ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული (დიალექტთა აღმოსავლური ჯგუფი); რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული (დიალექტთა დასავლური ჯგუფი); აჭარული, მესხური (დიალექტთა სამხრული ჯგუფი). საქართველოს სსრ გარეთ არის ქართული დიალექტები: ინგილოური (აზერბაიჯანის სსრ-ში), იმერხეული (თურქეთში), ფერეიდნული (ირანში).

ქართული სალიტერატურო ენა რეალურად დადასტურებული ენობრივი ძეგლების მიხედვით არსებობს V საუკუნიდან (ჩვ. წელთაღრიცხვით).

ქართველი ტომების დაახლოება და კომპაქტურობა ძველი საუკუნეების მონაპოვარია. საშუალო საუკუნეებში ამ დაახლოებას და გაერთიანებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ქართველი ტომე-

ბის გაერთიანებამ ერთ სახელმწიფოში და ქართული ენის მიღებამ საერთოეროვნულ სამწერლობო ენად.

ქართული ენა ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა.

ქართულმა სალიტერატურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის კომპაქტურობის შენარჩუნებაში, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი იყო შემკრავი და შემადუღებელი მთელი ქართველობისა ისტორიული განვითარების პროცესში.

ქართული სამწერლობო ენა იყო ყველაზე მძლავრი, ელვარე, მჭრელი და დაუმარცხებელი ხმალი, რომელიც საფუძველს უყრიდა წარსულ საუკუნეებში ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

„საქართველო უძველეს დროშიც ლინგვისტურად დაყოფილი იყო... სხვადასხვა მონათესავე ენად, კილოდ და თქმად, — ამბობს იგივე მარი. — იგი ჩვეულებრივ დაყოფილი იყო სხვადასხვა სამეფოდაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო მთლიანი იყო, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. ქრისტიანობის შემოღებიდან მას აერთიანებდა, სხვათა შორის, საეკლესიო და სალიტერატურო ენა. შემდგომ, ჯერ კიდევ ძველ დროში, შემუშავდა აგრეთვე საერო, სიტყვაკაზმული ლიტერატურა და მან კიდევ უფრო მძლავრად შეაკავშირა ქართველი ტომები. საერთო სალიტერატურო ენის საფუძველზე წარმოიქმნა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა. ამ სალიტერატურო ენას „ქართული“ ეწოდება. ასეთი სახელწოდება სწორია მხოლოდ მისი დიალექტური საფუძვლის ლინგვისტური დახასიათების თვალსაზრისით; სწორია იგი, აგრეთვე, იმ ისტორიული თვალსაზრისითაც, რომ ამ საქმის წამოწყება ითავა ტომმა, რომელიც ეთნოგრაფიულად და დიალექტურად ქართველებადაა მიჩნეული, მაგრამ ეს იყო V საუკუნეში ქრისტეს დაბადებიდან. მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებიდან კი ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში ქართლელ-ქართველების გარდა, მონაწილეობას იღებენ სხვა ქართველი ტომებიც (გურულები, მეგრელები, სვანები, ლაზები და ა. შ.), რომელთაც საერთოქართულ ლიტერატურაში,

საერთო ჯამში, უფრო დიდი წვლილი შეაქვთ, ვიდრე თვით ქართლელ-ქართველებს. ამგვარად, ლიტერატურა ტომობრივად ნაციონალური ხდება, ხოლო სალიტერატურო ენა — დიალექტურ-ქართულიდან, კუთხურიდან საერთოქართულად... ამ რეალური კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვეა სვანური და მეგრული, რამდენადაც ქართული, ან, რაც იგივეა, რამდენადაც გურული და იმერული. ესაა მშობლიური სამწერლობო ენა ყველა ქართველი ტომისა, რომელ კილოსა თუ კილოკავზე, და ენაზეც, არ უნდა ლაპარაკობდნენ ისინი შინ, საკუთარ კერიასთან. ასეა არა გუშინდელი დღიდან, არამედ უკვე ათზე მეტი საუკუნის განმავლობაში".

ნ. მარი განაგრძობს: „პოლიტიკურ სარბიელზე, ისევე როგორც სალიტერატუროზე, რიგრიგობით დაწინაურდებოდა ხოლმე სხვადასხვა ქართველი ტომი: იბერები, მესხები, ქართველები (ქართლელები ანუ „ქართები") ან წყვილ-წყვილად იბერები და კოლხები, ქართლელები და იმერლები და ა. შ. მაგრამ ყოველთვის, რა ცხოვრებისეული ნაკადებიც უნდა წარმოქმნილიყო, ისინი ერთი და იმავე ქართული ნაციონალური მიმდინარეობის საერთო კალაპოტში მიედინებოდნენ". „ქართლელები და კახელები, ლაზები და მეგრელები, სვანები, მესხები, იმერლები და სხვა ტომები, ზოგი გადაშენებული, ზოგი მოგვიანებით სხვა სახელით ცნობილი, მაგალითად, გურულები, — თანაბრად გამოდიოდნენ რიგრიგობით ქართული კულტურის მოწინავე მუშაკებად... იმ ტომობრივი გარემოს ცვალებადობას, რომელშიც ქართული კულტურა ვითარდებოდა, მასში სიცოცხლე და მრავალფეროვნება შეჰქონდა, სალიტერატურო ენის გამდიდრებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ".

ქართველი ტომები უხსოვარი დროიდანვე მთლიან მასად ესახლნენ საერთო მიწა-წყალზე და მათ ადრევე დაიწყეს თავისი ეროვნულ-კულტურული ბირთვის — ქართლის გარშემო შეკავშირება. ამ ნიადაგზე მათ ადრევე გაუჩნდათ ერთობის შეგნება, რომელიც მომდევნო ხანაში უფრო ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. ეს ერთობა დაფუძნებული იყო ენობრივ ერთიანობაზედაც.

VI—VII საუკუნეთა განათლებულ ქართველთა აზროვნებაში ცნება „ქართლი“ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა. IX—X საუკუნეებში შორეულ სინას მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ქრისტეანეთა და უფროის ყოველთასა — ყოველთა ქართველთათვის“ (864 წლის ხელნაწერის მინაწერი) და საქართველოს „მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისათვის“ ევედრებოდნენ ღმერთს. ერთობის ასეთი შეგნება ემყარებოდა არა პოლიტიკურ საფუძველს, — მაშინ ხომ საქართველო კიდევ უფრო დაქუცმაცებული იყო, ვიდრე VI—VII საუკუნეებში, — არამედ ტომობრივსა და საეკლესიო-კულტურულ ნათესაობასა და კავშირებს.

951 წელს ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე წერდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ეს უაღრესად საყურადღებო სიტყვებია, რამდენადაც ქართლი, ე. ი. ფრიადი ქუეყანა, — მთლიანი საქართველო, — დახასიათებულია ენის ნიშნის კვალობაზე; ერის ცნების დეფინიციისათვის ამოსავალი დებულებაა ენობრივი კონსოლიდაციის აღიარება. მეათე საუკუნის მწერლის ეს ფორმულირება უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მკაფიო ანარეკლია.

ენობრივი ერთობის თვალსაზრისი წითელი ზოლივითაა გატარებული მომდევნო საუკუნეებში შექმნილ პოლიტიკურ დოკუმენტებში. ასე, მაგალითად, საქართველოს მეფე-მთავართა 1790 წლის ტრაქტატში ვკითხულობთ: „ვინაიდან სრულიად ივერიელებს, ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშის (სამეგრელოს), გურიის და სხვათა მკვიდრთ“ აქვთ „ერთმორწმუნეობა“ და არიან „ერთისა ენისა მქონებელნი, აქვთ ურთიერთსიყვარული, ამიტომ ვდებთ პირობას...“ და სხვ.

მე-18 საუკუნის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის წიგნში, სადაც ლაპარაკია ქართველი (ფეოდალური) ერის კულტურულ ერთიანობაზე, ნათქვამია: „თუ ჰკითხავთ ვინმე ქართლელს, იმერელს, მესხს, ჰერ-კახელს — „რა სჯული ხარ?“ მოგიგებს: „ქართველი“. მეორე მხრივ, მათ

აქვთ დამწერლობა და ენა ერთი და იგივე, შექმნილი პირველი მეფის ფარნაოზის მიერ და თუ ჰკითხავთ ზემოხსენებულებს — „რა ენა და დამწერლობა იცი?“ — მოგიგებს მყის „ქართული“, და არ იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა ან მესხთა ან ჰერ-კახთასა, არამედ — ქართულსა“; მეგრელნი „ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქვთ თავისიცა ენა... და აქვთ წიგნი ქართულივე და არა სხვა“.

ქართული ფეოდალური ერის ენობრივი ერთობა მტკიცდებოდა ახალი სალიტერატურო ენის განვითარების საფუძველზე.

ქართული ენის მნიშვნელობა მეცნიერებისათვის კიდევ უფრო ნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას.

ძველ საუკუნეებში ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა არსებობდა. მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი ითარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე. ბევრი მათგანის დედანი დაკარგულია. მეცნიერებას დღეს საშუალება აქვს აღადგინოს ქართული თარგმანების მიხედვით ბერძნული ლიტერატურული შედევრები, გაუჩინარებული საუკუნეთა მანძილზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქართული თარგმანები სხვა მხრივაც იწვევს ბიზანტინისტების ცხოველ ინტერესს: ქართულ ენას შემოუნახავს ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქცია, აგრეთვე უაღრესად საყურადღებო ტექსტოლოგიური თვალსაზრისით.

1902 წელს ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა იერუსალიმსა და სინას მთაზე მოაწყეს ექსპედიცია იქ დაცული უძველესი ქართული ხელნაწერების გასაცნობად. 1903 წელს ნ. მარმა რუსულ ენაზე დაბეჭდა ამ მოგზაურობის მოკლე ანგარიში. როდესაც ეს ანგარიში გაიცნო ძველი ქრისტიანული მწერლობის დიდმა ავტორიტეტმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ჰარნაკმა, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში აღნიშნა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და ვაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯეო?“

ბერძნულ ლიტერატურაში დაკარგული, მაგრამ ქართულ ენაზე შემონახული ბევრი ძეგლი ფილოლოგიურად შეისწავლეს და გამოსცეს, როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა (ქართული ტექსტები თარგმნეს ლათინურად, რუსულად...).

აი, რას ამბობს აკად. კ. კეკელიძე ერთ-ერთი წერილობითი ძეგლის აღმოჩენასთან დაკავშირებით: „ჯერ კიდევ 1901 წელს აკად. ნ. მარმა აღმოაჩინა ქართულ თარგმანში იპოლიტე რომაელის (III საუკ.) რამდენიმე, და დღეს უკვე დაკარგული, ეგზეგეტიკური შრომა, რომელთაგან ერთი — „თარგმანებაჲ ქებათაჲსაჲ“ — გახდა საგანი მისი სადოქტორო დისერტაციისა. ამ თხზულების გამოცემამ ყუმბარასავით იფეთქა სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო მოულოდნელი აღმოჩენა, ნამდვილი სიურპრიზი, რომელიც იპოლიტეს შრომების დღესდღეობით ცნობილ რიცხვს ხუთი ნაწარმოებით ადიდებდა“ (ეტიუდები, III, 1955, გვ. 3).

თვითონ კ. კეკელიძემაც აღმოაჩინა და ფართო მეცნიერული აპარატით გამოსცა არა ერთი და ორი ასეთი პირველხარისხოვანი ძეგლი ბერძნული მწერლობისა, მაგალითად, მიტროფანეს თხზულება; იგი ეკუთვნის IX საუკუნის ბიზანტიელ მწერალს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში. არავითარი კვალი ამ თხზულებისა ბერძნულ ენაზე არ შენახულა, არც ის იყო ცნობილი, რომ მიტროფანეს ასეთი თხზულება დაუწერია. მისი ქართული თარგმანი შესრულებულია პეტრიწის სალიტერატურო სკოლაში XI—XII საუკუნეებში. ეს ნაწარმოები, გამოცემული კეკელიძის მიერ, ავსებს IX ს. ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს.

ამრიგად: ქართულმა ენამ შემოგვინახა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა შეიძლება მხოლოდ ქართული თარგმანებით; ქართულ ენაზე შემონახული ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორის შესახებ ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას; ქართულ ენაზე დაცულია ცნობები ბიზანტიური მწერლობის სრულიად უცნობი მწერ-

ლების შესახებ; ბიზანტიური ლიტერატურის ზოგი ნაწარმოები ქართულ ენაზე მოღწეულია ისეთი ვარიანტებით, რომლებიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებებს.

მაგრამ ამ საუნჯეთა შესწავლისას ირკვევა, რომ მათში არის არა მხოლოდ თარგმანები, არამედ უძვირფასესი ორიგინალური ნაწარმოებებიც. ამასთანავე, ქართველი ხალხის კულტურული სახე ვერ მოთავსდება ხალხთა ბერძნულ-ქრისტიანული ოჯახით შემოსაზღვრულ ჩარჩოებში. ქართულმა მწერლობამ სპარსული და არაბული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლებიც შემოგვინახა.

ქართული ენის მნიშვნელობა ამ სფეროშიც დიდ ინტერესს აღვიძებს.

ქართველ ხალხს ყოველთვის კარგად ესმოდა თავისი დედაენის მნიშვნელობა და მისი როლი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების საქმეში. მან კარგად იცოდა, რომ ქართული ენა, რომელშიც აღბეჭდილია ხალხის განვითარების ყველა ეტაპი უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ყოველთვის იყო ცივილიზაციის ძლიერი იარაღი ძირითადი ფაქტორი ერის სულიერი განვითარებისა, მისი შემოქმედებისა, ეროვნული თვითშეგნებისა.

ქართველმა ხალხმა თავისი ენის მიმართ ცნობიერი დამოკიდებულება სამარადისოდ აღბეჭდა, როცა მშობლიურ ენას „დედაენა“ უწოდა. მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თავისთავად საგულისხმოა; ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტაფორული აზროვნების მშვენიერი მაგალითია და უტყუარად ადასტურებს ქართული ენის მნიშვნელობის ღრმა შეცნობას. კიდევ მეტიც: ქართველმა ხალხმა გააფართოვა სიტყვის „ქართული“ მნიშვნელობა და იგი საერთოდ სიტყვის, ენის სინონიმად დასახა. რუსთაველის პოემაში ვკითხულობთ:

„რა ვეღარ მიჰხვდეს ქ ა რ ო უ ლ ს ა, დაუწყოს ლეკსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქ ა რ თ უ ლ ი, არა ქმნას სიტყვამცირობა“.

(სტროფი 14)

ასეთი იდენტიფიკაცია გვხვდება ჩვეულებრივ სიტყვახმარებაშიც. იმავე პოემაში გვხვდება „ტკბილ-ქართული“: „ყმა ტკბილი და ტკბილქართული“ (ე. ი. ყმა ტკბილი და ტკბილად მოუბარი).

ამრიგად, ენაში „ქართული“ ზოგად ტერმინად დამკვიდრებულა.

„დედაენა“ — „ქართული“ (ზოგადი გაგებით) — „ტკბილქართული“, ასე შეუფასებია ხალხს თავისი ღვიძლი ენა.

ქართულ ენას, როგორც უდიდეს ეროვნულ საგანძურს, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ძველი ქართველი მწერლები. ეს პოეტური ხოტბა ეროვნული მრწამსის ანარეკლია და საუკუნეობით შემუშავებული ხალხური თვალსაზრისის ლიტერატურული გამოხატულება.

პირველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც მდიდარი პოეტური საღებავებით გამოთქმულია ქართული ენის ქება, ეკუთვნის ქართველ მწერალს ზოსიმეს.

თხზულებას ეწოდება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და დაწერილია X საუკუნეში.

პატრიოტული სულისკვეთებით დაწერილ ამ პოეტურ ქმნილებაში საოცარი ლაპიდარობითა და სისხარტით ჩამოყალიბებულია ფორმულები, ამსახველი ქართული ენის მნიშვნელობისა.

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“ — ეს ფრაზა ქართული ენის მდიდარი შინაგანი თვისებების აღიარებაა. მართალია, „ეს ენა, შემკული და კურთხეული, მძინარე არს დღემდე“, მაგრამ იგი ღირსია დავაყენოთ, განაგრძობს ავტორი, ბერძნული ენის გვერდით; ქართული ენა ისეთივე თანასწორია („მეგობარია“) ბერძნული ენისა, როგორც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგანაც პირველმა უქადაგა სახარება ქართველებს, მეორემ კი — ბერძნებს; ქართულ-ბერძნული ენები დებია, ვითარცა მართა და მარიამი. ეს კიდევ ცოტაა. მწერალი აცხადებს, რომ ქართული ენა „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“.

რელიგიურ ასპექტში წარმოსახული ეს ხოტბა უთუოდ საყურადღებოა, როგორც დოკუმენტი, ამსახველი იმდროინდელი საზოგადოებრივი განწყობილებისა. „ქება და დიდება ქართული ენისა“ ლეგენდარულია, მაგრამ მის გარეგნულ ფორმას რომ თავი დავანებოთ და ყურადღება გავამახვილოთ იმ მიზანსწრაფვაზე, რაც გამოსჭვივის ტექსტში, და ჩავწვდეთ შინაარსს, ნათლად დავინახავთ, რომ იმდროინდელ ქართველებს მკვეთრად შე-

უმუშავებიათ ეროვნული თვითშეგნება ქრისტიანობის საფუძველზე. ამ თვითშეგნებას, რომელიც გამოხატულია ძველი დროისათვის დამახასიათებელი ლეგენდარული ფორმით, ჰქონია რეალური სარჩული.

X საუკუნეში წარმოშობილი ქართული ენის ქების ავტორს შორეულად ეხმიანება XIX საუკუნის კლასიკოსი გრიგოლ ორბელიანი, როცა ამბობს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“. ერის დაღუპვის საწინდრად მიჩნეულია ეროვნული ენის გადაგვარებისა და წაშლის ფაქტი.

ამ ორიოდე მაგალითის მიხედვითაც ჩანს, რომ ქართული ენის კულტურულ-ისტორიული ღირებულება პოეტურ აპერცეფციაშიც გადამტყდარა და ქართული ენობრივი სტიქია ეროვნული ენერგიის გამოვლინებად დასახულა პოეტურ ენაზე.

ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა

როგორ დგას მეცნიერებაში საკითხი ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ უძველესი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ენობრივი მონაცემების მიხედვით? ქართველი ტომების ეთნოგენეზისის გათვალისწინება აუცილებელია ქართული ენის თავდაპირველი სახის, მისი მერმინდელი განვითარებისა და სხვა ენებთან გენეზისური თუ ისტორიული კონტაქტების გამოსარკვევად. ქართული ენის ინდივიდუალობის გამომუშავება ქართველი ტომების ისტორიულ ასპექტთან არის ორგანულად დაკავშირებული.

გავეცნოთ ძირითად ეთნოგენეტიკურ კონცეფციებს, რომლებიც ასურათებენ ქართველი ხალხის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების გზებს.

ანტიკური და შუასაუკუნეების ავტორები გვთავაზობენ ლეგენდარულ სამოსელში გახვეულ ცნობებს ქართველთა ეთნოგენეზისის ირგვლივ.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (V საუკ. ძვ. წ.) დაასკვნიდა, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომი (კოლხები) ეგვიპტური წარმოშობისაა.

ძველი ბერძნებისავე კონცეფციით, მეორე ქართველი ტომის — იბერიელების თავდაპირველი სამშობლო ესპანეთია. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ძვ. წ. III საუკუნის ისტორიკოსი მეგასთენი თავის თხზულებაში „ინდოეთის ისტორია“, რასაც შემდეგ იმეო-

რებს I საუკ. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი. ამაზე ლაპარაკობენ სხვა ავტორებიც.

ამრიგად, ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი დასავლეთის იბერიელებისა და ქართველების („კავკასიის იბერიელების") ერთობლიობის შესახებ.

ძველი ქართული ქრონიკა („მოქცევაჲ ქართლისაჲ") გვაწვდის ცნობას, რომ ქართველები გადმოსახლებული არიან არიან-ქართლიდან, ალექსანდრე მაკედონელის დროს. სახელდობრ, ნათქვამია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა არიან-ქართლის მეფის შვილი აზო დასვა მეფედ მცხეთაში (მცხეთა ხომ საქართველოს უძველესი დედაქალაქია). აზომ არიან-ქართლიდან მოიყვანა ხალხი, რომელთაგან წარმოიშვნენ ქართველებიო. ამრიგად, ისტორიული ქრონიკა გვარწმუნებს, რომ ქართველთა წინაპრები არიან-ქართლიდან მოსულან. ამავე ცნობას გვაწვდის ძველი სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი (V საუკ.).

რა იგულისხმება „არიან-ქართლში", რა ქვეყანაა, ეს მეცნიერებაში მთლად ნათელი არ არის და ამ საკითხში დღემდე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი ფიქრობდა, რომ ეს არის შუა აზიის „არიანა".

აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევით, „არიან-ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი-ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. რეალურად აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოებში, რადგანაც... ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც". ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსულ „საქართველოს ისტორიაში" (1943 წ.) კი ნათქვამია: „არიან-ქართლი ჰარის ქვეყანას უნდა გულისხმობდეს. ასე ეწოდებოდა, როგორც ვიცით, ძველი სუბარეთის სამხრეთ რაიონებს. აზო იგივე იასონია, რომელსაც ბერძნებში იბერიის მამამთავრად თვლიდნენ. ამრიგად, გადმოცემაში დაცულია მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ გადმოვიდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში".

აკად. გ. მელიქიშვილმა გამოთქვა ასეთი ვარაუდი: ხომ არ შეიძლება „არიანი" „პირენეის" დამახინჯება იყოს? (რაკი ძველ სამ-

ყაროში ასე პოპულარული იყო აზრი ესპანეთის — პირენეის — იბერიიდან კავკასიის იბერიაში ხალხის გადმოსახლების შესახებ). იგივე მეცნიერი ყურადღებას მიაქცევს სხვა შესაძლებლობასაც: პონტოს სამეფოს დამაარსებელი მითრიდატე, რომელიც, მოსე ხორენელის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა დააყენა იბერთა მმართველად, ითვლებოდა —„კიოსისა და არრინას“ მეფედ („არრინა“ სად იყო, არ ვიცით). ხომ არ შეიძლებოდა, რომ რომელიმე ლიტერატურული წყაროს საფუძველზე ამ „არრინა“-დან ქართული „არიან“ წარმომდგარიყო, სვამს კითხვას გ. მელიქიშვილი.

ასეთია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოცემული ცნობის შესახებ არსებული ინტერპრეტაციები. ეს საკითხი რთულია და გამოცანად ქცეული.

სამაგიეროდ, მარტივია ქართველთა წარმომავლობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა. აქ მოცემულია ქართველთა წინაპრების ბიბლიური პერსონაჟებიდან გამოყვანის ცდა.

ბიბლიურ ზღაპრულ სიუჟეტს რომ თავი დავანებოთ, საყურადღებოა შემდეგი გარემოება: იმავე ბიბლიურ ტექსტთან დაკავშირებით მეცნიერებაში გამოითქვა ვარაუდები ქართველთა წარმოშობის შესახებ.

იოსებ ფლავიუსმა (I საუკ.) წამოაყენა დებულება, რომ ბიბლიური თუბალები დღევანდელი ქართველები (იბერები) არიანო. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ ბატონიშვილი ამ საგანზე ვრცლად მსჯელობს და იმოწმებს იოსებ ფლავიუსის ნაშრომს, რომელიც ქართულად უთარგმნია მე-12 საუკუნის ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს.

იგივე იოსებ ფლავიუსი ფიქრობდა, რომ ბიბლიური „მეშეხები“ (მოსოხები) შემდეგდროინდელი კაპადოკიელების წინაპრებია.

მე-19 საუკუნეში გაშიფრული იქნა ძველი ასურული. ლურსმული წარწერების საფუძველზე დადასტურდა ბიბლიური თუბალების და მეშეხების რეალური არსებობა: ისინი აღმოჩნდნენ ძვ. წ. II—I ათასწლეულებში მცირე აზიაში არსებული გაერთიანებე-

ბი — ტომთა კავშირები და სამეფოები. სრულიად გარკვეულად ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ თუბალებისა და მოსოხების გაერთიანებები ქართველების წინაპრების წინანდელი გაერთიანებებია. როცა მცირე აზიაში ეს სამეფოები განადგურდნენ, ქართველები დაიძრნენ და კავკასიაში წამოვიდნენ. ეს მოხდა VIII—VII საუკუნეებში (ძვ. წ.). XIX საუკ. გამოჩენილმა ევროპელმა ისტორიკოსებმა ლენორმანმა და მასპერომ სწორედ უშუალოდ ქართველთა წინაპრებად მიიჩნიეს ასურული წყაროებით XII—VII საუკუნეებში (ძვ. წ.) დამოწმებული თაბალები და მუშკები (იბერებისა და მესხების წინაპრები). მათ მალე მიემატათ ჭაშკები (მერმინდელი კოლხების წინაპრები), ქსენოფონტეს (V საუკ. ძვ. წ.) მიერ მესოპოტამიაში მოხსენებული კარდუხები (იგივეა, რაც ქართველების სახელი „ქართუ"). გამოჩენილი მეცნიერი კ. ლეჰმან-ჰაუპტი ამბობდა, რომ ქართები (იბერები) ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენო. მისივე აზრით, ქართები (იბერები) წარმოიქმნენ კარდუხებისა და ფრიგიელი მუშქების შერევის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე. თვით მუშქები (მოსხები, მესხები) ლეჰმან-ჰაუპტს მიაჩნდა ფრიგიის ადგილობრივ მოსახლეობად. ი. დიაკონოვის ვარაუდითაც, მუშქების ქართველი ტომი შედიოდა ფრიგიის სამეფოს შემადგენლობაში. იგივე მეცნიერი დასაშვებად მიიჩნევდა იმასაც, რომ ძველი ქართული ტერმინოლოგიით „მოსხებად" თუ „მესხებად" იწოდებოდნენ დასავლური წარმოშობის ქართველი ან გაქართველებული ტომები, გამოსულნი იმ ტერიტორიიდან, რომელიც ერთ დროს ფრიგიის სამეფოს მფლობელობაში იმყოფებოდა.

კონცეფცია თაბალების, მუშქებისა და სხვა ტომების გენეზისური დაკავშირებისა ქართველ ტომებთან გაიზიარა აკად. ი. ჯავახიშვილმა. ისიც ფიქრობდა, რომ ეს ქართველი ტომები კავკასიაში, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ მცირე აზიიდან VII საუკუნეში (ძვ. წ.). ქართველთა მიგრაციის თეორიას იზიარებდა აგრეთვე აკად. ნ. მარი.

ძირითადად აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნონიმიკის შესწავლის საფუძველზე გ. მელიქიშვილი ამტკიცებდა, რომ არ უნდა

იყოს სწორი დასავლეთში გავრცელებული ტენდენცია — აღმ. მცირე აზია ძირითადად ხეთურ-იეროგლიფურ (ლუვიურ) ტომთა სამკვიდროდ გამოაცხადონ (პროტოხეთებთან ერთად), რომ ხეთურ-იეროგლიფური აქ გარკვეულ ხანაში ურთიერთობის, მწერლობის ენის როლს ასრულებდა და რომ სხვებთან ერთად ქართველური და სხვა კავკასიელი ტომების არსებობაცაა სავარაუდებელი.

ქართულ საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიდი პოპულარობა მოიპოვა აკად. ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებულმა ეთნოგენეტიკურმა კონცეფციამ. მან ფაქტიურად მოხსნა დღის წესრიგიდან თვალსაზრისი ქართველთა გადმოსახლების შესახებ. 1943 წელს ს. ჯანაშიას რედაქციით გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორია“, სადაც ახალი თვალსაზრისი ასეა ჩამოყალიბებული:

ქართველები გენეზისურად წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ წინა აზიის მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულზე) მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ისინი ქართველი ტომების წინაპრები არიან. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკავა. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე — დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა — დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს. ამავე ხანებში სამხრეთში, წინა აზიაში, ასურეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები. IX საუკუნეში კი ყველაზე უფრო ენერგიულ ბრძოლებს ასურელებს თუბალები უმართავენ. ძვ. წ. IX —VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი

სახელმწიფო — ურარტუ შექმნეს. აქვე მეზობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მანა. მალე სამხრეთის ეს ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები განადგურდნენ, მაგრამ უკვე ძვ. წ. VI საუკუნისათვის სუბარეთის ჩრდილო რაიონების, კერძოდ — დღევანდელი საქართველოს, მოსახლეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი არსებობდა. ამიტომაა, რომ, როცა ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა. აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია.

ასეთია ისტორიული სქემა, წარმოდგენილი წიგნში: „საქართველოს ისტორია“.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული მსოფლიო ისტორიაში ქართველები მოიხსენებიან ძირითადად „კოლხებისა“ და „იბერების“ სახელწოდებით (სახელწოდებაში — „კოლხები“ იგულისხმება დასავლეთ საქართველო, „იბერებში“ — აღმოსავლეთ საქართველო).

კოლხეთი და იბერია წარმოადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც საშუალო საუკუნეებში შენდება ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა.

უძველესი წერილობითი ცნობების მიხედვით (VI საუკ. ძვ. წ.), „კოლხი“ ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა და აერთიანებს რამდენიმე ტომს.

ეჭვმიუტანელი ცნობა იბერთა შესახებ ბერძნულ მწერლობაში ეკუთვნის II საუკუნის (ძვ. წ.) მწერალს აპოლოდორს. სტრაბონის ცნობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ (ს. ჯანაშია), რომ იბერთა ტერიტორია გაცილებით უფრო შორს იყო სამხრეთისაკენ გადაჭიმული (მდ. არაქსამდე), ვიდრე I საუკუნეში (ძვ. წ.). აპოლოდორზე ადრე, IV საუკუნისათვის (ძვ. წ.) იბერებს თითქოს იხსენიებენ პლატონი და არისტოტელე, პირველი — იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომლებიც სვამენ უწყლო ღვინოს, მეორე კი ამბობს, რომ „იბერების მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს ხოლმე, რამდენიც მტერი ჰყავს მოკლული მიცვალებულსო“. აკადემიკოსი ვ. ლატიშევი ფიქრობდა, რომ აქ სწორედ კავკასიელი იბერები (ე. ი. ქართველები) იგუ-

ლისხმებიან. ამ „ცნობების მნიშვნელობა ისაა, რომ, გარდა სატომო სახელის უძველესი ხსენებისა, მერმინდელი ისტორიული ფორმით, ისინი შეიცავენ გარკვეულ ეთნოგრაფიულ ჩვენებებს“ (ს. ჯანაშია).

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება.

„ისტორიის მამა“ ჰეროდოტე კავკასიის იბერებს არ იხსენიებს, მაშინ როდესაც მას კავკასიის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მოცემული; კოლხებზე მან საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები დაგვიტოვა. ნუთუ ჰეროდოტემ არაფერი იცოდა აღმოსავლეთ საქართველოზე? ეს დაუჯერებელია.

ჰეროდოტეს თხზულებაში გვხვდება ასეთი ადგილი: „სპარსები ცხოვრობენ სამხრეთის ზღვამდე, რომელიც წითლად იწოდება: მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოთ — სასპერები, სასპერების ზემოთ — კოლხები, ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“. ს. ჯანაშია ამ ადგილს ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებს: „ჩრდილოეთის ზღვა და ფაზისი შავი ზღვა და რიონია (უკიდურეს შემთხვევაში — ჭოროხი). კოლხეთს მაშინ უჭირავს (რაც ცნობილია სხვა წყაროებიდანაც) შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ — დასავლეთი საქართველო. მის სამხრეთით „წითელ“ ზღვამდე (ე. ი. სპარსეთის ყურემდე) ჰეროდოტე მხოლოდ სამ დიდ ხალხს უჩვენებს, მათგან მიდიელებისა და სპარსების ტერიტორია აგრეთვე კარგად არის ცნობილი. ამ ცნობილ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნათლად ირკვევა სასპეჭრების მიწა-წყალიც. მსგავსი ადგილები ჰეროდოტეს თხზულებაში სხვაცაა. ს. ჯანაშია დეტალურად აანალიზებს ჰეროდოტეს მიერ მოცემულ ცნობებს და გვთავაზობს დასკვნას: სასპეჭრები მერმინდელი ბერძენი მწერლების მიერ კარგად ცნობილი ი ბ ე რ ე ბ ი არიან; არავითარი სხვა რაციონალური ახსნა არ შეიძლება მოვუძებნოთ არც იმ კითხვას, თუ ვინღა იყვნენ სასპეჭრები და სად გაქრნენ ისინი შემდეგში ასე უკვალოდ, თუკი მათ სახელი არ გამოიცვალეს „იბერებად“, არც იმ კითხვას, თუ საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად ეს იბერები.

„სასპეჭრი“ განსხვავებული ფონეტიკური სახესხვაობით მო-

ცემული აქვთ მომდევნო ხანის ავტორებსაც: (ჰ) ესპერ-იტ, საპედრ, სავედრ, სპერ, ისპირ...

ქართული ენის მონაცემების მიხედვით ამ სატომო სახელის ვარიანტები ახსნილი აქვს ს. ჯანაშიას. ჩვენ აქ არ შეეუდგებით ზემოხსენებული ტერმინების ლინგვისტური ინტერპრეტაციების გადმოცემას. ვიტყვით მხოლოდ, რომ სასპედრ-ი (და სხვა ვარიანტები) უკავშირდება ტერმინებს: თაბალ, სუბარ, იბერ-ივერ, ამრიგად, სასპერ-საბერების იდენტიფიკაცია მერმინდელ იბერებთან არა მარტო ისტორიულად არის აუცილებელი, არამედ ენობრივადაც არის მისაღები.

ქართველი ერის ისტორიისათვის, ამასთანავე ქართული ენის ისტორიული გავრცელების საზღვრების დასადგენად, დიდად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ V საუკუნის პირველ ნახევარში წინა აზიის ძირეული ტერიტორიის (წინა აზია — მცირე აზიისა და არაბეთის ნახევარკუნძულის გამოკლებით) ოთხი უდიდესი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, სასპედრები, კოლხები) ორი — კოლხები და სასპედრები — ქართული მოდგმისა იყო.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა ქართველი ტომების ჩამოყალიბების საკითხებზე ანტიკური ხანის წერილობითი ცნობებისა და ენობრივი მასალების მიხედვით. ეს წერილობითი ცნობები ასახავენ ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ახ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ვითარებას. მაშასადამე, დასკვნები კეთდებოდა ძირითადად ანტიკური ხანის, აგრეთვე ძველ-აღმოსავლური მასალების საფუძველზე.

ეჭვს გარეშეა, რომ ერთიანი ქართველი ხალხისა და ქართული ენის საბოლოო ჩამოყალიბება უფრო ძველი ამბავია. ეს ის ახსნაა, როდესაც ქართული ენები, ე. წ. ქართველური ენები, ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი იყვნენ. იგულისხმება ქართველურ ენათა პრეენის ეპოქა. როგორც ვიცით, საერთო ქართულ ენას ამჟამად სამი განშტოება აქვს: საკუთრივ ქართული, ზანური (ანუ „კოლხური“, ე. ი. მეგრულ-ჭანური) და სვანური. ანტიკუ-

რი ხანის ცნობები ეხება ქართველი ხალხის იმ ეპოქას, როდესაც უკვე მომხდარია ენობრივი დიფერენციაცია. ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები წარმოადგენენ ძირითადად ქართველ ტომებს.

სწვდება თუ არა ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის თვალი ძვ. წ. I ათასწლეულის ადრეულ ეპოქას, ე. ი. იმ დროს, რომელიც წინ უსწრებს ანტიკურ ხანას?

ადრეანტიკურ ხანაში ქართული ენისა და ქართველი ხალხის პროფილის განსაზღვრისათვის ძირითადად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტურ ინტერპრეტაციებს და არქეოლოგიურ მონაცემებს, ამ თავში ჩვენ გაგაცნობთ ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის დასკვნებს, ხოლო ლინგვისტურ ასპექტებს უფრო დეტალურად განვიხილავთ წიგნის მომდევნო თავში.

ქართველი ხალხის უძველესი (ადრეანტიკური) ხანის ეთნოგენეტიკურ პროცესებს მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი, სადაც წამოყენებული და დასაბუთებულია ენობრივი, არქეოლოგიური და ისტორიული მასალების შესწავლაზე დაფუძნებული საყურადღებო ჰიპოთეზები.

ყურადღებას იპყრობს, უწინარეს ყოვლისა, ერთ-ერთი ქართველი ტომის — სვანების, — უძველესი ადგილსამყოფელი და მათი გაწახლების საკითხი (სვანურ ენას, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, ყველაზე უფრო დაუცავს ქართველური ენების ფუძე-ენის ვითარება!). გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს ჰერაკლიდე პონტოელის (IV ს. ძვ. წ.) ცნობას: „ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები, შემდეგ კი — მილეტელები". აქ ლაპარაკია ძველ ბერძნულ ახალშენ ფაზისზე (და არა რიონის მთელ ხეობაზე). ტერმინ ჰენიოხების ქვეშ უნდა იგულისხმებოდნენ სწორედ სვანები. „ჰენიოხ"-სახელის ვარიანტად მიაჩნიათ „სანიგი". არსებობს ცნობა, რომ დიოსკურია (სებასტოპოლისი) სანიგების მიწა-წყალზე იმყოფებოდა. ამგვარად, დიოსკურია და მისი მიდამოები, ფაზისთან ერთად, ჰენიოხ-სანიგების ადგილსამყოფელად უნდა იქნეს მიჩნეული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი დიოსკურიის ძველი ქართული სახელწოდება „ცხუმი" სვანური წარმოშობისაა; „ცხუმი" სვანურად ნიშნავს რცხილას (მ. ქალდანი). ანტიკურ მწერლობაში ალბანთა, იბე-

რთა და კოლხთა გვერდით სწორედ ჰენიოხებია (სანიგები) დასახელებული. სტრაბონის ცნობით, დიოსკურიის მახლობლად სვანები უძლიერესი და მრავალრიცხოვანი ტომია, მათ შეუძლიათ 200.000-იანი ლაშქრის გამოყვანა, და სხვ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანთა ტომი შედიოდა კოლხურ პოლიტიკურ გაერთიანებაში. შემდეგ სვანები შეავიწროვეს და განდევნეს ზღვისპირა ზოლიდან. დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ჰენიოხური მოსახლეობის შევიწროება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში.

გ. მელიქიშვილი ასე სვამს საკითხს: „სადღა უნდა მოვათავსოთ კოლხები და ის ლეგენდარული „კოლხეთის სამეფო“, რომლის დიდება და ძლიერება ასე მკაფიოდ აირეკლა მეზობელი თუ შორეული ხალხების — ურარტელების, ბერძნების — წარმოდგენებში? მითი არგონავტებზე, სადაც ასე დიდი ადგილი უკავია კოლხეთის თემას, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩანს წარმოშობილი, ხოლო ძლიერ კოლხეთის სამეფოსთან ბრძოლის თემას საპატიო ადგილი უკავია ურარტუს მეფის — სარდური II-ის ანალებში (ძვ. წ. VIII ს. შუახანები). მაშასადამე, ეს ძლიერი კოლხეთი იგულისხმება ძვ. წ. II-ის ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან ძვ. წ. VIII ს. ბოლომდე, როდესაც მისთვის ბოლო უნდა მოეღო კიმერიელთა შემოსევას“. კოლხეთი უნდა მოვათავსოთ რიონის სამხრეთით მდებარე მიწაწყალზე.

ჯერ კიდევ ნ. მარი კოლხეთს ათავსებდა არა რიონის, არამედ ჭოროხის აუზში.

გ. მელიქიშვილი ძვ. წ. XII ს. დასასრულის ზოგი ასურული წყაროს ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე ასკვნის, რომ მასში იხსენიება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ტომთა დიდი კავშირი „კილხის“ სახელწოდებით, რაც „კოლხი“ სახელის ვარიაცია უნდა იყოსო. ძვ. წ. VIII ს. ურარტული წყაროების „კულხაც“ (კოლხეთი) საკმაოდ სამხრეთით, ურარტუს სამფლობელოების ახლო მეზობლად ჩანს. ამ სამეფოს ცენტრიც სავარაუდებელია მდ. ჭოროხის ქვემო წელზე.

გ. მელიქიშვილის ვარაუდით, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უკვე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე (უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძეენა, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბის განსხვავებანი თუ იყო ჩასახული). ძვ. წ. VIII საუკუნიდან ივარაუდება ქართულ-ზანური ერთობის დაშლის დასაწყისი, დასაბამი ეძლევა ქართებისა და ზანების (მეგრელ-ჭანების) ენობრივი განცალკევების პროცესს. ამიტომ II—I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებული „კოლხეთის სამეფო“ არ შეიძლება ზანური გაერთიანება ყოფილიყო. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება, რომელიც, ამასთანავე, როგორც ჩანს, მოიცავდა ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებ სვანთა ტომებსაც. „ამ, ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული, ქართული ეთნიკური ჯგუფის კულტურა უნდა ყოფილიყო ე. წ. „კოლხური კულტურა“, რომელიც ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალს მოიცავდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში. განვითარებული ბრინჯაოს ხანის („გვიანი ბრინჯაოს“) ეს მეტად თავისებური კულტურა მოიცავდა მთელ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, აგრეთვე, სამხრეთ საქართველოს — ისტორიული მესხეთის — მიწა-წყალს“ (გ. მელიქიშვილი).

II—I ათასწლეულთა მიჯნაზე საერთო ქართულ-ზანურ ეთნოსთან უნდა გვქონდეს საქმე ძველაღმოსავლური წყაროების მუშქების (მოსხების, მესხების) სახითაც.

ქართველი ტომების ისტორიაში, მათ ეთნიკურ განვითარებაში, გ. მელიქიშვილის ვარაუდით გარდატეხა უნდა გამოეწვია იმ დიდ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მიწა-წყალზე ძვ. წ. VIII საუკუნიდან. ამ საუკუნის ბოლოს იწყება ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ჩრდილოეთიდან ხალხთა დიდი მასების შემოჭრა. კოლხეთის გზით შემოიჭრნენ კიმერიელები, ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გზით — სკვითები. ამიერიდან სწრაფად უნდა განვითარებულიყო ქართული ენის დიალექტების ენებად ჩამოყალიბების პროცესი. ძველი კოლხური სამეფოს დაცემამ ლახვარი ჩასცა ამ სამეფოს ფარგლებში მიმდინარე ძველი ქართული

ეროვნების კონსოლიდაციის პროცესს და ტომობრივი პარტიკულარიზმი გაამეფა ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე. სტრაბონი ამბობს: „თუ როგორი სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი), ამას ცხადყოფენ მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მიდიამდე მივიდა... მომდევნო მეფეები კი... ძალაუფლების მქონენი არ იყვნენ“.

შემდეგ ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში იწყება „იბერთა“ (ქართების) ტომის ჰეგემონობა. წამყვან როლს ასრულებენ პონტოს ქედის სამხრეთ კალთებზე, ისტორიული მესხეთის — „მოსხების ქვეყნის“ — მიწა-წყალზე მცხოვრები ჯგუფები. „მესხური“ (ქართების) მოსახლეობა ჩნდება შიდა ქართლის მიწა-წყალზედაც („მცხეთა“).

ამრიგად, მოიხაზა ქართველი ტომების გავრცელების სურათი: II—I ათასწლეულში ისინი ამიერკავკასიის, კერძოდ, დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და სამხრეთ-დასავლეთითაც საკმაო მანძილზე იყვნენ გავრცელებული დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში. აქ ისინი ემეზობლებოდნენ ხური-ურარტულ და ხეთურ-ლუვიურ ტომებს.

ქართული ენის წარმოშობა

ქართული ენის წარმოშობის პრობლემით დაინტერესებული იყვნენ ევროპელი მეცნიერები ჯერ კიდევ XVII—XVIII საუკუნეებში. ეს ის ხანაა, როდესაც მეცნიერული აზროვნება ენის შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული (შედარებით-ისტორიული მეთოდი ენათმეცნიერებაში XIX საუკუნის პირველი ნახევრის მონაპოვარია) და მკვლევრები კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ ენათა პრიმიტიული შედარებებით ლექსიკის დარგში. ამ საუკუნეებში დაინტერესებული არიან მსოფლიოს ენათა კატალოგიზაციის საკითხებით, ცალკეულ ენათა ნათესაობის დადგენით, ენის წარმოშობის ძიებით.

მსოფლიოს ენათა საერთო სქემაში გარკვეული ადგილი ჰქონდა მიჩენილი ქართულ ენას. კაცობრიობის ენათა პრეენად აღიარებული იყო ძველებრაული. სემიტურ ენათა ნათესაობა ამ დროს უკვე დადგენილად მიაჩნიათ. აზიის ენებისადმი ინტერესი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მათში ხედავდნენ ენის განვითარების უფრო ძველ საფეხურებს, ვიდრე ევროპულ ენებში. აზიის ენებში მოქცეული იყო ქართული ენაც. მალე უკუგდებულ იქნა ებრაული ენისაგან მსოფლიოს ენათა წარმომავლობის იდეა და ენათა კლასიფიკაციის პრობლემატიკაში ამოტივტივდა გეოგრაფიული პრინციპი. მაგალითად, ადელუნგმა თავისი წიგნის („მითრიდატე") პირველ ტომში ქართული ენა აზიის ენათა ჯგუფს მიაკუთვნა.

რამდენიმე ავტორი ძველი კოლხეთის ენას, როგორც უძველეს ქართულ ენას, გენეტურად უკავშირებდა ეგვიპტურ ენას. ეს თეორია დაფუძნებული იყო ანტიკურ ხანაში შემუშავებულ თვალსაზრისზე კოლხეთისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ.

ჰეროდოტე, მაგალითად, ამბობდა, რომ ორივე ხალხის ცხოვრების წესები და ენა ერთნაირიაო. ბერძენი ისტორიკოსის ეს შეხედულება უნდა გავიგოთ, როგორც შედეგი მისი საერთო-ეგვიპტოფილური კონცეფციისა. რაკი კოლხიდა ითვლება დღევანდელი დასავლეთი საქართველოს წინაპრად, ამიტომ ქართული ენა, როგორც გაგრძელება ძველი კოლხური ენისა, დაკავშირებული იყო ეგვიპტურ ენასთან. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ბაიერი ძველ ქართულ შრიფტს ეგვიპტურ დამწერლობასაც ადარებდა და მათ შორის საერთო მოხაზულობას პოულობდა.

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი, მსჯელობდა რა მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხებზე, აღიარებდა, რომ მისთვის მთლად ნათელი არ არის ქართული ენის (ე. ი. ძველი კოლხურის) დაკავშირება ეგვიპტურ ენასთან. ეს საკითხი წამოჭრილია აგრეთვე ლაიბნიცისა და ცნობილი გერმანელი ფილოლოგის ანდრეას აკოლუტოს მიწერ-მოწერაში.

ლორენცო ჰერვასი ამბობდა, რომ ლაზური (ჭანური) ქართული ენის დიალექტია; იგი ძველი კოლხურის გაგრძელებაა; ეგვიპტურთან ლაზურ მეტყველებას მსგავსება არა აქვს, მაშასადამე, ქართული ენის დაკავშირება ეგვიპტურთან შეუძლებელიაო.

XVII—XVIII საუკუნეების ავტორები, გარდა ქართული და ეგვიპტური ენების ნათესაობისა, მსჯელობენ ქართული ენის კავშირზე ძველი ესპანეთის მკვიდრთა ენასთანაც. ამ თეორიასაც თავისი ფესვები აქვს ანტიკური ხანის მეცნიერულ დაკვირვებებში.

ლორენცო ჰერვასი თავის „ენათა კატალოგში", რომელიც გამოვიდა იტალიურ ენაზე 1784 წელს, გარკვევით ლაპარაკობს ევროპელი იბერებისა და კავკასიის იბერების ნათესაობაზე. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა თანამედროვე ქართული ენა შევუდაროთ ბასკურ ენას, როგორც ძველი დასავლური იბერიული ენის გაგრძელებას. ამავე საკითხს უფრო ვრცლად ეხება ჰერვასი თავისი წიგნის ახალ გამოცემაში. საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ ქართულსა და ბას-

კურს შორის ნათესაობის კვლევა არ დგას მყარ ნიადაგზე და ამიტომ ეს თეორია უნდა უარვყოთ.

პირველი მეცნიერი, რომელმაც სცადა ქართული ენა დაეკავშირებინა ევროპულ ენებთან (ბერძნულთან, ლათინურთან...), გახლავთ ლორენცო ჰერვასი. მას მოჰყავს ქართული სიტყვები პაოლინის ლექსიკონიდან და უდარებს იტალიურ სიტყვებს. საბოლოოდ ჰერვასი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს საერთო სიტყვები სიტყვათსესხების შედეგია და არა გენეზისური ერთიანობისაო.

ქართულ ენას ევროპული მოდგმის ენად თვლიდა ზემოხსენებული დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი. როგორც ითქვა, ლაიბნიცი ქართული ენის პრობლემას არა ერთხელ შეჰხებია.

ჯერ კიდევ 1695 წელს აკოლუტოსადმი მიწერილ წერილში ლაიბნიცს მოჰყავს მთელი სია ქართული სიტყვებისა (პაოლინის ლექსიკონზე დაყრდნობით), რომლებსაც უდარებს ევროპული ენების სიტყვებს. 14 წლის შემდეგ, 1709 წელს, ლაიბნიცი ლა კროზუსადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ მას, სამწუხაროდ, ხელთ არა აქვს იტალიელი მაჯოს მიერ დაწერილი ქართული გრამატიკა, მაგრამ ამ შრომას იგი იცნობს იმ რეცენზიის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია იტალიურ ჟურნალში. ეტყობა, ამ რეცენზიის საფუძველზე ამბობს ლაიბნიცი, „გამაოცა (ქართული ენის) დროკილოების სიუხვემო“.

1710 წელს თავის სტატიაში მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის შესახებ ლაიბნიცი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართული, სპარსული და სომხური ენები წარმოადგენენ სკვითური და არამეული ენების ნარევს. აქ იგი აფართოებს თავის კონცეფციას ქართული ენის ევროპულ ენებთან ნათესაობის თაობაზე და დასძენს, რომ სურს გამოიკვლიოს ქართული ენისა და სემიტური ენების საერთო ელემენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ლაიბნიცის მიერ დამოწმებული ფაქტობრივი მასალა დამაჯერებელი არ არის სათანადო დასკვნების გამოსატანად, უნდა ითქვას, რომ ამ დიდი ავტორიტეტის ნააზრევში მოცემულ მსჯელობას ქართული ენის შესახებ უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო სამყაროში ჩვენი

ენის თეორიული პრობლემებისადმი ინტერესის გამოჩენის თვალსაზრისით.

ფართო გავრცელება მოიპოვა ევროპულ ფილოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის ანკეტილ-დიუპერონის მიერ მოცემულმა ქართული ენისა და ზენდური ენის შედარებითმა ანალიზმა. ეს ჰიპოთეზა გამოთქმული იყო XVIII საუკუნის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ორგანოში და მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ (პროფ. ნ. ორლოვსკაია).

თუ XVII—XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურ ლიტერატურაში ქართული ენის ნათესაობის პრობლემა წყდებოდა ლექსიკური მასალის საფუძველზე, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საკვლევაძიებო ორბიტაში ჩართული იქნა გრამატიკული სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნები ქართული ენის გენეალოგიის დასადგენად.

ქართული (და, საერთოდ, ქართველური ენების) ნათესაობის კვლევის დარგში ახალი პერიოდის დასაწყისი უკავშირდება ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის აკადემიკოს მარი ბროსეს (1802—1880) სახელს.

ბროსე თვლიდა, რომ ქართული ენა გენეზისურად დაკავშირებულია ინდოევროპულ ენებთან. კვლევა-ძიების დასკვნები, რომლებიც მოცემულია მის ფუნდამენტურ წიგნში „ქართული გრამატიკა“ (1834), შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: 1. ქართული ენის ლექსიკური მარაგი საერთოა ინდოევროპულ ენებთან, განსაკუთრებით სანსკრიტთან, ძველ სპარსულთან და ზენდურთან; 2. ქართული ბრუნებისა და შედარებითი ხარისხის ფორმანტი სანსკრიტული ანდა ზენდურია; 3. ასევე მსგავსია ნაცვალსახელების სისტემა; 4. უღვლილების გარკვეული ნაწილი ამჟღავნებს პარალელებს სპარსულის, სანსკრიტისა და ბერძნულის უღვლილებასთან; 5. სინტაქსი და სიტყვათა დიდი ნაწილი ქართულს თითქოს თავისებური აქვს, მაგრამ ამ სფეროშიც მრავალი შეხვედრის დადასტურება შეიძლება.

ქართული ენის გენეალოგიის საკითხით დაინტერესდა ლინგვისტური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, უდიდესი გერმანელი მეცნიერი ფრანც ბოპი.

ბოპის დაინტერესებას ქართული ენის წარმოშობის პრობლე-

მით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერულ წრეებში ამ ენისადმი ყურადღების გამოჩენის თვალსაზრისით. ლინგვისტური მეცნიერების საერთაშორისო ავტორიტეტმა ქართული ენის შესახებ მოხსენება წაიკითხა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში ჯერ 1842 წლის 11 დეკემბერს, ხოლო მეორედ — იქვე, 1845 წლის 23 ოქტომბერს.

1846 წელს ბოპმა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილების მემუარებში დაბეჭდა ნაშრომი: „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“ ხოლო იგივე ნაშრომი 1847 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა სათაურით: „კავკასიის წევრები ინდოევროპულ ენათა ოჯახისა“.

ბოპი ქართველურ ენებს (საკუთრივ ქართულს, მეგრულს, ლაზურს, სვანურს) უწოდებს „იბერიულს ანუ ქართულს“. ავტორი შესავალ ნაწილში გადმოგვცემს როზენის, კლაპროთის, სენმარტენის, ბროსეს შეხედულებებს ქართველურ ენათა შესახებ და შემდეგ ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს.

ფრანც ბოპის შრომის მიზანია ცხადი გახადოს, რომ „ენობრივი ორგანიზმის ყველა ნაწილში — სახელთა ფლექსიაში, ზედსართავებში, ნაცვალსახელების ფუძეებსა და ბრუნებაში, რიცხვით სახელებში, აგრეთვე ზმნის უღვლილებაში — პირთა, რიცხვთა, დროთა და კილოთა მიხედვით“ ქართული ენა ავლენს ნათესაობას ინდოევროპულ ენებთან (სანსკრიტთან და სხვ.).

ბოპის ნაშრომში არ არის ლაპარაკი ფონეტიკურ შესატყვისობათა შესახებ; საკითხი განხილულია მხოლოდ მორფოლოგიისა და ლექსიკის ჩვენებათა მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოპის წიგნში წარმოდგენილი ენობრივი მასალა და შედარებები თავის არსებით ნაწილში დამარწმუნებელი არ არის, მაინც მან გამოთქვა ბევრი საინტერესო და უდავოდ სწორი დაკვირვება, რასაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის მორფოლოგიის კვლევის დარგში.

ბოპის ნაშრომის კრიტიკული ანალიზი მოგვცა აკადემიკოსმა ბროსემ (მიუხედავად იმისა, რომ ისიც ქართულს ინდოევროპული ენების მონათესავედ თვლიდა). ბროსემ 1844 წლის 1 ნოემბერს თავისი შენიშვნები მოახსენა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას (აკადემიის მემუარები, 1846).

ფრიდრიხ მიულერი აღნიშნავდა, რომ, თუმცა ბოპის ცდა, „დაამტკიცოს ქართველური ენების ინდოევროპულობა, გასაოცრად გონებამახვილურია“, მაგრამ საკითხი დამტკიცებული არ არისო.

1854 წელს მაქს მიულერიც მსჯელობს ქართველურ ენათა შესახებ (ბროსესა და როზენის შრომებზე დაყრდნობით) და დასკვნის, რომ საერთოდ კავკასიური ენები ურალურ-ალთაურ ენებს ენათესავებიანო.

1864 წელს გამოქვეყნდა ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ფრიდრიხ მიულერის ნაშრომი: „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“. მიღებულია დასკვნა: ქართველური (და, საერთოდ, კავკასიური) ენები „არ უკავშირდებიან ინდოევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს მივაკუთვნებთ. ჩანს, კავკასიური ენები — მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში — წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით უფრო დიდი ენათა ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით, ვიდრე აქ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები გავრცელდებოდნენ“.

ამრიგად, შემუშავდა თვალსაზრისი ქართველურ (და კავკასიურ) ენათა განკერძოებულობის შესახებ[1].

ფრიდრიხ მიულერის მიერ წამოყენებული დებულება გაიზიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, ქართველური ენათმეცნიერების დიდმა ავტორიტეტმა. 1872 წელს იგი ამბობდა:

„თუ ჯერ კიდევ დღეანდლამდე განთქმულ ევროპელ ლინგვისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა... ქართული ენის გენეტური კავშირის შესახებ, ლინგვისტური თეორიების ასეთი გაუბედაობის, გაურკვევლობისა და წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ გრამატიკული ფორმების (განსაკუთრებით — ზმნების) სირთულესა და დახლართულობაში, ან ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების ნაკლებობაში, არამედ, ჩემი აზრით, უმთავრესად იმაში, რომ სრულად და ყოველმხრივ არ

[1] უნდა აღინიშნოს, უფრო ადრეც იყო ზოგადად გამოთქმული მსგავსი დებულება (კლაპროთი, სენ-მარტენი). ამ აზრს სხვებიც იზიარებდნენ (პოტი, ლეფსიუსი, ბენფეი, შპიგელი).

არის შესწავლილი საგანი — ენა — ყველა თავისი განშტოებითა და შენაკადით; არ არის შესწავლილი მისი ტიპი, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, რომლებითაც იგი, როგორც ერთი განუყოფელი მთელი, განსხვავდება ყველა სხვა — მისი მსგავსი — ობიექტისაგან. ენის ტიპის ამგვარი აღდგენა ყველას აარიდებდა უმადურსა და საფრთხილო შრომას — მორფოლოგიურ ან გენეალოგიურ კლასიფიკაციაში ეძებნათ ადგილი იმ ენისათვის, რომლის ტიპი ჯერ კიდევ გარკვეული არ არის".

ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ საჭიროა აღვადგინოთ ქართული ენის არქეტიპი; გენეზისური საკითხების კვლევას მხოლოდ მაშინ ექნება მყარი საფუძველიო.

რომ ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოში არსებულ ენათა ოჯახებს, ეს აზრი მკვეთრად და კატეგორიულად გამოთქვა ალ. ცაგარელმა იმ მოხსენებაშიც, რომელიც მან წაიკითხა ორიენტალისტთა მეშვიდე ყრილობაზე ქ. ვენაში 1886 წელს.

ქართულ ენის (და, საერთოდ, კავკასიური ენების) განკერძოებულობის თეორიას მხარი დაუჭირა გერმანელმა მეცნიერმა რ. ერკერტმაც წიგნში: „კავკასიური ძირის ენები" (ვენა, 1895 წ.).

მეცნიერებაში ერთ დროს წამოყენებული იყო თეორია სემიტური ოჯახის ენებთან ქართული ენის მონათესავეობის შესახებ. ეს თეორია წამოაყენა აკად. ნიკო მარმა.

1888 წელს ჯერ კიდევ სტუდენტმა მარმა ქართულ გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა სტატია „ბუნება და თვისება ქართული ენისა", სადაც ნათქვამია: „ადრე ქართული ენის სემიტურობა წარმოთქმულია მეცნიერებისაგან, მაგრამ გაკვრით, და ამ აზრის დასამტკიცებლად არავინა ცდილა იმდენადაც, რამდენადაც დასჭირდათ ეს ცდა, ოღონდ-კი ურალ-ალტაიურისა და ინდო-გერმანულისათვის დაეახლოვებინათ და დაენათესავებინათ ჩვენი ენა. პირველივე ცდა ამაო გამოდგა. მას უკან აგერ სამი წელიწადია, რაც მივიკვლიე ქართული ენის ბუნებისა და თვისების კვალი. არაბულის ენის გაცნობის შემდეგ სრულებით დავემყარე იმ აზრს, რომ ჩვენს ენას დიდი მზგავსება აქვს სემიტურ ენებისა. რაკი ეს აზრი მივიკვლიე, მაშინვე ებრაულისა და სირიულის ენის შესწავლას მოვკიდე ხელი. მას უკან დღითი დღე მიგროვდება მასალა და მემატება საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლადა და გასამართ-

ლებლად. რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აქვე მოვიხსენიებ ბარემ მოკლედ იმ ამბის, რომლის დამტკიცებას ვაპირობ. აი ეს აზრი: ქართული ენა ნათესავია სორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით, სემიტურის ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის უშუალოდ დაახლოებული ხსენებულს ენებთან, რამდენადაც ის ენანი ურთიერთშორის, და, სჩანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური) წარმოშდგარა ერთის მამამთავრის ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანებია სემიტურს ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთსა".

ამრიგად, ნ. მარის აზრით, ქართული ენა სემიტურის მონათესავეა, მაგრამ სემიტური ენა არაა. ქართული და სემიტური ენები ერთი ენისაგან არიან მიღებული და ეს უძველესი ფუძეენა სემიტურთან ახლოს იდგა. ეს იყო ნ. მარის საპროგრამო განცხადება. 20 წლის შემდეგ იბეჭდება მისი ვრცელი შრომა, სადაც მოცემულია ცდა მისი სტუდენტობის დროს წამოყენებული დებულების დამტკიცებისა.

ნ. მარის „ამ ვარაუდთან დაკავშირებით გაიშალა დიდი მუშაობა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, შემდეგ — პარალელურად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. ქართველოლოგიური მუშაობის განვითარებამ პეტერბურგში უმაღლეს დონეს მიაღწია ნიკო მარის იაფეტური თეორიის ევოლუციის გარკვეულ პერიოდში" (არნ. ჩიქობავა).

შემდეგ თვით ნ. მარმა აღიარა, რომ ქართული ენის გენეზისური დაკავშირება სემიტურ ენებთან არ გამართლდა.

დიდი ხანია მეცნიერებაში წამოყენებულია შეხედულება ქართული ენის გენეზისური კავშირის შესახებ მცირე აზიის უძველესი (დღეს გადაშენებული) ენების ჯგუფთან.

წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ენებია: შუმერული, ხეთური, ჰურიტული, ურარტული, ელამური (ანუ სუზური), ხეთურ ენათაგან იბერიულ-კავკასიურ ენებს უკავშირებენ პროტოხეთურ ენას.

ეს ენები ძველი სამყაროს ცივილიზებული ხალხების ენებია; ამ ენებთან ქართულის მონათესავეობას მხარს უჭერდნენ ვინ-

კლერი, ბორკი, ტრომბეტი, დირი, მიხეილ წერეთელი, სვანიძე, კარსტი, მარი და სხვ.

ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი ამბობდა: „კავკასიური რაიონები დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიკური ბუნება ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვლეული. ეს ტომები ერთმანეთთან თითქოს არ არიან ნათესაურ კავშირში. ამათგან ყველაზე ცნობილი არიან ივერიელები (აწინდელი ქართველები), რომელთაც მტკვრის ხეობა უჭირავთ. ეჭვს გარეშეა, ეს ხალხები წინათ ღრმად იყვნენ შეჭრილი მცირე აზიასა და სომხეთში. მათ უნდა მივათვალოთ მოსხები — მესხები (ასურული წყაროებით მუშკაია, ბიბლიური — მეშეხ) და ტობარენები (ბიბლიური ტებალ, ასურული ტაბალაი), რომლებსაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ილაშქრებდნენ ტიგროსის მხარეში“.

მეორე დიდი ავტორიტეტი ფრ. ჰომელი ამბობდა: „მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, რომლებიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფს. ხალხთა ამ ალაროდიულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: ა) ელამიტები და კასეები, ბ) ძველი სომხეთის მკვიდრნი (ნამდვილი ალაროდიელები), ე. ი. ურარტუს (ბიბლიის მიხედვით — არარატის) მკვიდრნი, რომელთა შთამომავლობადაც უნდა ჩავთვალოთ ქართველები“ და სხვ.

აონ. ჩიქობავას დასკვნით, „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან)“.

მეცნიერებაში დგას საკითხი წინაელინური (პელასგურ-ანატოლიური) კულტურის შემქმნელ ხალხებთან იბერიულ-კავკასიური ენების კავშირების შესახებ.

ჯერ კიდევ ადრე შეამჩნიეს, რომ ბერძნულ ენაში გამოიყოფა ფენა, რომელიც არ აიხსნება ინდოევროპული ენების საფუძველზე, მაშასადამე, ეს დანალექი უნდა განეკუთვნებოდეს ხმელთაშუა ზღვის უძველეს მკვიდრთა ენობრივ სამყაროს. 1896 წელს

სახელმოხვეჭილი მეცნიერი კრეჩმერი ამბობდა, რომ წინაბერძნული მოსახლეობის გარკვევა ენობრივ მასალებს თუ შეუძლიათო; „თუ ჩვეის წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძევს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესღაც მათი მატარებლებიო“, გონებამახვილურად შენიშნავს დიდი ავტორიტეტი. იგი დაასკვნის, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა, ფრიგიელების გამოკლებით, არც ინდოევროპულია და არც სემიტური.

ასეთივე აზრი სხვებმაც გამოთქვეს.

წინაბერძნული ეგეოსური ენების ამოცნობის გზები მიიმართება იბერიულ-კავკასიური ენებისაკენ, კერძოდ — ქართველური ენების სამყაროსაკენ.

ლინგვისტური მეცნიერების დიდი ავტორიტეტი ა. მეიე სრულიად გარკვევით მიუთითებდა, რომ ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რისი ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს. უპირველესად საჭიროა ნათესაობის დადგენა კავკასიური ენების შიგნით, კერძოდ სამხრეთ-კავკასიურ (ქართველურ) და ჩრდილო-კავკასიურ ენებს შორის.

ცნობილი ლინგვისტი ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ საბოლოოდ უნდა გაირკვეს ჩრდილოეთ კავკასიის ენებისა და ქართველური ენების ნათესაობა; საჭიროა საფუძვლიანად შევისწავლოთ წინააზიის ენები (ხეთური, ჰურიტული და სხვ.) იმის გათვალისწინებით, რომ ისინი შესაძლოა ენათესავებოდნენ კავკასიურ ენებს; ამ პრობლემის გარკვევას შეუძლია ცხადი გახადოს ეგეოსურ-მცირეაზიისა და წინააზიის ენათა ტომებისა და ხალხების გენეზისი.

უდავო ჩანს, რომ ბერძნულმა ენამ შეითვისა წინაბერძნული ენობრივი სამყაროს ელემენტები. ეს ელემენტები მან გარდაქმნა თავისი შინაგანი კანონების თანახმად.

მკვლევრები გამოთქვამენ შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რა შეუთვისებია ბერძნულს წინაბერძნული ენიდან. ამის მაგალითებს აქ არ მოვიტანთ.

ეგეოსურ-ქართული პარალელების ძიება, ეჭვს გარეშეა, მომავალში საინტერესო სურათს გადაგვიშლის.

რ. გორდეზიანის გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოების ყველა ძირითად ეგეოსურ ტიპს აშკარა პარალელი მოეპოვება ქართველურ ტოპონიმიკაში. შეხვედრა არ განისაზღვრება მხოლოდ გარეგნული მსგავსებით, იგი აფიქსთა ფუნქციის სრულ იდენტურობაშიაც ვლინდება. მაგალითად, ეგეოსური კუთვნილების სუფიქსი, რომელიც ეგეოსური ენობრივი არეალის ფარგლებში ძირითადად სამი სახით გვხვდება, სრულ შესაბამისობას გვიჩვენებს ქართველურ ტოპონიმიკაში გამოყენებულ სუფიქსებთან.

პარალელებს მრავლად ავლენს ეგეოსურ-ქართველურ ტოპონიმთა ფუძეების შეპირისპირებაც.

პარალელები ჩანს სიტყვაწარმოების სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად, ეგეოსური წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი სრულ მსგავსებას გვიჩვენებს ანალოგიური მნიშვნელობის ქართულ „ელ“ სუფიქსთან.

უდავოა, რომ ეგეოსურ და ქართველურ ენობრივ პარალელთა არსებობის ნებისმიერი ახსნა, ვიდრე შეპირისპირება გარკვეულ და თანმიმდევრულ სურათს არ მოგვცემს, ვერ გასცდება ერთ-ერთი შესაძლებელი დაშვების ფარგლებს.

ბევრ მეცნიერს გამოუთქვამს შეხედულება ქართული ენისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობის თაობაზე. მაგალითად, კავკასიური ენების ცნობილი მკვლევარი უსლარი ამბობდა: „ქართული ენა... კავკასიური ენაა და, საფიქრებელია, ყველაზე შესანიშნავი“ ენათა ამ ოჯახში. მიუხედავად გასაოცარ ნაირგვარობისა, კავკასიური ენები გვიჩვენებენ ღრმა ნათესაურ თვისებებსო.

ქართული ენის გენეზისურ კავშირს მთის კავკასიურ ენებთან აღიარებდა ნ. მარიც.

ამ პრობლემის სისტემატური კვლევა-ძიება მიმდინარეობს თბილისში, უმთავრესად ენათმეცნიერების ინსტიტუტში და უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრაზე. დაიწერა კავკასიურ ენათა შესახებ ფუძემდებლური მონოგრაფიები, იკვლევა სპეციალური საკითხები, რომლებშიც გაშუქებულია სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ენათა გენეზისური ურთიერთობა. ამ

ნაშრომებმა მიიპყრო ყურადღება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

1937 წელს გამოვიდა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური წიგნი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, სადაც წამოყენებულია შემდეგი ძირითადი დებულებები: ქართველებისა და მთის კავკასიელების შორეული წინაპრები მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ; მრავალგვარმა სხვადასხვა გარემოებამ ეს მოძმე ერები და ტომები რომ ერთმანეთს საგრძნობლად დააშორა, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა ისინი ხუთ დიდ ერთეულად აქცია; ქართული ენის ისტორიაში ორი დიდი ხანის არსებობა უნდა გვქონდეს გათვალისწინებული; პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები იმ ენათა ძირითად დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე — მომდევნო ხანა კი იმ დროიდან იწყება, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები გაქრა და, ღრმა ცვლილებებთან დაკავშირებით, ქართული ენის ახალი სახე ჩამოყალიბდა.

ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობას ამტკიცებს აკად. არნ. ჩიქობავას მეცნიერული სკოლა. ამ პრობლემას მიეძღვნა მრავალი მონოგრაფია და სტატია.

ქართულ და კავკასიურ ენათა წარსულში გახედვა გვარწმუნებს, — აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, — რომ მსგავსება პირველადია, სხვაობა კი მეორეული: რაც უფრო ახლოს ვეცნობით განვითარების წინა საფეხურებს, მით უფრო მეტია სიახლოვე; გენეტური ერთიანობა განსაზღვრავს ქართველურისა და მთის კავკასიური ენების ურთიერთობას (და არა ხანგრძლივი ისტორიული კონტაქტით შეპირობებული დამსგავსება, თუმცა ამასაც გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს).

მეცნიერებაში დამკვიდრდა ცნება „იბერიულ-კავკასიური ენებისა“.

არიან მეცნიერები, რომლებიც არ იზიარებენ თეორიას ქართული ენის გენეზისური კავშირის შესახებ მთის კავკასიურ ენებთან.

კავკასიური ენების ერთობის შესახებ ეჭვი გამოთქვა ჯერ კი-

დევ პროფ. ნ. ტრუბეცკოიმ. განსაკუთრებით უარყოფდა იგი ქართული ენის ჩრდილო-კავკასიის ენებთან მონათესავეობის იდეას.

პროფ. გ. დეეტერსი, ცნობილი უცხოელი ქართველოლოგი, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თითებზე ჩამოითვლება საერთო სიტყვები ქართულ (და, საერთოდ, ქართველურ ენებსა) და სხვა კავკასიურ ენებს შორის, მაგრამ ტიპოლოგიურად მათ შორის საერთო ბევრიაო. ამიტომ ეს ენები გენეზისურად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ისინი ქმნიან „ენობრივ კავშირს“.

იმავე აზრს იზიარებს მისი მოწაფე პროფ. შმიდტი. ის ამბობს რომ ქართულსა და მთის კავკასიურ ენებს შორის მსგავსებანი აიხსნება გეოგრაფიული მეზობლობით, — წარმოშობით კი ისინი ერთმანეთს არ უკავშირდებიანო.

ნორვეგიელ ქართველოლოგს პროფ. ჰანს ფოგტს მიაჩნია, რომ საერთო-კავკასიური ფუძეენის აღდგენა უაღრესად პრობლემატური ამოცანაა. შედარებით-ისტორიული მეთოდი იბერიულ-კავკასიური ენების კვლევის დარგში არ მოგვცემს იმ შედეგებს, რომლებიც მან მოგვცა ინდოევროპული, სემიტური და უგროფინური ენების დარგში. ზოგიერთი მსგავსება, რომლებიც კი არსებობს ქართულსა და მთის კავკასიურ ენათა შორის, მეორეულია და მომდინარეობს კავკასიელი ხალხების ათასწლოვანი თანამეზობლობის საფუძველზე წარმოქმნილი ენობრივი კონვერგენციიდან (დაახლოებიდან). ფოგტის სიტყვით, „კავკასიური ენების ერთიანობის ჰიპოთეზა მეტად მიმზიდველია და არც დამაჯერებლობასაა მოკლებული, მაგრამ ამავე დროს ძნელი დასამტკიცებელია“.

აკად. გ. წერეთლის სიტყვით, „ვიდრე... რეგულარული მიმართებანი არ იქნება დადგენილი, საკითხი ქართველურ ენათა გენეტური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა, და რაგინდ დიდი იყოს ეს რწმენა, იგი დებულებას ნათესაობის შესახებ მტკიცების ძალას ვერ შეჰმატებს“. იგივე ავტორი ფიქრობს, რომ ამჟამად წინა პლანზე დგება ამოცანა კავკასიური და წინააზიური არეალური ლინგვისტიკის პრობლემის შესწავლისა შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით. კავკასია წარმოადგენს ენათა მიკროკოსმოსს და ერთმანეთის მონათესავე ენათა გარდა აქ მრავალი სხვადასხვა

სისტემის ენა (ინდოევროპული, თურქული, სემიტური) იყრის თავს. მათი სტრუქტურული მოდელების დადგენა, პირვანდელი არქეტიპების რეკონსტრუქცია და ურთიერთმიმართებების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო თითოეული მათგანის შესწავლისათვის, არამედ ენათა განვითარებისა და ურთიერთობის ზოგადი საკითხების და უნივერსალიების პრობლემების კვლევისათვის.

ამრიგად, ერთი მხრივ, ამტკიცებენ ქართულ-კავკასიური ენების გენეზისურ კავშირს და, მეორე მხრივ, ფიქრობენ, რომ მათ შორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსებანია მხოლოდ და არა წარმოშობითი ერთობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პირველ ასპექტს მიეძღვნება მონოგრაფიული გამოკვლევები, მეორე ასპექტი ჯერჯერობით არ გამხდარა მონოგრაფიული შესწავლის საგანი.

როგორც არ უნდა გავიგოთ კავკასიური ენები — „ისტორიულ-გენეალოგიური ცნება“ თუ „გეოგრაფიული ცნება“ — უდავო ფაქტია, რომ ქართულ საბჭოთა ენათმეცნიერულ სკოლას დიდი მიღწევები აქვს მოპოვებული ამ ენების მეცნიერული შესწავლის დარგში და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენის ზოგად პრობლემატიკაში.

დიდად საინტერესო შედეგებია მოპოვებული უკანასკნელ ხანებში ქართული ენისა და ინდოევროპული ენების უძველესი კავშირების შესწავლის დარგში.

მას შემდეგ, რაც ფრანც ბოპმა მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული ენისა და ევროპული ენების ნათესაობის საკითხი, ხსენებულ პრობლემას, შეიძლება ითქვას, დიდხანს არავინ გამოხმაურებია და დამკვიდრდა შეხედულება, რომ ამ მიმართულებით ძიებას არ შეუძლია მოგვიტანოს პოზიტიური შედეგები.


პროფ. გ. დეეტერსმა ქართველური ენები პრეფიქს-სუფიქსალური წარმოებით ნარევი ტიპის ენებად მიიჩნია; აქ არის შერწყმა „კავკასიური“ და ძველი ინდოევროპული ენების ფენებისო. მისივე აზრით, ქართული ენა ინდოევროპულ ენებთან სიახლოვეს ამჟღავნებს ბრუნების ფლექსიურ ტიპში, მთელ რიგ ზმნურ ფორმებში და სინტაქსში. დეეტერსის კონცეფციით, ქართველებს ოდესღაც ინდოევროპული მასის ენობრივი ასიმილაცია მოუხდენიათ. აქ იგი იშველიებს ისტორიულ ამბებს: VIII—VI საუკუ-

ნეებში (ძვ. წ.) ხომ ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ ინდოევროპელი სკვითები და კიმერიელები, — ეს იმ დროის ამბავიაო.

ანალოგიური დასკვნები აქვს მიღებული გ. მაჭავარიანს. მისი აზრით, ქართველური ენების ფუძეენა (ე. ი. უძველესი ქართული ენა) ავლენს ტიპოლოგიურად პარალელებს ინდოევროპულ ფუძეენასთან (ე. ი. უძველეს ევროპულ ენასთან). ეს არის შედეგი ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტებისა, რაც უძველეს ხანაში არსებობდა საერთოქართველურ დონეზე ქართველებსა და ინდოევროპელებს შორისო. ამავე თეზისს ავითარებს თ. გამყრელიძე. მისი აზრით, ინდოევროპულ-ქართველური შეხვედრები ადასტურებენ ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის არსებულ მჭიდრო კონტაქტებს, რაც თავის მხრივ ადასტურებს ისტორიულად ინდოევროპელი ტომების შეჭრას მცირე აზიაში კავკასიის გზით. ჯერ კიდევ ადრე ზომერმა გამოთქვა ასეთი აზრი, დამყარებული კულტურულ-ისტორიული ხასიათის არგუმენტებზე.

ახლა ჩვენ გავეცნოთ „ქართველური ენების“ (საკუთრივ ქართულის, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის) ისტორიულ ურთიერთობას და უძველეს სახეს.

ოცდაათიან წლებში ცნობილმა ლინგვისტმა გ. დეეტერსმა მოგვცა ქართველურ ენათა გენეალოგიის ასეთი სქემა:



სქემიდან ჩანს, რომ თანამედროვე საკუთრივ ქართული (ნ. მარის მიერ დამკვიდრებული ტერმინოლოგიით — „ქართების“ ენა), მეგრულ-ლაზური და სვანური მომდინარეობენ ერთი საერთო წი-

ნაპარი ენისაგან, რომელიც უძველესი ქართული ენაა. ოთხივე ლინგვისტური წევრი ამ ჯგუფისა (უფრო ზუსტად: სამი წევრი, რადგან ჭანური და მეგრული ერთმანეთის მიმართ მსხვილი დიალექტებია და ისინი, როგორც ზემოთ ითქვა, „ზანურის“ ანდა „კოლხურის“ სახელით არის დღეს ცნობილი) ერთმანეთის მიმართ ოდესღაც დიალექტალურ ურთიერთობაში იყვნენ, შემდეგ მომხდარა მათი გადაზრდა ენებში. მიუხედავად ამისა, ამ „ქართველური ენების“ ერთობა სრულიად უდავოა.

ეს სქემა გულისხმობს, რომ საერთო ქართველური ფუძეენის დაყოფა დამოუკიდებელ ენებად განხორციელდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ფუძეენა გაიყო სვანურად და ქართულ-ზანურად. ე. ი. ერთი მხრივ, მივიღეთ სვანური და, მეორე მხრივ, ქართულ-მეგრულ-ჭანური (ერთად). მეორე ეტაპზე ქართულ-ზანური საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად ორი ერთეული — ქართული და ზანური ჩამოყალიბდა.

დეეტერსის კონცეფციას იზიარებს პროფ. კ. შმიდტი თავის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (1962 წ.).

პროფ. გ. კლიმოვი, რომელმაც 1964 წელს მოსკოვში გამოსცა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, დაასკვნის, ლექსიკის შესწავლა ადასტურებს დეეტერსის სქემის სისწორესო.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის სიტყვით, თუ მორფოლოგიურ და ლექსიკურ კრიტერიუმებს დავემყარებით, უნდა დავასკვნათ, რომ გ. დეეტერსის სქემა უფრო ადეკვატურად ასახავს ობიექტურად არსებულ მიმართებებს ისტორიულ ქართველურ ენებს შორის.

სანამ გავეცნობოდეთ საკითხს, თუ როგორ ესმით მკვლევრებს ქართველურ ენათა დიფერენციაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები, საჭიროა განვიხილოთ ამ ენათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ არსებული განსხვავებული ასპექტები.

ასეთი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა არნ. ჩიქობავამ ჯერ კიდევ 1948 წელს ნაშრომში, რომელიც შეეხება ქართველურ ენათა ისტორიულ შემადგენლობას და ძველ ლინგვისტურ ბუნებას.

თუ სპეციალურ ლიტერატურაში ქართველურ ენათათვის ამოსავლად ჩვეულებრივ მიიჩნიათ „პრექართველური ენა“, ერთგვარი დაუნაწევრებელი სუბსტრატი, არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ

ქართველური ენებისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა. რომელია ეს ძველი ქართული ენა, როგორია მისი ლინგვისტური პროფილი, როგორი იყო მისი დიალექტობრივი შემადგენლობა? ეს უნდა ამოვიკითხოთ ძველი სამწერლობო ქართული ენისა და თანამედროვე დიალექტების ჩვენებებში.

ხოლო ძველი ქართული სამწერლობო ენა კი, როგორც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა), რთული შემადგენლობისაა, იგი არ არის მონოლითური. მორფოლოგიაშიც და ფონეტიკაშიც დარღვეულია სხვადასხვაგვარი ნორმები. გამოწვლილვითი ანალიზით (მიკროანალიზით) შეგვიძლია გამოვამჟღავნოთ სინონიმები, რომლებიც სხვადასხვა დიალექტური (ლინგვისტური) ფენებიდან მომდინარეობს.

ძველი ქართული სამწერლობო ენის ამ სხვადასხვა ფენის ანალიზის საფუძველზე არნ. ჩიქობავა ასკვნის, რომ ზანური (მეგრულ-ჭანური) ენა მომდინარეობს ერთ-ერთი დიალექტიდან, რომელიც ძველი ქართული სალიტერატურო ენის შემადგენლობას გამოეყო, როგორც ჩანს, ეს იბერიული ჯგუფის დიალექტია. ამდენად, ავტორის აზრით, უნდა მოიხსნას საკითხი ქართველურ ენათა წრეში ზანურის დამოუკიდებელი ლინგვისტური საწყისის შესახებ. ზანური ძველი ქართული (ან ძველიბერიული) საწყისის ერთ-ერთი დიალექტის ტრანსფორმაციადაა მიჩნეული.

რაც შეეხება სვანურს, არნ. ჩიქობავა იზიარებს ნ. მარის თეზისს მისი ნარევობის შესახებ. საკითხი შეეხება მხოლოდ იმას, თუ როგორია სვანური ენის შექმნაში მონაწილე კომპონენტები, როდის და რა თანმიმდევრობით ხდებოდა მათი შემოჭრა იმ ენაში, რომელიც სვანურის სახელწოდებითაა ცნობილი. რამდენადაც საკითხი ქართველურ ენათა უძველეს შემადგენლობაში მყოფ დამოუკიდებელ ლინგვისტურ წევრებს ეხება, სვანური ენა მხედველობაში ვერ მიიღება. იგი რთული ისტორიული პროცესის — ზანურის, ძველი ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტისა და ადიღეური ენის შეჯვარების პროცესის — წარმონაქმნია.

ამგვარად, არნ. ჩიქობავას კონცეფციით ყურადღების ცენტრში ძველი ქართული ენაა. ავტორი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ზა-

ნური ან სვანური ძველი ქართული სამწერლობო ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენდეს. მისი დიფერენციაცია მოხდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ძველი ქართული ენა ისეთ სახეს მიიღებდა, რომელიც ჩვენთვის ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლებიდანაა ცნობილი. და თუ ამ თეორიის ავტორი ძველ ქართულს მიმართავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში გარკვეული ფენების. თუ გადმონაშთების სახით წარმოდგენილია ის დიალექტური (ენობრივი) ერთეულები, რომელთაგანაც გაწშტოვდნენ ზანური ენა და სვანური ენის ერთი ძირითადი ფენა.

რ ო დ ი ს უ ნ დ ა მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო უ ძ ვ ე ლ ე ს ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს (ამ ცნების ფართო მნიშვნელობით) შ ი ნ ა გ ა ნ ი დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა, ც ა ლ კ ე უ ლ ე რ თ ე უ ლ ე ბ ა დ დ ა შ ლ ა?

სანამ ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა ითქვას, რომ უკანასკნელი ხანის ძიებებმა ახლებურად გააშუქეს ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობის საკითხი და მოგვცეს სრულიად ორიგინალური გადაწყვეტა ამ ენათა რეკონსტრუქციისა ფონოლოგიური და მორფოლოგიური შესწავლის პლანში. აქ იგულისხმება აბლაუტისა და სონანტების შესახებ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია.

მოსახერხებელია თუ არა გავიგოთ, როდის მოხდა ქართველური ენების დიფერენციაცია, ე. ი. როდის გამოეყო საერთოქართულს სვანური და მეგრულ-ჭანური ერთეულები?

ბერძენმა ავტორებმა, სამწუხაროდ, არ დაგვიტოვეს რაიმე ცნობები, რომლებიც მიგვახვედრებდნენ და გაგვაგებინებდნენ ქართველური ენების ურთიერთობის ამსახველ ამბებს. არც სხვა ძველ წყაროებშია პირდაპირი მითითება ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. რაკი პირდაპირი საბუთები არ გაგვაჩნია, მეცნიერებამ უნდა მიმართოს სხვა საშუალებებს, რათა აღადგინოს ძველი ეტაპები ქართული ენის განვითარებისა.

ამ საგანზე ძალიან საყურადღებო დაკვირვებებია გამოთქმული ქართველურ ენათმეცნიერებაში.

ჰანს ფოგტი აღნიშნავს, რომ ქართული სამწერლობო ენა უკვე ფაქტია V საუკუნეში. ამ ეპოქაში ჩვენ ვხვდებით ძველ სომ-

ხურ ტექსტებსაც. ამ დროს უკვე ქართული ენა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით განსხვავდებოდა ზანური და სვანური ენებისაგან. ამასთანავე, განაგრძობს ფოგტი, ძველი სომხური ენა თავის პირველსავე ტექსტებში შეიცავს მრავალ სესხებას ქართველური ენებისაგან, რომლებსაც უკვე ამ დროისათვის ჰქონდათ ერთმანეთისაგან ფონეტიკური განსხვავებანი, რაც დღესაც ახასიათებს ამ ენებს. საილუსტრაციოდ ნორვეგიელი მეცნიერი ასახელებს ბუზის სომხურ სახელწოდებას — „ჭანჯ“ რომელიც მომდინარეობს ამავე ცნების აღმნიშვნელი მეგრული სიტყვისაგან „ჭანჩ“ (რომ ეს სიტყვა სომხურში ნასესხებია მეგრული ფორმით, ეს ცხადყო ნ. მარმა). ეს ფორმა თავის მხრივ ზუსტი შესატყვისია ქართული სიტყვისა „მწერი“. მეგრული ფორმა მეორეულია, პირველადია — ქართული. ესაა კიდევ ერთი უტყუარი საბუთი იმისა, რომ V საუკუნეში (ძვ. წ.) ქართულ-მეგრულის დიფერენციაცია უკვე ფაქტია.

ამრიგად, V საუკუნე ეს არის ქართველური ენების დაყოფის terminus ante quem non.

მაგრამ ჩვენ უნდა შევიჭრეთ ისტორიის სიღრმეში და მივწვდეთ უფრო ძველ ეპოქებს, როდესაც ჩაისახა „უძველესი ქართული ენის“ ცალკეულ ლინგვისტურ ერთეულებად დაშლის პროცესები!

იგივე ცნობილი ნორვეგიელი ლინგვისტი ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებას. დასავლეთ საქართველოში არსებულ ერთ-ერთ ქალაქს „ფოთ“-ს ძველი ბერძნები უწოდებდნენ „ფაზის“-ს; VIII—VII საუკუნეებში იგი ბერძენთა ახალშენი იყო. „ფაზისი“ არაა ბერძნული წარმოშობის სიტყვა, იგი ადგილობრივი სახელწოდების გადაკეთებაა: „ფაზის“ მოდის სახელისაგან „ფათი“ (Patis). რატომაა ამოსავალი „ფათი“ და არა „ფოთი“? იმიტომ, რომ კანონი — ქართული „ა“-ს გადასვლა მეგრულ „ო“-ში (დღევანდელი ნორმის მიხედვით, ქართულ „ა“-ს ფონეტიკურად შეესატყვისება მეგრ. „ო“) მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა ძალაში. მაშასადამე, ქართული და მეგრული არ იყვნენ დიფერენცირებული ჯერ კიდევ VIII საუკუნეში (ძვ. წ.), ეს დიფერენციაცია შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ამ ჰიპოთეზას იზიარებენ კ. შმიდტი და გ. კლიმოვი.

ს. ჯანაშიამ შენიშნა, რომ სომხურ წყაროებში მოცემული ფორმის „ფოჯთ||ფუჯთ“ (pojt||pujt) შესაძლებელ პროტოტიპად „ფოსთ“ უნდა ვიგულისხმოთ, რაც თავის მხრივ ბერძნული სახელის ფუქესთან „ფასიდ“ (pasid) მსგავსებას აჩენსო.

გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ ბერძნული ფორმა მომდინარეობს სვანური ფენიდან, რაც იმის მომასწავებელია, რომ VIII—VI საუკუნეებში, ბერძნული ახალშენების გაჩენის დროს, იმ ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობა ყოფილა.

ქართველური ენების დიფერენციაციის ქრონოლოგიის დასადგენად მკვლევრებმა გამოიყენეს ლექსიკურ-სტატისტიკური (ე. წ. გლოტოქრონოლოგიური) მეთოდი.

გ. კლიმოვის მიერ ჩატარებული გამოთვლა ქართველურ ენათა დიფერენციაციის აბსოლუტური ქრონოლოგიისა (100—სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით) ასეთ შედეგს იძლევა: II ათასწლეულის (ძვ. წ.) შემდეგ უნდა დაწყებულიყო სვანურის გამოყოფა საერთო ქართული ფუძეენიდან; ქართულ-ზანურის დიფერენციაცია კი VIII საუკუნეს განეკუთვნება.

ამავე მეთოდით ჩაატარეს გამოთვლა 200-სიტყვიანი სიის მიხედვით თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა. მიღებულია სხვაგვარი აბსოლუტური თარიღები: სვანურის გამოყოფა თარიღდება დაახლოებით X საუკუნით (ძვ. წ.), ქართულ-ზანურის დიფერენციაცია — ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით გლოტოქრონოლოგიის მეთოდი საერთოდ სრულყოფილი არ არის, მაგრამ მაინც სიმპტომატურია ქართველურ დიალექტთა დიფერენციაციის რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული, ლექსიკურ-სტატისტიკური ანალიზის შედეგები: ორსავე შემთხვევაში ვიღებთ ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ მანძილს სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის, ჩამოყალიბებასა და ქართულ-ზანური ერთიანობის დიფერენციაციას შორის: ორივე გამოთვლის მიხედვით, სვანურის საერთოქართველურისაგან გამოყოფა დაახლოებით ერთი ათასწლეულით წინ უსწრებს ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლას.

ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ უმთავრე-

სად ეთნონიმიკის მონაცემების საფუძველზე გ. მელიქიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უკვე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე: უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძეენა, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბის განსხვავებანი თუ იყო ჩასახული. იგივე მეცნიერი იზიარებს მეგრულ-ჭანურის (ზანურის) ერთობის დაშლის თარიღსაც (VIII ს. ძვ. წ.).

რა მოგვცა ქართველურ ენათა წინაპარი საერთოქართული ენის რეკონსტრუქციის ცდებმა, როგორია მისი პროფილი? ცხადია, ჩვენი მსჯელობა ამ მიმართულებით მიახლოებითია და ზოგადი ხასიათისა.

ეტიმოლოგიურმა ძიებებმა შემდეგი სურათი მოგვცეს:

საერთოქართველურ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, კოსმოსური ტერმინოლოგია და ბუნებრივ მოვლენათა სახელწოდებები, ადამიანისა და პირუტყვების სხეულის აღმნიშვნელი სიტყვები, გარეული და შინაური ცხოველების, ფრინველთა, ხეებისა და მცენარეების სახელები. აქვე შემოდის სხვადასხვა მოქმედებისა და მდგომარეობის, თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები, „რძე“, „ყველი“, „მარილი“ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე ათამდე თვლის ტერმინოლოგია, აგრეთვე „ასი“, ნაცვალსახელები („მე“, „შენ“, „ეს“ და სხვ.).

ამ კატეგორიის სიტყვები უნდა არსებულიყო იმ უძველეს ქართულ ენაში, რომელიც წინ უსწრებდა დღევანდელ საკუთრივ ქართულს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს. ეს დასკვნები მიღებულია კლიმოვის და შმიდტის შედარებითი ლექსიკონის მიხედვით ცალკეული ეტიმოლოგიური დაკვირვებების შედეგად.

უძველესი საერთოქართველური ლექსიკური ფონდის ანალიზის საფუძველზე კეთდება მნიშვნელოვანი დასკვნები ისტორიული ხასიათისა; ქართველთა უძველესი ადგილსამყოფელის პრობლემის გარკვევისათვის ამგვარი ძიებებით მოპოვებულ მასალას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ასე, მაგალითად, საერთოქართველურ დონეზე ივარაუდება მცენარეული სახელები: „ანწლი“, „პანტა“, „გვიმრა“, „ვაშლი“, „ვერხვი“, „მარწყვი“, „მსხალი“, „ზღმარტლი“, „სოკო“, „ცაცხვი“, „წიფელი“, „წყა-

ვი“ და სხვ. ასევე გამოვლენილია უძველესი ქართული სახელწოდებები „არჩვისა“, „დათვისა“, „ქვერნისა“, „თხისა“, „ვაცისა“, „ორბისა“, „მელიის“ და სხვ.

ასეთი ფლორა და ფაუნა კარგად ეგუება კავკასიის მიწა-წყალს, უფრო მეტად მის მთიან ზოლს. ამიტომაც ამ დროისათვის მაინც ქართველური ჯგუფის ადგილსამყოფელი თამამად შეიძლება კავკასიისავე მიწა-წყალზე ვივარაუდოთ, ამბობს გ. მელიქიშვილი. ზოგიერთი საერთოქართველური ტერმინის მიხედვით („ზვავი“ ან „მარწყვი“) უძველეს ქართველთა ადგილსამყოფელს კავკასიონის მთავარი ქედის ზონაშიც კი ვარაუდობენ (გ. კლიმოვი). ტერმინოლოგიური ანალიზით შეიმჩნევა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში მიწათმოქმედების სწრაფი დაწინაურება, მევენახეობის განვითარება, მესაქონლეობაში წვრილფეხა საქონლის ხვედრითი წონის მკვეთრი ზრდა, მეცხვნეობის განვითარება და სხვ.

ქართული ანბანის წარმოშობა

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს დამწერლობათა შემდეგი სისტემები:

1. ლ ა თ ი ნ უ რ ი ს საფუძველზე შედგენილი ანბანები: ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნები, აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა, აზიის ზოგიერთი ქვეყანა: თურქეთი, ინდონეზია, ნაწილობრივ ფილიპინები;

2. სლ ა ვ უ რ-კ ი რ ი ლ უ რ საფუძველზე შედგენილი ანბანები: სსრკ (გარდა საქართველოსი, სომხეთისა, ლიტვისა, ლატვიისა, ესტონეთისა), ბულგარეთი, იუგოსლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა;

3. ა რ ა ბ უ ლ ი ს საფუძველზე შედგენილი ანბანები: არაბეთის ქვეყნები (ეგვიპტე, სირია, იორდანია, ლივანი, ერაყი, მაროკო, ტუნისი და სხვ.), ირანი, ავღანისტანი, ჩინეთი და სხვ.

4. ი ნ დ უ რ ი მარცვლოვანი დამწერლობის საფუძველზე შედგენილი ანბანები: ინდოეთი, ინდო-ჩინეთის დიდი ნაწილი, ცეილონი;

5. ჩ ი ნ ე თ ი ს ლოგოგრაფიული დამწერლობა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (გარდა ტიბეტისა, სინძიანისა და ჩინეთის მონღოლეთისა).

6. ი ა პ ო ნ უ რ ი ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი დამწერლობა (ისტორიულად მომდინარეობს ჩინურისაგან);

7. კ ო რ ე უ ლ ი ლიგატურულ-ბგერობრივი დამწერლობა;

8. ეთიოპიური მარცვლოვანი დამწერლობა;
9. ბერძნული,
10. ქართული,
11. სომხური,
12. ებრაული,
13. მონღოლური (ჩინეთის მონღოლეთში),
14. სირიული.

როგორც ვხედავთ, ქართულ ანბანს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ანბანთა ცნობილ სისტემებში.

ქართული ანბანის რეალური ისტორია იწყება V საუკუნის პირველი ნახევრიდან (ჩვ. წ.) ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით. მეცნიერებაში საკმაოდ დასაბუთებულია აზრი, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული ალფაბეტი უნდა წარმოშობილიყო ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში.

ვიდრე გავეცნობოდეთ ქართული ანბანის რეალურ ისტორიას, საჭიროა გავეცნოთ ჰიპოთეზებს, რომელთა მიხედვითაც ქართველ ტომებს დამწერლობა ჰქონიათ ძალიან ძველ ხანაში.

გარდა იმისა, რომ ქართულ ენაში კითხვისა და ასოს აღმნიშვნელი ტერმინები („კითხვა", „ასო") ძველისძველ ტერმინებად ჩანან, ინტერესს იწვევს წერის აღმნიშვნელი სახელი „წერა". იგი თავდაპირველად ჭრას, კვეთას ნიშნავდა. აქედანაა „წერაქვი", ე. ი. ქვის საჭრელი, საკვეთი. „წერა" ხვნის მნიშვნელობით („მიწის ჭრა, კვეთა") მთლიან საქართველოში და „წერეული" — ყანის ნაკრეფი, შეკონილი, „საწერელი", ე. ი. მჭამელი, მჭრელი, თითის ერთგვარი ავადმყოფობა ნათლად ადასტურებს „წერა" სიტყვის ამ ეტიმოლოგიის სისწორეს (ს. ჯანაშია). იგივე ტერმინები გვიხსნიან წერასთან დაკავშირებული მეორე ტერმინის წარმოშობას. ესაა „წერტილი", რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან „წერტა". ეს უკანასკნელიც ნიშნავს ჩხვლეტას, ამოკვეთას, ჩაჭრას. მაშასადამე, ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო პროცესი რაიმე მაგარ საგანზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთისა.

ეს ტერმინები ქართველთა უძველესი წინაპრების დამწერლობაზე უნდა მიუთითებდეს, როცა ლურსმული წერა იყო გავრცელებული.

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობები და, მეორე მხრივ, უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები საბუთს იძლევიან ვივარაუდოთ, რომ უძველეს ქართველ ტომებს, რომლებიც უდავოდ მაღალ კულტურულ დონეზე იდგნენ, ჰქონდათ დამწერლობა. აკად. შ. ამირანაშვილი თავის წერილში „საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები“ (1961 წ.) სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ „ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის განვითარების მაღალი მხატვრული დონე უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის (საქართველოს. შ. ძ.) მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა“. პროფ. ბ. კუფტინმა აღმოაჩინა ფიალა სიმბოლური ნიშნებით, რომლებიც პიქტოგრამულ დამწერლობას უკავშირდება და პროტოელამურ ნიშნებს ემსგავსება. ფიქრობენ, რომ ეს ნიშნები ქართველთა უძველესი ტომის — ტაბალების (ტიბარენების, იბერების) მიერ შექმნილი ხატოვანი დამწერლობა იყო (გ. გობეჯიშვილი). პიქტოგრაფიული ხასიათისავე უნდა იყოს 196C წ. ტ. ჩუბინიშვილის მიერ ჯავახეთში აღმოჩენილ ჭურჭელზე აღნიშნული ნიშნები, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით (შ. ამირანაშვილი).

ასეთივე აღმოჩენები საქართველოში სხვაცაა, მაგრამ მათზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ძველ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ.

როგორც ვიცით, ბერძნები კოლხებს მდიდარი კულტურის ტომად მიიჩნევდნენ. მრავალთაგან დავიმოწმოთ მხოლოდ ერთი ცნობა.

აგათია სქოლასტიკოსი, ახასიათებს რა ერთ-ერთ ქართველ ტომს, ლაზებს, ამბობს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ: ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე

ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ" (გეორგიკა, III, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა).

ასეთია კოლხ-ლაზების ცხოვრების შეფასება ანტიკური ხანის ავტორის მიერ (დასავლეთ საქართველოს, როგორც ვიცით, ჯერ კ ო ლ ხ ი დ ა ეწოდებოდა, დაახლოებით I საუკუნეებიდან — ლ ა ზ ი კ ა).

ბერძნულ წყაროებში მოიპოვება ცნობები კოლხური (ე. ი. ქართული) უძველესი დამწერლობის შესახებ.

კლასიკური ფილოლოგიის დოქტორს, პროფ. ა. ურუშაძეს თავის ძალიან საყურადღებო წიგნში არგონავტების შესახებ თავმოყრილი აქვს ძველ კოლხთა დამწერლობის ამსახველი ცნობები ანტიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების მიხედვით.

კოლხური დამწერლობის თაობაზე ბერძნულ წყაროებში ორი სახის ცნობა მოიპოვება. ერთია ელინისტური ხანის ანონიმური ავტორისა და ახ. წ. II საუკუნის ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ხარაქს პერგამონელის ცნობები. მეორე სახისაა უფრო ადრინდელი, ცნობა კვირბებზე („კვირბები" — უმთავრესად მაგარ ნივთიერებაზე შესრულებული წარწერები).

ამ ძველ წყაროებში ნათქვამია: „ხარაქსი ამბობს, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროს დამწერლობისა, რომლის გამოც, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს" ლაშქრობა მოეწყო"; „კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით". ახ. წ. VII ს. ისტორიკოსი, „მსოფლიო ქრონიკის" ავტორი იოანე ანტიოქიელი ამბობს: „იასონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ე. წ. ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი ტყავებზე ნაწერი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით". ეგევე ცნობაა X ს-ის ლექსიკონში სიტყვის — „საწმისის" ქვეშ: „ოქროს ბეწ-

ვიანი საწმისი, რომელიც იასონმა და არგონავტებმა მოიპოვეს, როდესაც პონტოს ზღვით კოლხეთში მივიდნენ... ეს იყო ტყავებზე დაწერილი წიგნი...“

სხვა ცნობებს აქ არ დავიმოწმებთ.

უაღრესად საინტერესოა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (IV ს.) მოწოდებული ცნობები. ყურადღებას იპყრობს გადმოცემა კვირბებზე. „იგი პირველი ცნობაა ძველ ქართველ ტომებში (კოლხებში) არსებული დამწერლობის შესახებ“ (ურუშაძე). არგოსი კოლხეთიდან ელადისაკენ მიმავალ არგონავტებს მოუთხრობს აიას (კოლხიდის) დაარსების ამბავს და დასძენს, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ამრიგად, კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათაგან ნაწერი“) სამანძილო კვირბების სახით. ამგვარ კვირბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ და კოლხები მათ პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ — მოგზაურთათვის კვირბებზე აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის გზებისა და საზღვრების მდებარეობას. ცნობილი გეოგრაფი რიტერი ამბობს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონება სრულიადაც არ ეკუთვნით ბერძნებს. მას ბევრად უფრო ადრე ხმარობდნენ კოლხეთის ვაჭრები“.

●

ქართული ანბანი, რომელიც ამჟამად იხმარება, „მხედრული ანბანის“ სახელითაა ცნობილი. თანამედროვე ქართული ასოების დაწერილობა უკვე XI საუკუნეში ჩაისახა. XI საუკუნემდე კი ჩვენი ქართული ასოები სხვაგვარი მოყვანილობისა იყო. მხედრული დაწერილობა მისგან არის განვითარებული. ამ წინა საფეხურის ასოთა დაწერილობას ნუსხა-ხუცურის სახელით ვიცნობთ. ნუსხა-ხუცური, თავის მხრივ, განვითარებაა, გაგრძელებაა წინა საფეხურისა, ე. წ. მრგლოვანი ასოებისა. მრგლოვანისაგან ნუსხა-ხუცური (ანუ მოკლედ: ნუსხური) უკვე მეცხრე საუკუნეში განსხვავდა.

ამრიგად, ქართულ ანბანს განვითარების სამი საფეხური გა-

უვლია: პირველი საფეხურია მრგლოვანი, რომელსაც ვიცნობთ მეხუთე საუკუნის ძეგლებიდან მოყოლებული, ვიდრე მეცხრე საუკუნემდის. ესაა ძ ვ ე ლ ი საფეხური. მეორე საფეხურია ნუსხური, რომელსაც ვიცნობთ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნემდის. ესაა ს ა შ უ ა ლ ო საფეხური. მესამე საფეხურია მხედრული, რომელსაც ვიცნობთ მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდის. ესაა ა ხ ა ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი.

ზემოთ ვთქვით, რომ ქართული ანბანის განვითარების სამი სახეობა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრგლოვანი დამწერლობა შემდეგ საუკუნეებშიც არ გვხვდებოდეს, ასევე — ნუსხურიც. არა, ქართული შრიფტის სახეობები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა მეცხრე საუკუნის შემდეგაც, ოღონდ განსაზღვრული იყო მათი გამოყენების არე: მრგლოვანს სულ ბოლო დრომდის ხმარობდნენ წარწერებისათვის (ქვებზე, კედლებზე) და სათაურებისათვის წიგნებში. ნუსხური უმთავრესად გამოყენებული იყო საეკლესიო წიგნების ძირითადი ტექსტისათვის. ე. ი. მრგლოვანი და ნუსხური ბოლომდის შერჩა ეკლესიას, ამიტომ დაარქვეს მათ „ხუცური“. ტერმინი „მხედრული“ იმაზე მიუთითებდა, რომ ეს შრიფტი სამოქალაქო საჭიროებისათვის იყო გამოყენებული.

მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული ერთი შეხედვით სხვადასხვა ანბანად მოგვეჩვენება, მაგრამ, როგორც მეცნიერულმა დაკვირვებებმა გამოარკვია, მეორე პირველის განვითარებაა, მესამე — მეორისა. ეს გარემოება ცხადყო ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც გაითვალისწინა ამ სახეობების გარდამავალი საფეხურები და ქართული შრიფტის ერთიანობა დაასაბუთა. იყო სხვა მოსაზრებაც: მხედრული დამოუკიდებელი დაწერილობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვსო. ეს მოსაზრება გამოთქვა ნ. მარმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული პალეოგრაფია ძირფესვიანად არ იყო შესწავლილი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწერა ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებელი წიგნი: „ქართული პალეოგრაფია“ (1926). აქ კი ნაჩვენებია, თუ რა ევოლუცია განიცადა ქართულმა ასოებმა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული დღემდის.

ვიდრე გადავიდოდეთ საკითხებზე, თუ როგორია გენეზისი

ქართული ანბანისა, უნდა ვიკითხოთ: რა ხნოვანებისაა ის ქართული დამწერლობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ; ქართული ანბანი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის წარმონაქმნია თუ მას ფესვები შორეულ წარსულში აქვს.

როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლები დღესდღეობით არ მოგვეპოვება: უტყუარი წერილობითი ძეგლები მხოლოდ ამ საუკუნიდან გვაქვს. ამრიგად, რეალური ისტორია ქართული მწიგნობრობისა აქედან იწყება.

ქართული ენის უძველესი ძეგლებია: პალესტინის წარწერები V საუკუნის დასაწყისი ხანისა, ბოლნისის წარწერები V საუკუნის მიწურულისა, მცხეთის წარწერები VI და VII საუკუნეების მიჯნისა, ე. წ. ხანმეტი ძეგლები (სახარების ტექსტები) V—VII სს. (დაცული თბილისში, ოქსფორდსა და კემბრიჯში), ე. წ. ხანმეტი ლექციონარი VI—VII სს. (ძველად ინახებოდა სინას მთაზე, ამჟამად ავსტრიაშია დაცული, გრაცის უნივერსიტეტში). ეს წარწერები თუ ხელნაწერები უთარიღოა. ისინი დაათარიღეს ჩვენმა მეცნიერებმა საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად. პირველი თარიღიანი წარწერა 616—619 წლებისაა (ესაა ჰაემეტი წარწერა, სამცხიდან). ზემოხსენებულ ძეგლებს მოჰყვება მთელი წყება თარიღიანი თუ შემდეგ დათარიღებული წერილობითი ძეგლებისა.

უკანასკნელ დრომდის ჩვენამდის მოღწეული პირველი ქართული წარწერა (ბოლნისის ტაძარზე შესრულებული; ბოლნისი თბილისიდან 60 კილომეტრითაა დაშორებული) განეკუთვნება 493—494 წლებს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს წარწერა იმდენად ჩამოკვეთილია და ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია იგი მივიჩნიოთ პირველ ქართულ ნაწერ ძეგლადო; უთუოდ მრგლოვან დამწერლობას განვითარების გრძელი გზა უნდა გაევლოო. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა ნაწერის სრულყოფილობა პალეოგრაფიული თვალსაზრისით. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ ქართული დამწერლობის განვითარებას შესწავლა მისი წარმოშობიდან კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ იმ დროიდან, როდესაც მას უკვე განვითარების რამდენიმე, სულ ცოტა, ორი დიდი საფეხური განვლილი ჰქონდაო. ეს იყო 1926 წელს.

ამის შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში (პალესტინა, სირია, ეგვიპტე) აღმოჩენილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც მეტყველებენ ჩვენი წინაპრების კულტურულ-შემოქმედებითს მუშაობაზე ადრინდელ საუკუნეებში. ეს ძეგლებია — ცამეტი ეკლესია და მონასტერი. ეგვიპტის უდაბნოში აღმოჩნდა V საუკუნეში პეტრე ივერის მიერ აგებული ეკლესია. იტალიელმა მეცნიერმა კორბომ პალესტინაში აღმოაჩინა მონასტერი ქართული წარწერებით, რასაც თავისთავად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის თვალსაზრისით.

თუ ამ აღმოჩენებამდე უძველეს ქართულ წარწერად ითვლებოდა ბოლნისის წარწერა 493-94 წლისა, ამიერიდან მეცნიერებას შეემატა უძველესი ქართული წარწერა, რომელიც ნახევარი საუკუნით უსწრებს ბოლნისის წარწერას. პალესტინის წარწერები მეცნიერულად გამოიკვლია აკადემიკოსმა გ. წერეთელმა და ცხადყო, რომ ვარაუდი ქართული დამწერლობის არსებობისა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო დამაჯერებელია.

„პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით ჩვენ მივადექით იმ მიჯნას, რომლის იქით, ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ ისიც საქართველოდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში, როგორც პალესტინაა,... ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს. V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა... ამჟამად უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს“ (გ. წერეთელი).

ამრიგად, ირკვევა, რომ, მართალია, ქართული ანბანი რეალურად V საუკუნის დასაწყისიდან არსებობს, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ძველი წარმონაქმნია, მისი წარმოშობა წარმართობის ხანის სიღრმეში უნდა ვივარაუდოთ. რა ვუყოთ, რომ ძველი ძეგლები არ შენახულა!

ასეთია დღევანდელი მეცნიერების ეჭვმიუტანელი დასკვნა ამ საკითხზე.

ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებელია იმიტომაც, რომ, როცა ვმსჯელობთ ქართული ანბანის გენეზისზე და ვუდარებთ მას სხვა ტიპის ანბანებს, სამწუხაროდ, არა გვაქვს სა-

შეუალება კვლევა-ძიებაში მოვიშველიოთ V საუკუნის წინანდელი ქართული ანბანის მოხაზულობა. ჩვენი ანბანის თავდაპირველი დაწერილობა რომ ვიცოდეთ, მაშინ უფრო გაადვილდებოდა მსოფლიოს უძველეს ანბანებთან მისი შედარება და დაკავშირება. ძველს ძველი უნდა შეუდარო!

როგორ დგას მეცნიერებაში საკითხი დღევანდლამდის მოღწეული ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ?

ძველ საქართველოში ეს საკითხი წამოჭრა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა (XI საუკ.). ქართული მწიგნობრობა მან ქართველთა მეფის ფარნავაზის შემოღებულად მიიჩნია.

ლეონტი მროველი ამბობს:

„... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ („ქართლის ცხოვრება“).

ეს ცნობა მეთერთმეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა დღევანდლამდე არ იყო მეცნიერებაში ჯეროვნად შეფასებული. განა არსებობს რაიმე მტკიცე საბუთი იმისა, რომ არ დავუჯეროთ ათასასი წლის წინანდელ ცნობას? უკანასკნელი ხანის მეცნიერული ძიებები ადასტურებენ, რომ ლეონტი მროველის ცნობა ანგარიშგასაწევია და სხვა საბუთებით შემაგრებული, — ამდენად, სარწმუნო და უაღრესად მნიშვნელოვანი (რ. პატარიძე, ჟურნ. „მნათობი“, 1972, №№ 1, 2, 3, 4, 5).

რა ირკვევა?

„ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერში ლეონტი მროველის ზემოთ მოცემულ კონტექსტს ახლავს მოგვიანო ხანის კომენტარი, რომლის გაშიფვრის საფუძველზე მიღებულია დასკვნა: ქართული დამწერლობა (ქართული ასომთავრული) შექმნილია არა უადრეს 403 წლისა (ძველი წელთაღრიცხვით), როცა საბოლოოდ ყალიბდება კლასიკური ბერძნული დამწერლობა, და არა უგვიანეს 284 წლისა (ძვ. წ.), როცა ქართული ასომთავრული უკვე შემოღებულია, როგორც სახელმწიფო დამწერლობა. მაშ, ვღებულობთ ქართული დამწერლობის შექმნის მიახლოებითს თარიღს 403 წ. ძვ. წ. და არა უგვიანეს 284 წ. ძვ. წ.

ამრიგად, ჩვენი ცნობილი მეცნიერების ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, გ. წერეთლის მიერ გამოთქმული უეჭველი ვარაუდები, დაფუძნებული კულტურულ-ისტორიული და პალეოგრაფიული მასალის ღრმა გააზრებაზე, რომ ქართული დამწერლობა უნდა იწყებოდეს არა ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან, არამედ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, — კიდევ უფრო გამაგრებულია მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ცნობასთან დაკავშირებული ახალი მასალების ანალიზითაც.

არსებობს სომხური ლეგენდა ქართული ანბანის წარმოშობის თაობაზე. ვითომ ქართული დამწერლობა შექმნა V საუკუნის სომეხმა მოღვაწემ მესროპ-მაშტოცმა. ეს აზრი მიეწერება V საუკუნის ისტორიკოსს კორიუნს, რომელმაც აღწერა მესროპ-მაშტოცის ცხოვრება. თითქოს მესროპ-მაშტოცმა შეუქმნა ანბანი სომხებს, ქართველებს და ალბანელებს (ალბანელები — კავკასიის მკვიდრი ხალხი იყო, რომელიც შემდეგ აირია სხვა კავკასიელ ტომებში და გაქრა). ისტორიკოს კორიუნის თხზულების V საუკუნისეული (ე. ი. თავდაპირველი) ტექსტი არ შენახულა, არსებობს მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში გადაწერილ-გადაკეთებული რედაქციები. ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით და მთელი სიღრმით შეისწავლა ეს საკითხი და დაასკვნა: კორიუნის, როგორც V საუკუნის ავტორის, თხზულების თავდაპირველ რედაქციაში (რომელიც არ შენახულა) არ იქნებოდა საუბარი იმის თაობაზე, რომ მესროპ-მაშტოცმა ქართველებსაც (და ალბანელებსაც) შეუქმნა ანბანიო. საიდან ჩანს ეს? V საუკუნისავე სომეხი ისტორიკოსის ლაზარე პარფელის თხზულებაში, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს კორიუნის ისტორიული თხზულების შინაარსს, ნათქვამია, რომ მესროპ-მაშტოცმა დამწერლობა მხოლოდ სომხებს შეუქმნაო. არის კიდევ სხვა საამისო საბუთებიც, რაზედაც აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ხოლო მომდევნო საუკუნეების სომხურ საისტორიო თხზულებებში რომ წესად იყო წინა საუკუნეების ნაწარმოებებში ცვლილებების, დანართების თუ ახალი გააზრებების შეტანა, ეს ხომ ცნობილიაო, ამბობს ივ. ჯავახიშვილი, და მოჰყავს ამის მაგალითები. ეს ჩართვა კორიუნის თხზულებაში VI საუკუნეში უნდა მომხდარიყოო, ასკვნის ივ. ჯავახიშვილი (ამ აზრს იზიარებს ს. ჯანაშიაც).

სომხურ საისტორიო მწერლობაში ახალი საუკუნეების განწყობილებებისა და ტენდენციების მიხედვით ძველი ტექსტების გადაკეთების ფაქტს ადასტურებდა ისეთი გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსიც, როგორიც იყო პროფესორი ადონცი.

ივ. ჯავახიშვილი ამ საგანზე ვრცლად მსჯელობს წიგნებში: „ქართული პალეოგრაფია“ (1926) და „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (1935).

სომხური ცნობა რომ ლეგენდაა და მომდევნო საუკუნეებში შეთხზული, და იგი არ შეიძლება მივაწეროთ V საუკუნის ავტორს — კორიუნს, უფრო და უფრო ნათელი ხდება ახალი მეცნიერული გამოკვლევებით. 1968 წელს ქართველმა არმენისტმა ზაზა ალექსიძემ გამოსცა „ეპისტოლეთა წიგნი“ (სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით). აქ კიდევ უფრო გაღრმავებულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემა და სრულიად ეჭვმიუტანლად მიღებულია დასკვნა: სომხური ლეგენდა მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ სომხურ საისტორიო მწერლობაში ცნობილი არ ყოფილა ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში. ერთი უმნიშვნელოვანესი სომხური საისტორიო თხზულება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ლეგენდა პოპულარული არ ყოფილა X საუკუნეშიაც.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აკადემიკოსი ნ. მარი მესროპ-მაშტოცს სომხური ანბანის გამომგონებლადაც არ თვლიდა. ნ. მარის მტკიცებით, მესროპ-მაშტოცის დამსახურება ისაა, რომ მან მხოლოდ სრულყოფილი გახადა სირიული წარმოშობის ძველი სომხური დამწერლობა და ბერძნული ნორმების მიხედვით გააწყო. აქვე დავძენთ, რომ კორიუნის თხზულებაში სომხური ანბანის გამოგონების მოთხრობა დანიელ ასურის ანბანის დახასიათებით იწყება. თურმე დანიელ ასურ ეპისკოპოზს სომხური ანბანი შეუდგენია. მაშტოცს არ მოსწონებია ეს ანბანი. შემდეგ იგი ქ. სამოსატში გამგზავრებულა; იქ ერთ მშვენიერ დღეს ღვთაებრივი ხელით გამოსახული სომხური ასოები მოსჩვენებია და ეს ნიშნები სასწრაფოდ ჩაუნიშნავს. შემდეგ ერთი ბერძენი მწიგნობრის დახმარებით ანბანის მოხაზულობა დაუხვეწავს და გაუმართავს.

ზოგიერთი სხვა მეცნიერიც მაშტოცს თვლის არა ასოთა გა-

მომგონებლად, არამედ წინათ არსებული ანბანის მხოლოდ რეფორმატორად.

ამრიგად, ჩვენ გავეცანით ქართული ანბანის წარმომავლობის თაობაზე არსებულ სომხურ ლეგენდას: ჩვენს დროში მიუდგომელ მეცნიერთა შორის ამ ლეგენდას გასავალი არა აქვს.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა და აკად. გ. წერეთელმა ქართული ანბანის კვლევას ისეთი პალეოგრაფიული საფუძველი შეუქმნეს, რომ დღეს ძველი „თეორიები" თუ ლეგენდები, რომლებსაც გასავალი აქვთ ობივატელურ წრეებში, მხოლოდ ღიმილს ჰგვრიან ჭეშმარიტების მაძიებელ ნამდვილ მეცნიერებს.

პირველი ივ. ჯავახიშვილია, რომელმაც მთელი სიღრმით შეისწავლა ქართული ანბანის პრობლემა. 1926 წელს გამოვიდა მისი კაპიტალური წიგნი „ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია".

როცა ორ ანბანს ერთმანეთს ვუდარებთ, ძირითადად ორ კითხვაზე უნდა იქნეს გაცემული პასუხი: 1. როგორია საანალიზო ასოების მოხაზულობა და 2. რა თანმიმდევრობითაა დალაგებული ეს ასოები.

ცნობილია, რომ ანბანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელ ასოს რომელი მოსდევს, ე. ი. განსხვავდებიან ასოთა დალაგების მიხედვით. გამოსარკვევია, აგრეთვე, ასოების რიცხვობრივი მნიშვნელობის საკითხი; სანამ ციფრებს შემოიღებდნენ, რიცხვები ასოების საშუალებით გამოიხატებოდა.

ი. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად სავსებით ეჭვმიუტანელი ხდება, რომ 1. ქართულ-სომხური ასოების მოხაზულობა სხვადასხვაა, 2. ასოთა თანმიმდევრობა სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული, 3. ასოების რიცხვობრივი გამოხატულებაც სხვადასხვა წესს ემორჩილება.

ზოგი მეცნიერი ქართულ ანბანს გენეზისურად უკავშირებს ბერძნულ ანბანს.

ამ აზრს იცავდა ბერძნული პალეოგრაფიის დიდი ავტორიტეტი პროფესორი გარდტჰაუზენი, რომელმაც ეს თეორია წამოაყენა ჯერ კიდევ 1876 წელს (იგივე შეხედულება გაიმეორა მან 1913 წელს თავის კაპიტალურ წიგნში: „ბერძნული პალეოგრაფია"; 1921 წელს მესამეჯერ შეეხო ამ საკითხს).

აზრი ბერძნული ანბანისაგან ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ არ გაიზიარა მარკვარტმა. 1917 წელს მან გერმანიაში გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი, სადაც გაკრიტიკებულია გარდტჰაუზენის დებულებები. ასეთივე აზრისაა მეორე გერმანელი მეცნიერი იუნკერი (1925 წელი).

ქართული ანბანის დედნად რომ არ შეიძლება ვივარაუდოთ ბერძნული ანბანი, ეს საკმაო დამაჯერებლობით ნათელყო ივ. ჯავახიშვილმა თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“.

ქართული ანბანი, მართალია, არ არის წარმოშობილი ბერძნული ანბანისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ შორის არ იყოს გარკვეული მსგავსება, წარმომდგარი საბერძნეთთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად ქრისტიანულ ხანაში.

ამ გარემოებას ხაზს უსვამს გ. წერეთელი თავის სპეციალურ ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვში 1951 წელს.

ჯერ ერთი, ზოგიერთი მსგავსება ქართულსა და ბერძნულ ანბანებში იმითაც შეიძლება აიხსნებოდეს, რომ ორივეს საერთო წყარო აქვს.

უდავოა, რომ საქართველოს ქრისტიანიზაციის დროს საბერძნეთმა ძლიერი გავლენა მოახდინა საქართველოზე. ეს გავლენა თავს იჩენს ანბანის სტრუქტურაზე. სავარაუდებელია, რომ ქრისტიანიზაციასთან დაკავშირებით ჩვენში ჩატარდა წერის ერთგვარი რეფორმა ბერძნული დამწერლობის გავლენით. ადვილი შესაძლებელია, რომ სომხურ ცნობაში მესროპის მოღვაწეობის შესახებ აღბეჭდილია შორეული გამოძახილი თუ ანარეკლი ამ რეფორმისა (გ. წერეთელი).

რა აქვს საერთო ბერძნულ-ქართულ ანბანებს? რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ბერძნულ წერას ქართულ წერაზე?

1. როგორც ზემოთ ითქვა, ბერძნულმა შეცვალა სემიტურ ანბანში მიღებული მიმართულება: ბერძნები ხომ მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით წერდნენ. ასეთივეა ქართულიც. აქ უეჭველი გავლენაა; 2. თანხვედნილობაა ასოთა რიგში; 3. ორივე ანბანს საერთო აქვს წერის დუქტუსი, სტილი, საერთო მანერა; 4. ბერძნულის გავლენით უნდა იყოს შემოღებული ხმოვნები წერაში (მანამდის ხომ მხოლოდ თანხმოვნები იწერებოდა). გ. წერე-

თელი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ არა მარტო ხმოვანთა სისტემაა წერაში შემოღებული ბერძნულის მიმხედურობით, არამედ ბერძნულის მსგავსია ზოგიერთი ხმოვნის მოხაზულობაც ჩვენს ანბანში.

ამრიგად, ქართული ანბანი არ არის ბერძნული ანბანისაგან წარმოშობილი, მაგრამ, ეტყობა, ქვეყნის ქრისტიანიზაციის დროს ქართულ ანბანს ერთგვარი გადახალისება განუცდია საბერძნეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პირობებში.

ივ. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად აცხადებს: „ჯერხანად ცნობილი ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნის უწინარეს არის საგულისხმებელი“.

სად უნდა ვეძიოთ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ანბანის ფესვები? მცირე აზიაში. დეტალური ანალიზის გზით მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ქართული ანბანი გენეზისურად უკავშირდება ფინიკიურ-სემიტური ანბანის სისტემას. ამ დებულების ნათელსაყოფად განსვენებულ მეცნიერს დამაჯერებელი ფაქტები მოყავს.

ფინიკიურ-სემიტური ანბანი ისტორიულ წარსულში სხვა კულტურულ ერთა დამწერლობის მისაბაძ მაგალითად იქცა და საფუძვლად დაედო მათი ანბანის განვითარებას.

სემიტური ანბანი ორი მიმართულებით გავრცელდა: აღმოსავლეთში და დასავლეთში. აღმოსავლეთში ის, უპირველესად, თვით სემიტური მოდგმის ერთა შორის განმტკიცდა: მოაბელთა, ფინიკიელთა, ებრაელთა, არამეელთა და არაბებს შორის. თვით არამეელთა[1] დამწერლობა მეზობელ და შორეულ ხალხთა შორის ფართოდ გავრცელდა ისე, რომ მისგან არა ერთი ახალი დამწერლობა გაჩნდა. ყველაზე ადვილი იყო მისი შეთვისება სპარსელებისათვის, რომელთაც ლურსმული დამწერლობის მივიწყების შემ-

[1] არამეული ენა, ენა ერთ-ერთი სემიტური ტომისა, გავრცელებული იყო წინა აზიაში, უძველესი ძეგლები არამეული ენისა განეკუთვნება VIII საუკუნეს (ძვ. წ.).

დეგ ე. წ. ფაჰლაური დამწერლობა შექმნეს. აი, ამ წრეს უკავშირდება ქართული ანბანის წარმოშობა.

დასავლეთში სემიტური ანბანი ყველაზე ადრე ბერძნებმა შეითვისეს.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ქართულ ანბანს უკავშირებდნენ სპარსულ-არამეულს. ამ აზრს იცავდნენ ფრ. მიულერი, ტეილორი, იუნკერი.

ამრიგად, საზღვარგარეთელი მეცნიერები, ერთი მხრივ, და ივ. ჯავახიშვილი, მეორე მხრივ (რომელმაც საკითხი დაწვრილებით შეისწავლა), ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანი წარმომდგარია სემიტური წარმოშობის აღმოსავლური დამწერლობისაგან (კერძოდ, ფინიკიურ-არამეულისაგან).

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული სიფრთხილისათვის თავის შეხედულებას ჰიპოთეზად ნათლავდა; ერთ-ერთ დაბრკოლებად ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ დაშორებას მიიჩნევდა შესადარებელ ერთეულებს შორის (ე. ი. სემიტურ სამყაროსა და საქართველოს შორის).

ეს დაბრკოლება ამჟამად მოხსნილია.

1940 წელს იმავე ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში (მცხეთა-არმაზში). აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის წარწერიანი ქვა. წარწერა ორენოვანია: ბერძნული და არამეული. გ. წერეთელმა ამოიკითხა ეს წარწერა და დაადგინა არამეული ანბანის სახეობა, რომელსაც „არმაზული დამწერლობა“ უწოდა.

რა მნიშვნელობა აქვს „არმაზული დამწერლობის“ ტიპის აღმოჩენას ქართული ანბანის ისტორიისათვის?

საქმე ისაა, რომ საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში — მცხეთაში — აღმოჩენილი ეს დამწერლობა განსხვავებულია ყველა ანბანისაგან, რომლებსაც კი დღემდის ვიცნობდით. ეს გარემოება გვიკარნახებს ვივარაუდოთ რაღაც კავშირი ქართულ ანბანსა და ამ ახლადაღმოჩენილ ანბანს შორის. ეს ანბანი რომ აღმოჩენილიყო სადმე სამხრეთ არაბეთში ან აბისინიაში, მაშინ ქართულ ანბანთან ზოგიერთი პარალელი შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც შემთხვევითი მსგავსება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული.

გ. წერეთელმა თავის ფართოდ გახმაურებულ წიგნში „არმაზის ბილინგვა“ მიიღო დიდად მნიშვნელოვანი დასკვნა: არმაზულ ანბანსა და ქართულ ანბანს უთუოდ აქვთ საერთო, ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ერთმანეთის მსგავსია, ასოების დამატებითი ელემენტებითა და საერთო სტილით ამ ორი ტიპის ანბანი ერთმანეთს უახლოვდება.

ძალიან საყურადღებოა შემდეგი გარემოება. ზოგიერთი ქართული ასო ამჟღავნებს უფრო მეტ სიძველეს, არქაულობას, ვიდრე შესაბამისი არმაზული ასო. მეტიც: ეს ქართული არქაული ნიშნები პროტოტიპია არმაზული ნიშნებისა, აქედან დასკვნა: ქართული ანბანი არ შეიძლება მივიჩნიოთ არმაზული დამწერლობის შემდგომ საფეხურად თუ განვითარებად; იგი მონათესავეა არმაზულისა; ორივე ერთად (ქართულიცა და არმაზულიც) მომდინარეობს საერთო წყაროდან — არამეულისაგან.

არმაზულ ანბანთან ქართული ანბანის შედარება ახლებურად აყენებს ასომთავრულ-ნუსხურ-მხედრულის (ქართული წერის ამ სამი სახეობის) ქრონოლოგიური ურთიერთობის საკითხსაც: არმაზულთან მსგავსებას ნუსხური უფრო ავლენს. ნუსხური ხომ, მკვლევართა აზრით, განვითარებაა, შემდგომი საფეხურია ასომთავრულისა! გამოდის, რომ მეორე-მესამე საუკუნეების წარწერებში აღბეჭდილ ანბანს მეტი აქვს საერთო ქართული ანბანის მეცხრე საუკუნეში წარმოქმნილ ნუსხურ სახეობასთან, ვიდრე ასომთავრულთან, რომელიც მიჩნეულია ნუსხურის უწინარეს სახეობად. ამის საფუძველზე გ. წერეთელი ვარაუდობს, რომ ნუსხური მეცხრე საუკუნეში კი არ წარმოქმნილა, არამედ მას მეტი ხნის ისტორია აქვს. საფიქრებელია, რომ ორივე ტიპი — ასომთავრული და ნუსხური — თანდათანობით ვითარდებოდა და შორდებოდა თავდაპირველ ორიგინალს; სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგ შემთხვევაში ნუსხურს შემოუნახავს უფრო ძველი მოხაზულობა, ზოგ შემთხვევაში კი ასომთავრულს.

როგორც ზემოთ ითქვა, ადრე ნ. მარიც ფიქრობდა, რომ ქართული ანბანის განვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ ბიბლიური სქემის მიხედვით: ასომთავრულმა შვა ნუსხური, ნუსხურმა შვა მხედრული...

ასეთია ქართული ანბანის წარმოშობა და განვითარება.

ღასკვნა: ქართული დამწერლობის ისტორია იწყება არა ჩვ. წ. V საუკუნიდან, არამედ მისი ფესვები გადგმულია შორეულ წარსულში.

ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები

ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენამდის მოღწეულია ახ. წ. V საუკუნიდან.

რომ ქართული მწიგნობრობა ამაზე ადრე არსებობდა, ეს სავარაუდებელი ხდება არა მარტო პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით.

ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში (ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა უკვე IV საუკუნის დასაწყისში) უთუოდ მოსპო და გაანადგურა წარმართული კულტურის ძეგლები. ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველ დღეებშივე აოტოდაფეს უმართავდნენ არათუ „წარმართულ“ ლიტერატურას, არამედ ქრისტიანობიდან გადახრილ „ერეტიკული“ იდეების შემცველ თხზულებებსაც.

ქართული მწიგნობრობა რომ ადრეც არსებობდა, ამის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოებები: 1. ანტიკური ხანის მწერლობაში, ამასთანავე, ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში არსებობს პირდაპირი მითითება, რომ ქართველ ტომებს უძველეს ხანაში ჰქონდათ მწერლობა; 2. როგორც უკვე ითქვა, ჩვენამდის მოღწეული ქართული ანბანის პირველი ნიმუშების პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლა აშკარას ხდის, რომ ისინი არ შეიძლება ერთბაშად წარმოშობილიყვნენ, რომ მათ წინ უძღოდა განვითარების ხანგრძლივი პერიოდი; 3. პირველი ქართული ლიტერატურუ-

ლი ძეგლი (ი. ცურტაველის ნაწარმოები) მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი და სავსებით ჩამოყალიბებული ნაწარმოებია და მისი მხატვრული ღირსებები არ შეიძლება არ გულისხმობდეს გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციას; 4. მწიგნობრობის პირველივე ძეგლები ენობრივად მაღალ საფეხურზე დგანან; სალიტერატურო ენის სტრუქტურა ამ პირველ ძეგლებში სრულიად ჩამოყალიბებულია (საბოლოოდ ჩამოკვეთილი რთული წინადადებების კონსტრუქციები კავშირების მრავალფეროვანი სახეობებით და სხვ.).

სალიტერატურო ენა, რომელზედაც ითარგმნა „ბიბლია", ენის კონსტრუქციების თვალსაზრისით მდიდარი და ცნებებითა და ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების მიხედვით რთული შედგენილობის მონუმენტური ძეგლი, შეუძლებელია უტრადიციო ყოფილიყო; ბიბლიური ტექსტები ხომ ქართულ ენაზე V საუკუნეშივე ითარგმნა!

მაგრამ ჩვენ მივყვეთ ქართული სალიტერატურო ენის რ ე ა ლ უ რ ი ს ტ ო რ ი ა ს და ენის იმ ძეგლების ზოგად დახასიათებას, რომლებიც შექმნილია V საუკუნიდან მოყოლებული.

V—VI საუკუნის ქართული მწერლობის დიაპაზონი ფართო ყოფილა. ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებს იცნობდნენ სხვებიც, მახლობელი თუ შორეული ერებიც.

ასე, მაგალითად, სირიულ „წიგნში ხალხებისა და ქვეყნების შესახებ", რომელიც დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, მსოფლიოს ხალხთა შორის მოხსენებული არიან ქართველებიც. ამ ძველ ხელნაწერში ვკითხულობთ: „სემის, ქამისა და იაფეტისაგან წარმოიშვნენ 73 ხალხი, ტომი და ენა. მათ შორის ისეთებიცაა, რომლებსაც აქვთ დამწერლობა, 15 ხალხი; დანარჩენები კი არ განირჩევიან მხეცთაგან, ხეტიალობენ დედამიწაზე, როგორც პირუტყვები, და არ არიან გონებით დაჯილდოებულნი". აქვე ნათქვამია: „მწიგნობრობა რომ აქვთ, ესენია: სირიელები, ებრაელები, ბაბილონელები, სპარსელები, ელამიტები, ეგვიპტელები, კუშიტები, ინდოელები, ფინიკიელები, იონიელები, ამორიელები, ალანები, რომაელები, სომხები, ტაიელები, ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი".

VI საუკ. ერთ-ერთი სომხური ცნობის მიხედვით, 506 წელს

ქართველებსა და სომხებს მოუწვევიათ საეკლესიო კრება. აქტები კრებისა დაწერილი ყოფილა ქართულ ენაზედაც.

ყველაზე საყურადღებოა ერთი ცნობა VI საუკუნის პირველი მეოთხედისა ბერძნულ მწერლობაში. აქედან ჩანს, რომ ქართველებს VI საუკუნეში უკვე ჰქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟამნი სამხრისა და სხვ. ცხადია, ენის ეს ძეგლები ერთბაშად ვერ გაჩნდებოდა VI ს. დასაწყისში.

„ეპისტოლეთა წიგნიდან" ჩანს, რომ საქართველოში გაჩაღებული ყოფილა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე. ქართველ კათალიკოზს მიწერ-მოწერა ჰქონია სომხეთის, იერუსალიმისა და რომის პატრიარქებთან.

IX საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებს დასავლეთშიც იცნობენ. სლოვენთა განმანათლებლის კონსტანტინეს (ე. ი. კირილეს) ცხოვრებაში მოთხრობილია შემდეგი: როცა ის ვენეციაში იყო, მას ჰკითხავდნენ: რა ნება გაქვს შენ სლავებს მწიგნობრობა შეუქმნა, როდესაც ღვთისმსახურება შეიძლება მხოლოდ ებრაულზე, ბერძნულსა და ლათინურზეო! კონსტანტინეს უპასუხია: ჩვენ ვიცით ბევრი ერი, რომელთაც წიგნი იციან და ღვთისადმი დიდებას აღავლენენ თავისი საკუთარი ენითო, და ჩამოთვლის ასეთ ერებს, რომელთა შორის მოხსენიებული არიან ივერიელებიც, ე. ი. ქართველები. ასეთივე აზრია გამოთქმული უფრო გვიან, XVI საუკუნის ერთ სლავურ კრებულში, სადაც აღნიშნულია, რომ მწიგნობრობა აქვთ ბერძნებს, ბოლგარელებს და ივერებს (ივერიელებს).

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სალიტერატურო ქართული ენის ძეგლები თანამედროვე ქართველისათვის ძირითადად გასაგებია. თუ შევადარებთ ამ მხრივ ჩვენს ენას სხვა ენებს, განსხვავება თვალში გვეცემა. ენის ძველ ძეგლებს დღევანდელ ქართულ ენაზე თარგმნა არ ესაჭიროებათ. არათუ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" გასაგებია დღეს, არამედ V საუკუნეში შექმნილი თხზულებანი არ საჭიროებენ თარგმნას თანამედროვე ენაზე, მათს ძირითად შინაარსს ძველ ქართულში გაუწვრთნელი პირიც ადვილად გაიგებს.

ქართული ენის ეს კონსერვატიზმი საინტერესოა ზოგადი ეხათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

ქართული ენის კონსერვატიზმის ახსნის ცდა ეკუთვნის აკად. გ. ახვლედიანს, რომელმაც გამოთქვა შემდეგი დებულებები:

1. ქართული ბგერების სახე ისტორიულად ნაკლებ შეცვლილია, ვიდრე, მაგალითად, ევროპული ენებისა; 2. დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ბგერითი სისტემა — უშუალო გაგრძელება ძველი ქართული სალიტერატურო ენის — თითქმის თანხვდენილია დიალექტების ბგერითს სისტემასთან; 3. ქართული ენის ბგერათა შეუცვლელობის ფაქტორებია — შინაგანი (ფსიქო-ფიზიოლოგიური) და გარეგანი (სოციალ-პოლიტიკურ-კულტურული). შინაგანი ფაქტორები: ა. არტიკულაციის მკაფიო გამოკვეთილობა; ბ. სუსტი მახვილი; ბგერათა უმრავლესობა გამოყენებულია სიტყვის მცვლელ ელემენტებად, უმთავრესად ზმნებში. გარეგანი ფაქტორები: ა. დიალექტური ბგერითი თავისებურებანი შეზღუდულია ქართველი ხალხის კომპაქტურობის გამო (მოთავსებულია მცირე ტერიტორიაზე, მტკიცედ შეგნებული აქვს ენობრივი ერთიანობა...); ბ. არსებობს ერთი სალიტერატურო ენა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს დიალექტებზე, დიალექტურ წარმოთქმაზე; გ. ქართველ ხალხს არ გამოუცვლია ტერიტორია სალიტერატურო ენის ისტორიულ პერიოდში, არ განუცდია ენათა შერევა, არ განუცდია უცხოური ენის ძლიერი გავლენა იმზომად, რომ შეცვლილიყო წარმოთქმა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ჩვენამდის მოღწეული პირველი წერილობითი ძეგლებია:

წარწერები, პალიმფსესტები — ტყავის ხელნაწერები, რომლებზედაც ძველი ნაწერი გადაფხეკილია და ახალი ტექსტია დაწერილი. ისინი განეკუთვნებიან V—VI საუკუნეებს. ესენია: პალესტინის (ბეთლემის, იერუსალიმის ახლოს) წარწერა (V საუკუნის I ნახევარი), ბოლნისის სიონის წარწერა (493—494 წლისა), მცხეთის ჯვრის მონასტრისა და წყისის (ახალციხის რაიონში) წარწერები (VI საუკ. I ნახევარი), ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი პალიმფსესტები (V—VIII საუკუნეები), ხანმეტი ლექციონარი (VII საუკ.), პირველი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები იაკობ ცურტაველისა (წმიდა შუშანიკის წამება. დაწერილია 476—483 წლებს შუა, მაგრამ ჩვენამდის მოღწეულია XI საუკუნეში გადაწერილი

ხელნაწერის სახით). V საუკუნეში თარგმნილია ბიბლიური ტექსტები. ყველაზე ადრე ქართულად სახარება ითარგმნა.

უძველეს ხანაში ქართულ ენაზე არსებულა ბიბლიის ცალკე წიგნთა წმინდა სამეცნიერო გამოცემებიც — კომენტარების დართვით. ჩვენს დრომდის შემონახულა ერთი ასეთი ძეგლი — ეპისტოლეთა წიგნისა და მოციქულთა აქტების სამეცნიერო გამოცემა. გამოცემა ფილოლოგიური თვალსაზრისით კარგად არის შესრულებული. დახვეწილი ტერმინოლოგია, პუნქტუაციის ზუსტად დამუშავებული სისტემა და სხვ. მაჩვენებელია ქართული მწიგნობრობის მაღალი დონისა ამ ეპოქაში (პ. ინგოროყვა).

ქართული სულიერი კულტურის ძეგლები, მრავალრიცხოვანი ხელნაწერები, შექმნილი ძველი ქართველი ლიტერატორების მიერ, დაცულია სხვადასხვა ადგილას: საქართველოში (თბილისში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს ა[illegible]ქივში, ქუთაისის, ახალციხის, ზუგდიდისა და მესტიის მუზეუმებში), რუსეთში (მოსკოვში, ლენინგრადში და სხვაგან), სირიაში, პალესტინაში, ბულგარეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ინგლისში, იტალიაში, ავსტრიაში, ამერიკაში. მათი მარტო აღწერილობა ტომებს შეადგენს.

ქართული კოლონიური მონასტრები ანუ ძმობანი იყო იერუსალიმში, სინაზე, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად, ოლიმპოსთან (ულუმბოსთან). ათონზე და ბევრ სხვა ადგილას. სწორედ ეს ძმობანი უწყობდნენ ხელს ქართული ქრისტიანული ლიტერატურის უძვირფასესი ძეგლების დაცვას. სწორედ იქ მზადდებოდა ახალი ქართული თარგმანები, ზოგჯერ იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ ყოველგვარი რემინისცენცია ეროვნული წარმართობისა, ზოგჯერ იმ კეთილი განზრახვით, რომ ხელი შეეწყოთ აღმოსავლური წყაროს — სირიულ-სპარსულ-სომხური და ოდესღაც ქართული საეკლესიო ტრადიციების შერიგებისათვის გვიანდელი, უკვე ბიზანტიური წყაროს ნორმებთან. იყო კეთილი განზრახვა, ეროვნული წარმოშობიდან მომდინარე საერთო-ყოფითი ჩვეულებანი შეეხამებინათ იმ წესრიგთან, რომელიც ახასიათებდა გარკვეულ სოციალურ ფენებს ქრისტიანული სარწმუნოების შეტანის შედეგად (ნ. მარი).

ქართული ქრისტიანული ლიტერატურის განვითარების პირ-

ველ ეტაპზე შეიქმნა სალიტერატურო ენის შესანიშნავი ძეგლები. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ათეული ავტორის (საეკლესიო მწერლის) სახელი — იაკობ ცურტაველი, კირიონ კათალიკოსი, გრიგოლ დიაკვანი, იოანე საბანისძე, სეით მთარგმნელი, არსენ დიდი კათალიკოსი, ლეონტი მროველი, სტეფანე მტბევარი, სტეფანე სანანოისძე, დავით ტბელი, ბასილი, ზარზმელი, არსენი II კათალიკოსი, იოანე ზოსიმე, გრიგოლ ოშკელი, იოანე მტბევარი, მიქელ მოდრეკილი, იოანე ბოლნელი ეპისკოპოსი, პოეტები — იოანე მინჩხი, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, კურდანაჲ, ფილიპე და სხვა მრავალი, რომელთა თხზულებანი დაკარგულია ან შემონახულია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც.

ნათარგმნი ქრისტიანული ლიტერატურით საქართველო ამ საუკუნეებში საკმაოდ მდიდარი იყო. თარგმნილი იყო საეკლესიო სამსახურისა და წესების ამსახველი ძეგლები, ცხადია, ლიტურგიითურთ, ბიბლიის ყველა წიგნი, აპოკრიფები, ცხოვრებანი და მოღვაწეობანი, რელიგიური პოეზია, ეგზეგეტიკა, თეოლოგია დოგმატიკითურთ, საეკლესიო კანონები, აგრეთვე, ბუნებრივია, პოლემიკაც, და სხვ. ამ თარგმანების მნიშვნელობა მსოფლიო ქრისტიანულ ლიტერატურაში მით უფრო დიდია, რომ ქართველები მათ თარგმნიდნენ არა მხოლოდ ბერძნულიდან, არამედ სირიულიდან, სომხურიდან და არაბულიდან. ეს მთარგმნელობითი ლიტერატურა დაკარგულ ნაწარმოებთა აღმოჩენისათვის მნიშვნელოვან ფონდს წარმოადგენს.

გარდა სასულიერო ხასიათის თხზულებებისა, ძველ საქართველოში მდიდრად იყო წარმოდგენილი თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის უბრწყინვალესი ნიმუშები — შესანიშნავი ძეგლები ქართული სალიტერატურო ენისა.

„არაბებთან ქართველების დაახლოების დღიდან რელიგიურ ლიტერატურაში აღიძრა ინტერესი მსოფლიო სიუჟეტისადმი“ (მარი).

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია არაბულ-სირიული ლიტერატურული სამყაროდან ნათარგმნი ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი სალიტერატურო ქართული ენისა, როგორიცაა „ბალავრის სიბრძნე“. როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ექვთიმე მთაწმიდელმა. შემდეგ თარგმნეს ლათინურად

და გავრცელდა ევროპაში. ეს რომანი საშუალო საუკუნეებში მთელი მსოფლიოს ქრისტიან ხალხთა ლიტერატურაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

დამახასიათებელია, რომ შავთელის თხზულებაში, გარდა საღვთო წერილებიდან, სქოლასტიკური ნაწარმოებებიდან თუ სპარსული პოემებიდან მომდინარე საკუთარი სახელებისა, გვხვდება ჰომეროსის „ილიადას“ გმირთა სახელებიც, რომლებსაც პოეტი ხშირად მიმართავს პოეტურ შედარებებში. ნ. მარი სამართლიანად შენიშნავს, რომ ცოცხალი პიროვნებების შედარებები „ილიადას“ გმირებთან არა სპეციალურ სქოლასტიკურ შრომაში, არამედ პოეტურ თხზულებაში, რომელიც ფართო მკითხველისათვის იყო განკუთვნილი, ნათლად მოწმობს, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში განათლებული ქართველები კარგად იცნობდნენ ჰომეროსის უკვდავ ქმნილებას — „ილიადას“.

ქართული ენის სტიქია კარგად არის გამოვლენილი სპარსული ლიტერატურის ისეთი ძეგლების ძველ ქართულ თარგმანებში, როგორიცაა „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მაჯნუნიანი“ და მრავალი სხვ.

აქ შეუძლებელია წარმოვადგინოთ ცოტად თუ ბევრად სრული სურათი ძველ საქართველოში ნათარგმნი ძეგლების ენისა. ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ისტორიულად ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი სწორედ თარგმანები გახლავთ. თარგმანებმა გააფართოვეს ჩვენი ენის ღარგლები, სხვა ენების სტრუქტურასთან შეხებისას უფრო განსჯტკიცდა და მოქნილი გახდა ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები, გამდიდრდა ენის ლექსიკური მარაგი.

ერთი ძველი ქართველი მთარგმნელი ამბობს, რომ თარგმნის დროს ნაკლულოვანება ენისა ივსებაო.

ძველ საქართველოში მთარგმნელობითი მუშაობის გაშლა მოითხოვდა ლიტერატურულ დახელოვნებასთან ერთად მშობლიურ და მისგან არსებითად განსხვავებულ ენათა ღრმა ცოდნას. ამან გამოიწვია დიდი ფილოლოგიური კვლევა-ძიება. შეიქმნა მიმართულებები თარგმნითს ხელოვნებაში. საინტერესო ცდებია ჩატარებული XI საუკუნის მოღვაწეების — გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირეს მიერ სალიტერატურო ენის სტილისტიკურ დარგში.

ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს განხილული აქვთ გრამატიკის ძირითადი საკითხები. დიონისე თრაკიელისა და აპოლონიოს დისკოლოს გრამატიკათა საფუძველზე მათ ღრმა მეცნიერული მუშაობა აქვთ ჩატარებული ქართული სამეცნიერო ენის შესაქმნელად. ეფრემ მცირემ მოახდინა ქართული პუნქტუაციის რეფორმა, მანვე შეადგინა გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი და გამოთქვა საინტერესო აზრები ქართული ვერსიფიკაციის შესახებ. საერთოდ, იმდროინდელი გრამატიკა და ლექსიკონი მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოღწეულა. შემონახულია მხოლოდ 1210 წლის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ოთხთაების გაუგებარი სიტყვებისა და „ებრაელთა ენის“ საკუთარ სახელთა ლექსიკონს.

V საუკუნიდან მოყოლებული ქართველებმა შექმნეს უმდიდრესი ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა.

საუკუნეთა მანძილზე მუშავდებოდა, იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქართული პოეტური ენა იმ პირველხარისხოვანი ნაწარმოებების მეოხებით, რომლებიც წარმოადგენენ ქართული სალიტერატურო ენის ფასდაუდებელ ძეგლებს.

ლექსთწყობის ის სისტემა, რომელიც წმინდა სახით ჩამოყალიბდა კლასიკურ ეპოქაში (XI—XII სს.), თავისი წარმოშობით უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის. ჩვენს ქართულ კლასიკურ ლექსს წინ უძღოდა ხანგრძლივი ტრადიცია ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, რომლის სტრუქტურას განსაზღვრავდა არა მოწესრიგებული ტონიკა, არამედ გალობის კანონებიო, ამბობს პროფ. ა. გაწერელია.

1902 წელს ნ. მარმა აღმოაჩინა 13-სტრიქონიანი ლექსი ფილიპესი (X საუკუნე), სადაც უკვე რითმებია გამოყენებული. ამით ქართული პოეტური ენის ისტორიის ქრონოლოგიური ფარგლები უფრო გაფართოვდა.

ქართულმა ენამ კლასიკურ სრულყოფილობას მიაღწია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველის პოემის სახით ჩვენ გვაქვს კლასიკური ეპოქის ნაწარმოები, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მომდევნო საუკუნეების მწერლობის ენაზე. „ამ გავლენის პარალელურად მოდის მეორე ხაზი, რომელსაც სათავე აქვს ჰიმნოგრაფიასა და ჩახრუხაძის ოდებში, გამოივლის ბესიკს (XVIII ს). და უკანასკნელ

თავშესაფარს პოულობს XIX საუკუნის პირველი ნახევრის არქაისტებში... რუსთაველის ენის უბრალოება როდია ხალხური ენის ფორმათა უკრიტიკოდ მიღების შედეგი. ხალხური ნაკადი მის პოემაში შესულია გადამუშავებული სახით და შენარჩუნებული აქვს პირვანდელი საწყისის მნიშვნელობა. კონტროლისათვის რუსთაველი მიმართავს კლასიკურ ქართულ ენას. „ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს რაფინირებული უბრალოების საუკეთესო მაგალითს. ამიტომ შეინარჩუნა მან დღემდე სტილურად დაუძლეველი ნაწარმოების სახელი" (ა. გაწერელია).

ა. შანიძის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ქმნილებაა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ის არის ქართული ენის დოკუმენტი, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში".

ნ. მარის სიტყვით „შოთას ენა არათუ ადგილობრივი არ არის, იგი უკვე მსოფლიო ენაა".

უდავოა, რომ ქართული პოეტური ენის მდიდარი ტრადიციები, რომლებიც შედიან ქართული ლიტერატურის საერთო საგანძურში, ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი უმძლავრესი ფაქტორთაგანია. ქართულმა ენამ შეიძინა და განივითარა არაჩვეულებრივი პლასტიკურობის უნარი, უკიდურესობამდე მისული გამოთქმის ხატოვანება, მუსიკალობა და ღრმა ექსპრესიულობა. სწორედ პოეტური ენის დიდი ტრადიციულობით აიხსნება, რომ „ქართული ენა... უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა მხოლოდ ზოგად ცნებებზე გადაიღებს საჭირო აზრს" (ნ. მარი).

ძველ საქართველოში შეიქმნა და დამუშავდა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი და ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ე ნ ა.

ქართული ენის მონუმენტური ძეგლია „ქართლის ცხოვრება", რომელმაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მეცნიერული ენის განვითარებას.

ეს ვეებერთელა კრებული შეიქმნა XII საუკუნეში და იქ შეიტანეს ის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველი ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე. შემდეგ საუკუნეებში ამ კრებულს დაუმატეს შემდგომ საუკუნეთა

ისტორიის შემცველი თხზულებები. „ქართლის ცხოვრებაში“ არის ორი ციკლის თხზულებები: „ძველი ციკლისა (XIV საუკუნემდე) და ახალი ციკლისა (XIV—XVII საუკუნეებისა). XVIII საუკუნეში დაიწერა სხვა საისტორიო ძეგლები, რომლებიც XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებად გამოაცხადა და მათ ტრადიციულ ტექსტთან ერთად ბეჭდავდა.

სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიური, ისტორიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისათვის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს განუზომელი მნიშვნელობა აქვს.

ძველთაგანვე შეიქმნა ქართული ფილოსოფიური ენა.

სპეციალური ფილოსოფიური ენის შექმნას იმთავითვე ხელი შეუწყო თეოლოგიური ლიტერატურის თარგმანებმა. ქართულად უთარგმნიათ გრიგოლ ნოსელის, ნაზიანზელის, დამასკელის და სხვათა დოგმატიკურ-თეოლოგიური ნაწარმოებები. ეფრემ მცირემ თარგმნა იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, რომელსაც მრავალი მიმდევარი გაუჩნდა.

ისეთ სოლიდურ სამეცნიერო ორგანოში, როგორიცაა „რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების მოამბე“, 1910 წელს აკადემიკოსი ნ. მარი წერდა:

„X და XI საუკუნეებში ქართველები ფილოსოფიის სფეროში იმ საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც ფლობდნენ მაშინდელი კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, იმ განსხვავებით დანარჩენებისაგან, მაგალითად, ევროპელებისაგან, რომ იმდროინდელი ქართველები სხვებზე ადრე გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს მაშინდელი ფილოსოფიური აზრის ახალი მიმდინარეობის შესახებ; ამავე დროს ისინი შეიარაღებულნი იყვნენ იმ დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის იარაღით და მუშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებზე“.

XI საუკუნეშივე ქართული ფილოსოფიური ენა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო ჟურნალში იგივე ავტორი ამბობს:

„XI საუკუნეშივე ქართული მეტყველება წარმოადგენდა სრუ-

ლიად ჩამოყალიბებულ სალიტერატურო ენას ადგილობრივი თავისებურებებით ამა თუ იმ კულტურული და, კერძოდ, ფილოსოფიური ცნებების გამოსახატავად. სალიტერატურო ენის ეს რეალური თავისებურებანი ინერგებოდა განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართველთა კულტურული ცხოვრება ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდებში".

ქართული ფილოსოფიური ენის შემქმნელად ითვლება XI—XII საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი.

ძველ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრიწი უდიდესი სახელია. მას დიდ ქართველ ფილოსოფოსს უწოდებდნენ.

იოანე პეტრიწი საშუალო საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნების დიდი წარმომადგენელია. გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების (კერძოდ, პეტრიწის) კავშირი იმ დროს ბიზანტიაში ფილოსოფიურ მოძრაობასთან აშკარა ფაქტია, რომ „ბარბაროსული", კერძოდ, ქართული ელემენტი დიდ როლს ასრულებდა იმდროინდელი ფილოსოფიის აღორძინებაში ჯერ კიდევ XI საუკუნეში, ამას ბერძნული წყაროებიც მოწმობენ.

პეტრიწის კალამს ეკუთვნის ორიგინალური და თარგმნილი ფილოსოფიური ნაწარმოებები. მან ბერძნულიდან თარგმნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა", პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი", არისტოტელეს თხზულებანი და სხვ. იოანე პეტრიწის მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ შექმნა ახალი მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც უპირველეს ამოცანად ისახავდა დედნის ზედმიწევნით თარგმნას. თარგმანები აღჭურვილია ვრცელი კომენტარებით. განმარტება, ჩვეულებრივ, განსამარტავ თავზე გაცილებით დიდია. გარდა ამისა, ტექსტს ახლავს შესავალი და ბოლოსიტყვაობა.

პეტრიწის პირველი მკვლევრის ნ. მარის სიტყვით, იოანე ტრიალებს როგორც ნეოპლატონიკოსთა, ისე ანტიკური პოეტებისა და ფილოსოფოსების წრეში. ჰესიოდე და ჰომეროსი ამარაგებენ მას მასალით; ჰიპოკრატე, ემპედოკლე, პარმენიდი ხშირად მისი ავტორიტეტებია; პლატონს, რომელსაც განსაკუთრებით ამკობს ეპითეტებით „მზე", „საღმრთო", უფრო ხშირად იმოწმებს; სახელი სოკრატე ძეგლის თითქმის ყველა გვერდზე იხსენიება; ქართველი ფილოსოფოსი იმოწმებს

არისტოტელესაც და აკრიტიკებს კიდეც; ზოგჯერ მას ბუნდოვანს უწოდებს; არისტოტელეს თხზულებათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ის „ორგანონზე“ ამახვილებს. იცნობს პერიპათეტიკოსებს და არისტოტელეს სქოლასტებსაც; რა თქმა უნდა, იგი სხვადასხვა ნეოპლატონიკოსსაც იმოწმებს, მათ შორის იოანე პეტრიწს პირველ ადგილას ჰყავს ფილოსოფოსები: პლოტინი, იამვლიხოსი და პორფირი.

მკვლევრები აღნიშნავენ იოანე პეტრიწის თარგმანის მაღალმხატვრულ ღირსებებს და, ამასთანავე, მისი თარგმანების სიახლოვეს დედანთან არა მხოლოდ აზრის გადმოცემაში, არამედ გარეგნულ ფორმაშიც — ფრაზებისა და ცალკეულ სიტყვათა და ტერმინთა აგებაში, ბერძნულის ეკვივალენტური ნაწილაკების განლაგებაშიც კი. „უნდა ვაღიაროთ იოანე პეტრიწის უდიდესი დამსახურება ქართულ ლიტერატურაში: მას უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ენაზე შექმნილი მზამზარეული ფილოსოფიური ტერმინოლოგიისათვის, რომელიც ქართული ძირებით არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოსცემს ყველა ტერმინს, ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით რომ არსებობს; ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სიმდიდრე მკვდარ კაპიტალად არ დარჩენილა, როცა საქართველოში მშობლიური ლიტერატურა ჰყვაოდა“; „შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცე იმ ამოუწურავი მარაგის გამო, იმ პირდაპირ ჯადოქრული ძალების გამო, რომლებსაც პეტრიწი ფლობდა, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ეპოვა ქართულ ენაში საჭირო მასალა აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსის და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტიკის ყველა სიძნელის გადასალახავად“. და მართლაც, „ამავე ენით სარგებლობს იგი არა მხოლოდ მაშინ, როცა თარგმნის, არამედ დამოუკიდებელი ფილოსოფიური მსჯელობის დროსაც“ (ნ. მარი).

გვიანდელი საუკუნეების (XVII—XVIII) მოღვაწეებიც ცდილობდნენ მიებაძათ პეტრიწისათვის და უწოდებდნენ მას ქართული ენის „მამზევებელსა“ და „მადღეებელს“.

იოანეს პროგრესული იდეებისათვის გარკვეული წრეები დევ-

ნიდნენ როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში. ამასთან დაკავშირებით იგი გარკვევით ლაპარაკობს ერთ-ერთ თავის თხზულებაში („ვინაჲ მემრჩობლეთა და მრავალმრჩობლთა და ერთვითთა ლმობათაგან მიდმო-ვიბნეოდი, სენთა, უცხოებათა და შურთა და ვერაგობათა საჭუმილთისა-გან მექმე და ამის ჟამისა ქართველთა და ბერძენთა შორის“). აქვე პეტრიწი იმოწმებს ფილოსოფოს სოკრატს: „ვითარ იტყუის სოკრატ, რამეთუ ძნელ სენი, არამედ უფიცხეს უმეცრებაჲ სენისაჲ“ (ძნელია ავადმყოფობა, მაგრამ უფრო ძნელია იმის შეცნობა, რომ ავად ხარ) და განაგრძობს: მე რომ კარგად მომპყრობოდნენ და დამხმარებოდნენ, ქართულ ენას ბერძნული ენის სიმაღლემდე ავიყვანდი და ფილოსოფიის დარგში არისტოტელესავით ვიმოღვაწეებდიო.

პეტრიწის ნაწარმოებები ჩვენთვის ძვირფასია აგრეთვე ქართული სპეციალური მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავების თვალსაზრისით. ვასილ წერეთლის წიგნიდან („ქართული საფილოსოფოსო ტერმინოლოგია პეტრიწის მიხედვით“) და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი პეტრიწის ლექსიკონიდან მშვენივრად ჩანს, თუ რა ტერმინები გვხვდება პეტრიწის ტრაქტატებში გეომეტრიის, არითმეტიკის, რიცხვთა თეორიის, მუსიკის თეორიისა თუ სხვა სპეციალური დარგებიდან.

ქართული ენის კონტაქტები მსოფლიოს ენებთან

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფებთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიული მეზობლობით ანდა კულტურულ-ეკონომიური თანამშრომლობით.

ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა მჭევრმეტყველურად აშუქებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ხალხებთან.

ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში.

„სხვა კულტურულ ენებთან უთანასწორო ბრძოლიდან ქართული ენა ხშირად გამოსულა გამარჯვებული და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნია ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახის შენარჩუნებისათვის“ (ნ. მარი).

ქართულ ენაში შემოსული უცხოური ლექსიკური ელემენტების ბგერობრივი მოდიფიკაცია საინტერესოა არა მარტოოდენ ქართული ენის ფონეტიკური სისტემის შესასწავლად. არაიშვიათად ქართულ ენას დაუცავს მსესხებელი ენის თვალსაზრისით საინტერესო და საგულისხმო უძველესი ფორმები, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია.

ქართულ ენაში დალექილია მცირე აზიის გადაშენებული ცივილიზებული ენების ლექსიკური ელემენტები. ისინი მთელი რიგი მკვლევრების მიერ ახსნილია გენეტური ურთიერთკავშირის პლანში და ამიტომ ჩვენი ნაშრომის ამ თავში მათი განხილვა მიზანშეწონილი არ არის, რამდენადაც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ქართული ენის შეხვედრები განსხვავებული სისტემის ენებთან, რაც შედეგია ხალხთაშორისი კონტაქტებისა.

ქართულ ენაში გამოიყოფა მნიშვნელოვანი ლექსიკური ფენა, რომელიც საოცარ პარალელებს პოულობს ძველ ინდოევროპულ ენებთან. ეს სიტყვები შეთვისებული უნდა იყოს ქართველურ ენათა დიფერენციაციის წინა ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში, მათი განვითარების უძველეს საფეხურებზე.

ამ სიტყვათა სიძველე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი არ არიან ნასესხები „ისტორიულ ეპოქაში“ იმ ინდოევროპელი ხალხების ენებიდან, რომლებიც ემეზობლებოდნენ ქართველებს (ეს ხალხებია: ბერძნები, ირანელები, სომხები, ირანული წარმოშობის სკვითები, სარმატები, ალანები, თრაკიელები — კიმერიელთა სახით — ან ფრიგიელები და ხეთურ-ლუვიური ჯგუფის ხალხები მცირე აზიაში). გამოკვლეული ტერმინების ხასიათი (მესაქონლეობისა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ტერმინები, ადამიანის სხეულის ნაწილების და სხვა მნიშვნელოვანი ცნებების აღმნიშვნელი სახელწოდებები, რიცხვითი სახელები, ზმნები)... გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვები განეკუთვნებიან ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს. ამავე დროს, მათ კანონზომიერი შესატყვისები გაუჩენიათ ქართველურ ენებში. სწორედ ამიტომაა საფიქრებელი, რომ ამ კატეგორიის სიტყვები შეთვისებულია ქართულში ენობრივი დიფერენციაციის წინა ხანებში.

გ. მელიქიშვილი მიუთითებს ზოგიერთ ისტორიულ ასპექტზე:

ცნობილია, რომ კიმერიელები თრაკიული წარმოშობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მათ ერთ დროს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ საქართველოს მოსახლეობის ისტორიაში. ისინი მცირე აზიისაკენ კოლხიდის ველით გაიჭრნენ, შემდეგ კოლხიდის მეზობლად დამკვიდრდნენ. არაა გამორიცხული, რომ ზოგი კიმერიელი ტომი საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრდა. მეორე მხრივ, ბევრი მონაცემის მიხედვით ირკვევა, რომ მცირე აზიის

ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი უძველეს ხანებში ქართველი ტომების ერთ-ერთი უმთავრესი კერა იყო. ამიტომაც ბუნებრივი ხდება მცირე აზიაში მცხოვრებ ინდოევროპელ ტომებთან კონტაქტის ვარაუდი.

ქართულ-ინდოევროპულ ლექსიკურ პარალელებზე ლაპარაკობდა ჯერ კიდევ ფრანც ბოპი.

ამგვარ პარალელებზე მიუთითებენ: ა. გლეიე, ვ. პიზანი, ა. ტრომბეტი, კ. ბოუდა, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ჰ. ფოგტი, ვ. პოლაკი, გ. კლიმოვი და სხვ.

არნ. ჩიქობავამ თბილის აღმნიშვნელი სიტყვა ქართველურ ენებში ტაბ (აღდგენილი ძირია) დაუკავშირა ლათინურ, რუსულ, ძველინდურ იმავე ძირეული მასალის სიტყვებს. ასეთივე დაკავშირება მოცემულია ვ. გორიაევის „რუსული ენის შედარებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (1896 წ.). არნ. ჩიქობავა სიტყვაში — უღელი გამოყოფს ძირეულ უღ-ს და მას უკავშირებს ინდოევროპულ ენებში ამავე შინაარსის სიტყვებს. „ეს ძირი უნდა იყოს ქართველი ტომების ინდოევროპულ ენებზე მოუბარ ტომებთან შეხვედრის შედეგი. სად და როდის? ეჭვი არაა, — შორეულ წარსულში, მცირე აზიაში“.

მრავალი ქართულ-ინდოევროპული ლექსიკური პარალელია გამოვლენილი გ. მელიქიშვილის წიგნში: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ (1965).

ძველ ინდოევროპულ სიტყვებთან მსგავსებას ამჟღავნებს აგრეთვე შემდეგი ქართული სიტყვები: თიკანი, ღორი, ბუდე, ტილი, კატა, ლომი, რქა, ირემი, ურემი, ბოსელი, ყორანი, ბოჭოლა, კაკაბი, პური, ქერი, ფიჭვი, გორა, ბრგე, მთა, ველი, ვაკე, ზღვა, მკერდი, კბილი, სისხლი, დღე, დიდი, პირველი, ექვსი, შვიდი, ხვეტა და სხვ.

აქ უადგილოა მოვიყვანოთ ზემოხსენებულ სიტყვათა პარალელები ინდოევროპული ენებიდან.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყოველგვარი დაკავშირება ქართული სიტყვებისა ძველი ინდოევროპული ენების მასალასთან (ისევე, როგორც, საერთოდ, სხვა ენების მასალასთან), გა-

მოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში, უდავოა. უეჭველია, რომ მომავალი ძიებები დააზუსტებს არსებულ ინტერპრეტაციებს და ბევრ ახალ მიგნებას გამოავლენს.

ცალკე უნდა გამოიყოს ირანული სიტყვები ქართულ ლექსიკაში. ეს სესხება მეტად უხვია და შედეგია საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა სხვადასხვა ირანული მოდგმის ხალხებთან და ტომებთან.

ქართულ ენაში შემოსული ირანული ელემენტების მონოგრაფიულმა შესწავლამ გამოარკვია, რომ ნასესხები სიტყვები განეკუთვნებიან როგორც ძველ, ისე, განსაკუთრებით, საშუალო და ახალირანულ ენობრივ ეპოქას.

ირანულ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ეს სიტყვები უმთავრესად წარმოგვიდგენენ ჩრდილოირანულ (სკვითურ-ალანურ-ოსურ), ჩრდილო-დასავლურ და სამხრულ-დასავლურ დიალექტურ წრეებს.

ზოგი უძველესი ირანული ელემენტი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც უბრალო სესხება; ისინი ქართული ენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და შედიან მისი ლექსიკის ძირითად ბირთვში. ირკვევა, რომ ეს ელემენტები ნასესხებია ქართული ენის დიფერენციაციამდე.

ირანისტ მზია ანდრონიკაშვილის სიტყვით, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში დადასტურებულ ირანულ ლექსიკურ ელემენტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ არა მხოლოდ ქართული ენის ისტორიისათვის. ისინი აღძრავენ დიდ ინტერესს ირანისტიკის თვალსაზრისითაც და შეიძლება გამოგვადგეს ირანულ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიისა და ფონეტიკის, განსაკუთრებით, საშუალო ირანული ენობრივი ეპოქის, ერთი მხრივ, და სკვითურ-ალანურ-ოსური ენობრივი წრეების, მეორე მხრივ, რიგი საკითხების გამოსაკვლევად.

ირანული წარმოშობის საკუთარი სახელები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1. საკუთარი სახელები, რომლებიც უშუალოდ შემოსულია ირანული ენებიდან, 2. არმენიზებული ფორმით შემოსული სახელები, 3. არაბიზებული სახით შემოსული სახელები.

ქართულ ენას შეხვედრის წერტილები აქვს ერთ-ერთ ირანულ ენასთან — ოსურთანაც.

ისტორიულ წარსულში მრავალი სიტყვა შეუთვისებია ოსურ ენას ქართული ენიდან. გავლენა დადასტურებულია ფონეტიკის სფეროშიც. ქართულ ენასაც უსესხებია სიტყვები ოსურიდან. ქართული და ოსური ენების კონტაქტების პრობლემას ეძღვნება გ. ახვლედიანისა და ვ. აბაევის ნაშრომები.

მრავალი სიტყვა დაინერგა ქართულ ენაში ბერძნული ენიდან, განსაკუთრებით საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დროიდან.

V საუკუნიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა სასულიერო ხასიათის ძეგლების თარგმნა. საეკლესიო ტერმინოლოგია უხვად დამკვიდრდა ქართულში უმთავრესად ბერძნული ენიდან. ქრისტიანული სასაუბრო ენის ტერმინები ქართულში შემოსულია ჯერ კიდევ ადრე ზეპირი გზით დასავლურ ქართულ დიალექტებში. ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა საკუთარი ქართული ეკვივალენტები. მაგალითად, ბერძნულიდან შემოვიდა „ევანგელე“. იგი ერთხანს იხმარებოდა მწერლობაში (დადასტურებულია პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც: V საუკუნე), მაგრამ მალე იგი შეიცვალა ძველი ქართული სიტყვით „სახარება“. ასევე, ქვეყნის ქრისტიანიზაციის პირველ ხანებში ლოცვა „ღმერთო შემიწყალე“ ქართულად ძალიან დიდხანს სრულდებოდა ბერძნული სიტყვის „კირიელეისონ“ მოშველიებით. X საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნათქვამია: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო, წყალობა ყავ გინა თუ: უფალო შეგვწყალენ!“ შემდეგ და შემდეგ ბერძნულ „კირიელეისონს“ მოეძებნა ქართული შესატყვისი ფორმა. მიუხედავად ამისა, საქართველოს შორეულ რაიონებში ბერძნული ფორმულა XIX საუკუნის შუა ხანებამდისაც იხმარებოდა. ასე, მაგალითად, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ამბობს, სვანეთში მოვისმინე, რომ ქართული წირვა და გალობა იმერულად შეასრულეს, ხოლო „უფალო შემიწყალე“ ბერძნული „კირიე-ელეისონით“ იყო შეცვლილიო

ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვების მარაგიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც განე-

კუთვნება ე. წ. საერთაშორისო სიტყვების წყებას და შესულია მსოფლიოს ყოველ კულტურულ ენაში. V—XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივია ისეთი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, კანონი, სქემა, ლავრა, პალატი, ეტიმოლოგია, სქოლასტიკა, ანგელოსი, ენტელექია, ისტორია, მათემატიკა, რიტორი, მუსიკა, სფერო, სილოგიზმი, სქოლიო, ფილოსოფია, გრამატიკა და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. კანონი გვხვდება, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში (V საუკ.). უხვადაა წარმოდგენილი ამგვარი „კულტურული ცნებები და ტერმინები“ ძველ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. განსაკუთრებით — ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებში.

ქართულ ენაში მრავლად არის შემოსული ბერძნული საკუთარი სახელები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ჭარბობს ბერძნული საკუთარი სახელები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — სპარსული.

თანახმად პროფ. ს. ყაუხჩიშვილის სპეციალური გამოკვლევისა, ბერძნულიდან შემოსულ საკუთარ სახელებს ატყვიათ, — ზეპირი გზით არიან შემოსული, ბერძნებთან უშუალო კონტაქტების შედეგად, თუ მწიგნობრული, ლიტერატურული გზით, ე. ი. თარგმანების გზით.

მაგალითად, ე-თი დაბოლოებული სახელების ხმარება საქართველოში დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან და ამ გავრცელებისდა მიხედვით შემოდის საკუთარი სახელები, რომლებიც ბერძნულში ოს-ითაა დაბოლოებულნი, ქართულში კი ე-თი. პირველ რიგში ეს ეხება ქრისტეს სახელწოდებას. ბუნებრივია, რომ ქრისტეს სახელს ქართველები იმთავითვე გაიცნობდნენ ლოცვა-ვედრების გზით, როდესაც ქრისტესადმი მიმართვაში ბერძნები იხმარდნენ არა ქრისტოს-ს რომელიც სახელობითის ფორმაა, არამედ ვოკატივის ფორმას (წოდებითი ბრუნვა): ქრისტე. ამნაირადვეა შეთვისებული იესუ, რომელიც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში სწორედ ამ სახით გვევლინება და არა ფორმით იესო. წოდებითი ბრუნვის ფორმით (ე. ი. ზეპირი გზით) არის დამკვიდრებული ქართულში ბერძნული

სახელები: ალექსანდრე, დამიანე, ანდრონიკე, პეტრე, პავლე, სტეფანე, პილატე, იპოლიტე და მრავალი სხვა. ასევე ზეპირი გზითაა შემოსული ბერძნული სახელები, რომლებიც ი ო ს-ზე ბოლოვდებიან სახელობით ბრუნვაში, ხოლო წოდებითში — ი-ზე. ამიტომაა, რომ ქართულში გვაქვს აკაკი, გიორგი, ალექსი, აპოლინარი და არა აკაკიოს, გიორგიოს და სხვ., რადგანაც ეს უკანასკნელი ფორმები ბერძნული სახელობითი ბრუნვის ფორმებია და ბერძენი ბერძენს დაუძახებდა (მოუხმობდა) არა სახელობითი ბრუნვის ფორმით (ასე: აკაკიოს!), არამედ წოდებითი ბრუნვის ფორმით (ასე: აკაკი!). ეს გაიგონა ქართველმა და გადმოიღო კიდევაც ამ ფორმით. ახლა, რასაკვირველია, აკაკი, გიორგი და სხვ. ქართულში სახელობითი ბრუნვის ფორმებიცაა.

ი-ბოლოკიდურით გადმოცემულია ძველსავე ქართულში ის ბერძნული სახელებიც, რომელთაც სახელობითში ჰქონდათ „ეს“: ესენია: არისტოტელი, დიოგენი, ევრიპიდი, სოფოკლი, დემოსთენი და სხვა. შემდეგ დაბოლოება „ი“ ქართული სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად იქნა გაგებული და ამით აიხსნება, რომ პარალელურად ჩნდება ძირი არისტოტელ. ასევე ძველ ქართულ მწერლობაში უფრო ხშირად გვხვდება სოკრატ, ვიდრე სოკრატი.

შედარებით ვრცლად იმიტომ შევჩერდით საკუთარ სახელებზე, რომ გვეჩვენებინა ბერძნული სიტყვების ქართულში შემოსვლის ორი გზა — ზეპირი და ლიტერატურული, ამასთანავე, გაგვეგო, დაახლოებით რა ბერძნული სახელებია დამკვიდრებული ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული. ქართველებს რომ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან და რომ ბერძნებს და ქართველებს პირადი კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან დამყარებული, ეს მშვენივრად ჩანს საკუთარი სახელების ლინგვისტური ანალიზითაც.

აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ სიტყვაზე, რომელიც თითქოს სადავო არ უნდა იყოს, რომ ქართული წარმოშობისაა, და გვხვდება ბერძნულში. ჰომეროსის „ოდისეაში“ გვხვდება სიტყვა მოლი (კოლხთა წინამძღოლის — აიეტის დის კირკეს სამფლობელოში, კუნძულ აიაიაზე არსებული ბალახის სა-

ხელი). სხვა ბერძნულ წყაროებში ეს სიტყვა არ გვხვდება. მას ინდოევროპული ეტიმოლოგიები არ ეძებნება. ქართულში კ ო ლ ი დღემდის იხმარება და ნიშნავს ახლად ამოსულ ხშირ და წმინდა ბალახს. ჰომეროსთან იგულისხმება გრძნეული ბალახი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც მ ო ლ ი სწორედ ამგვარ კონტექსტში არის ნახმარი:

„ფატმან მისცნა დაწერილნი მას გ რ ძ ნ ე უ ლ ს ა ხელოვანსა:“
„ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასაგვანსა!“
მან გ რ ძ ნ ე უ ლ მ ა ნ მ ო ლ ი რამე წამოისვა ზედა ტანსა“.

მოლი გვხვდება ჯადოსნური წამლის მნიშვნელობით „აბდულმესიანშიც“ და „შაჰნამეშიც“.

ქართულ ენაში შემოსულია სიტყვები ს ო მ ხ უ რ ი ე ნ იდ ა ნ ა ც.

სომხები და ქართველები, როგორც უძველესი ცივილიზაციის შექმნის მონაწილე ხალხები, ერთმანეთთან ისტორიულად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ისინი უხსოვარი დროიდანვე ემეზობლებიან ერთმანეთს, მათი ურთიერთთანამშრომლობა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის შექმნაში სრულიად განსაკუთრებულია და უაღრესად საინტერესო. მდიდარია და მრავალფეროვანი ამ ორი მოძმე ხალხის ლიტერატურული ურთიერთობა ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე; წინა საუკუნეებში გაჩაღებული იყო მთარგმნელობითი მუშაობა სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად.

ქართულ ენაში შემოსულია როგორც ს ო მ ხ უ რ ი სიტყვები, ისე სომხური გზით ზოგიერთი სპარსული და სემიტური სიტყვაც. ქართულში დამკვიდრებული სიტყვების მნიშვნელობა თვითონ სომხური ისტორიული ლექსიკის ზოგი ბუნდოვანი საკითხის გადასაჭრელად ნაჩვენებია ჰიუბშმანის, მეიეს, შარის, აჭარიანის, შანიძის, კაპანციანის, ი. აბულაძის, სევაკის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარისა და ი. აბულაძის გამოკვლევები.

სომხურიდან არის შემოსული ძველ ქართულში როგორც ძი-

რეულად სომხური, ისე სხვა ენების სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად; ავაზნი, ახოვანი, დალიმი, პატივი, სასტიკი, ბილწი, კატაბანი, ჟამი, კოლტი, ქურუმი, ხარკი და სხვ.

ისევე როგორც სომხურს გაუმდიდრებია ქართული ენის ლექსიკური მარაგი, ქართულ ენასაც მოუწოდებია სომხური ენისათვის არა ერთი და ორი სიტყვა.

სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პროცესში ქართულიდან შესულა სომხურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა ველი, ყრმა, ცხოვარი, პირი, საუნჯე, ვარდნა და სხვ. (ნ. მარი, ჰ. ფოგტი). ამ ქართულ სიტყვებს სომხურში ფონეტიკური ცვლილებანი განუცდია.

ზემოთ დასახელებული სიტყვების ურთიერთსესხება განეკუთვნება სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ დროს, როდესაც ორივე ერს თავ-თავისი მწიგნობრობა მოეპოვებოდა და (ქრისტიანულ ხანაში) კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდა.

ირკვევა, რომ ქართველებსა და სომხებს კონტაქტები ჰქონიათ უძველეს ეპოქებშიც, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც ყალიბდებოდნენ სომხური და ქართული ეთნიკური ერთეულები. ნ. მარი ამტკიცებდა, რომ იმ უძველეს ხანებში ქართველური ენებიდან ბევრი სიტყვაა შესული უძველეს სომხურ ენაში.

გაეცნოთ ამ საკითხს უფრო მიახლოებით.

როგორც ცნობილია, სომხური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ეს ასეა, მაგრამ ცნობილმა ლინგვისტებმა შენიშნეს, რომ ამ ენაში მოიპოვება მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ინდოევროპული ენების საერთო ფონდს, ისინი სხვა რომელიმე სისტემის ენათა შემონატანია და დანერგილი სომხურ ენაში. გამოჩენილი სომეხი მეცნიერის, აკადემიკოს აჭარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, 10996 სომხური სიტყვის ძირიდან მხოლოდ 713 ძირია საერთო ინდოევროპული ენების ძირებთან. ამრიგად, სომეხმა და უცხოელმა ენათმეცნიერებმა სომხურ ენაში გამოყვეს ინდოევროპული ენების თვალსაზრისით აუხსნელი უცხო ელემენტები.

სად იყო საძიებელი ეს უცნობი ენობრივი ფენა?

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ნ. მარი იკვლევდა სომხური სალიტერატურო ენის საკითხებს, მეცნიერი ამბობდა: „მეხუთე-მერვე საუკუნეების ძველ სომხურ საწერლობო ენაში ვხედავ რაღაც გარდატეხა. ძველი სომხური სალიტერატურო ენის ზოგი თავისებურება, გაბატონებული ამ მომენტამდის, აშკარავდება იმ ქართული ძეგლების შესწავლით, რომლებიც ნათარგმნია სომხურიდან“. ამრიგად, ნ. მარი ქართულ მასალებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხური სალიტერატურო ენის საკვანძო საკითხის გადასაჭრელად. მაგრამ ეს ეხებოდა სალიტერატურო ენის პერიოდს. ზემოთ კი ჩვენ ვეხებოდით სალიტერატურო ენის პერიოდამდე არსებული სომხური ენის შედგენილობას, ე. ი. გაცილებით უფრო ძველ ხანას.

და როცა დაისვა სომხური x ფენის ამოცნობის პრობლემა, იმავე ნ. მარმა, რომელიც წინათ მსჯელობდა სომხურ-ქართული სალიტერატურო ენების პერიოდებზე (ე. ი. ახალ ხანაზე), სრულიად ლოგიკურად ამ შემთხვევაშიც საკვლევაძიებო გეზი ქართული ენისაკენ აიღო. 1903 წელს ნ. მარმა პეტერბურგში გამოაქვეყნა კაპიტალური წიგნი „ძველი სომხური ენის გრამატიკა“, სადაც ავტორი აღნიშნავს: სომხური ენის აგებულება არ ამოიწურება: არიული ელემენტებით; სომხურში ინდოევროპულ ენათა ფენასთან შერწყმულია რომელიღაც უცნობი ლინგვისტური ოჯახის ნალექი; მაშასადამე, სომხური ნარევი ტიპის ენად გამოიყურება.

რომელი ლინგვისტური ოჯახის სინამდვილიდან მოდის ეს ნალექი თუ ფენა სომხური ენისა? — აყენებს საკითხს წიგნის ავტორი. პასუხი ასეთია: „ამ უცნობი ოდენობის ფიზიონომია თანდათან მოიხაზა ჩემთვის იმ მუშაობის დროს, რასაც ვაწარმოებდი სემიტურ ენებთან ქართული ენის გენეტური ნათესაობის დასადგენად“. სხვა ნაშრომში ნათქვამია: სომხურზე უძველეს პერიოდში დიდი გავლენა მოუხდენია სხვა ენებს. „გამვლენელ ენებში ადგილი აქვს ქართულსაც“, უპირატესად ისეთ ქართველურ ენებს, — განაგრძობს მარი, — როგორიცაა „ივერიული, ესე იგი მეგრული და ჭანური. თანაც ირკვევა, რომ, გარდა ამ მეზობელი ენების... გავლენისა, სომხეთის... ენის თვითჩასახვაში დიდი წილი უდევს... სვანურს... სვანურში უნდა ვეძიოთ ყველაზე

უპირველესად სომხეთის ლურსმული წარწერების გამოცანის ახსნა"[1].

ყურადღებას იპყრობს ქართული ენის კონტაქტები სემიტურ ენებთან. ეს არის შედეგი სემიტურ სამყაროსთან ქართველების უძველესი კავშირ-ურთიერთობისა.

ებრაულისა და არამეულის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით. ჯერ კიდევ მანამდე მეცნიერებაში მკვეთრად იდგა საკითხი ქართული ბიბლიის ებრაულ ორიგინალთან ურთიერთობის შესახებ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილ იქნა მცხეთაში ებრაული (უფრო ზუსტად — თალმუდის არამეულ ენაზე) წარწერა, რომელიც გამოსცა ცნობილმა მეცნიერმა დ. ხვოლსონმა (1884 წ.). იმავე ენაზეა შესრულებული 1938 წ. იქვე მოპოვებული წარწერა იოსებ ბარ ჰაზანისა, რომელიც გამოიკვლია აკად. გ. წერეთელმა (1940 წ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის არამეულის სამყარო. საქართველოში არამეული ტრადიციების შესახებ ჩვენ წინათაც შეგვეძლო ვარაუდი გვქონოდა იმ არამეული სიტყვების მიხედვით, რომლებიც გარკვეული რაოდენობით გეხვდება ქართულში ძველთაგანვე მოყოლებული. მაგრამ ახალი აღმოჩენების მიხედვით დადასტურდა, რომ არამეული ენა იბერიის (ძველი საქართველოს) მმართველი წრეების ოფიციალური დოკუმენტების ენად იყო გამოყენებული. მეტიც: მცხეთა-არმაზის წარწერებიდან ჩანს, რომ არამეულს აქ იმდენად ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონია, რომ იბერიაში შეიქმნა არამეულის თავისებური შტო, მეტად ორიგინალური პალეოგრაფიული ნიშნებით და ზოგიერთი ენობრივი თავისებურებით. იბერიის სახელმწიფო წყობილების, სოციალურ ურთიერთობათა და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად ჩვენ მოგვეპოვება ავთენტიკური არამეული და აგრეთვე სპარსული ძეგლები, რომლებიც თავისი სულით, ხასიათით ამავე დროს ქართულია (გ. წერეთელი).

---

[1] ნ. მარმა ამ საკითხს უძღვნა ვრცელი შრომა „იაფეტური (ე. ი. ქართველური შ. ძ.) ელემენტები სომხეთის ენებში", რომელიც II ნაწილად გამოქვეყნდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (1911—1919).

არამეულთან დაკავშირებულია ქართული ანბანის პრობლემებიც, რაზედაც ლაპარაკია ამ წიგნის სხვა თავში.

ქართულ ენას შეხვედრები უნდა ჰქონოდა სემიტურ ენებთან ადრინდელ ეპოქებში. ასე, მაგალითად, ძალიან ძველი ნასესხებია ქართულში სემიტური წარმოშობის ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ა ქ ლ ე მ ი, თ ა რ გ მ ა ნ ი, თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი, კ უ პ რ ი, ზ ე თ ი და სხვ.

განსაკუთრებით პროდუქტიულია ქართულ ენაში არაბული წარმოშობის სიტყვები.

საქართველოს ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველ საუკუნეშივე იწყება. VII საუკ. ორმოციან წლებში საქართველოს მოსახლეობა უშუალო კონტაქტს ამყარებს არაბებთან და ეს კავშირი არ შეწყვეტილა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ამავე დროს, არაბული კულტურის ძეგლები ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ამრიგად, არაბული ლექსიკური მასალა ინერგებოდა როგორც არაბებისა და ქართველების პირადი ურთიერთობის, ისე მწიგნობრული გზით.

ქართველმა მწიგნობრებმა კარგად იცოდნენ არაბული ენა. ისინი არაბულ ხელნაწერებზედაც მუშაობდნენ.

არსებული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სინას მთის ქართული მონასტრის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება არაბული დაწერილობის კვალი. სინას ქართულ ხელნაწერებში ნაკლებად იგრძნობა სირიულის გავლენა, ვიდრე ბერძნულისა და შედარებით მეტადაა შენახული არაბული ენის გავლენის კვალი.

სინაზე ნაპოვნია არაბული ანბანი ქართველთათვის. თითოეული არაბული ასო განმარტებულია ქართული ასოთი. სინაზე არსებობდა არაბული ხელნაწერები რვეულთა ქართული ნუმერაციით და ქართული ხელნაწერები — არაბული ნუმერაციით (სიტყვებით). და, ბოლოს, სინას მთის ქართულ ხელნაწერებში ნაპოვნია ქართველთა ჩანაწერები და მინაწერები არაბულ ენაზე. არაბული მინაწერები და ჩანაწერები ქართულ ხელნაწერებში იმის მაჩვენებელია, რომ მაშინდელი გადამწერლები შესანიშნავად იცნობდნენ ორივე ენას და ჩანს, რომ სინაზე უკვე მაშინვე მტკიცედ იყო ფესვმოკიდებული ქართველების მიერ არაბული დამწერ-

ლობის შესწავლის ტრადიცია (ვეყრდნობით პროფ. ი. მეგრელიძის სპეციალურ გამოკვლევას).

არაბული ელემენტების შესწავლა ქართულ ენაში მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის შესწავლისათვის, არამედ ისინი, როგორც აღნიშნავს გ. წერეთელი, მდიდარ მასალას იძლევა აგრეთვე არაბული ენის ისტორიული ფონეტიკისათვის, ვინაიდან ძველთაგანვე არსებული ქართული წესი ხმოვნების ზუსტი აღნიშვნისა შესაძლებელს ხდის გარკვეულ იქნეს ბუნება და ხასიათი ამა თუ იმ ბგერისა ისტორიულ ეპოქაში.

საინტერესოა, რომ თვით არაბების აღმნიშვნელი სახელები ქართულში შემოსულია სხვა ენების მეშვეობით ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე არაბები უშუალო კონტაქტს დაამყარებდნენ ქართველებთან. ასეთებია: არაბი, არაბიელი და სარკინოზი. ეს უკანასკნელი ქართული გადმოცემაა ბერძნული ფორმისა, რომელიც აგრეთვე არაბული ტომის სახელია. არაბების ამ ზოგადი სახელწოდებების გვერდით იმთავითვე ჩნდება ჩვენში არაბული ტომების აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთებია, მაგალითად, ტაიჰი, რომელიც ქართულში ცხენს ნიშნავს, მას საფუძვლად უდევს ჩრდილო არაბული ტომის სახელი (აქედანვეა, სხვათა შორის, სახელწოდება ტაჯიკი). ქართულში ტაის ტომის აღმნიშვნელი სიტყვა შემოდის ჯერ არაბის, ბედუინის აღსანიშნავად, შემდეგ — არაბული ცხენისა.

ხალხისა და ტომების აღმნიშვნელი ტერმინების გვერდით ჩნდება ადამიანის საკუთარი სახელები: ჰაბო, აბდულა, ჯაფარი და სხვ. შეჭრილია ქართულში აგრეთვე ისლამის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ტერმინოლოგია (ამირა, და სხვ.), ზოგადი სახელები (ნიკრისი, აუზი, დავა, ვექილი) და სხვ.

„გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სიტყვა ქართულიდან იყოს სემიტურში წაღებული“ (გ. წერეთელი).

აქ შეიძლება დავასახელოთ სიტყვა ღვინო, რომელიც ასეთ ეჭვს იწვევს. როგორც ვიცით, ეს სიტყვა გავრცელებულია სხვადასხვა სისტემის ენაში. რუს. вино, გერმ. wein, ინგლ. wine ფრანგ. vin, ლათ. vinum, ბერძნ. οἶνος და სხვ. სემიტურში ასეთი

ფორმებია გავრცელებული: არაბ. wayn ებრ. yayin ასურულ-ბაბილონური tnu და სხვა.

ინდოევროპეისტები აღიარებენ, რომ ეს სიტყვა არაა ძირეულად ინდოევროპული, იგი ნასესხებიაო (ტომსონი). სემიტოლოგებსაც ეს სიტყვა არ მიაჩნიათ სემიტური წარმოშობის სიტყვად (ლაგარდი, ჰომელი, გენეზიუსი).

ხომ არ არის ეს სიტყვა ქართული წარმოშობისა? ამას ვარაუდობდა ნ. მარი.

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ადვილი შესაძლებელია, ეს სიტყვა სემიტურში ქართულიდან იყოს შესული. მისი მსჯელობა ასეთია: ქართულ ვი-ს მეგრულში შეესატყვისება გი (შდრ. ქართ. ვირი, მეგრ, გირინი). ამიტომ ქართ. ღვინო-ს შესატყვისად (ქართულშიც უნდა ყოფილიყო ღვინი, რომელიც ეფარდება მეგრულს და გვხვდება ძველ ტექსტებშიც) მეგრულში უნდა გექონოდა გინი. ამ ფორმით ეს სიტყვა შემონახულია სომხურში, სადაც იგი მეგრულ-ჭანურიდან უნდა იყოს ნასესხები. სომხურს არ შეეძლო ეს სიტყვა შეეთვისებინა ინდოირანულიდან, რადგან იგი აღმოსავლურ ინდოევროპულ ენებში არ გვხვდება; გამორიცხულია სემიტურიდან სესხებაც. „ქართულში რომ სიტყვა სემიტურიდან იყოს შემოსული, სომხურს ქართველური ენებიდან არ დასჭირდებოდა სიტყვის გადაღება, რადგან სემიტურიდან სესხების გზები მისთვის გახსნილი იყო. თუ გავიხსენებთ ბიბლიაში არსებულ ძველ გადმოცემას, რომელიც გვამცნობს, რომ ამიერკავკასია ვენახისა და ღვინის სამშობლოა, სერიოზული საფუძველი გვექნება, გამორიცხულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო და თვით საგანი იმით აღნიშნული, ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გავრცელებული“ (აკად. გ. წერეთელი).

არის კიდევ სხვა ლექსიკური შეხვედრები სემიტურ ენებსა და ქართულში, მაგრამ აქ მათზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ქართულ ენაში მოიპოვება აგრეთვე თურქული ენის ელემენტები. ძველ საუკუნეებში შემოსულია ანატოლიურ-თურქულიდან სიტყვები უმთავრესად ზეპირი გზით. განსაკუთრებით

ბევრია ნასესხები სიტყვა თურქულიდან ქართული ენის სამხრულ დიალექტებში.

ორი მოძმე ხალხის — აზერბაიჯანელებისა და ქართველების ოდითგანვე არსებულ თანამეგობრობას და ურთიერთდახმარებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში არ შეიძლებოდა ხელი არ შეეწყო აზერბაიჯანული და ქართული ენების ურთიერთზემოქმედებისათვის და არ შეიძლება არ განეპირობებინა ერთი ენის ლექსიკური შემადგენლობის ზრდა მეორე ენის ელემენტებით.

ნასესხები ლექსიკური ელემენტების ანალიზი და მათი კლასიფიკაცია სიტყვათა მნიშვნელობის თვალსაზრისით ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ხალხთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ის დარგებიც, რომლებიც ერთს უფრო მეტად ჰქონდა განვითარებული და სრულყოფილი, ვიდრე მეორეს. აზერბაიჯანელი ელემენტები ქართულში ასახავს სახალხო მეურნეობის ისეთ მხარეებს, როგორიცაა მეცხოველეობა, თევზის მრეწველობის პროდუქტები და სხვ.

აზერბაიჯანულიდან ქართულში ნასესხებია სიტყვები: თ ო ხ ლ ი, შ ი შ ა გ ი, ყ ო ჩ ი, ი ა ლ ა ღ ი, დ ო ლ ი, ბ უ ღ ა, დ ო შ ი, ხ ი ზ ი ლ ა ლ ა, ტ ო ლ მ ა, ბ უ ღ ლ ა მ ა, ყ ა უ რ მ ა, ბ ო ზ ბ ა შ ი, ო ხ უ ნ ჯ ი და სხვ. (პროფ. ს. ჯიქია).

აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხები მასალის კლასიფიკაცია კი გვირვენებს, რომ სესხება ხდება მევენახეობის, მეღვინეობის, მიწათმოქმედების ტერმინებისა. აკად. ივ. ჯავახიშვილმა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შედარებითი შესწავლისა და ამ საგანთა სახელწოდების დაწვრილებითი ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოარკვია, რომ ძველ საქართველოს მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდა. მეზობელი ხალხები — სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო-კავკასიელები და სხვანი გარკვეულ შემთხვევებში ქართველებისაგან ითვისებდნენ როგორც გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ისევე მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ტექნიკას და, მაშასადამე, შესაბამის ტერმინებსაც. ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, ჩერდება სიტყვაზე გ უ თ ა ნ ი და აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნა-

ბესხებმა გუთან-სიტყვამ კოტან-ის სახით განდევნა საერთო თურქული საბან.

დადგენილია აგრეთვე, რომ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხებია ისეთი ტერმინები, როგორიცაა მოდგამი, რომელსაც აქვს მიწის კოლექტიური დამუშავების მნიშვნელობა. ქართულიდან ნასესხებია აგრეთვე სიტყვა თოხი (თოჭი ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში გვხვდება XI საუკუნიდან). ეს აღნიშნულია რუსულ-აზერბაიჯანულ ოთხტომეულ ლექსიკონშიც, რომელიც ბაქოში გამოქვეყნდა 1943 წელს. ამ სიტყვას რომ ღრმად აქვს ფესვი გადგმული აზერბაიჯანულ ყოფა-ცხოვრებაში, იქიდან ჩანს, რომ მან მოგვცა რამდენიმე ახალწარმოებული ზმნა.

ს. ზელინსკის აზერბაიჯანულ სოფლის მეურნეობის ტერმინებს შორის ფიქსირებული აქვს სიტყვა მარგილ, რომელიც ვაზის შეყელვისათვის იხმარება. ეს სიტყვაც ქართულია. ქართულიდანვეა ნასესხები აზერბაიჯანულში შემდეგი სიტყვები: ჰაჰა, ჰინჰარი, ტალავარი (ტალავარი დადასტურებულია V—XI სს. ქართულ ხელნაწერებში) და სხვ. (ს. ჯიქია).

უძველეს ქართველ ტომებს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ მეტალურგიული ინდუსტრიის განვითარებაში.

ნ. მარის სიტყვით, ქართველ ტომებში — მოსხებში, ხალიბებში, ჰოროხის აუზში უძველეს დროს „აყვავებული იყო მეტალურგიული ინდუსტრია".

ბევრი საბუთი არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ ქართველი ტომები და მათი წინაპრები საუკეთესო მეტალურგებად ითვლებოდნენ. სულ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა ერთი უაღრესად საყურადღებო ამბავი: შესანიშნავი ბრინჯაოს კულტურა, რომელსაც წინათ კობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, საკუთარი კულტურა ყოფილა, და რომ ეს კულტურა ვრცელდებოდა თურმე მცირე აზიაშიც. მოსინიკთა სპილენძის ხელადი, ტაბალების და ხალიბების რკინა და ოქრო სვანეთიდან ცნობილი იყო ჩვენს ერამდე მრავალი საუკუნის წინ კავკასიის მიღმა მდებარე ახლო და შორეულ მხარეებშიც.

ხალიბები იგივე ხალდებია. სტრაბონი ამბობს, რომ ხალი-

ბი ძველი სახელწოდებაა, ხოლო ხალდი — უფრო ახალი. ორივე სახელწოდების დაბოლოება წმინდა ქართულია. ქართველების დღევანდელი სახელი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ხალიბების სახელწოდებას: ქართუ-ელ-ი, შდრ. ხალდუ, ამასთანავე, კარდუ. ეს კარდუ-ხალდუ-ქართუ ქვეყანა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგივეა, რაც ქალდეა. სვანეთში არის სოფელი ხალდე.

მთელ ანტიკურ სამყაროში ხალიბებს რკინის დნობა-ჩამოსხმის საუკეთესო ოსტატებისა და ფოლადის გამომგონებლების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი (მაგალითად, ვირგილიუსის ცნობით, „ხალიბები — ტომი პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა").

მ. ბლანკენჰორნმა წამოაყენა დებულება, რომ რკინის დამუშავება ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დამდეგს უნდა დაწყებულიყო და რომ ასეთი აღმოჩენა მსოფლიოს რამდენსამე ადგილას დამოუკიდებლად უნდა მომხდარიყო; მცირე აზიაში რკინის ასეთი აღმომჩენები უნდა ყოფილიყვნენ ტაბალები და ხალიბები.

უძველესი ქართველი ტომების — ტაბალებისა და მუსკების მადნეულობის ხელოვნების ქებას ებრაელებამდისაც მიუღწევია. ბიბლიის პირველი წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ მჭედლობა ტაბალების მოსახლეობის მოგონილი ხელობაა.

„ამ ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უკეთებიათ მადნეული, ჰურჰელი და იარაღი, არამედ იმეთ შორეულ ქვეყნებშიც კი მიჰქონდათ ხოლმე გასაყიდად, როგორიც იყო ტეიროსი. მრეწველობასთან ერთად, მაშასადამე, აღებ-მიცემობაც გავრცელებული და დაწინაურებული ყოფილა. ხალიბებისა და ტაბალების სპილენძისა და რკინის ნაწარმოები საბერძნეთშიც განთქმული ყოფილა. იქ ხმა დადიოდა კიდეც. რომ მოსსინიკები რაღაც მიწას ურევენ მადანში და იმიტომ გამოდის ასე კარგიო... უეჭველია, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საკატიო ღვაწლი მიუძღვის ძველი განათლებული კაცობრიობის წინაშე" (ივ. ჯავახიშვილი).

საკითხავია: როგორია ქართულად (და ქართველურ ენებზე) მადნეულის სახელები?

ყველა მადნის სახელი ქართული წარმოშობისაა. არც ერთი ნასესხები არ არის რომელიმე ენიდან (გარდა ერთისა). აი, ეს სა-

ხელწოდებები: ქართ. ოქრო, მეგრ. ორქო. სვან. ვქრე; ქართ. ვერცხლი, მეგრ. ვარჩხილი, ქვარჩხილი, სვან. ვარჩხილ; ქართ. თითბერი, ქართ. სპილენძი, მეგრ. ლინჯი, სვან. სპილენძ; ქართ. რკინა, მეგრ. კინა, ჰანური ერკინა; ქართ. ტყვივი, ტყვია.

ერთადერთი კალა არ არის ქართული წარმოშობისა. იგი წარმოდგება მალაკკას ქალაქ კალაჰ-იდან, რადგან საშუალო საუკუნეებში ეს მადანი იქიდან მოჰქონდათ. ძველ ქართულში ეს სიტყვა არ გვხვდება. ძველად ხმარობდნენ სიტყვებს: ბრპენი, პრპენი.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ო. შრადერი აღიარებს, რომ მადნების სახელწოდებები სხვა ერებს ქართველი ტომებისაგან შეუთვისებიათ.

ბრინჯაოს ევროპული სახელწოდება წარმომდგარია სპარსული ბირინჯი-საგან, ხოლო სპარსული სიტყვა შეთვისებულია ქართული ენიდან. ქართ. სპილენძი, როგორც ეს პირველად ნ. მარმა ახსნა, წარმომდგარა ამგვარად: სპირ ენძ და ნიშნავს სპერის ანუ ისპირის მადანს (სომხურში შესულია ასე: პღინძ). ეს ეტიმოლოგია გაიზიარეს ივ. ჯავახიშვილმა და სხვებმა.

ბერძენი მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათ. ელადაში სპილენძი ცოტა იყო.

თითბერია სახელწოდებები ზოგიერთ ევროპულ ენაში (მაგალითად, გერმანული messing, ანგლოსაქსური mästling, ძველნორმ. messing, პოლონ. mosiandz) მომდინარეობენ მოსსინიკების ტომის სახელწოდებისაგან. მოსსინიკები სწორედ თითბერის ხელობაში იყვნენ განთქმულნი. ამ მადნის მეორე სახელწოდებაც (თითბერი) ნამდვილი ქართულია და ნიშნავს თუთფერი, ე. ი. მთვარის ფერის მადანს (ქართ. თთუმ; მეგრულად თუთა ნიშნავს მთვარეს).

რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ჩანს ფოლადის ბერძნული სახელწოდებიდან: ხალკფს. ხალკბდიკოს ხალიბების

ტომის სახელწოდებიდან არის წარმომდგარი და ნიშნავს „ხალიბურს“.

ამრიგად, „უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადად მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით“ (ივ. ჯავახიშვილი).

ასეთია ზოგადი ცნობები ისტორიულ წარსულში ქართული ენისა და მსოფლიო ენების კონტაქტების შესახებ.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორია

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩვენ ვხვდებით პირველ ცნობებს ქართული ენის შესახებ დასავლეთ ევროპაში. იმდროინდელი მეცნიერები ასე თუ ისე იცნობდნენ ანტიკური ხანის ავტორების აზრებს ქართველი ტომების ირგვლივ. ამასთანავე, მათს განკარგულებაში იყო აღმოსავლეთის ქვეყნების მოგზაურთა ჩანაწერები, ხელნაწერები, ნაბეჭდი წყაროები. რუსეთში ქართული კოლონიის წევრთა მწიგნობრული მუშაობა, შემდეგ სტამბის დაარსება, ქართული ბიბლიის მოსკოვური გამოცემა და სხვ. წარმოადგენდა მნიშვნელოვან მასალას, რომლის საფუძველზე დასავლეთ ევროპის მეცნიერებს საშუალება ეძლეოდათ ემსჯელათ ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. ამ ხანებში მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხებითაც იყვნენ დაინტერესებული და ამ ჭრილში, ბუნებრივია, ქართული ენა, როგორც ენა უძველესი ხალხისა, ცხოველ ინტერესს იწვევდა. არ შეიძლება გამოვრიცხოთ წმინდა პრაქტიკული მიზნებიც, რამაც განსაზღვრა ლტოლვა ქართული ენის შესწავლისადმი. მისიონერული მუშაობის ფართოდ გაშლა, ცხადია, ვერ ასცდებოდა ამ გზას და აქედან გასაგებია ზრუნვა, რასაც იჩენდნენ დასავლეთში პრაქტიკული ხასიათის გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენის მიმართ.

1629 წ. რომში გამოდის ს. პაოლინისა და ნ. ირბახის მიერ შედგენილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, ხოლო

1643 წელს იმავე რომში ლათინურ ენაზე დაიბეჭდა მარიო მა-ჯოს ქართული ენის გრამატიკა. 1670 წ. გამოვიდა ამ წიგნის მეორე გამოცემა.

1716 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი. ეს ლექსიკონი პირველად დაიბეჭდა თბილისში 1884 წელს რაფიელ ერისთავის რედაქტორობით (მეორე გამოცემა გამოვიდა 1928 წ. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით, მესამე გამოცემა 1949 წელს ს. იორდანიშვილის რედაქციით, მეოთხე გამოცემა — 1964 წ. ი. აბულაძის რედაქციით).

ქართულად დაწერილი პირველი ქართული გრამატიკის ავტორია ზურაბ შანშოვანი (დაწერილია 1737 წელს, გამოიცა პეტერბურგში 1881 წელს პროფ. ა. ცაგარლის მიერ).

XVIII საუკუნეში დაიწერა ანტონ I-ის (ბაგრატიონის) ფუნდამენტური ქართული გრამატიკა (პირველი ვარიანტი დაიწერა 1753 წელს, მეორე — 1767 წელს; გამოიცა 1885 წელს რ. ერისთავის წინასიტყვაობით). ამ შრომამ დიდი როლი შეასრულა მომდევნო ხანის გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. მისი გაელენით დაიწერა ბევრი სასკოლო გრამატიკა.

ქართული ენის მასალები შესულია მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონებში. 1787-1791 წწ. პეტერბურგში დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტიური ნაშრომი — მსოფლიო ენათა ლექსიკონი, სადაც თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ქართველური ენების ლექსიკის ელემენტებსაც. ქართველური ენების მასალა წარმოდგენილია პალასისა და გიულდენშტედტის ნაშრომებშიც.

ახალი განმარტებითი ლექსიკონი შეადგინა (1815—1825 წლებში) ნ. ჩუბინაშვილმა (გამოიცა 1961 წ. ა. ღლონტის რედაქციით).

პარიზის სააზიო საზოგადოებამ საგრძნობლად წინ წასწია ქართველოლოგიური კვლევა-ძიება. 1823 წელს ამ ავტორიტეტულ საზოგადოებაში მკვეთრად დაისვა საკითხი ქართული გრამა-

ტიკისა და ლექსიკონის შედგენისა (უმთავრესად აკადემიკოს კლაპროთის მასალების საფუძველზე).

1834 წელს პარიზში იბეჭდება აკადემიკოს მ. ბროსეს ქართული გრამატიკა (გამოცემულია ლითოგრაფიულად), ხოლო 1837 წელს — იმავე ავტორის „ელემენტები ქართული ენისა“.

ჰანურისა და მეგრულის გაძოკვლევის პირველი ცდები ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს გ. როზენს (1844—1846 წწ.) მასვე მოეპოვება ცნობები ქართული ენის დიალექტების შესახებ. პირველად ქართული ენის დიალექტების შესახებ საუბარია პროფ. ფ. ალტერის წიგნში, რომელიც შეეხება ქართულ ლიტერატურას (1798 წ., ვენა).

ქართული ენის შესახებ ნაშრომები გამოქვეყნებული აქვთ ლაიბნიცს და ბოპს უმთავრესად სხვა ენებთან ნათესაური ურთიერთობის თვალსაზრისით (მათი ღვაწლი დახასიათებულია ზემოთ).

სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა ქართველურ ენათა შესწავლის დარგში პეტერბურგის უნივერსიტეტში და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

1841—1842 წწ. აკად. მ. ბროსეს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა ქართული ფილოლოგიის კურსი. ქართული ენის სწავლება შემოიღეს 1845 წლიდან. პირველი ლექტორი ქართული ენისა იყო პროფესორი დ. ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი). შემდეგ მასვე მიანდვეს ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელობა. დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (1842 წ.), რუსულ-ქართული ლექსიკონი (1848 წ.), ქართულ-რუსული ლექსიკონი (1887—1891 წწ.) და ქართული გრამატიკა (1855—1886 წწ.)

1871 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფ. ა. ცაგარელი. 1872 წელს გამოქვეყნდა მისი ფუძემდებლური შრომა „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის ენათა შედარებითი მიმოხილვა“. 1880 წ. იბეჭდება მისივე ორი წიგნი მეგრულის შესახებ. ა. ცაგარელმა სათავე დაუდო ქართველურ ენათა შესწავლას შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

90-იანი წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობს პროფ. ნ. მარი. მან ფართოდ გაშალა მუშაობა ქართულ ფილოლოგიაში, შემოიკრიბა თავის გარშემო ახალგაზრდა ძალები, დააარსა ძველქართული ტექსტების გამოცემათა სერიები და გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი ნაშრომები ქართველური ენების დარგში. მანვე გამოსცა გრამატიკები, ლექსიკონები. ცალკეული სპეციალური ნაშრომები ქართული ენის შესახებ. მის სახელთან დაკავშირებულია ქართველური ენათმეცნიერების ისტორიაში ახალი ხანის დაწყება. პეტერბურგშივე ქვეყნდება მარის მოწაფეების — ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის ვ. ბერიძის, კ. დონდუას და სხვათა მნიშვნელოვანი ნაშრომები.

ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს კალამს ეკუთვნის პეტერბურგში გამოქვეყნებული მეგრულის ფუნდამენტური გრამატიკა (1914) და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომები ქართველურ ენათა დარგში.

გასული საუკუნის მიწურულიდან რამდენიმე ფუძემდებლური ნაშრომი გამოაქვეყნა ქართული ენის შესახებ გამოჩენილმა ავსტრიელმა ლინგვისტმა ჰუგო შუხარდტმა. 1895 წელს ქ. ვენაში გამოვიდა მისი ნაშრომები „ქართული ენის შესახებ“ და „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“. შემდეგ მათ მოჰყვა გამოკვლევები: „ქართველური ენათმეცნიერება“ (1896 წ.), „ქართული ყე (1896 წ.), „ტორო დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები“ (1896 წ.), „ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“ (1897 წ.) და სხვ.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების (1918 წ.) შემდეგ ქართველური ენების შესწავლის ცენტრი თბილისი გახდა.

თბილისის საენათმეცნიერო სკოლას სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი მეცნიერები — ა. შანიძე და გ. ახვლედიანი.

ა. შ ა ნ ი ძ ი ს სახელთან დაკავშირებულია ახალი ხანა ქართველურ ენათმეცნიერებაში. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ მ ა საფუძველი ჩაუყარა ქართველური ენების ფონეტიკის შესწავლას. ფუძემდებლური შრომები ეკუთვნით ქართველური ენათმეცნიერების დარგში არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას.

ამჟამად ქართული ენის პრობლემები შეისწავლება თბილისის უნივერსიტეტში საენათმეცნიერო კათედრებზე, საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, აგრეთვე რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის კათედრებზე.

მონოგრაფიულად შესწავლილ იქნა ქართული ზმნის მანამდის უცნობი კატეგორიები; დაიწერა ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა; მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ქართული ენის ცალკეულ პრობლემებს. ცალკეული წიგნები მიეძღვნა მორფოლოგიის საკითხებს, მარტივი და რთული წინადადებების სინტაქსს და სხვ.; გამოკვლეულია ქართული ენის ფონეტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მონოგრაფიულად შესწავლილია ქართული დიალექტები; მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ქართველურ ენათა შედარებით შესწავლას და მათს გენეტურ ურთიერთობას სხვა ენებთან; დაიწერა გრამატიკები ჰანურისა და სვანურისა; დამუშავებულია რამდენიმე ქართველი კლასიკოსის ენაც.

დიდი ყურადღება ექცევა ლექსიკონების შედგენას. გამოცემულია ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ძველქართულ-რუსული ლექსიკონი, ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია; გამოვიდა სამტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი, და სხვ.; ასევე გამოცემულია ქართულთან მიმართებით ლათინური, არაბული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური ლექსიკონები; გამოქვეყნებულია სამტომიანი ქართული ხატოვანი სიტყვების ლექსიკონი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, უცხო სიტყვათა ლექსიკონები და სხვ.

1964 წელს დასრულდა გამოცემა 8-ტომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“ (მთ. რედაქტორი ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა).

მოსკოვში წარმატებით მუშაობს ქართული ენის პრობლემებზე პროფ. გ. კ ლ ი მ ო ვ ი. მან გამოაქვეყნა გამოკვლევები ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკიდან, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი და სხვ.

გაცხოველდა ქართული ენის კვლევა ევროპაში XX საუკუნეშიც. ოცდაათიან წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ბერლინის უნივერსიტეტში პროფ. რ ი ჰ ა რ დ მ ე კ ე ლ ა ი ნ ი, რომელმაც გამოსცა ქართულ-გერმანული (1928 წ.) და გერმანულ-ქართული (1937 წ.) ლექსიკონები. მანვე დაბეჭდა ბერლინში ქართულად გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის (1931 წ.).

1930 წელს ლაიფციგში დაიბეჭდა პროფ. გერჰარდ დეეტერსის ფუძემდებლური მონოგრაფია „ქართველური ზმნა“ და მთელი რიგი სტატიები ქართული ენის საკითხებზე.

1936 წელს ფრანგულ ენაზე იბეჭდება ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერის პროფ. ჰანს ფოგტის ქართული ენის გრამატიკა. მის კალამს ეკუთვნის რიგი ნაშრომები ქართული ენის შესწავლის დარგში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ფრანგი მეცნიერის პროფ. რენე ლაფონის გამოკვლევები ქართული ენის საკითხებზე, ქართულისა და ბასკურის ურთიერთობაზე და სხვა.

ქართული ენის მორფოლოგიის ცალკეულ საკითხებს მიეძღვნა ჩეხი პროფესორის იარომირ იედლიჩკას გამოკვლევები.

1962 წელს ვისბადენში გამოქვეყნდა დეეტერსის მოწაფის პროფ. კ. შმიდტის მნიშვნელოვანი წიგნი „ნარკვევი სამხრეთ-კავკასიური ფუძეენის ბგერათშედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“.


ციურიხში გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე კიტა ჩხენკელის 2-ტომიანი წიგნი: „შესავალი ქართულ ენაში“ (1959 წ.).

არსებობს აგრეთვე ფ. ცორელის ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის გრამატიკა (რომი, 1930 წ.). 1953 წ. ვისბადენში გამოვიდა ფ. ნაისერის „ნარკვევები ქართული სიტყვაწარმოების შესახებ“.

ამჟამად ქართველოლოგიის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ ფრ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორები გ. პეჩი და ჰ. ფენრიხი.

1960 წლიდან ციურიხში დაიწყო გამოცემა კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონისა (იცემა ცალკე ნაკვეთებად). კიტას გარდაცვალების შემდეგ ლექსიკონის დანარჩენი ნაწილების შედგენაზე მუშაობენ და აგრძელებენ ნაკვეთების გამოცემას მისი მოწაფეები (იოლანდა მარშევი, ლეა ფლური, რუთ ნოიკომი). დღემდის გამოსულია 14 ნაკვეთი; მე-7 ნაკვეთიდან გამოცემას ხელმძღვანელობს ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე იოლანდა მარშევი (ციურიხის უნივერსიტეტში იგი ზრდის ქართველოლოგთა ახალ თაობას).

ასეთია ჩვენი ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორია.



ქართველის და ჩერქეზის მცხოვრები

ნიკო მარი

„ადამიანი კვდება ინდივიდუალურად სომატური სიკვდილით, მაგრამ არ კვდება საზოგადოებრივად; თავისი ქცევითა და შემოქმედებით ის გადადის ცოცხალ გარემოში — საზოგადოებრიობაში და განაგრძობს სიცოცხლეს მათში, ვინც ცოცხალი რჩება, თუ მართლაც ჭეშმარიტად ცოცხლობდა სიცოცხლეში და არ მიემკვანებოდა მკვდარს, ცოცხალი კოლექტივი მკვდრეთით აღადგენს გარდაცვალებულთ".

ნიკო მარი

„რა წყაროა იგი უცნაური წყარო, საიდანაც ასეთ მკვირცხლ ერს ამდენი სულიერი შეუპოვრობა და დაუღლელი შემოქმედებითი სიმხნევე მიუღია? საიდან მოჩქეფს ეს მისი თავისებურება? განა ბერძნებისაგან ან სპარსებისაგან ან ასურებისაგან ან არაბებისაგან? უფრო გვიან კავკასიაში შემოსულ ერებზე ხომ საკითხის დასმაც არ გვჭირია. ცხადია, რომ არა. ქართველი ერის კულტურული თვითმოღვაწეობაც და მისი თავისებურებაც შინაგან ძალთა ნამოქმედარია. მაგრამ რა არის ამ ძალის წყარო?-

ეს ამოცანა დაესახა თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ნიკო მარს.

ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული შემოქმედება ამ დაუცხრომელი მკვლევრისა გახლავთ ღირსეული პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებზე.

გავაშუქოთ დიდი მეცნიერის ეს ღვაწლი სოგადად და ერთი თვალის გადავლებით.

ნიკო მარი ქართველოლოგიურ სარბიელზე გამოვიდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. პირველი მისი შრომა, ჯერ კიდევ სტუდენტისა, დაიბეჭდა 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ სათაურით: „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“. ამ დროიდან მოყოლებული ნიკო მარმა გამოაქვეყნა ექვსასამდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის ბევრია დიდტანიანი წიგნი, დამადასტურებელი ავტორის გასაოცარი შემოქმედებითი ნაყოფიერებისა და დაუშრეტელი ენერგიისა. „მხოლოდ იმ პირებმა, რომელნიც მასთან დაახლოებული იყვნენ, იციან, რომ ნ. მარის ნაშრომების მარაგი არამც თუ უკვე გამოქვეყნებულით არ ამოიწურება, არამედ მას ერთიორად და სამად მეტიც გამოუცემელი უწყვია, მათ შორის არაერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ძეგლიც. გადაუჭარბებლივ შესაძლებელია ითქვას, რომ მისი სამწერლობო საგანძური ამ მხრივ რამდენიმე მეცნიერისთვისაც-კი სამყოფი იქნებოდა...“

„ვინც-კი აკად. ნ. მარის ხაშრომების თუნდაც მარტო სიას გადასინჯავს, შეუძლებელია მისი შემოქმედების ნაყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ აღეძრას. ხოლო, ვისაც ეს ნაშრომები წაკითხული აქვს, მას ისიც ეცოდინება, რომ მის ენათმეცნიერულ ცოდნისმოყვარეობას საზღვარი არ უჩანს: მისი კვლევა-ძიების თემათა მრავალფეროვანება სწორედ რომ გასაკვირია. იმ ნაშრომებშიაც კი, რომელთა ზოგად შინაარსსა და დასკვნას ადამიანი ვერასგზით ვერ დაეთანხმება, არა ერთი გონებამახვილი შედარებაა გაფანტული და არა ერთი საინტერესო პარალელია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზითა და სხვა საბუთიანობით შეიძლება. გონებამახვილობა და ენამახვილობა დაუშრეტელი წყაროს მსგავსად ჩქეფს ყოველ

მის ნაწერში და ამიტომაც არის, რომ ის „განწირული სულისკვეთება“, რომლითაც გამსჭვალულია პროფ. და აკად. ნ. მარრის უამრავი ნაწერები, უეჭველია, ცუდად არ ჩაივლის და მომავალი მკვლევარი იმ ნაშრომებშიც, სადაც ძირითადი დებულება დამაჯერებელი არ არის, არაერთს „პატიოსან თვალს“ აღმოაჩენს... აკად. ნ. მარრის უმთავრეს ღვაწლს ქართული... ფილოლოგიის შექმნა შეადგენს ისევე, როგორც იგივეა ქართული... ენათმეცნიერების დაუცხრომელი, გატაცებული კვლევა-ძიების ნამდვილი სულის ჩამდგმელიც. ვინც გაითვალისწინებს, რასაც ეს... დარგი ნ. მარრამდე წარმოადგენდა, მისთვის ცხადი შეიქმნება, რომ ქართველთა... მცოდნეობის ისტორიაში ნ. მარრის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება“.

ასე აფასებს დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი თავისი სახელოვანი მასწავლებლის — ნიკო მარის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

***

ჯერ მიმოვავლოთ თვალი ნიკო მარის ბიოგრაფიულ ქარგას.

ჩემი დაბადება და ბავშვობა თითქმის ლეგენდარულია, თუ გავიმეორებ დედაჩემის სიტყვებსო, ამბობს ნიკო მარი თავის ავტობიოგრაფიაში.

ნიკო იაკობის ძე მარი დაიბადა 1864 წლის 25 დეკემბერს (ძვ. სტილით) ქ. ქუთაისში. მამამისი ღრმად მოხუცებული იყო, როდესაც ცოლად შეირთო ახალგაზრდა გურული ქალი აღათი მაღულარია. იაკობი გარდაიცვალა 94 წლის ასაკში და ობლად დატოვა 10 წლის ნიკო. ბავშვობის პირველი წლები ნიკომ ოზურგეთში გაატარა.

ქართული წერა-კითხვა ნიკოსთვის დედამისს უსწავლებია. ბავშვის მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილა გურული ზღაპრები, რომლებსაც მეზობლები დიდი გატაცებით უამბობდნენ მას საღამოობით, ბილის წინ. შემდეგ ნიკო მიუბარებიათ ქუთაისის გიმნაზიაში. პირველსავე გამოცდას გამოუმჟღავნებია, რომ ბავშვმა სრულიად არ იცოდა რუსული ენა. „ამან მასწავლებლებზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა, — ნათქვამია მეცნიერის ავ-

ტობიოგრაფიაში, — წერითს თხზულებაში იმდენი შეცდომა იყო, რამდენიც სიტყვის მარცვალია, თუ არ იმდენივე, რამდენიც ასო".

გიმნაზიაში ნიკომ დიდი ნიჭი გამოიჩინა, შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები იმდენად, რომ, კითხულობდა მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. ამასთანავე თარგმნიდა ქართულად მწერლობის ნიმუშებს. ჰაბუკი ნიკოს რედაქტორობით 1880—1881 წლებში გამოდიოდა მოწაფეთა ჟურნალი „იმედი", რომელშიც მოთავსებულია თავად ნიკოს შენიშვნები და სტატიები. 1932 წელს შედგენილ „შრომათა ავტოსიაში" მარი ამბობს, რომ ჟურნალის ძირითად მიზანს შეადგენდა ქართული ენის შესწავლა და, საზოგადოდ, „იმდროინდელ საზოგადოებრივ გარემოში ქართული ენის პრესტიჟის ამაღლება". ნიკოს ორიგინალური ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს „საზანდარი", მიძღვნილი აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავისადმი. პოეტური შემოქმედებით ნიკო მარი შემდგომს წლებშიც იყო გატაცებული: იგი ბეჭდავდა ლექსებს ქართულ გაზეთ „თეატრში" (გამოქვეყნებულია როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლექსები; მათ შორის აღსანიშნავია ბაირონისა და ჰაინეს ლექსთა თარგმანები).

გიმნაზიაშივე ჩაენერგა ახალგაზრდა მარს ქართული ენისა და ლიტერატურის უსაზღვრო სიყვარული. ამავე დროს სრულიად ნათლად მოიხაზა სამერმისო პერსპექტივა: თავიდანვე მიზნად დაისახე, გამომერკვია ქართული ენის წარმოშობა და სხვა ენებთან ურთიერთობაო, ნათქვამია მეცნიერის ავტობიოგრაფიაში. გიმნაზიის დამთავრებისთანავე ნიკომ გადაწყვიტა, შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში ისეთ ფაკულტეტზე, სადაც შეისწავლიდა ქართველოლოგიას და, ამგვარად, დასახულ მიზანს მიაღწევდა.

1884 წელს ნიკო მარი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე (ქართველოლოგიის განხრით).

ნიკო მარმა უნივერსიტეტი დაამთავრა ვერცხლის მედლით. მისი სადიპლომო შრომის თემა იყო: „ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა ქართული მოთხრობებისა, რომლებიც დაწერილია მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში". შემდეგ მას ტოვებენ პროფესორობისათვის მოსამზადებლად, ოღონდ არა ქართული სიტყვიერების დარგში (რაც შეადგენდა მის ოცნებას), არამედ სომხურ

სიტყვიერებაში. სხვა გზა არ იყო: რაკი პროფესორმა ალ. ცაგარელმა სხვადასხვა მიზეზების გამო უარი განაცხადა მარის კანდიდატურაზე, არჩევანი სომხურ სიტყვიერებაზე მიდგა. იძულებული ვიყავი, პროფესორ პატკანოვის წინადადება მიმეღო, ამ გზით უნივერსიტეტში ფეხს მოვიკიდებდი და შემდეგ ადვილად გადავიდოდი ქართველოლოგიის სფეროშიო, სწერდა მარი ისტორიკოს ზაქარია ჭიჭინაძეს. ასეც მოხდა.

1891 წელს ნიკო მარი დაინიშნა პრივატ-დოცენტად და დაიწყო ლექციების კითხვა. 1892 წელს იგი შეუდგა საშუალო საუკუნეების ქალაქის — ანისის არქეოლოგიურ გათხრებს; 1894—1896 წ.წ. მუშაობდა საზღვარგარეთ — სტრასბურგის უნივერსიტეტში და ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში, ვენეციაში და სხვაგან. გერმანიაში უსმენდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს — პროფესორ ვინდელბანდს ძველ ფილოსოფიაში, პროფესორ ჰიუბშმანს ძველ სპარსულსა და ბერძნული ენის შედარებითს გრამატიკაში და პროფესორ ნოლდეკეს სირიულსა და ფირდოუსის ენაში; 1898 წელს ნიკო მარმა მონაწილეობა მიიღო ნ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლთა გასაცნობად; 1899 წელს მიიღო მაგისტრის სამეცნიერო წოდება; ამავე წლიდან კითხულობს ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს. 1900 წელს დაინიშნა ექსტრაორდინარული პროფესორის მოვალეობის აღმასრულებლად; 1901 წელს მიიღო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; 1902 წელს ივ. ჯავახიშვილთან და ა. ვასილიევთან ერთად მოაწყო ექსპედიცია სინას მთაზე ქართული ხელნაწერების შესასწავლად; შემდეგ ამავე მიზნით გაემგზავრა იერუსალიმში; ამავე წელს დაინიშნა ორდინარულ პროფესორად ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრაზე; 1909 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად, 1912 წელს კი — ნამდვილ წევრად; 1913 წელს ირჩევენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად.

ნიკო მარი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საქართველოში სამეცნიერო ცენტრის შექმნისათვის. უთუოდ ისტორიული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ მარს ჯერ კიდევ 1905 წელს შეუდგენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პროექტი-წესდე-

ბა (ინახება მეცნიერის არქივში, გამოქვეყნდა 1934 წელს). ამ დოკუმენტის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „ქართველთა სამეცნიერო აკადემიას მიზნად აქვს განავითაროს ქართველ ერში“ ისტორიის, ფილოსოფიის, სამართლის, პოლიტიკის, ეკონომიის, არქეოლოგიის, ფილოლოგიის და ბუნებისმეტყველების დარგებიო. ერთერთი მუხლი ითვალისწინებს იმ საზღვარგარეთელი მეცნიერების („მიუხედავად გვარტომობისა“) წაქეზება-წახალისებას (სპეციალური პრემიების დაწესებით), რომლებიც ევროპულ ენებზე აქვეყნებენ ქართველოლოგიურ შრომებს, თუნდაც ისეთ არასპეციალურ გამოკვლევებს, სადაც აღძრულია საქართველოს საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია წესდების მუხლი, სადაც იგულისხმება იმ პირთა მომზადება, რომლებიც შექმნიან ორიგინალურ სახელმძღვანელოებს, ანდა იმუშავებენ სახელმძღვანელოთა თარგმანზე ცოდნის სხვადასხვა დარგში. საგულისხმოა წესდების ის ადგილიც, სადაც ნათქვამია, რომ აკადემიამ თვალყური უნდა ადევნოს ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებლებში, დაუნიშნოს მათ სტიპენდია, გაუწიოს ხელმძღვანელობა; საჭიროა „ქართველთა სამეცნიერო აკადემია კვალდაკვალ მიმდევარი გახდეს წარჩინებული ახალგაზრდების მეცნიერული წვრთნისა და დაწინაურებისა, შემძლე იყოს ჯეროვნად მომზადებულ ძალთა შეძენისა თანამშრომელთა წრის და შემდეგ თვით აკადემიის შესავსებად და გასაფართოებლად“. აკადემიის პირველი შემადგენლობა განსაზღვრულია 12 წევრით. პროექტის მთელ რიგ პუნქტებში გათვალისწინებულია ფინანსური საკითხები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას იმ დროს გადაულახავი დაბრკოლებები შეხვდა. ისტორიამ შემოინახა მხოლოდ ექვს გაყვითლებულ ფურცელზე აღბეჭდილი წესდება-პროექტი, შემუშავებული მარის მიერ ქართული მეცნიერული აზრის აღორძინების სურვილით. ჩვენს მეცნიერულ თაობას მართებს, იცოდეს ეს ამბავი და პატივისცემის გრძნობით მოიგონოს დიდი ამაგდარი მკვლევარი, რომელიც ოცნებობდა და იღვწოდა ქართული აკადემიისათვის რამდენიმე ათეული წლის წინათ.

რევოლუციის შემდეგ ნიკო მარი მხურვალე მონაწილეობას იღებს პეტერბურგის უნივერსიტეტის, მოსკოვის ლაზარევის სახე-

ლობის ინსტიტუტის და არქეოლოგიური კომისიის რეორგანიზაციის საქმეში.

1918 წელს ნიკო მარის პროექტის საფუძველზე პეტროგრადის უნივერსიტეტში გაერთიანდა აღმოსავლურ ენათა და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტები. მარი ინიშნება ახლად შექმნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად. მისივე პროექტის მიხედვით მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტი გადაკეთდა წინა აზიის ინსტიტუტად. აქ ნიკო მარი პროფესორად ინიშნება (შეთავსებით). მისივე პროექტით არქეოლოგიური კომისიის ბაზაზე იქმნება ახალი საკვლევაძიებო ცენტრი, რომელსაც მარის წინადადებით დაერქვა „სახელმწიფო მატერიალური კულტურის აკადემია". სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 18 აპრილის დადგენილებით ეს დიდი დაწესებულება შეუდგა ნაყოფიერ მუშაობას. ვ. ი. ლენინმა ნ. მარის მიერ მოწოდებულ სახელწოდებას დაუმატა სიტყვა „ისტორია" და, ამრიგად, შეიქმნა „სახელმწიფო მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია". ნ. მარი შემდეგ აღნიშნავდა, რომ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ შესწორებას უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც სიტყვა „ისტორიის" დამატებამ განსაზღვრა ახალი სამეცნიერო ცენტრის გეზი და მიმართულებაო. აკადემიის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ნიკო მარი (ეს თანამდებობა ეკავა მარს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე; შემდეგ აკადემიას მიენიჭა მისი დამაარსებლის სახელი: „ნ. მარის სახელობის სახელმწიფო მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია"). მანვე დააარსა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი.

ნიკო მარი განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას მეცნიერებათა აკადემიაში, მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში, ვესელოვსკის სახელობის ინსტიტუტში და კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტსა და აღმოსავლურ ინსტიტუტში.

1921 წელს ნიკო მარმა მეცნიერებათა აკადემიაში დააარსა „იაფეტური ინსტიტუტი". იგი დანიშნეს ამ ინსტიტუტის დირექტორად (შემდეგ ინსტიტუტი გადაკეთდა „ენისა და აზროვნების ინსტიტუტად"). 1924—1930 წ. წ. ნიკო მარი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორია. 1925 წელს დანიშნეს აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და კულტურის შემსწავლელი კომიტეტის დი-

რექტორად. 1924 წელს მეცნიერ მუშაკთა პირველმა საკავშირო ყრილობამ ნიკო მარი აირჩია მეცნიერ მუშაკთა სექციის თავმჯდომარედ. ამავე წელს იგი აირჩიეს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1928 წელს ნიკო მარმა სამეცნიერო შრომებისათვის მიიღო ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის პრემია.

1929 წელს იგი აირჩიეს საკავშირო ცაკ-ის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1931 წლიდან — წევრად.

ამავე წელს ნიკო მარს ირჩევენ კომუნისტური აკადემიის წევრად. აქ მან დააარსა მატერიალისტური ენათმეცნიერების სექცია.

1930 წლიდან გარდაცვალებამდე ნიკო მარი იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1930 წელს ნიკო მარი მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. 1933 წელს, როგორც გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ნიკო მარი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

ნიკო მარი გარდაიცვალა 1934 წელს.

ნიკო მარმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე დააარსა 15 სამეცნიერო ჟურნალი თუ სერია და თავად გახლდათ ამ გამოცემების უცვლელი რედაქტორი. ესენია:

1. „სომხურ-ქართული ფილოლოგიის ტექსტები და ძიებანი“,
2. „იაფეტური ენათმეცნიერების მასალები“,
3. „ქრისტიანული აღმოსავლეთი“,
4. „ბიბლიოთეკა არმენო-გეოროგიკა“,
5. „ანისის სიძველეები“,
6. „ანისის სერია“,
7. „სომხური ეპიგრაფიკის ძეგლები“,
8. „სომხური ხელოვნების ძეგლები“,
9. „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე“,
10. „იაფეტური კრებული“,
11. „ნიკო მარის სახელობის სახელმწიფო მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის მოამბე“,
12. „წინაკაპიტალისტური საზოგადოების ისტორიის პრობლემები“ (ნიკო მარის სახელობის სახელმწიფო მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია),

13. „კავკასიური ფილოლოგიის ტექსტები და ძიებანი“,

14. „ენა და აზროვნება“,

15. „მონუმენტა ჰაგიოგრაფიკა გეორგიკა“ (ქართული აგიოგრაფიული ძეგლები).

ძნელია მოიძებნოს მსოფლიო მეცნიერებაში მეორე სახელი, რომელიც იყოს დამაარსებელი და რედაქტორი ამდენი საკვლევა-ძიებო ჟურნალისა თუ გამოცემათა სერიისა.

ორიოდე სიტყვა ნიკო მარის მეცნიერულ წინამორბედებზე ქართველოლოგიის დარგში.

მეცნიერული ქართველოლოგიის მამამთავრად ითვლება ფრანგი მეცნიერი აკადემიკოსი და პროფესორი მარი-ფელისიტე ბროსე. ეს ის მეცნიერია, რომლის შესახებ ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „მან პირველმა აიღო ჩვენის ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიეროდ შესწავლის სპეციალურ საგნად და მიიპყრო მთელის განათლებულ ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება“. სერგეი მესხი „დროების“ ფურცლებზე წერდა: „ბროსემ პირველმა შეატყობინა ქვეყანას ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრება, ჩვენი ბედ-იღბალი და მდგომარეობა..“ მართალია, ევროპაში უფრო ადრე აღიძრა ინტერესი ქართული კულტურისადმი (მაგალითად, 1798 წელს ვენაში გამოქვეყნდა პროფესორ ალტერის წიგნი — „ქართული ლიტერატურის შესახებ“, კიდევ უფრო ადრე — დაიწერა შრომები ქართული ენის შესწავლის დარგში), მაგრამ ბროსეს მნიშვნელობა განუზომლად დიდია და შეუდარებელი: იგი იყო ევროპული მასშტაბის მეცნიერი, რომელმაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში სათავე დაუდო ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, არქეოლოგიის სისტემატურ კვლევას ახალი მეთოდების მომარჯვებითა და საერთაშორისო მეცნიერების ინტერესების თვალთახედვით.

ღირსია თუ არა საქართველო და ქართული კულტურა მეცნიერული კვლევა-ძიებისა? — ასეთი კითხვა დაისვა უნიჭიერესი ჰაბუკის ბროსეს წინაშე, რომელმაც ის-იყო დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტი და გადაწყვიტა, მთელი სიცოცხლე შეეწირა ამ უცნობი ქვეყნის შესწავლისათვის. დიდი ხნის შემდეგ უკვე სახელმოხვეჭილი ბროსე სწერდა ზაქარია ჭიჭინაძეს: „...მახსოვს დრო ესე, როდის ჩემი თანამემამულენი გიჟად მიწოდებდნენ, ვითომ

ქართული მწერლობა არა ღირსა არაფრისაო". ახალგაზრდა ბროსეს წაუკითხავს 1819 წელს გამოცემული „მოგზაურობათა ანალების" მე-12 ტომი, სადაც მოთავსებულია ევგენი ბოლხოვიტინოვის შრომის კრიტიკული შეფასება. „ამ ანალიზმა შთამაგონა შემესწავლა ქართული ენაო", ამბობს ბროსე. ბროსე თავის მასწავლებლად თვლიდა თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა და, როგორც გამოჩენილი სწავლული, ახალგაზრდა ფრანგ მეცნიერს კონსულტაციებს უწევდა მიწერ-მოწერით და ძვირფას მასალებს აწვდიდა ქართული სიძველეებიდან.

ბროსე ადგენს ქართული ხელნაწერების კატალოგებს, პარიზშივე აქვეყნებს ქართული ენის გრამატიკის კურსს, ქრესტომათიებს, ლექსიკონს, ქართული მწერლობის ნიმუშთა ფრანგულ თარგმანებს, ისტორიულ თხზულებებს და ა. შ. თანდათანობით ისახება კვლევის ფართო პერსპექტივები და საქართველო შედის მსოფლიო მეცნიერების ფარვატერში. 1836 წელს ბროსეს ირჩევენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და სთხოვენ პეტერბურგში გადმოვიდეს სამუშაოდ. ბროსესთვის რუსეთში სამუშაოდ გადმოსვლა ფრიად ხელსაყრელი იყო, რადგანაც უფრო დაუახლოვდებოდა მისი შესწავლის საგანს — საქართველოს. 1837 წელს პროფესორი ბროსე რუსეთში აგრძელებს ინტენსიურ ქართველოლოგიურ მოღვაწეობას. 1847-48 წ. წ. საქართველოში მოგზაურობამ ბროსეს უხვი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალის შეგროვების გარდა ადგილობრივ ქართველ მოღვაწეთა შორის შესძინა არა ერთი გულმოდგინე თანამშრომელი, რომლებმაც მისი მოღვაწეობის დიადი მიზნების განხორციელებას ხელი შეუწყვეს. „თვით საქართველოშიც, ბროსეს გავლენითვე, XIX საუკუნეში... ისტორიისა, მხატვრული მწერლობისა და ნაშთების შესწავლით იყვნენ გატაცებული" (ივ. ჯავახიშვილი).

პროფესორმა ბროსემ, გარდა აკადემიისა, მუშაობა გაშალა პეტერბურგის უნივერსიტეტში, დააარსა ქართული სიტყვიერების კათედრა და გატაცებით კითხულობდა ლექციებს ქართველთმეტყველებაში, ზრდიდა მეცნიერთა ახალ თაობას.

ცნობილ მეცნიერს აკად. ბეტლინგს (სანსკრიტული ლექსიკონის ავტორს) ასე დაუხასიათებია ბროსეს ღვაწლი: „ბროსემ ხელთ აიღო ქართული ხელნაწერებით აღსავსე ტომარა, გადმოატრიალა

და დაცალა ისე, რომ არაფერი დატოვა შიგ რაიმე ინტერესის შემცველი". ამ სიტყვების შინაარსი თუმცა პოზიტიურად უნდა გავიგოთ, მაგრამ ყოველგვარ მეტაფორას აზრობრივი სიზუსტე მოეთხოვება: „ქართული ხელნაწერებით აღსავსე ტომარა" გაცილებით უფრო ტევადია, ვიდრე ეს ქართველთმცოდნეობის გარიჟრაჟზე ბეტლინგს წარმოედგინა, და მისი „დაცლა" არ შეეძლო ერთ მეცნიერს, თუნდაც ისეთი დიაპაზონის მკვლევარს, როგორიც აკადემიკოსი ბროსე იყო. დიდძალი ქართული ხელნაწერების გამომზეურებას მთელი მეცნიერული თაობები სჭირდებოდა და აკი ბროსეს მიერ გაკვალულ გზას გაჰყვა ბევრი ახალ-ახალი გუნდი მკვლევრებისა, რომელთაც მიზნად დაისახეს ქართული სიძველეების ამოუწყვავი საგანძურის დღის სინათლეზე გამოტანა.

ბროსეს შემდეგ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ცნობილი წარმომადგენელია პეტერბურგის უნივერსიტეტის მაღალ აკადემიურ წრეებში აღზრდილი დავით ჩუბინაშვილი, დამსახურებული პროფესორი, რომელმაც თავი ისახელა უმთავრესად ლექსიკოგრაფიის დარგში: იგია ავტორი ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონებისა, რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავენ ქართული ენის სიტყვობრივი საუნჯის გამომზეურების თვალსაზრისით. მანვე შეადგინა ქართული გრამატიკა და გამოსცა ქართული ენობრივი ძეგლები. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად ფასეულია შოთას უკვდავი პოემის ჩუბინაშვილისეული გამოცემა და განსაკუთრებით — ქრესტომათია, რომლის პირველ ტომში დაბეჭდილია, მთლიანად თუ ექსცერპტების სახით, მრავალი ძეგლი ძველი ქართული მწერლობისა. „ამ ქრესტომათიამ მტკიცე საფუძველი დაუდო ძველი მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას, რამდენადაც, ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი გახადა ისინი დაინტერესებულ პირთათვის" (კ. კეკელიძე).

სამოცდაათიან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სიტყვიერების კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, დიდად განსწავლული ადამიანი ფართო დიაპაზონის მეცნიერი, შემდეგში — უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი და, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის გა-

მოჩენილი მკვლევარი, მსოფლიოს ორიენტალისტიკის მიერ აღიარებული პიროვნება.

პროფესორი ცაგარელი იყო ნიკო მარის მასწავლებელი; ქართულ ენასა და ლიტერატურაში მეცნიერული ნათლობა მარმა ცაგარლის საუნივერსიტეტო კურსებისა და სემინარების საშუალებით მიიღო.

ნიკო მარი თავის მასწავლებლად თვლიდა აგრეთვე აკადემიკოს როზენს, რუსული ორიენტალისტიკის კორიფეს. მარის სიტყვით რომ ვთქვათ, როზენი არ ეკუთვნოდა იმ ევროპელი მეცნიერების გუნდს, რომლებიც „ქართულ ლიტერატურას უცქეროდნენ როგორც quantité nègligeable-ს“ (არარაობას, აბუჩად აყაგდებოდენობას).

ნიკო მარს სტუდენტობის წლებში დაუწერია ძალიან საყურადღებო რეფერატები, რომლებიც ამჟამად დაცულია განსვენებული მეცნიერის არქივში. აი ზოგიერთი მათგანის დასახელება: „დილარიანში, რუსუდანიანში, ამირანდარეჯანიანსა და ვისრამიანში გამოყენებული საკუთარი სახელები“, „სია ვისრამიანში, ამირანდარეჯანიანში, რუსუდანიანსა და დილარიანში დაცული სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომელთა ეტიმოლოგია მცდარადაა ახსნილი ანდა სულ გამოტოვებულია არსებულ ქართულ ლექსიკონებში“, „უცხოური სიტყვები ქართული ოთხთავის ტექსტში და მათი წარმომავლობა“.

სტუდენტობის დროსაა ქართულად დაწერილი მარის ერთობ საყურადღებო გამოკვლევა: „ცდანი ძველ ქართულ მწერლობაზე. 1. ჩახრუხაძის ლექსები (მსჯელობითი ცდა)“.

რაკი ამ ეტიუდის შექმნის ისტორიას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, მას ცოტა ვრცლად შევეხებით.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1884—1888 წწ.) ნ. მარს, დ. ქუთათელაძესა და ი. ლორთქიფანიძეს გადაუწყვეტიათ: როგორც კი უმაღლეს სკოლას დაამთავრებდნენ, გამოეცათ ქართული ჟურნალი. 1889 წელს ახალგაზრდების ერთ ჯგუფს (რომელშიც შედიოდნენ: ირ. გუნცაძე, ი. ლორთქიფანიძე, ი. მანსვეტაშვილი, კ. მესხიშვილი, დ. ქუთათელაძე, ალ. ყიფშიძე-ფრონელი) თბილისიდან პეტერბურგში მარისათვის შეუთვლიათ, რაიმე წერილი მიეწოდებინა რედაქციისათვის ჟურნალის პირველ ნომერში გამოსა-

ქვეყნებლად. ნ. მარს ამხანაგებისათვის გამოუგზავნია ზემოხსენებული შრომა, რომელსაც ავტორი უწოდებს მისი „სტუდენტობის პირველყოფილობის ნაწერს“. თან წერილიც გამოუგზავნია ი. ლორთქიფანიძისათვის. მარი იწერება: მზადა ვარ ვითანამშრომლო, ყოველ ნომერში თითო სტატიას გაახლებთო; შემდეგი სტატია საიათნოვას შესახებ იქნებაო; ნათარგმნი ლექსიც მაქვს, იქნებ გამოგადგეთო; ეს სტატია (ჩახრუხაძის შესახებ) „აზრის სიახლით წინაობს“, თორემ სუსტია; „ხელნაწერს ველი — ამოჩნდეს, მაშინ წვრილმანებიც ადგილს იპოვიან უფრო ვრცელ ნაშრომშიო“; „ენა, ნება მომიცია დიდის კმაყოფილებით, შეასწორეთო“; „სტატიას ნარიმანი მოვაწერე და არა ჩემი გვარი სრულად. ისე სამალავად არ მომინდვია, ოღონდ მოწერა სრული გვარით არ მევარგება ჯეროო“.

ი. ლორთქიფანიძე გვიამბობს, რომ რედაქტორად მანსვეტა-შვილი შეურჩევიათ, მაგრამ ჟურნალის დაარსებას ხომ ნებართვა სჭირდებოდა! „ნებართვის შესახებ ნ. მარიც გვეხმარებოდა პეტერბურგში, მაგრამ მთავრობამ ნება არ დაგვრთო“, გვამცნობს ლორთქიფანიძე. ამის თაობაზე მას ასეთი შინაარსის წერილი მიუღია მარისაგან: „...გაზეთის გამოცემის ნებართვის იმედი დიდი არ გქონდეს. არ სურთ და არა. ყველას უარს უგზავნიან. განსაკუთრებით, საპოლიტიკო განყოფილება თუ გაქვთ გეგმაში. „Главное управление“ -ში ბრძანებენ, რაც გამოცემანი აქვთ ქართველებს, ცუდათ მიდისო. ახალს რად ეტანებიანო (?!!). ხედავ, როგორ გული შეტკივათ ჩვენი მწერლობის დავარდნილობისათვის!.. არ შეიძლება „თეატრი“ ჩაიგდოთ ხელში? ან რამე კრებული ერთი და იგივე სათაურით სამჯერ გამოსცეთ წელიწადში, ეგ შეიძლება ნებართვის უთხოვრად“.

„თეატრის“ რედაქტორს ჟურნალის გამოცემაზე უარი უთქვამს. საქმეში ჩარეულა ილია ჭავჭავაძეც, მაგრამ ახალგაზრდებს მიზნისათვის ვერ მიუღწევიათ.

„ამგვარად, დამთავრდა ჯგუფის ცდა და ნ. მარის პირველი გამოკვლევა ჩახრუხაძეზედ დამრჩა მეო“, — დასძენს ი. ლორთქიფანიძე.

მარის სტუდენტობის დროინდელი ნაშრომი ქართული მწერ-

ლობის ერთ-ერთი კლასიკოსის შესახებ ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1935 წელს „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ I ტომში.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პროგრესული სულისკვეთებით გამსჭვალული ქართველი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის (რომელშიც შედიოდა ნ. მარი) მიზანს შეადგენდა, დაეარსებინათ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟურნალი („...ჩვენ კი ვისწრაფოდით საპოლიტიკო და საზოგადო წერილებისაკენ“: ი. ლორთქიფანიძე), მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რა პოლიტიკური იდეალები ამოძრავებდა და ასაზრდოებდა ჭაბუკ მარს, იმ მარს, რომელიც ჯერ კიდევ 17 წლისა იყო, როდესაც ალექსანდრე II-ის მოკვლასთან დაკავშირებით აკაკისადმი მიძღვნილ ლექსში მკვეთრად დაუპირისპირდა რუსეთის თვითმპყრობელობას და ახალგაზრდობას „იარაღის ხელში აღებისაკენ“ მოუწოდებდა (1881 წ. ლექსი მოთავსებულია ქუთაისის გიმნაზიის ჟურნალ „იმედში“, რომელიც გამოდიოდა მარის რედაქტორობით); ეს ის მარია, რომელმაც თავის ამხანაგებთან ერთად პეტერბურგში, ნევის პირას, ფიცი დადო: ყველაფერი გაეკეთებინა დამონებული საქართველოს განთავისუფლებისათვის.

სტუდენტობის წლებშივე დაინტერესდა ნიკო მარი ქართული ენის გენეზისის საკითხებით და წამოაყენა ახალი თეორია, რომელსაც იგი კარგა ხანს იცავდა, როგორც სამუშაო ჰიპოთეზას. ეს გახლავთ ქართული ენის მიჩნევა სემიტური მოდგმის ენათა მონათესავედ (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

ნიკო მარმა იმთავითვე მკვეთრად მოხაზა თავისი მომავალი ძიების ფარგლები. მან მიზნად დაისახა ქართველი ხალხის უმდიდრესი სულიერი და მატერიალური კულტურის მეცნიერული შესწავლა.

თუ როგორ ეხატებოდა მკვლევარს ქართული სამყარო, კერძოდ — ქართული კულტურის არეალი, ეს კარგად ჩანს იმ შეფასებიდან, რომელიც ჩამოყალიბებულია მარის მიერ შემდეგნაირად:

„თავის დროზე ქართველები კაცობრიობის მოწინავე ერთაგანი იყო. ძველად ქართველებმა შექმნეს საზოგადოებრივი წესწყობილება, გატანილი ცხოვრებაში საქართველოს საზღვარს გარეშეც და მოიხვეჭეს ხალხთაშორისი მნიშვნელობა და პატივისცემა, დაირგეს და განავითარეს ქრისტიანული ცხოვრება და აღმოსავლეთის

ეკლესიას დიდ ბოძად აღმოუჩნდნენ ხანგრძლივად, აღმოსავლეთის კულტურულ ჭირნახულთ დასავლეთისადმი გადაცემაში ნაწილი მიიღეს: თავის მწერლობაში გადმოიტანეს აღმოსავლეთური ნაწარმოებები და დაუახლოვეს იგინი შორეულ ქრისტიანობას; თავისი მონასტრებით, რომლებითაც მოფინეს ქრისტიანობის უთავადესი კუთხეები, იერუსალიმი და მისი გარემონი, კუნძული კრიტი, სინას მთა და ძველი ათონი და მაკედონია, კულტურულ ტალღებს დასავლეთისკენ მისამდინარებელი ახალი კალაპოტი გაუჩინეს; თავისი საკუთარი ხელით უთარგმნეს აღმოსავლეთის ზოგი უჩინებულესი საამბო მოთხრობები ბერძნებს, რომლებისგანაც გადაეცა ევროპას და მის ყველა ერს, შეიქმნეს თავისთავადი საერო მწერლობა, რომლის სწორ რაინდული მისწრაფებით მხოლოდ ევროპაში ვპოულობთ ეგრეთ წოდებულ რომანულ მწერლობაში. ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას, მხატვრობას და საზოგადოდ ხელოვნებას მხოლოდ მეცნიერების კვლევა აკლია და არა მაღალი ღირსება. განსაცვიფრებელი ნაყოფი გამოუღია საქართველოში ნეოპლატონური ფილოსოფიის შეთვისებას და განვითარებას. მაგრამ ქართველების კულტურულ საუნჯეში მოიპოვება უდიდესი განძი, რომელსაც ქართული ენა ეწოდებაო".

ნიკო მარი არ არის ქართველოლოგიის ბროსესეული პერიოდის უბრალო გამგრძელებელი ანდა განმავითარებელი. ასეთი შეფასება მისი ღვაწლისა იმ უდიდესი ძვრის თუ არსებითი გარდატეხის მიჩქმალვა იქნებოდა, რაც განიცადა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ქართველთმეტყველების განვითარებამ. არა, ნიკო მარის უდიდეს დამსახურებას ის წარმოადგენს, რომ მან, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, ქართული ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა.

ბროსესა და ჩუბინაშვილის დროს ძეგლების გამოცემა არსებითად წარმოადგენდა ხელნაწერების უბრალოდ გადმობეჭდვას; არც „ხელნაწერების ურთიერთშორისი დამოკიდებულება და არც გამოსაცემი ტექსტის ენის დაცულობის სისწორე, გადამწერთაგან წარყვნილობა და, მით უმეტეს, არც თვით ძეგლის ენის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური ანალიზი მაშინ არ წარმოებდა. ბროსე-

სა და ჩუბინაშვილის გამოცემათა წესი დაკანონდა ქართული ტექსტების შემდეგდროინდელ გამოცემებშიც“.

ნიკო მარმა პირველმა შემოიღო გამოსაცემი ძეგლების ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემისას დასავლეთ ევროპის ფილოლოგიამ შექმნა და დააფუძნა.

ამრიგად, ქართველოლოგიაში რეალურ-კრიტიკული მეთოდის მომარჯვება ნიკო მარს მიეწერება.

სავსებით მართებულად აღნიშნავს პროფ. კორ. კეკელიძე, რომ მარს არც თეორიული მემკვიდრეობა მიუღია წინა დროის მკვლევართაგან ისეთი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო ფეხის მოკიდება და მუშაობის გაგრძელება. არ არსებობდა იმ დროს ანგარიშგასაწევი ისეთი კონცეფცია, რომელიც მეცნიერული მოთხოვნის სიმაღლეზე მდგარიყო. ასეთი კონცეფცია არ ჰქონდა არც მარის წინამორბედს მეცნიერებათა აკადემიაში — მ. ბროსეს. როგორც თვით მარი ამბობდა, ისტორიული სურათი საქართველოსი, რომელიც თვალწინ გადაეშალა ბროსეს XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მეცნიერთა და მწერალთა შრომებში, გადაჭარბებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი აღმოსავლეთმცოდნეობის მოთხოვნილებას როგორც რუსეთში, ისე მთელ ევროპაში. ამიტომ ბროსემ თავისი სამეცნიერო მიმართულების ქვაკუთხედად გაიხადა XVII—XVIII საუკუნეთა ქართველი მეცნიერების ცალმხრივი თეორია, რომელიც საქართველოს წარსულს იღებდა იზოლირებულად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეზობელ ქვეყანათა წარსულისაგან. კ. კეკელიძე დასძენს, რომ ნ. მარმა, პირველმა, გამოიყვანა ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმე ამ იზოლირებული მდგომარეობიდან, ქართული ფილოლოგია შეყვანილ იქნა ზოგადკავკასიური ფილოლოგიის უფრო ფართო ფარვატერში სრულიად გარკვეული ორიენტაციით მთელი წინა აზიის მსოფლიოზე.

სრულიად გასაგებია, რომ ახალი მეცნიერული მეთოდებით შეიარაღებული ნიკო მარი, რომელმაც ტიტანური მასშტაბებით გაშალა მუშაობა ქართველოლოგიაში, ობიექტურად დაუპირისპირდებოდა არააკადემიურობის ყოველგვარ გამოვლენას იმდროინდელ ქართულ სამეცნიერო მწერლობაში.

ზოგიერთი მკვლევრის შრომა საქართველოს ისტორიისა თუ ქართული ლიტერატურის დარგში პრიმიტიულობის დაღს ატარებდა და შორს იყო მეცნიერული მეთოდოლოგიის პრინციპებისაგან. დაიბადა კონფლიქტი „ძველებსა“ და „ახლებს“ შორის. პროფესორი კ. კეკელიძე ნ. მარის ბანაკსა და მის მოწინააღმდეგეთა შეხლას უწოდებს „მამათა და შვილთა ბრძოლას“, მსგავსად იმ ბრძოლისა, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გაიშალა ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის. „ძველები“ მოითხოვდნენ, რომ მეცნიერებას მიეჩქმალა ზოგი რამ საქართველოს ისტორიული წარსულიდან და ერთგვარად შეელამაზებინა ისტორიული პროცესები „მამულიშვილობის“ მოთხოვნილებათა მიხედვით. „მამულიშვილობა“ მეცნიერებაში — ეს დევიზი ამოძრავებდა ზოგიერთ მკვლევარს. ამასთან დაკავშირებით კორნ. კეკელიძე ამბობს: „მამულიშვილობა მეცნიერებაში აუცილებელია, მაგრამ იმ პირობით, თუ ის იქნა ს ტ ი მ უ ლ ი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და არა მ ე თ ო დ ი მისი“. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ამ ორ ბანაკს შორის ბრძოლას მიუძღვნა მთელი წიგნი სათაურით: „მამულიშვილობა და მეცნიერება“.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის მესვეურის — მარის მიერ თანდათანობით დღის სინათლეზე გამოტანილი იქნა ძველი მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლები, მაჩვენებელი ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობისა; ასეთი მასშტაბებით არავის უჩვენებია საერთაშორისო მეცნიერებისათვის ქართული ენისა და მწერლობის ამოუწურავი საგანძური...

ეს დამსახურება მარისა ზოგიერთი ჩამორჩენილი, კუდაბზიკა „პატრიოტის“ მიერ შეუფასებელი იყო, რადგან ირკვეოდა, რომ ზოგი პირველხარისხოვანი ძეგლი თურმე ნათარგმნია და არა ორიგინალური, — ნათარგმნია ,ვთქვათ, სომხურიდან, სომხურიდანვე შემოჰყოლია ტექსტს ზოგი სიტყვაც, ქართულში შემდეგ შეთვისებული და დამკვიდრებული. მარის ზოგიერთი კრიტიკოსი ივიწყებდა, რომ თარგმანი ერის შეურაცხმყოფელი არ არის. ძველ ქრისტიანულ ერებს — ქართველებსა და სომხებს მდიდარი კულტურა შეუქმნიათ. ამ ხალხებს შორის ისტორიულად მჭიდრო ურთიერთობა იყო დამყარებული. განა ნორმალური იქნებოდა, რომ

კულტურულ ერებს — სომხებსა და ქართველებს — ამ ურთიერთობის პირობებში ერთმანეთისაგან არაფერი ესესხათ, მთარგმნელობითი მუშაობა ჩაეხშოთ და კულტურის სფეროში შეხვედრის წერტილები არ ჰქონოდათ?! მარმა გამოავლინა, რომ ქართველებს ძველ საუკუნეებში სომხურიდან უთარგმნიათ მხატვრული თუ მეცნიერული ძეგლები; მანვე გამოავლინა, რომ ქართულში დანერგილია ზოგიერთი სიტყვა, შემოსული სომხური ენიდან. ამასთანავე მარმა გამოავლინა, რომ სომხებს ძველ საუკუნეებშივე ქართულიდან უთარგმნიათ მხატვრული ძეგლები; მანვე გამოავლინა, რომ სომხურში დანერგილია ზოგიერთი სიტყვა, შესული ქართული ენიდან. ურთიერთზემოქმედების ეს პროცესი, დადგენილი მეცნიერული სიზუსტითა და ფაქტობრივი მასალის სკრუპულოზური ანალიზის შედეგად, ორივე ერის კულტურული გამდიდრების მაუწყებელია.

მარის ძიებანი ამ მიმართულებით მეცნიერულად არავის უარუყვია.

როგორც ვთქვით, ნიკო მარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ტექსტოლოგიას, ე. ი. ძველი ქართული ენობრივი ძეგლების კრიტიკულ-მეცნიერულ გამოცემას; ქართული მეცნიერული ტექსტოლოგია თავის დასაბამს და, ამასთანავე, ბრწყინვალე განხორციელებას პოულობს მარის შრომებში.

ნიკო მარმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველსავე საფეხურზე მიზნად დაისახა უძვირფასესი ქართული ხელნაწერების შესწავლა და გამომზეურება ამომწურავი მეცნიერული აპარატის დართვით და სხვა ენებზე თარგმნით. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მარის ღვაწლს მიეწერება ქართული ლიტერატურული ძეგლების კლასიკური გამოცემები.

ქართული ფილოლოგიის დარგში ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელებას, რაც ახალგაზრდა მკვლევარმა დასახა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა: არ იყო ჯეროვნად შესწავლილი და გამოვლენილი — როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ — არჩევები, წიგნთსაცავები თუ მუზეუმები, კოლექციები, სადაც ინახებოდა ძველი საქართველოს ლიტერატურული მემკვიდრეობა. მუშაობა სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო, და ნიკო მარმაც იმთავითვე კვლევა ამ გზით წარ-

მართა. მარს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ „საფუძველი სერიოზული მუშაობისა ლიტერატურის დარგში არის კატალოგიზაცია ხელნაწერებისა“.

ნიკო მარი აღიარებულია ქართული მეცნიერული კატალოგიზაციის მამამთავრად.

კორნელი კეკელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „საკატალოგიზაციო მუშაობით ნ. მარმა მტკიცე ბაზა შეუქმნა როგორც თავის საკუთარ, ისე სხვა მეცნიერთა ისტორიულ-ლიტერატურულ შტუდიებსა და კვლევა-ძიებას“.

გავეცნოთ ხელნაწერთა კატალოგიზაცია-აღწერილობის დარგში ნიკო მარის ძიების უმთავრეს მომენტებს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა „მოჩხრეკილიყო“ ისეთი ტევადი კოლექცია, როგორიც მოეპოვებოდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმს. ამ ლიტერატურულ საგანძურს არავითარი კატალოგი თუ ხელნაწერთა აღწერილობა არ ჰქონდა. ჯერ კიდევ 1888 წელს ჯაბუკი მარი გულდასმით ეცნობა ზემოხსენებულ მუზეუმს და დაწვრილებით სწავლობს უმდიდრეს კოლექციებს. ალექსი-მესხიშვილის კოლექციის ხელნაწერთა მარისეული აღწერილობა გამოქვეყნდა 1889 წელს „ივერიის“ ხუთ ნომერში. აღსანიშნავია აგრეთვე პეტერბურგის (აწ — ლენინგრადის) საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული საბინინისეული კოლექციის აღწერილობა, რომელიც გამოაქვეყნა მარმა 1896 წელს.

გარდა მუზეუმებისა თუ ხელნაწერთა კოლექციებისა, უძვირფასესი ქართული ხელნაწერები გაბნეული იყო სამონასტრო ცენტრებში, იქ, სადაც საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა ძველი საქართველოს დაუღალავი ლიტერატორების ნამუშაკევი. დროთა ვითარებაში ეს კოლექციები პარტახდებოდა, ხელნაწერები ზიანდებოდა, იფლითებოდა, იკარგებოდა...

ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით წერდა: „ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებულ აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში. რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები... უადგილო ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის შიმალული და დროთა ვითარებაში... იკარგება, ფუჭდება და იღუპება“.

დამახასიათებელია, რომ პროფ. ე. თაყაიშვილმა ერთი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი („ხელმწიფის კარის გარიგება") ამოათრია ნაგვიდან, რომელიც მის თვალწინ გამოიტანეს ერთი გაპარტახებული სახლიდან; ბ. ნიჟარაძემ X საუკუნის ერთი შესანიშნავი ხელნაწერი, ოთხთავი ,იპოვა არჩვის რქებით, ძველი ხატებითა და ჯვრების ნამტვრევებით სავსე საარყე ქვაბში; X საუკუნისავე ერთი დიდებული ხელნაწერი (ასკეტიკურ თხზულებათა კრებული) ნიჭოზის ტაძრის ეზოში იპოვა პოეტმა იოსებ დავითაშვილმა... რამდენი ასეთი ფაქტია ცნობილი!

განსაკუთრებით საშური იყო ქართული კულტურის ძველ საზღვარგარეთულ ცენტრებში — ათონზე, სინას მთაზე, პალესტინაში დაცული უმნიშვნელოვანესი ქართული ხელნაწერების შესწავლა, აღწერა, დღის სინათლეზე გამოტანა. იქაც ნადგურდებოდა უძდიდრესი კოლექციები და სამუდამო დავიწყების ფერფლით იფარებოდა.

„დროების" ფურცლებზე ერთი გულშემატკივარი წერდა, ათონელი ბერძნები ქართულ ხელნაწერთა ფურცლებისაგან ბოთლების საცობებს ამზადებდნენო.

1898 წელს ნიკო მარი მიემგზავრება ათონის მთაზე, რათა შეისწავლოს ხელნაწერები და გამოსცეს იქ დაცული ძველი ტექსტების მეცნიერული აღწერილობა.

უფრო ადრე ათონს ეწვია პროფ. ალ. ცაგარელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ საგანძურის შესწავლას, გამოაქვეყნა ხელნაწერთა აღწერილობა, მაგრამ იგი არ იყო სრული და არც ზუსტი ნომენკლატურისა და თარიღის გარკვევის მხრივ.

ნიკო მარმა ათონის სამონასტრო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლები, ბევრი მათგანი გადმოწერა, მოგვცა ხელნაწერთა ზუსტი აღწერილობა და გაასწორა მრავალი ცაგარლისეული შეცდომა. ამ საგანზე ის სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე წარდგა ვრცელი მოხსენებით, ხოლო 1900 წელს დასტამბა კიდევაც ათონის აგიოგრაფიული ძეგლების სრული აღწერილობა.

უაღრესად მნიშვნელოვანი და მეცნიერული თვალსაზრისით პირდაპირ ტრიუმფალური იყო ნიკო მარის ექსპედიცია სინას მთაზე და იერუსალიმში. იქ დაცული ქართული ხელნაწერების შე-

სწავლისა და კატალოგიზაციის მიზნით. სინას მთაზე ნ. მართან ერთად იმოგზაურა ივანე ჯავახიშვილმა, მარის უპირველესმა მოწაფემ და ერთგულმა მეგობარმა. ეს იყო 1902 წელს. ექსპედიციაში მონაწილეობდა აგრეთვე ცნობილი რუსი ბიზანტინისტი ა. ვასილიევი. მოგზაურობა ძნელი და ხიფათიანი ყოფილა. ცხელ უდაბნოში აქლემებით მგზავრობა არცთუ მიმზიდველი აღმოჩნდა და, ცხადია, სამი თვის განმავლობაში მონასტრის ბნელ საკანში ჯდომა და მტვერწაყრილი ხელნაწერების ქექვა ერთობ მომქანცველი იქნებოდა. მარსა და ჯავახიშვილს ამ „ქექვის“ სიმძიმილი იქ არც უგრძვნიათ, რაკიღა დასტა-დასტად გადმოდიოდა ხელნაწერთა საგანძურში უნიკალური ენობრივი ძეგლები, ასეული წლების მანძილზე რომ თვლემდნენ საუკუნეობრივი მტვრით შეერცხლილნი და მარ-ჯავახიშვილის ხელში მკვდრეთით აღმდგარნი.

გამთენიიდან შუაღამემდე ისხდნენ ქართველი მეცნიერები მონასტრის ბნელ საკანში და ჭრაქის მბეჟუტავ სხივზე მთრთოლვარე თითებით ეხებოდნენ სრულიად უცნობი ვეებერთელა ქართული ხელნაწერების ჩანაცრულ ფურცლებს, გამალებით იწერდნენ და ამზადებდნენ დღის სინათლეზე გამოსატანად. ამ ვითარებაში მარი და ჯავახიშვილი ალბათ ჰგავდნენ ხელნაწერების ერთ იმ ავტორთაგანს, რომელზედაც ძველ წყაროებში ნათქვამია: „და ამის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან... ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“.

სინას მთაზე და იერუსალიმში მოპოვებული მასალები გრანდიოზულია. ისინი აფართოებენ ძველი ქართული ლიტერატურის ფარგლებს და შუქსა ჰფენენ ბნელით მოცულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ზოგი ამ ძეგლთაგანი მსოფლიო მნიშვნელობისაა.

1903 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა სინას მთაზე ივ. ჯავახიშვილთან ერთად შესრულებული მუშაობის წინასწარი ანგარიში. ამ ნაშრომმა სენსაცია გამოიწვია დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში, რადგან თვალნათლივ ჩანდა, რა ღირებულების ლიტერატურული ძეგლები ჰქონია ძველ საქართველოს, მათ შორის — პირველხარისხოვანი ნაწარმოებების თარგმანები, რომელთა დედნები

დაკარგულად ითვლება ბერძნულ-ბიზანტიურ მწერლობაში. ერთი სიტყვით, აქამომდე ასე ფართოდ ცნობები ქართული მწერლობის ძეგლებისა და მასშტაბების შესახებ არასდ ყოფილა მოცემული.

როდესაც მარის აღწერილობას გაეცნო მსოფლიოში გამოჩენილი ისტორიკოსი ჰარნაკი, მან გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში აღნიშნა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ ჯერ-ჯერობით ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და ახლოს გაგვაცნონ მისი საუნჯე?“

ამით შეიძლება დავამთავროთ საუბარი ქართული ხელნაწერების აღწერილობისა და კატალოგიზაციის დარგში ნიკო მარის მიერ გაწეული ფასდაუდებელი მუშაობის შესახებ აღვნიშნავთ, რომ ფილოლოგიის ეს უბანი მარს არასოდეს არ დავიწყებია. იგი ყოველთვის ეხმაურებოდა ყოველგვარ აღწერილობითს ნაშრომს, რომელიც კი დაიბეჭდებოდა საქართველოში. ასე, მაგალითად, დიდად მნიშვნელოვანია მარის რეცენზია ექვთიმე თაყაიშვილის შრომაზე, რომელიც ეხება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობას. აქ გამოთქმულია არა ერთი და ორი საყურადღებო შენიშვნა და განმარტება, რამაც გაზარდა თაყაიშვილის წიგნის ღირებულება.

სრული აღწერილობა სინას ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა გამოქვეყნდა 1940 წელს, მარის გარდაცვალების შემდეგ. ესაა 280-გვერდიანი წიგნი სათაურით: „სინას მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერილობა“ (მეცნ. აკადემიის გამოცემა).

მას შემდეგ, რაც უკვე ცნობილი გახდა — სად რა ქართული ხელნაწერი არსებობს (როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ), დღის წესრიგში დადგა ამ ზღვა მასალის მეცნიერული გამოცემების განხორციელება.

ამ ამოცანის შესასრულებლად ნიკო მარმა დასახა ტიტანური გეგმები მეთოდური თანმიმდევრობითა და მკაცრი მეცნიერული მოთხოვნილებების გათვალისწინებით. საამისოდ ჩვენი მკვლევარი სათანადოდ შეიარაღებული იყო. „ადამიანი, ფართო ჰუმანურ-ორიენტალური განათლებით აღჭურვილი, საფუძვლიანად მცოდნე აღ-

მოსავლური და დასავლური ენების მთელი სერიისა, გარშემორტყმული მთელი რიგი სახელგანთქმული ორიენტალისტებით“ (კ. კეკელიძე) გულთბილად იქნა მიღებული საუკეთესო სამეცნიერო გამოცემებში: «Известия Академии наук», Журнал Министерства Народного Просвещения», «Византийский Временник», «Записки Восточного отделения русского Археологического Общества», «Палестинский Сборник», «Сообщения Палестинского общества» და სხვ. ყველა ამ ორგანოში იბეჭდებოდა ნ. მარის მიერ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები, შემკული ფართო მეცნიერული აპარატითა და გამოკვლევებით.

ნიკო მარი არ დაკმაყოფილებულა რუსეთის ორიენტალისტიკის მთელ მსოფლიოში განთქმული ზემოხსენებული ჟურნალებითა და კრებულებით. მეცნიერის წინაშე მდგარი გრანდიოზული ამოცანები ქართული ფილოლოგიის დარგში მოითხოვდა საგამომცემლო მასშტაბების გაფართოებასა და საგანგებო სერიების დაარსებას.

ნიკო მარმა შექმნა, შეიძლება ითქვას, ს ა კ უ თ ა რ ი სერიები და ჟურნალები. აი ეს სერიები და ჟურნალები, დაარსებული მარის მიერ: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», «Bibliotheca Armeno-Georgica». «Христианский Восток», «Материалы по Яфетическому языкознанию», «Monumenta Hagiographica Georgica» «Тексты и разыскания Кавказской филологии» და სხვა.

ამ მარისეულ სერიებში იბეჭდებოდა როგორც თვით მარის, ისე მისი მოწაფეების მიერ დამუშავებული ტექსტები, კომენტარები, წვრილი შტუდიები თუ კაპიტალური მონოგრაფიები.

ქართული ფილოლოგიის წინაშე გადაიშალა უმაგალითო პერსპექტივები. ქართული ფილოლოგია თანდათან გადაიქცა საერთაშორისო ღირებულების სამეცნიერო დისციპლინად. ამ გარემოებას განსაზღვრავდა როგორც, ერთი მხრივ, მასალის (resp. ქართული ლიტერატურის ძეგლების) მნიშვნელობა, ისე, მეორე მხრივ, მისი შემსწავლელი დისციპლინის (resp. მარის ფილოლოგიური სკოლის) მეცნიერული პრესტიჟი.

ნიკო მარი არ გახლდათ ლიტერატურის ისტორიკოსი, იგი უპირატესად იყო ფილოლოგი-ენათმეცნიერი, მაგრამ მწერლობის

ტექსტების გამოცემით მან მტკიცე ბაზა შეუქმნა ქართული ლიტერატურის ისტორიას და, ამდენად, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენი მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მეცნიერულ შესწავლას.

აი, რას ამბობს ქართული მწერლობის ისტორიის დიდი ავტორიტეტი პროფესორი კორნელი კეკელიძე: „ნაყოფიერი ხანა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ეგრეთ წოდებულმა პეტროგრადის სამეცნიერო სკოლამ აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით“; „ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება ნ. მარმა ტექსტების გამოცემით მყარ ნიადაგზე დააყენა თავის უამრავ შრომებში. როგორც მსხვილ გამოკვლევებში, ისე მოკლე სტატიებსა და შენიშვნებში მან გაარკვია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა ახალი საკითხები და სულ სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებანი“; „აკად. ნ. მარს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად დამუშავების საქმეში“; „საჭირო იყო ნიჭი, მომზადება, ენთუზიაზმი, ენერგია და კადნიერება განსვენებულის აკად. ნ. მარისა, რომ... შექმნილიყო... ქართველოლოგიის ის სკოლა, რომელმაც შესაძლებელი გახადა დასაწყისი ნამდვილი მეცნიერული მუშაობისა ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც“.

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ ნიკო მარი არის ქართული ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის საფუძვლის ჩამყრელი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნიკო მარმა ლექციების კითხვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში დაიწყო 1899 წლიდან (პეტერბურგის უნივერსიტეტში).

ნიკო მარის ისტორიულ-ლიტერატურული შრომები შეეხება, ერთი მხრივ, ძველ საეკლესიო-სასულიერო მწერლობას და, მეორე მხრივ, საერო მწერლობას.

ისევ დავიმოწმოთ პროფ. კ. კეკელიძე: „სასულიერო მწერლობა terra incognita იყო ქართველთათვის. ის, შეიძლება ითქვას, მეცნიერული მიდგომით ნ. მარმა აღმოაჩინა. რაც შეეხება საერო-მხატვრულ ლიტერატურას, იმას თითქოს იცნობდნენ ჩვენში, მაგრამ იცნობდნენ ზერელედ. ნ. მარმა იკისრა მზის შუქზე გამო-

ტანა ამ ლიტერატურისაც, ყოველ შემთხვევაში, მისი საკვანძო საკითხებისა და პრობლემებისა, და აქაც მან დიდ შედეგებს მიაღწია".

როგორც ცნობილია, ქართული სასულიერო მწერლობა ერთ-ერთი უძველესი დარგია აღმოსავლურ-ქრისტიანული მწერლობისა. საეკლესიო-სასულიერო მწერლობის დარგიდან ნიკო მარი უმთავრესად დაინტერესებული იყო ბიბლიოლოგიით, პატროლოგიით და აგიოგრაფიით.

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ქართველოლოგიური და ზოგადმეცნიერული.

რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მეცნიერების თვალსაზრისით ქართულ სასულიერო მწერლობას და რით აიხსნება ის გარემოება, რომ გამოჩენილი საზღვარგარეთელი მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენენ ძველი ქართული მწერლობის საკითხებისადმი?

როგორც ცნობილია, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში თუ სხვა სამეცნიერო ცენტრებში — როგორც წინათ, ისე ამჟამადაც — ნაყოფიერი კვლევა-ძიებაა გაშლილი ამ სფეროში. ეს ქართველოლოგიური ცენტრებია: გერმანიის დემოკრ. რესპ. (იენა), გერმანიის ფედერაც. რესპ. (ბონი), საფრანგეთი (პარიზი), ბელგია (ბრიუსელი, ლუვენი), ინგლისი (ლონდონი), იტალია (რომი), ამერიკა (ჰარვარდის უნივერსიტეტი), ნორვეგია (ოსლო), ჩეხოსლოვაკია (პრაღა), პოლონეთი (ვარშავა) და სხვ.

ვიდრე პასუხს გავცემდეთ ზემოთ დასმულ კითხვაზე, აქვე ვიტყვით, რომ უცხოეთში ძველი ქართული მწერლობის პრობლემებით დაინტერესებას სათავე დაუდო სწორედ ნიკო მარის ქართველოლოგიურმა შრომებმა, რომლებიც უმთავრესად ქვეყნდებოდა ოთხმოცდაათიან-ცხრაასიან წლებში; სამეცნიერო მსოფლიოში ცხოველი ინტერესი ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობისადმი იმთავითვე ნიკო მარის შტუდიებმა თუ ტექსტოლოგიურმა ძიებამ აღძრეს.

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა მთელ მსოფლიოში. ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა დაგვიტოვეს უძვირფასესი ორიგინალური თუ ნათარგმნი წერილობითი ძეგლები, სადაც გამომჟღავნებულია ქართველი ერის უშრეტი შემოქმედებითი პოტენცია.

ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ ქართულ მწერლობას ისტორიულ წარსულში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა წინა აზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან — სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და ევროპულთან. ითარგმნებოდა პირველხარისხოვანი თხზულებანი, როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული შინაარსისა. მდიდრდებოდა ჩვენი კულტურა, ივსებოდა და უფრო მოქნილი ხდებოდა ჩვენი ენა მწიგნობრებისა და მთარგმნელების მიერ, რომლებმაც „ნაკლულოვანება ენისა ჩუენისა აღავსეს“.

ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეების ბიზანტიური კულტურა მაღალ საფეხურზე იდგა; სწორედ ამ კულტურამ შეუმზადა ნიადაგი ევროპის რენესანსს.

რაკი ბიზანტიურ კულტურას გამანაყოფიერებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სინამდვილისათვის, სავსებით ცხადია, რომ თვით ბიზანტიური მწერლობის გავრცელების არეალის შესასწავლად განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართულ მასალებს.

ეს კიდევ ცოტაა.

ქართულ მწერლობას დღევანდლამდის შემოუნახავს ნათარგმნი თხზულებანი თეოლოგიიდან, ფილოსოფიიდან და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, როგორიცაა იურისპრუდენცია, მათემატიკა, ასტრონომია, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, ისტორია. საქმე ისაა, რომ ბევრი თხზულება ბიზანტიურ მწერლობას დროთა ვითარებაში დაუკარგავს.

რაკი ბიზანტიური კულტურით დღეს დაინტერესებულია მსოფლიო მეცნიერება, ბუნებრივია, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ამ გაუჩინარებული თხზულების ქართულ მწერლობაში შემონახულ თარგმანებს.

შესაძლებელია ბიზანტიური სამყაროს ზოგიერთი წერილობითი ძეგლი მთლიანად დაკარგულიც არ იყოს, მაგრამ არა ჩანს ამ ძეგლის რედაქციული ვარიანტები. ეს რედაქციული ვარიანტებიც დაუცავს ქართულ თარგმანებს.

ეს ეხება არა მარტოოდენ ბერძნულ ძეგლებს, არამედ სომხურიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან თუ სხვა ენათაგან მომდინარე თხზულებებსაც. ამიტომ გასაგებია, რომ დღეს ევ-

როპაში თუ ამერიკაში იშვიათად გამოვა სამეცნიერო ნაშრომი ძველი მწერლობის ისტორიიდან, რომელშიც არ იყოს აღძრული მსჯელობა ქართული თარგმანების შესახებ, თარგმანებისა, რომლებიც, როგორც ითქვა, ავსებენ უცხოურ ლიტერატურაში არსებულ ხარვეზს. ასე, მაგალითად, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას ქართულმა მწერლობამ შემატა მეტად შესანიშნავი ეგზეგეტიკური „კატენები", ისეთი მთლიანი და სრული, რომელთა მსგავსი ცნობილ კატენებს შორის მეორე არ მოიპოვება; მნიშვნელობა ამ თხზულებისა, რომლის კვალი ბერძნულ ენაზე უკვე აღარ ჩანს, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ მას შემოუნახავს ექსცერპტები ისეთი თხზულებებიდან და ავტორებიდან, რომელთა ხსენება დღეს უკვე გამქრალია. თხზულება ქართულად VII საუკუნეშია თარგმნილი. დიდად მნიშვნელოვანია ძველი ქართული ლიტერატურის წვლილი ბიზანტიის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული მწერლობის დარგში. როგორც დადასტურებულია, მიქელ მოდრეკილის იადგარი და გიორგი ათონელის „თთუენი" შეიცავენ ისეთ ჰიმნოგრაფიულ მასალას და ისეთი ავტორებისას, რომელთაც დღეს ბიზანტინოლოგია არ იცნობს. ასევე საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ლიტურგიკული მწერლობა, აგიოგრაფია, პოლემიკური ლიტერატურული მემკვიდრეობა, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურა და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველად მსოფლიო ფილოლოგიური მეცნიერება ნიკო მარის შრომების საშუალებით გაეცნო ძველი ქართული ლიტერატურის საგანძურს მთელი სიგრძე-სიგანით; უცხოური ლიტერატურის ისტორიკოსებმა პირველად დაინახეს, რომ არსებობს უმდიდრესი ძველი ქართული მწერლობა, რომელსაც შემოუნახავს ძველი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა ლიტერატურის ნიმუშები, მათ შორის ბევრია ისეთი ნაწარმოები, რომლებიც დედნის ენაზე დაკარგულია ანდა ვარიანტულად არსებობენ — თარგმანების საშუალებით კი შესაძლებელი ხდება მათი აღდგენა.

მარის მიერ „გამოქვეყნებული ქართული თარგმანი ძველი ბერძნული, სირიული, არაბული და სომხური დედნებისა, შემკული ისტორიულ-ლიტერატურული და ლინგვისტური აპარატით, იწვევდა დაუშრეტელ ინტერესს შესაფერ სამეცნიერო წრეებში, რის გა-

მოც ძველმა ქართულმა მწერლობამ შემოიკრიბა და გაიჩინა მნიშვნელოვანი კადრი სპეციალისტ-მკვლევარებისა ორივე კონტინენტის საუნივერსიტეტო სფეროებში“ (კ. კეკელიძე).

მოყოლებული 1900 წლიდან ზედიზედ ქვეყნდება ნიკო მარის მიერ ქართული თარგმნითი ძეგლები გამოკვლევითა და რუსული თარგმანებით. საერთოდ, მარის გამოცემებს ყოველთვის ახლავს ზუსტი თარგმანები ქართული ძეგლებისა რუსულ ენაზე. იგი ითვლებოდა საუკეთესო მთარგმნელად.

ა. ლუნაჩარსკის ცნობით, მაქსიმ გორკი „ხანძთელის ცხოვრების“ მარისეულ რუსულ თარგმანს ბრწყინვალე თარგმანად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ ნიკო მარი დიდი პოეტური ნიჭით არის დაჯილდოებული; მარის თარგმანი ნათელს ხდის, რომ ორიგინალი უთუოდ შესანიშნავიაო, დასძენდა მაქსიმ გორკი.

ჯერ იყო და მარმა გამოაქვეყნა იოსებ არიმათიელის თხზულება X-XI ს.ს. ხელნაწერების მიხედვით. ამას მოჰყვა (1901 წ.) იპოლიტეს „თარგმანება ქებაი ქებათაი“ X საუკ. ხელნაწერის მიხედვით. მკვლევარი ქართულ ტექსტს უდარებს ბერძნულ, სირიულ, სომხურ, ძველსლავურ ტექსტებს და საყურადღებო ფილოლოგიურ დაკვირვებას გვიზიარებს, ღრმა ანალიზის შედეგად არკვევს ურთულეს საკითხებს და, ამრიგად, მეცნიერებას სთავაზობს ძველი მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს. ეს იყო ნიკო მარის სადოქტორო დისერტაცია. აკად. კოკოცოვი, განთქმული სემიტოლოგი, მაღალ შეფასებას აძლევდა დისერტაციას და, დასძენდა, რომ მარის ეს შრომა არის „დიდი შენაძენი მეცნიერებისათვის“.

სავსებით მართებულად აცხადებს პროფ. კ. კეკელიძე, რომ მარის ამ ნაშრომის გამოცემამ „ყუმბარასავით იფეთქა დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო მოულოდნელი აღმოჩენა, ნამდვილი სიურპრიზი, რომელიც იპოლიტეს შრომათა რიცხვს ხუთი ნაშრომით ადიდებდა“. ან კიდევ: „ვის არ ახსოვს ის სენსაცია, რომელიც გამოიწვია მეცნიერებაში მის მიერ აღმოჩენილმა და გამოცემულმა იპოლიტე რომაელის მანამდე უცნობმა შრომამ. ამას შედეგად მოჰყვა დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში ქართული ენის მნიშვნელობისა და მისი შესწავლის საჭიროების შეგნება“.

პატროლოგიური ძეგლების შესწავლა-გამოქვეყნებას მარი შემდგომაც განაგრძობს იმავე გეგმითა და მიზანდასახულობით. ჩვენი მეცნიერის დაუცხრომელი ძიების შედეგად ორიენტალისტურმა მეცნიერებამ კიდევ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიიღო. 1904 წელს იბეჭდება ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი“ (ქართულ ტექსტს ერთვის სომხური ტექსტი ვრცელი გამოკვლევითა და აპარატით).

შრომამ შუქი მოჰფინა საშუალო საუკუნეებში ამ უაღრესად გავრცელებული თხზულების ლიტერატურულ ისტორიას. 1909 წელს მარის პუბლიკაციით ქვეყნდება დიდად მნიშვნელოვანი ენობრივი ძეგლი „იერუსალიმის წარტყვევნა“, რომელსაც ერთვის, როგორც წესი, რუსული თარგმანი და არაბული ტექსტი. ეს ძეგლი ნათელსა ჰფენს სპარსეთისა და ბიზანტიის ურთიერთობას მე-7 საუკუნეში და ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მარის გამოცემამ დიდი გამოძახილი გამოიწვია ამ ეპოქითა და ურთიერთობით დაინტერესებულ ისტორიკოსებში.

აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ მარის სხვა ანალოგიურ პუბლიკაციებზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კვლევა ქართულ-სომხური ძეგლებისა, რომლებიც „ერთიმეორის დამოკიდებულებას უმეტესად მხოლოდ ტექსტობრივ ამჟღავნებენ“ და უმთავრესად ბიბლიოლოგიის ანდა აგიოგრაფიის სფეროს განეკუთვნებიან. „ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთკავშირი უძველეს ხანაშიაც ფაქტია; ეს კავშირი ორმხრივია და არა მარტოოდენ ცალმხრივი“ (ილ. აბულაძე). ნიკო მარის აზრით, აგიოგრაფიული ძეგლების გადმოღება სომხურიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ ქართლისა და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობის ხანაში, ვიდრე გაღვივდებოდა „რელიგიური შუღლი და ურთიერთისაგან განდგომა, რაც ქართლისა და სომხეთის ეკლესიების განხეთქილებას მოჰყვა“ (მე-7 საუკუნის გასულამდის). მარი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართულ თარგმანებს შეუძლია გადაწყვიტოს სომხური სამეცნიერო ლიტერატურის ბნელით მოცული საკითხი — მოსე ხორენელის მოღვაწეობის ხანა (რამდენადაც ზოგიერთ ქართულ ძეგლს ტექსტობრივი კავშირი აქვს ხორენელის ისტორიასთან). მეცნიერის დასკვნით, მოსე ხორენელი მე-7 საუკუნის ნახევარზე გვიანდელ

მოღვაწედ არ შეიძლება მივიჩნიოთ. „ასეთი საგულისხმო კითხვები წამოაჭრევინა ჩვენი აგიოგრაფიული ძეგლების წინასწარმა შესწავლამ სომხურ-ქართული ფილოლოგიის საფუძვლისმდებელს“ (ი. აბულაძე).

ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მარისეული ძიებანი დადასტურებულია და ახალ-ახალი საბუთებით შემაგრებული ივ. ჯავახიშვილის, პეეტერსის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ილ. აბულაძისა და სხვათა შრომებში. აზრთა სხვადასხვაობა ზოგიერთი ძეგლის მიმართ თავს იჩენს უმთავრესად თარიღების საკითხში.

ნიკო მარის ფილოლოგიურ ნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევას.

საქართველო ისტორიულ წარსულში — ქრისტიანიზაციის პერიოდში — მჭიდროდ დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროსთან — სირიასთან, ერთი მხრივ, და დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროსთან — ბიზანტიასთან, მეორე მხრივ.

სირიულ ქრისტიანულ კულტურასთან ქართული ქრისტიანული კულტურის მიმართების პრობლემატიკა ნიკო მარს თავიდანვე იზიდავდა.

ახალგაზრდა მკვლევარი იმთავითვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სირიულ-ქართული კულტურული ურთიერთობის გაშუქება უაღრესად საგულისხმოა როგორც ქართული, ისე სირიული კულტურის მრავალი საკვანძო საკითხის გასარკვევად.

სირიული სამყაროს პრობლემებს საქართველოსთან დაკავშირებით მარი არაერთგან შეხებია.

დავიწყოთ ბალავარიანის საკითხით.

შუა საუკუნეებში მთელ მსოფლიოში ქრისტიან ხალხთა ლიტერატურაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სასულიერო რომანი („ბალავარის სიბრძნე“), მორალურ-ასკეტური ხასიათის ნაწარმოები, რომელიც შესანიშნავია ფაბულით და მდიდარი ღრმააზროვანი იგავებით; თავისი ფორმითაც ეს თხზულება მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურულ შედევრებს. რომანში მოთხრობილია ბუდას ცხოვრება, გადაკეთებული და გამართული ქრისტიანული იდეოლოგიის ყაიდაზე (სხვათა შორის, გამოთქმულია შეხედულება, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ დამუშა-

ვებულია ბალავარიანის ერთგვარი რემინისცენციით. და არა მარტო ეს ნაწარმოები, ქრისტიანული სამყაროს ბევრ ლიტერატურულ ქმნილებასაც დასტყობია ამ სასულიერო რომანის გავლენა, როგორც სიუჟეტური ქარგის, ისე ცალკეული პასაჟების არქიტექტონიკის მხრივ).

არისტიდეს აპოლოგიის საფუძველზე დამუშავებულ ამ აგიოგრაფიულ-მორალური და დოგმატიკური ხასიათის თხზულებაში გამოყენებულია ქრისტიანული მწერლობის მრავალი წყარო.

ბუდას ცხოვრების თავდაპირველი სანსკრიტულ-ფალაური რედაქცია არ შენახულა. ფაქტია მხოლოდ ის, რომ ბალავარიანის პროტოტიპული ნაწარმოები (თუ ზეპირად გავრცელებული ამბავი!) მოხვედრილა ქრისტიანთა წრეში და გადაკეთებულა ქრისტიანულ რომანად ერთ-ერთი ქრისტიანული მწერლობის ენაზე.

მეცნიერებას დღესაც ვერ დაუდგენია — რომელია ეს ქრისტიანული მწერლობის ენა, რომელზედაც ჩამოყალიბებულა და სიუჟეტურად გაშლილა ევროპაში სახელგანთქმული მხატვრული ქმნილება. ის კი ნათლად ჩანს, რომ ეს დამუშავება-გადაკეთება უნდა მომხდარიყო არა უადრეს მერვე საუკუნისა (ეს მტკიცდება გარკვეული იდეოლოგიური ტენდენციების ანალიზითა და იმითაც, რომ ნაწარმოები გაჟღენთილია იოანე დამასკელის თეოლოგიით, დამასკელისა, რომელიც გარდაიცვალა 749 წელს).

ევროპულ ენებზე „ბალავარის სიბრძნე“ ლათინური ენიდან ითარგმნა. ლათინური თარგმანი ბერძნულიდან მომდინარეობს. ბერძნული რედაქცია ცნობილია მე-11 საუკუნის პირველი მეოთხედიდან.

ევროპელი მეცნიერების წინაშე დაისვა კითხვა: რომელი ენიდან უნდა იყოს გადმოთარგმნილი ბალავარის ბერძნული ტექსტი?

ბალავარის ორ უძველეს ბერძნულ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ეს რომანი გადმოთარგმნილია ქართულიდან ბერძნულად ქართველი მოღვაწის ექვთიმე მთაწმიდლის მიერ.

სახელდობრ, მე-11 საუკუნის შუა წლების ერთ უძველეს ბერძნულ ხელნაწერში ნათქვამია: „სულის სასარგებლო ისტორია მოტანილი ეთიოპიელთა შიდა ქვეყნიდან წმინდა ქალაქში საბა-წმიდის მონასტრის მონაზონის იოანეს მიერ გადმოთარგმნილი იბერიელთა ენიდან ბერძნულ ენაზე ღირსი და

კეთილსათნო კაცის, იბერიელად წოდებული ექვთიმეს მიერ“.

მეორე ბერძნულსავე ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია მე-15 საუკუნეში, ვკითხულობთ: „სულის სასარგებლო მოთხრობები, მოტანილი რომაელთა მიწაწყალზე არსებული ეთიოპიელების ქვეყნიდან და გადმოღებული ეთიოპიელთა ენიდან ბერძნულ ენაზე უწმიდესი მონაზონის ექვთიმე იბერიელის მიერ, რომელიც იყო წმ. მთაზე (ე. ი. ათონზე) არსებული წმ. ათანასეს დიდი ლავრის წინამძღვარი“.

სხვა ბერძნული ხელნაწერები ბერძნული ბალავარიანის ავტორებად ასახელებენ იოანე ბერს ანდა იოანე დამასკელს.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ზოგმა მეცნიერმა კითხვის ქვეშ დააყენა ბერძნული ტექსტის ქართულიდან მომდინარეობა.

ვიდრე გავეცნობოდეთ საკითხის ისტორიას, გავარკვიოთ ქართული ლიტერატურის მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საგანზე.

„სიბრძნეი ბალაჰვარისი“ არსებობს ქართულ ენაზედაც.

მე-11 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწიგნობრის გიორგი ათონელის თხზულებაში, რომელიც დაწერილია 1042—1044 წლებში და ასახავს დიდებული ქართველი მწერლისა და მეცნიერის ექვთიმე ათონელის ცხოვრებას, ნათქვამია, რომ ექვთიმემ „ბალაჰვარი... და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“. იქვე მითითებულია ბერძნული ტექსტის სათაურზედაც. მეცნიერები ფიქრობენ, რომ „ბალაჰვარიანი“ გაჩნდა პალესტინის ქართულ ლიტერატურულ წრეებში და შემდეგ ძეათე საუკუნის ბოლოს, მას ათონის ქართველებამდეც მიუღწევია; ექვთიმეს წყალობით ამ ნაწარმოებს, როგორც ახალ ლიტერატურულ ფაქტს, გაიცნობდნენ ათონისა და კონსტანტინეპოლის ბერძნულ წრეებშიც, რომელთა თხოვნითა და შეკვეთით ექვთიმეს ის უთარგმნია ბერძნულ ენაზე.

ევროპელმა მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს ქართულ ვერსიას.

ამრიგად, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ბალავარიანის საერთაშორისო პრობლემატიკაში ჩაერთო ქართული მასალები და ამიერიდან ქართული „სიბრძნე ბალაჰვარისი“ იქცა ცხო-

ველი ინტერესის საგნად დასავლეთის ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ამ საგანზე დიდი ლიტერატურა არსებობს და არ დარჩენილა ევროპაში არც ერთი მკვლევარი, რომელსაც ეს საკითხი ეკვლიოს და თავის ძიებაში პოზიტიურად თუ ნეგატიურად ბალავარიანის ძველქართული რედაქცია არ მოეშველებინოს.

მაგრამ საკითხი ეგრე მარტივი არ არის. საქმე ისაა, რომ ბერძნული ტექსტი ერთი-სამად მეტია ქართულ ტექსტთან შედარებით. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი საეჭვოდ მიიჩნევდა მე-11 საუკუნის ქართველი ავტორის ცნობას.

ბალავარიანის პრობლემის მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებისათვის აუცილებელი იყო მკაცრი ფილოლოგიური კვლევა-ძიება, ტექსტუალური დაკვირვებები, სხვადასხვა ენაზე არსებული რედაქციების შედარება, ძეგლის ქართული ვარიანტების გამოვლენა და საბოლოო დასკვნების გამოსატანად ნიადაგის მოსუფთავება.

ბალავარიანის კვლევა-ძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა ნიკო მარმა.

1888 წელს ახალგაზრდა ნიკო მარი პეტერბურგიდან ჩამოდის საქართველოში და თავის საუნივერსიტეტო თემასთან დაკავშირებით (საშუალო საუკუნეების ქართული ლიტერატურიდან) მასალებს აგროვებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერთა კოლექციებში. რაკი სწორედ ამ ხანებში საზღვარგარეთის ორიენტალისტები დაინტერესებული იყვნენ ბერძნული ბალავარიანის (ვარლაამისა და იოასაფის თხზულების) საკითხით, აკადემიკოსმა როზენმა თავის მოწაფეს — მარს დაავალა, მოეძია XII საუკუნეზე ადრინდელი ვერსია ქართული ბალავარიანისა, რაც საბოლოოდ დაამტკიცებდა როზენის ჰიპოთეზას ბერძნული ტექსტის ქართულისაგან მომდინარეობის შესახებ. „გულითადად ვთხოვოთ ჩვენს ქართველოლოგებს, — წერდა როზენი, — არ დაიზარონ შრომა ასეთი ნუსხის მოსაპოვებლად“. ამგვარი ტექსტი არ აღმოჩნდა პეტერბურგის სააზიო მუზეუმში და ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში; ჯერი ხაქართველოს კოლექციებზე მიდგა.

მარი გატაცებით ეძებდა ბალავარიანს: გაზეთ „ივერიაში“ აცხადებდა — ასეთი ხელნაწერი ხომ არ შეგხვედრიათო; ზ. ჭიჭინაძე უპასუხებდა — ამა და ამ კაცს ვუნახე მსგავსი ხელნაწერიო; ახალ-

გაზრდა მკვლევარს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის გარემოებაც, რომ გურიაში ბალავარი კაცის სახელია და ეს გარემოება საქართველოში ნაწარმოების დიდ გავრცელებას გვიდასტურებსო; ჩაუჯდა ხელნაწერთა კოლექციებს... და ასე თავგამოდებით ეძებდა ქართულ ენობრივ ძეგლს, რომელსაც მომავალში თურმე ელოდა მსოფლიოში განთქმულ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოხვედრა მთელ საქრისტიანო სამყაროში სახელმოხვეჭილი ერთი რომანის აღმოცენებისა და გავრცელების გზების გასარკვევად.

მარს წილად ხვდა ბედნიერება, მიეკვლია საძიებელი ხელნაწერისათვის. მან დაუყოვნებლივ აცნობა როზენს: „ბალავარი მიკვლეულია, ხელნაწერი ახალია (1860 წლის ნუსხაა), მაგრამ ნაწარმოების ენა, მიუხედავად ერთგვარი განახლებისა, საერთოდ ძველია, საეკლესიო, რომლითაც დაწერილია ძველი და ახალი აღთქმა... ნაწარმოების სათაურია „სიბრძნე ბალავარისა“. ხელნაწერი გადმოვიწერე და ვამზადებ გამოსაცემად. შემპირდნენ, რომ მომიძებნიან უფრო ძველ ნუსხას“.

ნიკო მარმა „ბალავარის სიბრძნე“ და მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა ანალოგიურ ლიტერატურულ ძეგლებთან აირჩია სამაგისტრო დისერტაციის თემად. ამასობაში გაზეთ „ივერიაში“ მისმა მასწავლებელმა, პროფესორმა ალ. ცაგარელმა, გამოაქვეყნა ცნობა იმის თაობაზე, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, გამოაქვეყნოს ბალავარიანის ძველი ხელნაწერი რუსული თარგმანითა და კომენტარებით. ამის გამო აკად. როზენი მარს სწერდა: მეტი გზა არაა, „სხვა სადისერტაციო თემა უნდა შეარჩიოთო“. რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური განყოფილება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სთხოვდა, გამოეგზავნა ნ. მარისათვის სამუშაოდ ბალავარიანის იმ დროს ცნობილი სამი ნუსხა. საზოგადოებისაგან ასეთი პასუხი მოვიდა: ერთი ნუსხა უკვე გადაბეჭდილია პროფესორ ცაგარლის დაკვეთით, მეორე ნუსხა ცაგარელმა წაიღო, მესამე კი არა ჩანსო (საარქივო მასალებიდან). გვიან, 1893 წელს, ექვთ. თაყაიშვილი აკადემიკოს როზენს სწერდა: ბალავარიანის თარგმანს „ამზადებს ცაგარელი, რის გამოც მარმა თავი მიანება მის თარგმნას; იგი გაცილებით უკეთ გადათარგმნიდა ამ ნაწარმოებს, ვიდრე შე. ცოტა არ იყოს მერიდებოდა კიდევაც — გამომეცა ქარ-

თული ტექსტი, რადგან სამი თუ ოთხი წლის წინათ ცაგარელმა წაიღო თბილისიდან ბალავარის დაბეჭდილი ფურცლები, მაგრამ რატომღაც ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებიაო".

პირველი სპეციალური გამოკვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ბალავარიანის შესახებ ეკუთვნის ნიკო მარს.

1889 წელს რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების სამეცნიერო ორგანოში იბეჭდება ახალგაზრდა მკვლევრის ეს ნაშრომი. ამ ისტორიული მნიშვნელობის ნარკვევში მოცემულია ახლად მიკვლეული ხელნაწერის ტექსტუალური ანალიზი, რუსული თარგმანი და, რაც მთავარია, ქართულ-ბერძნულ-არაბული ვერსიების შედარებითი განხილვა. საბოლოო დასკვნებისაგან თავი უნდა შევიკავოთო, დასძენს ავტორი, რადგან საძიებელია საანალიზო ტექსტის სხვა ქართული ვარიანტები და დამატებანიო.

ხაშრომმა ცხოველი გამოძახილი ჰპოვა საკითხით დაინტერესებულ მეცნიერთა შორის. ასე, მაგალითად, აკადემიკოსი როზენი რამდენიმე წლის შემდეგ ამბობდა: მარის მიერ მოწოდებული ძეგლი ჩემს ჰიპოთეზას მნიშვნელოვანწილად აცლის პარადოქსულობის ხასიათს იმათ თვალში, ვინც შეეჩვია ქართული ლიტერატურა მიიჩნიოს „quantité négligeable"-დ. იმასაც დასძენს, რომ მარის მიერ გამოცემული ნუსხა არ შეიძლება ჩაითვალოს ბერძნული ვერსიის უშუალო დედნად (საძიებელია უფრო ძველი ნუსხები), მაგრამ ქართული რედაქციის მომდინარეობა სირიულიდან ეჭვს არ უნდა იწვევდესო.

ამ პირველი შრომის შემდეგაც არ შენელებულა ნ. მარის ინტერესი ბალავარიანის მიმართ.

მას შემდეგ, რაც პარიზში გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი ბიზანტინისტის — ზოტენბერგის ნაშრომი ბალავარიანის ბერძნული ვერსიის თაობაზე, ევროპაში ამ პრობლემის გარშემო მთელი ლიტერატურა შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ზოტენბერგს არ ჰქონდა საკუთარი პოზიტიური ნიადაგი, მაინც თავგამოდებით ირწმუნებოდა, რომ ბერძნული ვერსიის ავტორია არა ექვთიმე ათონელი, ანდა იოანე დამასკელი (ამ უკანასკნელსაც მიიჩნევდნენ თარგმანის ავტორად), არამედ ვიღაც იოანე წმ. საბას მონასტრიდანო.

ბალავარიანი — ერთი შეხედვით ეს წმინდა აკადემიური პრობლემა — დასავლეთის სამეცნიერო წრეებში იქცა დიდი ვნებების

გამომწვევ მღელვარე კითხვად. ხუმრობა საქმე არ არის: საშუალო საუკუნეების ევროპაში და აღმოსავლეთში უაღრესად პოპულარული და გავრცელებული რომანის ძირები ქართულ მწერლობასთანაა დაკავშირებული. არადა, რა ეშველება ისტორიულ ცნობას იმის თაობაზე, რომ ბერძნული ვერსია შექმნილია ქართველი მწერლისა და მოღვაწის — ექვთიმე ათონელის მიერ ქართული ვერსიის გადმოღება-გადმოკეთების გზით! ზედიზედ ქვეყნდება სპეციალური ნაშრომები, სადაც სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია ეძლევა ზემოხსენებულ გარემოებას.

და აი, 1899 წელს პეტერბურგის იმავე სოლიდურ სამეცნიერო ორგანოში, რომელშიც მოთავსებულია ნ. მარის პირველი წერილი, იბეჭდება მარის მეორე, უფრო ვრცელი და მრავალი კარდინალური კითხვის აღმძვრელი გამოკვლევა ბალავარიანის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ქართული ტექსტების პრეციზული ფილოლოგიური ანალიზის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილიყო საერთაშორისო მეცნიერების ეს ერთობ დელიკატური პრობლემა: ამავე დროს, საჭირო იყო ქართული მასალებისა და ბერძნულსა თუ სხვა ენებზე არსებული ვერსიების ურთიერთმიმართების შესწავლა და დადგენა. ამგვარი ძიება იმდროინდელ მეცნიერულ სამყაროში უპირველესად შეეძლო ნ. მარს, რომელსაც დიდი ერუდიციაც ჰქონდა და გენიალური წვდომის უნარითაც იყო დაჯილდოებული.

ნიკო მარი ამ ახალ ნაშრომში თავს ესხმის იმ საზღვარგარეთელ მეცნიერებს, რომლებიც უარყოფენ ექვთიმე ათონელის ავტორობას. შესავალ ნაწილში ავტორი სრანანულით აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით XVIII საუკუნეზე ადრინდელი ქართული ნუსხები ბალავარიანისა ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ არსებული ძეგლების სიძველე ეჭვს არ უნდა იწვევდესო. იმასაც დასძენს, რომ ძველ საქართველოში „ბალავარის სიბრძნე“ დიდად პოპულარული ნაწარმოები იყო. ნ. მარის აზრით, სულხან-საბა ორბელიანს თავისი ცნობილი საერო ხასიათის მცხეთური ქმნილებისათვის („სიბრძნე სიცრუისა“) მსგავსივე სათაური მიუცია ამ დაპირისპირებით: „სიბრძნე ბალაჰვარისი“ გადმოგვცემს ჭეშმარიტ სიბრძნეს (რომელსაც ქადაგებდა ბალავარი), ორბელიანის გმირებისა კი — სიცრუის სიბრძნეს. შესანიშნავი მიგნებაა!

ცხადია, საჭირო იყო მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი დ ა ძ ლ ე ვ ა იმ ნეგატიური შეხედულებებისა, რომლებიც გამოთქმულია საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ექვთიმე ათონელის ავტორობის თაობაზე. ნიკო მარი სრული საბუთიანობით ეკამათება კონიბერს, ჰოძელს, იაკობს, კუნს, კრუმბახერს და მეთოდურად არღვევს მათ არგუმენტებს, დაფუძნებულს უნიადაგო პოსტულატზე, რომ ძნელად დასაჯერებელია ქართულ მწერლობას მიეცეს მსოფლიოსათვის ესოდენ დიდი ღირებულების ქმნილება — ბალავარიანი. ეს პოსტულატი არ არის ასე ლიტონად თქმული უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ გამოსჭვივის კი თითქმის ყოველ ცალკეულ გამოკვლევაში.

პროფესორი კუნი, მაგალითად, ამბობს რომ ექვთიმე ათონელს ახალგაზრდობაში მიაწერდნენ სახწაულებს, ამიტომ გასაგებია, რომ ეს „ზღაპარიც შექმნეს“ და ბალავარიანის თარგმნაც მიაწერესო. ნ. მარი სრული დამაჯერებლობით უარყოფს ამ შეხედულებას და ხათელს ხდის, რომ ექვთიმეს ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულიად რეალური ფაქტია და ეს სახელგანთქმული მოღვაწე მრავალი ძველი წყაროდან ცნობილია ბერძნული ენის დიდ მცოდნედ; მას უთარგმნია როგორც ბერძნულიდან ქართულად, ისე ქართულიდან ბერძნულად და ეს მასალები დღემდის შემონახულიაო. ამავე დროს, ავტორი სააზიო მუზეუმის ერთი ხელნაწერიდან იშველიებს ექვთიმეს ასეთ დახასიათებას: „იგი იყო ფრიად მეცნიერ ენისა ელინურისა, ქართულისა და სხუათა ენათა და ჰსთარგმნა მან მრავალნი წიგნნი ქართულსა ენაჲა ზედა ბერძნულით და ქართულით ბერძულსა ზედა“. პროფესორი კონიბერი კი ამბობდა: ცნობა ექვთიმეს ავტორობის შესახებ მერმინდელი, გვიანდელი ჩამატებულია ბერძნულ ხელნაწერში და იგი შეუძლებელია არც იყო პირვანდელ რედაქციაშიო; ამ ცნობას ბერძნულ დედანში ჩაუმატებდა ძავანი და მავანი ქართველი ბერი, — ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ხშირად ქართველი ბერები გადაწერდნენ ხოლმე ბერძნულ ხელნაწერებს, და ეს იქიდანაც ჩანს, რომ შენახულა ბერძნული ხელნაწერები, რომლებშიც პაგინაცია (გვერდების დანომვრა) ქართული ასოებითაა შესრულებულიო. ამაზე მარი გონებამახვილურად შენიშნავს: თუკი ქართველები ხშირად გადაწერდნენ ხოლმე ბერძნულ ხელნაწერებს, ეს იმას მოწმობს, რომ

„ქართველებს არა მხოლოდ კარგად სცოდნიათ ბერძნული ენა (რაც მტკიცდება სხვა ფაქტებითაც, მაგალითად, იმით, რომ ისინი თარგმნიდნენ ბერძნულ ტექსტებს), არამედ ისინი თურმე ინტერესს იჩენდნენ ბერძნული ლიტერატურის დედნებისადმიც და, მაშასადამე, მათს წრეში ბუნებრივად დაიბადებოდა აზრი — გაეცნოთ ბერძენი მკითხველებისათვის ქართული ლიტერატურის ძეგლები".

ასეთია პირუთვნელი ლოგიკა!

აღსანიშნავია, რომ როგორც კონიბერი, ისე კუნი ეყრდნობიან და იმოწმებენ პროფესორ კრუმბახერის მეტად გახმაურებულ წიგნს — „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია", მაგრამ, როცა ეს ნაშრომი იწერებოდა, ევროპულ ლიტერატურაში ბერძნული ვერსიის ქართულისაგან მომდინარეობის სასარგებლოდ არსებობდა მხოლოდ ბერძნულ ხელნაწერებზე აღნიშნული ცნობა ექვთიმეს შესახებ. წიგნის მეორე გამოცემაში (1897 წ.) განთქმული მიუხხენელი ბიზანტინისტი იმეორებს პირველ გამოცემაში ექვთიმეს ავტორობის საწინააღმდეგოდ გამოთქმულ აზრს. ნ. მარი აღნიშნავს, ამის შემდეგ მე შევხვდი პროფესორ კრუმბახერს და იმდენი ველაპარაკე ქართული ბალავარიანის შესახებ, რომ აზრი შეეცვლევინეო; მიუნხენელმა პროფესორმა ისღა დასძინა, ეტყობა, ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის" წარმოშობა ბურუსითაა მოცული და ქართული მასალების მიხედვით საკითხის დასმას მეცხიერებაში გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო. ესეც საქმეა.

საყურადღებოა, რომ კონიბერი აღიარებს არსებული ქართული ვერსიის უფრო მეტ არქაულობას არსებულ ბერძნულ ვერსიასთან შედარებით, ამიტომ ქართული არ შეიძლება ბერძნულისაგან მომდინარეობდეს, მაგრამ შესაძლებელია აღმოჩნდეს სხვა ბერძნული რედაქცია, რომელიც ქართულ ვერსიას დასდებია საფუძვლადო. მარი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ არავითარი კვალი გრეციზმებისა ქართულ რედაქციას არ ატყვიაო და, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოსო.

ნ. მარის ზემოხსენებული გამოკვლევის პოზიტიური ნაწილი მიეძღვნება ბალავარიანის ქართული ვერსიის წყაროების ძიებას. ტექსტში გამოვლენილი სირაიზმების საფუძველზე ავტორი მიდის

ამ დასკვნამდის, რომ ქართული ტექსტი სირიულიდან მომდინარეობს. აქვე ნათქვამია, რომ თარგმანი ალბათ შესრულებულია პალესტინაში და სირიაში, სადაც აყვავებული იყო ქართული სამონასტრო სავანეები. თარგმანის მიახლოებულ თარიღად მიჩნეულია VII—X საუკუნეები.

ნ. მარს საჭიროდ მიუჩნევია ქართული „ბალავარის სიბრძნის" სრულყოფილი თარგმანის რუსულ ენაზე გამოქვეყნება. სამეცნიერო ჟურნალის იმ ნომერში, სადაც დაბეჭდილია ნ. მარის ზემოხსენებული გამოკვლევა, მოთავსებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული თარგმანი ქართული ბალავარიანისა.

1900 წელს ნიკო მარი კვლავ შეეხო ბალავარიანს და უფრო დააზუსტა საკითხი, თუ რომელი ენიდან არის ნათარგმნი „ბალავარის სიბრძნე". ავტორი აცხადებს, რომ ქართული ვერსია არაბული ენის მეშვეობით შეიძლება სირიულ ტექსტამდე დავიყვანოთო. მარი იქვე დასძენს, რომ მის მიერ წინა ნაშრომში მოცემული სტილისტური დაკვირვებანი (იგულისხმება სირიაზმები, რომლებზედაც ვრცლად მსჯელობდა წინათ ავტორი) ახლაც ძალაში რჩება. როცა საუბარია ტექსტის უშუალოდ არაბულიდან მომდინარეობის შესახებ, რამდენადაც ქრისტიანული ძეგლების არაბულ ენას ბევრი აქვს საერთო სირიულთან, დამოუკიდებლად იმისა, რომ სირიულ-არაბული ენები მონათესავე სემიტური ენებიაო. მარის ნაშრომში „ქართული ენა", რომელიც გერმანულად არის გამოქვეყნებული (1928 წ.) უფრო კატეგორიულად არის გამოთქმული აზრი ქართული ვერსიის არაბულიდან მომდინარეობის თაობაზე. ქ. კეკელიძე იზიარებს ამ შეხედულებას და დასძენს: „მართლაც, ქართული „ბალაჰვარი" ნათარგმნი უნდა იყოს არაბულიდან და ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს არა მარტო ის გარემოება, რომ მას არაბულთან მეტი ნათესაობა ეტყობა, ყოველ შემთხვევაში, იგავთა რაოდენობის (ქართულში 11, არაბულში 10, ბერძნულში 16) და თანამიმდევრობის თვალსაზრისით. არამედ უმთავრესად საკუთარ სახელთა: „ბალაჰვარ", „იოდასაფ" ფორმით".

გავიდა ხანი და ბალავარიანის შესწავლა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ჩვენს დროში გამოიცა მეცნიერულად „სიბრძნე ბალაჰვარისი" საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის შერჩეული ნუსხების მიხედვით (პროფ. ილ. აბულაძე); ამ

ბოლო ხანებში ვაშინგტონიდან მივიღეთ ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების პირები, რომელთა შორის აღმოჩნდა ქართული ბალავარიანის ძველი (IX-X სს.) რედაქციები (ვრცელი და მოკლე), რომელთა გამოცემაც განხორციელდა სამეცნიერო აპარატის დართვით (პროფ. ილ. აბულაძე); დაიწერა მონოგრაფიები და სპეციალური გამოკვლევები ახალი მასალების შუქზე (პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, პროფ. ილ. აბულაძე, საზღვარგარეთელი პროფესორები — დრელგერი, ალკენი, ბიდერმანი, მუზურილო, ლაურდასი და სხვ. განსაკუთრებით ძვირფასია სახელგანთქმული ინგლისელი ქართველოლოგის პროფ. დოქტ. დ. ლანგის შესანიშნავი გამოკვლევები).

აქვე დავსძენთ, რომ ახალმა აღმოჩენებმა მშვენივრად დაადასტურეს ნიკო მარის წინასწარგანჭვრეტა: ქართული ვერსიის ვრცელი ვარიანტის არსებობა (ვრცელი ვარიანტისა, რომელიც ვაშინგტონის კოლექციებმა შემოგვთავაზეს) საოცარი გონებამახვილობით ამოიკითხა მარმა მოკლე ვარიანტში ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში. ინგლისელი მეცნიერის — პროფ. დავით ლანგის სიტყვით რომ ვთქვათ, „დიდი ხნის წინათ ნ. მარმა შემოკლებულ „სიბრძნე ბალაჰვარისში“ ყურადღება მიაქცია ისეთ პასაჟებს, რომლებიც „ეჭვს ბადებდნენ“ და სწორედ ამ ნიადაგზე დაასკვნა, რომ მოკლე ქართული რედაქცია მომდინარეობდა იმჟამად დაკარგული უფრო სრული ქართული ორიგინალიდან“.

ნიკო მარის მიერ ადრე დასაბუთებული ძირითადი დებულებები ბალავარიანის ქართული ვერსიის გარშემო თანამედროვე კვლევა-ძიებაში დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. მარისეული კონცეფცია კონდენსირებული სახით ჩამოყალიბებულია იმავე დავით მარშალ ლანგის შემდგომ ფორმულირებაში: „ქართული ქრისტიანული ვერსია წარმოადგენს არაბული „ბალაუჰარისა და ბუდჰასაფის წიგნის“ გადმოკეთებას, ხოლო ბერძნული ვარლაამი არის ქართულის ბიზანტიური გადმოკეთება ათონური კაზმული სტილით, შიგ კი ჩართულია ისეთი პატრისტიკული ეპიზოდები, როგორიცაა „არისტიდეს აპოლოგია“.

ინგლისელი სპეციალისტი შემდეგ დასძენს: „ექვთიმე ქართველი და მისი ათონელი თანამოძმენი რომ დღეს ცოცხალნი იყვნენ, უეჭველია, ნასიამოვნები იქნებოდნენ იმ წარმატებით, რომელიც

მათმა ლიტერატურულმა ხრიკმა მოიპოვა: მათი საღვთისმოსავო, სტილიზებული ნათხზავი ეკლესიის დიდ მამას მიაწერეს, მის ბუდისტ გმირებს თაყვანს სცემენ, როგორც ქრისტიან წმიდანებს, და მეცნიერთა მთელი თაობანი კი თავს იმტვრევენ საკითხით — როგორ გადმოვიდა ეს ამბავი ინდოეთიდან დასავლეთში".

როდესაც ლაპარაკია სირიული ენიდან ნათარგმნ ძეგლებზე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნიკო მარის მიერ გამოცემული ერთი აგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებოა მეცნიერებისათვის. ეს გახლავთ „ცხოვრება", რომელიც ასახავს აღმოსავლეთში გამოჩენილი მონოფიზიტი მოღვაწის პეტრე ქართველის (იბერიელის) ცხოვრებასა და მოქალაქეობას. ამ თხზულებაში გაშუქებულია ქართული ქრისტიანობის დასაწყისი ეპოქა, რომელიც დაკავშირებულია პალესტინისა და იმდროინდელ იდეოლოგიურ მოძრაობასთან აღმოსავლეთში. მარის ამ პუბლიკაციამ დიდი ინტერესი აღძრა ცნობილ პალესტინოლოგებს შორის.

ნათარგმნი აგიოგრაფიული ძეგლებით ნიკო მარი შემდგომ ხანებშიც იყო დაინტერესებული. 1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ — ნ. მარის ინიციატივით — გადაწყვიტა, დაეარსებინა გამოცემათა საგანგებო სერია, სადაც სისტემატურად დაიბეჭდებოდა ისეთი ქართული ძეგლები, რომლებიც სხვა ენებზე ან სულ არ არიან ცნობილნი, ანდა იცნობენ განსხვავებული რედაქციით. ეს წამოწყება იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ევროპაში კიდევ უფრო გაცხოველდა ინტერესი ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისადმი (როგორც ვიცით, „განსაკუთრებით მდიდარ სამკალს ბიზანტიური მწერლობის ისტორიისათვის ქართული ლიტერატურა: აგიოგრაფიის დარგში აძლევს").

ამ მიზნით ნიკო მარმა შექმნა სპეციალური სერია „Monumenta Hagiographica Georgica". ნიკო მარის რეკომენდაციით აკადემიამ მიმართა კორნ. კეკელიძეს, რათა დაემზადებინა გამოსაცემად ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, რომელთა „მსოფლიო-მეცნიერული ღირებულება... კარგად იგრძნობოდა". უნდა გამოცემულიყო რვა ტომი. კეკელიძემ აკადემიას წარუდგინა ვრცელი გეგმა, რომლის შესახებ მარი ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას აღფრთოვანებით სწერდა: „ეს არის

შესანიშნავი წამოწყება, რომელიც „დიდი ხანია ქართველოლოგიაში მომწიფდა“.

ამ სერიიდან 1918 წელს განხორციელდა მხოლოდ პირველი ტომი („კიმენი“, კ. კეკელიძის რედაქციით). მარ-კეკელიძის ეს მნიშვნელოვანი წამოწყება აკადემიაში მომხდარ ცვლილებათა გამო პირველსავე ტომზე შედგა. გვიან, 1946 წელს, კ. კეკელიძემ გამოსცა კიმენური რედაქციების მეორე ტომი. თვით მარმაც მოასწრო ერთი ტომის გამოცემა: 1927 წელს საზღვარგარეთ, პარიზში, ცნობილი „Patrologia Orientalis“-ის მე-19 ნომერში მან მოათავსა ქართული აგიოგრაფიული ტექსტების ერთი სერია ათონის ხელნაწერის (№ 57) მიხედვით.

ნათარგმნი ძეგლების შესახებ ჩვენი საუბარი სრული არ იქნება, თუ არ შევეხეთ ისეთ მნიშვნელოვან ენობრივ ძეგლს, როგორიცაა ბიბლია და ბიბლიური ტექსტები.

ბიბლია უზარმაზარი ლიტერატურული ძეგლია, რომელიც მიეკუთვნება მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებათა რიცხვს.

ბიბლია ანუ დაბადება ძველად ნათარგმნია ყველა ენაზე, რომელზედაც კი არსებობს სასულიერო მწერლობა. მის თარგმანს თავდაპირველად პრაქტიკული მიზანი ასულდგმულებდა: ლიტურგიკულ პრაქტიკაში საღმრთო წერილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა; ღვთისმსახურებაში უიმისოდ არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა.

ბიბლიას, რასაკვირველია, თარგმნიდნენ ქართველებიც ქრისტიანობის მიღებისთანავე.

ქართული ბიბლიის საკითხები თავიდანვე აინტერესებდა ნიკო მარს.

მარმა მიზნად დაისახა, გაერკვია ბიბლიის ქართული ტექსტის გენეზისი და ევოლუცია. „ეს საკითხი მან მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა“ (კ. კეკელიძე), როდესაც ასეთი დებულება წამოაყენა: 1. ქართული ბიბლიის წარმოშობის გამოსარკვევად საჭიროა არა მარტო ბერძნულის, არამედ ებრაულ-მასორეტულისა და აღმოსავლური ქრისტიანული (სირიული, სომხური) ბიბლიური ტექსტების ცოდნა, 2. ტექსტუალური შედარებისათვის აღებული უნდა იქნეს არა ახალი დროის, მით უმეტეს, დაბეჭდილი, საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე შესწორებული მასალები, არა-

მედ უძველესი, თუ პირვანდელი არა, მასთან დაახლოებული შეძლებისამებრ კრიტიკულად შესწავლილი ტექსტები.

ნ. მარი ამ საკითხებზე მსჯელობს 1899—1903 წლებში, ხოლო სპეციალური გამოკვლევა ბიბლიურ ტექსტებს მან უფრო გვიან მიუძღვნა, როცა დაიწყო შენიშვნების მთელი სერიის გამოქვეყნება „ხრისტიანსკი ვოსტოკის“ ფურცლებზე. ამ შესანიშნავ გამოკვლევაში მოცემულია ბიბლიური ნუსხების შედარებითი ანალიზი ბერძნულ-სომხურ-სირიული ტექსტების შესაბამის ადგილებთან მიმართებით. აქ ვხვდებით არა ერთსა და ორ გონებამახვილურ დაკვირვებას, საგულისხმო ახსნა-განმარტებებს, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საღმრთო წერილის ლექსიკური შედგენილობის შესასწავლად თუ ტექსტის ევოლუციის გასათვალისწინებლად.

რომელი ენიდანაა გადმოთარგმნილი ქართული ბიბლია? — აი კითხვა, რომელიც დაისვა როგორც ჩვენი მეცნიერების, ისე საზღვარგარეთელი სპეციალისტების წინაშე.

საქმე ისაა, რომ ამ პრობლემის გამორკვევა დიდ სიძნელეებთან იყო და არის დაკავშირებული. აშკარად ქართულ ტექსტს არ ატყვია ბერძნული, სომხური თუ სირიული ტექსტებიდან წარმომავლობა. ამა თუ იმ ნუსხის ზოგ ნაწილს, ვთქვათ, სომხური კვალი ამჩნევია (არმენიზმები გვხვდება), ზოგ ნაწილს — გრეციზმები, ზოგს კიდევ სირიაზმები. მკვლევრები უთუოდ აჩქარდნენ, როდესაც ამ ცალკეული შთაბეჭდილებების მიხედვით გამოიტანეს დასკვნები და უცილობლად მთელი ტექსტი ან ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნიეს, ან სომხურიდან, ან სირიულიდან. ამასთანავე, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული ბიბლიური ტექსტების ნუსხები ერთმანეთთან შეჯერებული არ იყო მთელი სისავსითა და სიღრმით, არ მოგვეპოვებოდა ბიბლიის მეცნიერული გამოცემა, რომელიც საძირკველი უნდა ყოფილიყო გენეტური საკითხების გამოსარკვევად, მაშინ ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ ყოველგვარ დასკვნებს ამ მიმართულებით ჰიპოთეტური ხასიათი ექნებოდა. აჩქარდა თვით ნიკო მარიც, რომელმაც უყოყმანოდ გაიზიარა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ვარაუდი ქართული ბიბლიის სომხური ენიდან გადმოღების თაობაზე და რამდენიმე აშკარა არმენიზმის მიხედვით დაუსაბუთებელი დებულებები წამოაყე-

ნა. მალე მან იგრძნო თავისი შეხედულებების უკიდურესობა და შეასწორა ძველი თვალსაზრისი: ქართული ბიბლია ნათარგმნია არა უადრეს მეხუთე საუკუნისა, ეგრეთ წოდებულ სვან-მოსხურ დიალექტზე, რომელიც ამ დროს უკვე თვალსაჩინოდ გაქართებული იყოო. სვან-მოსხური დიალექტი შეიცავდა აწ არარსებული მესხური, აგრეთვე სვანური, ქართული და სომხური ენების ელემენტებსო.

ნაძალადევი და ხელოვნური, სრულიად დაუსაბუთებელი აღმოჩნდა მარის ეს შეხედულებაც, რომელიც ნებისმიერი ვარაუდის იქით ვერ მიდიოდა.

1929 წელს მარმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ენა“. სადაც სულ სხვა ჰიპოთეზაა გამოთქმული: ქართული ბიბლია ითარგმნა მეექვსე საუკუნეში იბერიულ ენაზე; ამ პირვანდელ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან იგი შემდგომ ხანებში გადააქართულესო.

ვერც მარმა და ვერც სხვა მკვლევრებმა ვერ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენის (ბერძნულის, სომხურის თუ სირიულის) მიხედვით ასწორებდნენ ტექსტის ამა თუ იმ ადგილს და, ამდენად, ეს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ფენები ერთგვარად აბნელებენ საკითხს და ართულებენ იმის გამორკვევას, თუ ძირითადი ტექსტი (თუ სუბსტრატი) რომელი ენიდან მოდის.

ცცხოეთის მეცნიერთა შორისაც ქართული ბიბლიის გენეზისის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა სუფევს: გამოჩენილი პალმიერი ქართულ ბიბლიას ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევს (1904 წ.); გოუზენი და ჟორდანი სომხურის თეორიას უჭერენ მხარს (1906 წ.); კლუგე ვარაუდობს, რომ ქართული ტექსტი უთარგმნიათ სომხურიდან და შემდეგში — სირიულიდან; ამერიკელი პროფესორი ბლეიკი (ნ. მარის მოწაფე) ქართული ბიბლიის დედნად ე. წ. კესარიულ ტექსტს სცნობს და ა. შ. ნიშანდობლივია აგრეთვე ცნობილი მკვლევრის კონიბერის, ასე ვთქვათ, „მრავალსართულიანი“ მსჯელობა: „ქართული ახალი აღთქმის დაწვრილებითმა განხილვამ დამარწმუნა, რომ ის თავდაპირველად გადმოთარგმნილია ძველი სირიული ტექსტიდან, რომელიც თითქმის იმგვარივე ყოფილა, რო-

გორიც გამოუყენებიათ პირველ სომეხ მთარგმნელებს. ორსავე ვერსიას შემდეგ რევიზია განუცდია და გაუსწორებიათ მთლიანად და (ერთმანეთისაგან) დამოუკიდებლად ბერძნული ტექსტის მიხედვით".

ბიბლიის ზოგიერთი ნუსხის მიმართ უფრო ეჭვმიუტანლად შეიძლება ლაპარაკი ერთი რომელიმე ენის სასარგებლოდ (მაგალ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ნათელი გახადა, რომ ე. წ. ადიშის ხელნაწერში უხვად გვხვდება ბერძნული ენის ელემენტები).

სრულიად უდავოა, რომ ქართული ბიბლიის გენეზისის თაობაზე ნაადრევი იყო მსჯელობა წინათაც და ნაადრევია დღესაც. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ა. შანიძე, ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისას უპირველეს ყოვლისა საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით ქართული ტექსტი, რა ურთიერთობაშია ძველ ხელნაწერთა ვარიანტები, რა და რა რედაქცია მოგვეპოვება და სხვა. მხოლოდ ასეთი წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ შეიძლება მართებულად დაისვას და სათანადოდ გადაიჭრას ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნიკო მარს იმთავითვე კარგად ჰქონდა შეგნებული ქართული ბიბლიის აკადემიური გამოცემის აუცილებლობა, რაც მტკიცე საფუძველს მოგვცემდა გენეტური საკითხების პოზიტიურად გადაწყვეტისათვის.

1909 მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა პროფ. ვ. ბენეშევიჩის რედაქციით X საუკუნის ხელნაწერების მიხედვით „სახარება ოთხთავი (მათესი და მარკოზისა)". ეს გამოცემა შესრულებულია ნიკო მარის ინიციატივითა და ხელისშეწყობით.

ჯერ კიდევ ათონზე ყოფნისას (1898 წ.) ნ. მარმა ამოიწერა ზოგი ადგილი ეზდრადან, მთლად გადმოწერა ორი პატარა წიგნი (რუთისი და იონასი) და გადაიღო ფოტოპირები ნეემიასი.

1910 წელს მისი თაოსნობით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადაუწყვეტია ტექსტის მეცნიერული გამოცემა (ფოტოპირები ინახებოდა სააზიო მუზეუმში). როგორც ა. შანიძე გვაუწყებს, შემდგარა კომისია ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად, რომლის ხელმძღვანელი იყო ნიკო მარი, ხოლო წევრები: ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე. სალექსიკონო მასა-

ლების ამოსაკრებად ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო ათონის ბიბლია და ამასთან დაკავშირებით მისი გამოცემის საკითხიც დაისვა. საამისოდ მოწვეულ კრებაზე (1913 წლის შემოდგომაზე), — განაგრძობს ა. შანიძე, — პირველი სამი წიგნი მოსესი ასე განაწილდა კომისიის წევრებს შორის სასტამბოდ დამზადებისათვის: დაბადებისა — ი. ჯავახიშვილს, გამოსლვათა — ა. შანიძეს და ლევიტელთა — ი. ყიფშიძეს. გამოცემის დასაჩქარებლად მოზრდილი წიგნები (მაგ., დაბადებისა, გამოსლვათა და სხვ.) შეიძლებოდა ცალ-ცალკე გამოსულიყო. განზრახული იყო, დაკლებული ადგილები მცხეთური ხელნაწერების ტექსტით შეგვევსო; შევუდექი კიდეც გადმოწერას და სასტამბოდ დამზადებას ჩემი ხვედრისას, რომელიც აკადემიის სტამბას გადაეცა ასაწყობად; ომიანობის გამო შექმნილ პირობებში წიგნის აწყობა გაჭიანურდა, შემდეგ ბეჭდვა შეწყდა, რადგან 1917 წლის დიდმა ამბებმა უსწრო და მე თბილისს გადმოვედი სამუშაოდო", — დასძენს ჩვენი მეცნიერი.

1910 წელს მარის მეთაურობით დაწყებული საქმე ჩვენს დროში გვირგვინდება: ნიკო მარის ყოფილმა მოწაფემ, დღეს გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა აკაკი შანიძემ, განაახლა ბიბლიის გამოცემა და დღესდღეობით საზოგადოებას მიაწოდა სანიმუშოდ გამოცემული რამდენიმე ნაკვეთი ძველი აღთქმის წიგნებისა. 1947 წელს გამოსული I ტომის I ნაკვეთის წინასიტყვაობაში პროფესორი ა. შანიძე წერს: „ამ ნაკვეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათის წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოშკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის. რაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, არ შემიძლია მაინც დიდი გულისტკივილით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი ნიკო (გარდ. 1934 წ.) და ორი მისი თანამშრომელი: დიდი ივანე (გარდ. 1940 წ.) და ნიჭიერი იოსებ ი, რომელიც ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს (გარდ. 1919 წ.). ამ სტრიქონების დამწერს ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმე".

ზემოთ ჩვენი საუბრის საგანი იყო ძველი ქართული თარგმნითი ლიტერატურული ძეგლების (უმთავრესად აგიოგრაფიული თხზულებების) მარისეული პუბლიკაციები და გამოკვლევები.

ამათ გვერდით ნიკო მარის საკვლევაძიებო ფარგალში თვალ-

საჩინო ადგილი უკავია ძველი ქართული ორიგინალური (აგიოგრაფიული) ძეგლების შესწავლასა და გამომზეურებას.

გვირგვინი ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურისა გახლავთ X საუკუნის უბრწყინვალესი ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომლის აკადემიური გამოცემა შედის ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობის ოქროს ფონდში.

ერთხმად აღიარებულია, რომ ეს პუბლიკაცია-გამოკვლევა მარის გენიალური ფილოლოგიური კვლევის უეჭველი დადასტურებაა.

მარისეული გამოცემა ფილოლოგიური ძიების მიუწვდომელი ნიმუშია და დღემდის ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას, როგორც ჰეშმარიტად კლასიკური მეცნიერული ქმნილება.

ძეგლი აღმოჩენილია 1902 წელს.

ნიკო მარმა დიდი შემამზადებელი მუშაობა გასწია, რათა ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული კლასიკური პროზის, ეს შედევრი სრულყოფილად მიეწოდებინა მკითხველი საზოგადოებრიობისათვის და გაერკვია ძირეული ხასიათის კულტურულ-ისტორიული პრობლემები, რომლებიც აღიძვრის ქართული ენის ამ უდიდეს ძეგლთან დაკავშირებით. ტექსტის მეცნიერი-გამომცემელი საგანგებოდ მიემგზავრება ტაო-კლარჯეთში და გულდასმით სწავლობს იმ გარემოს, სადაც იშვა მერჩულეს უკვდავი ქმნილება, აკვირდება და აღწერს იმ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და სავანეებს, რომლებიც გაფანტულია სამხრეთ საქართველოს, ამ ძირეულად ქართული ქვეყნის, ტერიტორიაზე და გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე უშუალოდ ეცნობა რეალიებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა ლიტერატურული ძეგლის შეცნობას ვნებას მოუტანდა.

შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობამ მეცნიერებას შესძინა ძვირფასი ცნობები ძველი ქართული ხელოვნების შესახებ, ტაძრების დეტალური აღწერილობანი, ქართული ენისა და პალეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო წარწერები, ისტორიული ცნობები, ქართული არქაული ეთნოგრაფიის დამახასიათებელი ნიშნები, გადაშენებული მესხური მეტყველების რელიქტები და სხვა და სხვა.

1911 წელს დღის სინათლეზე გამოდის ზემოხსენებული ძეგლი, ვეებერთელა წიგნი, რომელიც შეიცავს: მეცნიერულად დადგენილ ტექსტს, რუსულ სიტყვასიტყვითს თარგმანს, გამოკვლევას, ლექსიკონს და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურს.

მარის ამ პუბლიკაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

მართალია, ნიკო მარს ქართული სასულიერო მწერლობის სისტემატური ისტორია არ დაუწერია, მაგრამ ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა მის მიერ „სხარტად და მოკლედ მოხაზული სურათი“ XVII—XVIII საუკუნეთა საეკლესიო მწერლობისა, რომელიც ავტორმა 1906 წელს მოხსენების სახით წარუდგინა რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ კომისიას, სადაც ირჩეოდა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. „აქ მკვეთრად და მკაფიოდ გარკვეულია გზები და ხასიათი იმ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში აღნიშნულ საუკუნეებში“ (კ. კეკელიძე).

ნიკო მარის დამსახურებაა მიეწერება აგრეთვე ქართული ფილოსოფიური მწერლობის კარდინალური საკითხების შესწავლა. ამ დარგს „მან პირველმა მიაქცია... ყურადღება, გვიჩვენა გზები ამ მწერლობის შემოსვლისა ჩვენში და როლი ნეოპლატონიზმისა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის კლასიკურად გამოკვეთილი ნარკვევი იმ პირთა და თხზულებათა შესახებ, რომელნიც გზას უკაფავდნენ ჩვენში ფილოსოფიურ აზროვნებას“ (კ. კეკელიძე). ამ გამოკვლევის სათაურია: „იოანე პეტრიწონელი, ქართველი ნეოპლატონიკოსი XI—XII საუკუნეებისა“ (დაიბეჭდა რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების ორგანოში 1909 წელს).

ამ ნაშრომში ნ. მარი ამბობს, პეტრიწის ფილოსოფიურ ნაწერებს „ახლოს არ გაკარებიან ქართული ლიტერატურის მკვლევარნი“ და ახასიათებს XI—XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას. ეს ნააზრევი „იშვიათი ნიმუშია მარის საკვირველი მეცნიერული ინტუიციისა“ (პროფ. შალვა ნუცუბიძე).

ნ. მარმა ნათელი გახადა პეტრიწის არაჩვეულებრივი ერუდიცია, ანტიკური მწერლობისა და ფილოსოფიის ცოდნა. აი რას ამბობს იგი: „პროკლესათვის კომენტარების შემდგენი იოანე მუდმივ

ტრიალებს არა მარტო ნეოპლატონიკოსთა ქვეყანაში, არამედ ანტიკური პოეტებისა და ფილოსოფოსების ქვეყანაშიც. ჰესიოდე და ჰომეროსი მას მასალას აწვდიან. ჰიპოკრატე, ემპიდოკლე, პარმენიდე ხშირად არიან მისთვის ავტორიტეტები. ციტირებულია ხშირად პლატონი, რომელსაც იგი ადიდებს ეპითეტებით — „დიადი", „ღვთაებრივი". სოკრატეს სახელი თითქმის არ შორდება ძეგლის არც ერთ გვერდს, სადაც მოყვანილია მრავალი ციტატი პლატონის ნაშრომებიდან".

ნ. მარი, „რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო პეტრიწის საჯაროვნო საქმიანობის გამორკვევას" (შალვა ნუცუბიძე), ასე აფასებს ქართველ მეცნიერთა მუშაობას ამ ეპოქაში:

„XI და XII საუკუნეებში ქართველები ფილოსოფიის სფეროში იმავე საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც აინტერესებდათ მაშინდელ საქრისტიანო მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, იმ განსხვავებით სხვებისაგან, მაგალითად, ევროპელებისაგან, რომ... ქართველები სხვებზე ადრე გამოეხმაურებოდნენ ხოლმე იმდროინდელი ფილოსოფიური აზრის უახლეს მიმდინარეობებს; ამავე დროს, ისინი აღჭურვილი იყვნენ იმ დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის უნარით და მუშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებზე".

კარგად არის ნათქვამი.

ამრიგად, საგნის სპეციალისტები აღიარებენ, რომ „ნიკო მარის უდიდეს დამსახურებას შეადგენს, რომ მან პირველად გააცხოველა ყურადღება XI—XII ს.ს. ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის მიმართ, და იმ მასალის ფარგლებში, რაც მაშინ მარის განკარგულებაში იყო, მან მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გააშუქა ყველა საკითხი" (პროფ. მ. გოგიბერიძე).

ჩვენ გავეცანით ნიკო მარის ნააზრევს ქართული სასულიერო მწერლობის მეცნიერული შესწავლის დარგში.

ახლა შევეხოთ ჩვენი მკვლევრის დამსახურებას ქართული საერო მწერლობის მეცნიერული შესწავლის დარგში.

ქართული მწერლობის ისტორიის დიდი ავტორიტეტის — პროფ. კ. კეკელიძის მოწმობით, მარის მიერ „კლასიკური ხანის საერო ლიტერატურა მთელი თავისი მოცულობით და სიგრძე-სიგა-

ჩიო იქნა შესწავლილი... არ დარჩენილა არც ერთი ძეგლი ამ ხანისა, რომელიც არ გამსდარიყო სპეციალური საგანი მისი ისტორიულ-ლიტერატურული შტუდიებისა".

ცნობილი ენათმეცნიერი და რუსთველოლოგი პროფ. ეუკ. ბერიძე ასე ახასიათებს მარის უმთავრესად ლიტერატურათმცოდნეობით შტუდიებს: „ნ. მარი არ ყოფილა უბრალო, ასე ვთქვათ, რიგითი მოშუშავე: ყველგან საკითხის იშვიათი დასმა, ყველგან დაუნჯებულად მოცემული, მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი, მარისებური სიღრმე, მარისებური სიდიადე. ეს ხარისხით. რაც შეეხება რაოდენობას, — მთელი თაობაა საჭირო, ნ. მარის ეს მემკვიდრეობა რომ სათანადოდ დაამუშაოს და აითვისოს".

ქართული და სპარსულ-არაბული მწერლობის ურთიერთობა, „ვეფხისტყაოსანი", „ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი", „თამარიანი", „აბდულმესიანი", „შაჰნამე", „რუსუდანიანი", — აი წრე საკითხებისა, რომლებსაც დიდმა მეცნიერმა უძღვნა ფუძემდებელი მნიშვნელობის გამოკვლევები.

დავიწყოთ მარის რუსთველოლოგიური ნაშრომებით.

ნიკო მარის რუსთველოლოგიური ნააზრევი მოიცავს: ა) პოემის სიუჟეტის პრობლემას, ბ) პოემის იდეურ შინაარსს, გ) ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურ ანალიზს.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულში დაობდნენ იმის თაობაზე, „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი ქართულია თუ სპარსული? ნიკო ნიკოლაძე „ნოვოე ობოზრენიეში" სრულიად კატეგორიულად წერდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა საკითხს — ფაბული პოემისა საიდანაა მოსული. განა „ფაუსტის" ფაბულა გოეთეს ეკუთვნის, ანდა „რომეო და ჯულიეტას" ფაბულა შექსპირის მოგონილია? ამიტომ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის საკითხი, სულ ერთია, რუსთაველს ჩრდილი არ ადგასო!

ერთიოდე წლის შემდეგ (1890 წელს) ქართულ ჟურნალ „თეატრში" გამოქვეყნდა სრულიად ახალგაზრდა ნიკო მარის წერილი „ვეფხისტყაოსნის" გარშემო. ავტორი ამბობს, რომ ბრიტანეთის მუზეუმში უნდა ინახებოდეს „ვეფხისტყაოსნის" სპარსული პროტოტიპი „შარიარ-ნამე"; თუ რა ცვლილება განიცადა რუსთა-

ველის ხელში სპარსულმა ამბავმა, ეს მაშინ გაირკვევა, როცა სპარსული მასალა ხელთ გვექნებაო.

ასეთი პროტოტიპი ბრიტანეთის მუზეუმში არ აღმოჩნდა.

„ნიკო მარს ეგ თქმა არ აპატიეს, და შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი რამ, მართლაც უცხო და მარგალიტი თქვა შოთას შესახებ, ყველაფერს ივიწყებდნენ და დიდი მეცნიერის მხოლოდ ამ პირველთქმას, ახალგაზრდობის პირველთქმას იგონებდნენ“ (ვუკოლ ბერიძე).

თუ დავივიწყებთ და გამოვრიცხავთ ჰაბუკი მარის უეჭველად ნაჩქარევ დასკვნას პოემის სიუჟეტის გარშემო და თვალს გადავავლებთ მომდევნო ხანების მარისეულ ბრწყინვალე გამოკვლევებს, დავრწმუნდებით, რომ არც ერთ მკვლევარს (არც წინათ და არც ამჟამად) არ გაუკეთებია რუსთველოლოგიაში იმდენი, რამდენიც გააკეთა ნიკო მარმა.

რუსთველოლოგია, როგორც გარკვეული ქართველოლოგიური დისციპლინა, სამეცნიერო ნიადაგზე სწორედ მარმა დააყენა. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობის ყურადღება რუსთველმა მიიზიდა უპირატესად ნ. მარის შრომების მეოხებით.

ასეთი ნაყოფიერი ხანა რუსთველოლოგიაში იწყება მე-20 საუკუნის დამდეგიდან.

მოვუსმინოთ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს: „მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგიდან იწყება შოთას უკვდავი ქმნილების დინჯი და გაღრმავებული შესწავლა... პროფ. ნიკო მარიდან მოყოლებული თანამედროვე ხანამდე ეს მუშაობა არ შეწყვეტილა... „ვეფხისტყაოსნის“ გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობის წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადაულახა და ცხადჰყო ის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგოსნის უკვდავ ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მიეკუთვნოს“.

1910 წელს პეტერბურგში გამოდის ნიკო მარის წიგნი, რომ-

ლის საჭიროა: „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავლისა და დაბოლოების სტროფები, ქართული ტექსტი, რუსული თარგმანი განმარტებებით და ეტიუდით: „ქალის კულტი და რაინდობა პოემაში“.

„ეს მშვენიერი გამოკვლევა გადაუჭარბებლივ უნდა ვეფხისტყაოსნის უკვდავი მგოსნის სულისკვეთებისა და მსოფლმხედველობის საუკეთესო გამომჟღავნებლად იქნეს მიჩნეული“ (ივ. ჯავახიშვილი).

ნიკო მარის ამ ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომში („ახალი ხანა ვეფხისტყაოსნის შესწავლაში“ — საყოველთაოდ აღიარებული ფორმულირებაა სპეციალურ ლიტერატურაში) ფილოლოგიურ-ლინგვისტური მეთოდების მომარჯვებით განხილულია პოემის უმთავრესად ტექსტუალური საკითხები; ენობრივი ანალიზი აქ ჩატარებულია დიდი გონებამახვილობითა და ავტორისათვის ჩვეული გამჭრიახობით. კერძოდ, დიდი ოსტატობით გარკვეულია პატრონყმური ურთიერთობის ტერმინების — „ყმა“, „მოყმე“, „ჭაბუკი“ სოციალური შინაარსი და მნიშვნელობა რაინდულ ყოფასთან დაკავშირებით. პროლოგისა და ეპილოგის სტროფების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე მოცემულია ტექსტის დადგენის ცდა; შეტანილია შესწორებები წაკითხვებში, სტროფთა დალაგების რიგში და ყალბი ადგილების გამოკლებაში; ვრცლად განმარტებულია იშვიათი და სადავო სემანტიკის სიტყვები, მოცემულია ეტიმოლოგიები არსებული სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული დაფასებით.

ქართული ვერსიფიკაციის თვალსაზრისით ერთობ საყურადღებოა რუსთაველის შაირის საზომთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულებები.

ქართული ლექსის ისტორიაში დღემდე პირველი რითმიანი ლექსის აღმომჩენად და მკვლევრად ითვლებოდა ნიკო მარი. მან 1902 წელს იერუსალიმში აღმოაჩინა 13-სტრიქონიანი „პირველი ქართული ლექსი“, რომლის ავტორია ფილიპე. ტექსტი X საუკუნისაა. მარის დასკვნით, „ქართული ტექსტის ავტორის სახით ჩვენ წინაშეა შოთა რუსთაველის წინამორბედი ლიტერატურაში ქართული ხალხური საზომების გამოყენების თვალსაზრისით... ნა-

წარმოებში მოცემულია ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ცდა საეკლესიო პოეზიისა".

შემდგომი ხანის ძიებებმა ნათელი გახადეს, რომ ქართულ ლექსს უძველესი სათავეები აქვს. პ. ინგოროყვას მიერ დადგენილ იქნა მთელი რიგი ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები ქართული ლექსის ისტორიიდან.

დღემდის კი ნ. მარის მონაპოვარი „ითვლებოდა უდიდეს აღმოჩენად და ქართული წყობილი სიტყვის ისტორიის ქრონოლოგიური ფარგლების დიდ გაფართოებად" (პავლე ინგოროყვა).

ნიკო მარის ზემოხსენებული რუსთველოლოგიური ნაშრომი. გარდა ფილოლოგიური კვლევისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სხვა მხრივაც...

მარმა წამოაყენა ახალი მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, რომელიც საბოლოოდ წყვეტს შოთას უკვდავი პოემის ორიგინალობის პრობლემას. ამრიგად, „ვეფხისტყაოსანი" რომ სულით და ხორცით ქართული ნაწარმოებია, რომ იგი ქართული ხალხური მსოფლმხედველობის უკუფენაა, ეს თეზისი სრული აკადემიური სიღრმითა და მიუდგომლობით დაამტკიცა მარმა ზემოხსენებულ ნაშრომში. რაინდობა და ქალის კულტი — აი, რა იპყრობს ჩვენს ყურადღებას პოემაში. პირველი სპეციალური გამოკვლევა ამ პრობლემისა მარმა მოგვცა და, რაც მთავარია, როგორც ერთი ინსტიტუტი (რაინდობა-პატრონყმობა-ძმადფიცობა), ისე მეორე (ქალის კულტი), ნაწარმოებში დიდი ოსტატობითაა მარის მიერ გამოვლენილი და შეჯერებული საქართველოს XII საუკუნის ცხოვრებასთან და მასთან მტკიცედ დაკავშირებული. რაინდობა, მეცნიერის დასკვნით, „ადგილობრივი ცხოვრების ნაყოფია, მშობლიური ინსტიტუტი და არა შემოტანილი კულტურულ-სოციალური ცნება"; ქალის კულტის თაობაზე კი ასეთი დასკვნაა მიღებული: „საქართველოში — XII საუკუნის ბოლოს სათანადო პირობები იყო ლიტერატურაში ამ საინტერესო მოვლენის განვითარებისათვის". მარის ამ ტრაქტატში „პირველად გაშლილად მოცემულია ნეოპლატონიზმის კვალი ვეფხისტყაოსანში", ნეოპლატონიზმისა, რომელმაც დაამსხვრია ქართველების ვიწრო ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი კარჩაკეტილობა და შესაძლებელი გახადა საქართველოს ნიადაგზევე მომხდარიყო ორი ქვეყნის, ქრისტიანულ-მუს-

ლიმანური ქვეყნის, იდეალების შედუღება და, ქართულ წარმართობასთან ერთად — მისი გამოვლენა სინთეზური სახით.

საესებით მართალია პროფ. ვუკ. ბერიძე, როდესაც ამბობს: „ამ მხრივ გამოკვლევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: თუ შემდეგში „ვეფხისტყაოსანში“ გაფანტული რეალიების ძიება და მათი უეპველი კავშირი ჩვენი ქვეყნის სათანადო მოვლენებთან უფრო ცხადი და ნათელი შეიქნა, ამაში უთუოდ დიდი მეცნიერის (ე. ი. ნარის შ. ძ.) ამ შრომას უნდა ვუმადლოდეთ“.

ნიკო მარის წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებრიობაში. აღტაცებული რეცენზიები დაიწერა საქართველოშიც. აი, რას ამბობს კიტა აბაშიძე წერილში — „აკადემიკოსის ნ. მარრის ახალი შრომა!“: „ქართულის ლიტერატურისათვის ბ. ნ. მარრის ახალი ნაწარმოები ნამდვილად ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო მ ო ვ ლ ე ნ ა ა. ასეთი დასაბუთებული და ღრმა გამოკვლევა ვეფხისტყაოსნისა, რასაკვირველია, პირველია“. სტატიის ავტორი ურჩევს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, თარგმნოს ქართულად მარის „დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა. მას, ვისაც შეუძლია არა თუ შესწავლა, წაკითხვა ვეფხის-ტყაოსნისა, ამ შრომას გვერდს ვერ აუხვევს“.

1917 წელს დღის სინათლეზე გამოდის ნიკო მარის ახალი წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აქ ავტორი მიზნად ისახავს წარმოგვიდგინოს „ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“, გაარკვიოს რუსთაველის მსოფლმხედველობა და თარიღი პოემის დაწერისა. მარის ახალი დებულებებია: 1. რუსთაველი მე-14 საუკუნის მწერალია, 2. რუსთაველის რელიგია მუსლიმანურია.

თუ წინათ ნ. მარი ამტკიცებდა, რომ პოემაში შერწყმულია ორი მსოფლიო — ქრისტიანული და მუსლიმანური, და იგი ამ იდეოლოგიას საქართველოშივე განმტკიცებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას უკავშირებდა, ახლა ავტორი სამხრეთ საქართველოში შექმნილ ახალ სიტუაციას — მუსლიმანური კულტურის გავრცელებას — აპყრობს ყურადღებას და, რაკი ეს სიტუაცია XIII საუკუნის შემდგომ იკიდებს ფეხს, ამიტომ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღიც ამის მიხედვით არის განსაზღვრული.

ეს კონცეფცია მცდარია, დაუსაბუთებელი და საკმაო დამაჯერებლობით გაკრიტიკებული სპეციალურ ლიტერატურაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსთაველის რელიგიური შეხედულებების გარკვევაში მეცნიერთა შორის არ სუფევს ერთსულოვნება. ცნობილი რუსთველოლოგის პროფ. ვიქტორ ნოზაძის შეჯამებით, „ვეფხისტყაოსნის“ რელიგია თურმე ყოფილა: ქრისტიანული, ბიბლიურ-ქრისტიანული და ბიბლიურ-თეოლოგიური, ასტრალური, სოლარული, მზიური და პოეტური ერთად, წარმართული, წარმართულ-პაგანური, ჰელინისტურ-ელინური, ნეოპლატონური, წარმართულ-ფილოსოფიური, წარმართული სეფასიანური, დუალისტური (კეთილისა და ბოროტის ღმერთი), აბსოლუტური კეთილის რწმენა, მანიქეური, ერეტიკულ-მისტიკური, მაჰმადიანურ-მუსლიმანური, სუფისტური, არაბულ-არისტოტელებრივი, დეისტური, თეისტური, სტოიკური, თავისუფალი აზროვნებისა, ათეისტური, მატერიალისტური, პანთეისტური, მატერიალისტურ-პანთეისტური.

ამ კონცეფციებიდან ხუთი მარისეულიცაა: ქრისტიანული, ქრისტიანულ-მუსლიმანური, მუსლიმანური, ნეოპლატონური, წარმართული.

აქედან ისიც ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა რელიგიური კონცეფციის თვალსაზრისით ეგრე მარტივი არ არის და აზრთა ამდენი სხვადასხვაობა შესაძლებელია საკვირველი არც იყოს.

ნიკო მარის შეხედულებათა შემდგომი ევოლუცია ჩვენთვის საინტერესო საგანზე ასეთია: მან მალე უარყო მუსლიმანური თეორია, უდღეური აღმოჩნდა პოემის დაწერის ახალი თარიღიც და მეცნიერი საბოლოოდ დაადგა იმ თვალსაზრისს, რომ რუსთაველის გენიალური ქმნილება ქ ა რ თ უ ლ ხ ა ლ ხ უ რ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ა წ ა რ მ ო შ ო ბ ი ლ ი; იგი ქართული კულტურის უძვირფასესი ლიტერატურულ-ფილოსოფიური დოკუმენტია; პოემა ეკუთვნის თამარის ხანას, თამარისა, რომელიც ეკლესიის მიერ წმინდანად იყო შერაცხული, საერო თანამედროვეთაგან კი — მიჩნეულია მზეღმერთად, სახალხო ღვთაებად; რუსთაველი თავისუფალია რელიგიურ შეხედულებებში და უპირატესობას არც ქრისტიანობას ანიჭებს და არც მუსლიმანობას; იგი აშენებს თავის ნაწარმოებს ქართულ ხალხურ საფუძველზე და ძმადნაფიცობის წინაისტორიულ ინსტიტუტზე; „ვეფხისტყაოსნის“ წყარო საერო, წარ-

მართულია; ყოველგვარი უცხო გავლენა. ნეოპლატონიზმი თუ სხვა თეორია უარსაყოფელიაო.

ეს საბოლოოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი გატარებულია ნიკო მარის მიერ პარიზში ფრანგულ ენაზე წაკითხულ ლექციებში. (შემდეგ დაიბეჭდა წიგნიც პარიზშივე), გერმანულად დაწერილ შრომაში („ქართული ენა"), რუსულად გამოქვეყნებულ გამოკვლევებში და ქართულად დაბეჭდილ სტატიაში („ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით").

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ დამკვიდრდა რუსთაველის პოემის სათაური რუსულად. წინათ მიღებული იყო ასეთი სათაური: «Барсова кожа» ამ სახელწოდებას ნიკო მარიც მხარს უჭერდა. 1912 წელს დორპატის, ახლანდელი ტარტუს (ესტონეთის სსრ) უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული იყო „ვეფხისტყაოსნის" შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტობაში ნიჭითა და მომზადებით გამორჩეული დავით ჟღენტი, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე გამოესალმა წუთისოფელს. წრის მუშაობის აქტიური მონაწილე იყო პეტრე ჭაბუკიანიც, რომელიც დღეს ქუთაისის ცნობილი გამომქვაბულის („სათაფლია") სახელმოხვეჭილი ენთუზიასტი და მკვლევარია. გამართულა საგანგებო მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის" რუსული სახელწოდების გარშემო. პეტრე ჭაბუკიანს უმართებულოდ მიუჩნევია სახელწოდება «Барсова кожа», რომელიც დაკანონებული იყო რუსულ თარგმანში ნიკო მარის მიერ. „ბარსი" ნიშნავს ჯიქს და არა ვეფხვს, „კოჟა" კი დაუმუშავებელი ტყავია, დამუშავებულს „შკურა" ეწოდება; პოემის სახელწოდების რუსულ თარგმანში შეუსაბამობაა: მასში არ ჩანს ვეფხის ტყავის მატარებელი ადამიანი — ტარიელი, ის რაინდი და შეუდარებელი ვაჟკაცი, რომელსაც რუსულად „ვიტიაზი შეესატყვისება; ამიტომ რუსულად უნდა გავაბატონოთ სახელწოდება — „Витязь в тигровой шкуре" ასეთი ყოფილა პეტრე ჭაბუკიანის აზრთა მსვლელობა. წრის გადაწყვეტილება თუ წინადადება სასწრაფოდ აცნობეს პეტერბურგში ნიკო მარს, რომელმაც არ დააყოვნა და დავით ჟღენტს ფიცხლად მოსწერა საპასუხო წერილი. მარი იტყობინებოდა: წინადადება მისაღებია, ძალზე ნასიამოვნები ვარ. ახალ სახელწოდებას ლიტერატურაში საბოლოოდ დავამკვიდრებო.

ჯერ კიდევ ადრე, XIX საუკუნის მიწურულში, ნიკო მარმა ნაშრომში „ძველი ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენება და აყვავება“ დიდად გაზვიადებულად წარმოგვიდგინა სპარსული პოეზიის გავლენა ქართულ საერო მწერლობაზე.

გადიოდა წლები და ფართოვდებოდა ქართველოლოგიის ფარგლები, ჩნდებოდა ახალ-ახალი მასალები, მწერლობის ძეგლების მოპოვება და გამოცემა, ქართული კულტურის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა თანდათანობით ნიადაგს აცლიდა ძველ შეხედულებებს, გადასინჯვას მოითხოვდა წინანდელი კონცეფციები გავლენებისა და უცხოური ელემენტების შესახებ; ისტორიულ-ლიტერატურული პროცესები, რომლებიც ქართველთმეტყველების პირველ საფეხურებზე იმიტაციისა და გადმოღების შთაბეჭდილებას ბადებდნენ. ათეული წლების მანძილზე დაგროვილი პოზიტიური მასალების შუქზე სხვაგვარ ინტერპრეტაციასა და მიდგომას იმსახურებდნენ.

ნიკო მარი, როგორც ნოვატორი მეცნიერი, თვითონვე ამსხვრევდა თავის მოძველებულ შეხედულებებს და ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე მეცნიერებაში ყოველთვის ახალი გზების გაწვალდვას ლამობდა, არათუ უცხო გავლენების საკითხია გადასასინჯი, არამედ სრულიად უდავო თარგმანებიც სხვაგვარად უნდა შეფასდესო, ამბობდა მარი თავისი მეცნიერული შემოქმედების ზენიტში. „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში მარი აღიარებდა: „ეპვის მიტანაც სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა იმაზე, რომ ჩვენამდის მოწეული ქმნილებანი — „ტრისტანი და იზოლდა“, აგრეთვე სპარსული „ვის-ო-რამინ“, ქართული „ვისრამიანი“, რა ქვეყანაშიც დაწერილან, რა საზოგადოებისათვის თარგმნილან, იმ ქვეყნის საზოგადოებრივ წესწყობილებაზე თუ არა, გაბატონებულ შეგნებაზე შეთანხმებული გახლავან და თითო მათგანის შემოქმედი სული, თუნდაც თარგმანი იყოს, შესაფერი ქვეყნიერების ღვიძლი შვილია; მასში უსათუოდ ვიპოვით ამა თუ იმ ადგილობრივ ხაზს, და ამ უკანასკნელის შეთხზვის, მოკაზმვის თანამედროვე აზროვნებას, მისი საზოგადოების დასურათოვნებას...“

ლექციების ერთ-ერთ კურსში იგი სრულიად კატეგორიულად ამბობს: „ოთხტაეპოვანი ლექსის ხალხური საზომები“, რომლებმაც „მიუწვდომელი ვირტუოზობით თავისი განვითარება ჰპოვა შო-

თა რუსთაველის ქმნილებაში... უთუოდ უკავშირდებიან თავის ხალხურ წიაღს და არა სპარსული პოეზიის ნორმებს, სადაც, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული ძეგლების მიხედვით ეს საზომები უფრო გვიან ჩნდებიან".

შინაგანი ეროვნული შემოქმედებითი ძალების გამომჟღავნება და უცხოური კულტურული გავლენების შეზღუდვით გათვალისწინება წითელი ზოლივით გასდევს ნ. მარის ბოლოდროინდელ ნაშრომებს.

იგონებს რა ძველი პერიოდის გამოკვლევებს, სადაც გადაჭარბებითაა შეფასებული უცხოური ლიტერატურის გავლენები, მეცნიერი დაასკვნის: „ჩემი თეორია დაძველდა, იგი, ვფიქრობ, საჭიროებს გადასინჯვას და შევსებას. მისი ცალმხრივობა და შევსების აუცილებლობა ადამიანს განსაკუთრებით ადვილად შეეძლო შეემჩნია გარედან, მაგრამ ქართველოლოგიის განვითარების გზა ჩვენ წარგვმართავდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ამ საკითხის დამუშავების საქმეში გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ".

დამახასიათებელია ავტორის შემდეგი სიტყვებიც: „ლიტერატურულ მშენებლობას საქართველოში ჩვენ მაშინ, ბუნებრივია, ვხედავდით მხოლოდ ფასადიდან, რომელიც მიპყრობილი იყო გარეშე სამყაროსადმი, დასავლეთით — ბიზანტიური, აღმოსავლეთით — ირანული ან მუსლიმანური სამყაროსადმი. არ იყო არც საყრდენი, არც მისწრაფება შეგვეღწია ფასადის იქით... ვერ მივუახლოვდით და ვერ შევეხეთ ქართულ ნიადაგს".

ეს იყო იმ დროს, როცა ქართული კულტურის ღრმა მეცნიერული შესწავლა ის-იყო იწყებოდა, ჯერ სად იყო გამოვლენილი ჩვენი მწერლობის პირველხარისხოვანი ძეგლები, ბურუსით იყო მოცული მრავალი ძირითადი მნიშვნელობის პრობლემა. და აი, მეცნიერი გვეუბნება, რომ ქართველოლოგიის იმ პირველ ეტაპზე გარკვევით ქართული კულტურის მხოლოდ „ფასადი ჩანდა", ჩანდა ის, რაც ზედაპირულია: ბერძნული თუ ირანული კულტურული სამყაროდან მომდინარე გავლენები. არ გვეთქვა ეს მაშინ? არ შეიძლებოდა დაგვემალა და მიგვეჩქმალა, რადგან არც დასამალია და არც სააუგო ცივილიზებული ერების მიერ შემოტანილი კულტურული ღირებულებანი.

ბრალი დავდოთ მეცნიერს იმაში, რატომ არ ლაპარაკობდა ჯერ

კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართული კულტურის ეროვნულ ძირებზე ისე მკვეთრად და მკაფიოდ, როგორც უცხოურ შემოქმედებითს ძალებზე? მეცნიერი ამაზე გვიპასუხებს: ეს იქნებოდა იმ დროისათვის უნიადაგო და უსაბუთო მსჯელობა. შემდეგ კი, როცა უმთავრესად იმავე მეცნიერის მიერ გამოვლინდა და გამომზეურდა ახალ-ახალი წყაროები, აღმოჩნდა უძვირფასესი ლიტერატურული ძეგლები, ქართული კულტურის ორიგინალობის მტკიცებას უფრო მტკიცე საფუძველი შეექმნა, ვიდრე ჩვენი სინამდვილის შესწავლის წინა ხანებში. ახლა უკვე შესაძლებელი გახდა, ფარდა აგვეხადა იმ საგანძურისათვის, რომელიც, მარის მეტაფორული თქმით, ქართული კულტურის „ფასადის“ მიღმა იყო დაბუდებული. სწორედ ეს გახლავთ გზა, რომლითაც ქართველოლოგია, იმავე მარის ფორმულირებით, „გარდაუვალი თანდათანობით“ წარიმართა.

აქ საჭიროა გავეცნოთ ნიკო მარის მიერ პარიზში წაკითხული ლექციებიდან ერთ ვრცელ ამონაწერს, რომელიც ძალიან საყურადღებოა (დაიბეჭდა პარიზშივე, 1928 წელს, წიგნში: „La langue géorgienne“);

„ქართული მწერლობის შესახებ დროთა განმავლობაში შემუშავდა თეორია, რომლის მიხედვითაც ეს მწერლობა და საერთოდ კულტურა დაიბადა და განვითარდა უცხო გავლენის ქვეშ. სახელდობრ: ქართული სასულიერო კულტურა მოდიოდა ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთი, სირია, საბერძნეთი და ქრისტიანული არაბეთი), ხოლო საერო — ირანული და მაჰმადიანური ქვეყნებიდან, განსაკუთრებით, მუსლიმანური სპარსეთიდან.

ეს თეორია გადმოღებისა და უცხო წარმომშობი ძალებისა დაინგრა. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული ლიტერატურის უდიდესი პრობლემა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“. ეს გახლავთ ქრისტიანული საქართველოს უაღრესი აყვავების დროს მეტეორივით გამოჩენილი პოემა, რომელსაც დღემდე მტკიცე და ურყევი ადგილი უჭირავს ქართული პოეზიის ზენიტზე... ეს თხზულება მოდის თამარის დროიდან, თამარისა, რომელიც, გადმოგვცემენ, წმინდანთა შორის არის აღრიცხული ეკლესიის მიერ, ხოლო ხალხის მიერ — ღვთაებად დასახული და მზედ გამოცხადებული. ნაწარმოების ენა შეუდარებელი ქართულია დღე-

მდე დაუძლეველი ღრმა ხალხური თავისებურებათა მომხიბლავობით. თავისი თხზულების არქიტექტურას შოთა აგებს ქართულ ხალხურ ბაზაზე. ძმობის პრეისტორიულ ინსტიტუტზე. თხზულება წარმოადგენს ძმადგაფიცული ერების შესხმა-მოთხრობას და რომანტიკული სიყვარულის კონცეფციას, რომელსაც არსად ბადალი არ მოეპოვება გარდა პროვანსის ტრუბადურებისა. ყოველგვარი ცდა ამ ნაწარმოების უცხოურიდან გადმოღებისა ამაოა. ამაო იქნებოდა აგრეთვე ცდა, თუ მოვინდომებთ პოეტის შთაგონების დაკავშირებას საქართველოში მეტად გავრცელებულ მადონას კულტთან. ან მარტოოდენ რელიგიურ წრეებში ნეოპლატონიზმის ძლიერ განვითარებასთან.

არის სხვა უფრო ღრმა წყარო, საიდანაც ნაწარმოები ისხამდა ხორცს: იგი საეროა, წარმავალი.

კი, მაგრამ, რა იყო მიზეზი, რომ ჩვენ ასე ცალმხრივად ვუდგებოდით ისეთ ძირითად პრობლემებს, როგორიცაა ქართული მწერლობა და საერთოდ კულტურა? ის, რომ ჩვენ ვგრძნობთ უცხოეთის კულტურათა ოდნავ გამოკრთომასაც კი, თუ მათ გავლენა იქონიეს ქართულ კულტურაზე და არ ვიცნობთ (არ ვცნობთ) ძალებს, რომლებიც მოდიოდნენ თვით საქართველოდან. ჩვენ არ ვიცნობთ ქართულს თავის დამოუკიდებელ ფორმაციაში და მისი გაცნობა კი გვავალებს, გადავათვალიეროთ, რევიზია გავუკეთოთ სესხების თეორიას, რადგან ზოგი რამ, რაც წინათ ნასესხები გვეგონა,... უკვე ნასესხები აღარ არის".

საფრანგეთის მეცნიერული საზოგადოებრიობის საყურადღებოდ ფრანგულად გამოთქმული ეს აზრი აკადემიკოსმა ერთი წლის შემდეგ გერმანიის მეცნიერული საზოგადოებრიობის საყურადღებოდ გერმანულად გაიმეორა („Die georgische Sprache", 1929).

ჩვენი წიგნის ამ ნაწილს დავამთავრებთ ცნობილი რუსთველოლოგის პროფ. ვუკ. ბერიძის სამართლიანი სიტყვებით: „განა შეიძლება ამ ნაშრომის უგულებელყოფა? არა! სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს უდიდესი უსამართლობა იქნება მარის მიმართ, რომელმაც, გადაჭრით უნდა ითქვას, ყველაზე მეტი დადებითი გააკეთა „ვეფხისტყაოსნისათვის".

ნიკო მარი იკვლევდა ქართული კლასიკური მწერლობის ისეთ ძეგლებსაც, როგორიცაა „ვისრამიანი" და „ამირანდარეჯანიანი".

„ვისრამიანისა“ და ანალოგიური სპარსული პოემის ტექსტუალური შედარების საფუძველზე ჯერ კიდევ სტუდენტი მარი ასაბუთებდა ქართული ტექსტის სპარსულიდან მომდინარეობას. მან დაახასიათა ქართული ტექსტის თავისებურებანი და მიუთითა იმ გადახვევებზე, რომლებიც ახასიათებს „ვისრამიანს“. უკანასკნელი ხანის საფუძვლიანი გამოკვლევის (ალ. გვახარია, მ. თოდუა) მიხედვით ირკვევა, რომ მარის დასკვნები „სრულიად ასახავენ საქმის პეშმარიტ ვითარებას“.

უფრო რთულია „ამირანდარეჯანიანის“ პრობლემა. მარის გამოკვლევის თანახმად, XII საუკუნის ქართული სარაინდო რომანი უნდა ყოფილიყო უცნობი სპარსული ნაწარმოების თარგმანი. შემდეგ მარმა აღმოაჩინა ბაგრატ მუხრანბატონის პირდაპირი ცნობა იმის თაობაზე, რომ ქართული რომანი წარმოადგენს სპარსულ საგმირო-საფალავნო მოთხრობის, „ყასაი ჰამზას“, „მცირედი რაიმე ნაწილის“ თარგმანს. საგნის სპეციალისტებმა ამის შემდეგ ერთხმად გაიზიარეს მარის თვალსაზრისი. შემდეგში საკითხს საგანგებოდ შეეხო პროფ. ალ. ბარამიძე, რომლის დასკვნით, „ყასაი ჰამზა“ არ შეიძლება იყოს „ამირანდარეჯანიანის“ უშუალო დედანი. ბარამიძისეული კვლევა მიჩნეულ იქნა „მეორე ახალ პერიოდად ამირანდარეჯანიანის კვლევის ისტორიაში აკად. ნ. მარის შემდეგ“ (ივ. ჯავახიშვილი). ამჟამად ქართული სარაინდო რომანის პრობლემას ეხებიან ინგლისელი მეცნიერები დ. ლანგი და გ. მერედიტ-ოუენსი (ჩამოთქმულია შეხედულებები სტივენსონის მიერ რომანის ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით. თარგმანი გამოვიდა 1958 წელს რ. სტივენსონის შესავალი წერილისა და შენიშვნების თანდართვით). ლანგი და მერედიტ-ოუენსი დიდ ანგარიშს უწევენ ბაგრატ მუხრანბატონის ცნობას და აღნიშნავენ, რომ არც მარს და არც ვინმე სხვას ყურადღებით არ გამოუკვლევია ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება ჰამზას რომანის სრული ტექსტი, გადმოთარგმნილი სპარსულიდან მოგვიანო ხანაშიო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ახლად აღმოჩენილი ქართული ტექსტი დღემდის უცნობი იყო ქართველი სპეციალისტებისათვის.

ქართული პოეზიის ისტორიაში ბრწყინავენ უდიდესი მეხოტბე მწერლების — ჩახრუხაძისა და შავთელის სახელები. ჩახრუხაძე

ქებულია, როგორც მაღალი კულტურის მქონე შემოქმედი, რიტორი და ბრძენი. შავთელს უწოდებდნენ „ფილოსოფოსს და რიტორს“, „მართალ მესილოგიზმეს“, „მოძღვრებით ბრწყინვალეს“. „თამარიანი“ და „აბდულმესია“ ქართული კლასიკური პოეზიის ნამდვილი შედევრებია.

ქართველი მეხოტბეების პოეტური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია ნიკო მარის სახელთან.

აღსანიშნავია, რომ ქართული სახოტბო პოეზიის ძეგლთა გამოცემა ერთი ურთულესი პრობლემათაგანია ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში. მაგალითად, „თამარიანის“ ტექსტი ერთობ დეფორმირებულია და არც ერთი ნუსხა (თოთხმეტამდე) XVII საუკუნეზე ადრინდელი არ არის. ამ ნუსხების შედარებით-კრიტიკული შესწავლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

შეიძლება ამ გარემოებითაც აიხსნებოდეს, რომ ზოგიერთი ცნობილი მოღვაწე ჩახრუხაძის პოეტურ შემოქმედებას უარყოფით შეფასებას აძლევდა. ილია ჭავჭავაძე, მაგალითად, ჩახრუხაძეს არ მიიჩნევდა დიდ შემოქმედად.

სრულიად მართალი იყო პეტრე უმიკაშვილი, როდესაც ი. ჭავჭავაძისავე „ივერიაში“ აცხადებდა: „სანამდისინ კარგა არ გაისინჯებოდეს ტექსტი (შავთელისა და ჩახრუხაძის ნაწარმოებებისა), სანამ განმარტება არ ექნება ამ ნაწერებსა, მანამდის ლექსების რაჭარუხის მეტს ვერას გამორჩება მკითხველი: ვერც აზრს გამოარკვევს ნაწილ-ნაწილად, ვერც მათ შეკავშირებას ერთი-ერთმანეთთან, ვერც დედააზრს მრთელის თხზულებისას. ამიტომ ამ ორის მწერლის ნაწერის გამოცემისათვის ჯერ ხელნაწერების საკმაოდ მოპოვება და ტექსტის აღდგენაა საჭირო და მერე კარგი შემუშავება განმარტებისა ძველის მწერლობის მცოდნე კაცებისაგან“. ამრიგად, ჩახრუხაძე-შავთელის ტექსტთა დამახინჯება უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზად, რომ ეს ორი პოემა ჯეროვნად არ იყო დაფასებული ჩვენს სამწერლო საზოგადოებრიობაში.

პირველი ნიკო მარია, რომელმაც ფარდა ახადა ქართველი მეხოტბეების „საიდუმლოებას“ და ღრმა ფილოლოგიური ძიების შედეგად რამდენადმე გამართა ტექსტი, კრიტიკულ-შედარებითი შესწავლის გზით ერთგვარი მთლიანობა მისცა საანალიზო პოემებს და სამუდამოდ დაასამარა ის ყალბი შეხედულება, რომელიც გამეფე-

ბული იყო XIX საუკუნეში ჩვენი მეხოტბეების პოეტურ ღირსებათა თაობაზე. ნიკო მარმა დიდტანიან მონოგრაფიაში — „ძველ-ქართველი მეხოტბეები“, რომელიც გამოვიდა 1902 წელს, სწორად განსვრიტა ამ თხზულებების სტრუქტურულ-კომპოზიციური სახე, დადგინდა ოდების სტრუქტურული ნიშნები, აღადგინა მათი თავდაპირველი აღნაგობა, გაწმინდა ისინი ყალბი ტაეპებისაგან და სხვ. ნ. მარის „აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თამარიანის სახოტბო ლექსები დაწერილია ერთი, წინასწარშემუშავებული გეგმით, რომ თითოეულ ოდას აქვს თავისი შესავალი, შინაარსი, დასასრული და ერთი უცვლელი გარეგანი რითმა. ეს აღმოჩენა ნ. მარის ნაშრომის „რაციონალური მარცვალია“, რომელიც თანამედროვე ფილოლოგიამ უნდა მიიღოსო“, — ამბობს მეხოტბეების ახალი მკვლევარი ი. ლოლაშვილი, რომლის ნაშრომი უნდა ჩაითვალოს ქართული ფილოლოგიის თანამედროვე ვითარების მიხედვით პრობლემის გადაწყვეტის უახლეს ცდად.

ნიკო მარი მკვეთრად დაუპირისპირდა ტრადიციულ შეხედულებას, როდესაც აღნიშნა „თამარიანის“ მხატვრულ-იდეური ღირსებები: „თამარის შესხმათა სიმშვენიერე მდგომარეობს მათს არაჩვეულებრივ მხატვრულ ფორმაში, მეტყველების ბუნებრივ სიზუსტეში, ლექსების მომჯადოებელ მუსიკალობასა და ყოველთვის უძრახველი, ხშირად ვირტუოზულად უბადლო და მდიდარი რითმების სიუხვეში, რაც გვაიძულებს, ზოგჯერ აუცილებელი ხელოვნურობა დავივიწყოთ.. მათი სახით ჩვენ გვაქვს უბადლო წყარო XII საუკუნის თავისებური ქართული კულტურის შესასწავლად, არა მარტო ლიტერატურული ფაქტების ცნობებით, რომლებიც მხოლოდ მას მოეპოვება, არამედ საერთო შთაბეჭდილებითაც, რასაც ვღებულობთ მისი წაკითხვის დროს XII საუკუნის ქართული საზოგადოების დახვეწილი და მრავალმხრივი განსწავლულობის სასარგებლოდ... უფრო მეტიც, ოდებში შემონახულია ქართული სახელმწიფოებრივი აზრის განვითარების ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი. რასაკვირველია, ლექსები შეთხზულია თამარის პიროვნების სადიდებლად და საქებრად, მაგრამ ეს პიროვნული შესხმა ძლიერ გაჟღენთილია ნათელი, საზეიმო პატრიოტული აღგზნებით. მაგრამ ეს არ არის მოგონილი, ტენდენციური პატრიოტიზმი, შეტანილი თხზულებაში მეხოტბის ან მასთან სოლი-

დარულად განწყობილი წრის ადამიანთა პირადი მოსაზრებით; მთელი ეპოქა, როდესაც ცხოვრობდა პოეტი, წარმოადგენდა ქართული ნაციონალური სახელმწიფოებრივი და სამხედრო დიდების უმაღლეს სასიცოცხლო განვითარებას და პოეტი თავისდაუნებურად გადმოგვცემს მოწინავე ქართული საზოგადოებრიობის თანამედროვე წყობილებას".

„თამარიანის" სტრუქტურის მარისეული კონცეფცია ზოგად ხაზებში გაიზიარეს ე. თაყაიშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ.

პ. ინგოროყვას აზრით, „ნიკო მარმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ჩახრუხაძის შესწავლას იმით, რომ მან შეძლო დაედგინა საზოგადო ხაზებში „თამარიანის" ტექსტი, რომელიც საოცარის დაბახინჯებით იყო მოღწეული. ნიკო მარმა პირდაპირ გენიალურის გონებამახვილობით აღმოაჩინა, რომ „თამარიანი" არის ცალკე ლექსების კრება, და ამასთან მიაგნო ძირეულ რეალურ საზომს (გარეგანი რითმების ერთგვაროვნება), რომლის მიხედვით მტკიცედ ირკვევა ცალკე ნაწარმოებთა ზოგადი ფარგლები".

ასეთივე ჩაღრმავებული ძიების საგნად გაიხადა ნიკო მარმა შავთელის „აბდულმესიანი".

არ შეიძლება ითქვას, რომ მარის კვლევა-ძიებიდან ამჟამად ყველაფერი მისაღები იყოს. ბევრი საკითხი შემდეგ დაზუსტდა, ზოგიც ახლებურად გაშუქდა, ახალი ხელნაწერებიც იქნა მოპოვებული და, ამრიგად, მარის მიერ საფუძველჩაყრილი ძიება სახოტბო პოეზიის დარგში უფრო მაღალ საფუძველზე ავიდა.

ნიკო მარის მონოგრაფიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო ანოტირებული რეცენზია უძღვნა ახალ გამოკვლევას. იგი აღნიშნავდა, რომ მარმა შეისწავლა და აღადგინა ორი მეტად ძნელი ავტორის თხზულებანი; ბოლო დრომდის ეს ნაწარმოებები დამახინჯებულად იყო გამოქვეყნებული, ხოლო ნიკო მარის კრიტიკული გამოცემის შემდეგ მეხოტბეების შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარაო. კ. კეკელიძის სიტყვით, მარმა „შეძლებისამებრ აღადგინა ნამდვილი სახე ოდებისა, განმარტა მრავალი გაუგებარი ადგილი, გაითვალისწინა იდეოლოგია და მსოფლ-

მხედველობა მეხოტბეებისა. აგრეთვე ტექნიკა მათი ლექსისა", გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა რამდენიმე რეცენზია და ნარკვევი. დ. კარიჭაშვილის რეცენზიაში ნათქვამია: „რაც ვერ ქმნა ვერავინ მეცხრამეტე საუკუნეში, ის გააკეთა ბ-ნმა მარმა მეოცე საუკუნის დამდეგს... მისი შრომა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის და ფილოლოგიისათვის მეტად დიდი და ნაყოფიერია". „ცნობის ფურცელი" აუწყებდა მკითხველებს: „ეს წიგნი ძლიერ საინტერესო წიგნია და დიდს ნათელს ჰფენს ჩვენს წარსულს... ბ-ნ მარს ჩვენის ძველის ლიტერატურის ორი ნაშთი — აბდულმესია შავთელისა და თამარიანი ჩახრუხაძისა. აქამდე ცნობილნი ერთნაირის სახელით თამარის შესხმად, შეუსწავლია გულდადებით, გარყვნილი ტექსტი გაუსწორებია, არევ-დარეული მისი ნაწილები თავ-თავის ადგილს დაულაგებია და გამოუცია სულ სხვა სახით, ვიდრე წარსულის საუკუნის გამოცემანი".

აკაკი წერეთელმა „ივერიაში" მოათავსა წერილი — „მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელი თხზულების გამო", სადაც ნათქვამია: „რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერლებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა ბატონ მარს წესიერად აღუდგენია და შესაფერი ლექსიკონიც ჩაურთავს". ამასთან ერთად აკაკი წერეთელი აკრიტიკებს ნ. მარის ზოგიერთ დებულებას.

ე. წ. აღორძინების ხანის მწერლობიდან ნიკო მარს უმთავრესად „რუსუდანიანი" და „შაჰ-ნამე" აინტერესებდა.

ნიკო მარმა ვრცლად განიხილა „რუსუდანიანთან" დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემები. მან გაარკვია თხზულების შედგენილობის, ორიგინალობისა და თარიღის საკითხები. იგი „ღრმა ერუდიციისა და მკვეთრი ინტუიციის წყალობით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსუდანიანი კომპილატური შრომაა" (ალ. ბარამიძე). ავტორი თუ რედაქტორი სარგებლობს ძველი ნათარგმნი ძეგლებით და მათ თვითონ ამუშავებს ზღაპრულ ამბებადო; ნაწარმოები XVII საუკუნისად მიიჩნია, მაშინ როდესაც ბროსეს აზრით, იგი XV საუკუნეს განეკუთვნება, ჩუბინაშვილის ვარაუდით კი — XIII საუკუნეს. მანვე გამოსცა მეცნიერულად თხზულების ერთი ნაწილი.

ნიკო მარმა ამაგი დასდო ამასთანავე „შაჰ-ნამეს" შესწავლას. იგი პირველად შეეხო სპეციალურ ლიტერატურაში ამ პოემის ქარ-

თული ვერსიების ტექსტუალური რაობისა და დედანთან ურთიერთობის საკითხს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარი აღნიშნავდა, რომ „როსტომიანი“ არის „რუსთაველური ზომით გალექსილი მოთხრობა „შაჰ-ნამეს“ ერთი ნაწილისა. თარგმანად არ ჩაითვლება. სპარსულ დედანთან შედარებით ქართული „როსტომიანი“ ძალიან შემოკლებულია. ხშირად, რასაც ფირდოუსი ოცსა და მეტს წყვილ-წყვილ ლექსს ანდომებს, იქ ქართულ თარგმანში ერთს ოთხს ტაეპიან ხანად არის თქმულიო“.

ქართული მწერლობის საკითხები ქართული კულტურისა და ქართველი ერის ისტორიული განვითარების ასპექტში მოხდენილად არის ჩართული ნიკო მარის ცნობილ ნაშრომში „ქართველთა ეროვნება“ (დაიბეჭდა ჟურ. „რაზსვეტში“ 1905 წელს; ქართულად იმავე წელს უთარგმნიათ და გამოუცია თ ცალკე წიგნად). იგი დაწერილია იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზ ი. ვოსტორგოვს წარმოუთქვამს ქართველი ერის შესახებ უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე პეტერბურგში (ვოსტორგოვის სიტყვა შემდეგ დაიბეჭდა მართლმადიდებელ თა ეკლესიის ყოველთვიურ პედაგოგიურ ორგანოში). ნიკო მარი სასტიკად აკრიტიკებს რეაქციონერ ვოსტორგოვის სტატიას, როგორც საზიზღარ პამფლეტს და ქართველი ერის დამამცირებელ დოკუმენტს.

ნიკო მარის ნაშრომი, გაჟღენთილი ღრმა მამულიშვილური სულისკვეთებით, ბრწყინვალე ნიმუშია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული უფლებების დაცვისა და მახვილგონიერი პოლემიკური ხერხების გამოყენებით მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკის გამანადგურებელი კრიტიკისა.

ნიკო მარი ისტორიული ექსკურსების მოშველიებით ახასიათებს ძველი ქართველების ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას; ამ საერთო-ეროვნული სულისკვეთების შემუშავებაში ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ მწერლობას (და, საერთოდ, ქართულ კულტურას). ისტორიულად სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის — ტომების კონსოლიდაციამ, მარის აზრით, გამოამუშავა ერთიანი „ეროვნული ფსიქოლოგია“; შეიქმნა ქართველი ერი. მართალია, პოლიტიკური ვითარებანი დროდადრო „იხლართებოდა და საქართველოს ცხოვრება... წარმოადგენდა სამწუხარო სურათს, რომელიც გამოხატულია

უცხოურ და შინაურ წყაროებში და რომელსაც ხანდახან მთელი ქართველობა შეეძლო ჩაეგდო სრულ სასოწარკვეთილებაში, მაგრამ საქართველო... არ კარგავდა იმედს, მაშინაც არ ღალატობდა უკეთესი ბრწყინვალე მომავლის რწმენას, მაშინაც არ ივიწყებდა თავის პატივს, როგორც კაცობრიობის წევრისას, როგორც ისტორიულად შექმნილი ნაციონალურ-კულტურული ერთეულისას". შემდეგ ნ. მარი უმატებს: „ქართველები იმისთვის კი არ შეერთებიან რუსეთს, რომ გამხდარიყვნენ საგნად დიდებულის განსასვენებლის პროცესისა, რომელსაც მართავენ უაზროდ ისეთი მოღვაწენი, როგორიცაა დეკანოზი ვოსტორგოვი და რომელთაც წინ უძღვიან კიდევ სხვა განმანათლებელნი, კელაპტროსანნი. შეგნებულს, თვითცნობიერს საქართველოს, რასაკვირველია, არ სურს საკუთარი თავის დასაფლავება სულიერად".

ვოსტორგოვები და ძმანი მათნი, მარის სიტყვით, იმ პოლიტიკას ადგანან, რომ „არაფერი ადგილობრივი, გინდა სანატრელიც იყოს, არ შევისწავლოთ, ყველაფერი ვაძაგოთ, ადგილობრივი საარგებლო ისტორიული ტრადიციები უარვყოთ, არავითარი კულტურული რაიმე საქმე არ დავიწყოთ, არავითარი თავისუფალი მოღვაწეობის ნება ადგილობრივ ისტორიულ პიროვნებათ არ მივცეთ". ცხადიაო, მიუთითებს ავტორი, ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის ჩაწიხლვას არ მოიმოქმედებდნენ „რეალურად მცოდნე და შეგნებული" ადამიანები და არ დაადგებოდნენ „ეგრეთ წოდებულ რუსულ პოლიტიკას, ნამდვილად კი ანტირუსულს, რომელიც დაფუძნებულია იმ აზრზე, ვითომც ქართველები... ვერ მიხვდებიანო... ასე ქართველების შეფასება ძირითადად შემცდარი აზრია"; „ქართველებმა გაიგესო". — დაასკვნის ნ. მარი, რომ ეს „მეგობრები" არიან „ღრუბელნი ურწყულნი, ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი უნაყოფონი, ორგზის მომწყდარნი, ძირითურთ მოფხვრილნი"... გაიგეს ქართველებმა ...და ახლა კი არა, დიდი ხანია ყველამ გაიგო: ეროვნულმა თვითშეგნებამ დიდი ბიჯი წადგა წინ კავკასიაში".

ნიკო მარს სწამს, რომ „მშრომელი ნაწილი ქართველი ერისა ჯერ ხომ ძალაგამოულეველია და ხელშეუხებელი, საქართველოს ეს ოვითმოქმედი მრავალტომოვანი გლეხობა უთუოდ უფრო ენერგიულად თავს გამოიდებს, როგორც მებრძოლი არა მხოლოდ კლასობ-

რივ-ეკონომიური, არამედ. უეჭველია. ნთელი ქართველი ერის კულტურული ინტერესებისათვის".

ნიკო მარი განაგრძობს: „სად არის ხსნა ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დასაღწევად? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?" — აყენებს კითხვას მეცნიერი და უპასუხებს, რომ „ძლევა არ არის და არც იქნება ახლანდელს მდგომარეობაში", თუკი არ შევიგნეთ „ერთი ჰეშმარიტი ძლევა, ერთი გამარჯვება", ესაა „ძირავანი, კულტურული გამარჯვება" და ამგვარი გამარჯვებისათვის საჭიროა ცოდნა, მეცნიერება, „ჰეშმარიტი ცოდნა; საჭიროა კიდევ სიყვარული, არა რომანტიკული, მტირალა, არა საოცნებო სიყვარული ჩვენი უენო ბუნების მშვენიერებისა, მისი გასაოცარი კლდეებისა, მთა-გორათა სურათებისა... წარსული ცხოვრების ნანგრევებისა, არამედ საჭიროა რეალური, საქმიანი, შემოქმედებითი სიყვარული ნამდვილი ცოცხალი ადამიანებისა, მათი ბრწყინვალე იდეალებისა, რომელნიც, როგორც წინაპართაგან გადმოცემულნი, ნაკლები არ არიან უენო ბუნების მომხიბვლელ მშვენიერებაზე".

ძალიან საგულისხმოა, რომ პროფესორი მარი ჯერ კიდევ 1905 წელს პოლიტიკური სიმახვილითა და რევოლუციური შემართებით მოუწოდებდა ჩვენს ხალხს ქართული ისტორიული ეროვნული ენერგიის აღდგენაზე და, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ადგილობრივი ეროვნული კულტურის აღორძინებაზე", მშრომელი მასების ერთსულოვნად დარაზმვაზე ცარისტული ტირანიის წინააღმდეგ.

1911 წელს ქართულად წაკითხულ ერთ-ერთ საჯარო ლექციაში (რომელიც შემდგომ დაიბეჭდა) ნიკო მარი ამბობდა:

„ქართველების კულტურულ საუნჯეში მოიპოვება ერთი ძვირფასი სპეკალი, რომელიც მარტო, თავისთავად, მეცნიერებაში ანიჭებს მათ უპირველეს ადგილთაგანს. და ქართველების ეგ სულიერი საკუთრება არის, რომ ამ ლექციაზე შეგვიქცევს. მასში ქართველ ერს მოზიარენი ჰყავს ბუნებით თანასწორი თვისტომი ერები. მით, ამ ძვირფასი უნჯით, ქართველი — მოძმე ერებთან ერთად — უნათესავდება მჭიდროდ დაუსაბამო დროიდგან თანამედროვე კულტურის განვითარების წყაროში ჩამდგარი კაცობრიობის ერთს უდიდეს ნაწილს და ამგვარი ნათესაობის წყალობით იგი უკავშირდება განუშორებლად კულტურული კაცობრიობის ერთიანობას. მე

ვამბობ უდიდეს განძზე ქართველობის არსებისა — ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე“.

ამ „ძვირფასი სპეკალის“, „უდიდესი განძის“ მეცნიერული შესწავლა ნიკო მარის ოცნებას შეადგენდა ჯერ კიდევ ჭაბუკობიდან მოკიდებული და აკი შემდგომ ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, როგორც ქართული ენის სწორუპოვარმა მკვლევარმა, საყოველთაო აღიარება ჰპოვა მთელ სამეცნიერო მსოფლიოში.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის კედლებში ჩაესახა მარს ქართული ენის ნათესაობის გამორკვევის სურვილი. არაბულ ენაში ლექციის მსმენელობის დროს (1886 წ.) სტუდენტ მარს რვეულში ჩაუნიშნავს, რომ სინტაქსური თვალსაზრისით ბევრია საერთო ქართულსა და არაბულს შორის და, ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, ჩვენი ენა სემიტური ოჯახის კუთვნილებაა. ეს აზრი მარს გაუნდვია პროფესორ როზენისათვის, მაგრამ პროფესორი სკეპტიკურად მოჰკიდებია სტუდენტის ამ თამამ განცხადებას და ესღა უთქვამს: „ეგ შეხედულება რომ მართალი იყოს, მეცნიერება ამდენხანს არ დაუცდიდა ვინმეს ჩამოსვლას კავკასიიდანო“. ორი წლის შემდეგ მარი „ივერიაში“ ბეჭდავს წერილს, სადაც ნათქვამია, რომ ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით სემიტურ ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოებული ხსენებულ ენებთან, რამდენადაც ეს ენები ურთიერთშორის, და, ჩანს, ქართული (საკუთრივ ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური) წარმომდგარია ერთი მამამთავარი ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანებია სემიტურს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთსო.

როცა ეს წერილი წაიკითხა პროფ. ალ ცაგარელმა, ისიც სრული უნდობლობით მოეკიდა ამ ახალ თეორიას. მომდევნო წლებში მარი გერმანიაში ესაუბრა გამოჩენილ ორიენტალისტს ნოლდეკეს, რომელმაც ტუჩები აიბზუა და სრული დამარცხება უწინასწარმეტყველა მარისეულ ჰიპოთეზას. აკადემიკოსი როზენი შემდგომ მარს ურჩევდა, თავი მიანებე მაგ თეორიას, სანამ დოქტორის სამეცნიერო ხარისხს არ მოიპოვებ, თორემ დისერტაციის დაცვას ქართულ-არაბულის საეჭვო ნათესაობის დაჟინებით მტკიცება ხელს შეუშლისო.

გავიდა 20 წელი და ნიკო მარი სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე წარდგა ვრცელი შრომით, სადაც განხილულია ქართულისა და სემიტური ენების მონათესავეობის საკითხი. ეს ნარკვევი ერთვის 1908 წელს გამოსულ მარის დიდად მნიშვნელოვან წიგნს -- „ძველ-ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მკაფიო ჰიპოთეტურობისა, ნიკო მარის ახალ კონცეფციას მხარი დაუჭირეს სამეცნიერო წრეებში. ჯერ კიდევ ზემოხსენებული ნაშრომის გამოსვლამდე, 1908 წელს, ივ. ჯავახიშვილი თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში დადებითად აფასებს ქართულ-არაბულის თეორიას და ქართველებს სემიტური მოდგმის ხალხად მიიჩნევს. გვიან, 1937 წელს, ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი წერს, რომ ქართულის სემიტურობის თეორიის დასაბუთება არც ისე მტკიცე იყო, როგორც წინათ მეგონა, და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდ ხდიდაო. განთქმული მეცნიერი პროფესორი მიხ. წერეთელი თავის ცნობილ ნაშრომში „სუმერული და ქართული“ ამბობს: „ნ. მარის თეორია ქართული ენის ნათესაობის ერთადერთი მეცნიერული თეორიაა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ნიკოლოზ მარმა არამც თუ ქართული ენა იცის ზედმიწევნით, როგორც თავისი სამშობლო ენა, და თანაც საგანი თავის სპეციალურ მეცნიერებისა, არამედ იგი ამავე დროს საუცხოოდ მცოდნეა სემიურ ენათა“. ამასთანავე მიხ. წერეთელი არ ეზიარებს ზოგიერთ მარისეულ დებულებას. მაგალ., პირველად მან მიუთითა ქართულში ძირთა სამთანხმოვნიანობის კანონის მცდარობაზე. ეს საკითხი ვრცლად და დამაჯერებლად არის გაშუქებული არნ. ჩიქობავას ნაშრომში, რომელიც მიეძღვნა მარის ძველქართული ენის გრამატიკას 1926 წელს. ამ სარეცენზიო შრომაში პოზიტიური მასალის საფუძველზე ნაჩვენებია ქართულ-სემიტური თეორიის სხვა ნაკლოვანი მხარეებიც.

ნიკო მარის თეორია ქართული და სემიტური ენების გენეტური დამოკიდებულების შესახებ მეცნიერულად არ არის გამართლებული, რამდენადაც დასკვნები გამოტანილია ენობრივი ფაქტების ნებისმიერი ანალიზის შედეგად და წინასწარ აქვიატებული პოსტულატების ხელოვნური დასაბუთების გზით. შემდეგ და შემდეგ ამ

ჰიპოთეზის ავტორიც დარწმუნდა თავისი ნააზრევის ცალმხრივობაში და ხელი აიღო კიდევაც ამ მიმართულებით კვლევა-ძიებაზე.

და მაინც ქართულ-სემიტურობის თეორიამ ობიექტურად დადებითი როლი შეასრულა ჩვენი ენების კვლევის ისტორიაში იმ მხრივ, რომ მისმა ავტორმა ქართული ენის ისტორიული სახის დადგენის მიზნით უმაგალითო ლინგვისტური მუშაობა გაშალა და არნახული გეგმითა და მასშტაბით შეუდგა (როგორც თვითონ, ისე მისი მოწაფეები) ზღვა მასალის სისტემატიზაციასა თუ თეორიულ განზოგადებას.

ამრიგად, ნიკო მარის წინაშე დაისახა შემდეგი პერსპექტივა: ქართული ენის გრამატიკული კატეგორიების რაობის გამორკვევა და მათი ევოლუციის შესწავლა სალიტერატურო ენის ათასხუთასწლოვანი განვითარების მანძილზე, მეგრულ-ჭანურ-სვანურის სტრუქტურის დადგენა, ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, მათი ლექსიკური საუნჯის გამომზეურება, ქართული ხალხურის მეტყველების და ფენების დღის სინათლეზე გამოტანა, ქართულ-ქართველური ენების დაკავშირება მსოფლიოს ენებთან.

ჩვენ ვხედავთ, რა ფართოა წრე პრობლემებისა, რა გრანდიოზული ამოცანებია დასმული, რა მასშტაბებია მოხაზული უაღრესად მდიდარი აგებულების ქართული ენის ბუნებისა და თვისების გამოსააშკარავებლად.

თავად მარი ვერ მოერევა ამ „სიმძიმის აწევას“, საჭიროა მისივე დაზრდილი „შავარდნები“ (ასე უწოდებდა თავის მოწაფეებს) მხარში ამოუდგნენ სახელოვან მასწავლებელს და „დასძრან ყინული“ — ქართული ენის სიდიადე აჩვენონ მსოფლიო ლინგვისტურ სამყაროს.

გარდა ივანე ჯავახიშვილისა, რომელმაც უპირატესად საქართველოს ისტორიის განხრით დაიწყო მეცნიერული კვლევა-ძიება, მარმა სამეცნიერო მუშაობაში ჩააბა თავისი ენათმეცნიერი მოწაფეები. იოსებ ყიფშიძის ინტერესები მეგრულ-ჭანურის კვლევისაკენ წარმართა, აკაკი შანიძე თავდაპირველად ქართული დიალექტოლოგიისა და ძველი ქართულის საკითხებს იკვლევდა, ვუკოლ ბერიძე ქართული ლექსიკოლოგია-ტერმინოლოგიის სფეროს „მიუჩინა“.

ქართულ-სვანურ-მეგრულ-ჭანურის შედარებითი კვლევა დაიწყო პროფ. ალ ცაგარელმა, რომელმაც პირველად გამოიყენა ენათმეცნიერების ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ამ ენობრივი ერთეულების მიმართ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომები მეგრულის შესწავლის დარგში. ქართულ-მეგრულის ბგერათა კანონზომიერი შესატყვისობანი მან დიდი ოსტატობით დაადგინა და ამით სათავე დაუდო ქართველურ ენათმეცნიერებას.

ნიკო მარმა უფრო დააზუსტა და შეავსო პროფესორ ცაგარლის მიერ დადგენილი ფონეტიკური კანონზომიერება: სვანურის მიმართ ამავე მეთოდის გამოყენება მას მიეწერება. მარის გამოკვლევებში შესატყვისობათა საკითხი მხოლოდ დიფერენციალური მასალის მიხედვით წყდება და, ამდენად, ის „თავისუფალია იმ ნაკლისაგან, ალ. ცაგარლის შესატყვისობათა ცხრილში რომ გვქონდა“, ოღონდ ქართულის სემიტურთან ნათესაობის თეორიის პოსტულატები რამდენადმე ზღუდავდა ამ სფეროშიც მარის კვლევას, მიუხედავად ამისა, მისი ძიება (1915 წლამდის, განსაკუთრებით) ძვირფას მასალად უნდა მივიჩნიოთ ქართველური ენების შედარებითი შესწავლისათვის (არნ. ჩიქობავა).

ქართული ენის ისტორიული საკითხების კვლევა-ძიებისათვის დიდად ფასეულია სვანურის მონაცემები, სვანურისა, რომელიც საქართველოს „ენობრივი მუზეუმია“ და რომელშიც დაუნჯებული სახით შემონახულია არქაული ქართულის ფენები. სვანური ყველაზე უფრო „ძველი ქართულია“, ფრიად საგულისხმო უძველესი ენობრივი მოვლენების აღსადგენად და შესაცნობად. როგორც საინტერესო უძველეს „ენობრივ ფენომენს“, სვანურს იკვლევდნენ: როზენი, პროფ. ცაგარელი, პროფ. მიულერი, უსლარი, ზავადსკი, პროფ. შუხარდტი, პროფ. ერკერტი, პროფ. ჯანაშვილი, თავისუფალი სვანი, პროფ. ადოლფ დირი და სხვ. პროფ. ვ თოფურია, რომელმაც ჩვენს დროში დაწერა შესანიშნავი წიგნი სვანური ზმნის შესახებ, აღნიშნავს, რომ სვანურის დარგში ყველაზე სანდოდ და მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ მარის, შანიძისა და ლაიფციგელი მეცნიერის დეეტერსის შრომებიო.

ნიკო მარმა იმთავითვე მიაქცია ყურადღება სვანურს, როგორც უაღრესად საინტერესო ქართველურ ენას, და მიზნად დაისახა მისი გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის შესწავლა. ვიმეო-

რებთ, ამ ძიებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენი ენის ისტორიული სახის დასადგენად და შესაცნობად. დაუღალავმა მკვლევარმა რამდენჯერმე იმოგზაურა სვანეთში და დიდძალი მასალა დააგროვა მეცნიერული განზოგადებისათვის. სამეცნიერო მივლინებებისა და ექსპედიციების ანგარიშები იბეჭდებოდა რუსეთის სამეცნიერო ორგანოებში.

ნიკო მარი უწინარესად აკრიტიკებდა იმ მეცნიერებს, რომლებიც ლამობდნენ მეგრულ-ჭანურ-სვანურის გამოკვლევას საკუთრივ ქართული მასალების გაუთვალისწინებლად. ეი რას ამბობს იგი ერთ. ნაშრომში, რომელიც ქართულადაა დაწერილი: „აჩვენებულია, რომ მეცნიერულად კარგად გაწვრთნილს გეორგ როზენსაც (ცნობილი აკადემიკოსი — შ. ძ.) არ ჩაურაცხია საჭიროდ ქართულის ცოდნა. ამ კვალზევე დადგა უკვე აწინდელ საუკუნის დამდეგს „Memoires de Linguistique", ფრანგული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორი, ახლა მთელს ევროპაში უბეჯითესი ენათმცოდნე, რომელმაც დასტამბა სომხის, ბ-ნ აჭარიანის, შრომა ჭანურის შესახებ, სავსე მოსალოდნელი შეცდომებით, რადგან ბ. აჭარიანი სრულებით უვიცია ქართულში".

ნიკო მარი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას მიაქცევს სვანურის არქაულობას და მისი შესწავლის მნიშვნელობას. „სვანური დიდ შემწეობას იძლევა ქართული საეკლესიო და საერო თხზულებების ძველი ენის გასაგებადო". მარი ავლენს სვანურის ნ ა რ ე ვ ო ბ ა ს, მის მიმართებას ჩრდილოეთ კავკასიის ენებთან, დიალექტალურ დიფერენციაციას, გრამატიკულ და ფონეტიკურ თავისებურებებს.

შესანიშნავია ავტორის შრომა „სად არის შენახული სვანური ბრუნება?", სადაც საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული. სხვათა შორის, მეტად საგულისხმოა ნ. მარის დაკვირვება სვანურ ხალხურ პოეზიაზე. სვანურს თავისი „სალიტერატურო ენა" აქვსო, ამბობს იგი. მკვლევარს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ, მიუხედავად მკვეთრი დიალექტალური დიფერენციაციისა, სვანური ლექსების ენა ისწრაფვის, დიალექტთაშორისი საერთო ენობრივი ნორმები დაიცვას და ერთგვარად უნიფიცირებული „საერთოსვანური" ფორმები დაამკვიდროსო. ეს დაკვირვება ზოგადმეცნიერული ღირებულებისაა.

5. მარმა დააგროვა უამრავი მასალა სვანური ლექსიკონისათვის. ამ ძვირფასი მასალიდან ზოგი რამ გამოქვეყნებულია. მაგალ., 1922 წელს პეტროგრადის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა მარის „სვანურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც პირველი მეცნიერული სვანური ლექსიკონია. დიდი მეცნიერი თავის გარშემო იკრებს განსწავლულ სვანებს, რომლებიც დახმარებას უწევენ მას კვლევა-ძიებაში. მაგალითად, პეტროგრადში სამუშაოდ გადაიყვანა სვანურის მშვენიერი მცოდნე არსენ ონიანი, რომელსაც ჩააწერინა სვანური ტექსტები და სალექსიკონო მასალები. ეს ზღვა მასალა დღესაც გამოუცემელია. ნაწილი გამოვიდა მარის რედაქციითა და თაოსნობით: 1917 წელს მეცნიერებათა აკადემია აქვეყნებს მარისეული სერიის — „იაფეტური ენათმეცნიერების მასალების“ მერვე და მეცხრე ნომრებად წიგნებს — სვანურ ლექსიკონს და ტექსტებს. ამრიგად, ნ. მარმა საფუძველი ჩაუყარა სვანური მეტყველების მასალებისა და ლექსიკონის მეცნიერულ გამოცემებს.

გარდა სვანურისა, გამოსაკვლევი იყო ჭანური ანუ ლაზური, ერთ-ერთი ქართველური ენობრივი ერთეული, საინტერესო როგორც ლინგვისტურად, ისე კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. ამ დარგში მარის წინამორბედებად ძირითადად უნდა მივიჩნიოთ აკადემიკოსები კლაპროტი, როზენი და აჭარიანი. კლაპროტის შრომა დაიბეჭდა პარიზში 1823 წელს, როზენისა — ბერლინში 1843 წელს, აჭარიანისა — პარიზში 1899 წელს. ცხადია, ამ დიდი მეცნიერების დაკვირვებები ერთ-ერთი ქართველური მეტყველების — ჭანურის (ლაზურის) გრამატიკულ აღნაგობაზე თუ ლექსიკონზე საინტერესოა, მაგრამ მაინც ფრაგმენტული ხასიათისაა.

ნიკო მარმა მთელი სიგრძე-სიგანით შეისწავლა ჩვენი თანამოძმეების — ჭანების (ლაზების) მეტყველება და 1910 წელს პეტერბურგში გამოსცა სრული გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით.

ეს არის გრამატიკულ ლიტერატურაში კლასიკური ნაშრომი, სანიმუშო და გზის გამკვლევი, რომელიც კარგად ამჟღავნებს მისი ავტორის გენიალურ ნიჭსა და გონების საოცარ გამჭრიახობას.

ეს აზრი საყოველთაოა და ერთხმად აღიარებული ჩვენი სპეციალისტების მიერ.

ამრიგად, მარმა სათაყე დაუდო სვანურთან ერთად ჭანურის ანუ ლაზურის ფუნდამენტალურ კვლევას. საერთო ქართული ენის მეცნიერული შესწავლისათვის ეს აუცილებელი იყო.

1910 წელს მარმა ჭანეთში მიავლინა ი. ყიფშიძე ხოფური კილოს ჩხალური თქმის შესწავლისათვის დამატებითი მასალების შესაგროვებლად. 1911 წელს მეცნიერებათა აკადემია მარის რედაქციით ბეჭდავს ი. ყიფშიძის წიგნს — „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ", რომელშიც, გარდა გამოკვლევისა, მოცემულია ტექსტები და ლექსიკონი. 1917 წელს კვლავ იმოგზაურა ჭანეთში ი. ყიფშიძემ და ძვირფასი მასალა შეაგროვა. ამ ლინგვისტური ექსკურსიის მასალები და დღიურები დიდხანს გამოუცემელი იყო (დაიბეჭდა 1937 წელს თბილისში პროფ. არნ. ჩიქობავას თაოსნობით).

დღის წესრიგში დადგა მეგრულის მეცნიერული შესწავლა ნიკო მარმა დაავალა იოსებ ყიფშიძეს, გამოეკვლია ამ ქართველური მეტყველების ბუნება და თვისება და ქართული ენის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ჩაერთო მისი მონაცემები. ყიფშიძე ადგილობრივ კრებს სათანადო მასალებს და 1914 წელს მეცნიერებათა აკადემია ამზეურებს მის მიერ შედგენილ მეგრულის გრამატიკას (ქრესტომათიითა და ლექსიკონით), რომელიც ერთ-ერთ საუცხოო შრომად ითვლება ქართველურ ენათმეცნიერებაში. ეს იყო ი. ყიფშიძის სამაგისტრო დისერტაცია. ნ. მარმა, როგორც ოპონენტმა, აღნიშნა: ავტორს რომ სარეცენზიო ნაშრომი წარმოედგინა სადოქტორო დისერტაციად, მე სრულიად დამშვიდებული სინდისით მივანიჭებდი მას დოქტორის სამეცნიერო ხარისხსო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პროფ. ყიფშიძემ შემდეგში გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული შრომები. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ივანე ჯავახიშვილის „მარჯვენა ხელი". პროფესორი ყიფშიძე ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პირველი გამგეა. 1919 წელს პარტახტიანმა ტიფმა უდროოდ იმსხვერპლა ეს შესანიშნავი მეცნიერი და მოქალაქე, რომელსაც არ დასცალდა სრულად გამოემჟღავნებინა თავისი დიდი ნიჭი და ცოდნა ჩვენი დედაენის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ნიკო მარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ ლექსიკოგრაფიაში, ქართული ენის სიტყვობრივი საგანძურის შესწავლასა და გამომზეურებაში.

უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ მისი ცნობილი ფილოლოგიური გამოცემები, რომლებსაც ერთვის ტექსტოლოგიურ-ლინგვისტური შენიშვნებისა თუ საანალიზო ძეგლთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული პრობლემების შემცველი ვრცელი გამოკვლევები. ამ ძიებებში ფართოდ არის წარმოდგენილი მსჯელობა ქართული ლექსიკის თაობაზე, გარკვეულია თითოეულ ენობრივ ძეგლში არსებული მნიშვნელოვანი სიტყვები და გამოთქმები, ამა თუ იმ ხანისათვის ნიშანდობლივი ანდა ხალხური მეტყველებიდან სალიტერატურო ენაში შეჭრილი ლექსიკური ერთეულები, ე. წ. ვულგარიზმები და ა. შ. აქვეა გამოვლენილი უცხოური სიტყვები და გამოთქმები მათი წარმომავლობის ზუსტი ჩვენებით და ეტიმოლოგიური ახსნა-განმარტებებით.

ნიკო მარის ამ ძიებებში გამოვლენილია „სემანტიკური გავლენის“ ანუ კალკის საყურადღებო ფაქტებიც. მაგალითად, არაბულიდან ნათარგმნ ერთ ძეგლში „კუალნი“ უდრის ნიშს („და თქუენცა ერთბაშად კუალნი იგი და სასწაულნი თუალითა გიხილვან“). ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა არაბული შესაბამისი ტერმინის კალკაა. „მკვიდრი“ ქართულში ძირითადად ნიშნავს მობინადრეს, მაგრამ ამ ტერმინმა შეიძინა სხვა მნიშვნელობაც: ბუნებრივი, მოსაწესავე. ამ მნიშვნელობას ვიჭერთ გამოთქმაში: „მკვიდრი ძმა“. ესეც კალკაა. „განმზადებული“ ერთგან გვხვდება მომავლის მნიშვნელობით („არათუ ამათ ჯამთასა: მას სიკუდილისა იტყვის უფალი, არამედ განმზადებულთა მათთვის“). სომხურში შესაბამისი სიტყვა უდრის 1. გზას, 2. მომავალს. „სადგური“ ერთ-ერთ თარგმნითს ძეგლში უდრის გავლენას, მნიშვნელობას, ღირსებას. არაბულში შესატყვის ტერმინს, გარდა სადგომის მნიშვნელობისა, პარალელურად აქვს მნიშვნელობა ღირსებისა, ხარისხისა. „სახისმეტყველი“ გადმოცემაა ბერძნული „ფიზიოლოგისა“... ასეთი დაკვირვებები უხვადაა გაბნეული მარის ნაშრომებში.

ეჭვს გარეშეა, მარისეულ ფილოლოგიურ გამოცემებზე დართული ლექსიკოლოგიური შტუდიები ძვირფას მასალად უნდა იქნეს მიჩნეული ქართული ისტორიული ლექსიკონის თვალსაზრისით.

სამზადისი დიდი ქართული ლექსიკონის შედგენისათვის ნიკო მარს ადრევე დაუწყია. ამ გრანდიოზულ მუშაობაში ქართული ენის დაუცხრომელმა მკვლევარმა ფართოდ ჩააბა თავისი მოწაფეები და ახლო თანამშრომლები.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ ჩემი ხელმძღვანელობით წამოიწყო ქართული ენის დიდი ლექსიკონის შედგენაო, — ამბობს ნიკო მარი თავისი „ძველქართულ-რუსული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში. მას შეუქმნია სარედაქციო კოლეგია პრივატ-დოცენტ ნ. ადონცის (შემდგომ — პროფესორის), პროფ. ვ ბენეშევიჩის, პრივატ-დოცენტ ივ. ჯავახიშვილის (შემდგომ — პროფესორის და აკადემიკოსის) და კათედრასთან დატოვებულის ი. ყიფშიძის (შემდგომ — პროფესორის) შემადგენლობით. ამ აკადემიური ლექსიკონის გეგმის კონტურები მოხაზულია ზემოთ დასახელებული „ძველქართულ-რუსული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში. ამ თავდაპირველ პროსპექტში ნათქვამია, რომ უხვად იქნება მოწოდებული ფრაზეოლოგია, უცხოური სიტყვებისა და საკუთარი სახელების გაშ ყოფა არ არის გათვალისწინებული, მოცემული იქნება ეტიმოლოგიური შეპირისპირებანი, ძალზე შეზღუდულად მოვაქცევთ ლექსიკონში ვულგარულ ანდა დიალექტურ ფორმებსო, და სხვ.

როგორც ზემოთაც ითქვა, ბიბლიური ტექსტის გამოცემასთან დაკავშირებით ნიკო მარმა სალექსიკონო მასალების შესაგროვებლად შეადგინა კომისია, რომლის ხელმძღვანელი თავად გახლდათ, ხოლო წევრები — ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და ი. ყიფშიძე. ლექსიკოგრაფიულ მუშაობაში ნ. მარმა ჩააბა აგრეთვე გიორგი ჩუბინაშვილი (შემდგომ-პროფესორი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი) და ამერიკელი რობერტ ბლეიკი (შემდგომ — ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი). ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ნიკო მარის საუნივერსიტეტო სემინარულ მეცადინეობაში და მასწავლებლის სამეცნიერო დავალებებს პირნათლად ასრულებდნენ. გიორგი ჩუბინაშვილი და ბლეიკი ადგენდნენ ბარათებს ფრაზეოლოგიითურთ, კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით.აქვე უნდა დავსძინო, რომ ნიკო მარი დიდად აფასებდა გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერულ მუშაობას და ნიჭიერი მკვლევრისადმი მზრუნველობას იჩენდა. გიორგი ჩუბინაშვილის პირველი გამოკვლევა, მი-

ძღვნილი ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებისადმი, მოთავსებულია ჟურნალ „ხრისტიანსკი ვოსტოკ"ში", რომელიც ნიკო მარის რედაქტორობით გამოდიოდა. „1915 წელს ნიკო მარმა იგი (გ. ჩუბინაშვილი) პრაქტიკაზე გაგზავნა სომხეთის ძველი დედაქალაქის ანისის გათხრებზე... გიორგი ჩუბინაშვილს ნ. მარმა ამოცანად დაუსახა... სამი-ოთხი კამპანიის დროს მოპოვებული კერამიკის გარჩევა-მოწესრიგება... დაავალა ანისის ექსპედიციების პეტერბურგში დაცული მონაპოვრის სისტემატიზება და ანისის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა, შემდეგ კი ანისის არქეოლოგიური მუზეუმის 1916 წლის ანგარიშის შედგენაც" (ვახტ. ბერიძე).

ნიკო მარი შეუნელებელ ინტერესს იჩენდა საქართველოში ლექსიკოგრაფიული საქმიანობის აკადემიურ დონეზე დაყენებისადმი. დამახასიათებელია აღშფოთება ,გამოთქმული ნიკო მარის მიერ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში იმის გამო, რომ ქართული ლექსიკონის შედგენა მიუნდვიათ შეუფერებელ პიროვნებათათვის. აი ეს წერილიც: „მაშფოთებს და დიაღ სამწუხარო მოვლენად მიმაჩნია, რომ.. უკუუგდიათ სამართლიანი აზრი, ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, კერძო მცოდნეთა კომისია შემდგარიყო ქართული ენის საგანძურისათვის მასალების შესაკრებლად და მერმისში ქართული ენის ღირსეულების სიმაღლეზე დასაყენებელი ლექსიკონის შესამუშავებლად. თუ გაზეთების გადმონაცემი მართალია, ასეთი რთული საქმე საზოგადოების გამგეობისათვის მიუნდვიათ, იმ გამგეობისათვის, სადაც არც ერთი ლინგვისტი არ ბრძანდება. ასეთი საქციელი შესაწყნარებელი იქნებოდა... ოცი ან ოცდაათი წლის წინეთ... ვისაც ქართული სპეციალურად არ უსწავლია... ვისაც აღმოსავლეთურ ენათა თანამედროვე სკოლის უთავადესი პრინციპები არ შეუთვისებია, მეტადრე — ვისაც აგეთი ახალი ფილოლოგიური სკოლის სუნიც არ ჰკვრია და ფერიც არ აცხია, მათ ვერ მიენდობა და არც უნდა მიენდოს არავითარი მეცნიერული კვლევა ქართული ენის შესახებ, არც — რაც ძნელთაგან უძნელესია — მასალის შეკრების გამგეობა" („სახალხო გაზეთი", № 639, 1912 წელი).

სტატიისათვის ავტორს ასეთი სათაური მიუცია: „ერთი დიდი საკითხის შესახებ". მეცნიერის გულისწყრომას საფუძველი აქვს: კომპრომისი შეუწყნარებელი და დაუშვებელია, როცა საქმე ეხება

დიდ ეროვნულ საქმეს — ქართული აკადემიური ლექსიკონის შემუშავებას!

ქართული ლექსიკის ძვირფასი განძი საძიებელი იყო არა მხოლოდ წერილობითს წყაროებში, არამედ ცოცხალ ქართულ მეტყველებაში, ქართულ ხალხურ ენაში. ჯერ კიდევ 1909 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში ნიკო მარი ამბობდა: „ლინგვისტური მეცნიერების მიერ ქართული ენის მრავალწლოვან. ითქმის სისტემატურ იგნორირებასთან შინაგან კავშირშია, ერთი მხრივ, ქართული კილოების ლექსიკური სიმდიდრის უცნობლობა და, მეორე მხრივ, ქართული ლექსიკონების ნაკლულობა. ამ ხარვეზის შესავსებად, — განაგრძობს ავტორი, — მე განზრახული მაქვს ქართულისა და მისი მონათესავე ენების კილოებისა და კილოკავების მასალათა შეკრების ორგანიზება“.

ნიკო მარმა სათავე დაუდო ქართულ მეცნიერულ დიალექტოლოგიურ ლექსიკოგრაფიას.

გავეცნოთ ფაქტებს.

ჯერ-იყო და, მარმა შეისწავლა ტაო-კლარჯული კილოს ლექსიკა. მან საყურადღებო მასალა შეაგროვა სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის დროს და იმერხევული მეტყველების ტექსტებთან და გრამატიკულ მიმოხილვასთან ერთად გამოაქვეყნა მცირე ლექსიკონი, რომელიც რამდენადმე ასახავს ამ დიალექტის ლექსიკურ შედგენილობას.

ქართულ ხალხურ მეტყველებაში შენახული ძვირფასი სიტყვებისა და გამოთქმების შეგროვების მიზნით ნიკო მარმა მოიზიდა ვარეშე პირებიც, რომელთაც მოსმენილი არ ჰქონდათ მისი საუნივერსიტეტო კურსი და დაშორებული იყვნენ აკადემიურ მუშაობას ამ სფეროში. ქართული ლექსიკოგრაფიის ასპარეზზე გამოდის ილია ჭყონია, ცნობილი მკვლევარი, რომლის ნაშრომმა მარის ყურადღება მიიპყრო. 1910 წელს ნიკო მარმა პეტერბურგის უნივერსიტეტში დააარსა სერია „იაფეტური ენათმეცნიერების მასალები“, რომელიც მოწოდებული იყო, სისტემატურად გამოექვეყნებინა უმთავრესად ქართველური ენათმეცნიერების მასალები (1925 წლამდე სულ გამოვიდა 12 ტომი). როგორც ცნობილია, „იაფეტური ენათმეცნიერება“ წარმოადგენდა, მარის სიტყვით, „ლინგვისტური მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს“, რომელიც სწავლობდა ქარ-

თულს (სვანურ-ჭანურ-მეგრულის, ამ ძირეულად ქართული მოდგმის ლინგვისტური ერთეულების, ჩათვლით); „ამ სამეცნიერო დარგის დამოუკიდებლობა დაფუძნებულია მასალათა არა მხოლოდ თავისებურებაზე, არამედ მისი შემსწავლელი მოძღვრების თავისებურებასა და მთლიანობაზედაც, ბგერობრივი კანონების განსაკუთრებულ სისტემაზე“ და სხვ. ამ მარისეული სერიის პირველ ნომრად 1910 წელს ეკეყნდება ილია ჭყონიას „სიტყვის-კონა“, რომელიც შეიცავს საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებულ სიტყვებს. ნიკო მარს, ამ წიგნის სულის-ჩამდგმელსა და გამჩალხავს, ჭყონიას ნაშრომში უფრო იზიდავდა ხალხური მეტყველებიდან შემოტანილი სიტყვები და გამოთქმები, მდიდარი და ფასდაუდებელი მასალა, უაღრესად საგულისხმო მეცნიერული განზოგადებებისათვის. წინასიტყვაობაში მარი ამბობს: ამ ახალგაზრდა დარგის (იგულისხმება იაფეტური ენათმეცნიერება, ე. ი. ქართველური ენების შემსწავლელი დისციპლინა. შ. ძ.) ინტერესმა წარმოშვა ეს სერია. უდიდესი კმაყოფილებით ვაქვეყნებთ ამ სერიის პირველ წიგნად პროვინციელი მუშაკის ნაშრომს... ი. ჭყონიას „სიტყვის კონაში“ ახსნილია 1500-ზე მეტი სიტყვა... უმთავრესად — ესაა სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოყენებულია ცოცხალ მეტყველებაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესულან ლიტერატურაში, ანდა გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ ახალ ქართველ მწერლებთან“.

დიალექტების ლექსიკის შესწავლა ნიკო მარმა დაავალა თავის მოწაფეებს. ახალგაზრდა ვუკოლ ბერიძე (შემდგომ — ცნობილი პროფესორი) იგზავნება იმერეთსა და რაჭაში იშვიათი სიტყვებისა და გამოთქმების შესაკრებად. 1912 წელს ზემოხსენებული მარისეული სერიის („იაფეტური ენათმეცნიერების მასალები“) მეექვსე ნომრად პეტერბურგის უნივერსიტეტის სტამბაში იბეჭდება ვუკოლ ბერიძის წიგნი „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რომელიც წარმოადგენს პირველ მეცნიერულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონს ჩვენი ენის შესწავლის სინამდვილეში. ვ. ბერიძის ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალური მნიშვნელობა.

ქართული ოთხთავის ტექსტებს, როგორც ჩინებულ ენობრივ ძეგლებს, სჭირდებოდა ლექსიკონი, აღმნუსხველი ძველი ქართული ენის სიტყვებისა და გამოთქმებისა. სხვა არა იყოს რა, პრაქტიკუ-

ლი თვალსაზრისთაც ეს საქმე მოსაგვარებელი იყო, რამდენადაც მარი მსმენელებს, რომელთაც მუშაობა უხდებოდათ ძველ ქართულ ტექსტებზე, — უპირველეს ყოვლისა, სახარების მასალაზე. — ხელთ უნდა ჰქონოდათ „ძნელოვან სიტყვათა“ ამხსნელი წიგნი. ნიკო მარს სალექსიკონო მასალის ამოწერაში ჩაუბამს სტუდენტები (ნ. მაჭავარიანი, ნ. ტიხონოვი, ვ. ფუთურიძე, — შემდეგ ცნობილი ქართველი ირანისტი, — ს. იუშკოვი, პ. ბაქრაძე და მ. გობეჯიშვილი).

1913 წელს გამომზეურდა ნიკო მარის წიგნი — „ძველქართულ-რუსული ლექსიკონი მარკოზის სახარების 1—2 თავების მიხედვით“ (დაბეჭდილია საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში).

ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია ძირების მიხედვით და ამის გამო მისი გამოყენება სასწავლო მიზნით რამდენადმე გაძნელებულია (ავტორის განცხადებით. ნაშრომი მოწოდებულია, პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სტუდენტობას).

ლექსიკონის მეცნიერული ღირებულება ეჭვს არ იწვევს.

დიდია და დაუფასებელი ნიკო მარის ღვაწლი ქართული ცოცხალი მეტყველების — ხალხური ენის შესწავლის დარგში.

ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომებში მარი აცხადებდა, რომ დროა ხელი მივყოთ ქართული დიალექტების შესწავლას, ხალხური მეტყველების წიაღში დაბუდებული საუნჯის გამოვლენასა და გამომზეურებასო. ხშირად კილოკავებში უფრო ძველი ენობრივი მოვლენებია დაცული, ვიდრე კლასიკურ სალიტერატურო ქართულში და ამიტომ ენის ისტორიისათვის დიალექტებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოსო. ძალიან საყურადღებოა მარის შემდგომი მსჯელობა (ციტატი მოტანილია ავტორის ქართულად დაწერილი შრომიდან): „როცა ქართულის მონათესავე ენები გახდნენ შესწავლის საგნად, როცა ამ მონათესავე ენების კილოები დახასიათდნენ და ამოგვიჩინეს ჩვენ საძიებელ საბუთებთან ერთად თავისი შესანიშნავი სიმდიდრე, ქართული სალიტერატურო ენა, ძველიც და ახალიც ერთად შეერთებული, მათთან ნაკლულევანი გამოჩნდა“. ამიტომ, განაგრძობს ავტორი, „წარმოიშობა შეუწყნარებლად მკაცრი მოთხოვნილება, აუცილებელი საჭიროება ქართული კილოების — იმერულის, გურულის, იმერხევულის, ფშავურის და სხვა მრავალთა შესწავლისა“. ლაპარა-

კობს რა ისტორიულად სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ნიკო მარი აღნიშნავს, რომ ძველი სალიტერატურო ქართულის განვითარებამ ადგილობრივი ენები, დიალექტები და კილოები „გაანადგურა მთელ ქართულად მოლაპარაკე სივრცეზე", ვეღარ ვპოულობთ ნამდვილ დიალექტებს, ისინი კილოკავებად გადაქცეულანო.

მიმდინარე საუკუნის დამდეგს ნიკო მარმა, როგორც ზემოთაც ითქვა, იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში, კერძოდ — შავშეთსა და კლარჯეთში გიორგი ჭერჩილეს თხზულების გამოცემასთან დაკავშირებით. აქ ოდესღაც ჩქეფდა ქართველთა ცხოვრება. ქართული მეტყველება საფუძვლად ედებოდა ლიტერატურულ ენას და იგი, როგორც ერთ-ერთი დიალექტი, ვითარდებოდა და მდიდრდებოდა. ჟამთა უკუღმართობის გამო ეს მხარე ჩამოშორდა საქართველოს. ტაო-კლარჯული დიალექტალური ერთეულის უცხო ენობრივ სინამდვილესთან კატასტროფულმა შეხებამ გადაშენების გზაზე ღააყენა მესხური კილოს ის ძველი სახე, რომელიც გარკვეულ საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის შენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სამხრეთ საქართველოს მეტყველება ჟამთა ვითარებაში ისევე იქცა ნანგრევებად, როგორც უბრწყინვალესი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, ამსახველი ამ ძველ ქართულ სავანეში შემუშავებული მდიდარი კულტურული ტრადიციებისა.

კლარჯეთის სოფლებში, რომლებიც მდებარეობენ მდ. იმერხევისა და მისი შენაკადების აუზში მდ. ჭოროხის ხეობამდე, ნიკო მარი სრულიად მოულოდნელად წააწყდა ქართულ მეტყველებას. რომელიც „სულს ღაფავდა" და გადაშენების გზაზე იყო დამდგარი. თურმე მთლად არ გამქრალიყო ამ მიდამოებში ქართული ენა, მაჩვენებელი ძველი ტაო-კლარჯული მეტყველების უძველესი სახისა!

ჭოროხის ხეობაში დადასტურებული ქართული მეტყველების საცოდავი ნაშთის არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიული დიალექტოლოგიისათვის: ჩვენ საშუალება გვაქვს დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ის დიალექტალური გარემო, რომელიც საფუძვლად დაედო მეცხრე-მეათე საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენას.

ამრიგად, ნიკო მარის ეს მიგნება ჰეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობისაა.

მარმა ჩაიწერა დიალექტოგრაფიული ტექსტები (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები) და ეს უძვირფასესი მასალა გამოაქვეყნა დიალექტოლოგიური ხასიათის გამოკვლევისა და ლექსიკონის დართვით 1911 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში ამ შრომის გამოქვეყნებამდე ცნობილი იყო საზღვარგარეთელი სპეციალისტების — პროფესორების: ალტერის, ბროსეს, ერკერტის, შუხარდტის დაკვირვებები, ამასთანავე ჩვენი თანამემამულის — მოსე ჯანაშვილის ნაშრომები, მაინც ნიკო მარი უნდა მივიჩნიოთ ქართული მეცნიერული დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. მარის შრომა წარმოადგენს პირველ მეცნიერულ დიალექტოგრაფიულ პუბლიკაციასა და გამოკვლევას; მარმა სათავე დაუდო დიალექტოლოგიურ კვლევას, დაფუძნებულს მკაცრ აკადემიურ ნიადაგზე.

ნიკო მარმა ქართული კილოების შესწავლაში ფართოდ ჩააბა თავისი მოწაფეები. 1911 წელს აკაკი შანიძემ წინასწარი მუშაობა გასწია ფშავსა და ხევსურეთში, 1913 წელს კი ნაყოფიერად იმუშავა თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთსა და ხევში, შეკრიბა ძვირფასი მასალა ამ კილოების შესასწავლად და ვრცელი სამეცნიერო ანგარიში დაბეჭდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, 1913 წელს ვუკოლ ბერიძე იგზავნება იმერეთსა და რაჭაში; ამ ლინგვისტური ექსკურსიის შედეგად, როგორც ზემოთ ითქვა, ახალგაზრდა დიალექტოლოგი ქმნის დიდად საყურადღებო დიალექტოლოგიურ ლექსიკონს, რომელიც 1912 წელს ცალკე წიგნად იბეჭდება პეტერბურგში იმავე მარის რედაქტორობით. ფასდაუდებელი დიალექტოლოგიური ლექსიკის მასალაა შესული აგრეთვე ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“, რომელიც შეიცავს საბასულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებულ სიტყვებს (როგორც ითქვა, იგი დაიბეჭდა პეტერბურგში 1910 წელს ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით).

ნიკო მარი არ კმაყოფილდება მოპოვებული მასალებით და კიდევ უფრო აფართოებს ქართული ენის კილოებიდან მდიდარი საგანძურის გამომზეურების გეგმას. 1916 წელს დღის სინათლეზე გამოდის ქართულად და რუსულად „პროგრამა ქართული ენის დია-

ლექტური (ქილოკავური) მასალების შესაკრებად", რომელიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალურ მნიშვნელობას (შემდგენელნი: ი. ყიფშიძე, ა. შანიძე).

წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ქართული ენის დიალექტური ანუ კილოკავური მასალების შეკრება სამეცნიერო მოთხოვნილებათა თანახმად ახალი საქმეა. ჯერჯერობით ძლიერ ცოტა მასალაა შეკრებილი და ისიც მხოლოდ ზოგიერთი კილოკავიდან. სათანადო მასალის ნაკლულობა ქართული ენის ცოცხალ კილოკავების შესწავლა-გამოკვლევას დიდად აფერხებს. ამ საგნის შესახებ თითქმის არც ერთი შრომა არ მოგვეპოვება ჯერჯერობით, გარდა ა. შანიძის ეხლახან გამოქვეყნებული შემოკლებული გამოკვლევისა „ქართული კილოები მთაში". ამ მხრივ ქართულთან შედარებით უკეთ არიან შესწავლილი მისი თანამოძმე უმწერლობო ენები: მეგრულ-ჭანური და სვანური. ეს ერთი შეხედვით გასაოცარი მოვლენა იმით აიხსნება, რომ მდიდარი ქართული ლიტერატურა (ნამეტურ ძველი) ჩრდილავდა ცოცხალ კილოკავებს და უმწერლობო ენების შესწავლა კი არსებითად მხოლოდ საკილოკავო შეიძლებოდა ყოფილიყო. მართალია, ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება წარსული საუკუნის მე-60—70 წლებში დაიწყეს, მაგრამ არა საენათმეცნიერო, არამედ სალიტერატურო და საზოგადოდ საეთნოგრაფიო მიზნებისათვის". წინასიტყვაობის ბოლოს მითითებულია: „შეკრებილი მასალები უნდა გამოიგზავნოს ბანდეროლით ან კონვერტში საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სახელობაზე პეტროგრადში. ყოველგვარი წერილები და ამანათები, აკადემიის სახელობაზე საფოსტო კანტორებში მიტანილი, უფასოდ იგზავნება (საფოსტო დებულების 374 მუხლის ძალით)".

ეს არის პირველი საენათმეცნიერო ინსტრუქცია-პროგრამა ქართული ენის მასალების შესაგროვებლად.

ნიკო მარის საენათმეცნიერო ნააზრევში ცენტრალური ადგილი უჭირავს საკუთრივ ქართული ენის გრამატიკული აგებულების შესწავლას.

პირველი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა ქართული ენისა ეკუთვნის ნიკო მარს.

1908 წელს გამოდის მარის წიგნი „ძველი ქართული ენის გრა-

მატიკის ძირითადი ტაბულები". მოცემულია ტაბულები: ბგერათ-
კლასიფიკაციისა, ბრუნებისა (არსებითი სახელები, ნაცვალსახელე-
ბი), უღვლილებისა.

წიგნი მოასწავებს ახალ ეტაპს ქართულ გრამატიკულ ლიტე-
რატურაში,— მეცნიერული გრამატიკის შენების დასაწყისს. მარ-
თალია, წიგნი განკუთვნილია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუ-
დენტთათვის, რომელთაც ეკითხებოდა მარისეული საუნივერსიტე-
ტო კურსი ქართულ ენაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა დიდად
სცილდება სასწავლო მიზნებს და წარმოგვიდგენს ძირითადად ქარ-
თული ზმნის პირველ მეცნიერულ კლასიფიკაციას. ვინც ზმნა იცის,
მან ენაში ყველაფერი იცისო, ამბობენ, ხოლო თვით მარის გან-
მარტებით, ქართული „მორფოლოგიის ყველაზე ძნელი ნაწილი
ზმნა არის". ნაშრომი ეძღვნება მსოფლიო მეცნიერული ავტორი-
ტეტის აკადემიკოს როზენის ხსოვნას, როზენისა, რომელმაც ამაგი
დასდო თავის მოწაფეს პირველი მეცნიერული ნაბიჯების გადადგ-
მაში. ეს ის როზენია, რომელმაც, როგორც ითქვა, პირველმა ივა-
რაუდა — ბალავარიანი უთუოდ ქართულ ენაზედაც მოიპოვებო-
დაო, და დაავალა მოწაფეს, მოეჩხრიკა ძველი ქართული ხელნაწე-
რები ძეგლის აღმოსაჩენად. წიგნი დაბეჭდილია სანკტ-პეტერბურ-
გის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულ-
ტეტის 1907 წლის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს საერ-
თაშორისო ორიენტალისტური მეცნიერების აღიარებული ავტორი-
ტეტი აკადემიკოსი ბარტოლდი. მალე ამ ფაკულტეტის დეკანად ირ-
ჩევენ მარს, რომელმაც, აკადემიკოს ალექსეევის სიტყვით, ომი გა-
მოუცხადა ინერტულობასა და ტრაფარეტს და დაამყარა ახალი,
„მარისებური სტილი" მუშაობისა.

„ძირითადი ტაბულები" ის ნაშრომია, რომლის საფუძველზე
პროფესორ მარს ირჩევენ აკადემიაში.

საქმის ვითარება ასეთი იყო: 1908 წელს გარდაიცვალა აკადე-
მიკოსი როზენი და მისი კათედრა მეცნიერებათა აკადემიაში („აზიის
ხალხთა ლიტერატურისა და ისტორიისა") ვაკანტური გახდა. წამო-
აყენეს ნიკო მარის კანდიდატურა. მოხსენებით ბარათში, რომელ-
საც ხელს აწერენ საქვეყნოდ ცნობილი ორიენტალისტები — აკადე-
მიკოსები: ოლდენბურგი, რადლოვი, ზელემანი, იანჟული, კოკოვ-
ცოვი, დიაკონოვი, ლატიშევი, ნიკიტინი და ლაპო-დანილევსკი, აღ-

ნიშნულია „ახალი გზები“, რომლებიც გაკვალა მარმა ქართველოლოგიაში; ნათქვამია ისიც, რომ თავისი გამოკვლევებით მან ნიადაგი გამოაცალა „ქართველოლოგიის დარგში ძველი ტიპის ნაშრომების მეცნიერულ მნიშვნელობას“; რომ მისი სამეცნიერო ანგარიშები და ექსპედიცია „სამართლიანად მიჩნეულია სანიმუშოდ“.

1909 წელს ნიკო მარი აირჩიეს ადიუნქტად მეცნიერებათა აკადემიაში. ზემოხსენებული „ძირითადი ტაბულებით“ შეაღო კარი აკადემიაში გამოჩენილმა ქართველოლოგმა. 1912 წელს იგი აკადემიის ნამდვილი წევრია.

ძველი სალიტერატურო ქართული ენის სრულ გრამატიკას კი დღის სინათლე ეღირსა კარგა დაგვიანებით, 1925 წელს. ნ. მარს თავდაპირველად განუზრახავს გამოეცა მცირე ზომის გრამატიკა სტუდენტთათვის მოკლევე ქრესტომათიით. ამ უკანასკნელის შედგენა დავალებული ჰქონდა იოს. ყიფშიძეს. ჩემმა მოწაფემ თავის დროზე მოიხადა ვალი — გამოსცა სანიმუშოდ ძველი ქართული ენის ქრესტომათია ლექსიკონით, ხოლო მასწავლებელმა უმტყუნა თავის მოწაფეს და გრამატიკა დღემდის არ გამოუქვეყნებიაო, ამბობს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში. მაგრამ აქ მთავარია შემდეგი სიტყვები: „მოკვდა არა მხოლოდ ძვირფასი მოწაფე ი. ა. ყიფშიძე, წავიდა — როგორც გამქრალი ეპოქა — დრო ჩვენი თანამშრომლობისა, მ ო კ ვ დ ა ი დ ე ო ლ ო გ ი ა (ხაზი ჩვენია. შ. ძ.), იმ ეპოქის გრამატიკული შრომების საფუძველი, რომელიც გამომდინარეობდა მხოლოდ შედარებითი მეთოდიდან... მასწავლებელი არათუ თავისი მოწაფის მიმართ არ დარჩა ერთგული, არამედ თავის შეხედულებებშიც მტკიცე არ აღმოჩნდა“. უფრო მკვეთრად და მკაფიოდ ავტორის მეთოდოლოგიურ პოზიციას ეს სიტყვები გამოხატავს; „წიგნი ქვეყნდება მხოლოდ ახლა — მისი იდეოლოგიური სიკვდლის ოთხი წლის შემდეგ“.

როგორ უნდა გავიგოთ წიგნის წინასიტყვაობაში გამოთქმული ეს ავტორისეული აღსარება?

საქმე ისაა, რომ ძველი ქართული გრამატიკის გამოსვლის დროს ნიკო მარი უკვე სხვა მეთოდოლოგიურ ნიადაგზე დგას: იგი გატაცებულია მის მიერ შემუშავებული ე. წ. პალეონტოლოგიური მეთოდით, რომელიც უპირისპირდება ტრადიციულ შედარებით-ისტორიულ მეთოდს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ დაახლოებით ოციანი

წლებიდან მოკიდებული ნიკო მარის ენათმეცნიერული ძიებანი დაშორებულია ჰეშმარიტებას, რამდენადაც მათი ავტორი ასცდა იმ გზას, რომელსაც იგი ადრე მისდევდა. სრულიად უდავოა, რომ 4 ელემენტის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობილი ლინგვისტური ნააზრევი ანტიისტორიზმით სუნთქავს და ენობრივი ფაქტების ნებისმიერი ანალიზი ძალზე საეჭვოდ ხდის თეორიულ განზოგადებებს, რაგინდ მიმზიდველადაც არ უნდა გამოიყურებოდეს ეს დასკვნები თავისი გარეგანი ბრჭყვიალების მიხედვით.

ეს შეფასება ეხება მარის ენათმეცნიერულ შრომებს, რომლებიც მათი ავტორის მოღვაწეობის ბოლოდროინდელ პერიოდს განეკუთვნება.

„ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკის“ შედგენა ნ. მარს ადრე დაუწყია, „პალეონტოლოგიური მეთოდის“ მომარჯვებამდის; შემდეგ მთლიანად ვერ გადაუკეთებია ნაშრომი, შიგადაშიგ ჩაურთავს მხოლოდ ახალი თვალსაზრისით მოპოვებული შედეგები და, ამრიგად, ეს გრამატიკა მშვენიერი ნიმუშია ეკლექტიზმისა და მართალი და არამართალი დასკვნების თვისებური მექანიკური შეხამებისა.

გრამატიკას ადგილ-ადგილ ზიანს აყენებს აგრეთვე ქართულ-სემიტური თეორიის პოსტულატები.

და მაინც ნიკო მარის ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა ისტორიული ფაქტია და იგი უნდა მივიჩნიოთ პირველ მეცნიერულ გრამატიკად, მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, მიუხედავად მისი „იდეოლოგიური სიკვდილისა“, როგორც ამას გულახდილად გვაუწყებს თავად ავტორი.

ნიკო მარის კალამს ეკუთვნის ახალი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოც, რომელიც გამოცემულია ლენინგრადის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის მიერ, როგორც სავალდებულო წიგნი ქართული ენის პრაქტიკული კურსის მსმენელთათვის. ამ კურსს თავად მარი კითხულობდა. სახელმძღვანელო აგებულია ორიგინალურად, იგი არ ჰგავს ამ ტიპის ჩვეულებრივ სახელმძღვანელოს. წიგნს აზის ერთგვარი ინტიმობის ბეჭედი; ზის აუდიტორიაში პროფესორი და უყვება სტუდენტებს, როგორც „საინტერესო ამბავს“, გრამატიკული კატეგორიების შესახებ, იოლად და მოხდენილად აპარებს მსმენელს რთულ გრამატიკულ სქემებს, შიგადა-

შიგ გაბმით ელაპარაკება ქართულად, და რა ხასიათის ტექსტს არ შეხვდებით ამ დიალოგებში: გურიაში მწყერზე ნადირობის ამბავს ცელის ცნობები საქართველოს მდინარეების, ქალაქების, სოფლების შესახებ, აქვეა ისტორიული ეპიზოდებიც, ქართული ყოფის რეალიებიდან დამაინტერესებელი ფაქტების მოყოლა, ქართული პოეზიის ნიმუშების დასახელება და ა. შ.; არ არის დავიწყებული შემთხვევითი ამბებიც. დამახასიათებელია ასეთი ადგილები: „უკაცრავათ, გასულ ხუთშაბათს ლექცია გამოვტოვე. ეს მოხდა ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზით. ცენტრალურ მუზეუმების კონფერენცია გახლდათ მოსკოვში... თავმჯდომარეთ გამომირჩიეს“ ანდა: „—ქველი ჟურნალ-გაზეთების სახელები იცით? — დიახ, ამხანაგო! — ჩამომითვალეთ... — დღესდღეობით რა ჟურნალ-გაზეთებს დამისახელებთ? — „კომუნისტს“, „წითელ ვარსკვლავს“, ეგ გაზეთებია; ჟურნალთაგან კი „კავკასიონი“ (შეწყდა), „მნათობი“... ან კიდევ: „მშვიდობით, დროებით ვწყვეტ ლექციებს. საგრამატიკო კურსი ხომ დაგიმთავრეთ. რაც სასწავლათ მასალა მქონდა უკვე მოგაწვდინეთ. ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი... პროგრამაა. თქვენი პროგრამის პირობით მე უფრო ბევრი მოგაწოდეთ...“ და ა. შ. პოეტური ნიმუშებიდან უმთავრესად დასახელებულია ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ქმნილებანი.

1927-1928 წლებში ნიკო მარი მიიწვიეს პარიზის აღმოსავლეთის ცოცხალი ენების ინსტიტუტში ძველი ქართული ენის თეორიული კურსის წასაკითხავად.

შესავალი ლექცია იწყება შემდეგი სიტყვებით: „პირველი ჩემი სიტყვა იქნება, გთხოვოთ მოიღოთ მოწყალება უცხოელის მიმართ, რომელსაც არასოდეს არ ღირსებია პატივი, გამოსულიყო სალაპარაკოდ ex cathedra (კათედრიდან) თავის დედაენაზე, — ჩემი დედაენა ქართულია. ახლა ჩემს მრავალრიცხოვან ცოდვებს მე უნდა მივუმატო ერთი ცოდვაც — დავამახინჯო მიუხედავად ჩემი მისდამი სიყვარულისა, შესანიშნავი ფრანგული ენა, და მერე სად? მისი ბრწყინვალებისა და მსოფლიო გავრცელების წყაროს ცენტრში!“ შემდეგ მოდის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქართველოლოგია ახალი და უცხო რამ ხილი არ არის საფრანგეთისათვის; უდიდესმა ფრანგმა ქართველოლოგმა ბროსემ თავისი პირველი ნაშ-

რომი გამოაქვეყნა აქ, პარიზში, 1827 წლის ივნისში. მარი ახასიათებს ბროსეს ტიტანურ მუშაობას, იგონებს პროფ. სენ-მარტენს და სხვ. მეცნიერებს; მოკლედ აცნობს მსმენელებს ქართველოლოგიის ისტორიას; სწორედ აქ აცხადებს მარი, რომ მოძველდა შეხედულებები უცხო გავლენების შესახებ ქართულ მწერლობაში. მიუთითებს რუსთაველის მსოფლმხედველობის წმინდა ქართულ წყაროებზე და ა. შ.

თვეების მანძილზე კითხულობდა ნიკო მარი ლექციებს და მისი მსმენელები იყვნენ ქართული ენის სტრუქტურით დაინტერესებული მეცნიერებიც, მათ შორის — პროფესორი მორის ბრიერი, რომელიც სტენოგრაფიულად იწერდა ლექციებს.

1931 წელს პარიზშივე ქვეყნდება (ფრანგულ ენაზე) ქართული ენის მთლიანი კურსი; ეს 800-გვერდიანი წიგნი გამოცემულია მდიდრულად, შესავალ ნაწილში მოცემულია საქართველოს რუკა და ძირითადი ცნობები ძველი საქართველოს მოღვაწეებზე, წიგნის თანაავტორია პროფესორი მორის ბრიერი.

ზედმეტია აქ ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფრანგულად გამოქვეყნებულ ქართული ენის გრამატიკას, ამ კაპიტალურ წიგნს, მეცნირებისათვის და, საერთოდ, ჩვენი კულტურის საერთაშორისო სარბიელზე პროპაგანდისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომს ახლავს ზოგიერთი მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლი იმ ასპექტში, რომელზედაც საუბარი გვქონდა ზემოთ, ლენინგრადში გამოცემულ გრამატიკასთან დაკავშირებით.

ნიკო მარი თავის ენათმეცნიერულ ნაშრომებში არაერთგან შეხებია ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნის და განვითარების კონკრეტულ საკითხებს. იგი ვარაუდობდა, რომ თავდაპირველად ქართული მწერლობა იბერულ ენა-კილოზე ვითარდებოდა, შემდეგ სალიტერატურო ენას საფუძვლად ქართების კილო დაედო. მარის კონცეფციით, მართალია, ქართული მწიგნობრობის რეალური ისტორია მე-5 საუკუნიდან იწყება, მაგრამ მას ფესვები შორეულ წარსულში უნდა ჰქონოდაო. „სალიტერატურო ქართული ენა ქრისტიანობაზე ადრე გამომუშავებული უნდა ყოფილიყო და ქრისტიანულ მწიგნობრობას მას მხოლოდ თავის საინტერესო ნაწილში გაუვითარებია“.

ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ „საქართველო“ არის, „უპირვე-

ლეს ყოვლისა, ეროვნულ-კულტურული ტერმინი". ხაზგასასმელია, რომ ისტორიულად „საქართველო ყოფილა მთლიანი, როგორც ეროვნულ-კულტურული ერთეული". იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც განაპირობეს ქართველი ხალხის ერთიანობა, ნ. მარი განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ქართულ სალიტერატურო ენას resp. ქართულ ლიტერატურას. „მისი შემაერთებელი იყო... საზოგადო სალიტერატურო ენა"; ლიტერატურამ „კიდევ უფრო მჭიდროდ და ძლიერად შეაკავშირა საქართველოს ტომები: განმტკიცდა და დამყარდა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა ერთი სალიტერატურო ენითურთ და ეს სალიტერატურო ენა ცნობილი იქნა ქართულად".

უაღრესად საყურადღებოა და მეცნიერული თვალსაზრისით გამართლებული ნ. მარის შეხედულება სალიტერატურო ქართულის შენებაში კილოების მონაწილეობის შესახებ. ნ. მარი ამბობს, რომ თუ თავდაპირველად მწერლობის ენის საფუძველი იყო ქართლური კილო, შემდეგ და შემდეგ, ასე მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებიდან სალიტერატურო ენის განვითარებაში მონაწილეობას იღებენ „სხვა ქართველი ტომებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვანი და მათ საერთო ქართულ ლიტერატურაში ერთად შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი, ვიდრე მხოლოდ ქართლელებს". ქართველი ტომების შემადუღებელი სწორედ სამწერლო ენაა. ერთ დიალექტზე დაფუძნებული სალიტერატურო ენა თანდათან „გადაიქცა საერთოეროვნულ ენად".

რადგან ქართულ სალიტერატურო ენაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ყველა ქართველ ტომს, ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი" კარგად ესმით გურულებს, იმერლებს თუ სხვა ტომებსო, — ამბობს მარი. მეტიც: ძველი ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში ზოგჯერ გვხვდება ისეთი ფორმები თუ სიტყვები, რომლებიც „შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილას უცნობი არიან" და გასაგები კია დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის. საინტერესოა ისიც, რომ „საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჰანურს (ანუ მეგრულს) და სხვა სიტყვებს".

ნიკო მარის ზემოხსენებული თვალსაზრისი კონდენსირებულად ჩამოყალიბებულია მისსავე ფორმულირებაში:

„ამ რეალური კულტურულ-ისტორიული შეხედულების მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვე სვანურია და მეგრული, იმდენადვე გურული და იმერული, რამდენადაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა ქართველი ტომისათვის, სულ ერთია, რა კილოზედაც უნდა „საუბრობდეს იგი სახლში, თავის კერასთან, და ასეთი მდგომარეობა გუშინდელი ამბავი რიღია, მას აქეთ ათ საუკუნეზე მეტს გაუვლია“.

ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებას თავის დროზე ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ ენაზე იყო შესრულებული არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო ხასიათის თხზულებანიც. ძველ სამყაროში ამასაც მნიშვნელობა ჰქონდა. ნ. მარი გმობდა რა დეკანოზ ვოსტორგოვის შეხედულებას, გამოთქმულს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო, მიუთითებდა, რომ „ქართული ეკლესია არის არა მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ ადგილობრივი, ეროვნული, მას აქვს წინაპართაგან ნაანდერძევი ენა, საუკუნეებით ნაკურთხი და განწმენდილი, თავისი საკუთარი თქმულებანი, წინაპართაგანვე გადმოცემულნი, თავისი ადგილობრივი ეროვნული მოწამენი, თავისი ეროვნულ-ეკლესიური იდეის მიმდევარი მოღვაწენი“. ნ. მარი დასძენს: ნაციონალური „იდეის რეალურმა განხორციელებამ დიდი ხანია შეაერთა ეროვნულად და კულტურულად ყველა ქართველი ტომი ერთი სულითა და ერთი ხორცით მონათესავე სხეულად“.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ნ. მარს უფლება აქვს დაასკვნას: ძველმა სალიტერატურო ქართულმა „მაღალ განვითარების წერტილს“ მიაღწია, იგი „ისრუტავდა არა მხოლოდ ერთი რომელიმე დიალექტის საუკეთესო ელემენტებს, არამედ მთელი ქართული კილოების მასალასაც“.

დიდად საგულისხმოა მარის შემდეგი შეხედულებაც: საკუთრივ ქართული სალიტერატურო ენა ისტორიულად ხელს უწყობს კილოების, მათ შორის მეგრულ-სვანურის, თავისებურებათა წაშლას და ნიველირებას; „თუმცა ეს გარემოება სამეცნიერო კვლევას აძნელებს ბევრი მასალის მოსპობით“, მაგრამ საზოგადოებრივად, ეროვნული თვალსაზრისით ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა და „ძველი ქართულის გამარჯვებას მოასწავებს, მის კულტურულ

ძლიერებას და მასზე დამყარებულ გაბატონებას“ მთელი საქართველოს სამკვიდრებელშიო.

მარი მეტსაც ამბობს: სალიტერატურო ქართული „უახლოვდებოდა არამონათესავე ენებსაც, მოჰქონდა მათგან მაღალგანვითარებული... ადამიანისათვის საჭირო მოხვრანი და ტერმინები და ინელებდა, ვითარცა საკუთრებას და თვითონაც მსოფლიურდებოდა“, ე. ი. მსოფლიო მნიშვნელობის ენად იქცეოდაო.

ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით სავსებით საღი და მართებული მსჯელობაა. ქართული საერთო ეროვნული ენის ხასიათსა და მნიშვნელობაზე ძნელია უფრო მარჯვე ფორმულირებას მოძებნა.

ზემოთ დამოწმებული ციტატებიდან ისიც ჩანს, რომ, ჩვენი მეცნიერის აზრით, ქართულ მწიგნობრულ ენაში დროთა განმავლობაში ინერგებოდა სხვა ენების ლექსიკური ელემენტები და ეს პროცესი ენის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მომასწავებელია. მართლაც, ნიკო მარის ფილოლოგიურ გამოცემებზე დართულ გამოკვლევებში გამოვლენილია უცხოური სიტყვები, რომლებიც ან თუ იმ ენობრივი ძეგლის თარგმანის საშუალებით შემოსულა ქართულ სამწერლო ენაში და აქედან გავრცელებულა მთელ ენაში.

ენის ორგანიზმში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე — მეტ-ნაკლები პროპორციით—შედის უცხოური ენის ლექსიკური ელემენტები. ერთი მეცნიერის თქმით, ნასესხები სიტყვების შემოტანა ენის ორგანიზმში ერთგვარი აცრაა, მაგრამ აცრა არა მაავადებელი შხამით, არამედ მაცოცხლებელი ნივთიერებით, და ეს პროცედურა ენის გამაახლებელი საშუალებაა. ეს არის გარდაუვალი ბედი ყოველი ენისა. არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც გადარჩენოდეს უცხო გავლენას თავისი განვითარების თუნდაც რომელიმე ეტაპზე. ენათა ურთიერთშეხვედრა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს არის შედეგი ამ ენების მატარებელ ხალხთა საურთიერთო კონტაქტისა ისტორიულ ვითარებაში. და მართლაც, არც ერთი ენა არ ასცდენია შეხებას სხვა ენობრივ კოლექტივთან. მაშასადამე, ეთნიკური თანამიმართება ლინგვისტური თანამიმართების საფუძველი და წინაპირობაა.

ცხადია, უფრო კულტურული ხალხი მეტს ასესხებს, ვიდრე ნაკლებკულტურული. ამავე დროს, სიტყვების ხასიათი ამ შემთხვე-

ვაში სხვაა. მაგალითად, ერთ გრამატიკოსს შენიშნული აქვს, რომ ინგლისურში ცხოველების სახელწოდებები ანგლო-საქსური წარმოშობისაა, ხოლო სახელწოდებები ამ ცხოველთა ხორცის კერძებისა, რომლებსაც სუფრაზე ჩამოარიგებენ, ნორმანულ-ფრანგული წარმოშობისა. ვალტერ სკოტი თავის „აივენგოში“ ამ ფაქტს ასე ხსნის: ამ ცხოველების მომვლელი მწყემსები ანგლო-საქსები იყვნენ, ხოლო ბატონები, რომლებიც მიირთმევდნენ მათს ხორცს, ნორმანები იყვნენო. და მართლაც, ინგლისურში გემრიელი საჭმელების სახელები ნორმანულ-ფრანგული წარმოშობისაა. დამახასიათებელი მაგალითია.

სიტყვათსესხება ხდება თარგმანების გზითაც.

ქართულ ენას მიუღია ბერძნული, არაბული, სპარსული, სირიული, სომხური და სხვა ენათა ლექსიკური ერთეულები. ამ ენებთან კონტაქტს არ შეეძლო თავისი კეთილმყოფელი დაღი არ დაესვა ჩვენი ენის ლექსიკურ შემადგენლობაზე.

მაგრამ სიტყვათა მეტისმეტი მოზღვავება ადუნებს ენას და ხელს უწყობს საკუთარი მასალის უგულებელყოფას. ნიკო მარი მიიდევნილად ამბობდა: „ქართული ენა სხვა კულტურულ ენებთან ხშირად უთანასწორო ბრძოლაში ყოველთვის გამოდიოდა გამარჯვებული და ამით მტკიცე საფუძველს უქმნიდა ქართველი ხალხის დამოუკიდებელ არსებობასო“.

ცალკე განხილვის ღირსია ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობანი.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ისტორიულ წარსულში ქართველებსა და სომხებს მჭიდრო კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული. ბევრი ლიტერატურული და სამეცნიერო თხზულება ითარგმნებოდა სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად. ეს პროცესი ორივე ერის სულიერი კულტურის გამდიდრების დამადასტურებელია. უცნაური და გაუგებარი ის იქნებოდა, რომ უძველესი ქრისტიანული კულტურის ამ ორ ხალხს ერთმანეთისაგან არაფერი ესესხა და გადმოეღო საუკუნოებრივი ძმობის პირობებში. მწიგნობრული ურთიერთობის თუ უშუალო კონტაქტების გზით, ბუნებრივია, სომხური სიტყვები ქართულში გადმოდიოდა და ქართული სიტყვები — სომხურში. სიტყვათა ეს მდინარებაც ორივე ენის გამდიდრებას უწყობდა ხელს.

ასე, მაგალითად, ნიკო მარის მიერ გამოცემულ ერთ ენობრივ ძეგლში („ფიზიოლოგი"), რომელიც სომხურიდანაა ნათარგმნი, დადასტურებულია სომხურიდან ნასესხები შემდეგ სიტყვები: „ახოვანი", „ბილწი", „კატაბანი", „კოლტი", „პატივი", „ჟამი", „სასტიკი", „ქურუმი", „ჰეშმარიტი", „ხარკი" და სხვ.

ასევე, ნ. მარის მიკვლევით, მთელი რიგი სიტყვები ქართულიდანაა შესული ისტორიულ სომხურში („ველი", „ყრმა", „წვრთნა", „ცხოვარი", „პირი", „საუნჯე", „ვარდნა" და სხვ.: სომხურში ისინი გადასხვაფერებით იხმარებიან).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზოგჯერ ერთი შეხედვითაც ნათელია სიტყვის წარმომავლობა, ხშირად ჰირს იმის გარკვევა — ქართულიდანაა ესა თუ ის სიტყვა სომხურში შესული თუ სომხურიდან — ქართულში. ასე, მაგალითად, პროფესორი ჰრ. აჭარიანი, ავტორი სომხური ენის დარგში ფუნდამენტალური შრომებისა, იწყმუნებოდა, რომ სიტყვები — „კალო", „ნეხვი", „ლორწო", „ხოცვა" ქართულში სომხური ენიდანაა შესულიო. პროფესორი ჰანს ფოგტი კი (ერთ დროს ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი მკვლევარი ქართული ენისა) პირიქით ამტკიცებს: ზემორე სიტყვები სომხურმა ქართულიდან ისესხაო.

ზემოთ ვბაასობდით ისეთ ქართულ-სომხურ სიტყვებზე, რომელთა სესხება ხდებოდა სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის, ასე ვთქვათ, ისტორიულ ხანაში, ქრისტიანულ ეპოქებში, ჩვენი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის დოკუმენტურად დადასტურებული ძეგლების მიხედვით.

ახლა გავეცნოთ უფრო რთულ საკითხს.

ნიკო მარის კონცეფციით, ქართულ ენობრივ სამყაროს დიდი გავლენა მოუხდენია სომხურ ენაზე წინაისტორიულ ხანაში, უძველეს პერიოდში, როდესაც ხდებოდა სომხური ეთნოსის ფორმირება. შესაბამისად — სომხური ენის ჩამოყალიბება.

ნიკო მარის უდიდესი წვლილი არმენოლოგიაში სწორედ ეს არის. კონცეფციის სქემა ასეთია: სომხური ნარევი ენაა, ორბუნებოვანია; ერთი ფენა, შენარევი და შეზრდილი სხვა ფენასთან, ქართველურ-კავკასიურ სამყაროსთან სიახლოვით არის აღბეჭდილი.

გავეცნოთ უფრო მიახლოებით ამ მეცნიერულ პრობლემას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდათიან-ორმოციან წლებში არმენისტები— პეტერმანი და ვინდიშმანი ამტკიცებდნენ, რომ სომხური ინდოევროპული მოდგმის ენაა. შემდგომ დავას იწვევდა საკითხი, თუ სომხური ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომელ ქვეჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. გასული საუკუნის მიწურულში გაბოქვეყნდა ცნობილი გერმანელი პროფესორის ჰიუბშმანის სომხური ენის გრამატიკა, სადაც შეჯამებულია წინამორბედი არმენისტების მუშაობა და მიღებულია დასკვნა: სომხური ინდოევროპული ენების დამოუკიდებელი წევრია (მოთავსებულია სლავურ-ბალტიური და ირანული ჯგუფების შუა და უფრო უახლოვდება ევროპულ ჯგუფს, ვიდრე აზიურს). სომხურის შესახებ მდიდარი ლინგვისტური ლიტერატურა არსებობს.

მართალია, მეცნიერებაში სომხური ენა ერთხმად აღიარებულია ინდოევროპული წარმოშობის ენად, მაგრამ საგნის სპეციალისტებმა ისიც შენიშნეს, რომ ამ ენაში დაიძებნება მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც არ აიხსნებიან ინდოევროპული ენების საფუძველზე. მაგალ., დე-ლაგარდს 2413 სიტყვის ანალიზის მიხედვით გამოჰყავდა დასკვნა, რომ სომხურში მოიპოვება უცნობი ენებიდან შესული სიტყვები და ფორმები. დიდმა ფრანგმა მეცნიერმა ა. მეიემ უცნობ ლექსიკურ ერთეულებს გრამატიკული ფორმებიც მიუმატა. აკადემიკოს აჭარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით 10996 სომხური სიტყვის ძირიდან მხოლოდ 713 ძირია საერთო ინდოევროპული ენების ძირებთან.

ასე, ამრიგად, სომხურ ენაში გამოიყო ინდოევროპული ენების თვალსაზრისით აუხსნელი ელემენტები.

ნიკო მარი იმთავითვე კატეგორიულად აცხადებდა: „სომხური ენა დღემდის ამოუხსნელი გამოცანაა მეცნიერთათვისო".

სად იყო საძიებელი ამ გადაუწყვეტელი ამოცანის გასაღები?

ჯერ კიდევ იმ დროს, როც მარი მსჯელობდა სომხური სალიტერატურო ენის ევოლუციის ძირეულ საკითხებზე, იგი ამბობდა: „მეხუთე-მერვე საუკუნეების ძველ სომხურ სამწერლო ენაში მოხდა რაღაც გარდატეხა. ძველი სომხური სამწერლო ენის ზოგი თავისებურება, გაბატონებული ამ მომენტამდის, აშკარავდება იმ ქართული ძეგლების შესწავლით, რომლებიც ნათარგმნია სომხურიდან". ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ მარი ქართულ მა-

სალებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხური ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ენის საკვანძო საკითხის გადასაჭრელად.

და როცა დაისვა სომხურის უცნობი ფენის ამოცნობის პრობლემა, ნიკო მარმა, სრულიად ლოგიკურად, საკვლევაძიებო გეზი ქართული ენისაკენ აიღო.

„ძველი სომხური ენის გრამატიკაში“, რომელიც 1903 წელს გამოვიდა, ნ. მარი აღიარებს, რომ არიული ენების ელემენტებით არ ამოიწურება სომხური ენის აგებულება; სომხურში ინდოევროპულ ენათა ფენასთან შერწყმულია რომელიღაც უცნობი ლინგვისტური ოჯახის ნალექი. მაშასადამე, სომხური ნარევი ტიპის ენად გამოიყურებაო.

რომელი ლინგვისტური ოჯახის სინამდვილიდან მოდის ეს ნალექი თუ ფენა სომხური ენისა? — აყენებს საკითხს წიგნის ავტორი. პასუხი ასეთია: „ამ უცნობი ოდენობის ფიზიონომია თანდათან მოიხაზა ჩემთვის იმ მუშაობის დროს, რომელსაც ვაწარმოებდი სემიტურ ენებთან ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს გენეტური ნათესაობის დასადგენად“. სხვა ნაშრომში ნათქვამია: სომხურზე უძველეს პერიოდში დიდი გავლენა მოუხდენია სხვა ენებს. „გამვლენელ ენებში ადგილი აქვს ქართულსაც“, უპირატესად ისეთ ქართველურ ენებს, — ვანაგრძობს მარი, — როგორიცაა „ივერიული, ესე იგი მეგრული და ჭანური. თანაც ირკვევა, რომ გარდა ამ მეზობელი ენების ზედწალეკილი გავლენისა, სომხეთის ორივე ენის (იგულისხმება ე. წ. ჰაიკური და არმენული. შ. ძ.) თვითჩასახვაში დიდი წილი უდევს... სვანურს... სვანურში უნდა ვეძიოთ ყველაზე უპირველესათ სომხეთის ლურსმული წარწერების გამოცანის ახსნა“.

ამრიგად, ნიკო მარმა წამოაყენა თეზისი სომხური ენის თავდაპირველ ფორმირებაში ქართველური ენების (საკუთრივ ქართულისა და, ამასთანავე, მეგრულ-ჭანურ-სვანურის) მონაწილეობისა, ე. ი. იმ ზეგავლენისა, რომელიც განუცდია უძველეს სომხურ ენას მეზობელი ქართული ენობრივი სამყაროსაგან. როგორც ეტყობა, თანამედროვე სომხებისა და ქართველების უშორეულეს წინაპრებსაც მჭიდრო მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული.

წამოყენებული დებულების კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ - ე ნ ო ბ რ ი ვ მასალაზე გაშლა მარმა სცადა ცოტა მოგვიანებით: 1911 წლიდან მოკიდებული საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში ნაწილ-ნა-

წილ იბეჭდება მისი გამოკვლევა „იაფეტური ელემენტები სომხეთის ენებში“. ამ ვრცელი შრომის ბოლო ნაკვეთი გამოქვეყნდა 1919 წელს; 1911—1919 წლებში სულ დაიბეჭდა ზემოხსენებული სათაურით 11 ნაკვეთი. ტერმინ „იაფეტურში“ აქ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ქართველური ენობრივი წრის მონაცემები.

გამოკვლევებში გაანალიზებულია აურაცხელი ქართველური სიტყვა, რომლებიც, თანახმად ავტორის მტკიცებისა, შესულია სომხური ენის უძველეს დაფენებაში სათანადო ფონეტიკური სახეცვლილებით.

წინამდებარე წიგნის ხასიათი და დანიშნულება ერთობ მზღუდავს და საშუალებას არ მაძლევს, მკითხველს გავაცნო ქართულიდან სომხურში შესული სიტყვების ეს გრძელი ჯაჭვი და მათი მოდიფიკაცია სომხური ენის სინამდვილეში; ამგვარი ექსკურსი დაამძიმებდა ჩვენს თხრობას, რამდენადაც გვერდს ვერ ავუხვევდით სპეციალურ ტერმინოლოგიას და რთულ ენათმეცნიერულ მანიპულაციებს (მაინც მივუთითებთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბის ნომრებს: 1911 წ. — №№ 2, 6; 1912 წ. — №№ 8, 13; 1913 წ. — №№ 3, 9; 1914 წ. — №№ 5, 16; 1916 წ. — № 4; 1918 წ. № 3, 1919 წ. — № 2).

სომხური ენა რომ ჰიბრიდულია, ნარევი და ლინგვისტურად ორბუნებოვანი (ნასევრად ინდოევროპული და ნახევრად „კავკასიური“ — ქართველური ენობრივი სამყაროს ელემენტებით შეზავებული), სრულიად უეჭველი და მეცნიერულად დამტკიცებული დებულებაა.

პროფ. კარპეზ დონდუას სამართლიანი თქმით, წინაარიულ სომხეთში ქართველური ფენის აღმოჩენა იყო „ნამდვილი რევოლუცია სომხური ენის შესწავლის დარგში“.

ნიკო მარი იკვლევდა ქართული ენის მონათესავე ენებს მსოფლიოს ენათა შორის. ზემოთ აღინიშნა, რომ მისი ძველი თეორია ქართული და სემიტური ენების გენეტური დაკავშირების შესახებ მეცნიერულად არ დადასტურდა. გარდა ამისა, ჩვენი მეცნიერი ყურადღებას მიაპყრობდა მცირე აზიის უძველეს გადაშენებულ ენებს, არქაული ცივილიზაციის მატარებელ ენობრივ ჯგუფებს, რომლებშიც ბევრი მეცნიერი ხედავდა ქართულის წინაპარ ენებს. სამწუხაროდ, მარს ამ დარგში ჩამოყალიბებული შეხედულებები არ

წამოუყენებია. პოლო ხანებში მკვლევარი ბასკურისა და ქართულის ნათესაობაზე ლაპარაკობდა. მან რამდენჯერმე იმოგზაურა ბასკეთში და სპეციალური შრომაც კი გამოაქვეყნა („პირენეული გურიიდან"). ზოგიერთი პარალელის მიუხედავად (მაგალ. „ბურუ" — თავი, შეადარე ქართ. თავსაბურავი და სხვ.), ავტორის მსჯელობა ძალზე საეგებიო და ჰიპოთეტურია. ხშირად—სრულიად უსაფუძვლო. ეს არც გასაკვირია, რადგან მარი თავისი მეცნიერული შემოქმედების ამ პერიოდში ენათა ნათესაობას მარტოოდენ ლექსიკურ მსგავსებებზე ამყარებდა და ენის აგებულებას კი ყურადღებას არ აქცევდა, თანაც „პალეონტოლოგიური მეთოდოლოგია" თავის ზენიტში იმყოფებოდა, მეთოდოლოგია, რომელიც არამეცნიერულია და ენობრივი ფაქტების ნებისმიერი ანალიზისათვის სტიმულის მიმცემი. ამ სფეროში მისი „დაუცხრომელი ცდის უნაყოფობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლია ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც-კი, როგორიც უცილობლად აკად. ნ. მარია" (ივ. ჯავახიშვილი).

ჩვენი მეტყველების სიღრმეში ჩახედვამ და მისი რთული აგებულების გათვალისწინებამ ნიკო მარს შეუმუშავა სრულიად ნათელი აზრი ქართული ენის მდიდარი ბუნებისა და ისტორიული ოღლის შესახებ.

აი რას ამბობს ქართული ენის სწორუპოვარი მცოდნე და მისი დაუცხრომელი მკვლევარი 1922 წელს პეტერბურგში გამოსულ წიგნში — „თანამედროვე ქართული ენის შესწავლისათვის" (ციტატი მოგვყავს აკად. ივ. ჯავახიშვილის თარგმანით):

„ქ ა რ თ უ ლ ი დ ღ ე ვ ა ნ დ ლ ა მ დ ე ტ ო მ ო ბ რ ი ვ ი კ ი ა რ ა, ა რ ა მ ე დ ე რ ო ვ ნ უ ლ ი ე ნ ა ა... ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო დ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ო ბ ი ს ე ნ ა ა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული, ისეთ ტომებსა და ერებს შორისაც კი, რომელნიც ტომობრივი წარმოშობილობით, ანდა თავიანთი პრაქტიკული ყოფაცხოვრებით მათზე სრულებით შორს დგანან, ამასთანავე სარწმუნოებისდა მიუხედავადაც ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს

საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ დიდოელნი, და თურქებიც კი... წარსულთან შეხარებით ქართულს, ვითარცა კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილი (პოზიცია), რასაკვირველია, დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისების მქონეა... კავკასიის საზომიან საერთაშორისობასთან ერთად ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩნია. ორივე ეს თვისება... უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია... ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ერი არ იღებდა. ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების, რომელიც ძველადაც ერთი საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა, სინთეზიც არის“

ივანე ჯავახიშვილთან ერთად ჩვენც ვიტყვით, რომ „აქ ყველაფერი ნ. მარისათვის ისეთი ჩვეულებრივი ნივთია და მკვევრმეტყველებით არის ნათქვამი, რომ არაფრის დამატება საჭირო არ არის, მაგრამ ამის შემდგომ ქართული ენის ნამდვილი რაობის შესახებ ვსჯელობის გაგრძელებაც, ვგონებ, სრულებით ზედმეტი იქნებოდა“.

ნიკო მარი არაერთგან ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ენა მსოფლიოში ერთი უმდიდრესი ენათაგანია, რომ ქართული თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიო ენაა.

მოვუსმინოთ თვით მარს:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნებებზე მხოლოდ გადაიღებს სა-

ჰირო აზრს... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია".

კიდევ:

„რომ ძველი საქართველოს წინსვლა უდღეურად არ შეწყვეტილიყო, დიდი ხანია ქართული ენა ერთი მსოფლიო ენათაგანი იქნებოდა".

უტყუარი საბუთი ამისა ვეფხისტყაოსნის ენაც გახლავთ.

შოთას ენა „არათუ ადგილობრივი არ არის... იგი უკვე მსოფლიო ენა არის".

მარის ერთ წიგნს ასეთი სათაური აქვს: „რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში".

აქედან სავსებით გასაგებია, რომ ამ უმდიდრესი და უბრწყინვალესი ენის მეცნიერული შესწავლა ფრიად საშურია და ზოგადლინგვისტური ინტერესის შემცველი.

მღელვარე ტემპერამენტის მქონე ნიკო მარი საოცარი დაჟინებითა და დიდი გატაცებით ქადაგებდა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საჭიროებას უცხოეთის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. ყველგან, სადაც კი იკვლევენ კაცობრიობის უძველეს ისტორიას, ანდა საბერძნეთის თუ რომის ისტორიას, მარის რწმენით, ქართული ენაც უნდა ისწავლებოდეს; აუცილებელია „ქართულს და მის მონათესავე ენებს ფართოდ გაეღოს კარი ყოველ უნივერსიტეტში". დღეს „უკვე შესაგნებია, თუ რა ძვირფას განძს უნდა წარმოადგენდეს ქართული და მისი მოძმე ენები მეცნიერებისათვის... მხოლოდ მათში არის დაუნჯებული ცოცხლად... კაცობრიობის... ისტორიის გადანაშთენი".

1911 წელს მარი სიამოვნებით აღნიშნავდა: „ბერლინში მსოფლიოდ ცნობილმა ჰარნაკმა პირადად მითხრა განმეორებით, რომ დარწმუნებული იყავით, ჩვენ დავაფუძნებთ ქართული ენის კათედრასთ... ოქსფორდში უკვე დაფუძნდა ქართული ენის კათედრა". მაგრამ ეს არ კმარაო, დასძენდა მეცნიერი: „ეგ მეცნიერული ინტერესის მეტად მცირე გამოჩენა გახლავს შედარებით იმ დიად მნიშვნელობასთან, რომელიც აქვს ქართულ ენას მეცნიერებისათვის". პარიზსა და ბერლინში ქართველ სტუდენტებთან წაკითხულ ლექციებში მარი ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, მარჯორი უორდროპის ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც ამერიკელი რობერტ

ბლეიკი, ჩემი მოწაფე, მიწვეულია ძველი ქართული ლიტერატურის კურსის წასაკითხავად მაისში (ამ დღეებში), თავის ნაყოფს გამოიღებს; უნაყოფოდ არ დარჩება არც ვენაში დაფუძნებული მეალმოსავლეთეთ სამკვლევრო ინსტიტუტი, სადაც ქართულის.. შესწავლაში გართული არიან და განსაკუთრებით ლურსმულ წარწერათა უძველესი ენების ასახსნელად გატაცებით ეტანებიან საზოგადოდ კავკასიურ ენებს".

ევროპასა და ამერიკაში ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და, ამასთან დაკავშირებით, ქართული ენის კათედრების გახსნის აუცილებლობაზე ნიკო მარი მგზნებარე შემართებით, შეუპოვრობითა და ცხარე ტონით ქადაგებდა თავის სამეცნიერო შრომებში, პარიზში, ბერლინში თუ სხვა ქალაქებში წაკითხულ ლექციებში, საერთაშორისო კონგრესებსა და ყრილობებზე. როცა ერთ-ერთ მსოფლიო კონგრესზე მარმა განაცხადა, რომ დროა უცხოეთის უნივერსიტეტებში ისწავლებოდეს და იკვლევოდეს საინტერესო და მდიდარი აგებულების კულტურული ენა — ქართულიო, დიდმა ფრანგმა ლინგვისტმა, საერთაშორისო ავტორიტეტმა პროფ. ან. მეიემ მომხსენებელს რეპლიკა მისცა — თქვენ ცოტა აზვიადებთ ქართული ენის მნიშვნელობას, რაკიღა თვითონ ქართველი ბრძანდებითო. მარის პასუხი ასეთი იყო: „მე ვლაპარაკობ ქართულის დიდ მნიშვნელობაზე არა იმიტომ, რომ წარმოშობით ქართველი ვარ, არამედ თავად ქართული ენა არის თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიურიო".

ჩვენი საუბარი ნიკო მარის დამსახურების თაობაზე შეიძლება დავამთავროთ.

„რა წყაროა იგი უცნაური წყარო", სათავე ქართული ეროვნული ენერგიისა? იმთავითვე დასმულ ამ კითხვას ნიკო მარმა პასუხი გასცა: ეს გახლავთ ქართული კულტურის ღრმა ისტორიული ფესვები, იმდროინდელი, როდესაც ქართველი ერი მჭიდროდ გადაჯაჭვული იყო არქაული ცივილიზაციის შემქმნელ ხალხებთან და „საერთო ჰქონდა მთელი კაცობრიობის აღორძინებასთან"; ეს გახლავთ აგრეთვე ქართული ენის ამოუწყვეტელი საგანძური; სიტყვა ხომ თავდაპირველად საგნის გამომხატველია, მისი ცოცხალი სურათია; მარისავე სიტყვით, „ქართველი ერის ენა მუსაიფში ან ლექ-

სოკონში არ განიხილება. სიონი თბილისში, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, 864 წლის მრავალთავი სინას მთაზე, პალესტინის საბაწმიდელ ქართველი მამების მიგზავნილი, ყანების მორწყვის სისტემა იმერხევის, ტაო-კლარჯეთის მთებზე, ხეხილების თუ პურის სხვა და სხვა სახის, ასობით ყურძნის ნერგის აღმოჩენა და განვითარება, ვოქვათ მიქელ მოდრეკილის საგალობელთ კრებული, შავთელის ხოტბა-შესხმა, ქართული სიმღერა, ქართველის მიხვრა-მოხვრაც — ყველა ქართული ენა გახლავს. ...ქართულ ენაშიც კულტურის ყველა ეგ ნივთიერი ძეგლი ცხადდება თვალსაჩინოდ. მაგრამ ქართულ ენაში ცხადდება უძველესი ხანების..., კაცობრიობის კულტურული წინსვლის ყოველი ნაბიჯი. ქართული ენა გაჟღენთილია უძველესი ეპოქების... რელიქტური კავშირებით".

ნახევარი საუკუნის წინათ ქუთაისში წაკითხული ერთ-ერთი საჯარო ლექცია (რომელიც შემდგომ დაიბეჭდა) ნიკო მარმა ამ სიტყვებით დაასრულა:

„ქართულს..., ჩემთვის ყოველ ეჰვს გარეშეა, ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცხიერებაში... მაშინ, მე მწამს, მოზარდ თაობას, პაწაწინა და მოხრდილ ქართველ ვაჟებს და ქალებს მათი სამშობლოს მოტრფიალე დედები, მამები და ბიძები მეტის გულწრფელობით ნამდვილი გულის სიღრმიდან ეტყვიან: „პატივი ეც დედაენასა შენსა", თან უფრო გამარჯვებული ჩაგონებით ზე დასძენენ: „და ისწავლიდე მას და ყოველთა ძმა-ენათა მისთა მეცნიერულად, და კეთილ გეყოს შენ".

დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ დიდი ქართველოლოგის საფლავთან და მას დამშვიდებით ჩავძახოთ:

აღსრულდა შენი ოცნება!

ამ სიკეთეში შენი წვლილი არამცირედია!

აკაკი შანიძე

აკაკი შანიძე მშობლიური სულიერი კულტურის საუკეთესო ტრადიციების წარმომადგენელია და მისი ნათელი მერმისისათვის შეუპოვარი მებრძოლი. იგი ღირსეულად დგას იმ სახელოვან ადამიანთა რიგებში, რომლებიც ქმნიან საბჭოთა მეცნიერების პრესტიჟს და თავგამოდებით იღვწიან განახლებული ქვეყნის აღორძინებისათვის.

აკაკი შანიძე — გიორგი ახვლედიანთან ერთად — მეთაურია სამეცნიერო სკოლისა, რომელსაც „თბილისის საენათმეცნიერო სკოლა“ ეწოდება და რომელმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. აკაკი შანიძემ გეზი და მიმართულება მისცა ახალ სამეცნიერო ცვლას, რომლის წარმომადგენლები დღეს ამშვენებენ საქართველოს საკვლევაძიებო თუ სასწავლო კერებს.

აკაკი შანიძემ, როგორც საზოგადო მოღვაწემ, დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით — სხვა მოწინავე მეცნიერთა მხარდამხარ — სათავე დაუდო საუნივერსიტეტო განათლებას ჩვენში და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მომავალი თაობების აღზრდას მამულიშვილური სულისკვეთებით.

აკაკი შანიძე დიდი გულისყურით უსმენს ყოველდღიურობას და ჭაბუკური აღტაცებითა და გატაცებით ჩაბმულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის შენების ფერხულში. იგი დაუნდობლად ებრძვის სიმდოვრესა და მცონარეობას, და მთელი არსებით ემსახურება მეცნიერებაში ახალი გზების გაკაფვას.

გავეცნოთ ჩვენი დიდი მკვლევრის ბიოგრაფიასა და მეცნიერულ დამსახურებას.

აკაკი შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს საჯავახოში, ხევისწყლის პირად მდებარე სოფელ ნოღაში. მამა გაბრიელ ოქროპირის ძე შანიძე მედავითნე იყო და სოფლის მეურნეობას მისდევდა, დედა ეფიზო (ეფემია) იობის ასული შარაშენიძე კი — დიასახლისი.

აკაკი მეოთხე ვაჟი იყო გაბრიელის ოჯახში, რომელსაც შემდეგ ერთი ქალი შეემატა. გაბრიელს ძალიან სწყენია მეოთხე ვაჟის შეძენა, რადგან ქალიშვილის მონატრული ყოფილა. გარდა ამისა, მისი აზრით, ვაჟებს უეჭველად განათლება უნდა მიეღოთ სადმე სასწავლებელში, ვთქვათ, ოზურგეთში (დღევანდელი მახარაძე), რომელიც ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი იყო ნოღელებისათვის. ღარიბი კაცისათვის კი წლების მანძილზე ოთხი ვაჟის სხვაგან შენახვა და პატრონობა უთუოდ საძნელო იყო.

სამი თუ ოთხი წლის იქნებოდა აკაკი, როცა მშობლები იძულებული გამხდარან ოდა-სახლი გაეყიდათ და ამის შემდეგ ათიოდე წლის განმავლობაში, ვიდრე სხვა ოდის გამართვას შეძლებდნენ, ეცხოვრათ ისლით დახურულ უსარკმლო, მიწისიატაკიან ე. წ. „სამზადში“, სადაც კერა შუაზე ყოფილა მოთავსებული, პირდაპირ მიწაზე.

წერა-კითხვა აკაკიმ შინ ისწავლა ძმებისაგან, რომლებიც ოზურგეთში სწავლობდნენ. სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო სწავლა (1897 წ.).

არდადეგებზე შინ ბრუნდებოდა და ძმებთან ერთად ეხმარებოდა მშობლებს ყოველგვარ სამუშაოში: ტყიდან შეშის მოტანა იქნებოდა ეს, საქონლის მოძოვება, სიმინდის თოხნა, წისქვილში საფქვავის წაღება თუ სხვა. იგი იგონებს, როგორ ასწავლიდა მამა თოხის დაჭერას და სიმინდის გაჭრას. — ამოგვიყენებდა ვაჟებს გვერდით, თავზე გვეხურა ფართოარშიანი თეთრი ნაბდის ან ჭილის ქუდი და ვთოხნიდით დიდბარდში თუ დერგაში, ეზოში თუ ეკალშიო[1], — გვიამბობს აკაკი შანიძე, — ეკალში ქოხი და სასიმინდე

[1] დიდბარდი, დერგა, ეკალი ადგილის სახელებია ნოღის ახლომახლო. ეკალი ნასოფლარია ნარიონების პირას, ნოღიდან 7-ოდე კილომეტრის მანძილზე.

გვქონდა. ორშაბათიდან შაბათამდე იქ ვმუშაობდით და ღამით სასიმინდეში გვეძინა, რომ კოღოებს როგორმე დავმალოდითო. „ისე უნდა გაჭრა სიმინდი, რომ გეწყინოსო“. ეტყოდა თურმე შვილებს გამრჯე მამა.

ასე აჩვევდა გაბრიელი თავის შვილებს შრომასა და მუყაითობას, საქმისადმი ერთგულებასა და სიყვარულს.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1904 წ.) აკაკი გადავიდა კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მესამე კლასში მიიღეს. მეხუთე კლასის დასრულების შემდეგ (1907 წ.) ზაფხულში მოემზადა, მეექვსე კლასი გამოტოვა და პირდაპირ მეშვიდეში დაიჭირა გამოცდები. გიმნაზია დაამთავრა 1909 წელს.

მერვე კლასში ყოფნის დროს ა. შანიძე კინაღამ დაითხოვეს გიმნაზიიდან აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვის გამო.

ეს ასე მომხდარა:

1908 წელს ქართველი ერი დიდი ზეიმით ემზადებოდა, რომ ღირსეულად აღენიშნა აკაკი წერეთლის იუბილე. „ეს დღესასწაული მით უფრო სანუკვარი იყო, რომ წინა წელს (1907 წ.) ვერაგულად მოკლეს დიდი ილია და საჭირო იყო წიწაკურის ტრაგედიით დაკოდილი ეროვნული სხეული მცირეოდნად მაინც მოშუშებულიყო.

აკაკის იუბილე ერთგვარი სალბუნი იყო ამ დიდი ეროვნული ტკივილის დასაამებლად, რადგანაც აკაკის დროშა იგივე ილიას დროშა იყო და უკეთესი მომავლის იმედები მაინც ყველას უღვივოდა გულში“ (ა. შანიძე, „მნათობი“, № 9, 1960, გვ. 7).

1909 წლის 8 იანვარს აკაკი წერეთელი მიუწვევიათ ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც ერთ დროს იგი სწავლობდა. იუბილარისათვის მისართმევად დაუმზადებიათ ა. შანიძის ამხანაგის, მერვე კლასის მოწაფის —დავით კაკაბაძის (შემდეგ ცნობილი მხატვრის) მიერ დახატული „გოჩა-აკაკი“[1]. სურათის უკანა გვერდზე ეწერა ასეთი ლექსი:

ჩაფიქრებულა მგოსანი,
შავი ფიქრებით მოცული,
თვალწინ ეხატვის სამშობლო,
მტერთაგან გარემოცული.

[1] ეს სურათი ამჟამად ლიტერატურულ მუზეუმში ინახება: გამოაქვეყნა ა. შანიძემ. „მნათობი“, № 9, 1960.

მაგრამ ეს მას არ აწუხებს:
თუ ხეს ფესვი აქვს მაგარი.
მას ვერ წააქცევს გრიგალი,
ვერც არას ანჯღრევს ავდარი.
გაოგნებს მტერი რას იზამს,
თუ შიგნით ყველა მზად არი,
დაიცვას თავის სამშობლო,
ტურფა ედემის სადარი... და სხვა.

ლექსის ავტორია მერვე კლასის მოწაფე ა. შანიძე.

„..სურათი გიმნაზიაში გასამართავ საღამოზე უნდა მიგვერთმია აკაკისათვის, მაგრამ, რაკი ამის ნებართვის მიღებას დაგვიანდა და შეიძლება სულაც ვერ მიგვეღო, ავდექით და იგი 21 დეკემბერს თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე მივართვითო“, დასძენს ა. შანიძე(„მნათობი“, № 9, 1960, გვ. 7).

აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ საიუბილეო საღამოზე მოხსენებით გამოსულა ა. შანიძე და მგოსნის რომანტიკული მიმართულება აუხსნია, როგორც შედეგი ცარიზმის პოლიტიკისა XIX ს.-ნის დასაწყისში, როდესაც ქართველ ინტელიგენციას მოლოდინი არ გაუმართლდა. მოხსენების ერთ ადგილს დიდი ტაშისცემა მოჰყოლია. დირექტორი მ. გლუშაკოვი საშინლად შეძრწუნებულა ამის გამო და ფიცხლად მოუწვევია პედაგოგიური საბჭო, სადაც დასმულა ა. შანიძის გიმნაზიიდან გარიცხვის საკითხი. ასეთი დანაშაულის გამო ინსპექტორ მ. საღარაძეს განუცხადებია, „ბრალი რამდენადმე ჩვენც გვედება, რადგანაც ჩვენი მოვალეობა იყო, რომ მოხსენება წინასწარ გაგვესინჯა, და შანიძეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდესო“. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გადაუწყვეტიათ, ყოფაქცევაში ა. შანიძისათვის სამი დაესვათ, თანაც კავკასიის ოლქის მზრუნველის რუდოლფისათვის ეცნობებინათ საქმის ვითარება[1]. რუდოლფს გლუშაკოვისთვის მიუწერია, საყვედურიც დაამატეთო.

ასე გადარჩა აკაკი შანიძე გიმნაზიიდან გარიცხვას.

ამავე წლის ზაფხულში ა. შანიძე ფშავში პირადად გაეცნო მეორე ჩვენს სასიქადულო მგოსანს — ვაჟა-ფშაველას. აკაკი ეწვია

[1] მაშინ წესი ყოფილა, რომ, თუ ვინმე უფროსი კლასის მოწაფე (V—VIII კლ.) რასმე დაშავებდა და ყოფაქცევაში 4-ს ან 3-ს მიიღებდა, უნდა ეცნობებინათ ოლქის მზრუნველისათვის სათანადო ახსნა-განმარტებით.

თავის ბიძას ბესოს, რომელიც ს. ხორხში[1] სახლობდა. ამ დროს იქ, თავის ცოლეურთას, იმყოფებოდა ვაჟა. ბესო და ვაჟა მეგობრები ყოფილან. ვაჟას შანიძეები სადილად მიუწვევია. მეორედ აკაკი ვაჟას შეხვდა 1909 წელს ს. თვალივში, სადაც ბესო შანიძეს საკმაო დუქანი ჰქონდა. აკაკი შანიძე იგონებს მათი საუბრის საინტერესო ამბებს; ბესო თურმე ვაჟას ასე მიმართავდა ხუმრობით: „აი, შე ბრმა დევოო“ (ა. შანიძე, მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე: „ვაჟა-ფშაველა, საიუბილეო კრებული“, 1961).

გიმნაზიადამთავრებული ა. შანიძე 1909 წ. გაემგზავრა პეტერბურგში და უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ეს ის დიდი ტრადიციის მქონე უნივერსიტეტია, სადაც წინათ სწავლობდნენ ჩვენი თერგდალეულები — ილია, აკაკი და სხვანი.

ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ განთქმული ორიენტალისტები, რუსეთის გამოჩენილი მეცნიერები.

სტუდენტი აკაკი ხარბად დაეწაფა მეცნიერებას. მას ლექციებს უკითხავდნენ პროფ. ნიკო მარი (ქართულ-სომხურ ფილოლოგიურ საგნებში), პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი (საქართველოს ისტორია), პრივატ-დოცენტი ნ. ადონცი (სომხეთის ისტორია, ახალი სომხური ენა), პროფ. ვ. ჟუკოვსკი (სპარსული ენა), პრივატ-დოცენტი ა. შმიდტი (არაბული ენა), პრივატ-დოცენტი ი. კრაჩკოვსკი (არაბული ქრისტიანული მწერლობის ისტორია), პრივატ-დოცენტი ა. ხაშაბი (ახალი არაბული ენა), პროფ. ვ. ბართოლდი (აღმოსავლეთის ისტორია), პროფ. ი. ბოდუენ-დე-კურტენე (ზოგადი ენათმეცნიერება), პრივატ-დოცენტი ლ. შჩერბა (ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვები.

სტუდენტობის პირველი ზაფხული აკაკიმ გაატარა გერმანიაში — ქ. კენიგსბერგში გერმანულ ენაში გასაწაფავად. ამავე წელს ივი პეტერბურგში შეხვდა და ესაუბრა აკაკი წერეთელს, რომელიც პარიზიდან ბრუნდებოდა გერმანიაზე გამოვლით.

ჯერ კიდევ 1907 წელს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა „ქართველ სტუდენტთა სა-

---

[1] ხორხი სოფელია ყინწალიდან თორმეტიოდე კილომეტრის მანძილზე ხორხის წყლის ხეობაში. იქ მთიულები და ფშაველები ცხოვრობენ.

მეცნიერო წრე". შემდგომ, 1911 წ. ამ წრის გამგეობის თავმჯდომარეობა წილად ხვდა ა. შანიძეს. სამეცნიერო წრის მთავარი საგანი იყო ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა და სამეცნიერო კვლევაძიება. სხდომები მიმდინარეობდა ქართულად.

1911—1912 წლებში წრემ მოაწყო ანკეტა რუსეთისა და საზღვარგარეთის ქართველ სტუდენტებს შორის. ანკეტას უნდა გამოერკვია, თუ სად და რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა, როგორი იყო მათი ეკონომიური მდგომარეობა და სხვა. წრემ ძალე მიიღო შევსებული ანკეტები მრავალი ქალაქიდან. როგორც ა. შანიძე ამბობს, „ამ ანკეტამ ბევრი რამ საყურადღებო გამოარკვია. წინათ, მაგალითად, გამტკიცებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა, თითქოს დიდი ნაწილი სტუდენტებისა ფუქსავატ ცხოვრებას ატარებდა და სხვ. ანკეტამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია... ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო". რაც შეეხება სამეცნიერო ძალებს, ი. ჯავახიშვილს შეკრებილი ჰქონდა ცნობები, თუ სად, რამდენი და რა სპეციალობის ქართველი მეცნიერი მუშაობდა რუსეთში და საზღვარგარეთ (მკითხველი ხედავს, რა არის აქ გამიზნული: მომავალში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა... ზრუნვა კადრებზე...).

ვრცელი ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკვლევაძიებო მუშაობის გაშლისათვის ქართველოლოგიაში. წრე რაზმავდა როგორც პეტერბურგში მყოფ ქართველ ინტელიგენტებს, ისე საქართველოში მომუშავე პირებსაც. 1913 წელს „სახალხო გაზეთში" (№ 802) გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და წიგნების გამომცემლობებისადმი", რომელსაც ხელს აწერენ სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი და წრის გამგეობის თავმჯდომარე ა. შანიძე. იქვე აღნიშნულია: „ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთსა ვთხოვთ, ეს მოწოდება გადაბეჭდონ და ჩვენს თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ".

წერილის დევიზი ეს არის: „...უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რაც დაწერილია და გაკეთებული!.. საჭიროა ბიბლიოგრაფია, ბიბლიო-

გრაფია, რაც შეიძლება, სრული და უნაკლო!" ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ბიბლიოგრაფია „შეავსებს იმ ნაკლს, რომელიც დიდი ხანია არსებობს ამ მხრივ და ქართველ მკითხველს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს მოღვაწეობას, გააღრმავებს მის აზროვნებას და გააფართოვებს მისი მხედველობის სფეროს".

„ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის" მუშაობის შეღეგად 1916 წელს პეტროგრადში გამოქვეყნდა განზრახული ტომების პირველი წიგნი სათაურით: «Грузинская библиография. I. Указатель к статьям и материалам в грузинской периодической печати (1852—1910). Языкознание, Этнография, География, Археология, История, Народная словесность и Древняя литература» (პარალელურად დასათაურება მოცემულია ქართულადაც). ამ დიდად მნიშვნელოვანი წიგნის დაბეჭდვა განხორციელებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო დადგენილებით. მას წამძღვარებული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის იოსებ ყიფშიძის წინასიტყვაობა, საიდანაც ვტყობილობთ, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას ბიბლიოგრაფიის შედგენაში. აქ ჩამოთვლილ სტუდენტთაგან დავასახელებთ შემდეგში ცნობილ მეცნიერებს: ვუკოლ ბერიძეს, იოსებ და დავით ყიფშიძეებს, აკაკი შანიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, გიორგი ჩიტაიას, ვლადიმერ ფუთურიძეს.

1915 წელს სამეცნიერო წრემ ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით თბილისში გამოსცა სამეცნიერო კრებული, სადაც მოთავსებულია აკაკი შანიძის გამოკვლევაც — „ქართული კილოები მთაში".

1912—1913 წ. წ. ა. შანიძე თანამშრომლობს რუსულ ენციკლოპედიაში და ათავსებს წერილებს: „ვახტანგ VI", „ვახუშტი", „ბესარიონ გაბაშვილი", „დავით გურამიშვილი", „ქართული ანბანი", „ქართული ლიტერატურა", „ქართული ენა" და სხვ. («Русская Энциклопедия». ტ. 3, 4, 5, 6).

1911 წელს სტუდენტი ა. შანიძე ფაკულტეტმა მიავლინა ფშაგსა და ხევსურეთში დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად. აკაკი ესტუმრა ვაჟა-ფშაველას ს. ჩარგალში და გააცნო მისგლის მიზეზი: უნდა შეკრიბოს ფშაური და ხევსურული ზეპირსიტყვიერების მასალები, შემდეგ ისინი უნდა დაამუშაოს ენათმეცნი-

ერული თვალსაზრისით და სხვ. ვაჟას ეს ამბავი ფრიად სასიამოვნოდ დარჩენია. ვაჟასთან სხვაც ყოფილა ამ დროს — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ბონჩ-ოსმოლოვსკი, რომელსაც სდომებია ფშავის დათვალიერება. ა. შანიძე გვიამბობს მათი მოგზაურობის ამბებს: ჩარგლიდან გასვლისას ვაჟას უჩვენებია ჩარგლის გორა და უთქვამს, „აქ უნდა დავიმარხოო“. აკაკი შანიძეს უპასუხნია: „თქვენი სამარხი ადგილი მთაწმინდაა თბილისში, რომელიც ჩვენი პანთეონი უნდა გახდესო“. „არა მგონიაო, — განაგრძობს ა. შანიძე, — რომ ეს ჩემი პასუხი სწყენოდეს ვაჟას, მაგრამ მან ერთბაშად სიტყვა სიტყვაზე გადაიტანაო“. ა. შანიძე იმასაც გვიამბობს, რომ ერთხელ თბილისში ვაჟა დალაქთან შესულა. დალაქს არ მოსწონებია მისი თმის ვითარება და უთქვამს: „ასეთი თავი მე ჯერ არ გამიკრეჭიაო“. ვაჟას უპასუხნია: „დიახ, აგეთი თავი შენ მართლაც არასოდეს არ გაგიკრეჭიაო!“...

ლაშარის ჯვრიდან ვაჟა და აკაკი შანიძე ასულან ს. ახალში და იქ ხევისბრის ელიზბარ ქერჩოშვილის სახლში გადაუთვალიერებიათ ლაშარის ჯვრის დოკუმენტები, რომლებიც უმეტესად მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნისა ყოფილა...

ვაჟა-ფშაველასა და აკაკი შანიძის ერთობლივი მოგზაურობა ფშავის ხევში მრავალმხრივ საინტერესოა ჩვენი მეცნიერის ბიოგრაფიაში.

1913 წ. მაისში ა. შანიძემ დაამთავრა უნივერსიტეტი და ნ. მარის წარდგინებით იგი დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად (ახლანდელი ტერმინოლოგიით — ასპირანტად) ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრასთან. კათედრას განაგებდა ჩვენი თანამემამულე სიკო მარი. იმ ზაფხულს ა. შანიძე კვლავ გაიგზავნა საქართველოში მთის ქართული კილოების შესასწავლად, ოღონდ ახლა მეცნიერებათა აკადემიის დავალებით. 1914 წელს იგი მიავლინეს ეჩმიაძინში სომხურ ხელნაწერებზე სამუშაოდ „ქებათა-ქების“ ქართულ-სომხური ვერსიების წარმოშობის გამოსარკვევად, მაგრამ მივლინების დრო შეუფერებელი აღმოჩნდა: ეჩმიაძინში ივლისში კოღოებმა მალარია შეჰყარეს, ავად გახდა და გუმბრში ანუ ალექსანდროპოლში (დღევანდელ ლენინაკანში) გადავიდა, სადაც, გამოკეთდა თუ არა, ახალი სომხური ენის შესწავლას მოჰკიდა ხელი.

1915 წელს ა. შანიძემ ჩააბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები ქართული ენათმეცნიერების სპეციალურ დარგში და შეუდგა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერას. 1916 წელს ზაფხულში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით სამეგრელოში იყო სამეცნიერო მიზნით და ორი კვირა დაჰყო რაჭის სოფლებში — ღებსა და გლოლაში, სადაც დიალექტოლოგიურ მასალებს კრებდა.

1915 წელს ა. შანიძე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში შეუდგა გამოკვლევის ბეჭდვას ქართული ზმნის პრეფიქსების შესახებ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერი ჩამოდის თბილისში და აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში: იგი შედიოდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფში, რომელმაც ფართოდ გაშალა მუშაობა.

ა. შანიძე ერთი იმათგანია, ვინც — ივანე ჯავახიშვილის მეწინავეობით — უდიდესი ამაგი დასდო საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებასა და ორგანიზაციას, მის მერმინდელ განვითარება-წინსვლას. ამ დროიდან იწყება ფართო მასშტაბით ჩვენი მეცნიერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მუდმივი ზრუნვა საზოგადო საქმისათვის, ეროვნულ ნიადაგზე სამეცნიერო კერების საფუძვლის ჩაყრისათვის.

მოვუსმინოთ თვითონ ა. შანიძეს:

„თებერვლის რევოლუციის შემდეგ უფრო დაჩნდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესაძლებლობა. ი. ჯავახიშვილმა ი'არგებლა ამით და თავის ბინაზე მოიწვია რამდენიმე კაცი პეტერბურგში მყოფ მეცნიერთაგან და გააცნო თავისი გეგმები. ამასობაში საერეოლუციო მოძრაობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი მალე (აპრილში) თბილისს გამოეშურა და აქ შეუდგა სათანადო სამზადისს. პრივატ-დოცენტ იოსებ ყიფშიძესა და მე ცოტა მოგვიგვიანდა, მაგრამ მაისის ბოლოს ჩვენ თბილისში გავჩნდით. მთელი ზაფხული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას დასჭირდა. შემოდგომაზე უკვე ყველაფერი ცხადი იყო, რომ დიდი ხნის ოცნება განხორციელდებოდა, და ოქტომბრის 21-ს ი. ყიფშიძე და მე პეტროგრადს გავემგზავრეთ იქაური საქმეების სალიკვიდაციოდ და ი. ჯა-

ვახიშვილისა და ჩვენი წიგნთსაცავის გადმოსატანად. მოსკოვამდე მატარებელი გაჭედილი იყო ხალხით, მოსკოვიდან პეტროგრადამდე კი შედარებით თავისუფლად ამოვისუნთქეთ. თურმე ჩვენი გზაში ყოფნისას პეტროგრადში დიდი ამბები მომხდარიყო, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცოდით პეტროგრადში ჩასვლამდის. იქ რომ ჩავედით 27 ოქტომბერს დილით, ი. ყიფშიძე თავის ბინაზე წავიდა, მე კი — ჩემსაზე. რა ამბავია ქალაქში-მეთქი, — ვკითხე მეეტლეს. — აქ ახალი ის არის, რომ მთავრობას სათავეში ლენინი უდგასო... იმ საღამოსვე ნ. მარი ვნახე გამოსამშვიდობებლად მის ბინაზე. მან საუბარი ჩამომიგდო იმის შესახებ, რომ პეტროგრადში მიეღოთ დასამტკიცებლად ქართული უნივერსიტეტის წესდების პროექტი, რომელიც მისთვის გადაეცათ დასკვნისათვის. მან გულახდილად მითხრა: მე დასკვნა მივეცი, რომ შეიძლება ნება დაერთოს გახსნან ქართული უნივერსიტეტი. მაგრამ თბილისში უნდა დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტიო“ („თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან“: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, წ., № 17).

ქართული უნივერსიტეტის პროექტის წინააღმდეგ (პროექტისა, რომელიც დროებით მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად) ბევრი დაირაზმა, მათ შორის მთავრობის წევრებიც. დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა, 1918 წლიდან თბილისში რუსული უნივერსიტეტი გაეხსნა განზრახული ქართული უნივერსიტეტის საპირისპიროდ. გაზ. „სახალხო საქმე“ (№ 76, 1917 წ.) ამის გამო გულისტკივილით წერდა: „პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით სასწრაფოდ იტყობინებიან, რომ თბილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი გაიხსნებაო. პეტროგრადიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, შეწყნარებული და ორი მუხლის[1] გამოკლებით თითქოს დამტკიცებულიც დროებითი მთავრობის მიერ. ვერ ჩამოსულა, მაგრამ ალბათ როგორმე ჩამოვა და, მაშასადამე, თბილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება... ერთი რუსული, მეორე ქართული: ერთი მთავრობისა, მეორე კერძო; ერთი უფლებრივი უპირატესობით აღჭურვილი და სახელმწიფოს მიერ ზურგ-

[1] ამ მუხლთაგან ერთი ეხებოდა პროფესორთა განთავისუფლებას სამხედრო ვალდებულებისაგან საზოგადოდ, მეორე კი—სტუდენტთა განთავისუფლებას იმავე სამხედრო ვალდებულებისაგან სწავლის პერიოდში.

გამაგრებული, მეორე უფლებას მოკლებული და პირადი თაოსნობის მოიმედე; ერთი ხაზინის მიერ შენახული და ქონებრივად უზრუნველყოფილი, მეორე კერძო პირთა გულშემატკივრობასა, დახმარებასა და მზრუნველობაზე დამყარებული...“

დროებითი მთავრობის დღეები დათვლილი იყო. 1917 წლის 25 ოქტომბერს ხელისუფლება საბჭოების ხელში გადავიდა... ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ეროვნული კულტურის აყვავება-გაფურჩქვნას. მაგრამ საქართველოში ამ დროს მენშევიკები ბატონობდნენ და მათ ვერ მოახერხეს უნივერსიტეტი სახელმწიფოებრივ დაწესებულებად ეღიარებინათ. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ იარაღს არ ყრიდა. მუშაობის გასაცხოველებლად შეიქმნა ორი კომისია: აკადემიური და ფინანსური. პირველში შედიოდნენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, მალე მათ შეუერთდა თბილისში ახლად ჩამოსული გ. ახვლედიანი. აკადემიურმა კომისიამ განიხილა საკითხები უნივერსიტეტის სასწავლო საქმის ორგანიზაციისა და აკადემიურ-ადმინისტრაციული აპარატის შექმნის შესახებ. 1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე მეცნიერთა ჯგუფმა (რომელშიაც იყვნენ ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი და დ. უზნაძე) გადაწყვიტა, თუ რა ტიპის უნდა ყოფილიყო ჩვენი უნივერსიტეტი.

მალე ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ისტორიული განცხადება: „ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობა აცხადებს, რომ „ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი“ თბილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში. ამთავითვე იქნება სიბრძნისმეტყველების ჰუმანურ მეცნიერებათა (ისტორიისა და ფილოლოგიის) განყოფილება. წაკითხულ იქნება ლექციები საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალ-მეცნიერებათა დარგებიდან...“.

ა. შანიძე შევიდა პირველ პროფესორთა კოლეგიაში (პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. ბენაშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე, ს. ავალიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ე. თაყაიშვილი, იუსტ. აბულაძე, ე. ორბელიანი, არტურ ლაისტი, ილია ყიფშიძე, ვანდა ღამბაშიძე).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პირველ გამგედ არჩეულ იქნა გ. ახვლედიანი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1919 წლიდან 1922 წლამდე ა. შანიძემ შეცვალა.

1918—1920 წ. წ. ა. შანიძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანია, 1919—1921 წ. წ. — პროფესორთა საბჭოსი; 1919 წლიდან განაგებს აგრეთვე ქართული ენის კათედრას.

უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ა. შანიძე ლექციებს კითხულობს არაბულ და სომხურ ენებში, 1919 წლიდან (პროფ. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ) — ქართულ ენაშიც. ა. შანიძე სხვადასხვა დროს კითხულობდა შემდეგ საუნივერსიტეტო კურსებს (გარდა არაბულ-სომხურ-ქართულისა): ქართულ დიალექტოლოგიას, ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკას, რუსთველის ენას, სვანურს. კავკასიურ ენათა სწავლებას უნივერსიტეტში ა. შანიძემ ჩაუყარა საფუძველი წოვა-თუშურით. 1925—26 წ. ლექციებს ესწრებოდნენ, სხვათა შორის, დღეს ცნობილი აკადემიკოსები.

1920 წელს ა. შანიძემ პროფესორთა საბჭოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარუდგინა დისერტაცია—„სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ოფიციალურ ოპონენტებად გამოყოფილი იყვნენ ი. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი. პაექრობა შედგა 1920 წლის 9 მაისს.

პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს არაოფიციალურმა ოპონენტებმაც — კორნელი კეკელიძემ და პეტრე მირიანაშვილმა.

ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ი დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა, დაცული თბილისის უნივერსიტეტში.

1920 წელსავე ა. შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სვანეთში.

ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ა, მოწყობილი თბილისის უნივერსიტეტის მიერ.

1924 წელს ა. შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სომხეთში გ. ჩუბინაშვილთან, ლ მელიქსეთბეგთან და ნ. სეეეროვთან ერთად. ამ ექსპედიციის დროს ა. შანიძემ შეისწავლა კოშისა და თაიჩარუხის ქართ. წარწერები, რომელთაგანაც კოშისა გამოსცა 1960 წ. (ხელნაწერთა ინსტ. მოამბე, 1).

ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა

მოწყობილი თბილისის უნივერსიტეტის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

1922 წელს ა. შანიძე, კ. კეკელიძესთან ერთად, მიწვეულ იქნა მოსკოვსა და პეტროგრადში ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების დასაბრუნებლად (რეევაკუაციისათვის).

1923 წელს დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ახვლედიანი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად — ა. შანიძე. საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების საქმეში.

ა. შანიძე 1933—1936 წლებში განაგებდა ქართული ენის სექტორს უნივერსიტეტთან არსებული რუსთველის ინსტიტუტში; 1936—1941 წლებში მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში ქართველური ენების სექტორის გამგედ. უნივერსიტეტის გარდა, 1935—1936 წ. წ. ლექციებს კითხულობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და 1933—1935 წ.წ. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თბილისში; 1946—48 წლებში განაგებდა ქართული ენის კათედრას პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

1945 წ. ქართ. ენის კათედრა, ა. შანიძის წინადადებით, გაიყო ორად: ძველი ქართული ენის კათედრად და ახალი ქართული ენის კათედრად. ა. შანიძე დღევანდლამდე განაგებს ძველი ქართული ენის კათედრას (უნივერსიტეტში).

1937 წ. ა. შანიძე აირჩიეს პრაღის (ჩეხოსლოვაკია) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად, 1938 წელს — ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად ერევანში.

1939 წელს ა. შანიძეს, როგორც გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, ირჩევენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1941 წლის 22 თებერვალს ა. შანიძე დამტკიცებულ იქნა სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1946 წლიდან ამავე აკადემიაში განაგებდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფი-

ლებას, ხოლო 1948—50 წლებში იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1938 წელს ა. შანიძე არჩეულ იქნა ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1941—1944 წ. წ. იყო ამავე რაიონის აღმასკომის წევრი.

1950 წლიდან ა. შანიძეს ირჩევდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ამჟამად იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

1938 წლის 29 მაისის დადგენილებით ა. შანიძე დაჯილდოებულ იქნა საქ. ცაკის საპატიო სიგელით; 1943 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1967 წელს — სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1966 წელს ა. შანიძე აირჩიეს ფ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, ა. შანიძე დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

II. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები

ა. შანიძე გრამატიკაში ძირითადად მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხების მკვლევარია, მაგრამ მას ფონეტიკური კანონების დადგენაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. შანიძემ ჩინებულად ახსნა სიტყვის შეკუმშვის მოვლენები და მისი გამომწვევი მიზეზები ქართველურ ენებში.

ნაშრომში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების ორგანო წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი, I—II, 1923—24 წ.) გარკვეულია ისეთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა, როგორიცაა რედუქცია. მართლაც, როგორც აღნიშნა პროფ. ვ. თოფურიამ, „ხმოვანთა რედუქციის მეცნიერული აღწერა, მისი გავრცელების დადგენა და ამ მხრივ ქართველურ ენათა და მათ კილოთა ურთიერთობის გაშუქება ეკუთვნის ა. შანიძეს“[1].

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1, 1946, გვ. 64.

ნიკო მარმა სცადა რედუქცია აეხსნა მახვილის გავლენით. მან აღნიშნა მეგრულში ფუძის სრულხმოვნობა და ქართულში სრულხმოვანი ფუძის ტენდენცია შეკუმშვისაკენ. ა. შანიძის ნააზრევი ნაბიჯია წინ ამ ფონეტიკური მოვლენის საიდუმლოების ამოსაცნობად.

ა. შანიძემ ნათელი მოჰფინა სვანურის ისეთ მნიშვნელოვან ფონეტიკურ მოვლენას, როგორიცაა უმლაუტი (ამ ნაშრომზე ქვემოთაც ჯერქნება საუბარი).

უკანასკნელ, უნდა აღინიშნოს, რომ ა. შანიძემ გამოარკვია ერთი ფონეტიკური კანონი, რომლის ძალითაც კოლხურში (ასე უწოდებს ა. შანიძე ბოლო ხანებში ჭანურ-მეგრულს) **დია** კომპლექსი **ჯა**-ს გვაძლევს და **დიო** კომპლექსი კი — **ჯო**-ს. ამ კანონის წყალობით გაირკვა, მაგალითად, რომ **ჯაკელი**, რომელიც გურულსა და ქვემოიმერულშიც გვხვდება „დეკეულის“ მნიშვნელობით, ძველ ქართულში ხმარებული **დიაკეულის** კოლხური შესატყვისი ფორმაა.

უფრო საყურადღებოა, რომ გაირკვა ჭანური **ოხორჯას** მნიშვნელობა. ამ სიტყვას ხსნიდნენ, როგორც „სახლის რძალს“ და ამის გამო ამტკიცებდნენ, ეს სიტყვა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში მატრიარქატი არსებობდაო. ფონეტიკური კანონის აღმოჩენამ კი საქმე სხვანაირად წარმოგვიდგინა: ჭანური **ოხორჯა** მიღებულია **ოხორ(იშ)** **დია**-საგან, რაც „სახლის დედას“, ანუ „დიასახლისს“ ნიშნავს („ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“).

როცა ფონეტიკურ კანონებზეა საუბარი, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია **კ**-ს **დაკარგვას აკ** ბოლოკიდურიან სიტყვებში: **მუშაკი — მუშა, დანაკი — დანა, პიტნაკი — პიტნა, ეშმაკი — ეშმა** („ვეფხისტყაოსანში“), **აგარაკი — აგარა** (სოფლის სახელია) და სხვ. ა. შანიძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, თუ საზოგადო სახელი **სტავრა** (გ. მთაწმიდლის იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში) არ იკვეცს **ა**-ს, ეს იმით აიხსნება, რომ ეს სიტყვა ჩამომავლობით თანხმოვანზე გათავებული სახელია (*სტავრაკი) და ბოლოკიდური თანხმოვნის ჩამოშორების შემდეგ მის წინ მდგომი ხმოვანი ინარჩუნებს თავის ძველ მდგომარეობას — არ იკვეცება. ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ბოლოკვეცილთა ჯგუფშია გადასული: **სტავრისა** (1438,1); **სტავრითა** (1467,3.

„გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით“, გვ. 71).

ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ კანონის ძალით ა. შანიძემ ახსნა **ბანა** სიტყვის წარმოშობა. **ბანა** სოფელია, სადაც გათხრილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია შეღონახული — მრგვალი ტაძარი, აშენებული X საუკუნეში. ა. შანიძემ ერთ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ბანა სოფლის სახელის ძველი ფორმა უნდა ყოფილიყო **ბანაკი**, მაშასადამე, დაასკვნა მან, კ-ს დაკარგვას აკ-ზე გათავებულ ფუძეებში უკვე IX—X საუკუნეში უჩენია თავი.

თუ რამდენად ძლიერია ზოგჯერ ფონეტიკის კანონების ჩარევა სიტყვის სახის შეცვლაში, ამის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს **ხეთქა** და **სკდომა** ზმნების ურთიერთობა. ესენი წარმოშობით ერთი და იმავე ფუძის ზმნებია, ოღონდ ერთია მოქმედებითი (**ხეთქა**), მეორე — ვნებითი (**სკდომა**). მიუხედავად ამისა, ისინი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ვნებითში აღარ გადარჩა არც ერთი ფუძისეული ბგერა. ამ ცვლილებათა ისტორია ჩინებულად აქვს წარმოდგენილი ჩვენს მეცნიერს. (ქართ. გრამატიკის საფუძვლები, § 563).

1920 წელს გამოქვეყნდა აკაკი შანიძის მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“.

როგორც ზემოთ ითქვა, ესაა პირველი დისერტაცია, რომელიც დაცულ იქნა თბილისის უნივერსიტეტში: ნაშრომმა ავტორს მოუპოვა მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება.

ამ გამოკვლევას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში. იგი სანიმუშოა კვლევის მეთოდების, მასალის შერჩევისა და მეცნიერული დასკვნების მიხედვით.

პრეფიქსების საკითხის შესწავლას შედეგად მოჰყვა ქართული ზმნების გადაჯგუფება, უღლებათა სხვანაირი განაწილება, ვიდრე პროფესორ ნიკო მარს ჰქონდა თავის „ძირითად ტაბულებში“, და, საზოგადოდ, ახალი შეხედულების დამყარება ქართულ ზმნებზე.

ზმნა კი ქართული ენის ხერხემალს წარმოადგენს. ვინც ზმნა იცის, მან ენაში ყველაფერი იცისო, ამბობენ, და ქართული ენის ამ ურთულესი ნაწილის ჭეშმარიტი შეცნობა მეცნიერებაში ერთ-ერთ საინტერესო საკითხად არის მიჩნეული; იშვიათია მსოფლიოში ენა, რომელიც ქართულს შეედრებოდეს ზმნის სირთულით, სიმდიდრით და ფორმათა ნაირ-ნაირობით. ა. შანიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართულ ზმნას ზოგი რამე აქვს ისეთი, რომლის პარალელსაც ჩვენ სხვა ენებში იშვიათად ვიპოვით: ქართული ზმნის აგებულება არსებითად განსხვავდება ინდო-ევროპულისა, სემიტურისა და თურქული ენების ზმნის აგებულებისაგან. იგი იმდენად თავისებურია, რომ ღირსია ყურადღებისა და შესწავლისაც იმათ მიერ, ვისაც ენათმეცნიერებაში ზოგადი საკითხები აინტერესებს“ (ხაზი ჩემია. შ. ძ.).

ჩვენი ზმნის სირთულემ ერთს ქართული გრამატიკის ავტორს, პლატონ იოსელიანს, ასეთი ფრაზა წამოაცდენინა: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონიო“. ა. შანიძის ზემოხსენებულმა ნაშრომმა სათავე დაუდო ამ ზღაპრულად გადაჭარბებული შეხედულების გაქარწყლებას. ერთგან ა. შანიძე ამბობს, რომ „რთული რამ ყოველთვის მარტივად წარმოგვიდგება, თუ ანალიზი სწორიაო“. სწორედ ჩვენს დიდ მკვლევარს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან ქართული ზმნის ხლართებში გაგვარკვია და მის წყვდიადში მეცნიერული შუქი შეიტანა. ა. შანიძემ ხსენებული გამოკვლევითა და მომდევნო წლებში დაწერილი ნაშრომებით ფარდა ახადა ქართული ზმნის საიდუმლოებას და სწორი მეცნიერული ანალიზის წყალობით გამოამზეურა ის საგანძური, რომელიც მის შინაგან აღნაგობაშია ჩამარხული.

გამოკვლევა პრეფიქსების თაობაზე პირველად დაიწერა რუსულად და იბეჭდებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა სერიაში „Материалы по яфетическому языкознанию“, რომელიც დააარსა აკადემიკოსმა ნიკო მარმა.

მართალია, იგი 1915 წლის შემოდგომაზე სტამბაში იყო ჩაბარებული, დაიბეჭდა კიდევაც 48 გვერდი, მაგრამ წიგნის დამთავრება ვერ მოხერხდა სხვადასხვა გარემოებათა გამო 1917 წლის თე-

ბერვლის რევოლუციამდე. ამის შემდეგ ავტორი თბილისში გადმოვიდა. 1920 წელს ეს ნაშრომი (უკვე ქართულად) გამოდის დღის სინათლეზე.

მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის არსებობაზე კილოებში ა. შანიძე მსჯელობდა ჯერ კიდევ 1912 წელს „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ სხდომაზე პეტერბურგში. შემდეგ ძველ ქართულში მის ხმარებას ყურადღება მიაქცია პროფ. ი. ყიფშიძემ. რაც შეეხება მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსს, მისი ხმარების წესი ქართ. მთის კილოების მასალების მიხედვით ა. შანიძემ 1913 წ. ზაფხულში გამოარკვია. იმავე წლის შემოდგომაზე, როცა ოშკური ბიბლიის „გამოსვლათა“ წიგნის ტექსტის გადმოწერას მიჰყო ხელი, მან შენიშნა, რომ ძველ ქართულშიც მორფოლოგიური წესი მესამე ობიექტური პირის ნიშნის ხმარებისა არსებითად იგივეა, რაც მთის კილოებში, კერძოდ ფშაურსა და ხევსურულში. ეს აღმოჩენა მან გააცნო ნ. მარს, რომელმაც 1914 წელს ჟურნალ «Христианский Восток»-ში გამოქვეყნებულ ერთ წერილში შემდეგი აღნიშნა: «Толкование местоименных префиксов не только ა..., но и ჲ—как показателей места, а не прямого объекта, находится в связи с новым освещением употребления неоформленного префикса 3-го лица ს ‖ ჲ, данным А. Г. Шанидзе: по этому освещению префикс ს ‖ ჲ указывает обыкновенно на субъект, стояший в падеже дательном или сродном с дательным» (გვ. 385—386). ამრიგად, დიდმა ავტორიტეტმა დაადასტურა და სავსებით კატეგორიულად აღიარა ახალგაზრდა მეცნიერის მიერ აღმოჩენილი კანონი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა, კანონი, რომლის ვრცელ დასაბუთებას რამდენიმე წლის შემდეგ ზემოხსენებული მონოგრაფია მიეძღვნა.

ი. ჯავახიშვილის სიტყვით „მესამე პირის ობიექტური თავსართის ბუნების გაგებაც ა. შანიძის ღვაწლს შეადგენს, რომელმაც ამ ორ საკითხს (იგულისხმება მეორე პირის სუბიექტური ნიშანიც. შ. ძ.) ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი კილოების მეთოდურ შესწავლაზე დამყარებული მშვენიერი მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა. ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. პროფ. ა. შანიძის ამ ნაშრომში კვლევა-ძიების ისტორიუ-

ლი გზაა არსებული. იგი ქართული სიტყვიერების ძეგლთა ენის შესწავლაზეა დამყარებული"[1] (ხაზი ჩემია. შ. ძ.).

ა. შანიძის მეცნიერული შორსმჭვრეტელობის დასახასიათებლად ახლა უნდა შევეხოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია, საზოგადოდ, ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებთან.

ზემოხსენებულ წიგნში ა. შანიძემ ყურადღება გაამახვილა ორ ზმნაზე. ესენია: **ხ-არ და ხ-უალ (მი-ხ-ვალ)**. ეს ორი ზმნა უღლების დროს საყოველთაო წესსა და კანონს არ ემორჩილება, თავისებურებას იჩენს და ამიტომ საზოგადო წესები გამონაკლისს შეადგენს. ქართულ ზმნებში ისინი განმარტოებულად დგანან იმ მხრივ, რომ, ჯერ-ერთი, თავსართად (პრეფიქსად) გამოყენებული აქვთ **ხ**, სრულიად უჩვეულო და ერთი შეხედვით უცნაური ნიშანი. მეორეც, **ხარ** ზმნაში პრეფიქსი ხმოვნის წინაა. მეორე პირში ხმოვნის წინ თავსართი ჩვეულებრივ იკარგება! თუ გვაქვს, მაგალითად, **მე ვ-აკეთებ, შენ აკეთებ, ის აკეთებ-ს**, რატომ არა გვაქვს **(მე ვ-არ), შენ (ხ)არ (ის არის)**?

ამრიგად, ეს ორი ზმნა მიჩნეულ იქნა გამონაკლისად.

ა. შანიძემ ამავე ნაშრომში **ხარ-ხვალ** ზმნების უღლების საფუძველზე ასეთი გაბედული დასკვნა გამოიტანა: ალბათ არსებობდა რომელიღაც კილო, სადაც ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა არა მარტო ორ ზმნას, არამედ ყველა ზმნას! ვამბობთ — გაბედული დასკვნაო, რადგან მაშინ, ამ ორი ზმნის გარდა, არავითარი დამადასტურებული საბუთი არ მოიპოვებოდა ასეთი განზოგადებელი დებულების გამოსატანად. ეს იყო მეცნიერული წინასწარმეტყველება, რომელიც შემდგომ გამართლდა.

გავყევით კვლევა-ძიების განვითარებას.

ა. შანიძე დაუკვირდა ბოლნისის ტაძრისა და მცხეთის ჯვრის მონასტრის უძველეს წარწერებს. ამ წარწერებში გვხვდება ზმნის ფორმები: **შეხეწიე, შეხუაბთ, მეოხ ხეყავ**. ამას უნდა დაერთოს შემდეგი: 1922 წელს ა. შანიძე (აწ განსვენებულ იროდიონ სონღულაშვილთან ერთად) სამეცნიერო მიზნით იყო დიღომში და მის მიდამოებში. დიღომში მცხოვრებ ივანე სონღულაშვილს (იროდიო-

[1] ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ტფილ. უნივ. მოამბე, II, გვ. 361.

ნის ძმას) ფშაურ ამბებზე ჩამოუგდია ლაპარაკი და, სხვათა შორის, უხსენებია ჟინვანს გალმა მდებარე ადგილი **ხერთვისი**. აქ გასჩენია ჩვენს მეცნიერს იდეა, გაერკვია ამ სიტყვის ეტიმოლოგია.

ამრიგად. ა. შანიძის მეცნიერული დაკვირვების საგნად იქცა ოთხი სიტყვა (შეხეწიე, შეხუაბთ, მეოხ ხეყავ, ხერთვისი). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ფორმების ანალიზმა ახალი ეტაპი შექმნა ქართული ზმნის პრეფიქსთა ძიების ისტორიაში.

ა. შანიძემ 1922 წ. გადასცა დასაბეჭდად ნაშრომი „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსების ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“, რომელიც 1923 წ. გამოქვეყნდა. აქ გამორკვეულია, რომ **შეხეწიე**-ში (რომელიც მნიშვნელობით **შეეწიე**-ს უდრის) და სხვა ზმნებში პირის ნიშნად (ხმოვნების წინ!) გამოყენებულია **ხანი (ხ)**. **ხერთვისი** კი ძველად აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კ უ ნ ძ უ ლ ს, ისე აგრეთვე ნ ა ხ ე ვ ა რ კ უ ნ ძ უ ლ ს, რომელთა დიფერენციაცია მაშინ არც არსებობდა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვთქვათო, — ასკვნის ავტორი, — **ხერთვისი** თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარკუნძული და არა კუნძული, თანაც ისეთი ნახევარკუნძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით (ან მდინარის ზღვასთან შერთვით) არის წარმომდგარი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი **ხერთვისი** საკუთარ სახელად იქცა ქართულში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თავი. მართლაც, სოფლის ან ადგილის სახელად **ხერთვისი** დადასტურებულია ჯავახეთში, ფოცხოვში, კლარჯეთში, აჭარაში, ჟინვანს გალმა... ეს ადგილები მდინარის პირად არიან, ყველანი შერთულ მდინარეებს შორის არიან მოქცეულნი. ა. შანიძე დაასკვნის: **ხერთვისს** უნდა მოველოდეთ ჩვეულებრივ მხოლოდ იქ, სადაც მდინარე მდინარესვე ან ზღვას **ერთვის**. აი, ზმნის ფორმა (ერთვის) რომელთანაც ეტიმოლოგიური კავშირი აქვს **ხერთვისს**! საგულისხმოა ისიც, რომ **რთვა** ზმნისაგან სხვა გეოგრაფიული სახელიც გვაქვს ნაწარმოები: **შერთული** (სოფელია დიდისა და პატარა ლიახვის შესართავთან). მაშასადამე, თუ აღვადგენთ ზმნის ფორმას **(ხ-ერთვის**, ე. ი. **ერთვის)**, მივიღებთ ძველ თავსართავს **(ხ)**.

მცხეთა-ბოლნისის წარწერათა ფორმებით დაინტერესებულმა ა. შანიძემ, გ. ახვლედიანთან ერთად, 1922 წლის 13 ივნისს სასინჯი ხასიათის არქეოლოგიური გათხრები აწარმოა ზედაზენს გალალმა

საგურამოს ქასურის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებისა იმ მიზნით, რომ ზემოდან ჩამოვარდნილი და მიწაში დაფლული წარწერებიანი ქვები ამოეღო და უძველესი (VI—VII საუკუნეთა) ეპიგრაფიკული მასალა გაემრავლებინა და ამით შესაძლებელი გამხდარიყო მცხეთა-ბოლნისის წარწერების ფორმათა შემოწმება (ექსპედიციაში აგრეთვე შედიოდნენ მაშინდელი ასპირანტები ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, გ. ჯაკობია და ს. ჯანაშია). წინასწარმა გათხრამ მხოლოდ იმ მხრივ გაამართლა მოლოდინი, რომ ერთი წარწერიანი ქვა მართლაც ამოიღეს, მაგრამ ქვის ზედაპირი ისე შეეჭამა მიწას, რომ წარწერა თითქმის მთლად გადალეულიყო და მარტოოდენ თითო-ოროლა ასოს გარჩევა მოხერხდა.

ხარ-ხვალ–ში **ხ** მეორე პირის სუბიექტური ნიშანია. ამ ორ ზმნას ახლა გვერდში ამოუდგა ოთხი ზმნა, რომლებშიც **ხ** მესამე პირის ობიექტური ნიშანია.

ეს კიდევ ცოტაა.

როდესაც ზემოხსენებული ნაშრომი („ნაშთები...“) იბეჭდებოდა თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში (II ტომი, 1922—1923 წ. წ.), ამ დროს ა. შანიძე იმყოფებოდა პეტროგრადში, სადაც იგი გაგზავნილი იყო ექსპერტად, მონაწილეობა მიეღო საკითხის განხილვაში, რომ საქართველოს გადმოსცემოდა ქართული სიძველეები და, კერძოდ, ბელნაწერები. ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას ერთ დღეს დილით კორნელი კეკელიძეს (ისიც ექსპერტად იყო გაგზავნილი) უკითხავს ა. შანიძისათვის: „რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე საუკუნის წარწერით, ასე თხუთმეტიოდე სტრიქონიო?“ ამაზე ასეთი პასუხი გავეცით, ამბობს ა. შანიძე უნივერსიტეტის მოამბეში დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში: „სულ ხანებით იქნება სავსე-მეთქი!“

რა იცოდა ა. შანიძემ, რომ **სწორედ ამ დროს** თბილისში ჩვენს სასიქადულო მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს წილად ჰხვდა უდიდესი ბედნიერება, აღმოეჩინა უძველესი ქართული ხელნაწერები, რამაც გადატრიალება მოახდინა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის დარგში. ეს იყო ჰეშმარიტად ტრიუმფალური აღმოჩენა, რომლის მსგავსი არ იცის ქართული ფილოლოგიის ისტორიამ.

ვიდრე გავეცნობოდეთ ამ აღმოჩენასთან დაკავშირებულ ამ-

ბებს, ვჩქარობ ვთქვა, რომ ახლად მიკვლეული ტექსტები „სულ ხანებით არის სავსე“, ე. ი. მეორე პირის სუბიექტურ ნიშნად და მესამე პირის ობიექტურ ნიშნად გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ ხ, როგორც ამას ვარაუდობდა ა. შანიძე.

ცნობა ხან-პრეფიქსიანი ტექსტების აღმოჩენის შესახებ ა. შანიძეს პეტროგრადში მიუღია 1923 წლის 17 მარტს გიორგი ახვლედიანისაგან 5 მარტის თარიღით გაგზავნილი წერილით, რომელიც „შეზავებული ყოფილა ნახევრად ხუმრული კილოთი და რომლის შინაარსი პირველ ხანებში ბუნდოვანი ყოფილა“ მისთვის „...სიხარულისაგან (მოგეცესთ ლხენა!) მეც ძალზე ამიჩქროლდა გული, რადგანაც იმ წამსვე მცხეთა-ბოლნისის წარწერათა ასოების მსგავსი მოხაზულობანი და ზმნის ფორმები მეცა თვალშიო“, ამბობს ა. შანიძე.

როგორც ზემოთ ვთქვით, ა. შანიძის ნაშრომი („ნაშთები...“), სადაც გარჩეულია ხერთვის-შეხეწიე და სხვა ფორმები, ი. ჯავახიშვილის აღმოჩენის დღეებში იბეჭდებოდა ა. შანიძის თბილისში არყოფნის დროს. გიორგი ახვლედიანისაგან მიღებულ წერილთან დაკავშირებით ა. შანიძე განაგრძობს: „როგორ ვიფიქრებდი, თუ... ჩემს გამოკვლევაში (იგულისხმება „ნაშთები...“, შ. ძ.) მოყვანილს რამდენიმე გასაკვირალ ფორმას (გავიხსენოთ: ხერთვისი, შეხეწიე და სხვა, შ. ძ.) ასე მალე გამოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, ოღონდ არა მიწიდან ამოღებული ქვების წარწერებში, არამედ გარეცხილ-გადაფხეკილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენების გამო, რომ სტამბაში უდროოდ დაბერებულს ორიოდე სიჭაბუკის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებით“ (ენიმ. მოამბე, II, 1923).

როგორია უძველესი ქართული ხელნაწერების აღმოჩენის ისტორია და რა მნიშვნელობა აქვს ამ აღმოჩენას ქართული კულტურის ისტორიისათვის?

ივანე ჯავახიშვილი ქართულ პალეოგრაფიაზე მუშაობის პროცესში დაუკვირდა ასომთავრული ბ ъ ასოს მოხაზულობას. ეს ასო ზოგ წყაროში თავშეკრულია, ზოგში კი — თავგახსნილი. ირკვეოდა, რომ მე-7 საუკუნიდან მოყოლებული ბ თავგახსნილია. თუ ეს საბოლოოდ დადასტურდებოდა, მივიღებდით უთარიღო წერილობითი ძეგლების დათარიღების კიდევ ერთ ახალ ხერხს. ბოლნისის

ტაძრის წარწერის შესწავლამ ი. ჯავახიშვილი დაარწმუნა, რომ იქ ბ ქ თავშეკრულია, მაშასადამე, ეს წარწერა მე-7 საუკუნეზე უწინარესია. „მე მაინც ვშიშობდი, შეცდომა არ მომსვლოდა და ისეთ ძეგლებს ვეძებდი კიდევ გადასაშინჯავად, რომლებიც X საუკუნეზე ადრინდელი უნდა ყოფილიყო“, ამბობს ი. ჯავახიშვილი. ამ დროს მას მოჰგონებია ერთი ხელნაწერი, რომელიც სტუდენტობისას უნახავს. ესაა პალიმფსესტი, რომელზედაც ქართულ-ებრაული ტექსტია დაწერილი. მისი ფოტოგრაფიული სურათი 1897 წელს ინგლისიდან ო. უორდროპისაგან მოუვიდა პეტერბურგში ნიკო მარს, რათა მას ამოეკითხა ქართული ტექსტი. ნ. მარს იმ ხანად ინტერესი არ გამოუჩენია ქართული ნაწერისადმი და პალიმფსესტის ფოტოსურათი გადაუცია ებრაულის სპეციალისტის აკად. პ. კოკოვცოვისათვის, რომელმაც ამ პალიმფსესტის ებრაული ტექსტი გამოაქვეყნა 1899 წელს. ი. ჯავახიშვილი ამბობს: „ის გარემოება, რომ პრივატ-დოცენტმა ნ. მარმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, მაფიქრებინებდა, რომ ეს ორი ნაწყვეტი ქართული მწერლობისათვის ალბათ უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, და შემდეგშიც მისი წაკითხვა აღარ მიცდია. მაგრამ ამ პალიმფსესტის ასოთა დიადი მოხაზულობა მაინც გონებაში მქონდა ჩარჩენილიო“. აი, ახლა, როდესაც მეცნიერი ბ-ს მოხაზულობას იკვლევდა, აუცილებელი გახდა გასინჯულიყო ამ პალიმფსესტში ნახმარი ბ ქ მე-9 და მე-10 სტრიქონებში აღმოჩნდა ბ სრულიად თავშეკრული! ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა! „ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლოო“, ამბობს ჩვენი დიდი მეცნიერი.

რაკი ამ ნიშნის მიხედვით ხსენებული პალიმფსესტი მე-7 საუკუნეზე უწინარესი აღმოჩნდა, ამის დადასტურებას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის ისტორიისათვის: „აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ეხლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები აღმოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დაეწრმუნებულიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და მეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი“... (ი. ჯავახიშვილი).

როგორც ითქვა, ეს პალიმფსესტი ინახება ინგლისში, ქ. ოქსფორდში, ბოდლეიანაში (ე. ი. ბოდლეის სახელობის ბიბლიოთეკაში). ი. ჯავახიშვილი განაგრძობს: „გადაწყვეტილი მქონდა ოქსფორდის წიგნთსაცავისათვის მიმელოცა, რომ ის უძველესი ქართული ხელნაწერის ორი ნაწყვეტის მფლობელი იყო, და თანაც მეთხოვა, ამავე ხასიათის ქართული ასომთავრულით ნაწერი პალიმფსესტის ფოტოგრაფიული სურათები გამოეგზავნათ. მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჯერ აქ, საქართველოს დედაქალაქში, დაცული პალიმფსესტები გადამეშინჯა და გამომერკვია, თუ აქ რაღა დროის ძეგლები იყო შენახული".

მოლოდინი გამართლდა: ჩვენს მუზეუმებში (წერა-კითხვის საზოგადოებისა, საეკლესიოსა და ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოებისაში, რომლებიც მაშინ ყველა უნივერსიტეტის შენობაში იყო მოთავსებული) აღმოჩნდა პალიმფსესტები[1], რომელთა ქვედა ნაწერი ერთი შეხედვითაც უძველეს ნაწერებად გამოიყურებოდა.

ეს წერილობითი ძეგლები ხომ უთარიღონია! რომელი საუკუნისაა ახლად აღმოჩენილი ტექსტები? აი, ამოცანა, რომელიც დაისვა ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერების წინაშე. უწინარეს ყოვლისა, ასოთა მოხაზულობას, პალეოგრაფიულ ნიშნებს უნდა გაემჟღავნებინა ჩვენთვის პალიმფსესტების ხნოვანება. ი. ჯავახიშვილმა გადაწყვიტა, ჯერ ბოლნის-მცხეთის წარწერები დაეთარიღებინა სრული ზედმიწევნილობით, რაც გასაღები იქნებოდა ახლად მოპოვებული ხელნაწერების ასაკის დასადგენად.

ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერებში გარკვეული პირებია მოხსენებული. ესენია: ბოლნელი ეპისკოპოსი დავით (ბოლნისის წარწერაში), ადრნერსე (ადარნასე), დემეტრე და ქობულ-სტეფანე (მცხეთის ჯვარი)[2]. ი. ჯავახიშვილმა გამოარკვია ამ ის-

---

1 პალიმფსესტი ეწოდება პერგამენტს (ცხოველის ტყავისაგან შემზადებულ საწერ მასალას), რომელზედაც ერთხელ დაწერილი ტექსტი გადარეცხილია ან აღოფხეკილია და შემდეგ ზედ სხვა ტექსტია დაწერილი. გადარეცხილი ან ოდნავ გადაფხეკილი პირველნაწერის აღდგენა ზოგჯერ შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით.

2 ბოლნისის ერთ წარწერაში პეროზ მეფეა მოხსენებული, მაგრამ ის წარწერა მაშინ არ იყო ცნობილი. იგი შემდეგ აღმოჩნდა.

ტორიული პირების მოღვაწეობის ხანა და დაასკვნა, რომ ჩვენ წინაშეა უძველესი ქართული წარწერები, რომელთა ხნოვანება უკვე ვიცით (V—VII ს. ს.). ამრიგად Ⴒ (ბ-ს), დაწერილობა მიჩნეულ იქნა უთარიღო წერილობითი დათარიღების ერთ-ერთ ხერხად.

ახლა უკვე შეიძლებოდა დათარიღებულიყო ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტები, უძველესი ხელნაწერები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ ხელნაწერებში ბ თავშეკრულია, მაშასადამე, ისინი VII საუკუნეზე უწინარესი წერილობითი ძეგლებია! ამ საბუთიანობას ემატება სხვა საბუთი, — ეს კი ენობრივი ნიშანია და არა პალეოგრაფიული: პალიმფსესტებში ხ თავსართია ყველა ზმნაში გატარებული! „პროფ. ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, — ამბობს ი. ჯავახიშვილი, — რომ ადრნერსეს წარწერაში გვაქვს „მეოხ ეყავ“ და არა მეოხ ხეყავ“, როგორც ეს მოცემულია დემეტრეს წარწერაში“; ადრნერსეს წარწერა დათარიღდა 626—634 წლებით, დემეტრესი კი 591—600 წლებით. მაშასადამე, ხ როგორც თავსართი, VII საუკუნის პირველ მეოთხედში გაჩრობის გზაზეა დამდგარი. ცხადი გახდა, რომ ი. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ტექსტები, რომლებიც სულ ხანებით არის სავსე, VII საუკუნემდეა შექმნილი. პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების ღრმა ანალიზის შედეგად მოინახა უფრო მიახლოებული თარიღი: ეს წერილობითი ძეგლები V—VI საუკუნეებისაა.

ეს კი რევოლუციაა ქართულ ფილოლოგიაში! ხუმრობა საქმე ხომ არ არის: აქამომდე მეცხრე საუკუნის იქით ვერ მივდიოდით (ხელნაწერთა დათარიღების თვალსაზრისით) და ახლა ხელთა გვაქვს V—VI საუკუნეთა ქართველი მწიგნობრების მიერ შექმნილი ძეგლები, უშუალოდ მათი ხელიდან გამოსული ნაწერები! ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის მაინც ცხადია, რომ აქ, ყოველ შემთხვევაში, არაბობამდელ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადაურჩენია პალიმფსესტებს. ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა

როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც".

შორს მიმავალი დასკვნები კეთდება ქართული კულტურის ისტორიისათვის. ამ ძეგლების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ ბიბლიის წიგნები V საუკუნეში თუ არა, VI საუკუნეში მაინც უნდა ყოფილიყო ქართულად გადმოთარგმნილი. რაც შეეხება სახარებას, იგი, მით უმეტეს, V ს-ში ნათარგმნად უნდა ვიგულისხმოთ, თუ ამაზე ადრინდელად არა.

ეს კიდევ ცოტაა. ეს უძველესი ხელნაწერები შესრულებულია ისეთი ლამაზი, მშვენივრად ჩამონაკვთილი მრგლოვანი ასოებით, რომ, აშკარაა, ამ დამწერლობას დიდი ხნის მუშაობა უძღოდა წინ.

ი. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ უძველეს წერილობით ძეგლებს მეცნიერებაში ეწოდა ხ ა ნ მ ე ტ ი ტექსტები. ამ ტერმინის მნიშვნელობის დადგენაც ა. შანიძის ღვაწლია. მართლაც, როგორც აღნიშნა ი. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ „მშვენიერი განმარტება მოუძებნა ერთ ტერმინს, რომელიც გიორგი მთაწმიდლის ცნობილს ანდერძშია ნახმარი". იქ ნათქვამია: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიცაო", ე. ი. ხ ა ნ მ ე ტ ი ს ა ხ ა რ ე ბ ა ც არსებობდაო. ამ ტერმინის გარშემო წინათ სხვადასხვა აზრი იყო გამოთქმული: მ. ბროსე „ხანმეტში" კომენტარებს ხედავდა; დ. ბაქრაძე „ხანმეტს" სახარების დანართად მიიჩნევდა; ა. ცაგარელი გარკვეული ტიპის სახარებას გულისხმობდა; თ. ჟორდანია ამბობდა, ხანმეტი გეოგრაფიული პუნქტიაო; მ. ჯანაშვილს „ხანმეტი" ზ ო გ ჯ ე რ მ ე ტ ი ეგონა („ხან მეტი, ხან ნაკლები"); კ. კეკელიძემ „ხანმეტი" დრო-მეტად გაიგო; ნ. მარმა „ხანმეტის" პირველ ნაწილში დაინახა სპარსული სიტყვა **ხანა**, და იფიქრა, ხანმეტი მუხლმეტს უნდა ნიშნავდესო. არც ერთი ამ ახსნათაგანი არ აღმოჩნდა სწორი.

ნამდვილი ახსნა ამ ტერმინს ა. შანიძემ მოუნახა. XI საუკუნეში, გ. მთაწმიდლის მოღვაწეობის დროს, **ხ** თავსართი (ხანი) აღარ იხმარებოდა სალიტერატურო ენაში, ამ დროისათვის ის უკვე მ ე ტ ი იყო. ზემომოყვანილი ძველი ციტატი ახალი ქართულით ასე უნდა ითარგმნოს: ყველა ჩვენი სახარება თავიდანვე წმიდად და კარგად არის თარგმნილი, ისინიც, რომლებიც ხან-მეტებია (ე. ი.

რომლებშიც ზედმეტი ხ, ე. ი. ზედმეტი ხანები მოიპოვება), და ისინიც, რომლებიც საბაწმიდურები არიანო[1]. მაშასადამე, გ. მთაწმიდლის სახარების ანდერძში ჩვენ მოგვეპოვება ძვირფასი ცნობა უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესახებ და მათი სხარტი დახასიათებაო, დაასკვნის ა. შანიძე.

1923 წელი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხანმეტი ძეგლების აღმოჩენითა და მათთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების გადაწყვეტით. იმავე 1923 წლის გაზაფხულზე ა. შანიძემ ერთ-ერთ ძველ ძეგლში — ადიშის ოთხთავში მიაგნო ზმნის თავსართს ჰაეს, რომელიც იმავე ვითარებაში გვხვდება, რა ვითარებაშიაც ცნობილია პრეფიქსი ხანი ე. წ. ხანმეტ ძეგლებში. „ხანმეტ“ ტერმინის ანალოგიით ა. შანიძემ შემოიღო ახალი ტერმინი „ჰაემეტი“ („ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“: უნივ. მოამბე, II) იმავე ზაფხულში ჩვენმა მეცნიერმა იმოგზაურა სვანეთში და გასინჯა იფარის ეკლესიაში დაცული ხელნაწერები. პროფ. ა. ხახანაშვილის აღწერილობიდან მას ახსოვდა, რომ აქ რაღაც პალიმფსესტი ინახებოდა. იგი აღმოჩნდა ნაწილი საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერისა, რომელიც 1329 ნომრით არის კატალოგში შეტანილი. ამრიგად, კიდევ ერთი აღმოჩენა: ჩვენ წინაშეა ძველი წერილობითი ძეგლი, ა. შანიძის გამოკვლევის თანახმად, მერვე საუკუნისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჰაემეტობა. მალე ა. შანიძემ გამოაქვეყნა ამ ტექსტის ნაწყვეტები სათანადო გამოკვლევით („ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“: უნივ. მოამბე, III, 1923).

როგორია მიმართება ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებს შორის? ამ საკითხზე ერთმანეთის საპირისპირო შეხედულება აქვთ გამოთქმული ი. ჯავახიშვილსა და ა. შანიძეს. პირველი მათგანი ვარაუდობდა, რომ ჯერ იყო ხანი და მერე იქცა ჰაედ, შემდეგ სულ გაქრაო. ა. შანიძე ამტკიცებს, რომ ჩვენი პრეფიქსების პროტოტიპულ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰაე, რომლისაგანაც შემდეგ წარმოიშვა სხვა სახეები და მათ შორის ხანიც. თუ ი. ჯავახიშვილს ხანი თავსართად მთელი ქართული ენის კუთვნილებად მიაჩნდა, ა. შანიძე ფიქ-

---

1 საბაწმიდა — მონასტერია იერუსალიმის ახლოს. „საბაწმიდური“ გულისხმობს საბაწმიდის მონასტერში მოღვაწე ქართველი ლიტერატორების მიერ რედაქტირებულ ტექსტს.

რობს, რომ ხ-სა და ჰ-ს შორის განსხვავება იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს. მაგალითებით რომ ვთქვათ, იყო კილო, სადაც იხმარებოდა ასეთი ფორმები: ხ ი ყ ო, ხ ე ტ ყ უ ი ს, ხ რ ქ უ ა, და იყო კილო, რომელშიც იგივე ფორმები ასე ითქმოდა ჰ ი ყ ო, ჰ ე ტ ყ უ ი ს, ჰ რ ქ უ ა... არ ვიცით, რა ერქვა სახელად იმ ტომს, რომელიც ხანმეტ კილოზე ლაპარაკობდა და წერდა, ან იმას, რომელსაც ჰაემეტობა ახასიათებდა, არც მათი გეოგრაფიული საზღვრებია ცნობილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხანმეტი კილო მაშინდელი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (მცხეთა-ბოლნისის მიდამოებსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო — მის დასავლეთით. ა. შანიძე დასძენს, რომ ხანმეტ კილოს დიდი კვალი დაუჩნევია სალიტერატურო ენის განვითარებაზე, მაგრამ იგი რაღაც მიზეზების გამო სალიტერატურო ასპარეზს ჩამოშორებია და გზა დაუთმია ჰაემეტი დიალექტისათვის.

ა. შანიძემ შემდეგ და შემდეგ გამოსცა რამდენიმე პირველხარისხოვანი ძეგლი, რომლებმაც გააფართოვეს ჩვენი წარმოდგენა უძველესი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

* * *

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ანტონ I-მა შექმნა ვრცელი ქართული გრამატიკა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის გრამატიკულ ლიტერატურაზე. მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ერთგვარი განახლება დაეტყო გრამატიკულ აზროვნებას როგორც მეთოდოლოგიურად, ისე მასალის თვალსაზრისით. რამდენიმე გრამატიკა უცხოურ ენებზედაც გამოქვეყნდა. ამ ძველმა გრამატიკებმა რამდენადმე უთუოდ შეუწყვეს ხელი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის რთულ ხლართებში გარკვევას.

ტრადიციული გრამატიკების არსებითი მეთოდოლოგიური ნაკლი ისაა, რომ მათში ქართული ენის სპეციფიკა არ არის გამორკვეული და გამოვლენილი, რადგანაც ჩვენი ენის გრამატიკულ მოვლენებს უცქერდნენ ბერძნული და ლათინური ენების მიხედვით და მათ განიხილავდნენ ამ ენებისა და სხვა ევროპული ენების ანალოგიის თვალსაზრისით. უგულებელყოფილი იყო, აგრეთვე,

ისტორიზმი: ესა თუ ის გრამატიკული ფაქტი არ იყო განხილული ისტორიულ ასპექტში, მისი განვითარების საფეხურების გათვალისწინებით. კაცმა რომ თქვას, ეს არც მოეთხოვებოდა „სასკოლო გრამატიკას“, რამდენადაც იგი, ჩვეულებრივ, მოწოდებულია აღწეროს თანამედროვე ენაში არსებული ვითარება.

ამრიგად, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებმა, ქართული ენის უბრალო სასკოლო გრამატიკების გარდა, არსებითად ვერაფერი მოგვცეს.

ქართული ენის შესწავლის ისტორიაში პირველი იყო პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც კრიტიკულად განიხილა მანამდე არსებული გრამატიკული ლიტერატურა და ზოგი დაკვირვება გამოაქვეყნა ქართული ენის შესახებ[1], მაგრამ მას გრამატიკა არ დაუწერია.

პირველი ცდა ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის შექმნისა ნიკო მარს ეკუთვნის. მან ჯერ ტაბულები გამოსცა[2] და შემდეგ, დიდი დაგვიანებით, 1925 წელს, თვით გრამატიკა რუსულ ენაზე[3]. ექვსი წლის შემდეგ, 1931 წელს, იმავე ნ. მარმა პარიზში პროფესორ მორის ბრიერთან ერთად გამოსცა ფრანგულ ენაზე ქართული ენის სახელმძღვანელო (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი)[4]. ესაა მოკლე გრამატიკა ძველი ქართული ენისა, თავისი დროისათვის კარგი, დამაკმაყოფილებელი, თუმცა ქართული ენის ბევრი თავისებურება შიგ არ იყო გათვალისწინებული და ზოგი რამ არასწორად გაშუქებულიც.

ქართული ენის გრამატიკის შექმნა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე წილად ხვდა ა. შანიძეს რომლის „ქართული გრამატიკა (I. მორფოლოგია)“ გამოქვეყნდა 1930 წელს.

თავისთავად ცხადია, რომ ამ გრამატიკის დაწერას წინ უსწრებდა ცალკეული გრამატიკული საკითხების მონოგრაფიული დამუშავება, მათი დეტალური გამოკვლევა. ა. შანიძე წლების მანძილზე

---

[1] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, სანკტპეტერბურგი, 1873.

[2] Н. Марр, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, სანკტპეტერბურგი, 1908.

[3] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, ლენინგრადი, 1925.

[4] N. Marr et M. Briére, La langue géorgienne. Paris, 1931

ქვეყნებს სპეციალურ ნაშრომებს, სადაც გაშუქებას პოულობს ჩვენი ენის სტრუქტურული თავისებურებანი, და ამით ამზადებს ნიადაგს მეცნიერული გრამატიკის აგებისათვის.

ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის მოამბის I ტომში (1919 წ.) დაბეჭდილია ა. შანიძის მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ნასახელარი ზმნები ქართულში“, სადაც გარკვეულია, რომ სუფიქსიანი ვნებითის მაწარმოებელი ქართ. ენის განვითარების წინა საფეხურზე საყოველთაოდ უნდა ყოფილიყო **ნ**, რომელიც შემდგომში დონმა შეცვალა; მაგ., გან-დიდ-**ნ**-ა > გა-დიდ-დ-ა, და მისთ.

ახალი საკითხებია დაყენებული და გადაწყვეტილი აგრეთვე ნაშრომში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

ა. შანიძე თანდათან აფართოებს კვლევა-ძიებას ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის დარგში. ისახება ახალი პერსპექტივები, მეცნიერული ანალიზი ავლენს ჩვენი მდიდარი ენის მორფოლოგიური აღნაგობის მანამდის შეუცნობელ თავისებურებებს, ფარდა ეხდება ისეთ მოვლენებს, რომელთა საფუძველზე ქართული ენა აჩენს მსოფლიო ენათა თვალსაზრისით საინტერესო და საგულისხმო გრამატიკულ კატეგორიებს. ამის მშვენიერი მაგალითია დადგენა ახალი კატეგორიის — ქცევისა, რომელიც ჩვენმა მეცნიერმა წარმოადგინა თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში „ქართული ზმნის საქცევი“ (უნივ. მოამბე, VI, 1926 წ.). აქ მოხაზულია ზოგადად ქცევის რაობა და მისი ხმარების არე, ოღონდ საბოლოო სახით ეს კატეგორია დადგენილია 1930 წ. გამოსულ გრამატიკაში და მას შემდეგ იგი გაზიარებულია ყველა სპეციალისტის მიერ და შესულია სასკოლო სახელმძღვანელოებში და უმაღლესი სკოლის კურსში. „ამ მორფოლოგიური კატეგორიის დადგენა ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ზმნის აგებულების გასაშუქებლად... შრომამ მაღალი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაშიც“[1].

ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგებში ა. შანიძის მრავალწლიანი დაკვირვებებისა და ნაყოფიერი ძიების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს მისი ზემოხსენებული წიგნი „ქართული გრამატიკა,

[1] გ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში: უნივ. შრომები, XIX, 1941, გვ. 167.

I. მორფოლოგია“, რომელშიც მოცემულია „სისტემატურად თანამედროვე (სალიტერატურო) ქართული ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა იმ მონოგრაფიული ნაშრომების საფუძველზე, რაც ავტორმა შეასრულა 1921—1929 წლების მანძილზე. ამასთანავე ამ შრომაში პირველადაა დასმული და გადაჭრილი მთელი რიგი გრამატიკული საკითხები... ამგვარად, ჩვენს უმაღლეს სკოლას მიეცა... პირველი მეცნიერული გრამატიკა (მორფოლოგია) ქართულ ენაზე. მან უკვე დიდი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენისათვის მყარი საფუძვლის შექმნასა და შემდგომი კვლევის საქმეში“ (გ. ახვლედიანი, იქვე).

ა. შანიძის გრამატიკამ აღნიშნა გარკვეული ეტაპი ქართ. ენის მეცნიერულ შესწავლაში და მან გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო წრეებში.

ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა ჰანს ფოგტმა თავის ქართული ენის გრამატიკაში, რომელიც დაწერილია ფრანგულად (ოსლო, 1936), აღნიშნა, რომ ამ პატარა წიგნმა დიდად შეუწყო ხელი მას ქართული ენის სტრუქტურის გარკვევაში; ა. შანიძის გრამატიკის საფუძველზე დაიწერა ქართული გრამატიკა ბ. რუდენკოსი («Грамматика грузинского языка» მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, ლენინგრადი, 1940).

1941 წელს აკაკი შანიძემ წამოაყენა თეორია გრამატიკული მწკრივის შესახებ. ზმნის უღლებად ფორმათა მთელი მარაგიდან გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული ნიშნის მიხედვით აერთიანებენ შიგ შემავალ ფორმებს. ამ ჯგუფებს საერთო სახელი არა აქვთ, მაგრამ თვითეულ მათგანს სახელს არქმევენ ერთის ან ორი მაერთიანებელი კატეგორიის მიხედვით, როგორიცაა დრო, კილო და სხვა, ან კიდევ მათ რაიმე ნიშნის მიხედვით ასახელებენ (პერფექტი, იმპერფექტი...) სათანადო ჯგუფებს, ა. შანიძის მოძღვრების თანახმად, დაერქვა მწკრივები.

მწკრივის თეორია ა. შანიძემ პირველად გააცნო საბჭოთა კავშირის ენათმეცნიერებს 1941 წელს, როდესაც წაიკითხა მოხსენება ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების იანვრის სესიაზე. ეს ნაშრომი შემდეგ დაიბეჭდა ამ სათაურით «Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского язы-

ка». ჟურნალით («Общие вопросы») ავტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ, მისი ღრმა რწმენით, საკითხი ეხება არა მარტო ქართულ ენას, არამედ სხვა ენებსაც, საზოგადოდ.

1942—1943 წ. წ. დღის სინათლეზე გამოდის ა. შანიძის წიგნი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ორ ნაკვეთად. ეს არის ძირეულად გადამუშავებული გამოცემა 1930 წ. გამოსული ქართული გრამატიკისა. „ცვლილება, რომელიც აქაა შეტანილი, ზოგჯერ ისე დიდია მოცულობისა და შინაარსის მხრივ, რომ, შეიძლება ითქვას, იგი ახლად არის დაწერილიო“, ამბობს ავტორი პირველი საკვეთის წინასიტყვაობაში (1942 წ.). აქ უკვე გატარებულია ის ახალი თვალსაზრისი, რომელიც შეიმუშავა ა. შანიძემ მანამდის უცნობი ზმნური კატეგორიების შესახებ.

ჩვენი მეცნიერი შეუნელებელი ინტერესით განაგრძობს მუშაობას ქართული გრამატიკის პრობლემებზე, გვაწვდის ახალ-ახალ დაკვირვებებს, არკვევს ბევრ საცილობელ საკითხს, აზუსტებს და აღრმავებს წინათ გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას და ამით თანდათანობით მზადდება ნიადაგი იმ კაპიტალური გრამატიკისათვის, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა.

1942 წლიდან მოყოლებული ზედიზედ იბეჭდება ა. შანიძის ნაშრომები გრამატიკის სფეროდან.

ქართული გრამატიკის (კერძოდ, მორფოლოგიის) დარგში ა. შანიძის რამდენიმე ათეული წლის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგები მთლიანი სახით წარმოდგენილია ვეებერთელა, 672-გვერდიან წიგნში „ქართული გრამატიკის საფუძვლები (I. მორფოლოგია)“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა 1953 წელს.

„ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ასახავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკულ (მორფოლოგიურ) წყობას, ფართოდ წარმოგვიდგენს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებებს და განაზოგადებს მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ქართველოლოგიაში.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, გიორგი ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“ — ეს ფუძემდებელი წიგნები —

— უდიდესი მონაპოვარია ქართველი ხალხის ისტორიისა და მისი მდიდარი კულტურის შესწავლის საქმეში.

ა. შანიძის გრამატიკის საფუძვლები ვრცელი კურსია, რომელიც საფუძვლად ედება ქართული ენის სწავლებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. შანიძისეულ გრამატიკულ მოძღვრებას ეყრდნობა აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში დედაენის სწავლება.

ა. შანიძის გრამატიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს განსაზღვრავს ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის კვლევა-ძიება. მთელი რიგი გრამატიკული კატეგორიების გაგებისათვის ამ გარემოების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ გზით, მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ზმნის ასპექტის, ვარიანტისა და ქცევის კატეგორიების გარკვევის დროს.

გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციისას ავტორს კრიტერიუმად მომარჯვებული აქვს ფორმათა შეფარდების (დაპირისპირების) ხერხი, დაყრდნობილი ურთიერთ შორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. ბგერითი შედგენილობის მიხედვით ერთი ფორმის მქონე სიტყვა დაპირისპირების ნიადაგზე მორფოლოგიურად შეიძლება რამდენიმე ფორმის მქონედ წარმოგვიდგეს.

ა. შანიძის გრამატიკის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ავტორი არ კმაყოფილდება ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის აღწერით; სადაც საჭიროა, გათვალისწინებულია ახსნა, გენეზისი, დადგენილია მისი თავდაპირველი სახე. ავტორს აინტერესებს არა მარტო „როგორ“, არამედ „რატომ“.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმები ხშირად შეუძლებელია გავიგოთ, თუ არ მივმართავთ კლასიკურ ქართულ ენას, ძველ წერილობით ძეგლებს, სადაც წარმოდგენილია ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ვითარება წინა ეპოქებში.

თვალსაჩინო რაოდენობითაა წიგნში მოცემული დიალექტური მასალა. ეს იმიტომ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ცოცხალი მეტყველების ფაქტების გათვალისწინება აუცილებელია მწიგნობრული ენის მოვლენების გასარკვევად.

შესადარებელი მასალა, გარდა დიალექტებისა, ა. შანიძის წიგნში მოყვანილია ჭანურ-მეგრულ-სვანურიდან.

გრამატიკის საფუძვლებში მოცემულია აგრეთვე ქართული ენის შედარებანი მსოფლიოს სხვა ენებთან, როგორიცაა: რუსული, ლათინური, ბერძნული, არაბული, თურქული და სხვ.

უდავოა, რომ ქართული ენის სხვა ენებთან შედარებას ის ღირსება აქვს, რომ აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ენობრივი მოვლენების მიმართ და ღრმად ჩაგვახედებს დედაენის ბუნებაში.

ამგვარი შედარება, მოცემული ა. შანიძის მიერ, არ არის ინტერესმოკლებული თვით იმ შესადარებელი ენების გრამატიკის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გასაშუქებლად. ქართული ენის გრამატიკული მოვლენების სწორ მეცნიერულ ანალიზს შეუძლია დაგვასმევინოს საკითხები განსხვავებული ტიპოლოგიის ენათა ზოგი სახელის გამოსარკვევად.

„ქართულ გრამატიკულ მოვლენებზე მუშაობისას არა ერთხელ წამოჭრილა საკითხები ზოგად-საენათმეცნიერო ხასიათისა, რომლებიც არ არის სათანადოდ გადაწყვეტილი სპეციალურ ლიტერატურაში“. ა. შანიძის გრამატიკაში ჩვენ ვხვდებით ისეთ შეხედულებებს, რომლებსაც კორექტივი შეაქვთ საერთოდ ენათმეცნიერებაში განმტკიცებულ თეორიებში. ზოგად ენათმეცნიერებაში „ზოგიერთი მოვლენა მცდარად არის გაშუქებული ისე კარგად გამოკვლეული ენებისათვისაც კი, როგორიცაა ფრანგული, გერმანული ან ინგლისური, რომ არაფერი ვთქვათ სომხურისა, თურქულისა, არაბულისა და სხვათა შესახებ. ამ სტრიქონების დამწერს, — ამბობს ა. შანიძე, — არ ჰქონდა არავითარი ხალისი, სხვებისთვის ეგდო ყური ისეთი ზოგადი ხასიათის საკითხში, როგორიცაა გრამატიკული დრო, და ეცადნა, ვიდრე გაერკვეოდნენ მის რაობაში ევროპაში თუ სხვაგან, რომ შემდეგ მათგან გადმოეღო საბუთიანობა და გამოეყენებინა ის ქართული მასალების გაშუქებისათვის. საზოგადოდ, ავტორს აინტერესებდა არა მარტო ენის ფილოსოფიის მონაპოვართა გამოყენება ქართულისათვის, არამედ ქართ. ენის მოვლენათა სწორი შეფასების გზით ზოგიერთ მცდარ დებულებათა გაბათილება ზოგად საკითხებში და მათ ნაცვლად ჰეშმარიტის წამოყენება, სათანადოდ დასაბუთება და გაშუქება“.

ზემოთ აღინიშნა, რომ ა. შანიძის გრამატიკულმა მოძღვრებამ წარმოაჩინა და ახალი შუქი მოჰფინა ქართული ენის მთელ რიგ კატეგორიებს.

ჯერ კიდევ 1930 წელს გამოსულ გრამატიკის კურსში ა. შანიძემ წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი დებულება ნამდვილი და მოჩვენებითი კატეგორიის შესახებ (§ 127). აქ ნათქვამია: „რომელიმე გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს ნამდვილიცა და მოჩვენებითიც. მაგალითი რომ ქცევიდან ავიღოთ, ვნახავთ, რომ ვთქვათ, „გა-უ-კეთა“ ნამდვილი სასხვისო ქცევა იქნება, რადგანაც საპირისპირო ფორმები მოეპოვება: ერთი მხრით, „გა-ა-კეთა“ და, მეორე მხრით, „გა-ი-კეთა“; მაგრამ იმავე ზმნისგან ნაწარმოები „გა-უ-კეთებია“ ნამდვილი ქცევა კი არ იქნება, არამედ მოჩვენებითი, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია... მოჩვენებითი გრამატიკული კატეგორია, ნამდვილის გვერდით, ძალიან გავრცელებული მოვლენაა ენებში საზოგადოდ და კერძოდ ქართულში. ნამდვილია კატეგორია, როცა რომელსამე გარკვეულ ბგერითს კომპლექსს სათანადო მნიშვნელობაც ახლავს თან სხვა ფორმათა დაპირისპირების ნიადაგზე, ხოლო მოჩვენებითია კატეგორია, როცა რაიმე გარეგნული ნიშნის მიხედვით, წარმოების ძალით, შეიძლება ფორმა განეკუთვნოს ამა თუ იმ კატეგორიას, მაგრამ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო სათანადო მნიშვნელობას მოკლებულია“.

ეს დებულება მრავალ მაგალითზეა ნაჩვენები ა. შანიძის ნაშრომებში, რომლებიც სტრუქტურის საკითხებს ეხება.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „საფუძვლებში“ მორფოლოგიური კატეგორიები დაყოფილია ორ ჯგუფად: ერთ ჯგუფს შეადგენს ის კატეგორიები, რომლებიც ზმნას არ უცვლიან მნიშვნელობას და მონაწილეობენ უღლებაში, ე. ი., რომლებიც საჭირონი არიან მწკრივების საწარმოებლად; ფორმათა ცვალება ხდება ერთი ზმნის ფარგალში. ეს არის უღლების კატეგორიები. მეორე ჯგუფს კი შეადგენენ ის კატეგორიები, რომლებიც მნიშვნელობას უცვლიან ზმნას. გვაქვს განსხვავებული ზმნები; რომელთაც თავთავისი უღლება მოეპოვებათ. ეს არის წარმოქმნის კატეგორიები.

უღლების კატეგორიებია პირი, რიცხვი, დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამდევრობა და მწკრივი. ამ უკანასკნელში (მწკრივში) გამოხატულებას პოულობს უღლების ყველა კატეგორია. ძველ ქართულში ამას ემატებოდა ასპექტი, რომელიც თანამედროვე ქართულში ძირითადად წარმოქმნის კატეგორიების რიცხვშია გა-

დასული, უღლების კატეგორიის მნიშვნელობა მას შენარჩუნებული აქვს მხოლოდ პირველი სერიის მწკრივებში.

წარმოქმნის კატეგორიები კი ესენია: გეზი და ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი და სიტუაცია.

ზოგი კატეგორია წინათაც იყო ცნობილი, მაგრამ ა. შანიძემ დააზუსტა და მეტი სინათლე შეიტანა საკითხებში. მაგალ., დ. ყიფიანის გრამატიკით კარგად ცნობილი იყო სრული და უსრული სახის ზმნები და სქემაც იყო შიგ წარმოდგენილი „წერა-დაწერა“ ზმნის მაგალითზე, მაგრამ ა. შანიძის დამსახურება ის არის, რომ მან ასპექტის საკითხი განიხილა ისტორიულად და დაამტკიცა, რომ ამ კატეგორიის გამოხატვა ძველ ქართულში სულ სხვა პრინციპზე იყო დამყარებული, ვიდრე ახალ ქართულშია: ძველად (X საუკუნემდის) ასპექტი უღლების კატეგორია იყო, მას ეკისრებოდა I და II სერიის ფორმათა გარჩევა იმის მიხედვით, დასრულებულია მოქმედება თუ არა. I სერიის ფორმები უსრული სახისა იყო, II სერიისა კი — სრული სახისა. ზმნისწინს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ამ საკითხისათვის. მაგალ., **დასწერს** I სერიის ფორმა იყო და უსრული, თუმცა ზმნისწინი ჰქონდა, **დაწერა** კი სრული იყო, რადგანაც II სერიას განეკუთვნებოდა. X საუკუნიდან დაიწყო ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლა. იგი დაეყრდნო ზმნისწინის ხმარების პრინციპს: ზმნისწინიანი ფორმები სრულსახიანი (სრულასპექტიანი) გახდა, უზმნისწინოები კი — უსრულო ასპექტისანი. ამ ამბავს ზმნის ფორმათა გადაჯგუფება მოჰყვა და მათი სხვაგვარი გააზრება. ამის წყალობით I სერიის მწკრივები, წინათ ერთად მდგომნი, ორად გაიყო და წარმოიშვა ორი წრე: აწმყოსი და მყოფადისა. ასპექტის ძველი სისტემა ბერძნულს მოგვაგონებს, ახალი სისტემა კი — სლაურს, კერძოდ, რუსულსო, ამბობს ა. შანიძე. მანვე წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი დებულება: ასპექტის სისტემის შეცვლამ მტკიცე ზღვარი დადო ძველსა და ახალ ქართულს შორის, იგი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია მათ შორისო.

ახალი სისტემის ჩანასახი უკვე X საუკუნეში გვხვდება. იგი შემდეგ თანდათან მეტ გასაქანს პოულობს. საშუალო ქართულის ძეგლებში („ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „ამირანდარეჯანიანში“) ორივე სისტემის ასპექტი გვხვდება, ძველი სისტემით გა-

მოხატულიცა და ახლითაც. დღევანდელი ქართული ძირითადად ახალი სისტემის ასპექტს იცნობს, ძველისა მხოლოდ ნაშთებია მოღწეული.

მოძღვრებას ასპექტის შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ა. შანიძის გრამატიკაში.

გვარის კატეგორია დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ქართულში არ იყო მკაფიოდ გამოყოფილი საშუალო გვარი, მაგალ., უშავს ამათთან დაპირისპირებით: უშავებს და უშავდება. ამ ტიპის ზმნათა ადგილის მიჩენა ა. შანიძის დამსახურებაა. მანვე დაადგინა პირველად, რომ ვნებითი გვარის ზმნები ორგვარია: დინამიკური და სტატიკური. ა. შანიძემვე აღნიშნა ვნებითი გვარის ზმნებში „მიჩნევისა“ და „გუნების“ ჯგუფები და რაც უფრო საყურადღებოა, დაადგინა: მოქმედებითი გვარის ზმნა რომ გადაყვანილ იქნეს ვნებითში, ზმნას ერთი პირი დააკლდება: სამპირიანი ორპირიანად იქცევა.

საზოგადოდ, ქართული ზმნის მრავალპირიანობისაგან (პოლიპროსოპიისაგან) წარმომდგარი ფორმები და, კერძოდ, აქტივ-პასივის ურთიერთობა დიდი ცოდნითა და ოსტატობით არის წარმოდგენილი ა. შანიძის გრამატიკაში.

ქცევის კატეგორია, რომელიც ამჟამად ელემენტარული სახით სკოლის სახელმძღვანელოშიც კი არის შესული, სტუდენტობის დროიდანვე აინტერესებდა ა. შანიძეს. ამ საკითხს მან, როგორც ზემოთაც არის ნათქვამი, სპეციალური გამოკვლევა უძღვნა (1926 წ.), მაგრამ მოძღვრება ამ გრამატიკული მოვლენის შესახებ საბოლოოდ ჩამოყალიბებულია 1930 წ. გამოსულ გრამატიკაში. ქცევა სამია: საარვისო, სათავისო და სასხვისო. შემდგომ დაკვირვებათა წყალობით გამოირკვა ზოგიერთი დეტალი, რომლებიც წარმოდგენილია 1943 წ. გამოსულ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ სხვათა შორის, შესაძლებელი ყოფილა, რომ, ჩვეულებრივი ირიბი ობიექტის გარდა, ზმნის ფორმაში მინიშნებულ იქნეს ისეთი ირიბი ობიექტიც, რომელიც ეკუთვნის სხვა ობიექტს. მაგ., წინადადებაში — „სალაროს ხელს ნუ ახლებ“ „სალარო“ ჩვეულებრივი ირიბი ობიექტია, მაგრამ ამ წინადადებაში — „სალაროს ხელს ნუ მიხლებ“ ჩანს, რომ „სალარო“ ეკუთვნის მოუბარ პირს, რომელიც ამ

შემოხვევაში ირიბი ობიექტია, მაგრამ „მფლობელი“, სალარო კუთვნილებაა პირველი პირისა, რომელიც ირიბია წინადადებაში (სუბიექტია მეორე პირი). ქცევის საკითხის შესწავლამ ა. შანიძეს საშუალება მისცა წამოეყენებინა მტკიცე დებულება, რომ ეს კატეგორია ბერძნულ ენაშიც მოიპოვება, მაგრამ მას ბერძნულის სპეციალისტები გვარის კატეგორიაში რევენ. აქედან — დასკვნა: „გვარის კატეგორიიდან უნდა გამოიყოს ქცევის კატეგორია და მას დამოუკიდებელი ადგილი მიეჩინოს ბერძნულში და ინდოევროპულ ენებში, სადაც სათავისო ფორმები, მედიუმად წოდებული, გადმონაშთის სახით არის მოღწეული“ (საფუძვლები, § 417).

წარმოქმნის კატეგორიებს განეკუთვნება კონტაქტიც, რომელიც ა. შანიძის მიერ არის მიგნებული და დასაბუთებული. ეს კატეგორია მრავალ ენაში მოიპოვება, მაგრამ სათანადოდ გამოვლენილი არ იყო. ა. შანიძემ ქართული ენის მდიდარ მასალაზე ცხადყო, რომ ზოგ ენაში მოიპოვება წყვილ-წყვილი ფორმები, რომელთაგანაც ერთი აღნიშნავს, რომ სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ მოქმედებს, მეორე კი აღნიშნავს, რომ სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე სხვა ობიექტის საშუალებით მოქმედებს. მაგალითი: „პეტრემ ქურდი დაიჭირა“. ჩანს, რომ პეტრემ უშუალოდ ქნა ეს საქმე, მას სხვა პირის ჩარევა საქმეში არ დასჭირებია. მაგრამ ავიღოთ ასეთი წინადადება: „პეტრემ პავლეს ქურდი დააჭერინა“. მისი აზრი ის არის, რომ პეტრეს ქურდი დაუჭერია არა უშუალოდ, არამედ პავლეს საშუალებით. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ორი მოქმედი პირია, ერთი (პეტრე) ინიციატორი და მეორე (პავლე) — უშუალოდ საქმის ჩამდენი. თითქოს ყველაფერი ეს მარტივიაო და შეიძლება სხვების გრამატიკებშიც ვიპოვოთო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ა. შანიძემ ამ ფორმებს მოუნახა ზუსტი ახსნა და გარკვეული ადგილი მიუჩინა ზმნათა სისტემაში.

სხვათა შორის, ა. შანიძემ 1946 წელს რუსულადაც დაბეჭდა გამოკვლევა ორი გრამატიკული კატეგორიის შესახებ («Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка»: Известия Академии наук СССР, Отд. литературы и языка, т. V, вып. 2). „ქართულის მაგალითებზეო“, სათაურში რომ აღნიშნა, ამით ავტორს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ეს კატეგორიები სხვა ენებშიც მოიპოვება. აქტი უღლების კატეგო-

რიაა, კონტაქტი — წარმოქმნისა. ერთიცა და მეორეც მრავალ ენაში გვხვდება, კერძოდ — თურქულ ენებში. ა. შანიძემ ქართული მაგალითებით ცხადყო, რომ ამ კატეგორიას სხვა კატეგორიებში ურევენ ცნობილი სპეციალისტებიც კი. კერძოდ, აქტის შესახებ ჩვენი მკვლევარი ამბობს, იგი მოიპოვება თურქულ ენებშიცო. ამიტომ, მაგალითად, განსხვავება თურქულ „გელდი“ („მოვიდა“) და „გელმიშ“ („მოსულა“) ფორმებს შორის სრულებით არ არის მოდალური ხასიათისა, თანაც სუბიექტური გაგებით, — როგორც ამას ფიქრობდა ვ. გორდლევსკი და იმეორებენ ნ. დმიტრიევი და ა. კონონოვი, — არამედ აქტობრივი. მოდალური თვალსაზრისით (ე. ი. თუ რა გრამატიკული კილოს ფორმებია) ორივე ფორმა თანაბარია; ორივე თხრობითი კილოა. რადგანაც თურქ. გელდი ქართულად ნიშნავს: „მოვიდა“, ხოლო გელმიშ „მოსულა“, ჩემთვის არავითარი ეჭვი არ არის, რომ განსხვავებას მათ შორის ის კატეგორია ქმნის, რომელსაც მე „საქმე“ ანუ „აქტი“ ვუწოდეო, ამბობს ა. შანიძე (გვ. 168—169).

კონტაქტის კატეგორიის დადგენით ა. შანიძემ გამოდევნა გრამატიკიდან ორი შეუსაბამო დებულება. ერთი ეს არის: თითქოს ენაში, კერძოდ ქართულში, არსებობდეს ე. წ. იძულებითი კილო побудительный залог. რომ აქ გრამატიკოსებს დიდი შეცდომა ჰქონდით, ეს ა. შანიძემ ეჭვმიუტანლად დაასაბუთა და უჩვენა როგორც ქართულის, ისე თურქულის მაგალითებზე. ამ გამოკვლევაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „თურქული ენის სპეციალისტი ნ. დმიტრიევი წერდა: „თურქული ზმნის მეტად აშკარა თავისებურებას წარმოადგენს, რასაც ჯერ კიდევ აკად. თ. კორში აღნიშნავდა, იძულებითი (ფაქტიტიური, კაუზატიური) კილო (побудительный, фактитивный, каузативный залог), რომელიც გამოხატავს ერთი სუბიექტის ჩარევას მეორის მოქმედებაში, იქნება ეს აქტიური იძულებისა თუ ბრძანების სახით ანდა პასიური მიშვებითო“. ცხადიაო, ამბობს ამის გამო ა. შანიძე, ავტორი (ნ. დმიტრიევი) კაუზატიურ ფორმებს განიხილავს როგორ განსაკუთრებულ კილოს. მე კი მგონიაო, რომ კაუზატიური ფორმა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იმედიატი (უშუალო კონტაქტი) კილოს თვალსაზრისით თურქულ ენებშიც შეიძლება იყოს მოქმედებითი ან ვნებითი. იმედიატი (უშუალო კონტაქტის ფორმა) ჟაზედ („დაწე-

რა“) და მედიატი (შუალობითი კონტაქტის ფორმა) ჰაზდგრდგ („დაწერინა“) — ორივე მოქმედებითია, ხოლო ჰაზგლდგ (დაიწერა) — იმედიატი (უშუალო კონტაქტის ფორმა) და ჰაზდგრგდგ („დაწერინებულ იქნა“, „დაეწერინა“) — ორივე ვნებითიაო.

მეორე გაუგებრობა, რომელიც ა. შანიძის მოძღვრებამ უკუაგდო, ეხება საკითხს, თითქოს ზმნა შეიძლება ორმაგად გარდამავალი იყოს. ასეთი გაუგებრობა გვხვდება როგორც ქართული ენის გრამატიკებში, ისე სხვა ენებისაში. ამის საწინააღმდეგოდ ა. შანიძემ წამოაყენა ასეთი მკაფიო დებულება: ზმნის გარდამავლობას გვამცნევს მისი უნარი, შეიწყობს თუ არა პირდაპირ ობიექტს: თუ შეიწყობს, გარდამავალია, თუ ვერ შეიწყობს, გარდაუვალი ყოფილა. რადგანაც პირდაპირი ობიექტის შეწყობის თვალსაზრისით ორივე კონტაქტის ზმნა აბსოლუტურად თანაბარია ურთიერთ შორის, ცხადია, რომ ორმაგი გარდამავლობა არ არსებობსო (გვ. 172). ეს დებულებაც, ქართული მასალების მიხედვით დადგენილი, კრცელდება სხვა ენებზედაც.

გარდამავლობის საკითხი ა. შანიძემ პირდაპირი ობიექტის შეწყობის უნარს დაუკავშირა („ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში“. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IV, 1942) და ეს დებულება არავითარ დაეჭვებას არ იწვევს. პირიქით, ცხადი ხდება, რომ ზმნები, რომელთაც ასეთი უნარი არა აქვთ, გარდაუვალია.

დროის კატეგორიის შესახებ ძალიან ბუნდოვანი ან მცდარი წარმოდგენა იყო წინათ. ფიქრობდნენ, თითქოს რამდენიმე ნამყო ქართულში. ა. შანიძემ დაამტკიცა, რომ წარსული მხოლოდ ერთია არა მარტო ქართულში, არამედ სხვა ენებშიც.

ა. შანიძემ ნათელყო, რომ გრამატიკულად დრო არის მწკრივის ფუნქცია და არა თვით მწკრივი. მანვე დაამტკიცა, რომ კილოც მწკრივის ფუნქციაა და არ შეიძლება მისი აღრევა მწკრივთან ან სხვა ფუნქციასთან. მწკრივისა და მისი ფუნქციების გამიჯვნით ა. შანიძემ ყველა მათ თავ-თავისი ადგილი მიუჩინა გრამატიკაში, რითაც დიდი ღვაწლი დასდო არა მარტო ქართული ენის შესწავლას, არამედ სხვა ენების შესწავლასაც.

სხვათა შორის, ახალმა შეხედულებამ, რომელიც შემოიტანა ა. შანიძემ მწკრივების შესახებ, შეაძლებინა მას ისტორიულად განეხილა პირველი სერიის მწკრივები და ნათელეყო ოდ სავრცობიან ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში სამი მწკრივის წარმოების დროს. ამით მან ნათელი მოჰფინა ერთ საკითხს, რომელიც მცდარად ჰქონდა წარმოდგენილი ნ. მარს თავის გრამატიკაში და რაც იმაში მდგომარეობდა, თითქოს უწყვეტელსა და I კავშირებითს ერთნაირი ფორმები ჰქონდეთ ძველ ქართულში. ა. შანიძემ გვიჩვენა, რომ ეს ეგრე არ არის, და ახსნა მიზეზი, თუ რატომ ეჩვენებოდა ნ. მარს, თითქოს ეს ფორმები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

ძველი ტექსტების კითხვის დროს ა. შანიძის თვალს არ გამოეპარა ერთი გარემოება: საშუალო ქართულის ძეგლებში გვხვდება ფორმები, რომლებიც არ ეტეოდა მწკრივთა იმ სქემაში, რომელიც ცნობილი იყო წინათ. აღმოჩნდა, რომ ხოლმეობითის მწკრივი მოიპოვება III სერიაშიც, რასაც ავტორმა III ხოლმეობითი დაარქვა.

გრამატიკის საფუძვლების ძირითადი ნაწილი, ბუნებრივია, ეთმობა ისეთ ზმნებს, რომლებიც გარკვეულ წესს მისდევენ, ანუ საერთო ნორმებს იცავენ და სისტემებრი ფორმაცვალება აქვთ. მაგრამ ამათ გარდა, ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიპოვება რიგი ზმნებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან საზოგადოდ შემუშავებულ ნორმას და თავისებურებას იჩენენ რაიმე მხრით. თავისებურება შედარებითია, დასძენს ავტორი, ზოგისა ძალიან სცილდება საყოველთაო წესებს, ზოგისა კი — ნაკლებად. მათ ხშირად უწესურ ზმნებს ეძახიან, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს მათ წესი არ ჰქონდეთ, არამედ იმიტომ, რომ მათი წესი (უღლებისა თუ წარმოების მხრივ) სხვა ზმნათა წესებს არ ეთანხმება (§ 542). უაღრესად საყურადღებოა გრამატიკის საფუძვლების ის თავი (გვ. 512—574), სადაც გადაშლილია თავისებური ზმნების დაწვრილებითი ანალიზი: ახსნილია თავისებურებათა გამომწვევი მიზეზები, გამორკვეულია ამ ტიპის ზმნათა საიდუმლოება.

დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე წიგნის ის ნაწილი, რომელსაც ეწოდება „უდეტრები“. ამ გრამატიკული ტერმინით ავტორმა

გააერთიანა ყველაფერი, რაც არ არის არც სახელი და არც ზმნა (პირველად ეს ტერმინი ა. შანიძემ იხმარა 1943 წელს გამოცემულ გრამატიკის საფუძვლებში). ესაა მესამე ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც არ წარმოადგენენ ერთგვარ მასალას, ისეთს, რომ ყველას ერთგვარი გრამატიკული ნიშნები ახასიათებდეს. აქ გაერთიანებული სიტყვები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსურად.

ქართული ენის გული ზმნაა და არ არის შემთხვევითი, რომ ა. შანიძის მეცნიერულ გრამატიკაში უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მეტყველების ნაწილს უჭირავს; 672-გვერდიან წიგნში 165—605 გვერდებზე ზმნის ანალიზია მოცემული.

ახალი კატეგორიების დადგენასთან ერთად ა. შანიძემ შექმნა მთელი რიგი ახალი გრამატიკული ტერმინები. ჩვენს მეცნიერს „ამა თუ იმ ტერმინის შესახებ ზოგჯერ დიდხანს უფიქრია და ზოგჯერ არც მორიდებია, რომ ერთხელ ნახმარი ტერმინი, ხანდახან ტრადიციულად განმტკიცებულიც, უკუეგდო და მის ნაცვლად ახალი შემოეღო“. შანიძისეული ტერმინები და ცნებებია, მაგალითად, „სათავისო“, „სასხვისო“, „საარვისო“ (ქცევები), „წყვეტილი“, „უწყვეტელი“, „მწკრივი“ და მრავალი სხვა, რომლებიც დამკვიდრებულია ყოველი წიგნიერი ქართველის ცნობიერებაში. ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ზოგიერთი ტერმინი შევიდეს საერთაშორისო გრამატიკულ ტერმინოლოგიაში. მაგალ. ქცევის კატეგორია ა. შანიძემ უცხოური ენებისთვის აღნიშნა მარჯვე ტერმინით — „ვერსია“, რომელმაც თავისი თავი გაამართლა კიდევაც და დამკვიდრდა უცხოურ გრამატიკულ მწერლობაში (როცა საზღვარგარეთელი მეცნიერები ეხებიან ქართული ენის ამ კატეგორიას). ამავე ხასიათისაა აგრეთვე „კონტაქტი“, „მწკრივი“[1].

---

[1] «Большая Советская Энциклопедия»-ში (ტ. 37) ვკითხულობთ:

«Ряд (или с к р и в а)—термин, предложенный грузинским языковедом А. Г. Шанидзе для обозначения группы глагольных форм, образующих парадигму глагольного спряжения, которые объединены временным и модальным (реже видовым) грамматич. значением, но различаются по лицам и числам (а иногда и родам)».

ძველი ქართული ენის მეცნიერული შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე ვერ დადგებოდა, თუ გამოცემული არ გვექნებოდა ძველი ქართული ენის ძეგლები. ენობრივი ძეგლის პუბლიკაცია კი ღრმა მეცნიერულ მუშაობას მოითხოვს.

ა. შანიძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ ფილოლოგიას. მის მიერ გამოცემული ტექსტები სანიმუშოა და გზის გამკვლევი.

როგორც ზემოთ ითქვა, ა. შანიძემ გამოაქვეყნა მერვე საუკუნის ჰაემეტობის შემცველი ტექსტი სათანადო გამოკვლევითა და შენიშვნებით. 1927 წელს უნივერსიტეტის მოამბეში (ტ. VII) იბეჭდება ახლადაღმოჩენილი ძეგლი, რომელიც ჩვენი წარსულის ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია და არსებითად ცვლის ჩვენს წარმოდგენასა და შეხედულებას ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ უძველეს პერიოდში. ეს გახლავთ მრავალთავი, რომელსაც ენობრივად ხანმეტობა ახასიათებს. ხელნაწერი, რომელშიც მოიპოვება ეს ტექსტი, პალიმფსესტია, მაგრამ არა მთლიანი, არამედ შემდგარი ორი სხვადასხვა მასალისაგან, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი ნაწილი შეიცავს ხანმეტ ტექსტს. ხელნაწერი ეკუთვნოდა წ.-კითხვის საზოგადოების მუზეუმს, საიდანაც იგი ალ. ხახანაშვილს წაუღია 1904 წ. მოსკოვში. მისი გარდაცვალების შემდეგ (1912 წ.) ხელნაწერი მოხვედრილა ლაზარაანთ აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, რომლის არსებობა შეწყდა რევოლუციის შემდეგ და მის ნაცვლად სომხური კულტურის სახლი დაარსდა, ინსტიტუტის ქონებაც მას გადაეცა[1]. ეს ხელნაწერი საქართველოს დაუბრუნდა 1923 წელს. ენისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მრავალთავი თარიღდება მეათე საუკუნის პირველი მეოთხედით. ტექსტებს ერთვის გამომცემლის ვრცელი გამოკვლევა, სადაც მოცემულია ხელნაწერის აღწერილობანი, ენობრივი მიმოხილვა, კომენტარები, ისე როგორც ეს შეშვენის ღრმამეცნიერულ ფილოლოგიურ გამოცემას. ტექსტის ამოკითხვის შემდეგ ა. შანიძემ დაადგინა, რომ ეს არის ნაწყვეტი

[1] სომხური კულტურის სახლს იგივე შენობა ეჭირა, რაც ლაზარაანთ ინსტიტუტს (Армянский пер., 2). შემდეგში ამ სახლის ქონება ერევანს გადაეცა, ხოლო ამავე შენობაში ამჟამად მოთავსებულია სსრკ მეცნ.აკადემიის აზიის ერთა ინსტიტუტი.

მრავალთავიდან. რომელშიც შესულია იოანე ოქროპირის, ევსუქი იერუსალიმელის, ივლიანე ტაბია ქალაქელისა და სხვათა ნაწერები. იმხანად ვერ მოხერხდა ოთხი ნაწყვეტის ავტორობის საკითხის დადგენა, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ, როცა ა. შანიძე შეუდგა სინური 864 წლის მრავალთავის გამოცემას და მის შინაარსს გაეცნო, გამოარკვია, რომ ამ უცნობ ნაწყვეტთაგან ორი არის სევერიანე გაბალონელის „თქმულება“, ერთი კი — ანთიპატროს ბოსტრელისა („ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ“. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957; სინური მრავალთავი, 1959, გვ. 294).

ა. შანიძემ გამოაქვეყნა აგრეთვე ხანმეტობის შემცველი ერთი პატარა ხელნაწერი, რომლის დედანი დაცულია კემბრიჯის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში (ინგლისში). ესაა ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ნაწყვეტი (სულ ორი ფურცელი). 1928 წელს ა. შანიძე იმყოფებოდა ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესზე ოქსფორდში. კემბრიჯში შევლისას აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იმ დროს ადრადეგების გამო დახურული იყო და ამიტომ პირადად ვერ ნახა ხსენებული ხელნაწერი. ა. შანიძემ სთხოვა კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ პროფესორს, ე. მინნს (E. Minns), გამოეგზავნა მისთვის თბილისში ამ ნაწყვეტის ფოტოგრაფიული სურათი. ასეც მოხდა და 1937 წელს ა. შანიძემ კემბრიჯული ხელნაწერის ტექსტი მეცნიერულად გამოსცა. ძეგლი იმ მხრივაა საინტერესო, რომ, ჯერ-ერთი, იგი ერთ-ერთი უძველესი ხანმეტი ტექსტია და, მეორეც, ჰაემეტი ფორმების შემცველიცაა. ოქსფორდის ერთ ფურცელთან ერთად, რომლის ტექსტი ი. ჯავახიშვილმა გამოსცა, იგი ნაწილია იერემიას წინასწარმეტყველების წიგნისა, რომლის ნაწყვეტი აღმოჩნდა წარსული საუკუნის 90-იან წლებში.

საინტერესოა ამ ხელნაწერის ბედი. ქართული წიგნი, დაწერილი დაახლოებით მეექვსე და მეშვიდე საუკუნის საზღვარზე და ხმარებული, როგორც ჩანს, აღმოსავლეთში (ალბათ იერუსალიმში), მეთერთმეტე საუკუნეში ებრაელებს ჩავარდნიათ ხელში, დაუხევიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ თალმუდისათვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ის-ღა ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში (საგან-

ძურში). ერთ ფურცელს ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შეუძენია. აღმოჩნდება თუ არა დანარჩენი ნაწილები პარიზში, ფრანკფურტში თუ სხვაგან, როგორც ამაზე სწერდა ა. შანიძეს აკადემიკოსი პ. კოკოვცოვი (განთქმული სემიტოლოგი), არ ვიცით, თუმცა კი ძალიან შესაძლებელია, როგორც ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ერთი პატარა ნაგლეჯი ქართულ-ებრაული პალიმფსესტისა ლონდონშიაც მისულა ბრიტანეთის მუზეუმში.

შანიძისადმი მიწერილ წერილში კემბრიჯელი პროფესორი მინსი ქართულ ხელნაწერთან დაკავშირებით იგონებს ტერენციან მავრის ცნობილ სიტყვებს: Habent sua fata libelli! — „წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო!“ („ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები“: ენიმკის მოამბე, II).

კიდევ ერთი ხანმეტი ძეგლი, რომლის მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის ა. შანიძეს, გახლავთ ე. წ. ხანმეტი ლექციონარი. უძველესი პერიოდის ძეგლთა შორის ეს არის ერთადერთი, რომლის ტექსტი თითქმის ხელუხლებლად არის ჩვენამდე მოღწეული და ამის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გაბმული ხანმეტი ტექსტები ხომ მხოლოდ პალიმფსესტებიდან ან წარწერებიდან არის ცნობილი! ხელნაწერთაგან ხანმეტი ლექციონარი გამონაკლისია. პირველად იგი ა. შანიძემ 1929 წ. გამოსცა „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში“, მეორედ კი — ფოტოტიპიურადაც 1944 წელს.

ამ უნიკალური ძეგლის ფოტოტიპიური გამოცემა სხვა მხრივაც არის საყურადღებო: ფოტოტიპიურად გამოცემულ ქართულ ხელნაწერთაგან იგი მეორეა. პირველი ფოტოტიპიური გამოცემა იყო ადიშის ოთხთავი 897 წლისა, რომლის გამოცემა იკისრა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ (თავმჯდომარე პ. უვაროვა თვითონ იყო სვანეთში 1859 წელს და ადგილობრივ ნახა ეს სახარება) და საქმის ხელმძღვანელობა მიანდვეს ა. ხახანაშვილს, მაგრამ მას არ დასცალდა და მისი სიკვდილის შემდეგ — ე. თაყაიშვილს[1].

ლექციონარს ერთვის მხედრული ტრანსლიტერაცია ტექსტისა და სიმფონია, სადაც აღნუსხულია ყველა სიტყვა, რომლებიც შიგ

[1] წიგნი გამოვიდა 1916 წელს ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით.

გვხვდება. ამ ძეგლის მოპოვებისა და გამოცემის ისტორია მოკლედ ასეთია:

ჯერ კიდევ 1927 წელს ა. შანიძეს ქალ. გრაციდან მოუვიდა საქვეყნოდ განთქმული მეცნიერის, ქართული ენის გამოჩენილი მკვლევრის ჰუგო შუხართის მიერ გამოგზავნილი ნაშრომი, რომელიც შეიცავდა შენიშვნებს ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ (ეს ნაშრომი, გერმანულად დაწერილი, ა. შანიძემ გამოაქვეყნა თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში 1928 წელს). შუხართის შენიშვნებში ა. შანიძემ შენიშნა რამდენიმე ხანმეტი ფორმა; ეტყობა, ავსტრიელი მეცნიერის განკარგულებაში იყო ხანმეტობის შემცველი რაღაც ხელნაწერი. ა. შანიძის დაკვირვებით, ხელნაწერი უნდა ყოფილიყო საკითხავების შემცველი წიგნი, ანუ ლექციონარი. ჰ. შუხართის ნაშრომი ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც მისი ავტორი გარდაიცვალა. მალე ავსტრიაში გაემგზავრა პროფ. გ. ჩუბინაშვილი, რომელსაც ა. შანიძემ სთხოვა შეეევლო გრაცში და შუხართისეული ხელნაწერები აეწერა და სურათები გადაეღო. ეს მასალა ა. შანიძემ მიიღო 1928 წლის 1 მარტს.

ა. შანიძის დასკვნით, ხანმეტი ლექციონარის გადაწერის დრო შეუძლებელია VII საუკუნეს გადმოვაცილოთ.

ქართულისა და სხვა კავკასიური ენების შესწავლის ინტერესებმა, ძველი ქართული ხელნაწერების სისტემატური და გეგმიანი ბეჭდვის საჭიროებამ უკარნახეს აკაკი შანიძეს, დაეარსებინა გამოცემათა სერიები, როგორიცაა: „Caucasus Polyglottus“ (1935), „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944) და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955).

ამ სერიების წინამორბედია ძველ პეტერბურგში ნიკო მარის მიერ დაარსებული სერიები: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», «Материалы по яфетическому языкознанию», „Monumenta hagiographica georgica“.

ცნობილია, რომ ამ მარისეულმა სერიებმა სათავე დაუდვეს ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემებს, გამოავლინეს პირველხარისხოვანი ტექსტები, რომლებიც დაგვიტოვეს ჩვენმა ძველმა ლიტერატორებმა, ძველი ქართული კულტურის დაუღალავმა მუშაკებმა.

ა. შანიძემ ღირსეულად განაგრძო თავისი სახელოვანი მასწავლებლის ფილოლოგიური კვლევა-ძიება და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი ძველი წერილობითი ძეგლების მეცნიერული პუბლიკაცია.

„ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერია დაარსდა 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ა. შანიძემ, როგორც სერიის სულისჩამდგმელმა და რედაქტორმა, თავიდანვე განსაზღვრა ამ წამოწყების მიზანი და ამოცანები. სახელდობრ, გამოქვეყნდებოდა მეცნიერულად დადგენილი ტექსტები (ძველი წერილობითი ძეგლები), გამოკვლევები (უმთავრესად ენის შესახებ), სიმფონიები და სპეციალური ლექსიკონები, რომლებიც აუცილებელ პირობას წამოადგენენ ვრცელი ისტორიული ლექსიკონის შედგენისათვის. როგორც ვხედავთ, მასშტაბი ფართოა და უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული კულტურის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. ა. შანიძე საგანგებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემული ძველი ტექსტები მკვიდრი საფუძველია ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისა: სხვადასხვა ბნელით მოცული საკითხი ერის ისტორიიდან, მისი ენისა და ლიტერატურის ისტორიიდან, ეკონომიკის ისტორიიდან და სხვა დარგიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება გაირკვეს, თუ სათანადო წერილობითი ძეგლები კრიტიკულად არის დამუშავებული და სანდოდ გამოცემული“.

ა. შანიძეს ხშირად უთქვამს: ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ჩვენი მძიმე მრეწველობააო; ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება და ამით უნდა დავიწყოთო.

„ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაში დღემდის გამოქვეყნებულია 11 ტომი. ამათგან 4 ტომი თავად ა. შანიძის გამოცემაა, დანარჩენი 7 კი გამოსულია მისივე რედაქციითა და ხელმძღვანელობით.

უნდა ითქვას, რომ ა. შანიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული ბიბლიის ტექსტის აკადემიური გამოცემის საქმეს.

ქართული ბიბლიის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ქართული მწერლობისა და მეცნიერების გადაუდებელ საზრუნავ საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. სხვა არა იყო რა, ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის სურათი შეუძლებელია ნათ-

ლად წარმოვიდგინოთ, თუ მკვლევარს ხელთ არა აქვს კრიტიკულად შესწავლილი და დადგენილი ტექსტი, თუ არ არის სხვადასხვა რედაქციები თავმოყრილი და ერთმანეთთან შეჯერებული. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ვიდრე მთლიანი ბიბლია გამოიცემოდა, გამოქვეყნდა ამ დიდი წიგნის სხვადასხვა ნაწილი. მაგალითად, 1705 წელს მეფე არჩილმა მოსკოვში დაბეჭდა დავითნი, ხოლო 1709 წელს ვახტანგ მეექვსემ თბილისში გამოაქვეყნა ოთხთავი, სამოციქულო და ფსალმუნი. ვახტანგივე შეუდგა ბიბლიის მთლიანი ტექსტის გამომზეურებას, დაბეჭდა წინასწარმეტყველთა წიგნები და მიაყოლა ახალი აღქმის წიგნებიც, მაგრამ ვერ მოასწრო ბოლომდე მიყვანა: თბილისის აოხრების გამო მტერთაგან 1723 წ. ყველაფერი აირია, ვახტანგი რუსეთს გადასახლდა თავისი ამალით და კარგად დაწყებული საქმე შეწყდა. ეს საქმე განაგრძო და სისრულეში მოიყვანა ვახტანგის შვილმა ბაქარმა: 1743 წელს მოსკოვში გამოვიდა ბიბლია, ე. წ. „ბაქარის ბიბლია“. გამოცემა არ არის მეცნიერული, მაგრამ იმ დროისათვის მაინც დიდი საქმე გაკეთდა. 1884 წელს კი თბილისში მეორედ დაიბეჭდა ძველი აღთქმის წიგნები, ოდნავ შესწორებული. ეს არის და ეს.

ათონზე დაცულია ერთი შესანიშნავი ხელნაწერი ორ ტომად (ბიბლია 978 წ.), რომელიც დიდი ხანია იქცევდა სპეციალისტების ყურადღებას. იგი 1849 წელს თბილისში გადასაწერად მოიტანა პლატონ იოსელიანმა და შემდეგ უკანვე დააბრუნა. დაწვრილებითი აღწერა ამ ხელნაწერისა მოეპოვება პროფ. ა. ცაგარელს[1] (1886 წ.); შემდეგ ათონში იყო პროფ. ნ. მარი, რომელმაც ნაწილი გადმოწერა და გადაიღო ფოტოპირებიც. 1902 წ. ამ ძეგლის თაობაზე მოხსენება წაიკითხა პროფ. ა. ხახანაშვილმა მოსკოვში არქეოლოგთა XII ყრილობაზე. მისი ვრცელი აღწერილობა ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერს პროფ. რობერტ ბლეიკსაც.

როგორც ა. შანიძე გვაუწყებს, ამ ხელნაწერის მთელი ტექსტის გამოქვეყნებას აპირებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც უკვე 1908 წელს მოეპოვებოდა მისი ფოტოპირები. შემდგარა კომისია ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად,

[1] А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Выпуск первый. СПБ, 1886.

რომლის ხელმძღვანელი იყო ნ. მარი, ხოლო წევრები — ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე და ა. შანიძე. სალექსიკონო მასალები უნდა ამოეწერათ ბიბლიიდან, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო. ა. შანიძეს დაჰკისრებია გამოსვლათა წიგნზე მუშაობა. სიტყვა მივცეთ თვით ა. შანიძეს: „შევუდექი კიდეც გადმოწერას და სასტამბოდ დამზადებას ჩემი ხვედრისას, რომელიც აკადემიის სტამბას გადაეცა ასაწყობად. ომიანობის გამო შექმნილ პირობებში წიგნის წყობა გაჭიანურდა: 1917 წლის დასაწყისისათვის დაბეჭდილი იყო მხოლოდ 64 სვეტი... და აწყობილი იყო კიდევ 55 თავამდე (ამიანად). ამის შემდეგ წყობა და ბეჭდვა შეწყდა, რადგანაც 1917 წლის დიდმა ამბებმა უსწრო და მე თბილისში გადმოვედი სამუშაოდო“ (ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 4, გვ. VI).

ა. შანიძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მუშაობის განახლება ათონური ბიბლიის ტექსტის გამოცემისათვის. 1947 და 1948 წწ. დაიბეჭდა ორი ნაკვეთი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით. წიგნის წინასიტყვაობაში ა. შანიძე ამბობს: „ამ ნაკვეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათი წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოშკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის. რაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, არ შემიძლია მაინც დიდი გულის ტკივილით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი ნიკო[1] (+1934 წ.) და ორი მისი თანამშრომელი: დიდი ივანე[2] (+1940 წ.) და ნიჭიერი იოსებ[3], რომელიც ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს (+1919 წ.). ამ სტრიქონების დამწერს ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმეო, დასძენს ჩვენი მეცნიერი.

„ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაშივე ა. შანიძემ მეცნიერულად გამოსცა ოთხთავი (სახარება) მეცხრე-მეათე საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით. მანამდის კი ოთხთავის ტექსტების გამოცემის დარგში ასეთი მდგომარეობა იყო: სახარების ტექსტები პირველად დაიბეჭდა 1709 წელს (ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ სტამბაში). მომდევნო გამოცემები (17-მდე) ამ გამოცემის

---

1 მარი.

2 ჯავახიშვილი.

3 ყიფშიძე.

განმეორებაა. 1908 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ — ვ. ბენეშევიჩისა და ნ. მარის ინიციატივით — განიზრახა კრიტიკული გამოცემის განხორციელება; მალე გამოვიდა ნაწილი ოთხთავისა (ბენეშევიჩის გამოცემა: მათეს თავი — 1909 წ., მარკოზისა — 1911 წ.). 1916 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ცნობილი ადიშის სახარება ფოტოტიპიურად. ამავე ტექსტის ბეჭდვა დაიწყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ბლეიკმა პარიზში ლათინური თარგმანით. (მარკოზის თავი — 1928 წ., მათესი — 1932 წ., იოანესი — 1950 წ.). ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების თაობაზე ზემოთ არის საუბარი.

ა. შანიძის მიერ 1945 წელს განხორციელებული ოთხთავის აკადემიური გამოცემა უდიდესი მოვლენაა ქართული ფოლოლოგიის ისტორიაში. შანიძისეულ პუბლიკაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად, მით უმეტეს, რომ ორი რედაქცია პირისპირ უდგას ერთმანეთს (გვერდიგვერდაა დაბეჭდილი) და ამით გაადვილებულია როგორც მათი შედარება ურთიერთ შორის, ისე მათთან შედარება სხვა ხელნაწერების ტექსტისა. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს რედაქციები წარმოადგენენ ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლებს. მართალია, ისინი გადაწერილია გვიან, მე-9 და მე-10 საუკუნეებში, მაგრამ, რედაქტორის დასკვნით, წარმოშობით უეჭველად ადრინდელ ხანას განეკუთვნებიან; ძირითადად ისინი მეოთხე-მეხუთე საუკუნეთა ენას ასახავენ.

ოთხთავის გამოცემასთან დაკავშირებით ისმებოდა საკითხი ქართული ტექსტის მიმართებისა სირიულ, ბერძნულ, სომხურ ტექსტებთან. ამ საგანზე ქართველი თუ ევროპელი მკვლევრები სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ. ა. შანიძე სავსებით კატეგორიულად აცხადებს, რომ ნაადრევია მსჯელობა ქართული სახარებისა და სხვა ენების ამავე ძეგლის ურთიერთობის შესახებ, სანამ არ იქნება შესწავლილი ქართული ტექსტის რედაქციები მთელი სიგრძე-სიგანითა და მეცნიერული სიღრმით. აქედან გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის ა. შანიძის ტექსტოლოგიურ ძიებებს, რომლებიც ამზადებენ მკვიდრ ნიადაგს ბიბლიური წიგნების თარგმნასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების გასარკვევად.

აღსანიშნავია, რომ „ძვ. ქართ. ენის ძეგლების“ სერიაში დაიბეჭდა ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილი „ქართ. ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (1948—49 წ.) და ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა „ბალავარიანი“ (ილ. აბულაძის გამოცემა, 1957 წ.). და „ფსალმუნი“ (მზექალა შანიძის გამოცემა, 1960.).

„ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ სერია ა. შანიძემ დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღემდის გამოქვეყნებულია შვიდი წიგნი (ტექსტები, სიმფონია, გამოკვლევები). აქ უნდა შევჩერდეთ „სინურ მრავალთავზე“, რომელიც სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციითა და გამოკვლევით.

სინური მრავალთავი იმ მხრივაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ იგი უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერია, რომელსაც მალე (1964 წელს) თერთმეტი საუკუნე შეუსრულდება. ესაა ერთგვარი ქრესტომათია, რომელშიც შესულია 18 ავტორის 50 ნაწარმოები. სინური მრავალთავი 864 წელსაა გადაწერილი იერუსალიმის ახლოს საბაწმიდის მონასტერში და წინ უსწრებს — წარწერებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში — ყველა თარიღიან ქართულ წერილობით ძეგლს: ადიშის ოთხთავს (897 წ.), ოპიზის ოთხთავს (913 წ.), ჯრუჭის ოთხთავს (936 წ.) და სხვებს. შანიძისეულ გამოცემას წმინდა საენათმეცნიერო მიზეზები აქვს დასახული: „ხელმისაწვდომი გახადოს ყველასათვის უძველესი თარიღიანი ხელნაწერის ტექსტი, რომელიც დიდმნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით. ძეგლი ნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენას გაუვლია სამიოთხი საუკუნის განმავლობაში, ხანმეტობის ხანიდან (V-VI ს.) მეცხრე საუკუნის სამოციან წლებამდე. როგორც თარიღიანი ძეგლი, იგი საყრდენია ორთოგრაფიისა და ენის (ლექსიკა-გრამატიკის) საკითხების კვლევა-ძიებისას ისტორიულ ასპექტში; იგი საყრდენია აგრეთვე ქართული პალეოგრაფიისა და ქართული წიგნის მორთულობის საკითხების გარკვევისათვის“.

სინური ქრესტომათიის შესახებ პირველი ცნობა გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა, რომელიც სინას მთას ესტუმრა 1883 წელს. შემდეგ (1902 წ.) იქ იყვნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი, რომელთაც ვრცლად აღწერეს იქაური ქართ. ხელნაწერები (ნაწილი

ერთმა, ნაწილი მეორემ). მარის აღწერილობა გამოქვეყნდა 1940 წელს (Списание грузинских рукописей Синайского монастыря), ი. ჯავახიშვილისა კი 1947 წელს („სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა"). უფრო ვრცელი აღწერილობა ამ ხელნაწერთა კოლექციის ერთი ჯგუფისა მოეპოვება ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორს ჟერარ გარითს, რომელიც ხელმძღვანელობდა ქართული ხელნაწერების მიკროფილმზე გადაღების საქმეს სინას მთაზე ამერიკელების მიერ მოწყობილ ექსპედიციაში (მისი კატალოგი დაიბეჭდა 1956 წ.[1]).

დღეს ეს დიდი წერილობითი ძეგლი მთლიანად არის გამოცემული და ხელთა გვაქვს ა. შანიძის მეცადინეობის წყალობით ტექსტს ერთვის ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ძეგლის აღწერილობათა საკითხები, გადაშლილია ხელნაწერის შექმნის ისტორია და მოცემულია დაკვირვებები ენის თავისებურებათა შესახებ, რაც ქართული ენის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

გამოცემათა შანიძისეული სერია „Caucasus Polyglottus" იმავე უნივერსიტეტის წამოწყებაა. პირველ ნომრად 1935 წელს დაიბეჭდა ჩვენი მეცნიერის წიგნი „ძველი ქართულის ქრესტომათია", შეფარდებული საუნივერსიტეტო კურსის მოთხოვნილებებთან.

რა იყო ამ დარგში აქამომდე შექმნილი და რა შეჰმატა ქართულ ფილოლოგიას შანიძისეულმა ქრესტომათიამ?

1846 წელს პეტერბურგში პირველად გამოვიდა პროფ. დავით ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათია" (მეორე გამოცემა განხორციელდა 1863 წ.), რომელმაც დიდი სამსახური გასწია თავის დროზე ჩვენი მწერლობის ძეგლთა გამომზეურების თვალსაზრისით. აქ თავმოყრილია ქართული ენისა და ლიტერატურის ნიმუშები უძველესი დროიდან მოყოლებული მე-18 საუკუნემდის. 1918 წელს პეტროგრადში გამოქვეყნდა პროფ. იოსებ ყიფშიძის «Грузинская древнелитературная хрестоматия с древнегрузинско-русским словарем», რომლის მასალა ამოღებულია მე-10 საუკუნისა და მერმინდელი ხელნაწერებიდან. შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ

[1] Gérard Garitte. Catalogue des manuscrits géorgiens litteraires du mont Sinaï. 1965, Louvain.

ია ეკალაძის „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია“ (1927—1928 წწ.). ყიფშიძისეულ ქრესტომათიაში დაბეჭდილი ტექსტები მთლიანად შესულია პროფ. ნიკო მარისა და პროფ. მორის ბრიერის წიგნში „La langue géorgienne“ („ქართული ენა)“, რომელიც დაიბეჭდა 1931 წელს პარიზში. ეს ქრესტომათიები ამჟამად მოძველებულია და ბევრი ნაკლიც ახასიათებთ.

ა. შანიძის ქრესტომათია დგას ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე და მოწოდებულია მეცნიერულად დადგენილი ტექსტების საფუძველზე მკითხველი გაარკვიოს ქართული სალიტერატურო ენის საფეხურებში. გარდა ხელნაწერებიდან ამოღებული ტექსტებისა, წიგნში შესულია წარწერებიც, ქრესტომათიაში პირველად არის მოთავსებული ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები. საყურადღებოა, რომ 1930 წ. რომში დაიბეჭდა ცორელის გრამატიკა ბიბლიის ქართული თარგმანების ენისა[1]. ცორელს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ ამ დროს თბილისში უკვე საკმაოდ დიდი ლიტერატურა იყო ქართული ენის შესახებ. მან ბიბლიის ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების თაობაზე პირველად ა. შანიძის ქრესტომათიიდან გაიგო.

როცა საუბარია ა. შანიძის ფილოლოგიურ გამოცემებზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი მეცნიერის დაინტერესება ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერული გამოცემებითაც. ასე, მაგალითად, მან სანიმუშოდ გამოსცა ეგნ. ნინოშვილის „პარტახი“ (1935 წ.) ავტოგრაფის მიხედვით და დაურთო შენიშვნები, და მიიღო მონაწილეობა (ა. აბაშელთან ერთად) ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემაში.

„ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიის მე-13 ნომრად ა. შანიძემ 1971 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომი „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია“.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (წესდება) დაიწერა 1083 წელს ბერძნულად და ქართულად. ეს მონასტერი დააფუძნა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ, რომელიც იყო საბერძნეთის დასავლეთი მხარეების დიდი დომესტიკოსი, ანუ მთავარსარ-

[1] Grammatik zur altgeorgischen Bibelüberzetzung mit Textproben und Wörterverzeichnis von Franz Zorgell. Roma, 1930.

დალი. ა. შანიძემ გამოსცა ტიპიკონის ქართული ტექსტი ძველი ხელნაწერის მიხედვით (დაახლ. მეცხრამეტე საუკ.), რომელსაც არ განუცდია მერმინდელი გადაკეთება, რაც ატყვია ბერძნულს, რომელიც ქართულ ტექსტზე ადრე გახდა ხელმისაწვდომი მეცნიერთათვის და რომელმაც გადანაკეთები ადგილების გამო წარმოშვა მცდარი შეხედულება და გაუგებრობა მონასტრის მაშენებლის ეროვნული ვინაობის შესახებ. ა. შანიძის წიგნში ქართულ ტექსტთან ერთად მოცემულია მისი რუსული თარგმანი შენიშვნებითურთ და აგრეთვე გამოკვლევა (შესავალი და ძეგლის ენის მიმოხილვა). ა. შანიძის ამ შესანიშნავ გამოკვლევას და გამოცემულ ტექსტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვისაც და XI საუკუნის ბულგარეთ-საბერძნეთის ისტორიისთვისაც. თბილისის უნივერსიტეტმა წიგნის ავტორს — ა. შანიძეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა.

IV. ქართული დიალექტოლოგია

დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ ამა თუ იმ ენის მეცნიერული შესწავლისათვის ძვირფასი მასალის მოწოდება შეუძლია ცოცხალ მეტყველებას ანუ კილოებს (დიალექტებს). მარტოოდენ სალიტერატურო ენა არ არის საკმარისი ენის ისტორიული საკითხების გასაშუქებლად, გრამატიკის ბნელი მხარეების ნათელსაყოფად. არაიშვიათად მწიგნობრული ენის გრამატიკული აღნაგობის აუხსნელ ანდა ძნელად ასახსნელ საკითხს შუქი მოეფინება ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით, დიალექტური მასალის შეცნობითა და გათვალისწინებით.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან საფუძველი ეყრება ქართულ მეცნიერულ დიალექტოლოგიას. როდესაც ნიკო მარმა იმოგზაურა შავშეთ-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო ადგილების შესასწავლად, იგი წააწყდა მიუვალ ადგილებში ქართულ მეტყველებას, რომელიც სულს ღაფავდა და საცოდავ ნაშთს წარმოადგენდა სამხრეთ საქართველოს გადაშენებული დიალექტისას. მარმა ჩაიწერა დიალექტოლოგიური ტექსტები და გამოკვლევასთან ერთად მოათავსა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გამოცემაზე დართულ

დღიურში, რომელიც შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობას აგვიწერს.

თანდათანობით ნიკო მარისათვის ნათელი შეიქნა, რომ ქართული ენის შესასწავლად გადაუდებელი ამოცანაა დიალექტოლოგიური მასალების შეგროვება და მეცნიერული სისტემატიზაცია. მან გეზი და მიმართულება მისცა თავის მოწაფეებს და დაუსახა ფართო პროგრამა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვების საწარმოებლად.

როგორც ითქვა, 1911 წელს წინასწარი მუშაობა ჩაატარა ა. შანიძემ ფშავსა და ხევსურეთში, 1913 წელს კი ნაყოფიერად იმუშავა თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთსა და ხევში, შეკრიბა ძვირფასი მასალა ამ კილოების შესასწავლად და ვრცელი სამეცნიერო ანგარიში დაბეჭდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემის მოამბეში 1913 წელს.

1914 წელს, როცა მსოფლიო ომი დაიწყო, ბრძოლის ველიდან პეტერბურგის საავადმყოფოებში ჩამოიყვანეს დაჭრილები, რომლებშიც ერივნენ ქართველებიც. მათ მზრუნველობდნენ იქაური ქართველი კოლონიის წევრები, „ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გადმომცეს, — ამბობს ა. შანიძე, — რომ ობუხოვის საავადმყოფოში ერთი ხევსური წევსო. წავედ და ვნახე და აღმოჩნდა ჩემი ნაცნობი ბესარიონ გაბუური, რომელიც მობილიზაციის წესით ჯარში გაეწვიათ, ბრძოლის ველზე გაეგზავნათ, დაეჭრათ გერმანიის ფრონტზე, ჩაეყვანათ პეტერბურგში და მოეთავსებინათ ობუხოვის საავადმყოფოში. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში იგი დორპატში (იურიევში) გადაიყვანეს, სადაც მან დაყო იანვარი და თებერვალი, მომჯობინდა და თითქო შინ გამოისტუმრეს. პეტერბურგში ყოფნის დროს, — განაგრძობს მეცნიერი, — ბესარიონს ინტერესი აღვუძარ ხევსურული ამბების წერისადმი და რაკი ამ საქმის უნარი და ნიჭი შევატყვე, დავაწერინე ხევსურულად (არხოტულ კილოკავზე, რომელიც მისი დედაენაა) რამდენიმე ეთნოგრაფიული წერილი და აგრეთვე ლექსები. წერა მან ვანაგრძო აგრეთვე დორპატშიაც, საიდანაც ფოსტით მიგზავნიდა თავის ნამუშაკევს პეტერბურგში. ლექსებში ურევია როგორც საკუთრად მის მიერ ნათქვამი, ისე სხვისაგან გაგონილებიც“ (წელიწდეული, I—II, 1923—1924, გვ. 120).

ა. შანიძესა და ბ. გაბუურს შორის ვაცხოველებული მიწერ-

ხოწერა გაიმართა. გაბუური სისტემატურად უგზავნიდა ახალგაზრდა მეცნიერს უძვირფასეს ხევსურულ მასალებს, რაშიც ის გასაშრჯელოსაც ღებულობდა.

ა. შანიძეს კარგა ბლომად დაუგროვდა ბესარიონ გაბუურისაგან მოწოდებული მასალა. 1924 წელს დღის სინათლე ეღირსა ამ დიდად საყურადღებო დიალექტოლოგიურ ტექსტებს, — დაიბეჭდა ა. შანიძის რედაქციით ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების კრებულ „წელიწდეულში“. იქვეა მოთავსებული ბესარიონთან მიმოწერა, დაწვრილებითი ცნობები მასალის შეგროვების თაობაზე და ლექსიკონი, სადაც შესულია ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. გაბუურის მასალები „მრავალმხრივ არის საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა, აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ზნე-ჩვეულებათა აღწერა, აღწერა სადა და ჩვეულებრივ მოკლე, მაგრამ ზოგჯერ ვრცელიც და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ყოველთვის სწორი და უტყუარი“ (ა. შანიძე).

ქართული დიალექტოლოგიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ა. შანიძის 700-გვერდიან წიგნს „ქართული ხალხური პოეზია. I ხევსურული“, რომელიც გამოქვეყნდა 1931 წელს. აქ გადაშლილია ხევსურული მეტყველება მთელი სისავსითა და მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და ნაირსახეობით. დიალექტოლოგიისათვის ესა და გაბუურის ტექსტები სანდო მასალას წარმოადგენენ მეცნიერული დაკვირვებებისა და განზოგადებებისათვის, მეტად არქაულისა და მტკიცედ ჩამოკვეთილი ქართული დიალექტური ერთეულის შეცნობისათვის. წიგნში შესულია ა. შანიძის პირადად ჩაწერილი მასალები, მუზეუმის ხელნაწერებიდან ამოკრებილი და სხვადასხვა დროს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ტექსტები. სხვათა მიერ შეკრებილ მასალებში აქა-იქ შეცდომები გვხვდება. ჩვენს მეცნიერს ისინი გაუსწორებია და გაუმართავს ხევსურული კილოს მიხედვით, ტექსტის ნამდვილი სახე დაუდგენია. ეს შესწორებანი „შეეხება არა ისეთ მარტივ საქმეს, როგორიცაა პირის ნიშნად ჰაეს ნაცვლად ხანის ჩასმა, ან ხარის აღდგენა სათანადო ადგილას (რაიცა თავის თავად იგულისხმება)“, არამედ არის ზოგი სხვა შესწორებაც ფორმალური ხასიათისა.

მთის ქართული კილოების ზოგადი დახასიათება, არსებითი ნიშნების ჩვენებით, პირველად მოცემულია ა. შანიძის ნაშრომში

„ქართული კილოები მთაში“, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1915 წ. პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის“ კრებულში (ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით). შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ „დღეს სალიტერატურო ქართული მეტად დაქვეითებულია; მას აღორძინება უნდა. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა წიგნების ფურცლებზე უკვე გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი, მოძრავი ენის (ე. ი. კილოების) გამოკვლევა. ეს ორი პროცესი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდესო“.

დიალექტოლოგიური მასალების ნაკლულობა დიდად აფერხებდა ცოცხალი კილოკავების შესწავლა-გამოკვლევას. მეცნიერული განზოგადება მას შემდეგაა შესაძლებელი და მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებული, როდესაც ფაქტობრივი მასალა შეკრებილია და სისტემაში მოყვანილი. „მართალია, ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყეს, მაგრამ არა საენათმეცნიერო, არამედ სალიტერატურო და, საზოგადოდ, საეთნოგრაფიო მიზნებისათვის. მაშინ დაინტერესებული იყვნენ ხალხური სიტყვიერების (ფოლკლორის) ძხოლოდ შინაარსით, და მის გარეგან მხარეს ანუ ფორმას, ნამდვილ ხალხურ გამოთქმას კი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, პირიქით, ხშირად განგებ სცვლიდნენ ხალხურ ენას სალიტერატურო ფორმების მიხედვით და ამ გზით ხალხურ სიტყვიერებას მის ბუნებრივ სახეს უცვლიდნენ ხოლმე და მას, როგორც კილოკავურ მასალას, ფასს უკარგავდნენ“ (ა. შანიძე). უნდა დავსძინოთ, რომ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ესმოდათ ენობრივი სიზუსტის საჭიროება, მაგრამ თითო-ოროლა პირს არ შეეძლო დაკანონებული წესის შეცვლა და უკუგდება. საინტერესოა, რომ ხალხური პოეზიის ნიმუშების ერთ-ერთი შემკრები, რომელსაც ფშავში ჩაუწერია ლექსები, „ივერიის“ რედაქციისადმი მიმართულ წერილში აუცილებელ პირობად სცნობდა ლექსის ენის შეუცვლელობას („ივერია“, № 148, 1890 წ).

ქართული სიტყვიერების მასალის ფართო გეგმით და მეცნიერულ საფუძველზე შეგროვების აუცილებლობამ სრულიად ბუ-

ნებრივად მოითხოვა გაშლილი პროგრამა-ინსტრუქციის შემუშავება და მთელ საქართველოში გავრცელება. და აი, 1916 წელს პეტროგრადში მარისეული სერიის — «. ссоия для работ по арм яно-грузинской филологии» მეოთხე ნომრად გამოდის იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის მიერ შედგენილი «Програ: ма для соб ирания диалектических материалов по грузинскому языку» (გამოცემულია ანონიმურად). პროგრამა დაბეჭდილია ორ ენაზე — ქართულად და რუსულად (ერთმანეთის გვერდიგვერდ). შესავალ ნაწილში ხაზგასმულია ხალხური სიტყვიერების მასალათა შეგროვების საჭიროება და განაპირა რაიონებში ადგილობრივი ინტელიგენტების მონაწილეობა ამ დიდ კულტურულ-ეროვნულ საქმეში. „უმთავრესი მოთხოვნილება კილოკავურ მასალების შეკრების დროს, — ნათქვამია პროგრამაში, — იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი ისე იყოს ჩაწერილი, როგორც თვით ხალხი ლაპარაკობს... შეკრებილი მასალები უნდა გამოიგზავნოს ბანდეროლით ან კონვერტში საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სახელობაზე პეტროგრადში. ყოველგვარი წერილები და ამანათები, აკადემიის სახელობაზე საფოსტო კანტორებში მიტანილი, უფასოდ იგზავნება (საფოსტო დებულების 374 მუხლის ძალით)". ლექსიკონის გამო საგანგებოდ აღნიშნულია, რომ „ქართული ენის გულშემატკივარს ყველაზე მეტი სამსახურის გაწევა ადგილობრივი სიტყვების შეკრებით შეუძლიაო".

ჩვენ ვხედავთ, როგორ ზრუნავდნენ და იღვწოდნენ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის მესვეურნი ჩვენი ენის საუნჯის დასაცავად, ქართული ენის დაფენებაში ჩამარხული საგანძურის გამოსამზეურებლად, ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ეროვნული ბურჯის — დედაენის მოვლა-პატრონობისათვის.

ქართული დიალექტოლოგიური მეცნიერებისათვის დიდი შენაძენია ა. შანიძის ნაშრომი „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა კილოებში", რომელიც ბოლო თავია ავტორის სადოქტორო დისერტაციისა. აქ განხილულია პრეფიქსების საკითხი ყველა ძირითადი კილური ერთეულის მასალაზე და მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები. ესაა პირველი ცდა ერთი რომელიმე გრამატიკული მხარის მიხედვით

თითქმის ყველა ქართული დიალექტის ამომწურავი და სრულყოფილი დახასიათებისა.

ა. შანიძის ყურადღებას იპყრობს ქართული დიალექტების კლასიფიკაციის საკითხები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მოხსენება, რომელიც მან წაიკითხა 1957 წელს ბაქოში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე: «Принципы классификации грузинских диалектов». ნაშრომში მითითებულია საკლასიფიკაციო ნიშნებზე და მიღებულია ქართული კილოების ასეთი განაწილება: I. ფხოური, II. მთიულურ-ფშაური, III. ქართლურ-კახური, IV. დასავლური, V. სამხრულ-დასავლური, VI. ინგილოური ჯგუფები (იხ. Труды объединенной научной сессии по общественным наукам. Стенографический отчет. Баку, 1957).

აკაკი შანიძე უშუალოდ აკვირდებოდა ქართულ ცოცხალ მეტყველებას სხვადასხვა დროს: ფშაურ-მთიულურ-გუდამაყრულ-მოხეურსა და ხევსურულ-ფშაურს — 1913 წელს, ქიზიყურს — 1914 წელს, რაჭულს — 1916 წელს.

დაკვირვებანი ქართული კილოების ამა თუ იმ ფორმაზე გაჩნეულია ა. შანიძის მრავალრიცხოვან შრომებში. მის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ უხვად გვხვდება დიალექტოლოგიური ძიებები.

V. ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგიები

ქართული ლექსიკის საკითხები ა. შანიძეს ადრიდანვე აინტერესებდა. ჯერ კიდევ 1915 წელს რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების ბეჭდვითს ორგანოში მან მოათავსა რეცენზია მოსე ჯანაშვილის ცნობილი ნაშრომისა („საინგილო“), სადაც აღნუსხა ის ინგილოური სიტყვები (დაახლოებით 400-მდე), რომლებიც გამოტოვებული იყო ჯანაშვილის ლექსიკონში და მოგვცა მათი განმარტება. ეს მომცრო სიტყვის-კონა სანიმუშოა განმარტებათა სიზუსტითა და ლაკონიურობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. შანიძის მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას ნაწერების ლექსიკონი, რომელიც ერთვის პოეტის გამოცემებს — ლექსებსა (I და II ტ.) და პოემებს (III და IV ტ.). ეს

არის პირველი ვრცელი და დიდი მეცნიერული ღირებულების შემცველი ნაშრომი, რომელიც ასახავს ჩვენი დიდი კლასიკოსის ლექსიკის შედგენილობას. აქ, „ვაჟა-ფშაველას ლექსიკონში“, გამოჩნდა მთელი სიღრმითა და სისავსით ის სიტყვობრივი მარაგი, რომელსაც იღებდა ვაჟა ხალხური მეტყველებიდან და ამით ამდიდრებდა მწერლობის ენას. ა. შანიძის ამ ლექსიკონს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენი დიდებული მგოსნის სიტყვიერი ქსოვილის შესასწავლად, — ნაშრომი გვაცნობს, თუ რა ნაირ-ნაირი — ძირეულად ქართული — სიტყვები და გამოთქმებია შემონახული საქართველოს მთის მეტყველებაში, რა ლექსიკური საუნჯეა დაცული ხალხურ ენაში, საუნჯე, რომელიც სათავეს ქართული საერთოეროვნული ლექსიკონის ღრმა ფენებში პოულობს.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ხევსურული ლექსიკონი, რომელიც ა. შანიძემ დაურთო მისი რედაქციით გამოცემულ ხევსურულ დიალექტოლოგიურ ტექსტებს ბესარიონ გაბუურისას (1923—1924 წ., „წელიწდეული“).

დიდი შრომა გასწია ჩვენმა დაუღალავმა მეცნიერმა XI საუკუნის გამოჩენილი ლიტერატორის გიორგი მთაწმიდლის ერთ-ერთი თხზულების (იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების) ლექსიკონის შედგენისათვის. ეს ვრცელი ნაშრომი ა. შანიძემ დაურთო ზემოხსენებულ თხზულებას, რომელიც გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა (განსვენებულ მეცნიერს, ი. ჯავახიშვილს, სიკვდილმა უსწრო და არ დასცალდა მისი გამოქვეყნება. ეს საქმე ითავა ა. შანიძემ: „ძველი ქართული ენის ძეგლები. 3“. 1946). როგორც ავტორი აღნიშნავს, „სალექსიკონო სიტყვების ამოკრეფისას მთავარი ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის“.

ა. შანიძის „გ. მთაწმიდლის ლექსიკონი“ განსაკუთრებით საყურადღებოა პრინციპული თვალსაზრისით: აქ შემოტანილია ერთი ძირის ზმნების პირიან ფორმათა დალაგება გარკვეული სისტემით: ლექსიკონში პირველად არის გამოყენებული ე. წ. ინდექსები, რომლებიც აადვილებენ ქართული ზმნის რთულ ფორმებში გარკვევას და ლექსიკონის მოხმარებას.

ამრიგად, ა. შანიძემ შეიმუშავა ორიგინალური პრინციპი, თუ როგორ უნდა დალაგდეს ლექსიკონსა და სიმფონიაში სიტყვები

განსაკუთრებით ზმნები. „ინდექსების შემწეობით ზმნა დახასიათებულია მოკლედ, თვალსაჩინოდ და ადვილ მისახვედრად. ამასთანავე ადვილად ხერხდება, თავი მოვუყაროთ ლექსიკონში ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნის ფორმებს..., რაციონალურად დავალაგოთ ისინი და არ გავფანტოთ სხვადასხვა ადგილასო“, ამბობს ის.

საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების თვალსაზრისით ა. შანიძემ 1959 წელს („ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები“: სულხან-საბა ორბელიანი. 1658—1958. საიუბილეო კრებული). აქ ავტორი არკვევს, თუ რა პრინციპებზეა აგებული მსოფლიო ენათა ლექსიკონებში მეთაური სიტყვის შერჩევა. ს. ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის ლექსიკონებზე დაყრდნობით მიღებულია დასკვნა, რომ ქართული ლექსიკონებისათვის შესაფერია და მიზანშეწონილი მეთაურ-სიტყვად ზმნის საწყისი ფორმის მიჩნევა.

ა. შანიძის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური შედგენილობის შესასწავლად.

რუსთაველის ქმნილების 1957 წლის გამოცემას ამშვენებს ვრცელი ლექსიკონი, სადაც თავმოყრილია პოემაში ნახმარი იშვიათი სიტყვები და გამოთქმები, გაუგებარი თანამედროვე მკითხველისათვის. ამ ლექსიკონის ავტორია ა. შანიძე.

ქართული ლექსიკოგრაფია ძალზე ღარიბია სიმფონიებით. სიმფონია ეწოდება ისეთ ნაშრომს, სადაც მოცემულია სრული ნუსხა რომელიმე თხზულებაში შემავალი სიტყვებისა და ვამოთქმებისა; სიმფონიის საშუალებით ადვილად მოსაძებნია, გვხვდება თუ არა რომელიმე სიტყვა ერთ რომელიმე ძეგლში და, თუ გვხვდება, სად, რამდენჯერ და რა და რა ფორმით. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს ისეთ წიგნს (სიმფონიას), სადაც თავმოყრილია ყველა სიტყვა, რომლებიც პოემაში გვხვდება, თანაც ისე, რომ აღნუსხული იყოს ყველა შემთხვევა მათი ხმარებისა სხვადასხვა ფორმით. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია შეადგინა და გამოსცა პოეტმა კ. ჭიჭინაძემ (1934). ნაშრომმა თავის დროზე გარკვეული სარგებლობა მოუტანა სპეციალისტებს. აკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნილებებს. რუსთველო-

ლოგიის ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, შედგენილია ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით (1956 წ.).

ჩვენ მეცნიერს ჯერ კიდევ 1920 წელს გასჩენია იდეა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიის შედგენისა. „როცა ვეფხისტყაოსანს ვარჩევდი სემინარული მეცადინეობის დროს უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მათ ამოვაწერინე პოემიდან ყველა სიტყვა (თვითეულ სტუდენტს 50 სტროფს ფარგალში) იუსტ. აბულაძის 1914 წლის გამოცემის მიხედვით. მაგრამ გამოირკვა, რომ ჯერ საჭირო იყო თვით ტექსტის დადგენა ხელნაწერების მიხედვითო“, ამბობს ა. შანიძე. მართლაც, 1920 წლის შემდეგ დიდად წაიწია წინ რუსთველის უკვდავი ქმნილების ტექსტოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, ბევრი საცილობელი საკითხი გამოირკვა და დაზუსტდა, მომზადდა ნიადაგი სიმფონიის შესადგენად.

შანიძისეული სიმფონია „მიზნად ისახავს, გამოავლინოს მთელი მრავალფეროვნება პოემის ლექსიკისა. ამიტომ შიგ გათვალისწინებულია ყოველგვარი სიტყვა, რომელიც მოიპოვება აღნიშნულ გამოცემაში (იგულისხმება 1951 წ. გამოცემა, შ. ძ.). მხედველობიდან არაა გამოშვებული არც ერთი სიტყვა, იქნება იგი სახელი, ზმნა თუ უდეტერი“.

ქართული ლექსიკონების გვირგვინია სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი სიტყვის კონა, რომელიც „არა თუ მისი დროისათვის, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულისა და მეთვრამეტის დასაწყისისათვის, არამედ ჩვენი დროისათვისაც, მეოცე საუკუნისათვის, დიდი ღირსებისა და უაღრესი მნიშვნელობისა არის როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული მიზნებისათვისაც“ (ა. შანიძე). როდესაც ნიკო მარი სულხან-საბა ორბელიანის ფასდაუდებელი ღირებულების განძს დ. ჩუბინაშვილის მე-19 საუკუნეში შექმნილ ლექსიკონს ადარებდა, ამბობდა: „...и по количеству слов, и особенно, по качеству объяснений, и по приемам, т. е. по плану и выполнению, словарь этот (Орбелиани), большей частью уснащенный ссылками на лучшие списки св. писания, далеко превосходит грузинско-русско-французский словарь Чубинова, труд XIX века, удостоенный Императорской Академией Наук полной Демидовской премии“.

ა. შანიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „საკვირველი კია, რომ ისეთი მშვენიერი ლექსიკონი, როგორიცაა სულხან ორბელიანის ქართული ლექსიკონი, პირველად მხოლოდ 1884 წელს დაიბეჭდა, ე. ი. თითქმის 160 წლის შემდეგ ავტორის გარდაცვალებიდან“. პირველად ის გამოსცა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა რაფიელ ერისთავმა. მეორე გამოცემა განზრახული ჰქონდა ა. შანიძის უფროს ამხანაგს, ნ. მარის ერთ-ერთ უნიჭიერეს მოწაფეს პროფ. იოსებ ყიფშიძეს. მას გულდასმით შეუსწავლია ლექსიკონის ნუსხები, გადმოუწერია და დასაბეჭდად გაუმზადებია. დაწყებულა კიდეც წიგნის ბეჭდვა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. ამ საქმეს შესდგომიან 1918 წლის თებერვალ-მარტში და მოუსწრიათ მხოლოდ დასაწყისი სიტყვების აწყობა. როცა ი. ყიფშიძე თბილისში გადმოვიდა ახლად გახსნილ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ, ლექსიკონის მასალებიც თან წამოიღო და აქ აპირებდა წიგნის დაბეჭდვას, მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერი მოულოდნელად გარდაიცვალა (1919 წ.) და კარგად წამოწყებული საქმე შეჩერდა. შემდეგ ამ ლექსიკონის გამოქვეყნებას სათავეში ჩაუდგა ა. შანიძე და დაბეჭდა 1928 წელს. ლექსიკონს ერთვის ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ლექსიკონის რედაქციები, შედგენილობა, ილუსტრაციები, საძიებლები... (სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით 1928. გამომცემლობა „ქართული წიგნი“).

ა. შანიძემ ამ გამოცემაში თავ-თავის ადგილასაც შეიტანა სიტყვები, რომლებიც ს. ორბელიანს სხვაგან აქვს ახსნილი. ამის საშუალებით შესაძლებელი ხდება, გათვალისწინებულ იქნეს ს. ორბელიანის ლექსიკონის მთელი მარაგი.

ა. შანიძემ მრავალი სიტყვის წარმომავლობა შეისწავლა. აქ დავიმოწმებთ მხოლოდ ორიოდე მაგალითს.

არტანუჯი ძველისძველი ქალაქია, სადაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების რეზიდენცია იყო. ა. შანიძემ გამოარკვია, რომ **არტანუჯი** კოლხური სიტყვაა (კერძოდ ჭანური) და წარმომდგარი: **არტაანიშ** ცუჯი-საგან, რაც არტაანის უყურეს ნიშნავს (ცუჯი-უყური).

წვრილმანი პროფესორ ნ. მარს ქართული წვრილისა და სომხური **მანრ**-ისაგან წარმომდგარი სიტყვა ეგონა (მანრ-ი სომხურად მცირე მოცულობის საგანზე ითქმის, როგორც რუს. мелкий):

წვრილ-მან (რ)-ი. ა. შანიძემ დაამტკიცა, რომ ეს სიტყვა წმინდა ქართულია და იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც **მსხვილ-მანი, ცუდ-მადი, კუჭ-მაჭი** და სხვ.

მსხვერპლის აღსანიშნავად მეგრულში ძველად იხმარებოდა **ჯაკონია**. ა. შანიძემ გამოარკვია, რომ იგი ბერძნულიდან შემოსული სიტყვა დიაკონია (სამსახურებელი), სადაც დია-მ მეგრულში **ჯა-**მოგვცა.

მანვე გამოარკვია სრული ეჭვმიუტანლობითა და დამაჯერებლობით თავის ერთ-ერთ მოხსენებაში, რომ **ავლადიდება** მიღებულია **დავლა-დიდება**-საგან. რომელიც წარმოადგენს სინონიმურ შეერთებას ორი სიტყვისა, რომელთაგანაც ერთი არაბულია, მეორე ქართული. არაბული **დავლა** იგივეა, რაც **დავლათი** ანუ **დოვლათი**.

რამდენი ასეთი ეტიმოლოგია უნდა დავასახელოთ! სიტყვის ეტიმოლოგიებით განსაკუთრებით მდიდარია ა. შანიძის „ქართ. გრამატიკის საფუძვლები".

VI. ეპიგრაფიკა

ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს არა მარტო ხელნაწერები, შესრულებული ეტრატზე (სხვანაირად: პერგამენტზე ანუ ტყავზე), ჭილზე თუ ქაღალდზე, არამედ წარწერებიც, რომლებიც ამოკვეთილია უმთავრესად ქვაზე (ტაძრებზე, ციხეებზე). ამ ეპიგრაფიკული ძეგლების ამოშიფვრას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის; ისინი გვაუწყებენ, თუ როდის და ვის მიერ აშენდა ესა თუ ის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მოთხრობილია ზოგიერთი ისტორიული ამბავიც და მისთანანი. ენის ისტორიისთვისაც ამგვარ ძეგლებს განუზომელი მნიშვნელობა აქვს. წარწერები უმეტესად დაზიანებულია დროთა განმავლობაში, მოშლილია ზოგი ასო და მთელი სიტყვა თუ ფრაზა, — ჟამთა მსვლელობას თავისი ძალა აქაც გამოუჩენია. რამდენი სათუთად ამოჭრილი წარწერა ჩვენი მწიგნობარი წინაპრებისა სამუდამოდ წარხოცილა და ისტორიისათვის საუკუნოდ დადუმებულა...

მაგრამ ჩვენამდის მოღწეულ წარწერებსაც ხომ ამოკითხვა, ამოშიფრვა ესაჭიროება! ზოგს თარიღი ჰრ. უზის, — დათარიღება

უნდა; ზოგს ასოები ჩამომტვრეული აქვს, ან მთელი სიტყვა გაუჩინარებულა — აღდგენა უნდა. აღდგენილ წარწერებს ბოლოს გააზრიანება უნდა. ერთი სიტყვით, საუკუნეთა განმავლობაში მდუმარე ასოებს, სიტყვებს, ფრაზებს გაცოცხლება და ამეტყველება უნდა!

მათი გამცოცხლებელი კი მეცნიერია, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს პალეოგრაფიისა და ენის ისტორიის ფაქტების ცოდნით.

ქართული წარწერების ერთ-ერთი გამოჩენილი „დასტაქარი“ ა. შანიძეა. ბევრი „უტყვი“ წარწერა მან ამეტყველა, ბევრი დაზიანებული ეპიგრაფიკული ძეგლი აღადგინა. იქნება ეს წყისისა თუ მანგლისის წარწერები, კოშისა (სომხეთში) თუ სამენოვანი წარწერა გრემში, ხუნამისის წარწერა თუ სხვა, — ყველა ეს მნიშვნელოვანი ძეგლი შესწავლილია ჩვენი მეცნიერის მიერ და მიღებული დასკვნები საყოველთაოდ გაზიარებულია მეცნიერებაში. ზემოთ იყო საუბარი და აქ აღარაფერს ვიტყვით ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერებზე, სადაც ა. შანიძემ ამოიცნო ძველი ქართული ენის არქაული ფორმები, დამახასიათებელი სალიტერატურო ენის ძველი საფეხურისათვის. ასეთივეა აგრეთვე წყისის წარწერა (VII ს.), რომელიც მან გამოსცა და რომელშიც ჰაემეტი ფორმაა დადასტურებული.

VII. კოლხური, სვანური

ა. შანიძე, როგორც ქართული ენის სპეციალისტი, თავის ნაშრომებში დიდ ადგილს უთმობს ჭანურ-მეგრულის (კოლხურის) და სვანურის აღნაგობის შესწავლას. ჭანურ-მეგრულ-სვანური და საკუთრივ ქართული საერთო ქართული ენის განშტოებებია. მათ მეცნიერებაში „ქართველური ენები“ ეწოდება. საკუთრივ ქართულის ისტორიული საკითხების შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით მოძმე კოლხურ-სვანურის მონაცემებს. ამათი შედარებითი ანალიზის გზით ირკვევა არა ერთი და ორი ბუნდოვანი მხარე ჩვენი ენის ისტორიული განვითარებისა. ამ გარემოებას ყოველთვის ითვალისწინებდნენ ჩვენი ენის უდიდესი მკვლევრები ალექსანდრე ცაგა-

რელი და ნიკო მარი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართველური ენების შედარებითს შესწავლას.

ვარლამ თოფურია, რომელსაც ეკუთვნის დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევა სვანური ზმნის შესახებ („სვანური ენა. I. ზმნა", 1931), საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „სვანურის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ყოველმხრივ სანდოდ მარის, შანიძისა და დეეტერსის ნაშრომებიღა ჩაითვლებაო". სვანურს კი, ამათ გარდა, იკვლევდნენ აკადემიკოსი როზენი, პროფ. ცაგარელი, პროფ. მიულერი, პროფ. უსლარი, პროფ. შუხართი, პროფ. ერკერტი, პროფ. ა. დირი, ზავადსკი, თავისუფალი სვანი[1] და მ. ჯანაშვილი.

ა. შანიძე სამჯერ იყო სვანეთში სამეცნიერო მიზნით (1910, 1921, 1923 წწ.), შეისწავლა მისი კილოები, ჩაიწერა მრავალი მასალა — ლექსები, ზღაპრები, ანდაზა-გამოცანები და სხვ. სვანურისათვის მკვეთრად დამახასიათებელია კილოური შინასხვაობანი. ჩვენი მეცნიერი კარგად ერკვევა სვანურის დიალექტებში და მის მიერ მოცემული დიალექტოლოგიური დაყოფა ამ მხარისა მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებული და მიღებულია.

ა. შანიძის კალამს ეკუთვნის ფუძემდებლური ნაშრომი „უმლაუტი სვანურში" (1925 წ.), რომელზედაც ზემოთაც იყო საუბარი. უმლაუტის ბუნების შესწავლამ და გარკვევამ ნათელი მოჰფინა ენის ისეთ მხარეს, რომლის გაშუქებასთან დაკავშირებულია ბინდით მოცული რთული მორფოლოგიური კატეგორიების გაგებაც. ასე, მაგალითად, ამ ნაშრომში თეორიულად აღდგენილია სვანურ ბრუნვათა უძველესი დაბოლოებანი და ფუძის ბოლოკიდური ხმოვნები, რომლებიც სავსებით დაადასტურა შემდგომმა კვლევა-ძიებამ ძველისძველ ხალხურ ლექსებში ჩარჩენილი გრამატიკული ფორმების სახით. ასე იცის მართალმა მეცნიერულმა ანალიზმა!

ა. შანიძის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სვანური ლექსიკის საკითხებიც. აქ შევჩერდებით მხოლოდ ერთ მათგანზე.

სვანურში, როგორც მეცნიერი შენიშნავს, საკმაოდ მოიპოვება ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები, რომელთაგანაც ზოგი უმეშველოდ უნდა მომდინარეობდეს ბერძნულიდან, ზოგი კი (უმეტესი)

---

1 ბესარიონ ნიჟარაძე.

ქართულ-მეგრულიდან და აფხაზურიდანაც. ნასესხებ სიტყვებს შორის ურევია ქრისტიანული წარმოშობის ტერმინები და მათ შორის, აგრეთვე, სიტყვა, გამომხატველი ქრისტიანობის სიმბოლოსი — ჯვრისა. ჯვრის აღსანიშნავად სვანურში დღეს გავრცელებულია ქართულიდან შესული **ჯუარ**[1], მაგრამ იგი, შანიძისავე ვარაუდით, ახალი შესული ჩანს სვანურში. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია სვანურის რამდენიმე გამოთქმაში შემორჩენილ ძველისძველ სიტყვას, რომელიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული მთელ სვანურში და შემდეგ განდევნილი ქართული **ჯვარის** მიერ. ესაა **სტარუნ**. ეს სიტყვა ამჟამად სვანურში იხმარება არა ნივთიერი ჯვრის აღსანიშნავად, არამედ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალ., როდესაც პირ-ჯვრის წერაზე ან საზოგადოდ ჯვრის წერაზეა საუბარი: „უსტარუნს ირენი“. ამისი ძველი ფორმა იქნებოდა: „უშკუს სტარუნს ირენი“, რაც ქართულად ასე იქნება. „პირს სტარუნს იწერს“. ასევე: „სტარუნ მაყრ“ იქნება: „სტარუნი მიყავ“ („ჯვარი დამწერე“). ეს „სტარუნ“ ბერძნული სიტყვაა წარმოშობით. ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ მთას (უღელტეხილს), რომელსაც ლეჩხუმიდან ლაჯანურის ხეობით ლაშხეთში გადაჰყავს კაცი, ეწოდება სტარუნიშ. ეს კი ქართულად **ჯუარისა** იქნებაო, დაასკვნის ავტორი. მართლაც, ძველად იქ ეკლესია მდგარა და ახლა ნანგრევები და ნიშიღა არის შემორჩენილი. საყურადღებოა, რომ ამ მთას ლეჩხუმლები **ჯვარის მთას** ეძახიან. სავსებით საქმაო საბუთებია წამოყენებული დებულების დასამტკიცებლად (შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხებისა სვანურში: უნივ. მოამბე, V, 1925).

ა. შანიძემ ახსნა, რომ ერთი სვანური სიტყვა **შილი**, რომელიც ამჟამად აღარ იხმარება არც ერთ სვანურ კილოში, შემონახულია სვანეთის მეზობლად მდებარე ქართულ კილოებში. **შილი** სვანურში ძველად უნდა ყოფილიყო იმავე მნიშვნელობისა, რაც ქართული **ცოლი** და კოლხური **ჩილი**, მაგრამ ცოლის მნიშვნელობით ამჟამად სვანურში სხვა სიტყვა იხმარება, შილი კი გადავარდა და შემოგვრჩა რაჭაში, ლეჩხუმში, ოკრიბასა და ზემო იმერეთში მნიშვნელობის დავიწროებით: **შილი** — მაზლის ცოლი. ძმათა ცოლები

[1] უ უმარცვლოა, ა კი — უმლაუტიანი. ჭვემოთ შეად დაბეჭდილი უ—ც უმარცვლოა, ხოლო ა-ი გრძელი ხმოვნები.

შილებია ერთმანეთისათვის. შემდეგ ისიც გამოირკვა, რომ ამ ტერმინის ხმარება დადასტურებული ყოფილა ერთ ძველ ხელნაწერში, რომელიც შეიცავს „რუთის“ წიგნის რედაქციას.

თუ რა ხასიათის იყო წინათ სვანური ძეტყველება, არ ვიცით, ძველად ჩაწერილი სვანური მასალა არ მოგვეპოვება. ზოგიერთი ცნობა (უმთავრესად ლექსიკიდან) შემოგვინახა აკადემიკოსების გვილდენშტედტისა (მე-18 საუკ.) და როზენის (მე-19 საუკ.) ნაშრომებმა. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენს დროში სანდოდ ჩაწერილ მრავალფეროვან სვანურ ტექსტებს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ენის ძველი საფეხურების ვითარების გასათვალისწინებლად (რამდენადაც ისინი შეიცავენ გაქვავებულ გამოთქმებს), ისე თანამედროვე მეტყველების სტრუქტურის შესასწავლად. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკო მარის ინიციატივით შეკრებილი და მისივე რედაქციით გამოსული მასალები ა. ონიანისა(დაიბეჭდა პეტროგრადში 1917 წ.).

ა. შანიძემ, ვ. თოფურიასთან ერთად, სათავე დაუდო საქართველოში სვანური ტექსტების მეცნიერულ გამოცემებს. 1939 წელს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა სერია „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“, რომლის პირველ ნომრად დაიბეჭდა „სვანური პროზაული ტექსტები“ (500 გვერდამდე). აქ მოთავსებულია სვანური ზღაპრები, ძვირფასი მასალა როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე ფოლკლორისტიკის, ეთნოგრაფიისა და სხვა დარგებისათვის, შეკრებილი ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მიერ. იმავე წელს აღნიშნული სერიის მეორე ნომრად გამოქვეყნდა აგრეთვე დიდი ტომი „სვანური პოეზია. I“, რომელიც შეიცავს ა. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჯეჯიანის მიერ შეკრებილ სვანურ სიმღერებს. წიგნში წარმოდგენილია საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სარწმუნოებრივი სიმღერები, საბჭოთა პერიოდის პეზირსიტყვიერების ნიმუშები და სხვ. ამ პოეტურ ქმნილებებს ახლავს ქართული თარგმანი (სვანურ-ქართული ტექსტები პარალელურად არის მოცემული).

1916 წელს ა. შანიძემ რუსეთის ორიენტალისტთა ორგანოში (Записки Восточного Стделения Императорского Русского Археологического Общества, ტ. XXIII) გამოაქვეყნა გამოკვლევა «Два чано-мегрельских суффикса в грузинском и армянском языках».

ამ სპეციალური ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორი არკვევს სადაურობის გამომხატველ **არ** სუფიქსს, რომელიც ზოგ სიტყვაში ქართულშიც გვხვდება (ოპიზ-არ-ი, მ-ტბევ-არ-ი და სხვ.) წერილის მეორე ნაწილში მეცნიერი ჰანურ-მეგრულის თემატური ნიშნის დანალექს ხედავს სომხური უნის გარკვეულ დიალექტებში არსებულ ზმნურ (უმ) დაბოლოებაში.

სამეგრელოში ჩაწერილი მასალებიდან ა. შანიძემ გამოაქვეყნა მხოლოდ „ეკური ქალ-ვაჟიანი“ (ლიტ. ძიებანი, ტ. XII).

1924 წელს ა. შანიძემ წამოაყენა დებულება მეგრულისა და ჰანურის ურთიერთობის შესახებ. „მ ე გ რ უ ლ ი ს სახელწოდებით, — ამბობს ა. შანიძე, — ჩვენ აღვნიშნავთ ერთისა და იმავე ენის ორსავე კილოს: რ ი ო ნ ი ს მ ე გ რ უ ლ ს (რომელიც საქართველოს ფარგლებშია მოქცეული, უმთავრესად მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს, და რომელიც ს ა კ უ თ რ ი ვ მ ე გ რ უ ლ ი ს სახელით არის ცნობილი) და ჭ ო რ ო ხ ი ს მ ე გ რ უ ლ ს (რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოყოლილი, უმთავრესად ჭოროხის მარცხენა მხარეს, და რომელიც ჩვეულებრივ ჭ ა ნ უ რ ი ს ან ლ ა ზ უ რ ი ს სახელით არის ცნობილი). ს ა კ უ თ რ ი ვ მ ე გ რ უ ლ ი და ჭ ა ნ უ რ ი ერთურთის მიმართ კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები“.

ეს თვალსაზრისი სავსებით მისაღებია.

VIII. სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხები

აკაკი შანიძის მოღვაწეობა, როგორც ქართული ენის მკვლევრისა, მარტოოდენ თეორიული პრობლემების კვლევა-ძიებით არ შემოიფარგლება. ახალ სალიტერატურო ენაში ბევრია საცილობელი და დასადგენი, — ახალი ენობრივი ნორმები მოწესრიგებასა და დაკანონებას მოითხოვენ. თქმა არ უნდა, რომ ლიტერატურული ენის ნორმალიზაცია მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე უნდა წარიმართოს, იგი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის შედეგი უნდა იყოს. აქ ა. შანიძის ავტორიტეტულ სიტყვას ყოველთვის ანგარიში ეწევა, რამდენადაც ჩვენი მეცნიერი მოითხოვს, რომ სალიტერატურო ნორმად ისეთი ფორმა იქნეს მიღებული, რომელიც შეესაბამება ქართული ენის ბუნებასა და თვისებას, ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებას.

ჩვენი მეცნიერი ყოველთვის განსაკუთრებული გულისყურითა და დიდი მონდომებით ეკიდებოდა სალიტერატურო ენის პრაქტიკულ საკითხებს. თავის ღრმა თეორიულ ენათმეცნიერულ გამოკვლევაში, რომელიც ავტორმა სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინა, არ არის დავიწყებული მტკივნეული პრაქტიკული საკითხი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა: ამ წიგნს (სუბ. პრეფიქსი მე-2 პირისა და ობ. პრეფიქსი მე-3 პირისა ქართულ ზმნებში, 1920 წ.) დამატების სახით ერთვის „პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის“, რომელშიც მოცემულია წესები და მითითებანი, თუ რა და რა შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ ჰაე და სანი ზმნებში. ეს პროექტი არ არის ნაშრომის ორგანული ნაწილი (თუმცა მისგან გამომდინარე კია) და შეიძლებოდა ავტორს არც მოეთავსებინა წიგნში, რომელიც მოწოდებულია გააშუქოს თეორიული საკითხები. მაგრამ ა. შანიძე საზოგადო მოღვაწეა და მან კარგად იცის, რომ მარტოოდენ კაბინეტური მუშაობით ვერ დააკმაყოფილებ ერის მოთხოვნილებებს. ჭეშმარიტი მეცნიერი მოვალეა თვალი გაუსწოროს პრაქტიკულ სინამდვილეს და მთელი თავისი საქმიანობა შეუხამოს ხალხის ინტერესებს. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა კი დიდი ეროვნული საქმეა. ა. შანიძე სავსებით კატეგორიულად აცხადებს პროექტის განმარტებითს ნაწილში, რომ „დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ერთი სადაო საკითხთაგანია ჰაესა და სანის ხმარების წესი. ყოველ მწერალს თავისებურად ესმის ეს წესი და ამიტომ ენაში საშინელი სხვადასხვაობაა, რასაც ბოლო უნდა მოეღოსო“. მეცნიერის მიერ შემუშავებული პროექტი შედეგია საკითხის თეორიული თვალსაზრისით შესწავლისა და ენის შინაგანი კანონზომიერების შეცნობისა. აი, ეს პრინციპები შემუშავებულია საკითხის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ და სრულებით ეთანხმება ქართული ენის ხასიათს საზოგადოდ და კერძოდ სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების საერთო მიმართულებასაც. „ამ რეფორმით, — განაგრძნობს ავტორი, — თანამედროვე ცოცხალი კილოების მდგომარეობაც არის გათვალისწინებული და ქართული მწერლობის მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციებიც არ არის დავიწყებული“. ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს ერთი ურყევი დებულება: თანამედროვე ენის ნორმები არ შეიძლება

დადგინდეს და დაკანონდეს, თუ საკითხები არ გვექნება შესწავლილი ისტორიულად და დიალექტოლოგიის მონაცემთა გათვალისწინებით. ამრიგად, ა. შანიძემ, შეიარაღებულმა ახალი ენათმეცნიერული მეთოდებით, სათავე დაუდო სალიტერატურო ქართულის ნორმათა მოწესრიგების საქმეს, დაფუძნებულს საკითხის ყოველმხრივ შესწავლაზე.

1920 წელს ქართული ენის გულშემატკივართა წინაშე დაისვა საკითხი სალიტერატურო ენაში არევ-დარევის მოწესრიგებისა და მყარი ნორმების გამომუშავების თაობაზე. გადაწყდა, ახლო მომავალში მოეწვიათ ყრილობა თუ კონფერენცია, რომელსაც დაეკისრებოდა სადავო ფორმებში გარკვევა და სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება. ყრილობის მიზანი, შემადგენლობა და მუშაობის მოკლე პროგრამა გაზეთშიც გამოქვეყნდა. ამ დიდ ეროვნულ საქმეში მონაწილეობას მიიღებდნენ „ჩვენი სამეცნიერო-კულტურული და სალიტერატურო-პედაგოგიური ძალები შესაფერისი პროპორციით“. ყრილობისათვის ცალკე წიგნაკად გამოიცა ა. შანიძის ზემორე მოხსენებული „პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის“ (დაიბეჭდა აგრეთვე გ. ახვლედიანის „ყრუ mediae ქართულში“, მომზადდა ს. გორგაძის ნაშრომი „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“).

შედგა საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო: აკაკი შანიძე (თავმჯდომარე), კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სერგი გორგაძე (მდივანი). კომისიაში ხანდახან მონაწილეობდა დიმიტრი უზნაძე. მუშაობა დაიწყეს 1920 წლის 4 აპრილს და უკანასკნელი სხდომა ჰქონდათ 1921 წლის 16 აპრილს.

კომისიამ გულდასმით განიხილა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხებისა ქართულ სალიტერატურო ენაში. 1921 წელს გამოდის ა. შანიძის წიგნი „სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის)“ კ. კეკელიძის, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძისა და ს. გორგაძის თანაავტორობით. აქ ნათქვამია: „წინამდებარე პროექტის გამოქვეყნების შემდეგ ყველა მცოდნესა და დაინტერესებულ პირს საშუალება ეძ-

ლევა თავისი მოსაზრებანი გამოთქვას ბეჭდვით ამავე საგნის შესახებ, ან წერილობით მოაწოდოს თავისი აზრი საორგანიზაციო კომისიას სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსთან“ (ისიც მითითებულია, რომ, გარდა სამეცნიერო საბჭოსი, მასალები შეუძლიათ გადაუგზავნონ უშუალოდ ა. შანიძეს).

წიგნში „სალიტერატურო ქართულისათვის“ განხილულია საკითხები გრაფიკიდან, ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან და ლექსიკიდან. სახელდობრ, გათვალისწინებულია: არსებითი სახელები, ზედსართავი, ნაცვალსახელი, ზმნა, მსაზღვრელი სიტყვის ადგილი, ქალთა გვარები, ბრუნვათა ხმარება, ზმნისართები (არ, ვერ, აღარ, ვეღარ), ორმაგი უარყოფა ერთად, ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში, მწკრივთა ხმარება, სადავო ფრაზები, ლექსიკა.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნად იქცა საბჭოთა საქართველოში. როგორც ზემოთ ითქვა, ა. შანიძე იმთავითვე ნორმათა მომწესრიგებელი კომისიის წევრია. წლების მანძილზე იგი იყო „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ თავმჯდომარე.

ა. შანიძის პროექტების მიხედვით „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკურმა კომისიამ“ დააკანონა ისეთი ნორმები, როგორიცაა, მაგალითად, 1. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, 2. წოდებითი ბრუნვის დაბოლოება, 3. ევროპის ენებიდან მომდინარე la და lu ჯგუფის სიტყვები, და სხვა (იხ. სალიტერატურო ქართული ნორმები, I, 1936).

1950 წელს აკაკი შანიძის ინიციატივით შეიქმნა გამოცემათა სერია — „სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები“, რომელიც მოწოდებული იყო, გამოემზეურებინა მასალები თუ პროექტები მუდმივი სახელმწიფო კომისიისათვის. სერიის პირველ ნომრად გამოდის ა. შანიძისავე წიგნი „ჲ და ს თავსართების ხმარება ზმნებში. პროექტი ნიმუშებითურთ“ (საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა). წესების დალაგების შემდეგ შერჩეულია ნიმუშები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან. „ნიმუშები გადმობეჭდილია უცვლელად (ზოგიერთი შემოკლებით) ავტორთა სიცოცხლეშივე გამოცემული წიგნებიდან. „საქმის ვითა-

რება რომ ნათელი იყოს, — ამბობს ა. შანიძე, — ზმნის ფორმები დამარცვლით არის აწყობილი. მარჯვენა სვეტში ნაჩვენებია მხოლოდ ის ზმნები, რომლებიც გასწორდება და როგორ გასწორდება ჰ და ს პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით. დანაჩენი ზმნები კი უცვლელად დარჩება“.

ჩვენი სახელოვანი ენათმეცნიერი არა ერთხელ გამოსულა დიდ აუდიტორიებში მოხსენებებითა და ლექციებით მეტყველების კულტურის, ენის სიწმინდის საკითხებზე, არა ერთი და ორი წერილი დაუსტამბავს ჩვენს პრესაში. ყველგან და ყოველთვის ჩვენ წინაშეა ქართული ენის უფლებათა სწორუპოვარი გუშაგი, მისი ღირსებისათვის მებრძოლი მეცნიერი, რომელიც არავის აპატიებს წინაპართაგან ნაანდერძევისა და სათუთად გადმოცემული ქართული ენის დაკნინებას, შელახვასა და დამახინჯებას.

IX. მწერლის ენა

დავიწყოთ „ვეფხისტყაოსნით“.

ქართული ლიტერატურის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“ დიდა ხანია ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერების ყურადღების ცენტრში დგას. საქმე ის არის, რომ რუსთველის უკვდავ ქმნილებას ჩვენამდის არ მოუღწევია პირვანდელი სახით. როგორც ცნობილია, მე-16 საუკუნის მიწურულზე უწინარესი ხელნაწერები პოემისა არ მოგვეპოვება და ამიტომ ძნელი გამოსარკვევია, რა ეკუთვნის ავტორს და რა არის ალაგ-ალაგ ჩამატებული თუ შეცვლილი გადამწერლების მიერ. ბევრი ადგილი დროთა ვითარებაში აუცილებლად შერყვნილი და დაზიანებულია. პოემის ტექსტი კი ფაქიზ მიდგომას მოითხოვს და სრულიად შეუწყნარებელია ისეთი თვითნებური ოპერაციების ჩატარება, როგორიც უცდია ზოგიერთ მკვლევარს. თავისთავად ცხადია, რუსთველოლოგიური ტექსტოლოგია უნდა იქნეს წარმართული მკაცრი ენათმეცნიერული მეთოდების მომარჯვებით.

ა. შანიძეს, როგორც მკვლევარს, კარგა ხანია იზიდავს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამართვის პრობლემა. ამ დარგში ჩვენი მეცნიერის ღვაწლი ძალიან დიდია.

1937 წელს, რუსთველის საიუბილეო დღეებში, ქართულმა მეცნიერებამ, ქართველმა მკითხველმა ჩინებული საჩუქარი მიიღეს. ეს გახლავთ ა. შანიძის მიერ აღდგენილი გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემისა.

როგორც ცნობილია, რუსთველის პოემა პირველად დაბეჭდა ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს. ამ პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ 20 ცალიღაა ჩვენამდის მოღწეული. ამავე დროს, ყველა ისინი დეფექტურია (ზოგს რა აკლია და ზოგს რა).

ა. შანიძემ უდიდესი საქმე გაკეთა, როდესაც გადარჩენილი დაბეჭდილი ცალები პოემისა ერთმანეთს შეადარა და ა ღ ა დ გ ი ნ ა ვახტანგისეული გამოცემა. მან დიდი ჯაფა გასწია, რომ დასახული ამოცანა წარმატებით გადაეჭრა. ა. შანიძემ გამოცემას დაურთო ვრცელი გამოკვლევა, სადაც გასწორებულია დამახინჯებული ადგილები, ვახტანგის კომენტარებში გაბნეული სალექსიკონო მასალა თავმოყრილია (ცალკე ლექსიკონადაა გაწყობილი) და გამოკვლეულია ვახტანგისეული რედაქციის შედგენილობა. ა. შანიძის ეს პუბლიკაცია ჭეშმარიტად რუსთველოლოგიის მშვენებაა და ძვირფას მასალას შეიცავს შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

ა. შანიძე თავის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს აკლია ენათმეცნიერის თვალი. სრულიად კანონზომიერია, რომ ჩვენმა მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო პოემის ტექსტის დადგენას. იგი გახლავთ ტექსტის დამდგენი კომისიის მესვეურთაგანი და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაში არა ერთი და ორი შანიძისეული შესწორებაა შეტანილი.

1956—1961 წლებში ა. შანიძემ გამოაქვეყნა ნაშრომები, სადაც განხილულია და ბევრ შემთხვევაში საბოლოოდ გადაწყვეტილი პოემის ტექსტის ზოგი სადავო საკითხი. ეს ძვირფასი ენათმეცნიერული დაკვირვებები გამომზეურებულია უმთავრესად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბისა“ და ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე. ამ მიმართულებით ა. შანიძე ახლაც განაგრძობს მუშაობას.

მოვიყვანოთ მაგალითი.

პოემის შესავლის მეცხრე შაირის უკანასკნელ სტროფში იკითხება: „ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან

ნები“. „დამმართოს ნები“ დაზიანებული ჩანს. 1671 წლის ხელნაწერში იკითხება: „დავმართო ნები“. ესეც დამახინჯებული უნდა იყოს. ა. შანიძემ ამ ორი მცდარი ფორმის მიხედვით დაასკვნა, რომ შოთას უნდა ჰქონოდა: „და-ვე-მრთოს ნები“ (ე. ი. დამრთოს-ვე-ნები). ამგვარად, ეს ფორმა გაიმართა ქართ. ენის კანონების მიხედვით. სხვა მაგალითი: 1321 სტროფის ბოლოს იკითხება: „არ თურე კაცმან დაგიდგნას, ვეჰვ, კლდეცა გაგილბილდების“. ამ ტაეპში გაუგებარი იყო ფორმა **დაგიდგნას**. ა. შანიძემ ვრცელი წერილი უძღვნა ამ ტაეპს, სადაც გამოარკვია **დაგიდგნა** ზმნის მნიშვნელობა და შეასწორა იგი (უნდა: **დაგიდგნეს**). მაგრამ მთავარია ის, რომ უნდა **არა არ თურე**, არამედ **არ თუ ვერ**, რომელიც არც ერთ მოღწეულ ხელნაწერში არ იკითხება. მიუხედავად ამისა, ა. შანიძემ პოემის სხვა ადგილებთან შედარებით გამოარკვია, რომ აქ სწორედ **არ თუ ვერ** უნდა ყოფილიყო, და მთელი ტაეპი საბოლოოდ ასე გამართა:„ არ თუ ვერ კაცმა დაგიდგნეს, ვეჰვ, კლდეცა გაგიცვილდების“.

ეს ამას ნიშნავს: არა თუ კაცი ვერ გაგიძლებს, არამედ კლდეც კი ცვილივით გახდება თქვენს ხელშიო („მნათობი“, 1961, № 12).

რუსთველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით ა. შანიძემ გამოამზეურა წიგნი „ვეფხის ტყაოსნის საკითხები“, სადაც თავმოყრილია ნაშრომები, გამოქვეყნებული წინა წლებში, და დამატებულია რამდენიმე ახალი. აქ ნათლად ჩანს ის გრანდიოზული კვლევითი მუშაობა, რაც ჩაუტარებია ჩვენს განთქმულ რუსთველოლოგს დიდი შოთას პოემის ენის შესწავლის დარგში. საიუბილეო დღეებში მანვე ალ. ბარამიძესთან ერთად გამოსცა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანი. ტექსტი და ვარიანტები“, ძვირფასი საჩუქარი ჩვენი მკითხველისათვის, კერძოდ — სპეციალისტთა წრეებისათვის. გამოცემის მეორე ტომში დაიბეჭდება ჩანართ-დანართი სტროფები, კომენტარები და ლექსიკონი.

ჩვენი საზოგადოებისათვის ფართოდ ცნობილია შედეგები, რომლებიც მოიპოვა ქართველ მოღვაწეთა ექსპედიციამ პალესტინაში. აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძე ეწვივნენ ჯვარის მონასტერს, სადაც დიდი ქართველის „დასრულდა კვალი“, „მშვიდი ნაბიჯი შეწყდა“, „დაწყდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა“ (ირაკლი აბაშიძე), და მზის სინათლეზე ამოიტანეს

კედელზე დახატული ჟამთა უკუღმართობის გამო სალებავით დაფარული უკვდავი შოთას სახე, შავი საღებავების სუდარა მოხსნეს ქართული პოეტური სიტყვის გოლიათს.

ა. შანიძემ, ამავე დროს, გულდასმით შეისწავლა მონასტრის ქართული წარწერები[1].

გარდა რუსთველის ენისა, ჩვენმა მეცნიერმა შეისწავლა გიორგი მთაწმიდლის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ენობრივი მემკვიდრეობა. გ. მთაწმიდლის თხზულებას (ძვ. ქართული ენის ძეგლები, 3) ერთვის ა. შანიძის ვრცელი ნაშრომი „გიორგი მთაწმიდლის ენა“, სადაც გამოვლინებულია ის ღვაწლი, რომელიც დასდო ქართული ენის ამ დიდმა მოამაგემ სალიტერატურო ენის განვითარებას. გამოკვლევაში „ნ. ბარათაშვილის ენა“ (1939 წ.) გარკვეულია დიდი რომანტიკოსის ადგილი ახალი სალიტერატურო ქართულის შემუშავებაში. ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“ (1939 წ.) განხილულია ილიას პოლემიკა არქაისტებთან, მისი ტერმინოლოგიური მუშაობა, ბრძოლა ენის სიწმინდისათვის და სხვ.

ამავე მიზანს ემსახურება ა. შანიძის ვრცელი ნარკვევი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან: „ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში“ („ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 9. 1964), სადაც გამორკვეულია, თუ რა სქოლასტიკური ორთოგრაფიული წესები შემოიღო მეტად გავლენიანმა კათალიკოს-პატრიარქმა და როგორ შეაფერხა მან სალიტერატურო ქართულის განვითარება.

X. ალბანური ენა და დამწერლობა

მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ა. შანიძის ძიებებს კავკასიის ალბანელთა ენისა და დამწერლობის სფე-

---

1 ამის შესახებ დაწვრილებით: ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე, პალესტინის დღიური, 1961.

როში. ჩვენმა მკვლევარმა, შეიძლება ითქვას, დასაბამი მისცა ახალ-დისციპლინას — ალბანოლოგიას.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ V—XIII საუკუნეებში იყო ხალხი, რომელსაც ჰქონდა თავისი დამწერლობა და მდიდარი ქრისტიანული კულტურა. ეს ხალხი ცხოვრობდა დღევანდელი აზერბაიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში. ქართველები მათ ჰერებს ეძახდნენ, სომხები — ალვანებს, ბერძნულ-ლათინურად ისინი ცნობილი არიან ალბანელების სახელით. ევროპელები მათ კავკასიის ალბანელებს ეძახიან, რომ გაარჩიონ ბალკანეთის ალბანელებისაგან, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ მათთან. არაბობის ხანაში ალბანელებს მაჰმადიანობა მიუღიათ და აქედან იწყება მათი ეროვნული გადაგვარებაც. რა მოდგმისა იყვნენ ალბანელები, რა სისტემის ანბანი ჰქონდათ, რა შინაარსისა იყო მათი კულტურა, — არ ვიცოდით. დღემდის არაფერი იყო მოღწეული, მაჩვენებელი კავკასიის ამ ცივილიზებული ძველი ეთნიკური ელემენტის რაობისა.

მეცნიერებას კარგა ხანია აინტერესებს, გამოარკვიოს აგრეთვე უკვალოდ გამქრალი ხალხის პროფილი, ხალხისა, რომელიც არ სებობდა არა ისტორიის გარიჟრაჟზე, სადღაც უხსოვარ წარსულში, არამედ „ჩვენ თვალწინ“, მეხუთე-მეცამეტე საუკუნეებში! ნუთუ ასე გაცამტვერდა და დამიწდა ალბანური წერილობითი თუ ნივთიერი ძეგლები და არ დარჩა ნაშთი ხალხისა, რომელსაც თურმე ჰქონია, მსგავსად ჩვენი „ქართლის ცხოვრებისა“, „ალბანეთის ისტორია“, შემდეგ გადათარგმნილი სომხურ ენაზე!

სომხეთში, საქართველოში და საზღვარგარეთ შეეცადნენ მოეპოვებინათ ალბანური ანბანი, მაგრამ ძიებამ ნაყოფი არ გამოიღო.

ალბანური ანბანის საკითხით კარგა ხანია დაინტერესებულია ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ა. შანიძე. რაკი უმთავრესად სომხურმა საისტორიო წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები ალბანელთა შესახებ, ბუნებრივია, რომ სომხურ ხელნაწერთა კოლექციებში იყოს მოსალოდნელი ახალ-ახალი მასალების აღმოჩენა. ა. შანიძე თავისი მოწაფეების ყურადღებას წარმართავდა ალბანურ პრობლემაზე და აღვივებდა ინტერესს, რათა ხელნაწერებზე მუშაობის დროს გულისყურით მოჰკიდებოდნენ უცნობასოებიან ტექსტს,

რომელიც შესაძლოა ალბანური ყოფილიყო. ეს ინტერესი აღუძრა ა. შანიძემ ერთ-ერთ თავის მოწაფეს ილია აბულაძეს (შემდგომ პროფესორს, ცნობილ არმენისტს). რუსთველის საიუბილეო დღეები რომ ახლოვდებოდა, ილია აბულაძე გაემგზავრა ერევანს ხელნაწერთა კოლექციაზე სამუშაოდ. ა. შანიძის კონკრეტული მითითებების წყალობით მან, მართლაც, იპოვა ანბანთა კრებული, სადაც ალბანურიც ურევია. ანბანები აქ ასეთი რიგით არის მოცემული: ბერძნული, ასურული, ლათინური, ქართული, ალბანური (ჰერული), კოპტური და არაბული, ხელნაწერი მე-15 საუკუნისაა. მოწაფემ ახლად მოპოვებული მასალა შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად გადასცა თავის მასწავლებელს.

მოპოვებული მასალა მოითხოვდა ღრმა მეცნიერულ დაკვირვებას, საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლას, შედარებითი კვლევა-ძიების წარმოებას, რათა დამტკიცებულიყო, რომ ეს მართლაც ნამდვილი ალბანური ანბანია, ანბანი ჩვენი მეზობელი ერისა, და არა ნატყუარი მოხაზულობანი. ამის შემდეგ უნდა გარკვეულიყო თვითეული ასოს ფონეტიკური მნიშვნელობა, ნათელი მოჰფენოდა ალბანური ენის ბგერითს სისტემას. აქ ჩვენ არ გამოვეკიდეთ იმ სპეციალურ საკითხების დახასიათებას, რომლებიც წამოიჭრა 500 წლის წინათ გადაწერილი ანბანთა კრებულის მეცნიერული შესწავლის დროს.

ეს პრობლემა გადაწყვიტა ა. შანიძემ სრული ეჭვმიუტანლობით. მისმა ვრცელმა გამოკვლევამ «Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки» (1938 წ.) მსოფლიო ფილოლოგიურ მეცნიერებას ამცნო ერთ-ერთი გადაშენებული ცივილიზებული ხალხის დამწერლობის აღმოჩენა, დამწერლობისა, რომლის ბედი აღელვებდა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრებს. ა. შანიძის ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ეს კიდევ ცოტაა.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორი იყო ალბანური დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა, მაგრამ არაფერი ვიცით ალბანური ე ნ ი ს შესახებ.

ზემოხსენებულ გამოკვლევაში ა. შანიძე ამბობდა: «Не может быть, чтобы бесследно пропала письменность целого народа, иг-

равшего крупную роль в культурной и политической жизни Кавказа в средние века. Раскопки должны дать нам убедительный эпиграфический материал, потверждающий сведения армянских источников о существовании албанской письменности».

ა. შანიძის მოლოდინი გამართლდა.

ათი წლის შემდეგ (1948 წ.), მინგეჩაურში წარმოებული გათხრების დროს, აღმოჩნდა ტაძრის ნანგრევში ოთხკუთხა ქვა, უცნობი ასოებით შემოწერილი ირგვლივ. შემდეგ მას მიემატა წარწერები თიხის სასანთლეზე და თიხის ჯურჭლის ნატეხებზე.

ა. შანიძემ შეისწავლა ეს უცნობი წარწერები და ისინი ალბანურად აღიარა. ამ ახალი ფრაგმენტების საფუძველზე მეცნიერებას საშუალება აქვს, დაახლოებითი წარმოდგენა შეიმუშაოს უკვე ალბანური ენის აღნაგობაზე. ჩვენი მეცნიერი აქვეყნებს რამდენიმე ნაშრომს ახალი მასალების შესახებ (1. Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов, 1957; 2. Новые данные об алфавите кавказских албанцев 1959; 3. Язык и письмо кавказских албанцев, 1960). ავტორი მიდის იმ დასკვნამდის, რომ ალბანური ენა კავკასიური მოდგმის ენა იყო და ძალიან ახლოს იდგა დღევანდელ უდურთან. ა. შანიძის აზრით, ალბანური — ეს არის დღევანდელი უდების ძველი სალიტერატურო ენა, ანუ, რაც იგივეა, უდები — ეს არიან ძველი ალბანელების ერთ-ერთი ტომის ჩამომავლები.

ამრიგად, ჩვენი მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული დიდი სამეცნიერო პრობლემის — ალბანური დამწერლობისა და ენის შესწავლა.

XI. ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხები

ა. შანიძის სამეცნიერო ინტერესებში შემოდის ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის საკითხებიც. განსაკუთრებით მას იზიდავს მხატვრული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთობის პრობლემატიკა. ამ საგანზე ჩვენს მეცნიერს ერთობ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული.

საქართველოში ძალიან გავრცელებულია „როსტომიანის“ ციკ-

ლის ეპიზოდები. „როსტომიანის“ ამბები ხალხში ცნობილია პროზად და ლექსად.

რა წარმოშობა აქვს ხალხურ „როსტომიანს“?

ა. შანიძემ თავი მოუყარა ბსენებული ციკლის ვარიანტებს, ჩაწერილს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში,— ამას ემატება მის მიერვე მთიულეთში ჩაწერილი დიდად საყურადღებო ვარიანტი „ბექანიანისა“, — და ტექსტუალური შედარების გზით სრული ეჭვმიუტანლობით ნათელყო, რომ ხალხური „როსტომიანი“ ლიტერატურული წარმოშობისაა; იგი „შაჰნამეს“ გავლენითაა შემუშავებული („შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში“: ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935). ავტორის სიტყვით, ხალხური „როსტომიანი“ „ფოლკლორზე ლიტერატურის გავლენის ჩინებულ მაგალითს წარმოადგენს“. კორნელი კეკელიძე ამბობს: „...ზოგიერთები მზად არიან სერიოზულად გვიმტკიცონ, რომ ლიტერატურული „როსტომიანი“ ხალხურზეა დამოკიდებული. პროფ. ა. შანიძემ... დაამტკიცა, რომ ხალხური „როსტომიანის“ ზოგიერთი სახელი და ტერმინი წარმოადგენს დამახინჯებას ლიტერატურულისას, რომ პირველი მეორეზეა დამოკიდებული“[1].

ქართული ხალხური სიტყვიერების მასალათა გამომზეურებას კარგი ტრადიცია აქვს. ჩვენ გვყავდა ამ დიდი ეროვნული საქმის გულშემატკივარნი, მათ იცოდნენ ფასი ზეპირსიტყვაობის მარგალიტებისა, ხალხური პოეზიის ფასდაუდებელი ნიმუშებისა. არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფოლკლორული ძეგლი იქნა გამოქვეყნებული მათ მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამ ვალმოხდილმა მუშაკებმა, თვალსაჩინო მამულიშვილებმა, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ფოლკლორული მასალების შემკრებლობასა და სისტემატიზაციას, ხალხური სიტყვობრივი საუნჯის დღის სინათლეზე გამოტანას.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ შემამზადებელი საფეხური ფოლკლორული ტექსტოლოგიის სრულყოფილ და მკაცრ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებისა.

ა. შანიძე პირველია, რომელმაც სათავე დაუდო თანამედროვე

---

1 ქართ. მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 238, იხ. აგრეთვე: ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 3Ე.

მეცნიერების მოთხოვნილებათა მიხედვით ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალათა პუბლიკაციის საქმეს.

ხალხური შემოქმედების ნიმუშთა მეცნიერული გამოცემის მთავარი პირობაა ჩაწერის ზედმიწევნითი სიზუსტე (ჩაიწეროს ისე, როგორც ხალხშია გავრცელებული) ენობრივი ნიშნების მკაცრად დაცვის წესით, ვარიანტების შედარებითი ანალიზი და მათი ერთმანეთთან შეჯერება, მასალის კლასიფიკაცია, ტექსტის სრული პასპორტიზაცია. აი, ეს გეგმა და მიზანდასახულობა ახასიათებს ა. შანიძის ნაშრომებს. საგანგებით მართალია ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, როდესაც ამბობს: „მე მაინც ვფიქრობ, რომ ამჟამად ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ სჯობს სანდო ტექსტები გავამრავლოთ, ვიდრე დეტალურ გამოკვლევებს გამოვეკიდოთ თვითეული ლექსის შესახებ, თუმცა დაწვრილებითი შესწავლის ფასიც კარგა ვიცით“.

ეს უთუოდ საპროგრამო განცხადებაა, გამოთქმული 1931 წელს, სადაც ალირებულია, რომ ჩვენში ფოლკლორისტულ კვლევას უნდა უსწრებდეს ზეპირსიტყვიერების დაუშრეტელი წიაღიდან ულევი მადნის გამოღება და გამომზეურება, უტყუარი, მეცნიერულად დადგენილი ტექსტების გამოქვეყნება და საკვლევაძიებო ნიადაგის მოსუფთავება.

ვრცელი და საფუძვლიანი „შენიშვნები და ვარიანტები“, რომელიც ა. შანიძემ დაურთო მის მიერ სანიმუშოდ გამოცემულ ხევსურულ პოეტურ ნიმუშებს (ქართ. ხალხური პოეზია. I ხევსურული. 1931 წ., სახელმწიფო გამომცემლობა), წარმოადგენს ფუძემდებლურ ნაშრომს, რომლითაც დაიწყო ახალი ხანა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში.

წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ეს წიგნი დასაწყისია ქართ. მხატვრული ფოლკლორის მთელი სერიისა. იგი ბევრისათვის უთუოდ საკვირველი და განსაცვიფრებელი მოვლენა იქნება: ბევრს აქამომდე არც კი ჰქონდა კარგად გათვალისწინებული, თუ რა საგანძურს წარმოადგენს ხალხური შემოქმედება და რამდენი მარგალიტი მოიპოვება შიგ. ამ წიგნის გამოსვლით ფარდა აეხდება ამ საგანძურს და ყველას შეეძლება ეს მარგალიტები ხელი-ხელ აგოგმანოს“. სავსებით მართებულადაა შენიშნული, რომ „წიგნის გამოცემა თანაბრად სასიხარულოა როგორც ლიტერატორთათვის და

სალიტერატურო საკითხების მკვლევართათვის, ისე ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა და მუსიკის თეორეტიკოსთათვის. ყველა იპოვის შიგ თავისთვის გამოსადეგსა და სასარგებლო რამეს“ (გვ. 23). ა. შანიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სალიტერატურო საკითხების მკვლევართათვის ფართოდ ისმის საკითხი ხალხური შემოქმედების (კერძოდ პოეზიის) და ლიტერატურის ურთიერთ გავლენისა და დამოკიდებულების შესახებ“. აქ საგანგებოდ მითითებულია, რომ წიგნში მოიპოვება ზოგიერთი წყარო ვაჟას შემოქმედებისათვის და პარალელები მის მიერ დამუშავებული თემებისათვის.

ა. შანიძემ წამოაყენა პრობლემა ხალხურ პოეზიაში ერთი ნაწქვამის შემოქმედებაზე მეორის გავლენის შესახებ. „ეს საკითხი ქართული ხალხური პოეზიისათვის ახალია... თუ რომ ერთი მწერლის გავლენა მეორეზე. შედარებით ადვილი გასათვალისწინებელია წერილობითი ძეგლების არსებობის გამო, ხალხურ პოეზიაში, სამაგიეროდ, ასეთი საკითხის გადასაწყვეტად დიდი სიძნელის დაძლევაა საჭირო ამ პოეზიის სპეციფიკური ხასიათის გამო. ამ წიგნში საკმაოდ მოიპოვება მასალები ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისათვის“ (გვ. 24).

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია ე. წ. მთიბლური ლექსების ფორმას და საგულისხმო მოსაზრებანი გამოთქვა ქართული მეტრიკის კვლევის თვალსაზრისით. მთიბლურ ლექსებში „არ არის რითმა, რომელიც აუცილებელი ნიშანია ქართული ხალხური ლექსისა საზოგადოდ. არც თუ მარცვალთა რაოდენობით უდგება ამ ციკლის ლექსები სხვა ლექსებს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში შიგა და შიგ მღერის დროს ჩართულ მარცვლებს, არც გვრინში დასაყოლებელ ბოლო ხმოვნებს (უმთავრესად ონს), გამოდის, რომ საზოგადოდ მთიბლური ლექსის მუხლი (თუ მუხლის ნახევარი) ცხრამარცვლოვანია და არა ათი, როგორც შეიძლება ზოგმა მათგანმა გვაფიქრებინოს“. მეცნიერის აზრით, ეს ძალიან დამაფიქრებელია. ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ასეთ სიმღერებში უნდა გვჭონდეს ერთერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა.

ფოკლორის საკითხებს განეკუთვნება აგრეთვე სვანური და მეგრული ტექსტების გამოცემა (იხ. ზემოთ).

ქართული ლექსის კვლევის თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა ა. შანიძის დაკვირვებანი ჰმოვნებზე, რომლებიც გვხვდება მხო-

ლოდ სიტყვების ბოლოს, უფრო კი ცეზურის შემდეგ და ტაეპის დაბოლოებისას — მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. რაკი ეს ხმოვნები (ა. ო.) მარტოოდენ პოეზიაში იხმარება და მეტრიკის მიზნებისათვის, ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია, მათ „პროსოდიული ხმოვნები“ ეწოდოს. ა. შანიძემ გარკვეული მოსაზრება გამოთქვა პროსოდიული ხმოვნების წარმოშობის თაობაზეც. „პროსოდიული ხმოვნების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივისა და სხვა სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების გაგრძობილად წარმოთქმის ჩვეულებაში, როგორც ამაზე მიგვითითებს გაღმონაშთის სახით დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულსა და სვანურ ხალხურ სიმღერებშიო“, დასძენს ა. შანიძე (საფუძვლ., გვ. 632).

XII. სახელმძღვანელოები

რამდენიმე ათეული წელია, საქართველოს უმაღლეს და საშუალო სკოლებში ა. შანიძის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებია მიღებული. ჩვენი ახალგაზრდობა თვით შანიძისავე წიგნებით ითვისებს იმ საფუძვლებს, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი დიდი მეცნიერის მიერ.

ჯერ კიდევ 1930 წელს გამოქვეყნდა ქართული გრამატიკის პირველი გამოცემა, რომლითაც სტუდენტობა ითვისებდა ქართული ენის მეცნიერულ კურსს. იგივე წიგნი, საგრძნობლად გადამუშავებული, დღეს უმაღლესი სკოლის ერთადერთი სახელმძღვანელოა ამ დარგში; უფრო გამარტივებული სახით ა. შანიძემ „საფუძვლები“ გამოაქვეყნა „ქართული ენის გრამატიკის“ სახელწოდებით 1955 წელს.

1939 წლიდან საშუალო სკოლებში მიღებულ იქნა ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა (I. ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი. მართლწერის საკითხებითურთ)“, რომელიც თითქმის ყოველწლიურად იცემა. ამას მოჰყვა მეორე ნაწილი — „სინტაქსი“, რომელიც პირველი წიგნია, სადაც სახელმძღვანელოს სახით დალაგებულია ქართული ენის სინტაქსის საკითხები.

ა. შანიძესავე ეკუთვნის საშუალო სკოლის სახელმძღვანელო ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ალ. ბარამიძისა და ილ.

ბულაძის თანაავტორობით), რომელიც პირველად 1934 წ. დაიბეჭდა და შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა. წიგნის წინანდელ გამოცემებს ახლდა ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა, რომელიც ა. შანიძის კალამს ეკუთვნის.

ა. შანიძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ქრესტომათიული ტექსტები უმაღლესი სკოლის სტუდენტთათვის ძველ ქართულ ენაში სავარჯიშოდ. ასეთებია: „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ. პალეოგრაფიული რვეული (1924) და ზემოგანხილული „ძველი ქართულის ქრესტომათია“ (1935).

XIII. სხვადასხვა

ა. შანიძე თავის სპეციალურ ნაშრომებში არაიშვიათად მიმართავს სომხური ენის მონაცემებს და მათ სათანადოდ იყენებს ქართული გრამატიკული საკითხების კვლევა-ძიების დროს. აქვს სპეციალური ნაშრომებიც. იგულისხმება ზემოგანხილული «Два чаномегрельских суффикса в грузинском и армянском языках», 1916 წ. და სხვ. 1940 წელს მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის მოამბეში დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია პროფ. ა. ღარიბიანის წიგნისა სომხური დიალექტების შესახებ (А. Гарибян, Новая ветвь армянских диалектов; პირველად დაიბეჭდა თბილ. უნივერსიტეტის შრომებში).

ა. ანასიანის სომხური ბიბლიოგრაფიული ნაშრომის I ტომში (ერევანი, 1959 წ.) ა. შანიძემ ამოიკითხა ცნობა, რომ მაუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ყალემქარიანის აღწერილობის თანახმად მოიპოვებოდა ხელნაწერი, რომლის ბოლოს ფარულად ნაწერი ტექსტი ყოფილა, თითქოს — ალვანურიო! ა. შანიძემ მაშინვე მისწერა მიუნხენში დოქტორ ი. ასფალგს და სთხოვა, გამოეგზავნა აღნიშნული კრიპტოგრამის ფოტოსურათი. მიიღო თუ არა, იგი შეუდგა ამოცნობას და ამოიკითხა კიდევაც. ოღონდ ტექსტი აღმოჩნდა არა ალვანური, რომელსაც იგი ეძებდა, არამედ სომხური. ამის შესახებ ა. შანიძემ დაბეჭდა შენიშვნა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში (Криптографическая запись в одной армянской рукописи из мюнхенской коллекции: Известия АН Армянской ССР, 1960, № 9).

საზოგადოდ, ა. შანიძეს თავიდანვე აინტერესებდა ფარული

წერის (კრიპტოგრამების) ნიმუშები და ადვილად ახერხებდა მათს ამოშიფვრას. 1921 წელს მან გამოსცა „ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები“ (საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 1) და 1926 წელს — „კრიპტოგრაფიული მასალები“ (მიმომხილველი, ტ. I).

* * *

ა. შანიძის პრაქტიკული საქმიანობიდან უთუოდ აღსანიშნავია, რომ მან შექმნა რამდენიმე შრიფტი: 1929 წ. მხატვარ დ. შევარდნაძის დახმარებით გამოიმუშავა ძველი ქართული შრიფტი, რომელიც საჭირო იყო და არის ჩვენი ისტორიული წარსულის კვლევის დროს (წარწერების გამოცემისას, პალეოგრაფიული საკითხების განხილვისას, ძველი ქართულის შესწავლისას და სხვ.). ამ შრიფტით დაბეჭდა მან 1935 წ. „ძველი ქართულის ქრესტომათია“. ამავე შრიფტით დაიბეჭდა (1949, 1953 წწ.) ი. იმნაიშვილის „ქართ. ენის ისტორიული ქრესტომათიის“ ნაწილი. იგივე შრიფტი გამოყენებულია სხვა გამოცემებშიც.

1935—36 წწ. ა. შანიძემ მხატვარ ვ. გრიგოლიას დახმარებით აღადგინა ვახტანგ VI-ის მხედრული შრიფტი, რომლითაც ვახტანგმა 1712 წ. დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ეს შრიფტი დაიღუპა თბილისის აოხრების დროს 1723 წ. ა. შანიძემ აღდგენილი შრიფტით გაიმეორა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“. ეს აღდგენილი „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვიცით, გამოვიდა შ. რუსთველის საიუბილეო წელს (1937).

იგივე შრიფტი ა. შანიძემ ერთიორად შეამცირებინა (24 კეგელიდან 12-მდე დააყვანინა).

თუ დღეს საშუალება გვაქვს ადვილად ვბეჭდოთ სვანური, ჭანურ-მეგრული, ხევსურული, თუშური და სხვა დიალექტოლოგიური ტექსტები, ეს ა. შანიძის ინიციატივის წყალობაა: მან, ვ. მადერის დახმარებით, 1928 წ. შექმნა დიაკრიტიკულნიშნებიანი ასოები: უმლაუტიანი ხმოვნები (ა ო უ), გრძელი ხმოვნები (ი ა უ ო ე) მოკლე ხმოვნები (ა ე ი ო უ) და გრძელი უმლაუტიანები (ა ო უ).

1925 წ. დაბეჭდილი წერილისათვის — „უმლაუტი სვანურში“ ასოები ლენინგრადიდან იყო გამოწერილი (მეცნიერებათა აკადემიის სტამბიდან). 1928 წლიდან კი ამგვარი ასოებით ჩვენი უნივერსიტეტისა და აკადემიის სტამბებს თბილისის ასოთჩამომსხმელი ქარხანა ამარაგებდა.

ამას გარდა, ისიც აღსანიშნავია, რომ ვენურ შრიფტში ზოგი ძველი ასოს მოხაზულობა არ იყო შესაფერისი. ა. შანიძემ იმავე ვ. მადერის დახმარებით 1938 წ. შექმნა და ვენურ შრიფტს მიუყენა ახალი სახის რამდენიმე ძველი ასო Ⴕ ⴆ ⴡ ⴖ ⴋ და ანტონ კათალიკოსის შემოღებული გ რომელიც სვანურისთვის და ჭანურ-მეგრულისთვის არის საჭირო. ასევე შეიქმნა დამატებითი აფხაზური ასოები ქართული გრაფიკის საფუძველზე. ყველა ეს დამზადდა ორი კეგელისა (კორპუსი და ციცერო) და სამი სახისა: ჩვეულებრივი თეთრი და შავი და მთავრული შავი.

ა. შანიძემ გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა, სადაც გატარებულია და დასაბუთებული იდეა, რომ ქართულ ნაბეჭდ ტექსტში შემოღებულ იქნეს მთავრულები (ძვ. ქართულის ასომთავრულები), ე. ი. მთავრული ასოებით დაიბეჭდება სათაურები და ახალ წინადადებათა და საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები, როგორც ეს განმტკიცებულია ევროპის ენებში (დაფარული საუნჯე: „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 9).

ამას შეიძლება დავსძინოთ, რომ ა. შანიძე მუდმივი წევრია რესპუბლიკის „ქართული შრიფტის კომიტეტისა“, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს.

* * *

ა. შანიძე მუდამ მოწიწებითა და დიდი პატივისცემის გრძნობით იგონებს ჩვენი მეცნიერების დაუღალავ მუშაკებს, რომელთაც სამუდამოდ დახუჭეს თვალი, მაგრამ მათი საქმე სამარადჟამოდ ცოცხლობს შთამომავლობის ხსოვნაში. მადლიერი მოწაფე ნეკროლოგის ფორმაში გამოხატავს აწ გარდაცვალებულ ქართველ მეცნიერთა — ალექსანდრე ცაგარლის[1], ნიკო მარის[2], ივანე ჯავახიშვილის[3] ღვაწლსა და დამსახურებას ქართველთმეტყველების საფუძვლის ჩაყრასა თუ მის მერმინდელ განვითარებაში. როდესაც ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა კორნელი კეკელიძე, მის ხსოვნას ა. შანიძემ გულთბილი წერილი უძღვნა[4].

ა. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე ტიტანე-

---

1 უნივ. მოამბე, ტ. 10, 1930 წ.

2 „კომუნისტი“, № 25, 1940 წ.

3 «Заря Востока», № 269, 1950 წ.; „კომუნისტი“ № 228, 1945 წ.

4 „კომუნისტი“, 12 ივნისი, 1962 წ.

ბია, რომელთაც უხდა უმადლოდეს დღევანდელი თაობა, აფასებდეს მათ სამეცნიერო მემკვიდრეობას და მუდამ გათვალისწინებული ჰქონდეს, თუ როდის და რა პირობებში უხდებოდათ მათ პირველი ხნულის გაყვანა ქართველოლოგიის ვრცელ ყამირზე. აი, ეს აზრია გატარებული აკაკი შანიძის სიყვარულით გამთბარ წერილებში.

დაუვიწყარია გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ა. შანიძემ უნივერსიტეტის ეზოში ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის დღეს (დაიბეჭდა უნივერსიტეტის შრომებში: 1941, ტ. 18).

ა. შანიძემ წერილები უძღვნა აგრეთვე გარდაცვლილ პროფესორებს — იოსებ ყიფშიძეს, ჰუგო შუხართს, მოსე ჯანაშვილს, მორის ბრიერს და დაახასიათა მათი ღვაწლი ქართველოლოგიის დარგებში.

* * *

ა. შანიძის განსაკუთრებული დამსახურება ქართული ენის მეცნიერული შესწავლის დარგში საყოველთაოდ აღიარებულია.

საკმარისია აქ დავიმოწმოთ ადრესი, რომელიც მიიღო ა. შანიძემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით. ადრესს ხელს აწერენ სახელგანთქმული რუსი საბჭოთა მეცნიერები აკადემიკოს ვ. ვინოგრადოვის მეთაურობით. ამ მიმართვაში მოცემულია ა. შანიძის მეცნიერული ავტორიტეტის მკვეთრი დახასიათება.

რუსული ფილოლოგიური მეცნიერების ღვაწლმოსილი წარმომადგენლები ასე მიმართავენ იუბილარს (მოგვყავს რუსული ტექსტის ქართული თარგმანი):

„მთელი თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების გზა, მრავალმხრივი და დაუღალავი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეცნიერებისათვის უანგარო სამსახურის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. თქვენმა შეუნელებელმა კვლევითმა ინტერესმა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან დაკავშირებული ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტურულ-ისტორიული პრობლემების ფართო კომპლექსისადმი დამსახურებულად მოგიპოვათ თქვენ ერთ-ერთი მსხვილი საბჭოთა ფილოლოგ-ორიენტალისტის სახელი. თქვენმა მრავალრიცხოვანმა ლინგვისტურმა შრომებმა, მათ რიცხვში ისეთმა ბრწყინვალე მონო-

გრაფიამ, როგორიცაა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, „ქართული გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია“, უზარმაზარი წვლილი შეიტანა ქართველური ენების როგორც აღწერილობითს, ისე შედარებით-ისტორიულ გრამატიკაში და აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თეორიაში. ძალზე დიდია თქვენი დამსახურება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული პალეოგრაფიის, სომხურ-ქართული ფილოლოგიის, კავკასიის არქეოლოგიის სფეროში. თქვენს სახელთანაა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული კავკასიის ალბანელთა ძველი დამწერლობის შესწავლის პრობლემა. მჩქეფარე ენერგიითა და არაჩვეულებრივი თავდადებით მუშაობთ თქვენ ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლებზე, რომელთა საუნჯესაც გვაცნობენ თქვენი სანიმუშო ტექსტოლოგიური გამოკვლევები და გამოკვლევები.

ფასდაუდებელია თქვენი დამსახურებანი საბჭოურ მეცნიერთა კადრების მომზადებაში. ჩვენ გიცნობთ, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, ქართული ფილოლოგიის თავისებური მიმართულების ხელმძღვანელს და ქართული საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების ნიჭიერ ავტორს. ცოტა გამოჩენილი ლინგვისტი და ლიტერატურათმცოდნე როდი გაზარდა თქვენმა დაარსებულმა, დღემდე თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა ძველი ქართული ენის კათედრამ. სულ ცოტა, მეცნიერთა ორი თაობა მაინც არის დავალებული თქვენგან ცოდნითა და მეცნიერებისადმი ღრმა დაინტერესებით“.

„დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ა. შანიძის შესახებ ნათქვამია, რომ „მან გამოავლინა ქართული ზმნის მთელი რიგი გრამატიკული კატეგორიები (ქცევა, აქტი, ორიენტაცია, კონტაქტი)“ და „ამოხსნა არმაზის ბილინგვა და დაადგინა კავკასიის ალბანელთა დამწერლობის არსებობის ფაქტი“ (ტომი 47).

ცნობილი საბჭოთა სემიტოლოგი აკად. ი. კრაჩკოვსკი აღნიშნავდა, რომ ა. შანიძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სემიტოლოგიის განვითარებას (Вопросы языкознания, № 4, 1955).

* * *

ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი პ. პეეტერსი სურვილს გამოთქვამდა, რომ ა. შანიძის გრამატიკა (1930 წ. გამოსული) თარ-

გმნილიყო ფრანგულად. როგორც ვიცით, ა. შანიძის ხელმძღვანელობით 1959 წელს სინური მრავალთავი გამოიცა. ამ წიგნის შესახებ ცნობილმა ფრანგმა ენათმეცნიერმა რ. ლაფონმა (რომელმაც ქართული კარგად იცოდა) დაბეჭდა პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ჟურნალში (ტ. 55, 1960, გვ. 254) რეცენზია, სადაც მან, სხვათა შორის, აღნიშნა: „ეს გამოცემა, რომელიც პირველი სრული გამოცემაა, შესრულებულია დიდი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც 1957 წ. 70 წლის იუბილე გადაუხადესო". ლაფონი დასძენს: „მოკლე წინასიტყვაობაში ა. შანიძე ძალიან ნათლად, როგორც მას სჩვევია, მოგვითხრობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ კრებულს და როგორ შეიქმნა ეს გამოცემაო".

ა. შანიძე ეხმარებოდა და ეხმარება ყველას, ვინც კი ქართულისა და კავკასიური ენების შესწავლის საქმეს ჰკიდებდა ხელს, ან ვინც მუშაობდა ქართული ფილოლოგიის დარგში. ერთი ასეთთაგანი იყო მეტად ნიჭიერი ფ. ნაისერი (Fridrich Karl Neisser), რომელიც ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა პროფ. რობერტ ბლაიხშტაინერის ხელმძღვანელობით. ავსტრია რომ ჰიტლერელმა ფაშისტებმა ჩაიგდეს ხელთ, ნიჭიერი ნაისერი უპერსპექტივო ცხოვრების მძიმე პირობებში სიცოცხლეს გამოეთხოვა. მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ეხება წარმოქმნის საკითხებს ქართულში (Studien zur georgischen Wortbildung), მისი სიკვდილის შემდეგ გამოსცა გერმანიის ორიენტალისტების საზოგადოებამ 1953 წელს. ამ წიგნის წინასიტყვაობაში პროფ. რ. ბლაიხშტაინერმა საჭიროდ დაინახა აღენიშნა, რომ „პროფესორი შანიძე, დიდი ფილოლოგი და მცოდნე თავისი ენისა, მას, ნაისერს, დიდ დახმარებას უწევდაო".

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი (ჰარვარდის სახელობის უნივერსიტეტი აშშ-ის მასაჩუზეთის შტატშია, ქ. კემბრიჯში) ცნობილია, როგორც ქართული ხელნაწერების აღმწერი (მან აღწერა ათონისა და იერუსალიმის ქართ. ხელნაწერები) და ძველი ქართული ტექსტების გამომცემელი. რ. ბლეიკს მიწერ-მოწერა ჰქონდა ა. შანიძესთან, რომელიც შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდა ამერიკელ მეცნიერს. სხვათა შორის, რ. ბლეიკმა მოამზადა გამოსაცემად წინასწარმეტყველების ქართული ტექსტი,

მაგრამ არ დასცალდა (გარდაიცვალა 1950 წ.). მისი საქმე განაგრძო ჯერ პროფ. მორის ბრიერმა და, როცა ისიც გარდაიცვალა, განაგრძო და დაასრულა პროფ. შ. მერსიემ. წინასწარმეტყველთა ქართული ტექსტი (ოთხ წიგნად, ლათინური თარგმანითურთ) გამოვიდა 1961 წელს. გამოცემას საფუძვლად უძევს იერუსალიმის ხელნაწერი (XI ს.). ვარიანტები მოყვანილია ათონის ხელნაწერიდან (X ს.) მე-5 წიგნში, რომელიც შეიცავს კრიტიკულ აპარატს და 1968 წ. გამოვიდა. რ. ბლეიკი აღნიშნავს 1950 წ. დაწერილ წინასიტყვაობაში, რომ პროფესორ ა. შანიძეს მრავალ შემთხვევაში აღმოუჩენია დახმარება მისთვის ძნელი სიტყვებისა და ადგილების ახსნა-განმარტებით.

* * *

ასეთია დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი შანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე და ზოგადი მიმოხილვა.

ამ მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ა. შანიძეს თავისი დაუცხრომელი კვლევაძიებითი მუშაობის შედეგად მრავალ დარგში შეუტანია თავისი წვლილი და ფუძემდებლური შრომებით გაუმდიდრებია ქართველოლოგია.

ა. შანიძე, პირველ ყოვლისა, ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის შემქმნელი, ახალი გრამატიკული კატეგორიების დამდგენი, ჩვენი მდიდარი მეტყველების აღნაგობაში ღრმად ჩახედული და მისი ბუნებისა და თვისებების გამომრკვევია.

მანვე სათავე დაუდო ქართული დიალექტების მეცნიერულ შესწავლას და თავისი გზის გამკვლევი ნაშრომებით ჩაგვახედა ცოცხალი, ხალხური მეტყველების უძირო ზღვაში.

ა. შანიძემვე, როგორც ლექსიკოლოგმა, დიდი ამაგი დასდო ქართული ენის სიტყვობრივი ფონდის გამომზეურებას და იმ საუნჯის დღის სინათლეზე გამოტანას, რომელიც დაცულია ჩვენი ენის საგანძურში.

ჩვენს მკვლევარს ეკუთვნის დიდად მნიშვნელოვანი შრომები ჭანურ-მეგრულისა (კოლხურის) და სვანურის შესწავლის დარგში, ენა-შტოებისა, რომელთა მონაცემები დიდად ფასეულია ჩვენი დედაენის ისტორიული საკითხების გამოსარკვევად.

ა. შანიძემ ახალ ნიადაგზე დაამყარა ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების მეცნიერულ-ფილოლოგიური გამოცემა და

არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ტექსტი — კრიტიკულად დადგენილი და ფართო მეცნიერული აპარატით აღჭურვილი — გამოაქვეყნა.

ჩვენი მეცნიერის საკვლევაძიებო თემატიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია შოთა რუსთველის უკვდავ ქმნილებას „ვეფხისტყაოსანს“, მისი ტექსტის მეცნიერულად დადგენას, შეკუმშვნილი და დამახინჯებული ადგილების გამართვას და ზრუნვას პოემის აკადემიური გამოცემისათვის.

ა. შანიძე ქართველი მეცნიერული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი მამამთავარია და ხალხურ პოეზიაში მიმობნეული მარგალიტების გამომმზეურებელი.

ა. შანიძე, როგორც ჰეშმარიტი საბჭოთა მეცნიერი, ენობრივი მშენებლობის აქტიური მონაწილეა და სალიტერატურო ქართულის პრაქტიკული საკითხების დაუღალავი მკვლევარი.

როგორც ქართული მეცნიერების პატრიარქი ივანე ჯავახიშვილი ამბობს, ჩვენში „ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს, პროფ. ა კ. შ ა ნ ი ძ ი ს ა და პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“[1].

ა. შანიძემ, როგორც ჩვენში ქართველური ენათმეცნიერების მეთაურმა, მეცნიერული სკოლა შექმნა; ამ სკოლიდან გამოსული არიან გამოჩენილი მეცნიერები; რამდენიმე ათეული წელია, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ ფილოლოგთა ახალ-ახალი კადრები, რომელთაც წრთობა ა. შანიძის გრამატიკულ მოძღვრებაზე აქვთ მიღებული.

ა. შანიძე დიდი ადამიანური თვისებებით არის დაჯილდოებული. უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი, მოყვარული, ამავე დროს — პირდაპირი, უკომპრომისო, მომთხოვნი, მაღალპრინციპული,— ასეთია ჩვენი ღრმად პატივცემული აკაკი, „ქართული ენათმეცნიერების ბელადი“ („the grand old man de la linguistique géorgienne“), როგორც მას ერთმა სახელგანთქმულმა ენათმეც-

---

[1] ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 79.

ნიერმა უწოდა. არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს მისი მხიარული ბუნება: იგი ხალისიანია, ჯანსაღი ჰუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ჩინებული თანამოსაუბრე, კარგი მომლხენი და ოპტიმისტური გუნებაგანწყობილების ადამიანი. ა. შანიძე მთლიანი პიროვნებაა და ამიტომაა იგი მომხიბლავი და ყველასათვის საყვარელი.

აკაკი შანიძე დღესაც ჩვეული ენერგიით, მხნეობითა და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით განაგრძობს თავის სანუკვარ საქმეს, კვლავინდებური გატაცებით ემსახურება მშობლიურ მეცნიერებას და სრული იმედია, იგი მომავალშიც ახალ-ახალი მეცნიერული გამოკვლევებით გაამდიდრებს ქართველთმეტყველებას.

გიორგი ახვლედიანი

გიორგი ახვლედიანის, როგორც გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, სახელი აღიარებულია როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

გიორგი ახვლედიანი თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანია და საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების ერთერთი ფუძემდებელი.

გიორგი ახვლედიანი აკაკი შანიძესთან ერთად თბილისის საენათმეცნიერო სკოლის საფუძვლის ჩამყრელია და მისი დამამშვენებელი. მის მიერ აღზრდილი სამეცნიერო კადრები დღეს ქართული საბჭოთა მეცნიერების არნახული აღორძინების მონაწილენი და საუკეთესო მერმისისათვის შეუპოვარი მებრძოლნი არიან.

ქართული მეცნიერების პატრიარქის — დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით; „ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს, პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ი ს ა და პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროო გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“.

ეს „უდიდესი ტვირთი“ დიდ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს — გიორგი ახვლედიანსა და აკაკი შანიძეს შარავანდედით მოსავს და ქართული მეცნიერების განვითარების ისტორიაში ღირსეულ ადგილს მიუჩენს, ისეთ ადგილს, როგორიც ისტორიულად რგებიათ ქართული სულიერი კულტურის კორიფეებს.

გავიცნოთ გიორგი ახვლედიანის ცხოვრების გზა და მეცნიერული შემოქმედება უმთავრეს მონაკვეთებში.

გიორგი ახვლედიანი დაიბადა 1887 წლის 13 აპრილს ლეჩხუმში, სოფელ დერჩში, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა მთის კალთებზე, ქუთაისიდან 35 კილომეტრის დაშორებით. დერჩი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია საქართველოში.

გიორგის მამა — სარიდან ახვლედიანი — მთელ ლეჩხუმში განთქმული ოჯახის შვილი ყოფილა. ეს დიდი ოჯახი გამოირჩეოდა ძველი ქართული რაინდული ყოფის ტრადიციებითა და მამულიშვილური სულისკვეთებით, მწიგნობრობისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით. საინტერესოა სერგეი მესხის მოგონების ერთი ფურცელი, რომელიც აღწერს ქუთაისში მოწვეულ თავად-აზნაურთა კრებას: „ერთი გადახედვა ამ საზოგადოებისა სასიამოვნოა! — ამბობს ცნობილი ქართველი ჟურნალისტი. — თვალს აამებს და გულს ახარებს ამ მხნე შეხედულების ლეჩხუმელების დანახვა, რომელთა შორის ექვსი ძმა ახვლედიანები — ერთნაირად ჩაცმულები და დაიარაღებულები და მშვენივრად მოყვანილი ვაჟკაცები — საყოველთაო ყურადღებას იქცევდნენ... ისინი ლომებივით იყურებოდნენ!“ (დროება“, 1876 წ., № 42).

ესენი იყვნენ: სარიდან (გიორგის მამა), თეიმურაზ, მელიტონ, სიმირან, დისიონ და ლომერ ახვლედიანები, დარბაისლობით ცნობილი მომხიბლავი ადამიანები.

სარიდანს მეფის სამხედრო სამსახურში 15 წელი გაუტარებია და იგი თურქებთან ომში მონაწილეობისათვის ორდენებითა და მედლებით დაუჯილდოებიათ.

ორმოცდაათი წლისა ყოფილა სარიდანი, როდესაც ცოლად შეურთავს ევგრასტი ასათიანი, ჩინებული გარეგნობის, ენაწყლიანი და თავისი დროის შესაფერისად საკმაოდ განათლებული ქალი, შვილი ოქროპირ ასათიანისა, რომელსაც სამეგრელოს სამთავროს „უზენაესი სასამართლოს მდივნის“ თანამდებობა სჭერია და კარგი სახელიც ჰქონია მოხვეჭილი (ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, 1939, გვ. 124).

გიორგის წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. 1894 წელს იგი შეიყვანეს დერჩის სამრევლო სკოლაში; შემდეგ სწავლას აგრძელებს

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში; აქ აღეძრა მას ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ღრმად შესწავლის ინტერესი. ქართულ ენას ცნობილი გრამატიკოსი და ლიტერატორი სილოვან ხუნდაძე ასწავლიდა. როდესაც გიორგიმ ოთხწლიანი სათავადაზნაურო სკოლა დაამთავრა, სწავლა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში გიორგი არალეგალურ მუშაობაში ჩაბმულა. 1906 წელს დაუპატიმრებიათ და არხანგელსკში გადასახლება მიუსჯიათ. დაფაცურებულა სარიდანი და შვილი გადასახლებას აუცდენია. საგულისხმოა შემდეგი დეტალი: სასოწარკვეთილ და შვილის მდგომარეობით შეძრწუნებულ სარიდანს თბილისში შეხვედრია მისი კარგი ნაცნობი დ. ყიფიანი და გაუცნია საქმის ვითარება. დ. ყიფიანს უთქვამს; მოსალოცი გქონიათ, ბატონო სარიდან, შვილი რევოლუციონერი, ხელმწიფის მოწინააღმდეგე გაგიზრდიათო!

სარიდანი სახტად დარჩენილა[1].

თბილისის ქართული გიმნაზია გიორგი ახვლედიანმა 1908 წელს დაამთავრა, მაგრამ კეთილსაიმედობის მოწმობა არ მისცეს და ამის გამო ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში.

1910 წელს იგი უკვე ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

სტუდენტი ახვლედიანი უსმენდა პროფ. ი. ენძელინს, პროფ. ს. კულბაკინს (ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა და სლავური ენათმეცნიერება), დურნოვოს და სხვა გამოჩენილ მეცნიერებს.

გიორგი ახვლედიანმა უნივერსიტეტში საფუძვლიანი განათლება მიიღო როგორც ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში, ისე კლასიკურ ფილოლოგიაში, შეისწავლა ძველი ინდური, ძველი სპარსული, ძველი გერმანული, სლავური ენები...

ხარკოვის უნივერსიტეტში გიორგიმ რევოლუციონერ სტუდენტთა წრე ჩამოაყალიბა, რის გამოც 1913 წელს დააპატიმრეს რამდენიმე ქართველ სტუდენტთან ერთად.

---

[1] ცნობა ამოღებულია ს. ჟღენტის ნაშრომიდან: „გიორგი ახვლედიანი“, 1963, გვ. 6-7.

არქივში შენახულია ჟანდარმერიის საიდუმლო საბუთი, სადაც ვკითხულობთ: «Ахвледиани Георгий Сариданович, по агентурным сведениям, относящимся к ноябрю 1912 года, был организатором и инициатором студенческой забастовки в день годовщины смерти графа Толстого»[1]. დოკუმენტს ხელს აწერს ხარკოვის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში. ექვსი თვის პატიმრობის შემდეგ გიორგი გაათავისუფლეს.

გიორგი ახვლედიანმა დაწერა საკურსო მეცნიერული ნაშრომი «Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянских языках», რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ავტორი ოქროს medლით დააჯილდოვეს.

გიორგი ახვლედიანის ამ პირველი მეცნიერული შრომის რეცენზია გამოაქვეყნა პროფ. ენძელინმა „ხარკოვის უნივერსიტეტის მოამბეში“ 1914 წელს (იხ. აგრეთვე ენძელინის შრომათა ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფია).

გამოკვლევის მაღალმა ხარისხმა და აღიარებამ, რაც მოიპოვა მან ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების დიდი ავტორიტეტის — ენძელინის რეცენზიაში, საბოლოოდ განსაზღვრეს ახალგაზრდა გიორგი ახვლედიანის მომავალი ბედი და მეცნიერული პერსპექტივა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გიორგი ახვლედიანი დანიშნეს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ მას ძებნა დაუწყო პროფ. ენძელინმა. ხარკოვში ამ დროს ცხოვრობდა გიორგის უფროსი ძმა ვალერიანი, რომლისთვისაც ენძელინს მიუმართავს: სასწრაფოდ მოუხმეთ თქვენს ძმას, უნივერსიტეტში უნდა დავტოვოთო. „პროფ. ი. ენძელინისაგან მე ჯერ წერილი მივიღე, — ამბობს აწ განსვენებული ვალერიანი, — შემდეგ პირადად შევხვდი მას და მითხრა, რომ გიორგი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მისი მასწავლებლად მუშაობა ცოდვაა, იგი მეცნიერებისათვის არის მოწოდებული. მისწერეთ, გეთაყვა, საჩქაროდ ჩამოვიდეს, უნივერსიტეტში უნდა წარვადგინო საპროფესოროდ მო-

---

[1] ЦГАОРСССР, ф. ДП, ОО, 1913 г., д. 24, л.л. 26—28 об. (დოკუმენტს მიაკვლია დოც. მ. კილაბერიამ, გამოაქვეყნა პროფ. ს. ჟღენტმა).

სამზადებლადო. მე მაშინვე მივწერე წერილი ამის შესახებ მამაჩემს“.

1915 წელს გიორგი ახვლედიანი უკვე „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ დატოვებულია (აწინდელი ტერმინოლოგიით — ასპირანტია) ხარკოვის უნივერსიტეტში შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერების კათედრაზე.

მალე ასპირანტი გიორგი ახვლედიანი იგზავნება პეტროგრადის უნივერსიტეტში, სადაც უსმენს გამოჩენილ მეცნიერებს, როგორიც იყვნენ აკად. ნ. მარი (ქართული ფილოლოგია), აკად. კ. ზალემანი (ირანული ფილოლოგია), აკად. თ. შჩერბატსკოი (ინდური ფილოლოგია), აკად. ლ. შჩერბა (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვ.

გიორგი ახვლედიანის მთავარი მოძღვარნი იყვნენ აკად. ი. ენძელინი და აკად. ლ. შჩერბა, რომლებთანაც მან მიიღო სამეცნიერო წრთობა და რომლებსაც, — ბარემ აქვე ვიტყვი, — მადლიერმა მოწაფემ, მომავალში სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, თავისი კაპიტალური წიგნი („ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, 1949 წ.) სასოებით მიუძღვნა თავფურცელზე ამ სიტყვების წარწერით: „ძვირფასი მასწავლებლის, ვინც ჩამინერგა ფონეტიკის სიყვარული, აკადემიკოს ლ ე ვ შ ჩ ე რ ბ ა ს ნათელ ხსოვნას, და ძვირფას მასწავლებელს, ვინც მასწავლა მეცნიერებისათვის თავდადება, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ი ვ ა ნ ე ე ნ ძ ე ლ ი ნ ს“.

როდესაც თბილისში უნივერსიტეტი არსდებოდა, გიორგი ახვლედიანს ვხედავთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პირველ მუშაკთა სახელოვან რიგებში. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ“ მუშაობის გასაცხოველებლად შექმნა აკადემიური კომისია, რომელშიც შედიოდნენ პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ქ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე. სწორედ ამათ შეუერთდა ხარკოვიდან ახლად ჩამოსული გ. ახვლედიანი. კომისიამ გადაწყვიტა უნივერსიტეტის სასწავლო საქმის ორგანიზაციისა და აკადემიურ-ადმინისტრაციული აპარატის შექმნის საკითხები.

გიორგი ახვლედიანი შევიდა პირველ პროფესორთა კოლეგიაში (პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. ბენაშვი-

ლი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე, ს. ავალიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ე. თაყაიშვილი, იუსტ. აბულაძე, ელ. ორბელიანი, არტურ ლაისტი, ილ. ყიფშიძე, ვანდა ღამბაშიძე).

გიორგი ახვლედიანი თავის კოლეგებთან ერთად მთელი არსებით ჩაება უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-მეცნიერული მუშაობის ფერხულში; იგი უნივერსიტეტის პირველი პროფესორთაგანია, რომელიც პრესტიჟს უქმნიდა ჩვენს ნორჩ უმაღლეს სასწავლებელს და მტკიცე საფუძველს უყრიდა მის ბწყინვალე მომავალს.

უნივერსიტეტის საქმიანობის ერთი უმთავრესი რგოლთაგანი იყო სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნა. ამის თაობაზე ყურადღება გამახვილებული იყო პრესაშიც. მაგალითად, პრივატ-დოცენტმა ივ. ბერიტაშვილმა (დღეს — აკადემიკოსი, სახელგანთქმული ფიზიოლოგი) 1919 წ. ჟურნალ „შვიდ მნათობში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი ამ სათაურით: „უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ეს საყურადღებო ნაშრომი იყოფა ქვეთავებად:

1. უნივერსიტეტი როგორც ცენტრი სამეცნიერო ცოდნის გავრცელებისა, 2. მეცნიერების გავრცელების სისტემა, 3. აკადემიური თავისუფლება და მეცნიერების განვითარება, 4. უნივერსიტეტის ავტონომია, 5. უნივერსიტეტის დემოკრატიზაცია, 6. ქართული უნივერსიტეტის უმთავრესი საორგანიზაციო ნაბიჯები. ამ უკანასკნელ ქვეთავში ნათქვამია: ერთ-ერთი „მთავარი საკითხი არის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შეძენა. ეს საკითხიც მეტად დიდია. არავითარი სისტემატიური სამეცნიერო მუშაობა არ შეიძლება, თუ ხელთ არ არის შესაფერი ბიბლიოთეკა. უპირველესად ყოვლისა მასში უნდა მოიპოვებოდეს ყოველივე დარგის პერიოდული ჟურნალები უთუოდ მათი დაარსებიდან. ეს საქმე ისე ადვილი არ არის. ამას ბეჯითი ძებნა უნდა. ჯერ ერთი, უნდა დაევალოს ყველა საზღვარ-გარეთ გაგზავნილ მეცნიერთ თავის დარგში საჭირო ჟურნალების მოძებნა; ბერლინის, ლეიპციგის, პარიჟის და სხვა ქალაქების უმთავრეს ბუკინისტების წიგნთ-საწყობებში. მერმეთ, უნდა არჩეულ იქნას ცალკე კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს ყველა წინდაწინვე აღნუსხული წიგნების და ჟურნალების მედგარი მო-

ძებნა, როგორც სხვა ქალაქების ბუკიხისტებთან, ასევე კომისიის წევრების სხვა და სხვა ქალაქებში და საზღვარ-გარეთ გაგზავნით..

ერთი სიტყვით, — ასკვნის ივ. ბერიტაშვილი, — სამეცნიერო ბიბლიოთეკის საკითხი ძლიერ სერიოზულია. უნ-ტი, როგორც მეცნიერების ცენტრი, ვერ იმოქმედებს უამისოდ. არც ერთ მეცნიერებაში არ შეიძლება სისტემატიური მუშაობა, ვინემ ბიბლიოთეკა ცოტათი თუ ბევრად შევსებული არ იქნება. ამიტომ არც დრო და არც შრომა, არც ფული არ უნდა დაიზოგოს მის თავის დროზე მოსაპოვებლად"[1].

ბუნებრივია, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად შეარჩევდნენ ავტორიტეტულ მეცნიერს. პირველ დირექტორად დანიშნეს პროფ გ. ახვლედიანი, 1922 წლიდან ეს თანამდებობა ეკავა პროფ. ა. შანიძეს, შემდეგ კი პროფ. გრ. წერეთელს — საქვეყნოდ ცნობილ ელინისტს.

ამრიგად, გიორგი ახვლედიანი ეკუთვნის ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებელთა სახელოვან დასს.

ამასთანავე გიორგი ახვლედიანი ენერგიულად ზრუნავს ქართული საშუალო სკოლების აღორძინებისათვის, იმ ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, რომლებიც იმთავითვე დაისახა ჩვენი ნორჩი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საპატიო და კეთილშობილური საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის. ახალგაზრდა პროფესორის გულისყური მიპყრობილი იყო არა მხოლოდ დედაქალაქის სკოლებისათვის ჯანსაღი საფუძვლის ჩაყრისაკენ, არამედ იგი არ ივიწყებდა პერიფერიებსაც და შეუნელებელ ინტერესს იჩენდა სოფლად განათლების კერების მიმართ.

დამახასიათებელია ერთი დეტალი გიორგი ახვლედიანის ბიოგრაფიაში.

1919 წელია. უნდა დაეარსებინათ საშუალო სკოლა დერჩში. „თვითმპყრობელობის მოსპობის შემდეგ ორი წლის მანძილზე მაზრის მაშინდელმა საერობო მმართველობამ ვერ შესძლო შესაფერისი ნაბიჯები გადაედგა საგანმანათლებლო საქმეში სოფლად.

---

1 პრ.-დოც. ი. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჟურნ. „შვიდი მნათობი", № 2, 1919 წ.

სოფლის საზოგადოების მოწინავეთა თაოსნობით შედგა სია იმ პირთა, რომელთაც სურდათ და საჭიროდ მიაჩნდათ დაეარსებინათ პროგიმნაზიული კურსით უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. მოწვეულ იქნა აღნიშნულ პირთა კრება (21 კაცი). კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი გიორგი ახვლედიანი და მდივნად სტუდენტი შამშე ასათიანი. კრებაზე დამსწრე აღნიშნულ პირთაგან ჩამოყალიბდა სკოლის დამფუძნებელი წრე. სკოლის დამფუძნებელ წრეს კრების თავმჯდომარემ — გ. ახვლედიანმა ვრცლად განუმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახის სკოლას დერჩისა და მის ახლო მდებარე სოფლების საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. კრებამ დაადგინა, სამაზრო მმართველობის ნებართვის საფუძველზე დაარსდეს საკუთარი სახსრებით ზემოაღნიშნული სახის სასწავლებელი... თავმჯდომარის მითითებით კრებამ საჭიროდ ჩათვალა დაუყოვნებლივ გამოყოფილიყო კომისიები... სკოლის დამაარსებელი წრე და მისი პრაქტიკულად საორგანიზაციო მომუშავე კომისიები მით უფრო აღფრთოვანებით შეუდგნენ საქმეს, თავმჯდომარემ — გ. ახვლედიანმა აღუთქვა მათ, რომ ის პირადად იშუამდგომლებს პირდაპირ განათლების სამინისტროს წინაშე, რათა სკოლა ახლო დროში იქნეს მიღებული სახელმწიფო ხარჯზე და თავის დროზე გადაკეთებულ იქნეს საშუალო სასწავლებლად".

ასე დაარსდა გ. ახვლედიანის თაოსნობით საშუალო სკოლა სოფელ დერჩში[1].

ამასთანავე გიორგი ახვლედიანი ზრუნავდა სასკოლო ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნისათვის. 1919 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" გამოსცა ჩვენი მეცნიერის წიგნი „რუსული ენის გრამატიკა (უმაღლეს დაწყებით სკოლებისათვის), I. ფონეტიკა, II. მორფოლოგია", რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენში რუსული ენის შესწავლის დარგში.

უმაღლესი სკოლის ინტერესებთან სოფლად თუ ქალაქად უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა შენების ინტერესების ასე

---

1 მექი ასათიანის ცნობა (გამოაქვეყნა პროფ. ს. ჟღენტმა ზემოდასახელებულ ნაშრომში).

ორგანულად შეხამება თბილისის უნივერსიტეტის პირველ მუშაკთა საზოგადო თვისებას წარმოადგენდა და ნაკარნახევი იყო ჩვენში საუნივერსიტეტო განათლების საერთო პერსპექტივის მიზანამოცანებით. ამ პრინციპს ერთგულად ახორციელებდა გიორგი ახვლედიანიც.

თბილისის უნივერსიტეტში პროფესორ გიორგი ახვლედიანს წილად ხვდა პიონერობა ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა ზოგადი ენათმეცნიერება და ზოგადი ფონეტიკა.

გიორგი ახვლედიანი გარდაცვალებამდე იყო ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის უცვლელი გამგე. კათედრამ ისტორიული როლი შეასრულა საქართველოში საენათმეცნიერო აზროვნების დანერგვისა და განვითარების საქმეში.

როგორც ფართოდ განათლებული ლინგვისტი, გიორგი ახვლედიანი თავიდანვე კითხულობდა ლექციებს მრავალ საენათმეცნიერო დისციპლინაში. ესენია: ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონერიკა, სანსკრიტი, ბერძნული ენა, რუსული ენის ისტორია და დიალექტოლოგია, ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა. ამასთანავე ერთხანს კითხულობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს, ლოგოპედიას და სხვ.

1923 წლის 18 თებერვალს გიორგი ახვლედიანის ინიციატივით მოწვეულ იქნა ქართველ ენათმეცნიერთა და ფილოლოგთა დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადგინა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ დაარსება.

„ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ახვლედიანი.

საზოგადოება ჩვენში ლინგვისტური აზროვნების მთავარ შტაბს წარმოადგენდა. აქ მიიღო სამეცნიერო წრთობა ბევრმა ახალგაზრდა მკვლევარმა, აქ გაიშალა ფართოდ და არნახული მასშტაბებით საექსპედიციო მუშაობა, იქ იკითხებოდა საჯარო მოხსენებები ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებზე და იმართებოდა პაექრობა ქართული ენის სტრუქტურის, ქართული დიალექტოლოგიის ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემებზე. გი-

ორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე, როგორც ამ საზოგადოების მესვეურნი, გზას უწვალდავდნენ ახალგაზრდა სპეციალისტებს და უნერგავდნენ ლინგვისტური კვლევა-ძიების ჩვევებს. ქართველ ენათმეცნიერთა შემდგომი, მეორე თაობა უმთავრესად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ფრიად ნაყოფიერი და შინაარსიანი მუშაობისაგან არის დავალებული.

1924—1933 წლებში გიორგი ახვლედიანი ხელმძღვანელობდა პროფკავშირული ხაზით საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციას. ამ სარბიელზე მან ბევრი რამ გააკეთა.

გიორგი ახვლედიანი ერთ-ერთი ინიციატორი იყო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების დაარსებისა. ესენია: ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (გიორგი ახვლედიანი მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგედაც), თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (მუშაობდა დირექტორადაც), თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი (მუშაობდა მთავარ კონსულტანტადაც), სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის პედაგოგიური და სამეცნიერო დაწესებულებები და სხვ.

გიორგი ახვლედიანმა, კერძოდ, განუზომელი ამაგი დასდო ოსი სპეციალისტების აღზრდას, სამეცნიერო კადრების მომზადებას. ფრიად ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობამ ჩვენს ღვაწლმოსილ მეცნიერს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭა.

გიორგი ახვლედიანს 1932 წლიდან ირჩევენ ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად და 1940 წლიდან — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრად.

გიორგი ახვლედიანი, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში და უცხოეთში ცნობილი მეცნიერი, 1939 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

გიორგი ახვლედიანი სხვა მოწინავე ქართველ მეცნიერებთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. იგი შევიდა აკადემიის წევრთა პირველ შემადგენლობაში (1941 წ.) და სხვადასხვა დროს ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები — აკადემიკოს-მდივნისა, საზოგადოებრივ მეც-

ნიერებათა განყოფილების თავმჯდომარისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და სხვ.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 იანვრის ბრძანებულებით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი ახვლედიანს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1942 წლიდან გიორგი ახვლედიანი სკკპ წევრი იყო.

ჩვენი მეცნიერი არა ერთხელ გამოსულა სამეცნიერო მოხსენებებით როგორც ჩვენში (თბილისში, ბათუმში, ბაქოში, ორჯონიკიძეში, მოსკოვში, ხარკოვში, ლენინგრადში...), ისე საზღვარგარეთ (ოქსფორდში, დელიში...). 1947 წელს იგი მგზნებარე სიტყვებითა და მოხსენებებით გამოვიდა სრულიად აზიის კონფერენციაზე ინდოეთში; მანვე 1960 წელს მონაწილეობა მიიღო, როგორც დელეგატმა, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბჭოთა კონფერენციის მუშაობაში (ქ. დუშანბე). ამ ტრიბუნიდან გაისმა ჩვენი მეცნიერის სიტყვები: „აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბჭოთა კონფერენცია, ისევე როგორც აფრიკისა და აზიის ქვეყნების წინა კონფერენციები, დიდ ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს. ას მილიონზე მეტი აფრიკელი ჯერ კიდევ კოლონიალიზმის უღელქვეშ იმყოფება და გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს თავისი დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა სახელმწიფო, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმებიან კოლონიურ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის და აღმოუჩენენ მათ ყოველგვარ დახმარებას ამ სამართლიან ბრძოლაში... მშვიდობა აუცილებელია აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. მშვიდობა სჭირდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს, იგი სჭირდება მსოფლიოს ყველა ხალხს“ («Коммунист Таджикистана», № 24, 1960).

გიორგი ახვლედიანი იყო საზოგადოება „ცოდნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი მისი პრეზიდიუმის წევრი და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის უცვლელი ხელმძღვანელი. ნაყოფი-

ერი და სამაგალითო მუშაობისათვის იგი რამდენჯერმე დააჯილდოეს ქების სიგელებით.

გიორგი ახვლედიანი იყო საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1957 წელს ჩვენი დედაქალაქის სამეცნიერო წრეებმა ფართოდ აღნიშნეს გიორგი ახვლედიანის დაბადების 70-ე და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45-ე წლისთავი. საიუბილეო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ნიკო მუსხელიშვილმა. დიდმა ქართველმა მათემატიკოსმა ბრძანა: „გიორგი ახვლედიანმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც მყარ ნიადაგზე დააფუძნეს ჩვენში თანამედროვე აზროვნების მრავალი დარგი და დიდი სამსახური გაუწიეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. გიორგი ახვლედიანის არა ერთი გამოკვლევა ლინგვისტური ლიტერატურის თვალსაჩინო შენაძენია, რამაც მას სახელი გაუთქვა მთელ საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიაც. გიორგი ახვლედიანი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და მისი წარმატებისათვის დაუღალავი მებრძოლი. ფასდაუდებელია მისი პედაგოგიური ღვაწლი როგორც უმაღლესი განათლების ათასობით სპეციალისტის მომზადებაში, ისე მეცნიერ მუშაკთა რამდენიმე თაობის აღზრდაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი ახვლედიანის დიდი და მრავალმხრივი დამსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრიც ის არის დღიდან მისი დაარსებისა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საჯაროდ გულითადად მეც მივულოცო ჩვენს ძვირფას გიორგის სახელოვანი იუბილე, რომელიც პირადად ჩემთვის დიდად სასიხარულოა, მით უფრო, რომ ჩვენ ერთმანეთთან დაკავშირებული ვართ 37 წლის ერთად მუშაობით“.

იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდა გიორგი ახვლედიანისადმი მიძღვნილი დიდი მოცულობის წიგნი „Фонетический сборник“, რომელშიც მოთავსებულია გიორგი ახვლედიანის მოწაფე-

ების ნაშრომები ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში, ამასთანავე დაბეჭდილია მოსკოველი ფონეტიკოსების გამოკვლევები.

გიორგი ახვლედიანი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. 1971 წელს იგი დაჯილდოეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

II. ზოგადი ენათმეცნიერება

როგორც ზემოთაც ითქვა, გიორგი ახვლედიანი ჩვენში ზოგადი ენათმეცნიერების პირველი სპეციალისტი და ამ დისციპლინის სწავლების საფუძვლის ჩამყრელია.

გიორგი ახვლედიანმა დააარსა და სათავეში ჩაუდგა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას უნივერსიტეტში, პირველი საუნივერსიტეტო კურსი ამ დარგში მან წაიკითხა, პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მანვე შექმნა.

გიორგი ახვლედიანი საქართველოში საენათმეცნიერო აზროვნების პიონერია და ამ სფეროში საუკეთესო ტრადიციების დამამკვიდრებელი.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა და „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ ის სარბიელია, სადაც გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით მთელი თაობები ეზიარებოდნენ ენის თეორიულ საფუძვლებს, ზოგადენათმეცნიერულ მეთოდოლოგიას, ეუფლებოდნენ კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადებისა და პრინციპული თვალსაზრისით განხილვის ჩვევებს.

პირდაპირ უნდა ითქვას: თუ დღეს საქართველოში თეორიული ენათმეცნიერული აზროვნება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას, ეს უმთავრესად გიორგი ახვლედიანის ღვაწლია. საენათმეცნიერო კულტურის დამკვიდრებას საქართველოში მან შეუქმნა მტკიცე საყრდენი, და ეს შეეძლო ისეთ ფართოდ ერუდირებულ ლინგვისტს — მრავალი ენის მცოდნეს, საუკეთესო სკოლაგავლილს, დიდად ნიჭიერ ადამიანს, როგორიც თავად ბრძანდებოდა.

უკლებლივ ყველა ქართველი მკვლევარი მომდევნო თაობებისა, ამჟამად რომ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან როგორც ზოგად,

ისე კონკრეტულ საენათმეცნიერო დისციპლინებში, გიორგი ახვლედიანის ყოფილი მოწაფეა და მის მიერ ენის თეორიაში სამაგალითოდ გაწვრთნილი.

გიორგი ახვლედიანმა ენათმეცნიერების პროპედევტიკული კურსის კითხვა ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყო 1918 წლიდან.

1918—1919 წწ. დაიბეჭდა ახალგაზრდა პროფესორის წიგნი „ენათმეცნიერების შესავალი“ სამ ნაკვეთად. ეს არის, საერთოდ, ჩვენი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

„საღი მეთოდოლოგიური ბაზისი და პრინციპული კვლევის ტრადიცია შექმნა იმთავითვე გ. ახვლედიანის პირველმა საუნივერსიტეტო კურსმა... ეს ნაშრომი იძლევა იმდროინდელი მოწინავე ენათმეცნიერული ნააზრევის სისტემატურ დალაგებას (რამდენადაც იგი განკუთვნილი იყო სახელმძღვანელოდ). გარდა ამისა მასში მოცემულია კრიტიკული შეფასება ძირითადი პრობლემებისა და არის ცდა ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების წამოყენებისა“ (პროფ. ვ. ფანჩვაძე).

პროპედევტიკული კურსი შეიცავს 15 ლექციას, რომლებიც თავდაპირველად იკითხებოდა ორი სემესტრის განმავლობაში (1918 წ.).

პირველ ლექციაში დახასიათებულია ბგერითი დაჟესტმიმიკის ენა, ენისა და აზროვნების მიმართება, ენის ცვალებადობის საკითხები, ენათმეცნიერების დარგები.

მეორე და მესამე ლექციის საგანია ხელოვნური ენის, დიალექტოლოგიისა და სხვა საკითხები. საუბარია ქართული ენის წინარე ენის თაობაზე, ქართველურ ენათა ურთიერთობაზე, გენეალოგიურ კლასიფიკაციაზე, ანთროპოლოგიისა და ლინგვისტიკის დამოკიდებულებაზე, პრაენის პრობლემაზე.

მეოთხე ლექციაში გათვალისწინებულია „უპირველესი“ ენის საკითხი, უნაშთო ენები, პირველყოფილი ხალხის ენობრივი განძის სიმცირე, ენის ფილოსოფიის საგანი, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, მისი ნაკლოვანი მხარეები.

მეხუთე ლექცია: ბგერათა წარმოება, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესები, ინერვაცია, აფაზია, ამნეზია, აგრაფია და ალექსია...

მეექვსე ლექცია: სამეტყველო ორგანოები, ბგერათა კლასიფიკაცია...

მეშვიდე ლექცია: ბავშვი და პირველყოფილი ადამიანი ენობრივად, ფსამეტიხოსის ექსპერიმენტი, გაველურებული ბავშვები, ყრუ ბავშვი, ბავშვის ენის პირველი პერიოდის ბგერები და ველურთა ენა, აფექტი, მეორე პერიოდის ბგერები და სიტყვები: ხშულ-მსკდომთა პერიოდი, მესამე: ღრიჭოვანთა პერიოდი, მეოთხე: ენის დასრულება.

მერვე ლექცია: ინტონაცია, ცხოველი და ადამიანი ენის მხრივ, ენა და ინტელექტი, ლექტორი და მსმენელი, სიტყვის მნიშვნელობის მეტაფორული ცვლილება, სიტყვის ფეტიში. ბავშვის მიერ მოვლენათა ანალიზი სიტყვების შემწეობით, განყენებულ ცნებათა ტერმინები.

მეცხრე ლექცია: მშობლიური ენით აზროვნება, უცხო ენის შესწავლის სარგებლობა, „აქცენტი“, საარტიკულაციო ანუ საფონაციო ბაზისი, ხმოვანთა შედარება ინგლისურში, ფრანგულში, გერმანულში და რუსულში; პალატალიზაცია, ლაბიალიზაცია, ნაზალიზაცია ფრანგულში, დიფთონგები, ქართული ენის საფონაციო ბაზისი.

მეათე ლექცია: ბგერა და მარცვალი, მარცვლის საზღვარი, ექსპირაციული მარცვალი, სონორული მარცვალი, მარცვლოვანი თანხმოვანი, მახვილი და მისი სახეები, ირაციონალური ხმოვნები, ჩამდგარი და გარდამავალი ბგერები.

მეთერთმეტე ლექცია: ფონეტიკური კანონები, ინდივიდუალური საარტიკულაციო ბაზისი, ფსიქიკური ანტიციპაცია, ასიმილაცია და დისიმილაცია, ხმოვანთა და თანხმოვანთა განსხვავებული განვითარება, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა დასუსტების გამო: ბერძნულში, ქართულში.

მეთორმეტე ლექცია: ფსიქო-აკუსტიკური ფაქტორი, სიმულტანური და სუქცესიური ასოციაციები, გამოთქმის მერყეობა და მისი საზღვარი, განსხვავების მკრთალი წარმოდგენა, სუბსტიტუცია, უცხო ენებიდან სესხება, განსხვავება ფიზიოლოგიურ ცვლასა და აკუსტიკურ სუბსტიტუციას შორის, ენის პროცესთა სირთულე.

მეცამეტე ლექცია: სიტყვის მნიშვნელობა, სემასიო-

ლოგია, ფონეტიკური და სინტაქსური ერთეული, აბსტრაქტული და კონკრეტული მნიშვნელობა, ომონიმები და სინონიმები, გარეშე წარმოდგენისა და გრძნობის გამოხატვა ენაში. მნიშვნელობის ინდივიდუალობა, მნიშვნელობის ცვლა კულტურული და ფსიქიკური პირობების გამო: „ნავი“, „ზრახვა“, „მედგარი“, „სროლა“. მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება: „ხელი“, „სული“, persona, საკუთარი სახელები, ევფემიზმები.

მეთოთხმეტე ლექცია: ზოგადი გრამატიკა, წინადადების განსაზღვრება: პაული, ვუნდტი; ორწევრიანი მარტივი წინადადება, სრული წინადადება, უსუბიექტო წინადადება, მარტივი გავრცელებული წინადადება, რთული წინადადება, ენის საშუალებანი სინტაქსურ მნიშვნელობათა გამოსახატავად, მორფოლოგიური ნაწილები: ძირითადი ფორმალური ელემენტები: ფორმანტი, რედუპლიკაცია, კომპოზიტები, მეტყველების ნაწილები...

მეთხუთმეტე ლექცია: ანალოგიური წარმოება: ხალხურ ენაში, სამწერლობო ენაში, უცხო ენის შესწავლის დროს (მაგალითები ფრანგულიდან); დიფერენციაცია: სემასიური და მორფოლოგიური; ხალხური ეტიმოლოგია, სიტყვის მნიშვნელობა: გენეტური, ისტორიული და რეალური, „საყდარი“, გადაჯგუფება: „დედა, „დაბა“; კონტამინაცია[1].

ასეთია სქემა საკითხებისა, რომლებიც აღძრულია ახვლედიანისეულ „ენათმეცნიერების შესავალში“. ლექციების თემატიკის ზერელე გადახედვაც დაგვარწმუნებს, რომ გიორგი ახვლედიანის სახელმძღვანელო ორიგინალურია და საკმაოდ განსხვავებული იმდროინდელი ანალოგიური კურსებისაგან.

ამომწურავია და ზუსტი პროფ. არნ. ჩიქობავას მიერ მოცემული დახასიათება („ზოგადი ენათმეცნიერება. II“, 1945 წელი): „26 წლის წინათ გამოვიდა გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი (სამ ნაკვეთად). ეს იყო პირველი „ზოგადი ენათმეცნიერება“ ქართულ ენაზე. ეს შრომა იმ ხანად რუსულ ენაზე არსებულ ანალოგიურ სახელმძღვანელოთა შორის გამოირჩეოდა შინაარსის სიმდიდრითა და საკითხთა დამუშავების მაღა-

[1] წიგნში არ არის წარმოდგენილი უკანასკნელი სამი ლექცია.

ლი დონით. ამ სახელმძღვანელოზე — ქართულად — ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არა ერთმა თაობამ“ (ხაზი ჩვენია — შ. ძ.).

ახვლედიანისეული კურსის ერთი უმთავრესი ღირსება და თავისებურება ის არის, რომ აქ თეორიული საკითხები გაშლილია არა მარტოოდენ ევროპული ენების მასალაზე, არამედ საილუსტრაციო ნიმუშები მოხმობილია ქართული ენის სინამდვილიდანაც. ამრიგად, ეს არის ენათმეცნიერების პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც ზოგადლინგვისტური ცნებები გაშუქებულია ქართული ენის ბგერითი სისტემისა და მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური ფაქტების ანალიზის საფუძველზედაც.

ყოველი ლექციის ბოლოს დასახელებულია სპეციალური ლიტერატურა. აქ ვხვდებით ისეთ ავტორებს, როგორიც არიან რიხტერი, ბოგოროდიცკი, ბოდუენ-დე-კურტენე, პოგოდინი, პაული, პოტებნია, გინეკენი, მიულერი, ბუდე, ნოლდეკე, კრეტჩმერი, იენსენი, იესპერსენი, ზივერსი, სკრიპტჩერი, ტომსონი, კიტერმანი, შტერნი, შჩერბა, ერშოვი, ზიგვარტი და სხვ.

გიორგი ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალში“ პირველად ქართულ ენაზე ამეტყველდნენ ენათმეცნიერების დიდი ავტორიტეტები, პირველად ქართულ ენაზე გაშუქდა ზოგადლინგვისტური ცნებები და მოვლენები, პირველად საუნივერსიტეტო კურსში ჩაერთო ქართული ენის მონაცემები ენის თეორიის საკვანძო საკითხების შესაცნობად.

სრულიად უდავოა, რომ გიორგი ახვლედიანის პროპედევტიკულ კურსს ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოში ლინგვისტური მეცნიერების დაფუძნებისა და მისი მერმინდელი განვითარების თვალსაზრისით.

ენის თეორიისადმი ინტერესი არასოდეს შენელებულა გიორგი ახვლედიანის მეცნიერულ შემოქმედებაში. წითელი ზოლივით გასდევს ჩვენი მეცნიერის მიერ მომდევნო წლებში დაწერილ ნაშრომებს ენის კონკრეტული მოვლენების კვალიფიკაციისას ზოგადი თვალსაზრისის მომარჯვება და ცალკეული ფაქტების ზოგადლინგვისტურ ასპექტში განხილვა.

აკადემიკოს ი. ენძელინისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში მოთავსებულია გიორგი ახვლედიანის გამოკვლევა «К вопросу о знаковсстн в языке» („ნიშნის თეორიის საკითხისათვის ენაში“. 1959), რომელშიც ახლებურადაა გაშუქებული ნიშნის თეორიის არსებითი საკითხები; პროფ. კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში მანვე გამოაქვეყნა ნაშრომი „შენიშვნები ენის, როგორც სამეტყველო მოქმედების, საშემეცნებო ფუნქციის შესახებ“, სადაც ენის საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად წარმოჩენილია საშემეცნებო ფუნქცია. ავტორი აღნიშნავს: ვ. ლენინის მითითება, რომ „ენაში არის მხოლოდ ზოგადი... ყოველი სიტყვა (ენა) განაზოგადებს“.., გულისხმობს ენის საშემეცნებო ფუნქციას. დებულება არგუმენტირებულია პავლოვის მოძღვრების პოსტულატებით. აღიარებულია, რომ ენის საშემეცნებო ფუნქცია ადრე შენიშნეს მაქს მიულერმა და იესპერსენმა.

გამოკვლევაში „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის“ (1957) ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იპყრობს შესავალი ნაწილი, სადაც ხაზგასმულია ისტორიული ტოპონიმიკის ენათმეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა. „ტოპონიმიკის მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, — ამბობს ავტორი, — ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. ტოპონიმიკაში... ხშირად ასახულია ეთნონიმიკაც, ე. ი. იმ ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე; ტოპონიმიკაში ხშირად შემონახულია დამახასიათებელი საზოგადო სახელები, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს, საბალახოს და სხვას. ზოგჯერ ასეთი საზოგადო სახელი აღარცა აქვს ენას თავის მოქმედ ლექსიკურ შედგენილობაში. მაგრამ შერჩენილია ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებაში — ხშირად იმზომ შეცვლილი სახით, რომ საგანგებო ენათმეცნიერული და ისტორიული კვლევაა საჭირო მის ამოსაცნობად“.

გიორგი ახვლედიანის კალამს ეკუთვნის მეტად საყურადღებო სარეცენზიო ნაშრომები, რომლებშიც კრიტიკულად შეფასებულია პროფ. რ. შორისა და პროფ. ს. ჩემოდანოვის „Введение в языковедение“, პროფ. რ. ბუდაგოვის „Введение в науку о языке“

(დაბეჭდილია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში: ლიტერატურისა და ენის განყოფილება).

1952 წელს უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებულია გიორგი ახვლედიანის გამოკვლევა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შესახებ. აქ მოცემულია ძირითადი ფონდის შეფარდებითობისა და აბსოლუტურობის ანალიზი. ავტორი ასაბუთებს დებულებას, რომ ძირითადი ფონდი შეფარდებითია ყოველ მოცემულ ენაში და შეფარდებითია ქმნადობა-განვითარების თვალსაზრისით. ამავე დროს, ძირითადი ლექსიკური ფონდი აბსოლუტურია ყოველ მოცემულ ენაში, და აბსოლუტურია ურთიერთობაში მისი გამოყენების, ხმარების თვალსაზრისით.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანოში («Вопросы языкознания») გიორგი ახვლედიანმა მოათავსა სპეციალური წერილი იმის თაობაზე, თუ რა პროგრამითა და მოცულობით უნდა ისწავლებოდეს უმაღლეს სასწავლებლებში „ენათმეცნიერების ისტორია“ («К вопросу о преподавании курса «История языкознания»).

1954 წელს გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით ქართულად ითარგმნა და გამოიცა პროფ. ლ. ბულახოვსკის „ენათმეცნიერების შესავალი“ (II ნაწ.), რომელიც ადაპტირებულია ქართველ სტუდენტთათვის. წიგნის ბოლოსიტყვაობაში გიორგი ახვლედიანი ამბობს: „ლ. ა. ბულახოვსკის ამ წიგნმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი საენათმეცნიერო სასწავლო ლიტერატურა. ამიტომ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ და ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ დაინახეს მისი ქართულად გამოცემა. წიგნში მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად მოცემულია ძალიან ბევრი საილუსტრაციო მასალა სხვადასხვა ენიდან, უმთავრესად ინდოევროპული, ხოლო ამათგან მეტწილად სლავური ენებიდან: ამით სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა შეარჩიოს მისთვის ცნობილი (რუსულის, ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის...) ფაქტები. რედაქტორმა ამას აქაიქ მიუმატა ქართული დანაც“ (ხაზი ჩვენია — შ. ძ.). რედაქტორმა ბულახოვსკის წიგნი გაამდიდრა ქართული ენის მასალებით, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია.

გიორგი ახვლედიანი უპირატესად ფონეტიკოსია.

მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებას.

„მეცნიერული ფონეტიკური (კერძოდ, ექსპერიმენტული) კვლევა საქართველოში იწყება ტფ. უნივ. ენათმეცნიერების კათედრაში (გამგე — გ. ახვლედიანი)... და განსაკუთრებით საენათმეცნიერო საზოგადოებაში (თავმჯდომარე — გ. ახვლედიანი). ამ დროიდან ქვეყნდება წმინდა ფონეტიკური ნაშრომები — უმთავრესად ქართული ენისა (დიალექტებითურთ) და აგრეთვე ოსური ენის შესახებ. სპეციალურად ფონეტიკურ საკითხებზე მუშაობდა გ. ახვლედიანი“ (აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა).

ფონეტიკის საუნივერსიტეტო კურსი ჩვენში პირველად გიორგი ახვლედიანმა წაიკითხა, მეცნიერული შრომები ფონეტიკის დარგში პირველად მან დაგვიწერა, ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორები პირველად მანვე დააარსა, სისტემატური სახელმძღვანელოს შექმნა ამ დარგში მისივე დამსახურებაა.

გიორგი ახვლედიანის ფუნდამენტური წიგნი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. ფონეტიკის ზოგადი პრობლემების კვლევა ქართული ენის მასალაზე გიორგი ახვლედიანის სახელთან არის დაკავშირებული.

„გ. ახვლედიანის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან ქართულ-ქართველური ენების სპეციფიკური თანხმოვნების, თანხმოვანთა კომპლექსებისა და ბგერითი სისტემების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლითა და სხვა ენებთან შედარების საფუძველზე ბევრი ახალი დებულება შემატა ზოგად ფონეტიკას“ (პროფ. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი).

ჯერ კიდევ 1938 წელს გამოსული „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ „წარმოადგენს სრულიად ორიგინალურ კურსს, რომელშიც სისტემატურად არის გადმოცემული და მდიდარი ლინგვისტური მასალითაა ილუსტრირებული ზოგადი ფონეტიკის პრინციპული დებულებები. ქართველურ ენათა ბგერითი სისტემის განვითარების შესახებ მოცემულია ისტორიული

შენიშვნები. ცალკეულ ორიგინალურ და მანამდე ლიტერატურაში უცნობ მოსაზრებათა გარდა (როგორიცაა, მაგ., სლავური ჯგუფის სამხრულ-აღმოსავლურ ენებში ლატერალი ხშულის არსებობის ფაქტის ისტორიული ახსნა), ყურადღებას იპყრობს თავი „სოციალური ფონეტიკა“, რომელიც ძირითადად აგებულია ბგერათშეცვლის, როგორც ბგერათშერთვისა და ბგერათშერწყმის ფაქტორების ერთობლიობის, თავისებურ გაგებაზე. ეს დებულება ზოგად ფონეტიკაში ახალ გაშუქებას აძლევს ენებში მიმდინარე კომბინატორული ხასიათის ფონეტიკურ პროცესებს. საყურადღებოა ბგერათშეერთების შემართვა-დამართვის სახეობათა შედარებითი განხილვა ქართველურ ენებსა და რუსულში, რაც რელიეფურად აჩენს ამ ენათა ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის სპეციფიკურობას და ბგერათცვლის ძირითად ტიპებს. წარმოდგენილია ორიგინალური თეორია მარცვლისა და მარცვალგასაყრის შესახებ. აღსანიშნავია ზოგი ახალი მოსაზრება სამეტყველო ბგერის ტემბრის განხილვისას, ახალი მომენტების დადგენა სიმღერა-საკრავის ხმასა და სამეტყველო ბგერას შორის არსებულ განსხვავებაში. ორიგინალურია აგრეთვე ხმოვნისა და თანხმოვნის არსის ფიზიოლოგიური ანალიზი და ბევრი სხვა. როგორც წინა გამოკვლევები, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ნაშრომი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მიღწევა აქვს ზოგადსა და ექსპერიმენტულ ფონეტიკას საქართველოში. ენათმეცნიერების ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი საქართველოში დაეფუძნა მკვიდრ ნიადაგზე, მისი წინსვლა წარმოებს შეუჩერებლად და იგი თანდათან აღწევს მსოფლიო ფონეტიკური მეცნიერების ვითარებას“ (პროფ. ვ. ფანჩვიძე).

გიორგი ახვლედიანის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია იუბილარს სწერდა: «Ваш капитальный труд «Основы фонетики» пользуется широкой известностью как в нашей стране, так и за границей».

ფონეტიკური პრობლემების კვლევის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის, — მით უმეტეს, მეცნიერების განვითარების დღევან-

დელ ეტაპზე, — აუცილებელია ექსპერიმენტული ლაბორატორიები და კაბინეტები. ოცდაათიან წლებამდე თბილისში ფონეტიკური კვლევის მეთოდი იყო უმთავრესად უშუალო დაკვირვება ცოცხალ წარმოთქმაზე და ისტორიულ-შედარებითი შესწავლა ქართველურ და კავკასიურ ენათა ფონეტიკური მოვლენებისა. დღის წესრიგში დადგა ექსპერიმენტული კვლევის გაშლა სათანადო მეცნიერული ბაზის საფუძველზე. თბილისის უნივერსიტეტში გიორგი ახვლედიანის მეცადინეობითა და თაოსნობით ეწყობა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი (გამგე — გ. ახვლედიანი). 1936 წელს შეიქმნა ფონეტიკური კაბინეტი (გამგე — გ. ახვლედიანი) ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. კაბინეტმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულის, ჭანურის, სვანურის, აფხაზურის, ლაკურისა და აგრეთვე შუა აზიის არაბული ცოცხალი მეტყველების კიმოგრაფიულ და ფონოგრაფიულ ჩაწერას. ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი შესწავლა წარიმართება სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით — არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ბგერების ექსპერიმენტულად შემოწმების საფუძველზე.

აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა: „დაარსება ენიმკ-ის ინსტიტუტში ფონეტიკის კაბინეტისა (გამგე — გ. ახვლედიანი) უქმნის ფონეტიკურ კვლევას ახალს, მძლავრ სტიმულს... ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებით შესწავლა მიმდინარეობს სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით — არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ექსპერიმენტულად ბგერების შემოწმების საფუძველზე. შედგენილია სინოპტიკური ცხრილები აფხაზურის, ოსურის, ლაკურის, ხუნძურის, და ჩერქეზული ენებისათვის — მათი ბგერების კლასიფიკაციითურთ გ. ახვლედიანის სისტემით. ასეთი მუშაობის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გამზადებული შრომების სახით“ (ჩამოთვლილია გიორგი ახვლედიანის შრომები, ენიმკის მოამბე, 1).

გიორგი ახვლედიანისა და მისი მოწაფის — აწ განსვენებული სერგი ჟღენტის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ექსპერიმენტული ფონეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორა-

ტორია, რომლის მუშაობა წარიმართება მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონეზე, კერძოდ, ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკური და კინორენტგენოლოგიური მიღწევების საფუძველზე. ლაბორატორია წარმოადგენს მტკიცე ბაზას სამეცნიერო და სასწავლო მუშაობისათვის.

1922 წელს გამოქვეყნდა გიორგი ახვლედიანის შესანიშნავი გამოკვლევა „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, რომელიც უაღრესად საყურადღებოა ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც. ხშული თანხმოვნები tanues — mediae-ს პრობლემის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მათთვის ავტორი ადგენს ტერმინს — „მკვეთრი“, ხოლო გერმანულად scharfe ან reine Tenues ეწოდება. ასეთ თანხმოვნებად ითვლება ზოგიერთი ევროპული ენის განსაზღვრულ გარემოებაში მყოფი k-t-p; რაც შეეხება თვით k-t-p ჩვეულებრივ სახეს, ეს გამოკვლეულია ცალ-ცალკე თითოეული ენისათვის: მათ თან ახლავს ამა თუ იმ ოდენობის ასპირაცია, მაგრამ დასადგენი იყო k-t-p-ს ის სახე, როდესაც მათი წარმოებისათვის თითქოს ფშვინვას (ასპირაციას) ადგილი არა აქვს. ამ უკანასკნელი ბუნების ხშულნი ევროპულ ენებში დამოუკიდებელ კლასს არ წარმოადგენენ, რის გამოც მათ ევროპის სამწერლობო ენებში გრაფიკული გამოხატულება ვერ პოვეს. ქართულში კი კ-ტ-პ-ს მკვეთრობა იმდენად აშკარად არის გამოხატული, რომ ისინი დამოუკიდებელ კლასსაც წარმოადგენენ და გრაფიკული გამოხატულებაც თავისი აქვთ. სწორედ ამიტომ ქართული კ-ტ-პ-ს შესწავლა უაღრესად საინტერესოა, საზოგადოდ, tenues — mediae-ს საკითხის გასაშუქებლად და კერძოდ, მკვეთრთა საკითხისათვის. ამგვარად, „ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია, — ამბობს გიორგი ახვლედიანი, — თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ქართულის ხშულთა შესწავლას საზოგადო ფონეტიკისათვის: ის, რაც ევროპულ ენებში ჩანს მხოლოდ გარემოების მიხედვით (და აქა-იქ დიალექტურადაც), ქართულში ნათლად არის გამოხატული და მთელი ენის ბგერათა სისტემას ახასიათებს“.

აქ ექსპერიმენტი არ არის გამოყენებული, მაგრამ ავტორი მიმართავს ნასესხებ სიტყვებს, რაც გამოკვლევის მეთოდიკის თვალსაზრისით ეფექტური აღმოჩნდა. ამ გზას მიმართავდნენ უმთავრესად ისტორიულ-ფონეტიკურ ძიებაში, ხოლო აღწერილობითი ფო-

ნეტიკა მას საკმაო ყურადღებას არ აქცევდა. ავტორი არკვევს მკვეთრობის მიზეზს, საერთოდ, და ქართული კ-ტ-პ-ს მკვეთრობისას, კერძოდ, მიღებულია დასკვნა, რომ მკვეთრობის მიზეზი არ მდგომარეობს ენის სასასთან შეხების არის ოდენობაში და ალბათ არც საარტიკულაციო ორგანოთა დაჭიმულობაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ იგულისხმება საარტიკულაციო ორგანოთა სწრაფი გახსნისათვის.

ამავე ფონეტიკურ პრობლემებს ეხებოდა გიორგი ახვლედიანი უფრო ადრე, 1920 წელს, ნაშრომში „ყრუ mediae ქართულში“, სადაც ამასთანავე შესწავლილია დ-გ ბგერები და მიღებულია საყურადღებო შედეგები.

გიორგი ახვლედიანმა დაადგინა ქართული წარმოთქმის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც მდგომარეობს თანხმოვანთა კომპლექსების წარმოთქმისას ერთჟამიერობისაკენ მიდრეკილებაში; ამის საფუძველზედაც მშვენივრად აიხსნება ქართული წარმოთქმის თავისებურებანი.

„ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ (1938 წ.) მკვლევარმა ყურადღება მიაქცია საარტიკულაციო წერტილების თანმიმდევრობას ქართულ თანხმოვანთა შეერთებისას. თანხმოვანთა შეერთების სხვადასხვა თანმიმდევრობას ავტორმა უწოდა „იქითურა“ და „აქითურა“ და გამოიყენა მარცვალთგასაყარის დადგენისათვის. შემდეგ მან გამოაქვეყნა შრომა „გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში“ (1944 წ.), სადაც დადგენილია გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში. ამ ნაშრომში აქითურა თანმიმდევრობის აღნიშვნა გამოდგა იმის ასახსნელად, თუ რატომ გვაქვს „გრგოლი — რგოლ“-ში რეგრესული დისიმილაცია (და არა პროგრესული). 1945 წ., როცა ამავე თანმიმდევრობის თავისებურებამ ახსნა ძველი ფრანგულის ct—it, ამ თანმიმდევრობას დაერქვა სახელად „აქცესიური“ (აქითური), ხოლო საწინააღმდეგოს — „დეცესიური“ (იქითური). 1947 წელს აქცესიური თანმიმდევრობის საფუძველზე აიხსნა აგრეთვე დღემდე აუხსნელი დაგრძელება ხმოვნისა ისეთი tt-ს წინ, რომელიც მიღებულია *Xt-საგან, ამდენად, თანხმოვანთა წარმოების აქცესიურ-დეცესიური თანმიმდევრობის განსხვავებულობის გათვალისწინება

რეალური დასაყრდენი აღმოჩნდა ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილების ახსნისათვის.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მრავალი ფონეტიკური საკითხი შეიძლება გადაწყდეს ამ მოვლენის უფრო ღრმა შესწავლის ნიადაგზე — და არა მხოლოდ ქართული ენისა.

გიორგი ახვლედიანის ეს ახალი თეორია უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა მთელი რიგი ფონეტიკური საკითხების გადასაჭრელად.

დეცესიურ-აქცესიურობის თეორიის საფუძველზე გარკვეულ იქნა აქცესიურ კომპლექსთა წარმოთქმის სუპერაციის (დაძლევის) ხერხები ქართველურსა და ევროპულ ენებში. ავტორმა ცხადყო, რომ „აქცესიური კომპლექსებისათვის უმეტესად ჩვეულებრივია პროგრესული ასიმილაცია სახმო სიმების მოქმედების მიხედვით, ხოლო დეცესიურისათვის — რეგრესული“.

აქცესიურ-დეცესიურობის მოვლენა შენიშნულ იქნა აგრეთვე გამოჩენილი ნორვეგიელი ლინგვისტის პროფ. ჰანს ფოგტის მიერ. 1958 წელს მან ნორვეგიულ საენათმეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა შესანიშნავი გამოკვლევა „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (ქართული თარგმანი გამოიცა 1961 წელს გიორგი ახვლედიანის რედაქტორობით), სადაც აღძრულია ეს საკითხი.

აკადემიკოს ლ. შჩერბასადმი მიძღვნილ კრებულში 1951 წელს დაიბეჭდა გიორგი ახვლედიანის ძალიან საყურადღებო ნაშრომი «Две системы гармонических смычных в грузинском языке» („ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულში“). აქ შესწავლილია ქართული ჰარმონიული კომპლექსების ბუნება. დადგენილია, რომ ეს კომპლექსები გვიანდელი ფორმაციისაა. გამომუშავებულია კომპლექსთა ორი სისტემა — A და B სისტემა. სულ მიღებულია 24 ჰარმონიული კომპლექსი. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემის დადგენა წამოჰრის მთელ რიგ საკითხებს: როგორ ჩამოყალიბდა ასეთი მწყობრი დეცესიური კომპლექსების სისტემები? აქცესიურ კომპლექსთა დაძლევის (სუპერაციის) რომელი წესის ძალით გამომუშავდა მათგან დეცესიური კომპლექსები? თუ, შესაძლოა, იმთავითვე დეცესიურები იყვნენ? ასეთ საკითხთა რიგს ეკუთვნის საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გვაქვს B სისტემაში მეორე კომპონენტების არაერთგვაროვნობა“.

კიდევ ერთი ახალი ფონეტიკური კანონზომიერება, რომლის აღმოჩენა ეკუთვნის ჩვენს გამოჩენილ ფონეტიკოსს, არის ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება. ჯერ კიდევ ნაშრომში „ოსური ენის ისტორიისათვის, III“ (1941) გიორგი ახვლედიანი დაუკვირდა ქართული ენიდან ოსურში შესულ აბრუპტივიან სიტყვებს და იმ ფონეტიკურ სახეცვალებას, რაც განიცადა ამგვარმა სიტყვებმა ახალ ენობრივ გარემოში. ორი აბრუპტივის შემცველი ქართული სიტყვები ოსურში შეიცვალა და პირველი აბრუპტივი გამჟღერდა (პეტრე—ბეტრე, პატარა—ბატარა...). შემდგომ ეგევე მოვლენა ავტორმა დაადასტურა ძველსა და ახალ ქართულში; მთის კილოებში, სვანურში. „ოსური ენის მასალების მიხედვით დადგენილი ფონეტიკური კანონზომიერება ხშ უ ლ თ ა დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი გ ა მ ჟ ღ ე რ ე ბ ი ს ა უფრო მნიშვნელოვანი, და ახლა გვგონია, პერსპექტივიანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი დადგენისას იყო საფიქრებელი“, ამბობს გიორგი ახვლედიანი. ნაშრომი „გუტურალთა რეგრესიულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში“ გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძისადმი მიძღვნილ „ფსიქოლოგიის“ მესამე ტომში 1945 წელს. აქ ახალი ფაქტებია წარმოჩენილი და ახსნილი მიგნებული კანონის საფუძველზე.

იდეებით მდიდარი და ფაქტობრივი მასალის ანალიზის სიღრმით გამორჩეულია გიორგი ახვლედიანის გამოკვლევა — „ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში“ (1948 წ.). ავტორი გამოყოფს პოზიციურ ბგერათმონაცვლეობას და ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას, რომელსაც ეკისრება სემანტიკური და გრამატიკული დანიშნულება. პირველს იგი უწოდებს ფონეტიკურს, მეორეს — ფონოლოგიურს. პირველადია ფონეტიკური პროცესი, მაგრამ არაიშვიათია, როდესაც ბგერის უტოლფუნქციო სახესხვაობები მოიპოვებენ ფონემის ფუნქციას და ამ გზით ისინი გრამატიზდებიან ან სემანტიზდებიან.

ამ ნაშრომში „გ. ახვლედიანმა ჩამოაყალიბა აპოფონიის ძირითადი სახეები ქართულში“ (პროფ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი). ავტორი განიხილავს ა/ვ ხმოვანთმონაცვლეობას მოქმედებითი და ვნებითი გვარების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად (პროფ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს გამოკვლევის მიხედვით) და ასკვნის, რომ „ესაა ტიპიური აბლაუტი“. „ფონეტიკური პროცესის პრინციპულად ასეთსავე მორფოლო-

გიზაციასთან გვაქვს საქმე ქართულ ზმნაში, როდესაც მისი ფუძის კუმშვა-უკუმშველობასა და ფუძის დრეკადობასთან დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წყვეტილის ერთმანეთისაგან განსხვავება". ამის საფუძველზე დადგენილია აბლაუტის სახესხვაობები. ასევე შენიშნულია, რომ „უფრო სუსტად, მაგრამ მაინც გრამატიზებულია, ქართულის საკმაოდ მრავალ სახელში ფუძის კუმშვა. რომლის მიხედვითაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან ბრუნვათა ორი ჯგუფი... სახელთა ფუძის კუმშვა-უკუმშველობა ისეთივე ხმოვანთმონაცვლეობაა, როგორიც ზმნაში აღვნიშნეთ. იქაც და აქაც ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია მახვილის გავლენით და გამოყენებულია მეტ-ნაკლებად სიტყვის ფორმათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, ე. ი. იქაც და აქაც ფონეტიკური პროცესი მორფოლოგიზებულია".

როგორც ვხედავთ, „გ. ახვლედიანის მიერ უკვე გარკვევით არის ჩამოყალიბებული ძირითადი სახეები ქართული აბლაუტისა. მანვე სწორად განსაზღვრა აბლაუტის როლი ქართულში" (პროფ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი).

სწორედ აბლაუტის (აგრეთვე — სონანტების) პრობლემას ქართველურ ენებში მიეძღვნა თამაზ გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს ა და გივი მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ფუნდამენტური ნაშრომი („სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში", 1965), რომელიც შენაძენია ჩვენი ენების კვლევის დარგში და შესანიშნავი მაჩვენებელი საბჭოთა ქართველოლოგიის აღმავლობისა (შრომამ უკვე დიდი გამოხმაურება პოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში; ახალი მეთოდებით მოპოვებული შედეგები საყურადღებო აღმოჩნდა არა მხოლოდ ქართველური ენების უძველესი სტრუქტურის შესწავლის, არამედ ზოგადი თვალსაზრისითაც).

ფონეტიკის ზოგადი პრობლემატიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გიორგი ახვლედიანის ნაშრომი „ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან გენეზისური განსხვავების საკითხისათვის" (1942 წ.). კრიტიკულად განიხილავს რა სხვადასხვა შეხედულებას, ავტორი ასკვნის, რომ ადამიანური მეტყველება იწყება დიფერენცირებული არტიკულაციით, რაც სწორედ თანხმოვნისათვის არის დამახასიათებელი. თანხმოვანია, ზღვარს რომ დებს ამ მხრივ ცხოველსა და ადამიანს შორის, რამდენადაც არც ერთ ძუძუმწოვარს

არა აქვს არტიკულირებული წარმოთქმა, არა აქვს თანხმოვანი. საბოლოო დასკვნა ასეთია: ბიოლოგიურად პირველადია ხმოვანი, ხოლო სოციალურად — თანხმოვანი. უარყოფილია ვან გინეკენისა და ფროშელსის თვალსაზრისი.

გიორგი ახვლედიანმა დაამკვიდრა ზოგი ახალი ფონეტიკური ტერმინი. ტერმინოლოგიის უნიფიკაცია მეცნიერებაში აუცილებელია, მეტადრე ზუსტ მეცნიერებათა დარგებში, რომელთა შორის ივარაუდება ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა. ძველ ტერმინს შეუძლია ხშირად გაუგებრობაც კი გამოიწვიოს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობანი ერთისა და იმავე ცნების გამოსახატავად ხმარობენ სხვადასხვა ტერმინს. ნაშრომში „ფონეტიკური შენიშვნები“ (1937) გიორგი ახვლედიანი აღნიშნავს, რომ ქართველური და კავკასიური ენების ბგერებისა და ბგერითი მოვლენების შესწავლა იმდენად წინ წავიდა ამ უკანასკნელ ხანებში, რომ ეს გარემოება მოითხოვს ახალ ტერმინებს იმ მოვლენათათვის, რომლებიც აქამდე ან სრულიად აღუნიშვნელი იყო, ან შეუფერებელი ტერმინით აღინიშნებოდა.

ავტორი აკრიტიკებს იაფეტიდოლოგიაში დამკვიდრებულ ზოგიერთ ფონეტიკურ ტერმინს და გვთავაზობს ახალ ტერმინოლოგიას. უარყოფილია აკად. ნ. მარის მიერ დადგენილი ტერმინი „საშუალო მჟღერობა“ ქართველურ-კავკასიური ენების ფშვინვიერების აღსანიშნავად. ასევე მიუღებელია, გიორგი ახვლედიანის მტკიცებით, ტერმინი „ხორხისმიერი“ — ყ-ჴ თანხმოვნებისათვის. ავტორი მხარს უჭერს ტერმინს „ფარინგალური“, რომელსაც ხმარობენ იესპერსენი და შჩერბა. ნაშრომში დასმულია კითხვა: განა ყველა აფრიკატი ქართულში რთულია? უარყოფილია ტერმინი „აფრიკატი“ ღხყ თანხმოვნების გადმოსაცემად. არც ისტორიულად, არც გენეზისურად ეს თანხმოვნები რთულ ბგერებად არ მიიჩნევა.

გიორგი ახვლედიანის ცალკეული ფონეტიკური გამოკვლევების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს 1930 წელს გამოსული „ზოგადი ფონეტიკის ლექციები“ (ლითოგრაფიული გამოცემა). 1938 წელს დღის სინათლეზე გამოვიდა „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, I“, ხოლო 1949 წელს — „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი — ზ ო გ ა დ ი ფ ო ნ ე ტ ი კ ი ს შ ე ს ა ვ ა ლ ი — ივარაუდება ზო-

გადი ფონეტიკის კურსის სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, მეორე ნაწილი— ზოგადი ფონეტიკის ზოგიერთი პრობლემა — შეიცავს მეტწილად ზოგადფონეტიკური საკითხების განხილვას, საკითხებისა, რომელთაგან უმრავლესი პირველადაა დასმული ავტორის მიერ ჩვენს მეცნიერებაში და განხილულია მეტწილად ქართულ-ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა მასალაზე; ზოგიერთი მათგანი, რომელთა შესახებ წინათაც ყოფილა მსჯელობა ფონეტიკურ ლიტერატურაში, ავტორის მიერ განხილულია იმავე მასალაზე და უმთავრესად ახალი გაშუქებით. პირველთა რიცხვს განეკუთვნება ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულში, ქართულის ხშულთა მეექვსე სამეული, თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის, ყრუ mediae ქართულში, აბრუპტივები ანუ მკვეთრი ხშულები ქართულში, ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების საკითხისათვის, ხმოვანთა და თანხმოვანთა ერთმანეთისაგან განსხვავების საკითხისათვის, ფონეტიკა და ლოგოპედია. ახალი გაშუქებითაა წარმოდგენილი საკითხები ბგერათმონაცვლეობისა ქართულში, ვ-ს გადასმისა, დიალექტთა შერევისა და აფხაზური ენის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაციისა.

„საფუძვლების“ მეორე ნაწილის შესახებ წინასიტყვაობაში ნათქვამია: აქ გათვალისწინებულ ოთხ სტატიაში „ავტორი არ ფიქრობს, რომ მან პირველად დააყენა ან ახლებურად გააშუქა მათში განხილული საკითხები. სტატიაში „ფონოლოგიის რამდენიმე საკითხი“ მოცემულია ზოგადი წარმოდგენა საბჭოური ფონოლოგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ ფონემა, როგორც „საზოგადოებრივად დამუშავებული ბგერა (ნ. მარი...), წარმოადგენს აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ მოცემულობას, არსებულს მეტყველებაში მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობასთან ერთიანობაში. ახალია მასში, — განაგრძობს ავტორი, — დამუშავება საკითხებისა: 1. ქართული ენის ფონემებრივი შედგენილობის, 2. ფონემათა პოზიციური განაწილებისა და 3. მათ ცვლილებათა შესახებ.

„საფუძვლების“ წინასიტყვაობაში სრულიად კატეგორიულადაა ნათქვამი: „ავტორი ცდილობდა განეხილა ზოგადი ფონეტიკის საკითხები საბჭოური ენათმეცნიერების თვალსაზრისით და აესახა

მასში, — რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა ამ წიგნის დანიშნულება და მოცულობა, — თანამედროვე მდგომარეობა და უახლესი მიღწევანი საბჭოური ენათმეცნიერებისა ზოგადი ფონეტიკის დარგში და, კერძოდ, ჩვენთან — უმთავრესად, ზემოდასახელებულ ენათა შესწავლის შედეგად“.

ასეთია გიორგი ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლების“, — რომელიც საბჭოთა ფონეტიკური მეცნიერების მიღწევადაა მიჩნეული, — შედგენილობა, მეთოდოლოგიური პრინციპები, დანიშნულება და მიზან-ამოცანები.

გიორგი ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ საუნივერსიტეტო კურსია, რომელიც წარმოადგენს თბილისის საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის რამდენიმე ათეული წლის ფრიად ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის განზოგადება-სისტემატიზაციას და კარგად ასახავს საბჭოთა ქართველოლოგიის წარმატებებს, ადასტურებს საქართველოში ენათმეცნიერების განვითარების მაღალ დონეს.

IV. ლოგოპედია

ლოგოპედიის, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დარგის, განვითარება საქართველოში გიორგი ახვლედიანის დამსახურებაა. „სრულიად განსაკუთრებულია ფონეტიკის მნიშვნელობა ლოგოპედიისა და სურდოპედაგოგიკისათვის: პირველი ასწორებს ენამოშლილობის სხვადასხვა ფორმებს (ენაჩლუნგობას, ენაბლუობას...), მეორე — ყრუმუნჯებს უვითარებს ნორმალურ ბგერითს მეტყველებას“, — ამბობს ლოგოპედიის ფუძემდებელი ჩვენში.

ლოგოპედია მჭიდრო კავშირშია მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებთან; მეტადრე იგი ეყრდნობა სამეტყველო და სასმენ ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის მონაცემებს; იგი დაკავშირებულია საერთოდ ფსიქოლოგიასთან, ფსიქიატრიასა და ნევროპათოლოგიასთან, ყველაზე მეტად კი — ფონეტიკასთან. „ეს ის სამეცნიერო დისციპლინებია, რომლებთანაც თვითონ ფონეტიკაა მჭიდრო კავშირში. აქედანაც ჩანს ლოგოპედიისა და ფონე-

ტიკის ერთმანეთთან სიახლოვე. მათი ობიექტიც, საერთოდ, ერთი და იგივეა — ადამიანის სოციალურად ღირებული საწარმოთქმო მოქმედება, სამეტყველო ბგეროვნება, მაგრამ თითოეული მათგანი — ფონეტიკა და ლოგოპედია — სწავლობს ამ ობიექტს სხვადასხვა თვალსაზრისითა დ სხვადასხვა მიზნით" (გ. ახვლედიანი).

გიორგი ახვლედიანი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლოგოპედიის განყოფილებას თბილისის ნერვულ-ფუნქციონალურ დაავადებათა ინსტიტუტში. აქ მუშაობდნენ ენათმეცნიერები და ექიმები. ეს იყო ლოგოპედიური კადრების სამჭედლო, სამეცნიერო და პრაქტიკული ლოგოპედიური მუშაობის მტკიცე ბაზა, სადაც გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი სპეციალისტი აღიზარდა, არა ერთსა და ორ ენამოშლილს მეტყველება გამოუსწორდა.

„ენამოშლილობას დიდი ზიანი მოაქვს ბავშვებისათვის, — ამბობდა გიორგი ახვლედიანი, — ენამოშლილი ბავშვები უმეტეს შემთხვევაში ჩამორჩებიან სწავლაში და, საერთოდ, იჩაგრებიან ხოლმე. ენამოშლილი ბავშვი მორცხვია, გაუბედავია, ეჭვიანია, გულფიცხობს, გაურბის ამხანაგებს, მიუკარებელია. ენამოშლილს რცხვენია თავისი ნაკლისა და ამიტომ უმეტესად გაჩუმებულია, ვერ ბედავს ლაპარაკს — დაცინვისა ეშინია. კლასში ენამოშლილი ბავშვი ზის თავისთვის, არ იღებს მონაწილეობას იმ პასუხებში, რომელთაც აძლევენ სხვა ბავშვები მასწავლებელს კლასისადმი მიმართულ კითხვებზე. ამის გამო იგი ჩამორჩება ამხანაგებს გონებრივ განვითარებაშიც".

ჩვენი სახელოვანი მეცნიერის არქივში დაცულია განკურნებული ბავშვებისაგან მიღებული წერილები. აი ერთი მათგანი: «Здравствуй, Георгий Сариданович! Я... приношу Вам великую благодарность за Вашу заботу обо мне — Ваше имя на всю жизнь остается в моем сердце, как символ Вашей доброты. Вы вернули мне самое для меня дорогое речь! Я теперь вполне уверена в том, что благодаря Вашей неоценимой помощи окончу школу хорошо. Большое Вам спасибо. Таня Громова».

მე ვფიქრობ, ეს ერთი დოკუმენტიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ ეფექტური და ნაყოფიერი აღმოჩნდა გიორ-

გი ახვლედიანის მიერ მომარჯვებული ლოგოპედიური მეთოდები მეტყველების დეფექტების გამოსასწორებლად.

გიორგი ახვლედიანის ინიციატივით შექმნილმა ლოგოპედთა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია სამამულო ომის დროს საევაკუაციო ჰოსპიტლებში მოთავსებული კონტუზებული და მეტყველებადაკარგული ჯარისკაცების განსაკურნავად. მრავალ ადამიანს აღუდგა სწორი მეტყველება, თუკი მეტყველების დარღვევა ფუნქციური ხასიათისა იყო და არა ორგანული.

გიორგი ახვლედიანისავე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ლოგოპედიური განყოფილება, სადაც ვაიშალა უმთავრესად თეორიული მუშაობა ლოგოპედიის დარგში.

ინსტიტუტებსა და საევაკუაციო ჰოსპიტლებში დაგროვილი მდიდარი მასალის საფუძველზე გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით დაიწერა და გამომზეურდა პროფ. არჩ. ჩარგეიშვილის, ს. ჟღენტის, დოც. ა. კაიშაურის, ნ. ასამბაძის, ნ. ვეშაპელის და სხვათა მეცნიერული შრომები, ამასთანავე გამოქვეყნდა თვით გიორგი ახვლედიანის თეორიული ხასიათის გამოკვლევები. ეს შედეგები უმთავრესად განზოგადებული და თავმოყრილია გიორგი ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“. ერთ-ერთ ნაშრომში ჩვენი მეცნიერი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია ლოგოპედმა გაითვალისწინოს და ანგარიში გაუწიოს ენამოშლილი ბავშვის მშობლიური ენის გამოთქმის სპეციფიკურობას. მაგალითად, განსხვავებულ ობიექტებთან ექნება ლოგოპედს საქმე იმის მიხედვით, ბავშვისათვის მშობლიურია ენა ქართულია თუ რუსული. რუსულში მეტყველების მოშლილობა ხშირია იოტიან ხმოვნებზე და „რბილ“ თანხმოვნებზე. ქართულს არც ერთი აქვს და არც მეორე, სამაგიეროდ ქართულში რუსულთან შედარებით ზედმეტია აბრუპტივები, რომლებზედაც ქართულში არსებობს მეტყველების მოშლილობა. „რბილი ვარიანტის არტიკულაცია უფრო რთულია, ვიდრე მაგრისა. ორგანოთა შეხების ან მიახლოების არე უფრო ფართოა რბილის წარმოთქმისას, ვიდრე მაგრის წარმოთქმისას. ამ მხრივ ქართულად მეტყველი ლოგოპათი (და მისი მკურნალი ლო-

გოპედი) შეუდარებლივ უკეთეს მდგომარეობაშია“ (გ. ახვლედიანი).

ამრიგად, გიორგი ახვლედიანმა ლაბორატორია-ბაზების შექმნით, კადრების მომზადებითა და თეორიული მუშაობის გაშლით საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ლოგოპედიის — ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას.

V. ქართველური ენები

ამ წიგნის მესამე თავში განხილულია გიორგი ახვლედიანის ის ფონეტიკური ნაშრომები, რომლებშიც ქართული ენის (და, საერთოდ, ქართველური ენების) ფონეტიკური სისტემის ფაქტები შესწავლილია ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის ასპექტში; სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ რიგის ნაშრომებს მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ ქართული ფონეტიკისათვის, არამედ ისინი საყურადღებოა და ფასეული ფონეტიკის ზოგადი პრობლემატიკის თვალსაზრისითაც.

რაკი ამ თავში უპირატესად საკუთრივ ქართული ენის ფონეტიკური სისტემის ამსახველი გამოკვლევები იქნება დახასიათებული, საჭიროა ჩამოვთვალოთ ზემოგანხილული ზოგადფონეტიკური პრიზმით გაშუქებული კერძო საკითხები, რომლებიც ორგანულად უკავშირდებიან ქართველური ენების ფონეტიკას.

ეს საკითხებია: ა) ქართული აბრუპტივების ბუნებისა და თვისების დადგენა; ბ) აქცესიურ-დეცესიური კომპლექსები, ჰარმონიული კომპლექსები ქართულში; გ) დისიმილაციური გამჟღერების მოვლენები ქართულში; დ) ბგერათშენაცვლების კანონი ქართულში; ე) აპოფონიის ძირითადი სახეების დადგენა ქართულში; ვ) ყრუ mediae ქართულში და სხვ. ამ კერძო საკითხებს უნდა მიემატოს ზოგადი მნიშვნელობის ფაქტი: ქართულ-ქართველური ენების მონაცემები გიორგი ახვლედიანმა გამოიყენა ზოგადფონეტიკური მოვლენების დასახასიათებლად, ე. ი. თუ აქამომდე, მაგალითად, ფონეტიკის ზოგადი კურსი უპირატესად ინდოევროპული ენების მასალაზე იყო აგებული, გიორგი ახვლედიანის წყალობით ამ ზოგადი კურსის სტრუქტურაში ამიერიდან შევიდა ქართველურ ენათა

მონაცემებიც, რომლებიც უნდა შევაფასოთ თეორიული დებულებების არა მხოლოდ უბრალო ილუსტრაციად, — ეს კონკრეტული მასალა მოწოდებულია ახალი შუქი შეიტანოს ზოგადი საკითხების კვლევა-ძიებაში.

გავეცნოთ გიორგი ახვლედიანის იმ გამოკვლევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართული ფონეტიკისათვის. ამასთანავე განვიხილავთ ჩვენი მეცნიერის შრომებს, რომლებშიც აღძრულია ქართული ენის სტრუქტურისა და ლექსიკა-ტერმინოლოგიის საკითხები.

ქართული ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა გიორგი ახვლედიანის ნაშრომი ქართული ბგერების ისტორიული გამძლეობის შესახებ. ეს პრობლემა მან დასვა მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა ქ. ბათუმში 1925 წელს[1]. გამოქვეყნებულია მოხსენების ვრცელი თეზისები («Историческая устойчивость системы звуков грузинского языка»). მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. შანიძემ, ი. მეშჩანინოვმა. ს. კაკაბაძემ, ს. ჯანაშიამ.

გიორგი ახვლედიანის ეს შრომა შეიცავს შემდეგ საგულისხმო დებულებებს: 1. ქართული ბგერები ისტორიულად ნაკლებად შეცვლილია, ვიდრე, მაგალითად, ევროპული ენებისა; 2. დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ბგერითი სისტემა — უშუალო გაგრძელება ძველი ქართული სალიტერატურო ენისა — თითქმის თანხვდენილია დიალექტების ბგერით სისტემასთან; 3. ქართული ენის ბგერათა შეუცვლელობის ფაქტორებია — შინაგანი (ფსიქო-

---

1 ყრილობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა მეცნიერებმა. საქართველოდან ყრილობის მონაწილენი იყვნენ მ. პოლიევქტოვი, ნ. მუსხელიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, შ. ამირანაშვილი, ს. კაკაბაძე, გ. ჩიტაია, დ. კარიჭაშვილი, პ. ინგოროყვა, დ. უზნაძე, სპ. ვირსალაძე, ა. ჯანელიძე, გ. ნათაძე, ნ. კეცხოველი, ს. ჯანაშია, გ. ნიკოლაძე, მ. ნოდია, ვ. ჟღენტი, ი. ლომოური, დ. გულია, ა. რაზმაძე, ვ. კაკაბაძე და სხვ. გამოქვეყნებულია ყრილობის მასალები: „Второй Краеведческий съезд Черноморского побережья и Западного Кавказа. 25/IX—5/X—1925 года гор. Батум. Постановления и резолюции". Батум, 1925.

ფიზიოლოგიური) და გარეგანი (სოციალ-პოლიტიკურ-კულტურული). ბ) სუსტი მახვილი; გ) ბგერათა გადაგვარებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ბგერათა უმრავლესობა გამოყენებულია სიტყვის მცველ ელემენტებად, უმთავრესად ზმნებში. გარეგანი ფაქტორები: ა) დიალექტური ბგერითი თავისებურებანი შეზღუდულია ქართველი ხალხის კომპაქტურობის გამო (მოთავსებულია მცირე ტერიტორიაზე, მტკიცედ შეგნებული აქვს ენობრივი ერთიანობა...); ბ) არსებობს ერთი სალიტერატურო ენა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს დიალექტებზე, დიალექტურ წარმოთქმაზე; გ) ქართველ ხალხს არ გამოუცვლია ტერიტორია სალიტერატურო ენის ისტორიულ პერიოდში, არ განუცდია ენათა შერევა, არ განუცდია უცხოური ენის ძლიერი გავლენა იმზომად, რომ შეცვლილიყო წარმოთქმა.

ყოველი დებულება სახელმძღვანელოა და მონოგრაფიული შესწავლის ღირსიც.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ჰანს ფოგტის მიერ მიღებული ანალოგიური შედეგები, გამოქვეყნებული 1935 წელს. გამოჩენილი უცხოელი ქართველოლოგი აღიარებს, რომ არსებობს შინაგანი მიზეზობრივი კავშირი ქართულ ხმოვანთა რაოდენობრივსა და სუსტ მონოტონურ მახვილს შორის. ქართულში მახვილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს როგორც ფონეტიკური სისტემის, ისე ვოკალიზმის ისტორიულ განვითარებაში (იხ. Ernst W. Selmer, Georgische Experimentalstudien. Nachtrag Von Hans Vogt, 1935).

გიორგი ახვლედიანმა მოგვცა ქართული ბგერების კლასიფიკაცია. მისი დაკვირვებები ქართულ კონსონანტიზმსა და ვოკალიზმზე პროდუქტიული აღმოჩნდა და ამ მიმართულებით მიღებული შედეგი სახელმძღვანელოებში შევიდა, როგორც მიღწევა და უდავო დებულებების საფუძველზე გამომუშავებული კანონზომიერება. ამ საგანზე საინტერესოა გ. ახვლედიანის რეცენზიები პროფ. ე. პოლივანოვის ნაშრომისა („შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“, 1926) და პროფ. ნ. მარის გრამატიკისა — «Грамматика древнелитературного грузинского языка» (1926), ფონეტიკის ლექციების ლითოგრაფიული გამოცემა (1930), ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები (1938), საფუძვლები

(1949), ზოგადი ფონეტიკის პროპედევტიკული კურსი (1955, 1966) და სხვ.

აქვე ვიძლევით ახლედიანისეული კლასიფიკაციის ცხრილებს (თანხმოვნებისას და ხმოვნებისას; იხ. გვ. 541, 542).

ასე დალაგდა საბოლოო სახით ქართული ენის თანხმოვნები და ხმოვნები. ეს ცხრილები გამომუშავებულია ცალკეული საკითხების შესწავლის შედეგად.


აქვე ვიტყვი, რომ გიორგი ახლედიანის სახელთან არის დაკავშირებული ისეთი რთული ფონეტიკური სისტემის ენის ბგერათა შესწავლა და კლასიფიკაცია, როგორიცაა აფხაზური. ჯერ კიდევ 1926 წელს გიორგი ახლედიანმა გამოაქვეყნა ნაშრომი „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის", სადაც, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, გამოკვლეულია აფხაზური ენის თანხმოვნების ფიზიოლოგიური ბუნება. გამოკვლევის წინასწარი შედეგები მან მოახსენა „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას" 1925 წელს; შრომა დაიბეჭდა 1926 წელს. აღსანიშნავია, რომ აკად. ნიკო მარის ნაშრომი „Абхазский аналитический алфавит" გამოვიდა მას შემდეგ, რაც მოხსენება წაკითხული იყო საზოგადოებაში, თუმცა გიორგი ახლედიანის წერილი გამოქვეყნდა მარის პუბლიკაციის შემდგომ. ყოველივე ამის გამო გიორგი ახლედიანის წერილში ნ. მარის შეხედულებები მოქცეულია კვადრატულ ფრჩხილებში, რათა არ დარღვეულიყო ადრე შესრულებული გამოკვლევის სტრუქტურა. ამ კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ზოგიერთი მარისეული გაგების კრიტიკული დაფასება.

აფხაზური ენის ბგერათა უფრო სრული კლასიფიკაცია კი გიორგი ახლედიანმა მოგვცა ნაშრომში „Звуковые возможности кавказских языков. I. Принципы класификации согласных абхазского языка». აქ აღნიშნულია, რომ აფხაზურს 66 ფონემა აქვს, მაგრამ აკლია კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ზოგი ბგერა. ასეთია, მაგალ., ლატერალები, დადასტურებული ხუნძურსა და ადიღეურ ენებში, აბრუპტივული სპირანტები და სხვ. ეს ნაშრომი საყურადღებოა, საზოგადოდ, კავკასიურ ენათა ფონეტიკის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ფინანსური ანგარიშგება

| ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცხრილი | | |

ხმოვნები (სამკუთხედი):



გიორგი ახვლედიანის ფონეტიკის საფუძვლებში ქართული ფონეტიკის მრავალი საკითხია დასმული და გადაწყვეტილი. აქ შევეხებით მახვილის პრობლემას, რომელიც დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი ენის ფონეტიკური სტრუქტურის კვლევის დარგში.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის მახვილის საკითხს იკვლევდნენ პროფ. ჰ. შუხარდტი, პროფ. გ. დეეტერსი, პროფ. ა. დირი და სხვ., რომელთაც უმთავრესად მახვილის ადგილმდებარეობა აინტერესებდათ; მახვილის რომელობის კითხვა მათ არ დაუსვამთ სათანადო სიღრმით. ამ საკითხს გვერდი აუარა აკად. ნ. მარმაც რუსულად გამოქვეყნებულ ძველი ქართული ენის გრამატიკაში (1925 წ.), თუმცა გარკვეული მოსაზრებები გამოთქვა მახვილის ადგილის შესახებ. ფრანგულად გამოქვეყნებულ ქართული ენის გრამატიკაში (პარიზი, 1931) კი ნათქვამია, რომ ქართულს ახასიათებს ტონური მახვილი. ქართული აქცენტოლოგიის კვლევაძიებაში საყურადღებოა ე. ზელმერის ექსპერიმენტული ძიება (ჰანს ფოგტის ინიციატივით). მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ სალიტერატურო ენას არა აქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც მუსიკალური (ტონური) მახვილი. ზელმერი და ფოგტი მაინც ადასტურებდნენ, რომ ჩვენს ენაში დომინანტია ტონური მახვილი, ხოლო მასთანვე დამახასიათებელია დინამიკური ანუ ექსპირატორული მახვილი. ზელმერ-ფოგტის თვალსაზრისი ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ ლაპარაკია დინამიკური მახვილისა და ტონური მახვილის თანაარსებობაზე ერთი მარცვლის არეში.

მათ ხაზი გაუსვეს სახმო სიმების ჟღერის ინტენსივობა-დაძაბულობას და ხმოვნის ტონებრივად განსხვავებულობის ერთობლიობას.

ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით საკითხი შესწავლილია პროფ. არნ. ჩიქობავას მიერ. მიღებულია დასკვნა: უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში უნდა გვქონოდა ძლიერდინამიკური არაფიქსირებული მახვილი.

გიორგი ახვლედიანმა ცხადი გახადა, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში დომინანტია დინამიკური სიტყვათმახვილი, მაგრამ მასში ჩანს ტონურობის ელემენტიც. ეს მახვილი სუსტია, უფრო სუსტი, ვიდრე, ვთქვათ, ფრანგულში. ამრიგად, მიღებულია ფორმულა: დღევანდელ სალიტერატურო ენას ახასიათებს „ტონურ-დინამიკური მახვილი". მახვილი ეცემა მესამე მარცვალზე, ბოლოდან, ორმარცვლიან სიტყვებში კი — ბოლოდან მეორეზე.

ეს დებულება დღეს ურყევია და სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებული.

ამასთანავე გიორგი ახვლედიანი პირველი მკვლევარია, რომელმაც განიხილა ქართულში თხრობითი, კითხვითი და ძახილის ტიპის სიტყვათშეხამებაში მახვილის საკითხი ინტონაციასთან დაკავშირებით და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები.

გიორგი ახვლედიანმა გაარკვია ქართულ თანხმოვანთა მჟღერობის ხარისხი და ადგილი („თანხმოვანთა მჟღერობის ხარისხის დადგენის მეთოდი"). მან ქართული ბგერები დაალაგა მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით. გამოირკვა, რომ სრული მჟღერობის ხშულები ქართულს არა აქვს; თანხმოვანთაგან სრული მჟღერობისა ქართულში შეიძლება იყოს მხოლოდ ნაპრალოვნები (ვ-ზ-ჟ-ღ). ქართულში თანხმოვნების მჟღერობა კონცენტრირებულია მეტწილად მათი დაყოვნების მომენტში. მთელი თავისი მჟღერობის შესაძლებლობა ქართულ მჟღერ თანხმოვანს შეუძლია გამოამჟღავნოს მხოლოდ მჟღერ ბგერათა შუა; სიტყვის თავსა და ბოლოში და აგრეთვე ყრუ თანხმოვანთა. მეზობლობაში ქართული მჟღერი თანხმოვანი ნახევრად ან ნახევარზე ნაკლებ მჟღერია ან სრულიად დაყრუებულია, თუ არ ხდება მეზობელი ყრუ თანხმოვნის ასიმილაციური გამჟღერება. სიტყვის თავში მჟღერის წინ ქართულ მჟღერ თანხმოვანს აკლდება მჟღერობა, მაგრამ ამ პოზიციაში მისი გაყრუება არ ხდება.

ნაშრომში „ვ ბგერის მეტათეზისი ქართულში“ დადგენილია, რომ თანხმოვანთა კოპლექსში ვ-ს გადასმა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ თანხმოვანს წინ უძღვის რ, ლ, მ, ნ და მათ წინ უსწრებს წყვილბაგისმიერი ხშული, წინაენისმიერი ან უკანაენისმიერი თანხმოვანი. გადასმის ეს ფორმები ლიტერატურულ ნორმადაა ჩამოყალიბებული.

ძალიან საინტერესოა, რომ გიორგი ახვლედიანის ძიებით ფარდა აეხადა ქართული ხშულების ერთ „საიდუმლოებას“. ესაა ხშულთა მეექვსე სამეულის დადასტურება.

ჩვენი მეცნიერი დაუკვირდა ჯ—ყ-ს და თავიდანვე მისთვის ნათელი შეიქმნა, რომ ამ თანხმოვნების ფონეტიკურ-ფიზიოლოგიური ტრადიციული კვალიფიკაცია არაა მართებული. გარდა ტერმინოლოგიური შეუსაბამობისა, რაც მეცნიერმა სრულიად უდავო გახადა, სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არ არის განსაზღვრული მათი ადგილმდებარეობა. ადრე აღნიშნული იყო ჯ — ყ-ს ფარინგალური ხშულობა, ე. ი. ენის ძირის ხშვა ხახის უკანა კედელთან მათი არტიკულაციისას. ზელმერი მათ პოსტველარულს ანუ ღრმად უკანაენისმიერს უწოდებდა. მის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ნათქვამია: „განსაკუთრებით, სამწუხაროდ ჩემდა, უნდა გამოვტყდე, რომ პოსტველარული ხშულის (ყ-ს) ბუნება ბნელი და გამოუცნობელი დარჩა ჩემთვის. სარისკო და დაუსაბუთებელი ჰიპოთეზების წამოყენებას („იმპლოზიური წოვნითი ბგერა“!) ვამჯობინე შემეწყვიტა ჯერჯერობით ყოველგვარი დაწვრილებითი ანალიზი — იმ იმედით, რომ, თუ მე თვითონ არა, ვინმე სხვა მკვლევარი შეძლებს — იქნებ, პალატოგრამული გზით — ფარდა ახადოს მას“ (სავარაუდებელია, ჯ-ს შესახებაც იგივე ეთქვა ავტორს, თუ მას დაუკვირდებოდა). გიორგი ახვლედიანი ჯერ კიდევ 1938 წელს აღნიშნავდა, რომ პოსტველარული არ შეიძლება ეწოდოს ჯ—ყ-ს, პალატოგრამით კი შეუძლებელია მისწვდეს კაცი მათი წარმოთქმის ადგილსო. მაშ, რა უნდა ვიფიქროთ? გიორგი ახვლედიანის აზრით, ენის ძირი აწარმოებს ხშვას ხახის უკანა კედლის მიმართ; უკანა თაღები უახლოვდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან ღარისებურ გასავალს; სიმები დახშულია ყ-სთვის, ხოლო სიმები ღიაა საასპირაციოდ ჯ-სთვის; მათი არტიკულაცია ხდება ხახის ღრუში — ამიტომ ეწოდება მათ ფარინგალური.

გიორგი ახვლედიანი მიდის დასკვნამდე: იმავე ადგილას, სადაც გვაქვს ჯ — ყ, შესაძლოა წარმოითქვას მჟღერი ფარინგალური ხშული, ე. ი. მეექვსე (დეფექტური) სამეულის მჟღერი წევრი!

მაგრამ ქართულ ენაში — არც ისტორიულად და არც დიალექტურად — ეს ბგერა დადასტურებული არა გვაქვსო, აღნიშნავდა კვლევის ამ პირველ ეტაპზე გიორგი ახვლედიანი. ნ. მარს იაფეტიდოლოგიური ანბანის კვადრატში აღნიშნული აქვს ბგერა ɡ, როგორც რეკონსტრუირებული თანხმოვანი! ამ ჰიპოთეზურად აღდგენილი ბგერის ფონეტიკური აღწერა ჯერ კიდევ არ იყო მოცემული. მართალია, გიორგი ახვლედიანმა დაადასტურა დიალექტურ წარმოთქმაში კომბინატორულად ამ ბგერის არსებობა, მაგრამ — როგორც ფ ო ნ ე მ ა — ის ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ იყო, თუმცა გიორგი ახვლედიანმა მიაკვლია გარკვეულ ბგერას ენამოშლილის წარმოთქმაში.

გიორგი ახვლედიანი საკითხის დამუშავების პირველსავე ეტაპზე აღნიშნავდა: „ისტორიულ ხანაში ეს ɣ, როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ resp. ქართველურ ენებში უკვალოდ; შესაძლოა, რომ იგი შეცვალა ღ-მ, ისე როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჯ შეცვალა ხ-მ, ვინაიდან ɣ : ღ -ჯ : ხ.

კვლევის მომდევნო ეტაპებზე არ გამართლდა მჟღერი ფარინგალის უკვალოდ დაკარგვა ქართველურ ენებში: აღმოჩნდა არა მხოლოდ მისი რეფლექსები ჩვენს ენებში, არამედ თვით იგივე ბგერა, ნაშთობრივი სახით, სვანურში (პროფ. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი).

შემდგომ ქართველურ ენათა სათანადო მასალის ანალიზისას პროფ. გ. რ ო გ ა ვ ა მ ნათლად დაადასტურა გიორგი ახვლედიანის ვარაუდი, მაგრამ დაადასტურა „მნიშვნელოვანი შესწორების (უფრო სწორად — აუცილებელი დამატების) შეტანით, რის მეოხებითაც შესაძლებელი 'შეიქნა ზუსტი შედარებითი მეთოდის მიყენება სათანადო მასალის შესწავლისას“ (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი).

სავსებით მართებულად შენიშნავს გიორგი ახვლედიანი, რომ „ფარინგალური მჟღერი ხშულის საკითხი გასცდა ქართველურ ენათმეცნიერებას. აქედან ჩანს, თუ რა მდიდარი შედეგების პერსპექტივა შეუძლია ჰქონდეს შედარებითი მეთოდის გამოყენებას“.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია გიორგი ახვლედიანის დაინ-

ტერესება ხეთური ენის ფონეტიკური სისტემით (ქართულთან პარალელების გავლების მხრივაც).

აკად. სიმონ ჯანაშია საგანგებოდ შენიშნავდა: „გ. ახვლედიანი იკვლევს კონსონანტიზმის საკითხებს ხეთურში, რომელშიც იგი პოულობს ხშულ თანხმოვანთა ისეთსავე სამეულებრივ სისტემას, როგორიცაა ქართველურ ენებში. ამ კვლევის დადებითს შედეგებს შეუძლია გახსნას სრულიად ახალი გზა ხეთური ენის შესწავლის ისტორიაში — ქართველურ ენებთან ხეთურის წარმოების დადგენის მხრივ“ (ენიმკის მოამბე, I, გვ. XXIV).

გიორგი ახვლედიანის კალამს ეკუთვნის რამდენიმე გამოკვლევა, რომლებშიც აღძრულია ქართული დიალექტოლოგიის საკითხები ფონეტიკის ასპექტში.

ნაშრომში „შენიშვნა „ვჟარები, ჟარე“-ს შესახებ“ (1923 წ.) წამოყენებულია საყურადღებო დებულება ქართულ ენაში არსებული ჟ ფონემის შესახებ. მკვლევარმა შეისწავლა ჟ-ს შემცველი სიტყვები ქართულში (ასეთები შედარებით ცოტაა) და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჟ ბევრ შემთხვევაში მეორეული წარმოშობისაა, ის არ უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში. ავტორის ვარაუდით, ჟ მიღებულია ჲ-საგან რომელიმე დიალექტში: „ქართული ენის რომელიღაც კილოს (მესხურს?) ახასიათებდა შემდეგი ფონეტიკური მოვლენა: ჲ იცვლებოდა ჟ-დ, როცა იგი ხვდებოდა ხმოვანს ერთი მარცვლის ფარგლებში... რადგანაც ჟ-ბგერიანი სიტყვები სალიტერატურო ქართულში შედარებით ცოტაა, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ჟ-ბგერა არ იყო იმ კილოს კუთვნილება, რომელიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ქართულს“.

გიორგი ახვლედიანი დასძენდა: „საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას როგორც ცოცხალ კილოებში, ისე ძეგლებშიაც. ისტორიული დიალექტოლოგიისათვის შესაძლოა იგი ერთ-ერთ დასაყრდენ წერტილად გამოდგესო“. მართლაც, მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ, დოც. თინათინ გონიაშვილმა, საგანგებოდ შეისწავლა ეს საკითხი მასწავლებლის მიერ დასახული ამოცანის შესაბამისად და ნაშრომში «К истории одного звука в грузинском языке» (ენიმკის მოამბე, II, 1937) უცილობლად დაამტკიცა, რომ ჟ ქართულში მეორეული წარმოშობისაა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ აკად.

ნ. მარი, რომელიც ადრე, 1911 წელს, კორიდეთის სახარების მინაწერებთან დაკავშირებით ყურადღებას მიაქცევდა ჲ-ს შეცვლას ჟ-დ მეგრულსა და გურულში: ჟორდანია წარმომდგარია ჲორდანია-საგან და ჟვანია ივანია-საგანო (Груз. приписки греческого евангелия из Коридии: ИАН, № 4, 1911). ნ. მარის დაკვირვების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ ი—ჲ-ს ჟ-დ შენაცვლება მარტო მესხური კილოს თვისება არ ყოფილა, არამედ ასეთი შენაცვლების ოდინდელი არსებობის კვალი ეგრისსა და გურიაშიც არის კარგად შერჩენილიო („ქართ. და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937, გვ. 393). გიორგი ახვლედიანი ეყრდნობოდა სულხან-საბა ორბელიანის ცნობას ამ მოვლენის მესხურობის შესახებ და კითხვის ნიშნის დასმით („მესხურს?“) გვამცნობდა მარტოოდენ მესხურთან დაკავშირების ჰიპოთეზურობას. მთავარი მაინც ისაა, რომ საბოლოოდ დადასტურდა ახვლედიანისეული დებულება ჟ-ს მეორეულობის შესახებ ჩვენს ენაში.

ნაშრომში „დიალექტთა შერევის საკითხისათვის“ (1946) გიორგი ახვლედიანმა შენიშნა ერთი საინტერესო ფონეტიკური მოვლენა ზემოიმერულ დიალექტში და მოგვცა მისი თავისებური ახსნა.

აღმოსავლური და დასავლური დიალექტების ერთ-ერთ განმასხვავებელ-საკლასიფიკაციო ნიშნად ითვლება ი — ე-ს მაასიმილირებელი ძალა პრევერბებში. ეს ხმოვნები იმსგავსებენ ა—ო ხმოვნებს. ზემო იმერეთის სოფელთა ერთ ჯგუფში, გიორგი ახვლედიანის დაკვირვებით, ი და ე იმსგავსებენ ა-ს, მაგრამ ძალა არა აქვთ ო-ზე, რატომ აღმოჩნდა უძლური ი და ე ო-ს მიმართ? ავტორი იძლევა ფიზიოლოგიურ დასაბუთებას: ო-ს აქვს სპეციფიკური არტიკულაცია — ლაბიალური, რითაც იგი უპირისპირდება ი-სა და ე-ს: ტუჩების მიხედვით ო მომრგვალებულია, ხოლო ი და ე — განივი; დაპირისპირებული ხმოვნები ერთმანეთზე გავლენას ვერ მოახდენდნენ. პირიქით: ა განივ ხმოვანთა რიგისაა. ამიტომ ე და ი არ უპირისპირდება ა-ს და ამ მხრივ და ამის გამო ადვილად მოქმედებს მასზე. მკვლევარი დასძენს, რომ მხოლოდ ფონეტიკური პროცესის ფიზიოლოგიური დასაბუთება ვერ გაარკვევს სათანადო სოფლების თქმასა და დანარჩენი კილოების განსხვავებას. აქ დიალექტთა შერევის საკითხია წამოჭრილი; ქართლურ-იმერული! (ეგევე მოვლენა მე დადასტურებული მაქვს ზემორაჭულში, ოღონდ მოვლენის ახსნა განს-

ხვავებულია. იხ. ჩემი: „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1954, გვ. 225—226). ამავე ნაშრომში მოცემულია დიალექტთა შერევის მეორე ნიმუშის ანალიზი („აბასთუმანი“...).

მართალია, ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის კანონზომიერების დადგენას პირველად აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება და აღიარა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი მიღწევა ქართული მორფოლოგიის კვლევის დარგში, მაგრამ გიორგი ახვლედიანი პირველია, სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე რომ წარდგა ა. შანიძის დასრულებული მონოგრაფიის შეფასებით, მონოგრაფიისა, რომელშიც მთელი სიღრმით შესწავლილია S_2—O_3 ქართულ ზმნაში. გიორგი ახვლედიანმა დაახასიათა ა. შანიძის ფუძემდებელი და გზისგამკვლევი ნაშრომის („სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“) დიდი მნიშვნელობა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში.

ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ი დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა, რომელიც დაცულ იქნა თბილისის ნორჩ უნივერსიტეტში, და გიორგი ახვლედიანი — პ ი რ ვ ე ლ ი ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ო პ ო ნ ე ნ ტ ი ამავე უნივერსიტეტის სინამდვილეში[1].

გიორგი ახვლედიანმა აღნიშნა: „ამ წიგნის გამოსვლას (იგულისხმება ა. შანიძის მონოგრაფია. — შ. ძ.) ის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ მასთან გაცხოველდება ჩვენში ენის ისტორიულად და დიალექტოლოგიურად შესწავლა; ამგვარად განაწილდება შრომა მკვლევართა შორის, და მხოლოდ ერთი-ორი კაცის საკეთებელი აღარ იქნება ის, რაც მეცნიერთა მთელმა არმიამ უნდა გააკეთოსო“.

ოფიციალური ოპონენტის ეს სიტყვები მომავალმა სავსებით გაამართლა.

გიორგი ახვლედიანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ა. შანიძემ „მიაღწია თავის მიზანს იშვიათის კეთილსინდისიერებით, ძეგლთა ცოდნით და ცოცხალ დიალექტებზე დაკვირვებით“. თავისი საფუძ-

---

1 „დისერტანტს ორი ოფიციალური ოპონენტი ჰყავდა. საბჭოს მიერ პ ი რ ვ ე ლ ო პ ო ნ ე ნ ტ ა დ გამოყოფილი იყო გ. ახვლედიანი, მეორე ოპონენტად — ივ. ჯავახიშვილი“ (პროფ. ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, პირველი დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. № 25, 1966).

ვლიანი რეცენზია გიორგი ახვლედიანმა 1923 წელს გამოაქვეყნა ამ სათაურით: „ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში“. ამავე საგანს შეეხება მისივე ნაშრომი „ჰაე და სანი ქართულ ზმნებში“ (1920 წ.). აქ ვკითხულობთ: „თავის ფრიად საყურადღებო გამოკვლევით პროფ. შანიძემ მრავალი ისეთი რამ აღმოაჩინა ქართულ ზმნაში, რაც დღემდე ბნელით იყო მოცული და რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართული ენის მკვლევართათვის, ე. ი. მათთვის, ვისთვისაც ქართული ენა კვლევის მიზანია“.

ოციან წლებში მწვავედ დაისვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მოწესრიგებისა და სადავო ფორმების აკადემიურ საფუძველზე გადაწყვეტის მტკივნეული საკითხები. ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა მოითხოვა მოწვევა ყრილობისა თუ კონფერენციისა, რომელსაც დაევალებოდა ბოლო მოეღო გრამატიკულ ფორმათა სიჭრელისათვის მწერლობაში და ერთიანი სავალდებულო ნორმები გაეტარებინა ენობრივ პრაქტიკაში.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მოძრაობას სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ საგნის სპეციალისტები; ასეთები იყვნენ პროფესორები აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი, რომლებიც გრამატიკული აზროვნების ახალ მიმართულებას ეკუთვნოდნენ და საფუძველს უყრიდნენ საუნივერსიტეტო ენათმეცნიერულ განათლებას ჩვენში.

შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შედიოდნენ აკაკი შანიძე (თავმჯდომარე), გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე და სერგი გორგაძე (მდივანი), კომისიამ მუშაობა დაიწყო 1920 წლის 4 აპრილიდან. გამოიცა წიგნი „სალიტერატურო ქართულისათვის — პროექტი ქართული ორთოგრაფიული საკითხების მოსაწესრიგებლად“ (მასალები კონფერენციისათვის), რომლის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გიორგი ახვლედიანი; მისი პროექტით დაკანონდა არა ერთი და ორი ლიტერატურული ნორმა. ამასთანავე ცალ-ცალკე დაიბეჭდა აკაკი შანიძის „პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის“ (ეხება პრეფიქსების საკითხს) და გიორგი ახვლედიანის „I: ყრუ mediae ქართულში, II: ჰაე და სანი ქართულ ზმნებში“. დაარსდა გამოცემათა სერია: „მასალები სამწერლო ქართულის ყრილობისათვის“. გიორგი ახვლედიანის ზემოხსენებული შრომა სწორედ ამ სერიის პირველ ნომრად გამოვიდა 1920 წელს.

ამ ნაშრომში გიორგი ახვლედიანმა ექსპერიმენტული ფონეტიკის საშუალებით გამოარკვია ვითარებითი ბრუნვის ნიშნის აკუსტიკური ბუნება და დაასკვნა, რომ ესაა ყრუ mediae, რომელიც ზოგს დ-დ მიაჩნდა და ზოგს თ-დ; მას ორივეს თვისება აქვს. „ეს ბგერა უნდა გამოიხატოს იმ ბგერის ნიშნით, რომლის გენეტიკური თვისებაც (და ისიც ორი) მან შეინარჩუნა; შეიძლება... იმ ბგერის ნიშნით, რომელსაც ის უფრო გავს — ეს არის დონი“. ამის საფუძველზე სალიტერატურო ენაში უფლებამოსილია გავაბატონოთ დ, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი გრამატიკოსის — ს. ხუნდაძის ძლიერი გავლენის გამო ქართულ სამწერლობო ენაში ვითარებითი ბრუნვის ტრადიციულ დ-ს გაუჩნდა მეტოქე თ-ს სახით.

რაც შეეხება ჰ-ს პრეფიქსების ხმარებას, ავტორი ასაბუთებდა გამარტივების იდეას. „თუ ჩვენ მოვიგონებთ, — ამბობდა გიორგი ახვლედიანი, — რომ წერის იდეალთან (წერე, როგორც ლაპარაკობ) ქართული უფრო ახლოს დგას, ვიდრე მრავალი სხვა ენა, რა საჭიროება მოითხოვს უკან დავიხიოთ და სავალდებულოდ გავხადოთ ასეთი წერა: ვჰხედავ, ვჰფიქრობ, ვჰრეცხავ და სხვა მრავალი? ამგვარ ფორმებში ჰ-ს გამოთქმას ჩვენ ვერავის მოვთხოვთ, თუ განზრახ არ გვინდა, რომ შეცდომები გავამრავლოთ; ვერ მოვთხოვთ, რადგან ეს უკიდურესად ხელოვნურია სასაუბრო ქართულისათვის“.

გიორგი ახვლედიანი იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუდმივი წევრი და ერთ-ერთი კანონმდებელი ლიტერატურული ნორმალიზაციისა. ასე, მაგალითად, მისი მოხსენების საფუძველზე სალიტერატურო ნორმათა რესპუბლიკურმა კომისიამ დააკანონა ё და უმახვილო о-ს შემცველ რუსულ სიტყვათა გადმოცემის წესი ქართულში. მოხსენების თეზისები დაბეჭდილია წიგნში „სალიტერატურო ქართულის ნორმები. I“, 1936 (გვ. 58—60).

გ. ახვლედიანი დაინტერესებული იყო ქართული სალიტერატურო წარმოთქმის პრობლემატიკით. ამ საგანზე მის ფონეტიკის სახელმძღვანელოებში საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული. ამ ბოლო ხანებში ჩვენი მეცნიერი ფართოდ ეხმაურებოდა ქართული სასცენო მეტყველების საკითხებს. იგი თავმჯდომარეობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქართული სასცენო მეტყ-

ველების მეთოდურ საბჭოს; მისი მთავარი რედაქტორობით გამოვიდა „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული თეატრალური ტერმინები“; მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა დასაბეჭდად ამავე ტერმინოლოგიური ლექსიკონის ვრცელი ვარიანტი.

თეატრალური საზოგადოების მოამბეში დაიბეჭდა გიორგი ახვლედიანის წერილი „სასცენო მეტყველების ზოგიერთი საკითხი“ (1963 წ.), სადაც განვითარებულია აზრი, რომ სცენიდან უნდა ისმოდეს ქართველი ინტელიგენციის „გასაშუალოებული მეტყველება“: „შეგვიძლია თუ არა მივუთითოთ ობიექტურად და კონკრეტულად, — ამბობს ავტორი, — თუ რა ნიშან-თვისების მატარებელია საერთო ქართული წარმოთქმითი მეტყველება და შეიძლება თუ არა ჩაითვალოს იგი საერთო ქართულის მართებულ ნორმად?“ მეცნიერის აზრით, ესაა თბილისის საშუალო და მომდევნო ასაკის ქართველი ინტელიგენციის მეტყველება, ის საზოგადოებრივად გასაშუალოებული მეტყველება, რომელიც წარმოიქმნა თბილისში ამ საუკუნის დასაწყისში, „როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უმძლავრეს გამაერთიანებელ კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში, დამკვიდრდა მწერლობის, თბილისის უნივერსიტეტის, თეატრალური ინსტიტუტისა და ორი სახელმწიფო (რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის) თეატრის არსებობის პირობებში და მათი მეოხებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმოთქმითი მეტყველების თვალსაზრისით — სრულიად ზოგადად რომ ვთქვათ — ეს დაწესებულებები (მწერალთა კავშირი, ორი უმაღლესი სასწავლებელი და ორი თეატრი), რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მეტყველების კულტურასთან, წარმოადგენენ ერთ კომპლექსს, რომელსაც ამთლიანებს და კვებავს ქართლის მეტყველება, ქართლური წარმოთქმა, რაც სავსებით გამართლებულია ისტორიულადაც: სალიტერატურო ქართულის საფუძველია ქართლური“.

გიორგი ახვლედიანის აზრით, უნდა შევარჩიოთ საუკეთესო წარმომთქმელები, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთო ქართული წარმოთქმის ნორმების მოთხოვნებს („ზომიერად დინჯი, მკაფიო, ტონდაბალი“), ჩავიწეროთ მათ მიერ წარმოთქმული ტექსტები მაგნიტოფონით, შევქმნათ ლინგაფონი სანიმუშო ქართული წარ-

მოთქმისა და სავალდებულო გავხადოთ მათი შესწავლა მათთვის, ვინც თავის მოღვაწეობას უკავშირებს სცენას.

ქართული ენის საკითხებს შეეხება აგრეთვე გიორგი ახვლედიანის შრომები: „სა-ო“ „-ური“-ს მნიშვნელობა ქართულში“ (1923), „ქართული გრამატიკის საკითხები ი. გოგებაშვილის ნაშრომებში“ (1940), „ქართული სალიტერატურო ენა „ცისკრის“ ერთ ნომერში“ (1963) და სხვ.

გავეცნოთ გიორგი ახვლედიანის დამსახურებას ქართული ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოლოგიის დარგებში.

გარდა ზოგადლექსიკოლოგიური ხასიათის შრომებისა („О некоторых вопросах словарного состава языка“, „ი. სტალინის მოძღვრება ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შესახებ“, „სინონიმთა ლექსიკონის შედგენის საკითხები“, „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის“, ნაწილობრივ — „К вопросу о знаковости в языке“ და სხვ.), გიორგი ახვლედიანის კალამს ეკუთვნის ლექსიკოგრაფიული ნაშრომები — იგი ავტორია ლექსიკონებისა, ამასთანავე მას ღვაწლი მიუძღვის ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენაში.

1904 წელს გამოქვეყნდა იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რომელმაც თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებრიობას (1918 წ. გამოვიდა მეორე გამოცემა). ჩვენს დროში დაისვა საკითხი ამ ლექსიკონის გადამუშავებულ-შესწორებული სახით გამოქვეყნებისა. ლექსიკონის აღნაგობა და შედგენის პრინციპები შეთანხმებული უნდა ყოფილიყო დღევანდელობასთან და ლექსიკონში თავისი გამოხატულება უნდა ეპოვა თანამედროვე ლექსიკოგრაფიის მიღწევებს. ამ არსებითი ხასიათის ოპერაციების ჩატარება მიენდო გიორგი ახვლედიანს, დავით ონიაშვილსა და ერეკლე ტატიშვილს პირველი მათგანის საერთო ხელმძღვანელობით და მის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

გიორგი ახვლედიანის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა დაედგინა უცხო სიტყვების მართებული დაწერილობა ქართულად. ამდენად უცხო სიტყვები პირველად დალაგდა ქართული დაწერილობის პრინციპების გამოყენებით და, საზოგადოდ, დღევანდელი ორთოგრაფიის თავისებურებათა გათვალისწინებით. პირველადვე იქნა

შემუშავებული რედაქტორის მიერ ამ კატეგორიის სიტყვათა მთელ სივრცეზე უცხო სიტყვათაგან ზმნის ისეთი წარმოება, როგორიცაა, მაგალ., „დეკლასირება“, „დეკორირება“, „ლოგარითმება“ და მისთ. ასეთი წარმოება ჩვენში დაკანონებულია ცენტრალურ-სარესპუბლიკო სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ (რომლის აქტიური წევრი გიორგი ახვლედიანი გახლდათ), არნ. ჩიქობავას მოხსენების თანახმად. ისიც აღსანიშნავია, რომ ი-ზე დაბოლოებულ სიტყვებში გამოყოფილია **ი**, როცა ის არაა ფუძისეული, და მიმატებული კია ქართულში (დეკან-ი, მოპასან-ი...).

გარდა ამისა, გასწორდა იმედაშვილის ლექსიკონის მთელი რიგი უზუსტობანი, მასალა დაიხვეწა, ენციკლოპედიურობის განხრისაგან რამდენადმე განთავისუფლდა და სხვ. ამრიგად, ლექსიკონი მეცნიერულად გაიმართა და ზოგ ნაწილში ძირეულად გადამუშავდა.

1933 წელს გამოქვეყნდა გიორგი ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რომელიც წარმოადგენს მისივე გამოუქვეყნებელი ვრცელი ლექსიკონის შემოკლებულ ვარიანტს. აქ გატარებულია ის პრინციპები, რომლებიც გამოიყენა ავტორმა იმედაშვილის ლექსიკონის რედაქტირებისას. თუ ამ უკანასკნელის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მთლიანი გადამუშავება, ბუნებრივია, შეუძლებელი გახდა, სამაგიეროდ გიორგი ახვლედიანის ლექსიკონი თავისუფალია იმ ნაკლისაგან, რაც აქა-იქ თან დაჰყვა იმედაშვილის ნაშრომს. საერთო სტრუქტურისა და სიტყვათა განმარტებების სიზუსტის თვალსაზრისით გიორგი ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ სანიმუშოა; მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

გიორგი ახვლედიანმა შეადგინა (ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ თ ა ნ ერთად) „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (I, II), „ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონი“ (ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს თ ა ნ ერთად); იგი იყო „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის წევრი, რუსულ-ქართული სამტომიანი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ. აქვე აღსანიშნავია, რომ მისივე ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით მომზადდა ნიკო მარის ეტიმოლოგიების ვრცელი ლექსიკონი (ჯერ არ გამოსულა).

დიდი ამაგი დასდო გიორგი ახვლედიანმა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეს. მისი რედაქტორობით თუ მონაწილეობით გამოცემულია ბევრი სპეციალური დარგის ტერმინოლოგია (მაგ., ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, სოფლის მეურნეობის და სხვ. ტერმინოლოგია).

VI. ინდოევროპული ენები

გიორგი ახვლედიანმა საენათმეცნიერო განათლება ინდოევროპული ენების ბაზაზე მიიღო; იგი იყო ინდოევროპეისტი. ფლობდა მსოფლიოს ენათა ამ დაჯგუფების სტრუქტურას, ამ ენობრივ ოჯახში შემავალი ენების ისტორიას. ზოგადლინგვისტური თუ ზოგადფონეტიკური საკითხების კვლევისას ჩვენი მეცნიერი სააპელაციოდ მიმართავდა უპირველეს ყოვლისა ინდოევროპული ენების მონაცემებს. მის ენათმეცნიერების პროპედევტიკულ კურსში და ფონეტიკის სახელმძღვანელოებში მოხმობილია მთელი რიგი ენების მასალა. ეს ენებია: ბენგალიური, ბელორუსული, ბერძნული, ბულგარული, გერმანული, დანიური, ესპანური, ინგლისური, ინდური (ძველი, ახალი), ისლანდიური, იტალიური, ლათინური, ლიტვური, ნორვეგიული, ოსური, პოლონური, რუსული, სერბიული, სლავური, სომხური, სპარსული, ფრანგული, ჩეხური და სხვ., ამასთანავე სემიტური (არაბული, ებრაული) და ქამიტური ენები, უნგრული, ფინური, ჩინური, რომ არაფერი ვთქვათ ქართველური და მთის კავკასიური ენების შესახებ.

გიორგი ახვლედიანი ინდოევროპული ენებიდან საილუსტრაციო მასალის ანალიზით არ იზღუდება, — იგი ამ ენობრივი ოჯახის ზოგი განშტოების მკვლევარია და აღიარებული სპეციალისტია, რომლის გამოკვლევებს სათანადო ანგარიში ეწევა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

აქვე უნდა ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანის რამდენიმე სტატია ინდოევროპულ ენათა შესახებ დაბეჭდილია „Большая Советская Энциклопедия“-ში („Индоиранские языки“, „Иранские языки“).

გიორგი ახვლედიანს, როგორც მკვლევარს, იზიდავდა ინდოევროპულ ენათა ოჯახის ა) ინდური ჯგუფი, ბ) ირანული ჯგუფი, გ) სლავური ჯგუფი.

გიორგი ახვლედიანი პირველია, რომელმაც ჩვენში ინდოევროპულ ენათა კვლევა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

ა) ინდოლოგია

როგორც ზემოთ, სათანადო ადგილას, აღინიშნა, გიორგი ახვლედიანი თბილისის უნივერსიტეტში თავიდანვე კითხულობდა ძველი ინდურის — სანსკრიტის კურსს. 1920 წელს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დადგენილებით (ხელს აწერენ: დეკანი — ივ. ჯავახიშვილი, მდივანი — ა. შანიძე) გამოქვეყნდა გიორგი ახვლედიანის წიგნი: „სანსკრიტი — მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ“.

ამ წიგნის გამოცემა ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ვაღიაროთ, რამდენადაც ძველი ინდური ენის ამსახველი ნაშრომის შექმნა და დაბეჭდვა ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის აკადემიურ პრესტიჟზე მეტყველებდა, უნივერსიტეტში წარმოდგენილ მეცნიერულ დისციპლინათა მრავალფეროვნებას ადასტურებდა.

კლასიკური ინდურის გრამატიკული აღნაგობის სხარტ და ზუსტ დახასიათებას მოსდევს შერჩეული საკითხავი მასალა ინდური შრიფტით, რომელიც მეორდება ლათინური ტრანსკრიფციით; ბოლოს დართულია ტექსტებში მოცემული სიტყვების ლექსიკონი.

გიორგი ახვლედიანს ეკუთვნის თარგმანები ძველი ინდურიდან, რომლებიც შესრულებულია ოდნავ არქაიზებული სტილიზებული ქართული ენით. ამ თარგმანების მაღალმხატვრულობა სრულიად უდავოა. 1918 წელს გამოქვეყნდა „დასაბამი ნივთთა“ (რიგ-ვედა, X). 1958 წელს — ორი ჰიმნი რიგ-ვედიდან.

1947 წელს ინდოეთის ინგლისურსა და ინდურ პრესაში გამოქვეყნდა გიორგი ახვლედიანის წერილი: „ისტორიული და ლიტერატურული ცნობები საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთნაცნობობის შესახებ“, 1948 წელს — ინდოეთის პრესაშივე: „ისტორიული მარშრუტი „საქართველო-ინდოეთი“ (დანიბეგაშვილის შრომის მიხედვით)“, 1960 წელს — თაგორისადმი მიძღვნილ კრებულში (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) — „Рабиндранат Тагор в грузинской литературе“.

ბ) ირანისტიკა

ინდოევროპულ ენათა ირანული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — ოსური დიდი ხანია იპყრობს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ცნობილი სპეციალისტების ყურადღებას. ეს ენა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ საგულისხმო საკითხები ისმის ქართულ ენასთან კონტაქტების თვალსაზრისით. ეს კონტაქტები შედეგია ქართველთა და ოსთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა. ამ ენობრივ ურთიერთობას იკვლევდნენ აკად. ვ. მილერი, აკად. ნ. მარი, პროფ. ვ. აბაევი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები, რომელთაც გვერდში ამოუდგა გიორგი ახვლედიანი და ამ დარგში მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. გარდა ამისა, ჩვენს მეცნიერს, როგორც ინდოევროპეისტს, თავისთავად აინტერესებდა ოსური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხები.

გიორგი ახვლედიანი პირველია, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში კითხულობდა ოსური ენის კურსს. აკად. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა: „თავითგანვე დასახული მიზნისდა თანახმად, ტფილ. სახ. უნივერსიტეტში კავკასიის ენების შესწავლასაც სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული და ერთი მხრით აბხაზურისა, მეორე მხრით — კი ოსურის კურსი არსებობდა... უნივერსიტეტში მიღებული მეთოდისდა თანახმად, ამ ენების მონოგრაფიული საფუძვლიანი გამოკვლევაა მიზნად დასახული... ზოგი რამე მაინც უკვე გამოქვეყნებულია... ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულია პროფ. გ. ახვლედიანის“ შრომები (ჩამოთვლილია 6 შრომა. იხ. „ქართ. და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, გვ. 81).

გიორგი ახვლედიანის ოსური შტუდიები საყოველთაოდ ცნობილია.

„საბჭ. საქართველოში ჩაისახა და დიდი წარმატებით ვითარდება ოსური ენის შესწავლაც, რისი ინიციატორი და მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. გ. ახვლედიანი. გ. ახვლედიანის გამოკვლევებმა ამ დარგში მიიქციეს ყურადღება და მაღალი შეფასება მიიღეს როგორც საბჭ. კავშირის, ისე საზღვარგარეთის სპეციალისტებისაგან“ (აკად. სიმ. ჯანაშია).

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რა ახალი შეიტანა გიორგი ახვლედიანმა ოსურის (და, საერთოდ, ირანული ენების) კვლევა-ძიებაში, მაგრამ აქ მინდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება: ზოგიერთი ფონეტიკური კანონზომიერება, რომლებიც დადგენილია ქართულ ენაში გიორგი ახვლედიანის მიერ, ნაყოფიერი აღმოჩნდა ოსური ენის ფონეტიკური სისტემის შესწავლისათვის. როგორც ზემოთ ითქვა. გიორგი ახვლედიანმა გამოიკვლია ქართული აბრუპტივები. ეს სპეციფიკური თანხმოვნები კავკასიურ ენებში გვხვდება (ამასთანავე, ცნობილია აფრიკის ენებშიც, როგორც ეს ნათელყო პროფ. ნ. იუშმანოვმა). უმთავრესად გიორგი ახვლედიანის ნაშრომებმა ბიძგი მისცა პროფ ვ. ა ბ აე ვ ს, ამ თვალსაზრისით შეესწავლა ოსური ენა და ანალოგიური შედეგები მიეღო. ირანული ენის დიდი ავტორიტეტი, ვ. აბაევი, აღნიშნავდა: «Коренные языки Кавказа... характеризуются в области фонетики одной, особенно яркой, общей чертой: наличием смычно-гортанных согласных (надгортанных по терминологии Н. Ф. Яковлева, эффективных по терминологии Н. В. Юшманова, абруптивов по терминологии Г. С. Ахвледиани»)[1]. ამ ტიპის თანხმოვნების გავრცელების არე უმთავრესად შემოიფარგლება ქართულიდან ნასესხები სიტყვებით. პროფ. ვ. აბაევი ადგენს ოსური აბრუპტივების ბუნებას, ითვალისწინებს რა ქართულ აბრუპტივთა წარმოთქმის თავისებურების ახვლედიანისეულ გაგებას. «Прекрасный знаток кавказской фонетики Г. С. Ахвледиани, — ამბობს პროფესორი აბაევი, — когда мы поделились с ним этой мыслью, возразил, что по его наблюдениям смычно-гортанные («абруптивы») в произношении, скажем, грузина не требует никакого особого напряжения артикулирующих органов. Охотно соглашаемся с авторитетным мнением специалиста»[2]. შემდეგ ავტორი მსჯელობს ოსურის გასხვავებულ ვითარებაზე.

გარდა ამისა, აღსანიშნავია შემდეგი. გიორგი ახვლედიანის მიერ აღმოჩენილმა კანონმა — აბრუპტივების დისიმილაციურმა გამქრალებამ, რაც თავდაპირველად ოსური ენის მასალაზე იქნა დადასტურებული, იმავე პროფ. ვ. აბაევს ბიძგი მისცა გამოეკვლია ოსურში სრულხმოვნობა ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში. მას შემდეგ, რაც ცნობილი ირანისტისათვის ცხადი გახდა, რომ

[1] В. И. А б а е в. Осетинский язык и фольклор. I. Ленинград. 1949. стр. 518.

[2] იქვე, გვ. 525.

«Грузинские заимствования в осетинском уже послужили предметом ценных наблюдений Г. С. Ахвледиани»[1], სწორედ ამ აღმოჩენის საფუძველზე მან მიაგნო და დაადგინა სრულხმოვნობის ფაქტი.

კიდევ ერთი ნიმუში, მაჩვენებელი იმისა, რომ გიორგი ახვლედიანის გამოკვლევამ სტიმულის როლი შეასრულა ოსურში ახალი კანონზომიერების დადგენისათვის.

1924 წელს დაიბეჭდა გიორგი ახვლედიანის ნაშრომი „სამი-t-ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან“, რომელშიც დამტკიცებულია მესამე t-ს არსებობა ოსურში. პროფ. ვ. აბაევი თავის გამოკვლევაში «Четыре ряда смычных согласных в осетинском» (1926) გადმოსცემს გიორგი ახვლედიანის შრომაში მიღებულ შედეგებს («Тбилисский иранист проф. Г. Ахвледиани... на основании изучения осетинских текстов, подкрепленного собственными наблюдениями, приходит к следующим выводам...») და რაც საინტერესოა, დასძენს: „Мои наблюдения... подтверждая полностью положение Г. Ахвледиани о «трех t», обнаружили однако», რომ ოსურში დასტურდება არა მარტო სამი „ტ“, არამედ გვქონია სამი „კ“, სამი „ც“ და სამი „ჩ,“[2] ავტორი ასაბუთებს ახალ დებულებას გიორგი ახვლედიანის გამოკვლევაზე დაყრდნობით.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, გიორგი ახვლედიანის დაკვირვებები ოსურ (resp. ირანულ) მასალაზე არათუ გაზიარებულია საგნის სპეციალისტების მიერ, არამედ ამ დაკვირვებებმა აღძრეს ახალი საკითხები და შუქი მოჰფინეს მანამდე უცნობ ფონეტიკურ კანონზომიერებებს. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა და მკვლევრმეტყველურად მოწმობს ქართველი ირანისტის მიერ მიღებული შედეგების მეცნიერულ ღირებულებას.

ზემოთ აღინიშნა, რომ გიორგი ახვლედიანმა ოსური ენის მასალაზე დაადგინა დისიმილაციური გამჟღერების წესი, რომლის უნივერსალიზმი ჩვენი ენების მასშტაბით სრულიად უდავო გახდა. იგივე პროფ. ვ. აბაევი შრომებში: «Смычно-гортанные согласные в осетинском», «Полногласие в картвельских заимствованиях» ადას-

[1] В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, Ленинград, 1949, стр. 526.

[2] იქვე, გვ. 512.

ტურებს, რომ ოსური ენის საფუძველი „დისიმილაციური გამჟღერების კანონისათვის მტკიცება და უდავო („Это явление [იგულისხმება დისიმილაციური გამჟღერება.—შ. ძ.] отмечено Г. С. Ахвледиани и иллюстрировано им рядом совершенно убедительных примеров..."; „на 20 примерах автор устанавливает закономерность...")[1].

გიორგი ახვლედიანის საბელთანაა დაკავშირებული ოსური ენის რამდენიმე ფონეტიკური მოვლენის კვალიფიკაცია. ასეთია, მაგალითად, პროთეტული ხმოვნის გამოკვლევა ოსურში. იალღუზიძის ქართულიდან ოსურად ნათარგმნ ტექსტებში ჰ არაიშვიათად გვხვდება სიტყვის თავში (ირონულ დიალექტში, რომელიც სალიტერატურო ოსურის საფუძველია, მას არავითარი შესატყვისი არ მოეპოვება). არც აკადემიკოს მილერს და არც აკადემიკოს შოგრენს ამ მოვლენისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. გიორგი ახვლედიანმა სპეციალურ გამოკვლევაში „პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში" (1923) შეისწავლა ეს საკითხი და მიიღო დასკვნა, რომ აქ საქმე გვაქვს პროთეტულ ხმოვანთან.

უთუოდ მნიშვნელოვანია გიორგი ახვლედიანის გამოკვლევა „Dativus praedicativus ოსურ ენაში" (1923). ტექსტების შესწავლის საფუძველზე ჩვენი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ nominativus praedicativus-ისა და accusativus praedicativus-ის პარალელურად ოსურ ენაში საკმაოდ გავრცელებულია dativus praedicativus-ი. ამ მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხის გაშუქებაც ახალია; წინანდელ მკვლევრებს ეს არ აღუნიშნავთ.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა გიორგი ახვლედიანის ნაშრომებმა ოსური დიალექტოლოგიის დარგში. ამ საგანზე მან გამოთქვა და დაასაბუთა მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ახალ პერსპექტივებს შლიან ოსური ენის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. ჩვენმა მეცნიერმა შეასწორა აკად. ვ. მილერის ზოგიერთი შეხედულება და საოპერაციო მასალად გამოიტანა, ერთი მხრივ, იალღუზიძის ტექსტები და, მეორე მხრივ, საკუთარი დიალექტოლოგიური ჩანაწერები.

აკად. მილერის აზრით, ოსურ ენას შეადგენს ორი მთავარი დიალექტი: 1. დასავლურ-ოსური ანუ დიგორული და 2. აღმოსავლურ-ოსური ანუ ირონული. ეს უკანასკნელი საფუძვლად

[1] В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, Ленинград, 1949, стр. 520, 526.

დაედო ოსურ სამწერლობო ენას. ამავე ირონულ დიალექტს მილერი მიაკუთვნებს სამხრეთ-ოსურს ანუ დვალურს. გამოჩენილი სპეციალისტი დასძენდა, რომ „თავის მხრივ ირონული დიალექტი წარმოადგენს რამდენიმე კილოკავს, რომელთაგანაც სამხრეთულმა, ამიერკავკასიისამ, განიცადა რამდენადმე ქართული ენის გავლენა“. ამრიგად, დვალური აღიარებულ იქნა ირონულის ქვედიალექტად, ერთ-ერთ კილოკავად.

გიორგი ახვლედიანმა ამ პრობლემას მიუძღვნა ნაშრომი „ოსური ენის ისტორიისათვის (დიალექტთა ვანრიგება გაპალატალებულ ველარ თანხმოვანთა და აფრიკატთა მიხედვით)“, რომელიც ჯერ „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას“ მოხსენდა, ხოლო შემდეგ „ტფილ. უნივერსიტეტის მოამბეში“ დაიბეჭდა (1925 წ.).

უწინარეს ყოვლისა გიორგი ახვლედიანმა გაპალატალებულ ველართა და ძველი აფრიკატების რეფლექსების მიხედვით უარყო მილერის ტერმინი „სამხრეთ-ოსური“, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, იგი შეიცავს ორ სხვადასხვა დიალექტურ ერთეულს. მის ნაცვლად ავტორი ადგენს ტერმინს — „დვალური“. კერძოდ, აფრიკატების ანალიზის შედეგად გიორგი ახვლედიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ოსური ენა იყოფა ორ ჯგუფად; ესაა: ა) დიგორული და ირონული (ჩრდილო და სამხრეთის), რომლებიც ძველ აფრიკატებს წარმოგვიდგენენ მათი სისინა სახით; ბ) დვალური, რომელსაც ისინი დაუცავს მათი შიშინა სახით ძველ საფეხურზე, ხოლო ახალ საფეხურზე უცვლია შიშინა სპირანტებად. ნაშრომში დასმულია ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის საკითხებიც. „არის ცნობა VII საუკუნის ფარგლებში ქ. შ. „დუალი“-ის, როგორც ტომის, არსებობისა ქედს გადაღმა, — ამბობს ავტორი. — ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად არა გვაქვს მასალა არც ოსური ენის შესწავლის მხრივ და არც ოსთა შესახებ ისტორიული ცნობების დამუშავების მხრივ; ასეთ პირობებში ისიც მნიშვნელოვანია, რომ სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში მოხსენებულია „დუალი“. ვ. მილერის აზრით, ეს უდრის დღევანდელ დვალს (თკალთგ). თუ ჩვენ ვიგულვებთ, რომ მაშინდელი დვალებიც ოსურად მეტყველებდნენ, საფიქრებელია აგრეთვე, რომ მათი ცალკე დასახელებით (მოხსენებულია აგრეთვე დიგორი და ალანი — ირონი — როგორც ტომები). ავტორი აღნიშნავს მათ ენობრივ განსხვა-

ვებასაც დანარჩენ ოსთაგან. ეს დვალები უნდა იყვნენ ქედს გადმოღმა ოსთა მოძრაობის პირველი ტალღა. საქართველოს დ ვ ა ლ ე თ ს ა ც მათგან უნდა მიეღო სახელწოდება. მათ დროგამოშვებით (უკანასკნელ საუკუნემდე) მოჰყვებოდა ოსთა ახალ-ახალი ტალღები, რომელთაც ოსი-დვალები ნაწილობრივ დასავლეთისაკენ მისწიეს, ხოლო ნაწილობრივ თავის მასაში გათქვიფეს. დასავლეთისაკენ (კოშკა-ჯავა-კუდაროში) მიწეულნი მოხვდნენ ენობრივად მათთვის უცხო წრეში, რის წყალობითაც მათ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ თავიანთი ენის ძველი სახე".

დვალურის დიალექტური დამოუკიდებლობის საბუთები შემდეგ და შემდეგ გაუმრავლდა ჩვენს მეცნიერს. დვალეთისა და დვალების ისტორიის გასათვალისწინებლად მან საგანგებოდ შეისწავლა წყაროები (ვახუშტი, გიულდენშტედტი, კლაპროთი...) და ამ პრობლემას მიუძღვნა შრომა „ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ" (1941 წ.). აქ ავტორი ამბობს: „როგორც ჩანს, ოსნი (ირონები) შემოჰრილან დვალეთში და გაბატონებულან დვალებზე. ეს დვალებია, რომელნიც გადმოდიან ქედს გადმოღმა მაღრან-დვალეთით და შემდეგ უფრო სამხრეთ-დასავლეთისაკენ... ჩვენი აზრით, ...დვალები საკმაოდ განსხვავებულ დიალექტზე (და არა სხვა ენაზე...) მოლაპარაკენი, ითვისებენ ირონულ დიალექტს...".

გიორგი ახვლედიანმა ამაგი დასდო ოსური ენის ტექსტოლოგიასაც. მის სახელთან არის დაკავშირებული ოსური მწერლობის ფუძემდებლის ივანე იალღუზიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფართოდ შესწავლა. იალღუზიძის შრომებს პირველად ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა შოგრენმა, მაგრამ შემდეგ აკადემიკოსმა მილერმა, როგორც გიორგი ახვლედიანი აღნიშნავს, სათანადოდ ვერ შეაფასა ამ პიროვნების ღვაწლი (ასევე მოეკიდა მას პროფ. ჰიუბშმანი). ოსურის ყველაზე ძველ ძეგლად ითვლებოდა იალღუზიძის მიერ ნათარგმნი 1820—24 წწ. გამოცემული საეკლესიო წიგნები და მის მიერვე შედგენილი ოსურ-ქართული ანბანი.

ნაშრომში „Zur geschichte des ossetischen" II („ოსური ენის ისტორიისათვის", 1926 წ.) გიორგი ახვლედიანმა პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვნად დააფასა იალღუზიძის ღვაწლი და მისი როლი ოსური ტექსტოლოგიის ისტორიაში. აქ მოცემულია

მილერისა და სხვათა მიერ გამოთქმული შესედულებების კრიტიკა და ფაქტობრივი მასალის შესანიშნავი ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია იალღუზიძისეული ტექსტების ფუნდამენტური მნიშვნელობა ოსური ენის შესწავლის დარგში. გიორგი ახვლედიანმავე გამოავლინა და შეისწავლა იალღუზიძის ხელნაწერი (1802 წლისა), რომელიც უძველესია ამ ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და დიდად საყურადღებოა მეცნიერებისათვის. იგი აღმოჩნდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავში. ნაშრომში „1802 წლის ოსური A ხელნაწერი“ (1926 წ.) გიორგი ახვლედიანი აქვეყნებს ამ ტექსტს სათანადო კრიტიკული შენიშვნებით.

შედეგები, რომლებიც მიიღო იალღუზიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის დარგში, გიორგი ახვლედიანმა მოახსენა ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესს ოქსფორდში 1929 წელს. მოხსენებამ სპეციალისტთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

გიორგი ახვლედიანს ძალიან იზიდავდა ქართულ-ოსური პრობლემატიკა, ენობრივი შეხვედრები, საუკუნეთა მანძილზე რომ არსებობს ქართველებისა და ოსების ისტორიული კავშირურთიერთობის პირობებში. ამ დარგში შესანიშნავი ნაშრომები მოგვცა გამოჩენილმა ირანისტმა პროფ. ვ. აბაევმა, რომელიც ქართულის კარგი მცოდნეცაა. გიორგი ახვლედიანის გამოკვლევებში საპატიო ადგილი ეთმობა ვ. აბაევის დამსახურებას და აბაევისეული ბევრი დებულება შემაგრებულია და განმტკიცებული ახალი მასალებითა და გაშუქებით. ამასთანავე გიორგი ახვლედიანმა ფარდა ახადა დღემდე უცნობ ენობრივ კონტაქტებს და თავისი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის დამუშავებაში.

ოსურ-ქართული პარალელების ძიების არა ერთი და ორი ნიმუში და საყურადღებო მიგნებაა თავმოყრილი გიორგი ახვლედიანის ფუნდამენტური მნიშვნელობის წიგნში—„Сборник избранных работ по осетинскому языку“ (I), რომელიც 1960 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა.

ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრალურ გაზეთში („Социалистическая Осетия“, № 193, 1961) ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ოსური ენის შესწავლის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული საქართველოში: „Эти достижения, в основ-

ном, связаны с именем известного советского лингвиста, заслуженного деятеля науки Северо-Осетинского АССР профессора Г. С. Ахвледиани, труды которого являются драгоценным вкладом в осетинское языкознание... В „Сборнике“ имеются ценны материалы и выводы по всем разделам осетинского языкознания: фонетике, грамматике, диалектологии, истории языка, а также по лексике и фразеологии“. აქვე ხაზგასმულია, რომ გიორგი ახვლედიანის წიგნი „выгодно отличается своей библиографической скрупулезностью, широтой и полнотой лингвистического анализа. В нем собран и обобщен большой материал“. ეს ვრცელი და ამომწურავი რეცენზია, სადაც, როგორც ამ ამონაწერიდანაც ჩანს, მაღალი შეფასება ეძლევა გიორგი ახვლედიანის ოსურ შტუდიებს, მთავრდება სიტყვებით: „Выход в свет рецензируемого труда Г. С. Ахвледиани—большое событие в осетиноведении и в кавказоведении“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭ. ორჯონიკიძეში 1963 წელს გამოქვეყნდა ოსური ენის ვრცელი აკადემიური გრამატიკა, რომელიც წარმოადგენს ცნობილი სპეციალისტების კოლექტიურ ნაშრომს; აქ წარმოდგენილია ოსური გრამატიკის შესწავლის თანამედროვე დონე. ამ დიდი წიგნის სატიტულო რედაქტორია გიორგი ახვლედიანი.

წიგნის წინასიტყვაობაში ჩრდ. ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ნათქვამია: „При написании своих разделов авторы пользовались трудами своих предшественников и современников, главным образом трудами А. М. Шёгрена, Вс. Ф. Миллера, В. И. Абаева, Г. С. Ахвледиани, идеи которых положены в основу настоящего издания“.

იქვე ხაზგასმით აღნიშნულია: „Большую работу над текстом Грамматики проделал ее редактор проф. Г. С. Ахвледиани. В результате редакторской работы значительные улучшения были им внесены особенно в разделе „Фонетика“ и „Глагол“.

1966 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მოსკოვში გამოსცა მ. ისაევის მონოგრაფია („Дигорский диалект осетинского языка“), სადაც აღნიშნულია გიორგი ახვლედიანის ღვაწლი ოსური დიალექტოლოგიის დარგში: „Особенно много ценных сведений

можно найти,—ამბობს ავტორი,—в работах крупнейших осетиноведов А. Шёгрена, В. Ф. Миллера, В. И. Абаева, Г. С. Ахвледиани, которые в своих исследованиях привлекли параллельно материал обоих осетинских диалектов...".

ჩვენ დავახასიათეთ გიორგი ახვლედიანის ნაშრომები ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანული შტოს ერთ-ერთი წევრის — ოსურის შესწავლის დარგში.

ჩვენს მეცნიერს მოეპოვება გამოკვლევები ირანული ჯგუფის სხვა ენათა შესახებაც.

ირანული ენების ზოგადი საკითხები აღძრულია გიორგი ახვლედიანის შრომაში „К вопросу о названиях некоторых неиранских народов в ахеменидских клинописях", „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში" (БСЭ) მოთავსებულ სტატიებში („Индоиранские языки", „Иранские языки"), მოხსენებაში — „ძველ ირანელთა სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები ავესტის გათების მიხედვით" (1957), ოსოლოგიურ და სხვა გამოკვლევებში.

სპეციალურ ინტერესს აღძრავს გიორგი ახვლედიანის ძიება ძველსპარსული „მაჩია" ხალხის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ „მაჩიას" ლინგვისტურ-ეთნოლოგიური ინტერპრეტაცია მეცნიერებაში სადავოდ არის მიჩნეული. როლანდ კენტის ძველსპარსულ გრამატიკაში (1953), რომელიც გამოხატავს საკითხის შესწავლის ისტორიის ბოლო ეტაპს, გაზიარებულია მეიე-ბენვენისტის ძველსპარსულ გრამატიკაში (1931) გამოთქმული შეხედულება, რომ „მაჩია" ნაწარმოებია სიტყვისაგან „მაკა" (სპარსეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდებაა).

გიორგი ახვლედიანმა ამ პრობლემას მიუძღვნა გამოკვლევა „აქემენიდთა ლურსმული წარწერების maćviyà ხალხის იდენტიფიკაციისათვის" (1943). გამოკვლევის შედეგად ავტორმა მოახსენა ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესს, რომელიც გაიმართა 1960 წელს. მოსკოვში დაიბეჭდა კიდევაც გიორგი ახვლედიანის მოხსენება ამ სათაურით: „Древнеперсидское MAČIA и грузинское MESX-(XXV Международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР. Издательство Восточной литературы. Москва, 1960). აქ დასაბუთებულია „მაჩიას" ახალი გაგება; იგი უკავშირდება „მესხ" ტერმინს (გამოყოფილია „მეს", „მას", „მოს"; ამასვე ეხ-

მაურება ჰეროდოტესეული სახელწოდება mossy-noikoi, რომელიც ასე იშლება: moss-yn-oikoi). ძველსპარსულ და ძველბერძნულ ენებს არ ჰქონდათ სისინა აფრიკატი, ამიტომ ქართ. „ს“ (-ტს) ძველსპარსულად გადმოცემული იქნა „ჩ“ (-ტშ) ბგერით, ხოლო ძველბერძნულში „სს“-ს საშუალებით. „(s)yn“-ს გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს ძველბერძნულ სიტყვაწარმოებით სუფიქსად, რომლის სახით აღქმულ იქნა ზანურში არსებული სიტყვაწარმოებითი სუფიქსი „-ონ“ სიტყვაში „მოსს-ონ“.

გიორგი ახვლედიანი იმთავითვე დაინტერესებული იყო ძველმაჰმადიანობამდელ ირანელთა წიგნებით (ავესტა), რომლებშიც მექანიკურადაა გაერთიანებული მითოლოგიური, ფილოსოფიური, ლიტერატურული, კანონიკური და სხვა ხასიათის შრომები. ავესტის ნაწილები შექმნილია სხვადასხვა დროს — ათი საუკუნის მანძილზე, დაწყებული ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნიდან და გათავებული ჩვ. წელთაღრიცხვის მესამე საუკუნით.

ყურადღებას იპყრობს გიორგი ახვლედიანის მიერ შესრულებული თარგმანები: 1924 წელს მან გამოაქვეყნა ორი გათა ავესტიდან, 1958 წელს კი — ორი იასნა იმავე ავესტიდან. მეცნიერის არქივში დაცულია დასაბეჭდად გამზადებული ავესტის ხუთი ნაწილი.

1944 წელს გიორგი ახვლედიანმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ავესტის თრაეტაონა და ქართული ზღაპრის თრითინო“.

ფ) რუსისტიკა

ახლა განვიხილოთ გიორგი ახვლედიანის შრომები, რომლებიც შეეხება ინდოევროპულ ენათა სლავურ ჯგუფის ენებს, კერძოდ — რუსულ ენას.

როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი ახვლედიანმა საფუძვლიანი საუნივერსიტეტო განათლება მიიღო უწინარეს ყოვლისა სლავთმცოდნეობაში; მან დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი სლავურ-რუსული განხრით და აღიზარდა მოწინავე რუსული ენათმეცნიერების ტრადიციებზე. თბილისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში გიორგი ახვლედიანი იმთავითვე კითხულობდა ლექციებს

რუსული ენის მეცნიერულ გრამატიკაში, რუსული ენის ისტორიაში, რუსულ დიალექტოლოგიაში.

გიორგი ახვლედიანის პირველ მეცნიერულ ნაშრომში შესწავლილია ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნები სლავურ ენებშიც: ამ საკითხს ეძღვნება მისი შრომა: „Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянских языках“ (1913), რომელმაც იმთავითვე აღიარება პოვა სპეციალისტთა წრეებში.

გიორგი ახვლედიანი ავტორია გრამატიკული ნაშრომებისა რუსული ენის შესახებ.

„რუსული ენის გრამატიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1919 წელს, დაფუძნებულია მეცნიერულ პრინციპებზე და მეთოდოლოგიურად პირველი სახელმძღვანელოა, სადაც ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები ალაგ-ალაგ განხილულია ქართულ ენასთან შეპირისპირებით. აქ ყურადღება გამახვილებულია სწორი წარმოთქმის პრაქტიკულ საკითხებზედაც. წიგნს დართული აქვს „გამარტივებული რუსული მართლწერა“, ხოლო თვით წიგნი განზრახ აგებულია ძველ მართლწერაზე. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს: „სრული ანტიპედაგოგიურობა იქნება ბავშვის ნორჩ ჟონებას მივაწოდოთ ერთი და იმავე ენის ორი სხვადასხვა მართლწერა — ერთი სკოლაში და მეორე სკოლის გარეთ (ამჟამად სკოლაშიც — ქრესტომათიების უქონლობის გამო), ვინაიდან საკითხავი და სასწავლო წიგნები ჯერჯერობით ძველი მართლწერითაა დაბეჭდილი: ეს არის ბავშვის ფსიქიკური ენერგიის ფუჭი ხარჯვა. ახალი მართლწერა, — განაგრძობს ავტორი, — უეჭველად უფრო ადვილი შესასწავლია, თუკი საკითხავი მასალა შესაფერი იქნება; მაგრამ, ვიდრე რუსული წიგნები ძველითაა გავრცელებული, ახალზე გადასვლა უნდა ხდებოდეს თანდათანობით, რაც სავსებით დაცული იქნება, თუ მასწავლებელი „ლმობიერებით“ მოეპყრობა ჲათისა, ჲერ მაგარისა, і (i)-სა და ზედსართავის დაბოლოებათა მართლწერას, ე. ი. დიდ შეცდომად არ ჩაუთვლის მოწაფეს ძველის ღალატს. ამასობაში გამოიცემა წიგნები ახალი მართლწერით და უმტკივნეულოდ შესაძლებელი იქნება „ძველის“ მივიწყება“. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წიგნს ახლავს საგნობრივი საძიებელი, რომელიც, ავტორის აზრით, გაუადვილებს

მასწავლებელს მასალის კონცენტრულად დალაგებას, ხოლო მოწაფეს მიაჩვევს ალფაბეტური წესით სარგებლობას.

ენის სისხარტითა და საკითხების ნათლად დალაგების მხრივ ეს ნაშრომი შეუდარებელია, რთულ გრამატიკულ მოვლენათა ძნელად მისაღწევი სიმარტივით გადმოცემის თვალსაჩინო ნიმუშია.

შემდგომ წლებში გიორგი ახვლედიანმა შექმნა ფუნდამენტური წიგნი „Учебник грамматики русского языка (для грузинских школ)", რომლის მნიშვნელობა არ შეიძლება შემოიფარგლოს სახელმძღვანელოს მიზან-ამოცანებით. ეს არის პირველი მეცნიერული გრამატიკა რუსული ენისა ჩვენში და ასახავს რუსულ-ქართული გრამატიკული მოვლენების პარალელურ შეპირისპირებას; რუსულ-ქართული გრამატიკული კატეგორიები არაიშვიათად გვერდიგვერდაა დახასიათებული და ამ წესით მკითხველს საშუალება ეძლევა რუსული ენის სტრუქტურული თავისებურებები გაიაზროს ქართულთან შეპირისპირებით. დეფინიციები ორ ენაზეა მოცემული. წიგნი რამდენიმეჯერ გამოიცა.

ზედმეტი არ იქნება, გავეცნოთ ერთ-ერთი პრაქტიკოს-პედაგოგის წერილს გიორგი ახვლედიანისადმი: „Прошло уже больше двадцати лет с того времени, как я имела счастье слушать Ваши чудесные лекции, но Вы произвели на нас, на Ваших студентов, также неизгладимое впечатление, что на каждом уроке перед собой вижу Вас, вспоминаю то, как вы произносили каждое слово, каждый звук.

В продолжение многих лет я руководила районной секцией преподавателей русского языка и литературы, близко стою ко всем педагогам района и знаю их мнение о Ваших книгах по русской грамматике. Разумеется, все очень довольны ими. Ведь в них так замечательно, научно рассмотрены все вопросы фонетики, морфологии и синтаксиса.

А что самое главное, ученики любят, обожают эти книги и это вполне понятно: они доступны им.

Хочу написать Вам о некоторых вопросах и прошу обратить на них внимание.

Ничего лишнего в Ваших книгах нет, но вопрос о составе слова требует упрощения (определения корня и основы

слов). Для нас, педагогов, это, конечно, хорошо, но для учеников — тяжело.

Затем, было бы желательно все то, что сказано о роде собрать в одном параграфе...».

ასეთი წერილები მდიდრადაა წარმოდგენილი ჩვენი დიდი მეცნიერის პირად არქივში.

გიორგი ახვლედიანის თანაავტორობით გამოქვეყნებულია აგრეთვე: „Учебная книга для IX кл. груз. школ". „Русская литература", „Русская литература" (Учебн. хрестоматия для VIII кл. груз. школ) და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე სტატიები რუსული ენის დაუფლებისა და ორთოგრაფიის საკითხებზე („რუსული ენის მართებული წარმოთქმისა და ორთოგრაფიის სწავლების შესახებ", „რუსული ენის დაუფლების საკითხები", „რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნის ზოგიერთი საკითხი" და სხვ.).

როგორც ვიცით, გიორგი ახვლედიანი ავტორია „რუსულ-ქართული ლექსიკონისა" (ს. იორდანიშვილთან ერთად) და „ქართულ-რუსული ლექსიკონისა" (ვ. თოფურიასთან ერთად).

გიორგი ახვლედიანს თავის ნაშრომებში გამოთქმული აქვს საყურადღებო შეხედულებები სხვა ინდოევროპული ენების შესახებაც. ამ მხრივ საინტერესოა გამოკვლევები: „გრძელი ხმოვანი -lt>*-xt-ს წინ ძველ ისლანდიურში" (1948), „К вопросу об изменении акцессивного сочетания согласных в старофранцузском языке" (1945), სადაც ახალი დებულებებია წამოყენებული და დასაბუთებული. აღსანიშნავია, რომ ახვლედიანისეული კონცეფცია აქცესიურ-დეცესიურობის შესახებ ნაყოფიერი აღმოჩნდა ინდოევროპული ენების ზოგიერთი ფონეტიკური პრობლემის გადასაწყვეტად.

VII. მოვაჟეული თაობის აღზრდა

გიორგი ახვლედიანი — დიდი ერუდიტი, მეცნიერებაში ახალი გზების გამკაფავი — დაჯილდოებული იყო იშვიათი ადამიანური თვისებებით, მოქალაქეობრიობის მაღალი პრინციპების დაცვით, საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმად შეგნებითა და მამულიშვილური სულისკვეთებით. იგი გახლდათ მომხიბლავი ადამიანი და შინაგა-

ნად მთლიანი პიროვნება. ბატონი გიორგი მოწოდებული იყო ადამიანში აღმოეჩინა და დაენახა დადებითი, ჩაეჭიდა ხელი ამ „კეთილი საწყისისათვის“ და ხელი შეეწყო მისი დომინირებისათვის. ახვლედიანისეული ღიმილი, კეთილშობილებით აღსავსე სახე გავალდებულებდა, გადაგესინჯა საკუთარ სულში დაბუდებული თვისებები და ამ ნათელი კაცის ასპექტებით შეგეფასებინა და დაგეფასებინა ყოველივე. გიორგი ახვლედიანის ღიმილი ნამდვილად გადამდები იყო.

გიორგი ახვლედიანი იყო მიმზიდველი მოსაუბრე, მისი ენამზიანობა დიახაც სანაქებო.

მოხდენილად ამბობს ცნობილი ტაჯიკი პოეტი მირზო ტურსუნ-ზადე, მოჯადოებული გიორგი ახვლედიანის საუბრით:

„ერთი იყო ჩვენს შორის
კაცი ენამზიანი,
თმაჭაღარა სწავლული,
გვარად — ახვლედიანი.
არ იქნება ურიგო,
ახლა თქვენც რომ უწყოდეთ:
ჩვენ მას ჩვენი ცოცხალი
ლექსიკონი ეუწოდეთ.
ამოდ მასლაათობდა
სწავლულთან თუ მგოსანთან,
თავის სათქმელს საამო
სამოსელით მოსავდა“[1].

გიორგი ახვლედიანისათვის ნიშანდობლივი პიროვნული ტაქტი, პედაგოგიური ნიჭი და არაჩვეულებრივი განსწავლულობა მტკიცე საფუძველი იყო იმისათვის, რომ მას გაეზარდა ახალგაზრდების მთელი არმია.

გიორგი ახვლედიანი ქართველ ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობის მოძღვარი იყო. მისი ხელმძღვანელობით გამოიზარდა ათეულობით ახალგაზრდა მეცნიერი, რომლებიც დღეს ამშვენებენ უმაღლეს სასწავლებლებს თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს. ბევრი მათგანი გამოჩენილი მკვლევარია — აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები...

---

[1] მ ი რ ზ ო ტ უ რ ს უ ნ - ზ ა დ ე. პროფესორ ახვლედიანის ქუდი: „რჩეული“, 1958 (თარგმანი მაგალი თოდუასი).

გიორგი ახვლედიანმა მეცნიერთა კადრები აღზარდა ამ დარგებში: ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, რუსული ენათმეცნიერება, ინდოლოგია, გერმანისტიკა, რომანისტიკა, ირანისტიკა, ლოგოპედია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწერა რამდენიმე ათეული დისერტაცია.

პროფესორ გიორგი ახვლედიანს დაწერილი აქვს 112 რეცენზია საკვალიფიკაციო შრომებისა, ამათგან 31 — სადოქტორო დისერტაციისა. მისი ოპონენტობით დაცულ დისერტაციათა ავტორები არიან როგორც ქართველი, ისე მოსკოველი, ლენინგრადელი და სხვა მეცნიერები. სადოქტორო დისერტაციების ავტორთაგან აქ დავასახელებ ენათმეცნიერებს: ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას გ. წერეთელს, დესნიცკაიას (ლენინგრადი), ქ. ლომთათიძეს, ს. ჟღენტს, უსტინოვს (მოსკოვი), ზინდერს (ლენინგრადი), კ. წერეთელს, გუხმანს (მოსკოვი), ილიასს(მოსკოვი), რაის (მოსკოვი), გაგკაევს (მოსკოვი), ალექბერლის (ბაქო), თ. გამყრელიძეს, შ. ძიძიგურს, თ. ბელინსკაიას, მ. იანქოშვილს, ახანოვს (ალმა-ატა), ლიტონს (ინდოეთი).

გიორგი ახვლედიანის პირველი თაობის მოწაფეთაგან აქ დავასახელებ ორ ცნობილ მეცნიერს, რომლებიც თავიანთი საკვალიფიკაციო შრომების წინასიტყვაობაში ასე აფასებენ სახელოვანი მასწავლებლის ამაგს:

არნ. ჩიქობავა (დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი) წიგნში — „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში. I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“ (1928) ამბობდა: „ეს ნარკვევი შეეხება როგორც ძველს ქართულს, ისე საერთოდ ენათმეცნიერების მეთოდოლოგიას; და ბუნებრივია, თუ განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს: პროფ. ა. შანიძეს, პროფ. გ. ახვლედიანს და პროფ. დ. უზნაძეს. მათგან... მეორე — ენაში ენობრივის ძიებას გვასწავლიდა და ენათმეცნიერული თვალსაზრისის გამოყენებისაკენ მიმართავდა გულისყურს...“ (გვ. X). იგივე მეცნიერი, ახასიათებდა რა გიორგი ახვლედიანის სახელმძღვანელოს — „ენათმეცნიერების შესავალს“, დაასკვნიდა: „ამ სახელმძღვანელოზე -— ქართულად — ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არა ერთმა თაობამ. მათ შორის პირველი თაობა ის იყო, რომელსაც ამ სტრი-

ჭონების ავტორიც ეკუთვნის“ („ზოგადი ენათმეცნიერება“, II, 1945, გვ. 11).

ვ. თოფურია (შემდგომ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი) თავისი საკვალიფიკაციო შრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „...უღრმესი მადლობის გრძნობით მოვიხსენიებ ჩემს მასწავლებლებს პროფ. აკ. შანიძესა და პროფ. გიორგი ახვლედიანს, რომელთა ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ვსწავლობდი რიგს დისციპლინებს და ენებს, და რის შედეგსაც ეს დამოუკიდებლად დამუშავებული სვანური ენის მთლიანი მიმოხილვის ცდა წარმოადგენს“ („სვანური ენა, I. ზმნა“. 1931, გვ. XI).

დამახასიათებელია სიტყვები ინდოელი პროფ. ჯეკ ლიტონისა, რომლის სადოქტორო დისერტაციის (ბენგალიური ენის გრამატიკა) ოპონენტი იყო გიორგი ახვლედიანი: „ყოველთვის, როცა ამ ძვირფას სახელს (იგულისხმება გ. ახვლედიანი. — შ. ძ.). წარმოვთქვამ, უნებლიეთ ვიგონებ პირველ შეხვედრას. ეს მოხდა ათიოდე წლის წინათ, მაშინ მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტად ვმუშაობდი. მახსოვს, მრავალი უძილო ღამის შემდეგ, როგორც იქნა დავასრულე სადოქტორო დისერტაცია. ერთ-ერთმა ჩემმა ახლობელმა მირჩია, მიმემართა სახელგანთქმული ინდოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. ახვლედიანისათვის და მეთხოვა ოპონენტობა საჯარო პაექრობაზე. სიმართლე რომ ვთქვა, დიდხანს ვმერყეობდი, როგორღაც უხერხულად მიმაჩნდა შემეწუხებინა მნიშვნელოვანი საქმეებით დატვირთული ადამიანი, რომელიც მოსკოვიდან ათასზე მეტი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. რამდენჯერმე მოვკიდე კალამს ხელი წერილის დასაწერად და ისევ შევჩერდი. და აი, ერთხელ როგორღაც მტკიცედ გადავწყვიტე თბილისში გამგზავრება და სტუმართმოყვარე საქართველოში მასთან შეხვედრა. მართალია, მხცოვან მეცნიერს არ ვიცნობდი, მაგრამ მის მოღვაწეობას თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გულმოდგინედ თვალყურს ვადევნებდი, ვიცოდი, რომ იგი უმნიშვნელოვანესი შრომების ავტორი იყო და ეს ადამიანი მიზიდავდა, უბრალოდ მინდოდა გადავხვეოდი, მადლობა მეთქვა იმისათვის, რომ საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ფართო მკითხველს ჩემი ქვეყ-

ნის წეს-ჩვეულება, ლიტერატურა“ (გაზ. „თბილისი“, № 93, 1962).

ჰეშმარიტად სვებედნიერია მეცნიერი, რომელიც თავის მეცნიერულ შემოქმედებას, ნაყოფიერ და ღრმაშინაარსიან კვლევა-ძიებას ათეული წლების მანძილზე მოხდენილად უთავსებს ახალი მეცნიერული ძალების აღზრდას, ძალებისა, რომლებიც მასწავლებლის მიერ გაწალდული გზით მიდიან, ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობენ და... საამაყო მოძღვრის სახელს ამითაც უკვდავყოფენ.

ასეთ მთლიან პიროვნებებს შესწევთ ძალა, უდიდესი ზეგავლენა მოახდინონ მომავალ თაობაზე და ახალგაზრდები თავიანთ გზაზე გაიყოლიონ...

ს ა რ ჩ ე ვ ი

მწერლის ენა

შოთა რუსთაველის ენის საკითხები . 7
დავით გურამიშვილის ენა 52
ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა 73
აკაკი წერეთელი და ქართული ენა 118
იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა 136
ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა . 162
ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკის საკითხები . 195

ქართული ენის თავგადასავალი

ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა . . 207
ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა . 219
ქართული ენის წარმოშობა 231
ქართული ანბანის წარმოშობა . . 253
ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები . . 270
ქართული ენის კონტაქტები მსოფლიოს ენებთან . . 283
ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორია . 302

ქართული ენისა და კულტურის მკვლევარნი

ნიკო მარი . 311
აკაკი შანიძე . 413
გიორგი ახვლედიანი . 505

რედაქტორი ერ. ჭარელიშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვ. რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექრედაქტორი მ. ლებანიძე
კორექტორი გ. წერეთელი

გადაეცა წარმოებას 20/XII—72 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI—73 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16, № 2
ნაბეჭდი თაბახი 33,48.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,75.
შეკვ. № 3169. ტირაჟი 3000.
ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42. თბილისი, 1974